ჟოზე სარამაგუ

იესოს სახარება

O EVANGELHO SEGUNDO JESUS CRISTO

JOSÉ SARAMAGO

ჟოზე სარამაგუ - იესოს სახარება

მთარგმნელი მიხეილ ანთაძე

1* * *

„რაკი მრავალმა მიჰყო ხელი იმ ამბების დალაგებით
გადმოცემას, რომლებიც ჩვენში მოხდა, როგორც
გადმოგვცეს მათ, ვინც იმთავითვე თვითმხილველნი
იყვნენ და სიტყვის მსახურნი, მეც მართებულად
მივიჩნიე, ყველაფრის თავიდანვე გამოწვლილვით
განხილვის შემდეგ თანმიმდევრულად აღმეწერა ისინი
შენთვის, ღირსეულო თეოფილე, რათა შეიცნო
იმ მოძღვრების უმცდარობა, რაც გისწავლია“.
ლუკას სახარება, 1; 1-4

„რაც დავწერე, დავწერე“.
პილატე

2* * *

შუადღის მნათობი წვრილ-წვრილი სხივებითა და დაკლაკნილი ცეცხლის ენებით ჭკუიდან შეშლილ კომპასს დამსგავსებია. მზეს ადამიანის სახე მიუღია – მტირალი, აუტანელი ტკივილით დაბრეცილი, გავარვარებული, უხმო ყვირილით პირდაბჩენილი – უხმო, რადგანაც სინამდვილე-

ში არაფერიც არ ისმის. ჩვენ წინაშე ქაღალდი და საღებავია მხოლოდ. ქვემოთ კაცს ვხედავთ, მორზე მიუბამთ, სულ შიშველია, თუ არ ჩავთვლით თეძოებზე შემოხვეულ ჭინჭებს, რომლებიც იმას უფარავს, რასაც სარცხვინელს ეძახიან, ფეხები მსხვილ ტოტზე მიუბჯენია და, ეტყობა, რომ არ დაცურებულიყო, ორი ლურსმნით საიმედოდ მიუჭედებიათ. შთაგონებულ-ტანჯული გამომეტყველებით, ზეაღმართული მზერით იოლად იცნობთ მორწმუნე ავაზაკს. უტყუარ ნიშნად ხუჭუჭა თავიც გამოდგება – აკი ანგელოზებსა და მთავარანგელოზებს თმა ეხვევათ, ხოლო მონანიე ავაზაკს, როგორც ჩანს, ცათა სასუფევლამდე და იქაურ მობინადრეებამდე ნახევარი გზაღა დარჩენია. კაცმა არ იცის, არის თუ არა ეს მორი ის ხე, რომელიც საგანგებოდ დაამახინჯეს და სიკვდილით დასჯის იარაღად გადააქციეს, ან ისევ ისრუტავს თუ არა მისი ფესვები მიწიდან მაცოცხლებელ წვენს, ხოლო კაცმა იმიტომ არ იცის ეს, რომ მორის ქვედა ნაწილს ერთი გრძელწვერა, მდიდრულ-გადაპრანჭულად გამოწყობილი კაცი ეფარება, თავი აუწევია, მაგრამ ცას როდი უყურებს. ეს ამაყი იერი, ეს სევდიანი სახე მხოლოდ იოსებ არიმათიელისა თუ იქნება და არა სვიმონ კვირინელისა, რაიც შესაძლოა გვგონებოდა; თუმცა, ეგზეკუციის ოქმის თანახმად, ეს უკანასკნელი მას შემდეგ, რაც იძულებული შეიქნა, დამნაშავეს დახმარებოდა და დასჯის იარაღი სასჯელის აღსრულების ადგილას მიეტანინებინა, თავისი გზით წავიდა და ჯვარცმულის ვნებებზე მეტად ის მოსალოდნელი უსიამოვნება ედარდებოდა, რასაც იქ უნებლიე დაგვიანება უქადდა, სადაც მიდიოდა. დიახ, დიახ, იოსებ არიმათიელი ერქვა იმ გულკეთილ და შეძლებულ კაცს, რომელმაც საფლავისა და სამ სიკვდილით დასჯილს შორის უმთავრესის დაკრძალვის ხარჯები კი გაიღო, მაგრამ ამ დიდსულოვნებისთვის წმინდანთა დასში მაინც არ ჩაირიცხა, არც ნეტარცხებულთა რიცხვში მოხვდა და ამიტომ მის თავს არაფერი იმ ქუდის გარდა არ მოსავს, რომლითაც ქუჩებში დაიარებოდა ხოლმე. განსხვავებით თუნდაც წინა პლანზე გამოსახული ამ მუხლმოყრილი ქალისგან, რომლის გაშლილ თმას ხელნაკეთი მაქმანის მსგავსი მარადიული დიდების შარავანდედი ადგას. დაჩოქილ ქალს, რა თქმა უნდა, მარიამი ჰქვია, რადგან წინასწარ ვიცით: აქ და ამ დროს თავმოყრილ ყოველ ქალს ეს სახელი უნდა ერქვას და მხოლოდ

ერთ მათგანს სხვებისგან გამოსარჩევად ამიერიდან მაგდალელს ვუწოდებთ, თუმცაღა, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ელემენტარულ ცხოვრებისეულ საკითხებში, ისედაც ერთი შეხედვით ამოიცნობს ამ ქალში სახელგანთქმულ მაგდალელს, რამეთუ მისებრ ბობოქარი წარსულის მქონე უნდა იყო, ამ ტრაგიკულ წუთებში ასე ღრმად გულამოღებული კაბითა და ვიწრო ლიფით გამოცხადდე, საიდანაც ამომზირალი აფუებული, საკინძეგადახსნილი და გამოფენილი მკერდის მადისაღმძვრელი სიმრგვალე უეჭველად მიიზიდავს გამვლელ-გამომვლელ მამაკაცთა ხარბ მზერას, რის გამოისობითაც თითოეულ მათგანს ხორციელი გულისთქმის ცოდვაში ჩავარდნა და სულის წაწყმედა ემუქრება.

მიუხედავად ამისა, ქალის სახე ღრმა მწუხარებას გამოხატავს, თავჩაქინდრული ფიგურა კი – სულიერ

ტანჯვას, თუნდ ესოდენ მაცდურ სხეულში დასადგურებულს, ამიტომ ახლავე შევთანხმდეთ: ამ ქალისადმი, სულაც შიშველი რომ ყოფილიყო, მაინც უსაზღვრო პატივისცემა და მოკრძალება უნდა გამოვიჩინოთ. ეს მარიამ მაგდალელია, ენით აღუწერელი თანაგრძნობით უჭირავს მეორე ქალის ხელი, თითქოს კოცნას უპირებსო, ის კი ღონემიხდილი, სასიკვდილოდ დაჭრილივით მიწაზე განრთხმულა. ესეც მარიამია, თუმცა მნიშვნელოვნებით უპირველესი, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ კომპოზიციის ქვედა ნაწილში ცენტრალური ადგილი უკავია. მოჩანს მხოლოდ მისი ნამტირალევი სახე და უძლურად ჩამოყრილი ხელები – სხვა დანარჩენს მოსასხამი და უხეში თოკით შეკრული ტუნიკა ფარავს. იგი პირველ მარიამზე უფროსია და სწორედ ესაა ერთ-ერთი, თუმც არა ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ თავზე უფრო რთული და ჩახლართული შარავანდედი უბრწყინავს, რაც ჩემთვისაც კი დღესავით ნათელია, თუმც დიდად სულაც ვერ ვერკვევი იმქვეყნიურ წოდებებში, რანგებსა და იერარქიებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი გამოსახულებები მეტისმეტად გავრცელებულია, მაშინ მხოლოდ უცხოპლანეტელს – თანაც თუკი მის პლანეტაზე დროდადრო მაინც არ მომხდარა ან ახლაც არ ხდება მსგავსი ამბები; მოკლედ, მხოლოდ ასეთ უცხოპლანეტელს, რომლის არსებობა პრაქტიკულად გამორიცხულია, – არ ეცოდინებოდა, რომ მწუხარებით განადგურებული ქალი ხურო იოსების ქვრივია, მრავალი

შვილის მშობელი, რომელთა შორის ბედის თუ ამ ბედის განმგებლის გამოისობით მხოლოდ ერთმა მოახერხა აღზევება და სახელის მოხვეჭა, ისიც მიწიერი სიცოცხლით ნაკლებად, უფრო – სიკვდილით. მარცხნივ დახრილი მარიამი, დედა იესოსი, რომელიც ახლახან ვახსენეთ, იდაყვით კიდევ ერთ ქალს ეყრდნობა, ისიც დაჩოქილია, მასაც მარიამი ჰქვია და თუმცა წარმოსახვითაც კი ვერ დავინახავთ მისი კაბის ამოჭრილ გულისპირს, მაინც ეტყობა, რომ ნამდვილი მაგდალელი სწორედ ისაა. მასაც იმ პირველივით გრძელი თმა ზურგზე აფენია, ოღონდ ქერა, თუ რა თქმა უნდა, გრავიორმა შემთხვევით კი არა, საჭრეთლის მსუბუქი მონასმით საგანგებოდ გაუსვა ხაზი ამ თმის ღია ტონებს. ამიტომაც დარწმუნებით ვერც ვიტყვით, მართლა ოქროსფერთმიანი იყო თუ არა მარიამ მაგდალელი, თუმცა სავსებით ვიზიარებთ ერთობ გავრცელებულ აზრს, თითქოს ქერა ქალი, შეღებილი თუ ბუნებრივი, ცოდვისა და წაწყმედის ყველაზე სრულყოფილი იარაღია. ჰოდა, მარიამ მაგდალელი, სულწაწყმედილი ცოდვილი, აუცილებლად ქერა უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ კაცთა მოდგმას ნალოლიავები წარმოდგენები არ გაუქარწყლოს ნებსით თუ უნებლიეთ. ერთიცაა: ეს ქალია მაგდალელი-მეთქი, ასე დაბეჯითებით განა იმიტომ დავიჩემე, თითქოს ქერა თმა უფრო ნათელი საბუთია, ვიდრე პირველი მარიამის გამოფენილი მკერდი. მისი პიროვნების დასადგენად სხვა სამხილიც მოგვეპოვება: შეხედეთ, იესოს დედას, თითქმის მიწაზე განრთხმულს, ერთი ხელით მექანიკურად ეშველება, იმავდროულად კი ჯვარცმულს აჰყურებს და მის თვალებში ისეთი ნამდვილი, ისეთი მწველი სიყვარული ანთია, გეგონება, მთელი სხეული, მთელი ხორციელი ბუნება ისეთ მოციაგე ნათელს გარემოუცავს, რომ მის თავზე შარავანდედსაც კი ჩრდილავს, ამ მაგიურ წრეწირს, თავის ფარგლებში ზედმეტ გრძნობებსა და აზრებს რომ არ აჭაჭანებსო. ასეთი მზერა მხოლოდ ქალს შეუძლია, იმ სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებულს, მხოლოდ მარიამ მაგდალელთან მიმართებით რომ მოვიაზრებთ. ესეც საბოლოო და გადამჭრელი საბუთი იმისა, რომ ის სწორედ ის არის, ის და სხვა არავინ... და, ეტყობა, მეოთხე მარიამზე აღარც არაფრის თქმა ღირს – იქვე დგას, ხელები აღუპყრია და მთელი თავის მოხაზულობით გლოვას აღნიშნავს, თუმცა სად იყურება, ვერ გაიგებ.

ასეთივეა გრავიურის ამავე ნაწილში გამოსახული სრულიად ახალგაზრდა, ჯერაც ყმაწვილი მამაკაცი მანერულ პოზაში – მარცხენა მუხლზეა

ჩაჩოქილი, მარჯვენა ხელი კი აფექტურ-თეატრალურად გაუშვერია ამ დრამატული ამბის მონაწილე ოთხი ქალისკენ. ეს ხუჭუჭა, ბაგეათრთოლებული ჭაბუკი იოანეა. ისიც იოსებ არიმათიელივით მეორე ხეს ეფარება, რომლის კენწეროზეც, იქ, სადაც წესით ჩიტის ბუდე უნდა იყოს, კიდევ ერთი კაცია მიბმულ-მილურსმული. პირველისგან განსხვავებით, სწორი თმა აქვს, თავდახრილი ცდილობს დაინახოს, – ოდნავ მაინც თუ შერჩენია რაიმეს დანახვის თავი, – ქვევით რა ხდებაო; გამხდარი, ლოყებჩაცვენილი სულაც არა ჰგავს მეორე ბოძზე გაკრულ თავის ამხანაგს, რომელმაც სიკვდილისწინა უსასოობის, აგონიური ტანჯვის მიუხედავად, ძალა გამონახა და თამამად ასწია თავი, გამოიხედა და ღაჟღაჟა, სისხლსავსე სახე დაგვანახვა. ის მეორე კი, მკერდზე თავჩამოვარდნილი, თითქოს მის მისაღებად გამზადებულ მიწის წიაღს ჩასჩერებიაო, ორგზის განწირულია – წამებით სიკვდილისა და ჯოჯოხეთის სატანჯველისთვის. ეს ბოროტი ავაზაკია, აბა, სხვა ვინ იქნება?! ოღონდ, მოდი, გამოვტყდეთ, გულახდილმა და უეშმაკო ზნემ იმისი ძალა მოანახვინა, რომ არ ეთვალთმაქცა – ვითომდა მჯერა, თითქოს მონანიების წუთი მთელ ჩემს ავაზაკურ ცხოვრებას, ან თუნდაც სისუსტის ერთ საათს მაინც გამოისყიდისო. მის თავს ზემოთ გლოვობს და ტირის მთვარე, რომელიც ქალადაა დახატული და ისე უადგილოდ აქვს ყურში საყურე გარჭობილი, რომ ასეთ რამეს უწინდელი მხატვრები და პოეტები არ კადრულობდნენ, და ამ მაგალითის მიუხედავად, საეჭვოა, რომ მომავალშიც იკადროს ვინმემ. მწუხარე მზე და მთვარე ორმხრივ ანათებენ მიწას თანაბარი, უჩრდილო შუქით და ალბათ ამიტომაც ვხედავთ ასე მკაფიოდ ყოველივეს, ამ გრავიურაზე გამოსახულს ჰორიზონტამდე – კოშკებსა და ციხესიმაგრეებს, წყლიან თხრილზე გადებულ ასაწევ ხიდს, წოწოლა გოტიკურ სახურავებსა და სულ სიღრმეში, უკანასკნელი ბორცვის მწვერვალზე, ქარის წისქვილის გარინდულ ფრთებს. უფრო ახლო გაწვრთნილ ცხენებს კბილებამდე შეიარაღებული ოთხი მხედარი მოაჭენებს, თუმცა მათი ჟესტების მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სანახაობის ფინალს მოუსწრეს და ჩვენთვის უხილავ ვიღაც მაყურებ-

ლებს გამოსათხოვარ სალამს უგზავნიან. დასრულებული ზეიმის შთაბეჭდილებას ბადებს აგრეთვე აბჯრიანი ფეხოსნის ფიგურაც, რომელსაც პირველი ნაბიჯი უკვე გადაუდგამს, მარჯვენა ხელით კი რაღაც მიაქვს, – შორიდან ჩვარს მიაგავს, მაგრამ თუ ახლოდან დავაკვირდებით, ტუნიკა ან ქიტონი აღმოჩნდება; იმავდროულად ორი სხვა ჯარისკაცი, რამდენადაც ამსიშორიდან მათი ციცქნა სახეების გამომეტყველებაზე შეგვიძლია ამოვიკითხოთ, წყენას გამოხატავს, ბრაზსაც კი, ისეთს, წილყრაში წაგებულებს რომ სჩვევიათ ხოლმე. ამ უხამსი ყოველდღიურობის ზემოთ, ჯარისკაცებისა და ქალაქის გალავნის თავზე ოთხი ანგელოზი დალივლივებს. სამი მათგანი – დაწვრილებით გამოსახული, – მწარედ ტირის და გოდებს, მესამე კი საქმიანად ცდილობს, ჯვარცმულის მკერდიდან გადმოდენილი სისხლი მიმარჯვებულ თასში უკანასკნელ წვეთამდე შეაგროვოს. აქ, ამ გორაზე, გოლგოთად წოდებულზე, ასეთი ბედი ადრეც ბევრს რგებია, ბევრსაც წინ ელოდება, მაგრამ მხოლოდ ერთადერთს – აი, ამ გაშიშვლებულ ადამიანს, ჯვარზე ხელფეხმილურსმულს, იოსებისა და მარიამის ძეს, ქრისტეს, – არგუნებს მომავალი დიდებას, სხვები კი უბრალო ჯვარცმულებად სამუდამოდ დარჩებიან. ახლა უკვე გასაგებია, საით აღუპყრიათ მზერა იოსებ არიმათიელს და მარიამ მაგდალელს, ვის დასტირიან მზე და მთვარე, ვის განადიდებს მონანიე ავაზაკი და ვის დასცინის მისი უტიფარი თანამოძმე, რამეთუ არ ესმის, რომ თავისი თანამოძმისგან არაფრით განსხვავდება, და თუ რამით მაინც განსხვავდება, არა იმით, რომ ერთმა მოინანია, მეორე კი საკუთარ ცოდვებს ჩაეკირა, – რადგან ცალ-ცალკე არც ერთი არსებობს და არც მეორე, – უბრალოდ, ერთმანეთს ავსებენ. ლათინური ასოები მთვარესა და მზეზე მეტად

ანათებენ ჯვარცმულის თავზემოთ და მას იუდეველთა მეფედ წარმოგვიდგენენ; შუბლსა და საფეთქლებზე ეკლის გვირგვინი შემოსალტვია. ორი ავაზაკისგან განსხვავებით, იესოს ფეხების საყრდენი არ აქვს და სხეულის ზედა ნაწილის უკიდურესი დაძაბვით ხარიხაზე მილურსმულ ხელებზეღა კიდია, მაგრამ, საკითხავია, დიდხანს გაუძლებს კი, მაშინ, როცა, როგორც უკვე ითქვა, მკერდიდან სისხლი მოთქრიალებს და თან სიცოცხლე მიაქვს?! ორ ბიჯგს შორის, რომელიც ჯვარს ვერტიკა-

ლურად აკავებს და მასთან ერთად შავ მიწას ჩასობია, რათა მიწასაც არანაკლები სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს, ვიდრე ნებისმიერი კაცის საფლავია, თავის ქალა დევს, იქვე – ნიჩაბი და წვივის ძვალი, მაგრამ ჩვენ თავის ქალა გვაინტერესებს, რადგან „გოლგოთა“ სწორედ ამას ნიშნავს. უცნობია, ვინ და რისთვის დაალაგა აქ ეს ნეშტის ნაწილები. ეგებ ვიღაც პირქუში ირონიით აფრთხილებს ამ უბედურ ჯვარცმულებს, აი, ეს მოგელით, სანამ მიწად, მტვრად, არარად გადაიქცევითო. მრავალთა მოსაზრებით, ეს ადამის თავის ქალაა, უძველესი გეოლოგიური პლასტების შავი მორევიდან რომ ამოყვინთა და რაკიღა უკან ვეღარ ბრუნდება, იძულებულია, სამარადისოდ დედამიწას შესჩერებოდეს – ერთადერთ შესაძლო და სამუდამოდ დაკარგულ სამოთხეს. ველზე, სადაც მხედრები ქურანებს თავგანწირვით მოაჭენებენ, ერთი კაცი მიდის: გვშორდება, მაგრამ ჩვენკენ თავი მოუბრუნებია, მარცხენა ხელში სათლი უჭირავს, მარჯვენაში გრძელი ჯოხი, ღრუბელწამოცმული, რომელიც აქედან, ფაქტობრივად, არც კი ჩანს. სათლში, დამერწმუნეთ, ძმრიანი წყალია. ამიერიდან ეს კაცი უკუნისამდე ცილისწამების მსხვერპლი გახდება, მასზე საძაგელ ჭორებს გაავრცელებენ – თითქოს, როცა იესომ წყალი ითხოვა, ამან ბოროტად ან დამცინავად ძმარი დაალევინა. სინამდვილეში ძმარნარევი წყალი იმ მხარეში ოდითგან სამართლიანად მიიჩნეოდა წყურვილის მოკვლის საუკეთესო საშუალებად. მასზე უკეთ არაფერი გამოაცოცხლებდა მწყურვალს. მიდის, ამბის ბოლოს აღარ ელოდება, რადგან რაც შეეძლო, გააკეთა, პირის სიმშრალე გაუქარვა გულგვამგამომწვარ სამ განწირულ ადამიანს ისე, რომ იესო ავაზაკებისაგან არც კი განუსხვავებია, უბრალოდ მსჯელობდა: ყველანი მიწიდან იშვნენ და მიწად იქცევიან; აი, სულ ესაა, რაც მათ შესახებ შეიძლება ითქვასო.

3* * *

ღამეს კიდევ ბევრი დარჩა აისამდე. კარის წირთხლში ჩაჭედებულ ლურსმანზე ზეთის ჭრაქი ბჟუტავს, მაგრამ მოციმციმე ალის ნუშისებრი ენა ვერ უმკლავდება სიბნელეს, რომელსაც ოთახი სრულად დაუპყრია, კუთხეებში გაუმჭვირვალ უკუნეთად დაბუდებულა, ისე სქლად და მკვრი-

ვად, რომ დანითაც კი ვერ გაჭრი. იოსები ბიძგმა გააღვიძა, თითქოს ვიღაცამ ხელი ღონივრად დაჰკრა ბეჭზე, მაგრამ ეს მუჯლუგუნი ალბათ მყისიერად დასრულებული სიზმრის ბოლო ნაჭერი იყო – აბა, ვის უნდა შეენჯღრია, როცა სახლში ცოლის გარდა არავინაა, მას კი აგერ მკვდარივით სძინავს. აქამდე არასდროს ასე შუაღამით არ გაუღვიძია, რაც თავი ახსოვს, მანამ ეძინა ხოლმე, სანამ კარის მოზრდილი ღრიჭო სინათლით არ გაიჟღინთებოდა და ოთახში ალიონზე ფერფლისფერ ცივ შუქს არ შემოაპარებდა. რამდენჯერ იფიქრა, შევაკეთებო – დურგალი შესაფერის ნაფოტს მიაჭედებდა და მორჩა, მაგრამ ისე მიეჩვია თვალის გახელისთანავე დღის დადგომის მაცნე შვეული ნათლის ზოლის დანახვას, ფიქრობდა, მის გარეშე სხეულის და სამყაროს დამბორკავი ძილ-ბურანიდან თავს ვეღარ დავიძვრენო. ეს ღრიჭო სახლის ნაწილი იყო, კედლებისა და ჭერის მსგავსად. ცოლი რომ არ გაეღვიძებინა, იოსებმა ჩურჩულით წარმოთქვა ძილის საიდუმლო ქვეყნიდან დასაბრუნებელი დილის ლოცვა: გმადლობ, უფალო ღმერთო, მეუფევ ზეციურო, რომ შენი მოწყალებით ცოცხლად დამიბრუნე სული ჩემი უწინდელი. ეგებ იმიტომ, რომ ჯერ ხუთსავე გრძნობას ერთბაშად არ გაეღვიძა, – თუმცა არც ის გამოვრიცხოთ, რომ ძველ დროში, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ადამიანები ჯერ საერთოდაც ვერ მწყემსავდნენ საკუთარ გრძნობებს, პირიქით, უკვე დაკარგული ჰქონდათ მათი მართვის უნარი, – მოკლედ, იოსები თითქოს შორიდან უთვალთვალებდა, როგორ ნელ-ნელა, თანდათან აღივსებოდა სხეულის მიხვეულ-მოხვეულები სულით, იმ წყალივით, მიწაზე რომ გაიტალღება დაკლაკნილ ნაკადულებად და ღრმა ფესვებამდე ჩაიწრიტება, რათა მერე მისეული სასიცოცხლო ძალით ღეროები და ფოთლები დაარწყულოს. ძნელი დაბრუნება იყო. ცოლს გახედა, გვერდით მწოლს, არ გავაღვიძოო. ის ხომ ახლა ცარიელი სხეულია, უსულო, რადგან მძინარისგან სული გასულია, თუ არადა, აბა რაღა საჭიროა დილის ლოცვა, რომლითაც ღმერთს მადლობას ვწირავთ გაღვიძებისთანავე ჩვენი სულების უკან დაბრუნებისთვის. თუმცა მაშინ სიზმრები რაღაა? ეგება სიზმრები სულს შემორჩენილი სხეულის ხსოვნაა, გაიფიქრა იოსებმა. სწორი პასუხია. იმწამს მარიამი შეირხა, ეტყობა, მისი სული სადღაც ახლომახლო, აქვე, სახლში დაფარფატებდა, მაგრამ არ გაღვი-

ძებია, მხოლოდ ღრმად ამოიოხრა, ამოისლუკუნა და ქმრისკენ გაიწია ტალღისებური უნებლიე მოძრაობით, სიფხიზლეში არასდიდებით რომ არ იკადრებდა. იოსებმა მხრებზე ხაოიანი ჩხვლეტია საბანი შეისწორა, ჭილოფზე მოხერხებულად მოთავსდა, არ გაწეულა და იგრძნო, რაღაც სურნელებზე აღმოცენებულმა სითბომ, – გეგონება არომატული ბალახების ზარდახშას თავი ახადესო, – როგორ შეაღწია მის პერანგში და მისსავე სითბოს შეუერთდა. მერმე თვალები ნელ-ნელა დახუჭა, ფიქრი დაივიწყა და სულის გარეშე დარჩენილი სხეული ისევ ძილს მიეცა. მამლის ყივილმა გააღვიძა. ღრიჭოში შემომავალი რუხი სინათლე ამღვრეულ წყალს ჰგავდა. დრო, აქამდე ღამის განლევის მომლოდინე, ახლა ასპარეზს დილას უმზადებდა, ისე, როგორც გუშინ, ისე, როგორც ყოველთვის, რამეთუ ის ლეგენდარული დღეები გარდასულიყო, როცა მზე, ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი და საჭირო, აუცილებლობის შემთხვევაში გაბაონის თავზე გაჩერდებოდა,

რათა ისუ ნავეს იმ ხუთი მეფის დამარცხება მოესწრო, მის ქალაქს რომ შემოსჯარვოდნენ. იოსები ჭილოფზე წამოჯდა, საბანი გადაიძრო და იმწამს მამალმა მეორედ იყივლა, შეახსენა, არ დაგავიწყდეს, ყოვლის შემქმნელს მადლობა უთხრა იმ თვისებებისთვის, მისი ნებით ჩვენ, მამლებს რომ გვებოძაო. გმადლობ, უფალო, ცათა მპყრობელო, რამეთუ მიეც მამალს დღისა და ღამის გარჩევის ნიჭი, თქვა იოსებმა და მესამედაც იყივლა მამალმა. ჩვეულებრივ ალიონზე მის ყივილს მეზობელი მამლები აიტაცებდნენ და ერთმანეთს გადასძახებდნენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად დუმდნენ, თითქოს მათთვის ღამე ჯერ არ დამთავრებულიყო, ან სულაც ახლახან დამდგარიყო. იოსებმა ცოლს შეშფოთებით დახედა და გაუკვირდა: ქალს, რომელიც ჩვეულებრივ ჩიტივით ადრიანად იღვიძებდა ხოლმე და მცირე გაფაჩუნებაზეც კი თვალები ჰქონდა დაჭყეტილი, ახლა ღრმად ეძინა, თითქოს რაღაც გარეშე ძალა დასწოლოდა, ანთუ თავზე დასტრიალებდა, მიწაზე აკრავდა, თუმცა განძრევის საშუალებას კი აძლევდა, და იოსებმა ბინდბუნდში შენიშნა, როგორ ჩარბოდა მის სხეულზე კრთომა, როგორც ტალღა – წყლის ზედაპირზე. ავად ხომ არ გახდა? – გაიფიქრა, მაგრამ მცირედ შეშფოთებას შარდის ბუშტმა სძლია – მუდამ ასე იცოდა – უდროოდ და მოუთმენლად. ფრთხილად წამოდგა,

ცოლს რომ არ გაღვიძებოდა და არ მიმხვდარიყო, საითაც აპირებდა წასვლას, რათა, როგორც სჯულის კანონი მოითხოვდა, მამაკაცური ღირსება არ შებღალვოდა. ჭრიალა კარი გამოაღო და ეზოში გავიდა. ის ჟამი იდგა, როცა აისი თითქოსდა ფერფლს აფრქვევსო ქვეყნიერებას. იოსები ვირის სადგომში შევიდა და მოფსა, თან გაუცნობიერებელი კმაყოფილებით უსმენდა მძლავრი ნაკადის თივაზე ჩხრიალს. სახედარმა გრძელი, ბანჯგვლიანი ყურები გააფართხუნა, თავი მისკენ მიაბრუნა – ბინდბუნდში დიდრონმა თვალებმა გამოანათა – და ისევ ჩაყო დრუნჩი თივაში, სქელ-სქელი, მგძნობიარე ლაშები ააცმაცუნა. იოსები თოკზე დაკიდულ სათლთან მივიდა, გადმოსწია, ხელი დაიბანა, პერანგზე შეიმშრალა და უფალს დიდება აღუვლინა, რომ თვისი უსაზღვრო სიბრძნით მან ადამიანი სიცოცხლისთვის ეგზომ აუცილებელი მოცულობებითა და ხვრელებით აღჭურვა, რომლებიც სწორედ მაშინ იხსნებ-იკეტება, როცა საჭიროა. ზეცას ახედა და გული შეეკუმშა – მზე ჯერაც არსად ჩანდა და მთელ ცისკიდურზე მისხალი ოქროსფერიც კი არ კიაფობდა, არც ვარდისფრად შეფაკლულიყო და არც ათინათი მოჩანდა რამე, მაგრამ კიდით კიდემდე, მთელ თვალსაწიერზე, – რაც კი რამ იქეთ-იქით მდგარი შენობების კედლებს ზემოთ ჩანდა, – დაბლა მცურავი ღრუბლების გუმბათქვეშ, მატყლის ნახევრად გარეცხილ ფთილებს რომ ჰგავდნენ, რაღაც არნახული, განსაცვიფრებელი ლილისფერი განფენილიყო; ეს ლილისფერი აღმოსავლეთისკენ, საიდანაც მზე უნდა ამოსულიყო, ნათებით კრთოდა, დანარჩენ ცაზე კი სულ უფრო და უფრო მძლავრად აღივსებოდა სიბნელით და ალაგ-ალაგ ღამის ზეცას ემსგავსებოდა. ასეთი რამ იოსებს სიცოცხლეში არ ენახა, თუმცა მოხუცთაგან სმენია, რომ დამბადებლის ძალმოსილების დასამტკიცებლად ხანდახან ცაში სასწაულები ხდება: ცის შუაზე გამყოფი ცისარტყელა, კიბე მიწიდან ზეცამდე, ჩამოცვენილი მანანა... მაგრამ არასდროს გაუგონია, თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ ცას რაღაცის დაწყებისა თუ დასრულების მაუწყებელი ასეთი ფერი დაედოს, და მთელ სამყაროს უდაბნოს კენჭებივით მრავალრიცხოვანი, ერთმანეთზე მიბმული პატარ-პატარა ღრუბლების მოლივლივე გუმბათი გადაეხუროს. შიშმა მოიცვა იოსების სული და მოეჩვენა, სამყაროს დასასრული დადგა და უფლის განაჩენის აღსრულების

ერთადერთი მოწმე ვარო – ცასა თუ ხმელეთზე ჩქამიც კი არ ისმოდა – არც ლაპარაკი, არც ბალღის ტირილი მეზობელთა სახლებიდან, არც ლოცვის სიტყვები, არც წყევლის, არც ქარის ზუზუნი, არც თხების კიკინი, არც ძაღლის ყეფა. მამლები მაინც რად აღარ ყივიან? ჩაიბუტბუტა და

მერე ერთხელაც გაიმეორა ეს სიტყვები, გეგონება, მამლის ყივილი გადარჩენის იმედს გააჩენდა. ამასობაში ცა შეიცვალა. თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად ღრუბელთა გუმბათზე ლილისფერი ღია ვარდისფერმა ჩაანაცვლა, მერე კი წითელმა, და უეცრად ზეცამ იფეთქა, ურიცხვმა ოქროს შუბმა გააპო ღრუბლები, მრავალ ადგილას გამოხვრიტა და ღრუბლებიც უცებ გაიზარდნენ, უზარმაზარ აფრადაბერილ ხომალდებად გადაიქცნენ და მოკრიალებულ ცაზე გაცურდნენ. იოსების სულმა შიში განიშორა, თვალები კი გაოცებითა და აღფრთოვანებით გაუფართოვდა: სანახაობა, რომლის ერთადერთ მოწმედ ახლა შეიქნა, ისეთი განუმეორებელი რამ იყო, რომ ბაგეებს უნებურად მოსწყდა ბუნების შემოქმედის დიდება, მაგრამ ზეცა მისგან მშვიდი დიდებულებით მხოლოდ იმ უბრალო სიტყვებს ელოდა, რომლის წარმოთქმა ყველა ადამიანს შეეძლო: გმადლობ, უფალო, ამისათვის და სხვა ყველაფრისთვის. წარმოთქვა კიდეც და იმავ წამს, გეგონება შეულოცესო, გეგონება მჭიდროდ დაგმანული კარი უცებ გაიღოო, სიცოცხლის ხმები შეიჭრა მანამდე გამეფებულ მდუმარებაში, სივრცის განაპირა უმნიშვნელო კუნჭულებში სიჩუმე ისე განთავსდა, როგორც პაწაწინა ველები შრიალა ხეებით სავსე უღრან ტყეში. დილა ამოდიოდა, ფართოვდებოდა და აუტანლად ლამაზი ხდებოდა თვალწინ გადაშლილი არემარე, თითქოს ვიღაცამ გოლიათური ხელით ჰაერში მზეზე მოელვარედ შებუმბლული სამოთხის ფრინველი აუშვა, ფარშავანგის ათასთვალა კუდი მბრწყინავი მარაოსავით გახსნა და უსახელო ჩიტუნია სადა სიმღერით ააგალობაო. იმავ წამს შობილმა ნიავმა იოსებს სახეში სული შეუბერა, წვერი აუწეწა, პერანგი გამოუბერა და ბურბურა ბალახივით გარს შემოეხვია, ან ეგება ეს ყოველივე გონების წამიერი დაბინდვა იყო, უცბად ადუღებული სისხლით აღძრული: ხერხემლის გასწვრივ მწვავე ჟრჟოლამ ჩაურბინა და უფრო ძლიერი მოთხოვნილება აგრძნობინა, ვიდრე ის იყო, რამაც გარეთ გამოიყვანა. გეგონება, ქარიშხალმა გაიტაცაო, იოსები სასწრაფოდ შევარ-

და შინ, კარი მიხურა, წუთით შეყოვნდა და თვალი ბნელს შეაჩვია. იქვე უაზროდ ბჟუტავდა კვარი. მარიამს გამოღვიძებოდა, ზურგზე იწვა, თვალი გაშტერებოდა და თითქოს ელოდა. იოსები მდუმარედ მიუახლოვდა, ნელა გადახადა ზეწარი. ქალმა მზერა მოარიდა, პერანგის კალთას დასწვდა და ჯერ მუცლამდეც არ ჰქონდა აწეული, როცა იოსები დაიხარა, თავისი პერანგი აიკეცა, მარიამმა ფეხები გაშალა. ეგებ ეს უფრო ადრეც გააკეთა, ძილში, და უბრალოდ აქამდე ასე იწვა, მოთენთილობისა თუ იმ წინათგრძნობის გამო, მოვალეობის ერთგულ მეუღლეს მუდამ დროულად რომ ეწვევა ხოლმე. ღმერთი, როგორც ცნობილია, ყველგანაა და ალბათ ახლაც სადმე იქვე იქნებოდა, მაგრამ უსხეულო სულის სახით მყოფს არ შეეძლო დაენახა, როგორ შეეხო ერთმანეთს მათი თმები, როგორ შეაღწია კაცის ხორცმა ქალისაში საკუთარი დანიშნულების აღსასრულებლად, ხოლო როცა იოსების წმიდა თესლი მარიამის წმიდა წიაღში შეიღვარა, ღმერთი ალბათ იქ უკვე აღარ იმყოფებოდა, რამეთუ არის ამქვეყნად რაღაცეები, რომლებიც მისთვისაც კი მიუწვდომელია, ვინც ეს რაღაცეები შექმნა. ეზოში გასულს, ღმერთს არ შეიძლებოდა გაეგონა დაგუდული, თითქოს აგონიური ხრიალი, კაცმა რომ გამოსცა, და, მით უმეტეს, თითქმის ჩუმი კვნესა, რომელიც ქალმა ვერ შეიკავა. წუთის შემდეგ, ან იქნებ უფრო ადრეც, იოსები წამოდგა და მარიამი გაათავისუფლა, მანაც პერანგი ჩამოიწია, ზეწარი გადაიფარა და სახე მკლავქვეშ დამალა. შუა ოთახში მდგომმა, ჭერისკენ მზერააპყრობილმა ქმარმა ყველაზე საშინელი ლოცვა წარმოთქვა: გმადლობ, ღმერთო, რომ დედაკაცად არა მშობე. ღმერთი, ეტყობა, ამასობაში უკვე ეზოშიც აღარ იმყოფებოდა, რამეთუ არც კედლები ჩამონგრეულა, არც ცეცხლის ალი აგიზგიზებულა. აქვე პირველად გაისმა მარიამის ხმა, მორჩილად რომ ჩაიბუტბუტა: გმადლობ, უფალო, რომ ნებითა შენითა გამაჩინე. ყურადღება მიაქციეთ – ეს

სიტყვები არაფრით განსხვავდებოდა საქვეყნოდ ცნობილ და განთქმულ სიტყვათაგან: „ჰე, მხევალი უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა~. ცხადია, იმას თუ იტყოდა, ამასაც შეძლებდა. მერე მარიამი, ხურო იოსების ცოლი, ადგა, ჭილოფები აახვია და ორად გაკეცილი ზეწარი გადააფარა.

4* * *

ხოლო ცხოვრობდნენ იოსები და მარიამი გალილეაში, მცირედ დასახლებულსა და ღარიბ დაბა ნაზარეთში, ისეთსავე სახლში, როგორშიც მათი მეზობლები – უბადრუკსა და დაბრეცილ, თიხით შელესილ აგურის ქოხში, მასალის დასაზოგად ბორცვზე რომ მიეშენებინათ, რათა ერთი კედლის მაგივრობა ფერდობს გაეწია. არანაირი არქიტექტურული სამშვენისი: ყველა ერთნაირად, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ თარგზე, მოუყირჭებლად; ყველგან ერთი და იგივე. როგორც ცნობილია, იოსები დურგალი იყო, თავის საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ წარმოსახვას, ოსტატობასა და გამომგონებლობას სრულად მოკლებული, რაც მუდამ თავს იჩენდა, როგორც კი მეტ-ნაკლებად რთულ ნივთს დაუკვეთავდნენ. ეს გარემოება, ვგონებ, თვით ყველაზე მომთხოვნ მკითხველსაც კი არ აღაშფოთებს, რადგან ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ყოვლად შეზღუდული შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების მხარეში მცხოვრები ოცი წლის ახალგაზრდა კაცი ვერსად მიიღებდა საჭირო გამოცდილებას და ვერც ესთეტიკურ გრძნობას გაიწაფავდა, რის გარეშეც საქმიანობაში სრულყოფილებას ვერავინ მიაღწევს. და ამიტომ, – არ მსურს ადამიანის ღირსება მხოლოდ მისი პროფესიული ავკარგიანობით განვსაჯო, – ვიტყვი, რომ იოსებს, ახალგაზრდობის მიუხედავად, ნაზარეთში მართალ და ღვთისმოშიშ კაცად იცნობდნენ, პატიოსნად და გულმოდგინედ რომ ასრულებდა ყველა წესს, და თუკი ღმერთმა მჭევრმეტყველების ნიჭით დიდად არ გამოარჩია, სამაგიეროდ მუდამ საღად მსჯელობდა, ზუსტ და დროულ შენიშვნებს აკეთებდა, მით უმეტეს, თუკი საუბარი მის ხელობასთან დაკავშირებულ რაიმე შედარებას ან განსაზღვრებას მოითხოვდა, მაგალითად, თუ რარიგ კარგადაა გამოთლილი და გაშალაშინებული ქვეყნიერება. მაგრამ რადგანაც იოსები ჭეშმარიტად ფრთიან შემოქმედებით წარმოსახვას მოკლებული იყო, არც არასოდეს უთქვამს რაიმე ისეთი, ნაზარეთელებს რომ დამახსოვრებოდათ, შვილებსა და შვილიშვილებს რომ გადაეცემოდა; არ წარმოუთქვამს არც ერთი ფრთიანი წინადადება, რომლის აზრიც, სიტყვის სამო-

სელში გახვეული, იმდენად ნათელი იქნებოდა, რომ მომავალ განმმარტებელთა გარეშეც იოლას გავიდოდა, ანდა პირიქით, იმდენად ბნელი და ბუნდოვანი ყოფილიყო, რომ ჩვენს დროებაში სხვადასხვა ჯურის ერუდიტთა საკბილოდ გამომდგარიყო. რაც შეეხება მარიამის ნიჭებსა და ტალანტებს, დიდი სურვილის მიუხედავად, არ ხერხდება რაიმე განსაკუთრებულის აღმოჩენა თექვსმეტი წლის უკვე გათხოვილი ნაზი გოგონას არსებაში, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ქვეყანაში ყოველ თორმეტ ქალზე ცამეტი მისნაირი რომ მოდის. თუმცა, მარიამი, სინაზის მიუხედავად, ყოველი ქალის მსგავსად, შრომობს – ქსოვს, ართავს, კერავს, ყოველ ცისმარე დღეს პურს აცხობს კერიაზე, წყაროზე ჩადის და მერე ვიწრო ბილიკს ამოუყვება ხოლმე თავზე შემოდგმული მძიმე კოკით, საღამოს იმავე ბილიკით ფიჩხზე მიდის, გზადაგზა კალათას ავსებს გამხმარი ნაკელით, ნარშავისა და კვრინჩხის ეკლებით, რაც ასე უხვად იპოვება ნაზარეთის ფრიალო ფერდობებზე, რამეთუ უფალს უკეთესი არაფერი შეუქმნია კერიის გასაჩაღებლად თუ გვირგვინის დასაწნავად. მარიამი ფეხშიშველი დადის წყაროზეც, ყანაშიც და მისი კონკები ყოველდღიურ გარჯაში კიდევ უფრო ისვრება და იხევა, ჰოდა, კემსავს და კემსავს, აკერებს და რეცხავს. ზრუნვა და შეძენა ქმრების არჩივია, მარიამი კი ყველა აქაური ქალის მსგავსად, მცირედითაც კმაყოფილდება. სინაგოგაში შესვლის უფლებაც მხოლოდ გვერდითა კარიდან

აქვს, როგორც კანონით ქალებისთვისაა დაწესებული, და ოცდაათნიც რომ შეიკრიბონ, ეგ კი არა, მთელი ნაზარეთის ქალებიც რომ შეგროვდნენ, მაინც ცდა მოუწევთ, სანამ სულ ცოტა ათი მამაკაცი მაინც არ მობრძანდება, მერეღა დაიწყება ღვთისმსახურება, რომელშიც მათ – ქალებს – მხოლოდ უსიტყვოდ, მაყურებლის რანგში შეუძლიათ მონაწილეობა. მარიამი ღვთისმოსაობითა და მადლით იოსებთან რას მივა! იმიტომ კი არა, რომ უზნეობა რამ ახასიათებს, უბრალოდ, საქმე სიტყვებს ეხება, რომლებიც მამაკაცების მოგონილია და მათზეა მორგებული, ასე რომ, თუმცა ამ სიტყვებს მდედრობითი გვარიც გააჩნია, ამ გვარით იშვიათად თუ იხმარება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, იმ დაუვიწყარი დილიდან, ცა რომ არნახულად ლილისფერი ღრუბლებით აივსო, დაახლოებით ოთხ კვირაში, საღამო ხანს იოსები შინ იატაკზე იჯდა, ვახ-

შმობდა და, როგორც იმხანად იყო მიღებული, ჯამში ხუთივე თითს ავლებდა, მარიამი კი იდგა და მის დანაყრებას ელოდა, რათა ნარჩენები მოეთავებინა, და ორივე დუმდა, ერთს არაფერი ჰქონდა სათქმელი, მეორემ კი არ იცოდა, გონებაში მოციმციმე აზრები სიტყვებად როგორ უნდა ექცია; და აი, სწორედ ამ დროს ჭიშკარზე ერთმა იმ გლახაკთაგანმა მოაკაკუნა, ნაზარეთში რომ დიდ იშვიათობად ითვლებოდნენ; რამეთუ ეს მხარე ხომ თვით იყო დაგლახავებული, აქაურები კი ისე მომჭირნედ და გაჭირვებით ცხოვრობდნენ, რომ ამის გაუთვალისწინებლობა მრავალჭირგამოვლილ და საზრიან მათხოვრებს არ წაადგებოდათ, რადგან ალბათობის თეორიის მომარჯვებით უტყუარად დაედგინათ, რომ ნაზარეველებს ბევრს ვერაფერს გამორჩებოდნენ. თუმცა, მარიამმა გულუხვად გაავსო თასი ბარდითა და ხახვით შენელებული ოსპის წვნიანით, რომელიც იმ დღეს ვახშმად მოამზადა და გლახაკს გაუტანა, ისიც ეზოში შემოუსვლელად, ჭიშკართან მიწაზე დაჯდა და ჭამას შეუდგა. ქმრისთვის ნებართვის კითხვა საჭირო არ იყო, იგი თავის დაქნევას ან გაქნევას სჯერდებოდა, რამეთუ, როგორც ვიცით, კეისრების ეპოქაში სიტყვებს ნაკლებად იყენებდნენ და ცერის ერთი მოძრაობაც კი კმაროდა გლადიატორის გადასარჩენად ან მოსაკლავად. მათხოვარი, რომელსაც უეჭველია სამი დღე მაინც იქნებოდა, რაც არ ეჭამა, – ჭეშმარიტად დამშეული უნდა იყო, რომ იმხელა თასი თვალის დახამხამებაში არათუ გამოსცალო, არამედ გამოლოკო კიდეც, – ისევ ჭიშკარზე აკაკუნებდა ჭურჭლის დასაბრუნებლად და მადლობის სათქმელად. მარიამმა გაუღო: გლახაკი მის წინაშე იდგა. მოულოდნელად ვეება ტანისა აღმოჩნდა, ბევრად დიდი, ვიდრე თავიდან ეჩვენა, ეგებ იმიტომ, რომ მაშინ მშიერი იყო, ახლა კი – მაძღარი, – და სახეც შინაგანი ნათელით გაბრწყინებოდა, თვალები უელავდა, საიდანღაც ამოვარდნილ ნიავს კი მისი ძონძები ისე გამოებერა და აეფრიალებინა, რომ დაბინდულმა მზერამ უეცრად მდიდრულ და დიდებულ სამოსად აღიქვა, რაც ძნელი დასაჯერებელია, თუ ასეთი რამ საკუთარი თვალით არ გინახავს. მარიამმა ხელი გაიწოდა თასის ჩამოსართმევად, ის კი გარდატეხილი მზის სხივების ახირებულ თამაშში ისე აბრწყინდა, როგორც ბაჯაღლო ოქრო და სწორედ იმწამს, როცა თასი ხელიდან ხელში გადადიოდა, უეცრად დაიჭექა ბუკის მსგავსმა ბოხმა,

ძლიერმა ხმამ, რომელიც კაცმა არ იცის, საცოდავ გლახაკს საიდან და როგორ ამოუვიდა: ღმერთმა გაკურთხოს, სძალო, შვილები მოგცეს და აშოროს იმგვარი ბედი, შენ წინაშე მდგომს რომ ერგო, სიმწარით სავსე, მიუსაფარი. მარიამს ჯერაც ხელში ეჭირა თასი, გეგონებოდათ, გლახაკისგან მოწყალებას იქით ელოდებაო და იმანაც, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩაიმუხლა, ერთი პეშვი მიწა აიღო, თასს ზემოთ ხელი გაიწოდა და მიწა თითებშორის ჩამოაბნია, მერე ყრუდ და მკვეთრად წარმოთქვა: თიხა თიხისკენ, ნეშტი ნეშტისკენ, მიწა მიწისკენ. ყოველივეს, რასაც საწყისი აქვს, დასასრულიც მოეპოვება და რაც დაიბადება, დასრულებულისგან დაიბადება. შეცბუნებულმა მარიამმა

ჰკითხა: რას ნიშნავს ეს სიტყვები? მათხოვარმა კი მიუგო: სძალო, შენს წიაღში ძეს ატარებ, ესაა ადამიანთა ხვედრი – დაიწყონ და დაასრულონ, დაასრულონ და დაიწყონ. საიდან შეიტყვე, რომ ფეხმძიმედ ვარ? შენი წიაღი ჯერ არ გამობერილა, მაგრამ როცა შვილი უკვე ჩასახულია, დედის თვალები განსაკუთრებით ელვარებენ. მაშინ ჯერ ქმარს უნდა დაენახა ჩემს თვალებში, თუკი რომ დამაორსულა. ეგებ ერთმანეთს თვალებში არ უყურებთ. მითხარი, ვინ ხარ, უკითხავად რომ იცი ყველაფერი? ანგელოზი ვარ, ოღონდ არავის უთხრა. იმწამსვე მბრწყინავი სამოსი კვლავ ძონძებად იქცა, გოლიათური ფიგურა კი მოიმჩვარა და ჩამოხმა, თითქოს ცეცხლის ალზე შეიტრუსაო და ძალიანაც დროულად მოხდა ეს გარდაქმნა, ზუსტად მაშინ, როცა მარიამი და მათხოვარი კეთილგონივრულად მოშორდნენ ერთმანეთს, რამეთუ კარში ასე ხმადაბალი და ყრუ საუბრით დაინტერესებული, – ბევრად ხმადაბლით, ვიდრე დიასახლისსა და მოწყალების მთხოვნელ გლახაკს შორის შეიძლებოდა გამართულიყო – იოსები გამოჩნდა, შეშფოთებული, რას ლაპარაკობენ ამდენსო. კიდევ რაღა უნდოდა შენგან? – ჰკითხა ცოლს, მან კი აღარ იცოდა, რა ეთქვა, და გლახაკის სიტყვები გაიმეორა: თიხა თიხისკენ, ნეშტი ნეშტისკენ, მიწა მიწისკენ. ყოველივეს, რასაც საწყისი აქვს, დასასრულიც მოეპოვება და რაც დაიბადება, დასრულებულისგან დაიბადება. იმან გითხრა? ჰო, იმან. კიდევ მითხრა, დაუბადებელი, მაგრამ ჩასახული ბავშვი ქალის თვალებს განსაკუთრებით აელვარებსო. აბა, შემომხედე. აჰა. მართლა უცნაურად გიელავს თვალები, თქვა იოსებმა.

მარიამმა კი მიუგო: ვაჟიშვილი გეყოლება. ამასობაში ბინდბუნდ ზეცას შეღამების პირველ ნიშნად ლურჯი დაედო და თიხის თასიდან ამოსულმა შავმა შუქმა მარიამის სახეზე ჩრდილები დაფინა, თითქოს ეს თვალები ვიღაც უფრო ხნიერი ქალისა ყოფილიყო. მაშ ორსულად ხარ? – ჰკითხა ბოლოს იოსებმა. ვარ, უპასუხა მან. აქამდე რატომ არ მითხარი? სწორედ დღეს ვაპირებდი, მინდოდა, ჯერ გევახშმა. და ამ დროს ეს მაწანწალაც მოგვადგა, არა? ჰო. კიდევ რა გითხრა, რაღაც ძალიან დიდხანს ლაპარაკობდით. მითხრა, უფალი იმდენ შვილს მოგცემს, რამდენიც შენს ქმარს ენდომებაო. მაგ თასში რაღაა, ასე რომ ბრჭყვიალებს? მიწაა. მიწა შავია, თიხა – მწვანე, ქვიშა – თეთრი და ბრჭყვიალიც მხოლოდ ქვიშამ იცის მზეზე, მაგრამ ახლა ღამეა. მე ხო ქალი ვარ, მე ასეთების არაფერი გამეგება. იმ კაცმა მიწა აიღო, თასში ჩამიყარა და ის სიტყვები მითხრა. მიწა მიწისკენ? ჰო. იოსებმა ბჭე გამოაღო და გარეთ გაიხედა, ორთავ მხარეს. არავინაა, გაქრა, თქვა მან, მაგრამ მარიამი ამასობაში წყნარად გაბრუნდა სახლისკენ, რამეთუ იცოდა, რომ იმ გლახაკს, თუ მან თავის თავზე მართალი თქვა, თუ უნდოდა, დაგენახვებოდა და თუ უნდოდა, უხილავი შეიქნებოდა. თასი კიბის საფეხურზე დადო, ნახშირი აიღო და სანთური დაანთო, მანამ უბერა, სანამ პატრუქი არ აალდა. იოსები შეფიქრიანებული და გაოცებული შემოვიდა, თუმცა დაბნეულობის დაფარვას აუჩქარებელი მიხრა-მოხრითა და ბრექით ცდილობდა, რაც მეტად უადგილოდ და სასაცილოდ გამოსდიოდა, რამეთუ ყმაწვილკაცს, პოეტის თქმისა არ იყოს, პატრიარქობამდე ბევრი აკლდა. ცოლს რომ არ შეენიშნა, ფრთხილად გააპარა თვალი თასისკენ, რომელშიც ის უცნაურად მანათობელი მიწა ეყარა, თან ცდილობდა, სახეზე დამცინავი იერი სდებოდა, მაგრამ ამაოდ; მარიამს მზერა დაეხარა და საერთოდაც, თითქოს სხვაგან იყო. იოსებმა მცირედ დააყოვნა და მერე მიწიანი თასი შეანჯღრია. გაოცდა, რადგან მიწა ერთი კი ჩამუქდა, მაგრამ წამსვე კვლავ მკრთალად, თანაბრად აელვარდა და ზედაპირზე კვლავ აციმციმდნენ, ათამაშდნენ ცქვიტი ნაპერწკლები. ვერაფერი გამიგია, თქვა მან, რაღაც არ ჰგავს სუფთა საქმეს – ეგება, რაღაც განსაკუთრებული მიწაა, ჩუმად მოიტანა და ვითომ აქ აიღო, სასწაულია პირდაპირ, ნაზარეთის მიწა ასე

არ ბრჭყვინავს და ეს ყველამ კარგად იცის. მარიამი არ პასუხობდა – ქვაბში ჩარჩენილი ბარდითა და ხახვით

შენელებული ოსპის წვნიანი მოამთავრა და ახლა ზეითუნის ზეთში ჩამბალ პურის ნატეხს ციცქნიდა. ყუა მოატეხა და, კანონის თანახმად, ქალურად, მორჩილი ტონით წარმოთქვა: გმადლობ, უფალო, რომ მიწიდან ეს თავთავი აღმოაცენე. შემდეგ უსიტყვოდ განაგრძო ჭამა, ხოლო იოსები პირველად ჩაუკვირდა ცოლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომლებსაც თვითონაც მუდამ იმეორებდა პურის გატეხისას, ჩაუკვირდა და ჩაფიქრდა, თითქოს სინაგოგაში თორას ფრაზას ან წინასწარმეტყველის გამონათქვამს განმარტავსო, სცადა წარმოედგინა, რანაირ ქერს აღმოაცენებდა აი, ასეთი ბრჭყვიალა მიწა და რა დაემართებოდა ასეთი პურის მჭამელს. დარწმუნებული ხარ, რომ ეს მიწა აქ აიღო? – კვლავ მიუბრუნდა იგი მარიამს და მარიამმა მიუგო: ჰო, დარწმუნებული ვარ. და არ ბრწყინავდა? ძირს არ ბრწყინავდა. ეს იმგვარი დაბეჯითებით თქვა, რომ წესით, უნდა შეერყია ყოველი მამაკაცის სისხლში გამჯდარი უნდობლობა ქალების, და მით უმეტეს, საკუთარი კანონიერი მეუღლეების სიტყვებისა და საქციელის მიმართ, მაგრამ იოსები, როგორც იმ დროსა და იმ მხარეში მცხოვრები ნებისმიერი კაცი, სულითა და გულით იზიარებდა აზრს, რომ თითქოს მით უფრო ბრძენი ხარ, რაც უფრო უკეთ დაიცავ თავს დედაკაცის ხიბლისა და ფანდებისაგან. ქალს ნაკლები უნდა ელაპარაკო და კიდევ უფრო ნაკლებად უნდა უსმინო – გონიერი კაცი ამ წესს უნდა მისდევდეს, აკი ამბობს რაბი იოსაფათ ბენ იოქანაანი: სიკვდილის ჟამს აიწონება ყოველი შენი საუბარი, რაიც ყოველგვარი საჭიროების გარეშე გაგიბამს შენს ცოლთანო. ჰოდა, იოსებმაც თავის თავს ჰკითხა, მარიამთან ეს საუბარი არასაჭირო საუბართა კატეგორიას ხომ არ მიეკუთვნებაო, თუმცა იქვე დაასკვნა, არაო, რადგან ამ შემთხვევაში საქმის განსაკუთრებულობა იყო გასათვალისწინებელი. მაინც გულში პირობა დადო, ჩემი სეხნიის დარიგებას, – აკი იოსაფათი და იოსები ერთი და იგივეა, – არასოდეს დავივიწყებ, რათა მერე სინანული სიკვდილის ჟამს გვიანი არ აღმოჩნდესო, და ღმერთმა ქნას, ეს ჟამი მალე არ დამიდგებოდესო. ბოლოს ისევ თავის თავს ჰკითხა, ნეტავ თუ ღირს ამ იდუმალ მათხოვარსა და მანათობელი მიწის პეშვზე სინაგოგის უხუცე-

სებს რომ ვუამბოო, და გადაწყვიტა, კი, ღირსო; იმიტომ, რომ სინდისი სუფთა მქონდეს და იმიტომაც, რომ ჩემი ოჯახური კერისა და ქვეყნიერების სიწმინდე დავიცვაო. მარიამმა ვახშმობა მოათავა. გასარეცხი ჭურჭელი ააკოკოლავა, მაგრამ, ცხადია, ის თასი, მაწანწალას რომ მიაწოდა, გვერდზე გადადგა. ოთახს ახლა ორგვარი შუქი ანათებდა, ჭრაქიც ენთო, ძლივძლივობით რომ უმკლავდებოდა სწრაფად ჩამომდგარი ღამის წყვდიადს და თასიდანაც ამოდიოდა იმ პეშვი მიწის თანაბრად გაფანტული ნათება, თითქოს მზეს ცაზე ამოსვლა ვერა და ვერ გადაუწყვეტიაო. მარიამი იატაკზე იჯდა და უცდიდა, ეგება რაიმე კიდევ მითხრასო, მაგრამ იოსებს, ეტყობა, სათქმელი არაფერი ჰქონდა, რადგანაც უხუცესთა და ბრძენთა წინაშე წარმოსათქმელ სახვალიო სიტყვაზე ფიქრობდა. სამწუხაროაო, ზუსტად რომ არ ვიციო, რა მოხდა იმ მაწანწალასა და მარიამს შორისო, კიდევ რა უთხრეს ერთმანეთსო, მაგრამ გამოკითხვა არ სურდა და აი, რატომ: ჯერ ერთი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მარიამმა, რაც უკვე უთხრა, იმას კიდევ რაიმე დაუმატოს, თანაც კიდევ, ცოლის ორჯერ მონაყოლი უნდა დაეჯერებინა, ანუ ჭეშმარიტებად ეღიარებინა. თუ ქალი ცრუობს, იოსები ტყუილში მაინც ვერ გამოიჭერს, ქალი კი, თუ ეცოდინება რომ გააცურა და ახლაც აცურებს, საბანქვეშ სახეს დამალავს და დასცინებს, ისე, როგორც ეტყობა ევა დასცინოდა ადამს, თუმცა ევას უფრო რთულად ჰქონდა საქმე, რადგან იმ დროს საბნები არ ჰქონდათ და აბა, სახეს როგორღა დამალავდა. ამ წერტილამდე მისულმა იოსების ფიქრმა ბუნებრივი და გარდაუვალი გზით განაგრძო წინსვლა, და იდუმალი მაწანწალა მაცდურის მოციქულად წარმოიდგინა, რომელიც არც ისე მიამიტია, რომ ვერ ხვდებოდეს – ახლა სხვა დროა და თანამედროვე ადამიანს ისე იოლად ვერ

შეაცდენს, როგორც წინათ, და ამიტომ აკრძალული ხილის თავისი ძველი ოინი კი აღარ გამოიყენა, არამედ იოლად დასაყოლიებელი და, ფლიდი ქალური ბუნების გათვალისწინებით, ახალი ხრიკი მოიგონა – ამ უცნაური მანათობელი მიწით. იოსების გონებაში ხანძარი გიზგიზებდა, მაგრამ ამასთანავე, კმაყოფილიც იყო საკუთარი მსჯელობით. მარიამი ეჭვადაც ვერ წარმოიდგენდა, რა შორს შეჭრილიყო მისი მეუღლე დემონოლოგიის სიღრმეში, და ვერც იმას, თუ რა მძიმე პასუხისმგებლო-

ბის დაკისრებას უპირებდა. მარიამი ცდილობდა, რამენაირად ის სიცარიელე გაეაზრებინა, იმ წუთიდან რომ გრძნობდა, რა წუთსაც იოსებს თავისი ფეხმძიმობის ამბავი გაანდო. სიცარიელეს ტანშიგნით კი არ გრძნობდა, რადგან ახლა სრული გარდაუვალობით შეეგნო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით სავსე რომ ჰქონდა სხეული, არამედ საკუთარი არსების გარეთ, გარემომცველ სამყაროს ატყობდა რაღაც უცნაურობას, თითქოს ქვეყნიერება საცაა უნდა ჩაბნელებულიყო და სადღაც შორეთში დაკარგულიყო. გეგონება, რაღაც სხვა ცხოვრებას იხსენებსო, ისე ფიქრობდა, რომ ნავახშმევს ლოგინის დაგებამდე ყოველთვის გამოუჩნდებოდა ხოლმე რაიმე საოჯახო საქმე, მაგრამ ახლა ეგება ჩემთვის თითის განძრევაც აღარ შეიძლებაო, იატაკიდან წამოდგომაც კიო – იჯექი, როგორც ზიხარ, უცქირე თასიდან ამოციმციმებულ ნათელს და ელოდე ვაჟიშვილის დაბადებასო. ჭეშმარიტებას თუ პატივს ვცემთ, უნდა ვთქვათ, რომ მარიამის აზრები ასე მკაფიო და ნათელი როდი იყო, რამეთუ აზრები ყველაზე მეტად აბურდულ გორგალსა ჰგვანან, ყოველი მხრიდან ძაფები რომ ამოსჩრია, ზოგი იოლად ამოგყვება და ზოგი, პირიქით, ისეა განასკვული, მოქაჩავ და ეგებ სუნთქვაც კი შეგეკრას და უნებლიეთ გაიგუდო კიდეც, მაგრამ ამ სამმაგად დახვეული და აბლანდული ძაფის სრული სიგრძე რომ გაზომო, ჯერ მთელი გორგალი უნდა გამობლანდო, ამას კი მარტო, სხვის დაუხმარებლად, ძალიანაც რომ მოინდომოს, მაინც ვერავინ მოახერხებს, ერთ მშვენიერ დღეს უნდა მოვიდეს ვინმე და გითხრას, რომელ წერტილში უნდა გაიჭრას კვანძი და აზრი მის წარმომშობ მიზეზს გადააბას. მეორე დილას იოსები, რომელსაც მთელი ღამე ერთი და იგივე კოშმარი ტანჯავდა, – თითქოს უშველებელი გადაბრუნებული თასის ფსკერზე ეცემოდა, – სინაგოგისკენ გაემართა, უხუცესთათვის რჩევისა და დახმარების სათხოვნელად. მისი ამბავი ისეთი უჩვეულო იყო, ისეთი, რომ თვითონაც ვერ ხვდებოდა, მაინც როგორი „ისეთი უჩვეულო“, რადგან, როგორც მოგვეხსენება, მან მთავარი არ იცოდა, მომხდარის არსი, და რომ არა მისი უმწიკვლო რეპუტაცია, რომლითაც ნაზარეთის უხუცესთა და პატივცემულ მოქალაქეთა შორის სარგებლობდა, უსათუოდ მოუწევდა იქიდან გამობუნძულება, თანაც სირბილით, და სირცხვილით ახურებულ ყურებში წმიდა წერი-

ლის სიტყვები ჩაესმებოდა: „გულუბრყვილობა გაკიცხვას იმსახურებს!“ ის კი, მხნეობას ვერ მოიკრებდა, და საკუთარი სიზმრის გახსენებაზე, მთელი ღამე რომ ტანჯავდა, იმავე წერილის სიტყვებითვე ვერ უპასუხებდა: „სარკე და სიზმარი ერთარსია, ერთშიც და მეორეშიც კაცი თავის სახებას ხედავს“. მაგრამ უხუცესებმა მის მონათხრობს რომ მოუსმინეს, ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე იოსებს შეაცქერდნენ და მათ შორის უხნესმა უნდობლობის ბუნდოვანება შეკითხვის პირდაპირობად გარდაქმნა: რაც შენ გვიამბე, სიმართლეა, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე? დურგალმა კი მიუგო: ღმერთია მოწმე, რომ სიმართლეა, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. უხუცესები ბჭობას შეუდგნენ და დიდხანს ითათბირეს, იოსები კი გვერდზე გამდგარიყო. მერე მოუხმეს და გამოუცხადეს, რომ, რამეთუ ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნა, გადავწყვიტეთ, სამი წარმომადგენელი წარმოვაგზავნოთ ამ უჩვეულო ამბის შესახებ მარიამის გამოსაკითხად და გამოვარკვიოთ, მაინც ვინ იყო ის მაწანწალა მათხოვარი, რომელიც

სხვას არვის უნახავს, როგორ გამოიყურება, კერძოდ რა თქვა, სხვა დროსაც თუ გამოჩენილა ნაზარეთში და გზადაგზა მეზობლებთანაც გავარკვიოთ ყოველივე, რასაც ამ საიდუმლოებით მოცულ ადამიანთან შესაძლო კავშირი შეიძლება ჰქონდესო. იოსებს გულზე მოეშვა, ვინაიდან, მართალია, თავის თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ ერთობ უმძიმდა იმის წარმოდგენაც კი, რომ შინ, ცოლთან მარტო უნდა დაბრუნებულიყო – ამ ერთ დღე-ღამეში მარიამი ძალიან შეიცვალა: თუმცა, როგორც წესი და პატიოსნება მოითხოვდა, თვალები ერთთავად დაბლა ჰქონდა დახრილი, მაგრამ სახეში ამასთანავე რაღაც სიახლესაც ატყობდა იოსები, რაღაც დაუფარავად გამომწვევს, – ასეთი გამომეტყველება მას სჩვევია, ვინც იმაზე მეტი იცის, ვიდრე აპირებს თქვას, თუმცა კი სურს, რომ მისი ცოდნის შესახებ ყველამ შეიტყოს. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, უსაზღვროა ქალის ეშმაკობა, მაშინაც კი, როცა კეთილი ზრახვა ამოძრავებს. მოკლედ, იოსების მეგზურობით სამნი გამოემართნენ. სახელნი მათნი – აბიათარი, დოთაიმი და ზაქე – აქ უცილობლად უნდა დაფიქსირდეს, რათა ისტორიული არაკეთილსინდისიერების მცირედი ჩრდილიც არ მოვფინოთ ამ ჩვენს მონათხრობს, რამეთუ მსგავსი ეჭვი

შეიძლება გაუჩნდეთ ადამიანებს, თუ ინფორმაციას ამ ფაქტებისა და ვერსიების შესახებ სხვა წყაროებით მიიღებენ, ტრადიციებით ეგებ უფრორე მადლმოსილით, მაგრამ სულაც არა უფრო სარწმუნოთი, ვიდრე ჩვენია. ხოლო რაღაი მივლინებულთა სახელები ჩამოვთვალეთ, ამით თვით იმათი არსებობის ფაქტი დავადასტურეთ, ვისაც ეს სახელები ერქვა, რითაც დაეჭვებას ნიადაგი თუ ვერ გამოვაცალეთ, ყოველ შემთხვევაში, შევასუსტეთ მაინც. და ვინაიდან ქუჩად მავალი სამი ბრძენი უხუცესის წვერებს ყოველდღიურად როდი წეწავს ქარი და კაცმა რომ თქვას, არც მათ ქლამიდებსაც აფრიალებს, და სამივეს იოლად რომ იცნობთ მტკიცე ნაბიჯისა და წარმოსადეგი გარეგნობის წყალობით, ამ მიზეზთა გამო მათ ირგვლივ ბიჭუნების მთელი ჯგრო შემოიკრიბა, მცირეწლოვნობის გამო საპატიო უპატივცემულობით რომ ხითხითებდნენ, ყაყანებდნენ და მთლად იოსების სახლამდე კვალში სდევდნენ, იოსები კი გულზე სკდებოდა იმის გამო, უხუცესთა მასთან სტუმრობის ამბავი ამ მსვლელობის თანმხლები ხმაურისა და ჯაჯღანის გამოისობით მთელმა ნაზარეთმა რომ შეიტყო. გაგულისყურებული ქალები პარმაღებზე გამოდიოდნენ და ცნობისწადილით ატანილნი ბავშვებს ავალებდნენ, მარიამის სახლისკენ გაიქეცით და გაიგეთ, რა ამბავია იქაო. ამაოდ დაშვრნენ – სახლში მხოლოდ მასპინძელი და სამი უხუცესი შევიდა და ცნობისმოყვარე მეზობელი ქალების ცხვირწინ მოხურულმა კარმა მყის გამოუცნობი გახადა, რა ხდებოდა დურგალ იოსების ოჯახში. ხოლო დაუკმაყოფილებელმა ცნობისმოყვარეობამ წარმოსახვა აამოქმედა და მაწანწალა, რომელიც ჯერ არავის ენახა, ქურდად და მძარცველად გადაიქცა, რაც სრული ცილისწამება გახლდათ, რამეთუ ანგელოზს, – გთხოვთ, არავის უთხრათ, მართლაც ანგელოზი რომ იყო, – არაფერიც არ მოუპარავს, არამედ ის შეჭამა, რაც მისცეს და ზებუნებრივი საფასურიც აქეთ დატოვა. ასე რომ, სანამ ორი უხუცესი მარიამს შეკითხვებს უსვამდა, მესამემ – ასაკით მათზე ცოტა ნაკლებ დამძიმებულმა, სახელად ზაქემ, – მეზობლებს ჩამოუარა იმ მაწანწალის შესახებ ცნობების შესაგროვებლად, რომლის გარეგნობაც დურგლის ცოლმა აღწერა, მაგრამ ზაქეს ხელი მოეცარა, რადგან ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ გუშინ არანაირ მაწანწალას ქალაქში არ ჩამოუვლია, და რომც ჩამოევლო, არავის მისდგომია

კარზე, და საერთოდაც, ეტყობა, ქურდი იყო, რომელიც, თუ დაინახავდა, სახლში ხალხიაო, თავს მათხოვრად გაასაღებდა, რათა შარში არ გახვეულიყო – ეს ხომ ათა-ბაბადან ქურდების ნაცადი ხრიკია. ჰოდა, ზაქეც გაწბილებული დაუბრუნდა მარიამის სახლს, სწორედ მაშინ, როცა ქალი მესამედ თუ მეოთხედ ჰყვებოდა იმას, რაც ჩვენ უკვე კარგად ვიცით.

ბრალდებულივით იდგა უხუცესების წინაშე, იატაკზე კი, თასში, გულივით რიტმულად ფეთქავდა ერთი პეშვი იდუმალი მიწის ნათელი. იოსები ცოლის გვერდით იჯდა, უხუცესები კი – მათ პირისპირ, მოსამართლეებივით და პირველი დოთაიმი ალაპარაკდა, ასაკით საშუალო. გაგვიგე, ქალო, განა შენი სიტყვების არა გვჯერა, მაგრამ ერთადერთი ხარ, ვინც ის კაცი ნახა, თუ კაცი იყო საერთოდაც, და შენს ქმარს მხოლოდ ხმა მოესმა მისი, ზაქემ კი აგერ მეზობლები დაიარა და ამბობს, არავის თვალითაც არ უნახავსო. ღმერთია მოწმე, სიმართლე გითხარით. სიმართლე კი გვითხარი, მაგრამ სრულად თუ გვითხარი და ყველაფერი მართლად თუ გვითხარი? თუ გნებავთ, გამომცადეთ, მწარე წყალს დავლევ ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. მწარე წყალს ქმრის ღალატში ეჭვმიტანილ ქალებს ასმევენ, შენ კი, მარიამ, ამის სამყოფი დრო არ გქონდა. ჰო, მაგრამ ხომ ამბობენ, სიცრუეც ღალატიაო. ეგ სხვა ღალატია. ჩემი ბაგეები ჩემსავით უღალატოა. ახლა აბიათარი ალაპარაკდა, უხუცესი უხუცესთა შორის: მეტს აღარაფერს გკითხავთ, მაგრამ იცოდე, ღმერთი შვიდგზის მოგმადლის სიმართლისათვის და შვიდგზის პასუხს მოგთხოვს, თუ მოგვატყუე. აბიათარი გაჩუმდა და დიდხანს დუმდა, მერე კი თანამგზავრებს მიუბრუნდა და ჰკითხა: ამ მბრწყინავ მიწას რაღა ვუყოთ? უმჯობესია, აქ ნუ დავტოვებთ, რამეთუ შესაძლოა, რომ ეს ყოველივე უწმინდურის ოინი იყოს. და თქვა დოთაიმმა: იქ დაბრუნდეს, სადაც აიღეს და კვლავ გამუქდება. და თქვა ზაქემ: არ ვიცით, ვინ იყო ის მაწანწალა, რად არ ისურვა, რომ ვინმეს დანახვებოდა, არც ის ვიცით, რატომ ანათებს თასში ჩაყრილი ეს ერთი პეშვი მიწა. და თქვა დოთაიმმა: წავიღოთ უდაბნოში, შორს, რომ ყველას თვალს მიეფაროს, დაე, ქარმა გაფანტოს და წვიმამ ჩაუქროს ნათება. და თქვა ზაქემ: თუ ამ მიწას სიკეთე მოაქვს, ნურსადაც ნუ წავიღებთ, ხოლო თუ ბოროტებაა, მაშინ დაე, მხოლოდ ის დაზიანდეს, ვინც საამისოდ არჩეულ და განკუთვნილ

იქმნა, ანუ ვისაც ეს მიწა მოუტანეს. და იკითხა მაშინ აბიათარმა: რას გვთავაზობ? და მიუგო ზაქემ: ამოვთხაროთ აქ ორმო და ეს თასი შიგ ჩავმარხოთ, ოღონდაც ჯერ თავი დავახუროთ, რომ ეს მიწა ჩვეულებრივს არ შეერიოს: სიკეთე არც დამარხული დაიკარგება, ხოლო სიავე თვალს რომ მივაფაროთ, ეგეც საქმეა. და იკითხა აბიათარმა: რას ფიქრობ შენ ამის შესახებ, დოთაიმ? და მიუგო დოთაიმმა: ზაქე მართალია, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. და უთხრა აბიათარმა მარიამს: გაგვერიდე, უნდა დავიწყოთ. სად წავიდე? – იკითხა ქალმა. იოსები, უეცრად შემკრთალი, საუბარში ჩაერია: თუ მიწაში ჩაფლაზე მიდგა საქმე, აქ ნუ იზამთ, ეზოში აჯობებს, თორემ ვეღარასდროს დავიძინებ, თუკი მეცოდინება, რომ ჩემ ქვეშ სინათლეა დამარხული. და უთხრა იოსებს აბიათარმა: იყოს ეგრე. – და მარიამს: შენ აქ დარჩი. კაცები ეზოში გავიდნენ, ზაქეს თასი მიჰქონდა. ჯერ თოხის ხშირი და გამოზომილი დარტყმები გაისმა – იოსები მიწას თხრიდა, ხოლო ცოტა ხანში აბიათარის ხმაც: გეყოფა, უფრო ღრმად აღარ გინდა. კარზე სახემიყრდნობილი მარიამი ხედავდა: ქმარმა თიხის ქოთნის ნამსხვრევი თასს დაახურა და ორმოში ჩაუშვა, ლამის მხრამდე ჩაყო ხელი, მერე გასწორდა, კვლავ აიღო თოხი, ორმო ამოავსო და ირგვლივ მიწა მოუტკეპნა. ოთხივენი ეზოში იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ, თან ხშირ-ხშირად დაჰყურებდნენ სველი მიწის ლაქას, გეგონება, წუთის წინ განძი ჩამარხეს და ადგილის დახსომებას ლამობენო. ოღონდაც, ცხადია, სხვას ლაპარაკობდნენ, რადგან უეცრად დანარჩენთა ხმები ზაქემ გადაფარა და მის ხმაში დამცინავმა საყვედურმა გაიჟღერა: აბა, რა დურგალი ხარ, იოსებ, ფეხმძიმე ცოლისთვის საწოლი ვერ გაგიკეთებიაო. უხუცესები ახითხითდნენ და იოსებიც აჰყვა ერთგვარი ლიქნითა და შეცბუნებით, როგორც რომ კაცი, შეცდომაზე რომ მიუთითებენ და არ კი უნდა, გამოტყდეს. მარიამი ხედავდა, როგორ წავიდნენ ჭიშკრისკენ, გავიდნენ ქუჩაში, მერე კი კერიასთან

მიმჯდარმა ოთახს მოავლო თვალი, თითქოს ადგილს არჩევდა, საწოლი სად დავდგა, ქმარმა მართლა რომ გამიკეთოსო. არც იმ თიხის თასზე უნდოდა ეფიქრა, არც მანათობელ მიწაზე, არც იმაზე, გუშინ მართლა ანგელოზი ეწვია თუ ის მაწანწალა უბრალოდ გაეხუმრა. ქალი, რო-

მელსაც ჰპირდებიან, ოთახში საწოლს დაგიდგამთო, წესით, მხოლოდ იმას უნდა ფიქრობდეს, სად სჯობს, ეს საწოლი დავდგაო.

5* * *

როცა თამუზის თვემ ჩაიარა და აბის თვე დადგა, რთველი დაიწყო და ლეღვის ხეების მუქ მწვანეში მწიფობაშეპარულმა ნაყოფმა გამოანათა, ერთი სიტყვით, მაშინ, როცა ზემოაღწერილი ამბები მოხდა, ჩვეულებრივნიც და ყოფითნიც, – რამეთუ რა უნდა იყოს ქვეყნად უფრო ყოფითი და ჩვეულებრივი, ვიდრე რომ ხორციელი სიახლოვიდან გარკვეული დროის შემდეგ ცოლმა ქმარს უთხრას, ფეხმძიმედ ვარო, – და სრულიად გაუგონარნიც, რადგან უპოვარი მაწანწალა, თუნდაც შვიდი წყრთის სიმაღლისა იყოს, ვერ აუწყებდა ქალს ორსულობას, რომლის შესახებაც ჯერ თვითონ ქალმაც არ უწყოდა, მით უმეტეს, რომ თვით მაუწყებელს, დამერწმუნეთ, ამ ფეხმძიმობასთან არაფერი აკავშირებდა, მისი მონაწილეობა იმ ერთი პეშვი მიწის აუხსნელი ამბით შემოიფარგლა, თასიდან სინათლე რომ ამოაფრქვია და იოსების უნდო ხასიათისა და უხუცესთა ფრთხილი წინდახედულობის წყალობით თვალთაგან გარიდებული ღრმად დაიმარხა ეზოს წიაღში – მოკლედ, მცხუნვარე დღეები ერთმანეთს მისდევდა, გვალვა მინდვრებს აშიშვლებდა, გამხმარი ბალახი იმტვრეოდა და დღის მხუთავ საათებში მდუმარე და უკაცური ნაზარეთი ვარსკვლავიანი ღამის დადგომას ელოდა – ეგება გაეგონა, როგორ სუნთქავს სივრცე სიბნელეში, როგორ ჟღერს ციურ სფეროთა ჰანგები. ნავახშმევს იოსები ეზოში, კარის მარჯვნივ ჩამოჯდებოდა ხოლმე და საღამოს სიგრილის პირველი ამოსუნთქვით ტკბებოდა, წვერსა და სახეზე საამოდ რომ ეფერებოდა. მთლად რომ ჩამობნელდებოდა, ეზოში მარიამიც გამოვიდოდა, ისიც მიწაზე ჯდებოდა ქმარივით, ოღონდაც კარის მარცხენა მხარეს, და ისხდნენ ასე მდუმარედ, უსმენდნენ მეზობელი სახლებიდან გამომავალ ოჯახური ცხოვრების გუგუნსა და ხმიანობას, რასაც თვითონ, ჯერ უშვილონი, მოკლებულნი იყვნენ. ნეტავ ღმერთმა ბიჭი მოგვცესო, დღის განმავლობაში არაერთხელ გაიფიქრებდა ხოლმე იოსები და მარიამიც ამასვე ნატრობდა გულში: ნე-

ტავ ღმერთმა ბიჭი გვაჩუქოსო და ერთი და იგივე სურდათ, ოღონდაც სხვადასხვა მიზეზით. მარიამის წიაღი ნელ-ნელა იზრდებოდა, თვეები გავიდა, სანამ მისი მდგომარეობა სრულიად თვალნათელი გახდებოდა და ვინაიდან თავისი სიმორცხვისა და მოკრძალებული ზნის გამო მეზობლის ქალებთან ნაკლებად ურთიერთობდა, მისმა გამობერილმა მუცელმა იმგვარი გაოგნება გამოიწვია, გეგონება, დღისით-მზისით ხალხის თვალწინ ღამის პერანგით გამოსულიყო. შესაძლოა, რომ მის ამგვარ მორიდებულობას კიდევ ერთი, ბევრად უფრო საიდუმლო მიზეზიც ჰქონოდა, კერძოდ ის, რომ მარიამს არაფრის დიდებით არ სურდა, ვინმეს ეეჭვა ან ეგუმანა რაიმე კავშირი მის ფეხმძიმობასა და ნაზარეთში იმ იდუმალი მაწანწალას გამოჩენას შორის და ეს სიფრთხილე, ესოდენ უაზრო რომ გვეჩვენება, რაკიღა ვიცით, როგორ ხდება ხოლმე ასეთი ამბები და ისიც მშვენივრად მოგვეხსენება, სინამდვილეში როგორც მოხდა ყველაფერი, მარიამს ზოგჯერ აიძულებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხეული ითენთებოდა, ხოლო სული კი თავისუფალ და უცნაურ ოცნებას ეძლეოდა, თან თავის ვარაუდების უსაფუძვლობით დამფრთხალს და თან ჯერ არნახული გზნებით მთრთოლარეს საკუთარი თავისთვის ეკითხა: მართლაცდა ვინ არის ამ ბავშვის – აგერ უკვე რომ წამოზრდილა დედის გულის ქვეშ – ნამდვილი და ჭეშმარიტი მამა? სხვათა შორის, ცნობილია, რომ ორსული ქალები ხშირად არანაკლებ უაზრო ფანტაზიებს ეძლევიან ხოლმე, იმაზე უფრო მეტად წარმოუდგენელ და შეუძლებელ რამეებს მოისურვილებენ, ვიდრე ახლა მარიამი ისურვილებდა და რომლის შესახებაც ჩვენ, მომავალი

დედის კდემამოსილებას ლაქა რომ არ მოვცხოთ, უმჯობესია, აღარაფერი ვთქვათ. დრო კი გადიოდა და აბის თვე მალე მცხუნვარე ელულას თვემ შეცვალა, სამხრეთის უდაბნოდან მწველი ქარი მოქროლდა, ხოლო ფინიკი და ლეღვი თაფლივით ჩატკბა. მერე ელულა თიშრის თვემ ჩაანაცვლა, შემოდგომის პირველი წვიმებით დამბალმა მიწამ სახნისი და თესლი ჩაიწიაღა, თიშრის მერე კი ხეშვანის თვე მოვიდა, ზეთისხილის კრეფის ხანა, და იოსებმა, აქაოდა, აცივდაო, ტახტის გაკეთება გადაწყვიტა, რადგან ისეთი ნივთის შესაქმნელად, რაც საწოლის სახელს დაიმსახურებდა, სათანადო ოსტატობა არ გააჩნდა, ტახტზე კი მარიამი

ამდენხნიანი ლოდინის შემდეგ წამოწვებოდა და თავის მძიმე, მოუქნელ მუცელს მოასვენებდა. ყისლების თვის დასასრულს კოკისპირულმა წვიმებმა მოუხშირა და მთელი მომდევნო, თივეთის თვის განმავლობაში აღარ გადაუღია. ამის გამო იოსებს ტახტის კეთება სახლში მოუხდა. კარს გამოაღებდა, მეტი სინათლე რომ შესულიყო, და ხერხავდა, თლიდა, რანდავდა, აჭედებდა, უამრავ ნაფოტსა თუ ნახერხს ყრიდა, რასაც მარიამი მერე გვიდა, აგროვებდა და ეზოში გაჰქონდა. შვატის თვეც დადგა, ნუში აყვავდა და ადარის თვემაც რომ ჩაიარა ფურიმის დღესასწაულიანად, ამის მერე იყო, ნაზარეთში რომაელი ჯარისკაცები რომ გამოჩნდნენ, რა ხანია, მთელ გალილეაში ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ რომ დაიარებოდნენ – და არა მხოლოდ გალილეაში, ჰეროდეს სამეფოს სხვა ოლქებშიც – და ქვეყანას ამცნობდნენ, იმპერატორ ავგუსტუსის ბრძანებით, ყველა იმ პროვინციის მცხოვრებმა, რომელიც კონსულ პუბლიუს სულპიციუს კვირინუსს ექვემდებარება, უნდა გაიაროს აღწერა, რომლის მიზანიც, ისე როგორც უწინ, ახლაც ისაა, რომ რომისათვის გადასახადების გადამხდელთა სიები რეალობას შეესაბამებოდესო და ამისთვისო თითოეული იქ უნდა დაბრუნდეს, საიდანაც არის წარმოშობითო. მოედანზე შეკრებილ მოქალაქეთა დიდ ნაწილს, რომლებმაც იმპერატორის ბრძანებულება მოისმინეს, ეს არ ეხებოდა, რამეთუ ისინი თაობიდან თაობამდე ნაზარეთში ცხოვრობდნენ და აღწერაც აქვე უნდა გაევლოთ. მაგრამ იყვნენ ჩამოსახლებულებიც – ხაბლონიდან ან სამარიიდან, იუდეადან, პერეიდან ან იდუმეადან და სხვა ადგილებიდან, – აი, ისინი კი ჩააფიქრა ამ ამბავმა, ხმადაბლა დაუწყეს ლანძღვა რომაელთა სიხარბეს და ბჭობა გამართეს, აგერ საცაა ქერისა და სელის აღების დრო მოვა, მუშახელი კი ადგილზე არ იქნებაო; ხოლო ისინი, ვისაც მრავალრიცხოვანი ოჯახის, პატარა ბავშვების, მოხუცი მშობლების ტვირთი ამძიმებდა, საგონებელს მისცემოდნენ, როგორ გადავლახოთ ეს გრძელი და ძნელი გზები, ვისგან ვიქირაოთ იაფად ვირი და ურემი, რა უნდა წავიღოთ საგზლად ამ უდაბნოში, საიდან მოვიტანოთ ამდენი ჭილოფი და საბანი, წვიმასა და სუსხს როგორ გავუძლოთ, თუკი ღამისთევა შიშველ მიწაზე მოგვიხდება, ღია ცის ქვეშო. იოსებმა იმპერატორის ბრძანებულების ამბავი მაშინღა გაიგო, როცა ჯარისკაცები უკვე წა-

სულიყვნენ, რათა ახლა სხვა ადგილების მცხოვრებნი გაეხარებინათ. იოსებს ეს ყოველივე მეზობელმა უამბო, სახელად ანანიამ, რომელსაც ამ მნიშვნელოვანი საქმის გამო უთენია ადგომა არ დაზარებოდა. თვითონ ეს ანანია არსადაც არ იყო წასასვლელი, ადგილობრივი გახლდათ და აღწერა აქვე უნდა გაევლო, ეგ კი არა, წელს ალოობის გამო იერუსალიმშიც კი არ აპირებდა წასვლას ხმიადების დღესასწაულზე, სხვაგვარად პასექს რომ ეძახიან. მან, უბრალოდ, თავის მოვალეობად ჩათვალა, მეზობლისთვის სიახლე ეცნობებინა და მოვალეობის შესრულება ახარებდა კიდეც, თუმცაღა, ვინ იცის, ეგება ეს სიხარული, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ეხატა სახეზე და, ღმერთმა დაგვიფაროს ცუდი ამბების მაცნედ ყოფნისგან, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ საუკეთესო ადამიანებსაც ზოგჯერ ბოროტი ვნებები ეძალებათ, ამ ანანიას კი წესიერად არც ვიცნობთ – იქნებ მუდამ ასეთი გახარებული სახე ჰქონდა ხოლმე, ან იქნებ სატანას

აყოლილი კაცის ბოროტი სიხარული ეფინა სიფათზე, გეგონება, იმწუთას სატანას ამის მეტი საქმე არ ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, ანანიამ კარზე მოაკაკუნა და იოსებს უხმო, თუმცა იმან თავიდან ვერც კი გაიგონა მეზობლის ძახილი, რადგან ლურსმნებს აჭედებდა რახარუხით. მარიამს უკეთესი სმენა ჰქონდა, მაგრამ მას კი არა, მის ქმარს ეძახდნენ, ასე რომ, იოსებს სახელოზე მოქაჩა და უთხრა: რა გჭირს, დაყრუვდი? გეძახიან. ამასობაში ანანიამ ხმას აუწია და იოსებიც კარის გასაღებად გაემართა, გავიგო ერთი, მეზობელს რა დამართნიაო. მეზობელმა კი, გამარჯობაო, და იქვე ისეთი ტონით მოაყოლა – თითქოს უკვე ცნობილის დადასტურებას ითხოვსო – საიდან ხარ შენ ჩამოსულიო? რაზედაც იმან, ეჭვიც რომ არაფერზე აუღია, ალალად მიუგო, ბეთლემიდანო. ეგ იერუსალიმთან არის სადღაც, არა? ჰო. აპირებ პასექზე იერუსალიმში წასვლას? – ჰკითხა მაშინ ანანიამ და იოსებმა უპასუხა: არა, წელს არ წავალ, ცოლმა საცაა უნდა იმშობიაროს. აჰა, გასაგებია. და რატომ მეკითხები? და მაშინ ანანიამ ხელები ცისკენ აღაპყრო, სახეზე კი უსაზღვრო მწუხარება გადაეფინა: ჰოი, საბრალო იოსებ, მძიმე გამოცდა და დაუმსახურებელი ვაი-ვაგლახი მოგელის: აჰა, შენი ხელობით ხარ გართული და ის კი არ იცი, რომ ყოველივე უნდა მიატოვო და წახვიდე, ღმერთმა იცის, სად, რა-

მეთუ, თუმც უფლისათვის შეუძლებელი არაფერია, ყოვლისშემძლეა და ყოვლისმხილველი და უსაზღვროა ძლიერება მისი მიწასა თუ ცაში, მაგრამ მაპატიოს და, მე არ ვიცი, რით შეუძლია დაგეხმაროს, როცა საქმეში კეისრის ძალაუფლებაა ჩარეული. და ჰკითხა იოსებმა: რაზე ლაპარაკობ? და ანანიამ მიუგო: იმაზე ვლაპარაკობ, რომ აი, მოვიდნენ რომაელი ჯარისკაცები და ბრძანეს, ნისანის თვის დასრულებამდე ყოველი ებრაელი იქ უნდა აღიწეროს, სადაც შობილაო, ასე რომ, შე ბედშავო, გრძელი და მძიმე გზა მოგელის. სანამ იოსები რამეს უპასუხებდა, ეზოში ანანიას ცოლი შემოვიდა, სახელად შუია, მარიამისკენ გაემართა და მანაც მიატირა: ვაი, ბედშავო მარიამ, შე უბედურო, რა გეშველება, მოსალოგინებელი ხარ, ამ დროს კი სადღაც გადაკარგულში უნდა წახვიდეო. იუდეის ქალაქ ბეთლემშიო, შეაშველა ქმარმა. ეგ ხომ ქვეყნის დასალიერზეა! – შესძახა შუიამ და ეს ჰაერზე არ წამოუსვრია, რამეთუ იერუსალიმის ერთ-ერთი მოლოცვისას ბეთლემიც მოინახულა, იქვე, მახლობლად, რაქელის სამარხის თაყვანსაცემად. მარიამი ხმას არ იღებდა, ქმარს უთმობდა სიტყვას, მაგრამ იოსები დაბნეულობას თავს ვერ ართმევდა: ასეთი მნიშვნელოვანი ამბავი, შესაფერისი სიტყვებით და, რაც მთავარია, საჭირო, დამაჯერებელი ტონით წარმოთქმული, მარიამს წესით უშუალოდ მისგან უნდა გაეგონა და არა ეზოში წივილ-კივილით შემოჭრილი მეზობლებისგან. ჰოდა, თავისი თავით უკმაყოფილება რომ დაემალა, იოსები მედიდური სახით მსჯელობდა: უფალი კეისრის ნებას მუდამ როდი ასრულებს, აი, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ კი კეისარი ვერასოდეს ვერაფერს იზამსო. მერე გაჩუმდა, ყველას რომ კარგად შეეგნო მისი ნათქვამის სიღრმე და დაუმატა: პასექს, როგორც გადაწყვეტილი მქონდა, შინ შევხვდები, მერე კი, რაკიღა გვიბრძანებენ, ბეთლემს წავალთ და, თუ ღვთის ნებაც იქნა, დროულადაც დავბრუნდებით, რომ მარიამმა შინ მოილოგინოს, თუ არადა, ჩვენი პირმშო იქ დაიბადება, სადაც მისი წინაპრები დაბადებულანო. ან გზაზეო, ჩაიბუტბუტა შუიამ, მაგრამ იოსებმა გაიგონა და უპასუხა: ჩვენს თანამოძმეთაგან ბევრი შობილა გზაზე და ჩემი შვილიც ერთ-ერთი იმათგანი იქნებაო. ეს იმ განაჩენივით გაისმა, გასაჩივრებას რომ არ ექვემდებარება, და ანანიამაც და მისმა ცოლმაც, რომ აღარ იცოდნენ, რაღა ეთქვათ, სწორედ ასე აღიქვეს

იოსების სიტყვები. ისინი მეზობლების სანუგეშოდ გამოიქცნენ, თანაც საკუთარი თანამონაწილეობით ტკბობა ეწადათ, ახლა კი მოეჩვენათ, რომ უცერემონიოდ აძევებდნენ აქედან, მაგრამ იმავ წამს მარიამმა შუიას სთხოვა, შინ შემომყევი, საქსოვი მატყლის შესახებ რჩევა მინდა

გკითხოო, ხოლო თავისი უცხვირპირობით დარცხვენილი იოსები ანანიას მიუბრუნდა: მინდა გთხოვო, ჩვენს არყოფნაში სახლ-კარს კეთილმეზობლურად მიმიხედო, რადგანაც ყოველივე კეთილადაც რომ წარიმართოს, თვეზე მეტხანს მაინც ვერ დავბრუნდებითო – გზა იქით და აქეთ და ის ერთი კვირაც, ცოლმა განდეგილობაში რომ უნდა გაატაროს მშობიარობის შემდეგ განსაწმენდადო, და, ღმერთმა ნუ ქნას, თუ გოგო ეყოლა, უფრო მეტი დროც დასჭირდებაო. ანანიამ უპასუხა, ნურაფრის დარდი ნუ გექნება, სახლ-კარს საკუთარივით მიგიხედავო, მერე კი უეცრად აზრად მოუვიდა, ეთქვა: პატივს ხომ არ დამდებდი, იოსებ, და პასექის დღესასწაულს ჩემთან, ჩემს სახლეულსა და მეგობრებთან ერთად ხომ არ აღნიშნავდიო, შენ და მარიამს აქ, ნაზარეთში ახლობელი აღარავინ შეგრჩათ მას მერე, რაც მარიამის მშობლები გარდაიცვალნენ, თანაც ისეთ ხანდაზმულ ასაკში, ხალხი დღემდე გაოცებულია, როგორ მოახერხა ანამ იოაკიმისგან ქალიშვილის ყოლაო. იოსებმა დამცინავი საყვედური შეაგება: ანანია, გაიხსენე, რას ბუტბუტებდა აბრაამი, როცა უფალმა აცნობა, შენი ჯიში გაგრძელდებაო: ეგ როგორ მოხდებაო, ასი წლის ქმარსა და ოთხმოცდაათი წლის ცოლს შვილი როგორღა ეყოლებათო, იოაკიმი და ანა კი მაშინ აბრაამსა და სარაზე გაცილებით უმცროსნი იყვნენ, ასე რომ, ყოვლისშემძლე ღვთისთვის ჩემი სიდედრ-სიმამრის შვილით დაჯილდოება გაცილებით იოლი საქმე იყოო. და მიუგო მეზობელმა: მაშინ სხვა დრო იყო, უფალიც ყოველდღე დაუფარავად ამჟღავნებდა თავის ყველგანმყოფობას და არა მხოლოდ თავის ქმნილებებსა და შემოქმედებაში. ხოლო იოსებმა რწმენის სიმტკიცის დასადასტურებლად, ვითარცა ნასწავლი ჰქონდა, მიუგო მას: ღმერთი, ძვირფასო სტუმარო, თვითონ არის დრო, ღვთისთვის ყველა დრო ერთნაირია, და ანანიამ მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია ძალაუფლების – არც ბუნებითის, არც შეძენილის, – ღვთისა და კეისრის თემაზე დავა, რამეთუ ერთობ ჩახლართული საკითხი გახლდათ. იოსებს, მიუხედავად იმისა,

რომ საუბარმა ესოდენ საღვთისმეტყველო ხასიათი მიიღო, არ დავიწყნია მეზობლის მიწვევა, პასექი ერთად ვიზეიმოთო, და თუმც მიპატიჟების მიღება გადაწყვეტილი ჰქონდა, არ უნდოდა, სწრაფად და სიხარულით დათანხმებოდა, რამეთუ ცნობილ არს: სამსახურისა თუ თავაზიანობის მადლიერებით მიღება ზრდილობისა და ოჯახიშვილობის ნიშანია, მაგრამ მეტისმეტი სიხარული და აღტაცება არ ვარგა, თორემ იფიქრებენ, სწორედ ეგ უნდოდა და მეტი არაფერიო. მეზობელს პატივისცემისა და სიკეთისათვის მადლობა უთხრა, ამასობაში კი შუია მარიამთან მასლაათით დაბრუნდა ეზოში, აქებდა, ოქროს ხელი გაქვსო და მარიამსაც სახე სიამაყით აეტკიცა, რაკიღა ქმრის თანდასწრებით შეაქეს. და აიმ კეთილად დანაპირები პასექისგან მარიამს ნათელ მოგონებად ისღა შემორჩა, რომ საღღესასწაულო კერძების მომზადება და სატრაპეზოდ მსხდომი მამაკაცების მომსახურება არ მოუწია. სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებმა არ დაანებეს, შენთვის არ შეიძლებაო, ვინ ვინ და, მათ მაინც იცოდნენ, რა შეიძლება და რა არა, აკი თითქმის ყოველ მათგანს შვილები ჰყავდა. ასე რომ, მარიამს სხვა რაღა დარჩენოდა – იატაკზე მამაკაცებთან ერთად ფეხმორთხმულ იოსებს ემსახურებოდა, ღვინოს უსხამდა, თეფშზე სოფლურ ნუგბარს უწყობდა, ხმიადებს, თიკნის ხორცის ნაჭრებს, ცხარე მწვანილებს, ფქვილში ამოვლებულ ხმელი კალიის ბურთულებს, – ამ ტრადიციული კერძით ანანია თავს განსაკუთრებით იწონებდა, თუმცა ზოგი სტუმარი პირს არ აკარებდა, აქაოდა, ვერ გავკადნიერდებით, იმ წინასწარმეტყველის მაგალითს მივდიოთ, უდაბნოში როჭიკობას აუცილებლად უდიდეს მადლად რომ მიიჩნევდა, კალიას კი საოცრად გემრიელ ჩასაკოკლოზინებელ რამედო. სხვათა შორის, ვახშმის მიწურულს საბრალო მარიამი გვერდით მიიკუნჭა, მთლად გაოფლილი, არ იცოდა, ვეება მუცელი სად წაეღო, აღარც სიცილი ეყურებოდა, აღარც ლაპარაკი,

ლოცულობდა და გრძნობდა, რომ ყოველი შემდგომი წუთი უცილობლად და შეუქცევადად უახლოებდა წასვლას ამ ქვეყნიდან, რომელთანაც – არც სიტყვად და არც ხატად ქცეული – ერთი თავისი უკანასკნელი ფიქრიღა აკავშირებდა, ფიქრი არაფრის შესახებ, ფიქრიც კი არა, მხოლოდ შეგრძნება, რომ ფიქრობს, ვინ იცის, რატომ და რაზე. რაღაც ბიძ-

გმა გამოაფხიზლა და ნახევრადარყოფნის ბინდიდან ჯერ იმ მათხოვრის სახე ამოცურდა, მერე კი მთელი მისი ძონძით მოსილი უზარმაზარი სხეული და ანგელოზმა – თუ რა თქმა უნდა, მართლა ანგელოზი იყო, – გაუფრთხილებლად შემოაბიჯა მის სიზმარში, არა როგორც შემთხვევითმა მოგონებამ, და თითქოს გვერდიდან, დაფანტულად უცქერდა, შეკითხვის თვალით, და ეგება, ძლივს შესამჩნევი ცნობისმოყვარეობითაც; ანდა იქნებ სულაც არაფერი ყოფილა, მაგრამ მარიამს გული შეშინებული ჩიტივით აუფრთხიალდა შიშისგან, ან შესაძლოა იმისგან, რომ ვიღაცამ მოულოდნელი და შემაცბუნებელი სიტყვები ჩასჩურჩულა. კაცები და ყმაწვილები ჯერაც იატაკზე ისხდნენ, გახურებული ქალები კი წინ და უკან დაქროდნენ, ბოლო კერძებს დაატარებდნენ, თუმცა უკვე ნათელი იყო, რომ ყველა დანაყრდა და გამოძღა და, თუმცა ღვინით გაფიცხებული საუბარი კვლავაც ხმამაღლა გაისმოდა, მხიარულება აშკარად იკლებდა. მარიამი შეუმჩნევლად წამოდგა. ამასობაში ჩამობნელდა და მოწმენდილ, უმთვარო ცაზე ვარსკვლავთა ნათება თითქოს რაღაც შორეულ, ძლივსგასაგონ გუგუნს გამოსცემდა, და დურგლის ცოლი ამ ხმას სმენით კი არა, ვინ იცის, როგორ აღიქვამდა – კანით, ძვლებით, შიგანით, მთელი სხეულით, რომელიც თითქმის სრულად განემსჭვალა გაუთავებელ, უსაზღვროდ სანეტარო ვნებიან ჟრჟოლას. მარიამმა ეზო გადაკვეთა და გარეთ გაიხედა. ვერავინ დაინახა. მეზობლად მდგარი მისი სახლის ჭიშკარი დაკეტილი იყო – თვითონ ჩაკეტა გამოსვლისას, მაგრამ ჰაერი ირხეოდა, თითქოს ვიღაცას ჩაევლო თუ ჩაერბინა ახლახან, ან იქნებ ჩაეფრინა და სხვა რამ კვალი არ დაეტოვებინა ამ მხოლოდ მარიამისთვის განკუთვნილი მინიშნების გარდა.

6* * *

გავიდა სამი დღე და მას შემდეგ, რაც დამკვეთები დაიყოლია, მის დაბრუნებამდე მოეცადათ, სინაგოგაში უხუცესებს დაემშვიდობა და მეზობელ ანანიას სახლ-კარი და ავლადიდება ჩააბარა, დურგალი იოსები ცოლთან ერთად ნაზარეთიდან ბეთლემს გაემგზავრა, რომ კეისრის ბრძანების თანახმად აღწერაში მიეღოთ მონაწილეობა. თუკი კავშირ-

გაბმულობის გაუმართაობის ან სინქრონული თარგმანის ხარვეზების გამო ზეცაში რომაული დეკრეტების შესახებ დაგვიანებით შეიტყობდნენ, მაშინ უფალი ღმერთი ალბათ ძლიერ გაოცდებოდა, როცა დაინახავდა, როგორ გადასხვაფერებულიყო ისრაელი, რომელსაც ადამიანთა ბრბოები ახლა ყველა მიმართულებით სერავდნენ, მაშინ, როდესაც ადრეც და მით უფრო პასექის დღესასწაულის მომდევნო დღეებში ქვეყანაში ყოველგვარი მოძრაობა ცენტრიდანული იყო ხოლმე და ხალხის ნაკადები ერთი ადგილიდან გამოდიოდა – რაღა თქმა უნდა, მიწიერ მზეს, დედამიწის ჭიპს, იერუსალიმს ვგულისხმობთ. რასაკვირველია, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ აბსოლუტური ღვთაებრივი შორსმჭვრეტელობა იოლად დაძლევს ზნე-ჩვეულების ძალას და თვით ასეთი ზეციური სიმაღლიდანაც კი შეამჩნევს ცვლილებებს, განასხვავებს მლოცველებს, ნაჩვევი გზებითა და გატკეპნილი ბილიკებით რომ მიიჩქარიან მშობლიური ქალაქებისა და სოფლებისაკენ, იმ მოქალაქეთაგან, რომლებმაც იერუსალიმში ღვთის წინაშე მოვალეობა მოიხადეს თუ არ მოუხდიათ, ამის მიუხედავად, ახლა კეისრის ამქვეყნიური დავალების აღსასრულებლად მიაბიჯებენ, თუმცაღა ამ თეზისის ამოტრიალებაც არაა ძნელი, თუკი იმპერატორ ავგუსტუსის ბრძანებულებას ღვთითშთაგონებულად ჩავთვლით, ვინძლო უფალმა მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით მართლაც მოისურვა, იოსები და მისი ცოლი ცხოვრების სწორედ ამ მონაკვეთზე მიევლინა ბეთლემში. ერთი შეხედვით, ეს მსჯელობა ტვინის უმიზნო და ფუჭ ჭყლეტას ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ჩვენს თხრობას უშუალოდ უკავშირდება და მისი წყალობით შევძლებთ წარმოვიდგინოთ, როგორ მარტოხელად მიიწევდნენ ჩვენი მოგზაურები უკაცურ და ველურ ადგილებში, სადაც სულიერი არ ჭაჭანებდა და თანამგრძნობისა თუ მშველელის იმედი არ უნდა გქონოდა, რის გამოც მხოლოდ ღმერთის გულმოწყალებას ესავდნენ, დახმარებას კი ციურ ანგელოზთაგან თუღა ელოდნენ. სხვათა შორის, როცა იოსები და მარიამი ნაზარეთს გამოსცდებიან, საქმე სხვაგვარად იქნება: მათთან ერთად კიდევ ორი ოჯახი დაიძვრება, თან ძლიერ მრავალრიცხოვანი, ასე რომ, მოხუციან-ბავშვიან-ჩვილებიანად ოცი სული გამოვა, მოკლედ, მთელი ტომი. ცხადია, ყველა ბეთლემში არ მიდის: ერთი ოჯახი შუა გზაზე დარ-

ჩება, სოფელში რამალას მახლობლად, მეორე სამხრეთისკენ განაგრძობს გზას და ბოლოს მაინც დასცილდებიან ერთმანეთს, რადგან ზოგი ჩქარობს, ზოგი კი ძლივს მიჩანჩალებს, სამაგიეროდ, ახალი თანამგზავრები გამოჩნდებიან, შემხვედრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლებმაც ეგებ სწორედ ნაზარეთში უნდა გაიარონ აღწერა. წინ, განცალკევებით, მამაკაცები და სრულწლოვნებას მიღწეული ყმაწვილები – ცამეტი წლისანი, უკან კი ქალები, ქალწულები და მოხუცები, მათთან ერთად კი ყველა ასაკის ბალღები. თავიდან მამაკაცები ერთხმად და ხმამაღლა აღავლენდნენ ვითარების შესაბამის ლოცვებს, რომელთაც ჩუმად და გაურკვევლად ქალებიც იმეორებდნენ და კარგად ახსოვდათ, რომ გინდ ილოცე და გინდ არა, შენს ლოცვას არავინ შეისმენს, მაშინაც კი, როცა ღმერთს რამეს კი არ სთხოვ, მხოლოდ აქებ და ადიდებ. მარიამი ქალებს შორის ერთადერთი აღმოჩნდა მშობიარობის მომლოდინე და

გზის სიძნელემ ისე გატანჯა, რომ იღბალს მისთვის უსაზღვრო მოთმინებითა და ასეთივე უსაზღვრო ამტანობით მომადლებული ჩოჩორი რომ არ გამოეგზავნა, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა და სულიერად დაძაბუნებული მოითხოვდა, აქვე, გზის პირას დამსვით დროის მოსვლამდეო, და ეს დრო, როგორც ვიცით, სულ მალე უნდა მოსულიყო, თუმც მთლად ზუსტად სად და როდის, ცნობილი არ გახლდათ, ხოლო ზნეჩვეულება და სარწმუნოება კი უფლებას არ მოგვცემს, ნაძლევი დავდოთ, თუ სად და როდის დაიბადება დურგალ იოსების ვაჟი. და ვინაიდან დრო ჯერ არ დამდგარა, მარიამი იმდენად ქმრის ზერელე და იშვიათი ზრუნვის იმედად კი არაა, რამეთუ იოსები მეტწილად თანამგზავრებთან საუბრითაა გართულ-გატაცებული, არამედ სახედრის ათასგზის გადამოწმებულ თვინიერებასა და მშვიდ ზნესაა მინდობილი – მიჰყავს ქალი და თუკი ვირს ცხოვრებისეული წესრიგისა და ზურგზე აკიდებული საპალნის თვისობრივი ცვლილებების გააზრებას დავაბრალებთ, თვითონვე უკვირს, მათრახს რად არ მიფუცხუნებენ, რად არ მაჩქარებენ, ჩემს ჭკუაზე სვლას რად მანებებენ, როგორც აი, ამ ჩემს თანამოძმეებს, აგერ, გზაზე ჩლიქებს რომ მოარაკუნებენო. ფეხით მიმავალი ქალები ხშირად ჩამორჩებოდნენ ხოლმე დაწინაურებულ მამაკაცებს, ისინიც შეჩერდებოდნენ და დაელოდებოდნენ, თუმცა თავს ისე იჭერდნენ, ვი-

თომცდა, თქვენ კი არ გელოდებით, უბრალოდ შესასვენებლად შევყოვ-ნდითო, რამეთუ გზა კი სახელმწიფოსია, მაგრამ ყველას და არავის ეკუთვნის, ხოლო, როგორც ცნობილია, საცა მამლები ყივიან, იქ დედლე-ბი არ უნდა კრიახებდენ, თუ, ცხადია, აჰა, ამწუთას არ დაუდიათ კვერცხი და სწორედ ესაა იმ სამყაროს წონასწორობის საფუძველი, რომელშიც ცხოვრება გვიწევს. და აი, მარიამი, თავისი ბედაურის აუჩქარებელი სვლის რიტმზე მსუბუქი რწევით დედოფალივით მგზავრობდა ფეხით მოარული თანამგზავრი ქალებისგან მკვეთრად გამორჩეული, ხოლო სხვა სახედრები ამ ქალების ბარგი-ბარხანასა და ათასნაირ ხარახურას მოათრევდნენ. ჰოდა, ქალებს რომ გზა შემსუბუქებოდათ და სული მო-ეთქვათ, მარიამს ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე ბავშვს აჭერინებდნენ ხელში და ამგვარად წინასწარ ეჩვეოდა მოსალოდნელ დედის ხვედრს თუ არა, ტვირთს მაინც. პირველ დღეს, სანამ მგზავრობა ჯერ არ გახურე-ბულა, მანძილი ცოტაა გავლილი, მით უფრო, არ დაგავიწყდეთ, მოხუცე-ბი და პატარებიც რომ აქ არიან: ბებრებს ხანგრძლივი ცხოვრების მან-ძილზე უკვე დაუხარჯავთ ძალა და არც მალავენ, რომ სულ აღარ შერჩე-ნიათ, ბავშვებმა კი ჯერ არ იციან მისი მოხმარება-განაწილება და ორი-ოდ საათში ისე გაფლანგავენ აქეთ-იქით თავაწყვეტილ ჯირითში, გეგო-ნება, სამყაროს აღსასრული მოახლოებულა და ბოლო წუთებში დარჩე-ნილი ძალის დახარჯვა უნდა მოასწრონო. დასასვენებლად ერთ დიდ სოფელთან დაბანაკდნენ, სახელად იზრეელთან, ფუნდუკსა თუ სასტუმ-როში, სადაც მგზავრთა არნახული ნაკადის გამო დიდი ჯგლეთა გამარ-თულიყო, ყველა ერთიანად დაჯლიგინებდა და გიჟივით ღრიალებდა, თუმცა, სიმართლე ითქვას, ღრიალი სჭარბობდა ჯლიგინს: სულ მალე თვალი და ყური ეჩვეოდა რია-რიასა და ხმაურს, ასე რომ, თავიდან მიხ-ვდებოდით, მერე კი დარწმუნდებოდით კიდეც, რომ ადამიანთა და პი-რუტყვთა ფუნდუკის ოთხ კედელში მოქცეული ეს მუდმივი და უწყვეტი ორომტრიალი მხოლოდ და მხოლოდ მოწესრიგებისკენ გაუცნობიერე-ბელ, სტიქიურ სწრაფვას გამოხატავდა, ჭიანჭველათა შეშფოთებით მო-ფუთფუთე ბუდის მსგავსად, რომლის მკვიდრთა გნიასი და მიეთმოეთი უმიზნო და უაზრო მხოლოდ გამოუცდელ თვალს თუ ეგონება. ასე იყო თუ ისე, სამ ოჯახს გაუმართლა და ღია ცის ქვეშ ღამისთევა ასცდა: ჩარ-

დახის ქვეშ მამაკაცები ერთ მხარეს მოთავსდნენ, ქალები ბავშვებიანად – მეორე მხარეს, ამასთან, ეს მოგვიანებით მოხდება, როცა დაღამდება და ფუნდუკის სტუმრები ძილს მიეცემიან.

მანამ კი ქალებს ვახშმისთვის უნდა მიეხედათ, ვირებისთვის საპალნე აეხსნათ, დაერწყულებინათ, თან საამისოდ ისეთი დრო უნდა შეერჩიათ, როცა გეჯასთან აქლემები არ იქნებოდნენ, რადგან ისინი, თუმც სულ ორნი იყვნენ, მთელ წყალს უკანასკნელ წვეთამდე ნთქავდნენ და საჭირო ხდებოდა, ზედიზედ უამრავჯერ გეთრია წყალი, აგევსო გეჯა და ასე გაგრძელდებოდა, სანამ ბოლოს და ბოლოს აქლემები წყურვილს არ მოიკლავდნენ. ამ საქმეს რომ მოუარეს და სახედრებს საკვებიც დაუყარეს, თვითონაც დასხდნენ ვახშმად – ჯერ, როგორც წესია, კაცები, მერე კი ქალები, რამეთუ ისინი ბუნებით მეორეული არსებანი არიან, რის დასტურადაც კიდევ ერთხელ ჩვენი წინარემშობელი ევა უნდა მეათასეჯერ გავიხსენოთ, მეორე ჯერზე შექმნილი, ადამის შემდგომ, თანაც მისივე ნეკნიდან, ასე რომ, ვაღიაროთ: არის საკითხები, რომელთა გააზრება მხოლოდ პირველწყაროებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც მამაკაცები დანაყრდნენ, ქალებმა კი თავიანთ კუთხეში ვახშმის ნარჩენები მოათავეს, ისე მოხდა, რომ ერთმა წლოვანებით უხუცესმა ბერიკაცმა, სახელად სიმონმა, ბეთლემის მცხოვრებმა, აღწერისათვის სოფელ რამალაში მიმავალმა, ისარგებლა რა თავისი ასაკითა და უშუალოდ მისგან გამომდინარე სიბრძნით, რაც მავანთ მის მიმართ პატივისცემას აღუძრავდა, იოსებს ჰკითხა, როგორ მოიქცევი იმ ერთობ მოსალოდნელ შემთხვევაში, თუ მარიამი, ვისი სახელიც არ იცოდა და ამიტომ სახელით არ მოუხსენიებია, აღწერის ვადის გასვლამდე ტვირთისგან არ გათავისუფლდებაო. შეკითხვა აშკარად აკადემიური ხასიათისა გახლდათ (თუკი შესაძლებელია ეს ტერმინი ჩვენი თხრობის ადგილისა და დროის გათვალისწინებით გამოვიყენოთ), რამდენადაც მხოლოდ რომაული სამართლის ყველა წვრილმანში ჩახედულ მთვლელ-აღმწერებს თუ ხელეწიფებოდათ ისეთი კაზუსის დაძლევა, როგორიც ფეხმძიმე ქალის აღწერა გახლავთ.

და თქვა სიმონმა: ყველანი აღწერაზე მივდივართ, მაგრამ როგორ აღიწეროს ის, ვინც შენი ცოლის წიაღშია: რა სქესის იქნება ახალშობი-

ლი, თან არც ისაა გამორიცხული, ტყუპი იყოს და მარჩბივები ან ძმები იქნებიან, ან დები, ან კიდევ სულაც და-ძმა.

მართლმორწმუნე იუდეველობით თავმომწონე იოსებს საპასუხოდ საყველპურო აღმოსავლური ლოგიკის გამოყენება აზრადაც არ მოსვლია, რათა ეთქვა, თუ კანონში რამ დაუდევრობა და ხარვეზია, ეგეთ კანონს როგორ და რატომ უნდა დავემორჩილო, ხოლო თუ რომმა მსგავსი შემთხვევების გათვალისწინება ვერ მოახერხა, პასუხი ცუდ კანონმდებლებს მოსთხოვონო. ამის თქმის ნაცვლად ესოდენ რთული შეკითხვის წინაშე მდგარი იოსები დიდი ხნით ჩაფიქრდა, გონებაში შესაძლო პასუხები გადასინჯა, რათა ისეთი ამოერჩია, კოცონის ირგვლივ მსხდომთათვის ულაპარაკოდ სარწმუნო რომ ყოფილიყო და თან ფორმითაც გაებრწყინა. და აი, როგორც იქნა, ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ მზერა, რომელიც აქამდე მოცეკვავე ცეცხლისთვის მიეშტერებინა, ნელ-ნელა ზეაღაპყრო და წარმოთქვა: თუ ჩემი შვილი აღწერის ვადის გასვლამდე არ დაიბადება, ამით გაცხადდება, რომ უფალს არ სურს, რომაელებმა იხილონ იგი და თავიანთ სიაში ჩაწერონო. ოჰო, მიუგო სიმონმა, რა თავდაჯერებული ყოფილხარ, რაღაი ფიქრობ, ვიცი, ღმერთს რა სურს და რა არაო. უფალმა უწყის გზანი ჩემნი, დათვლილი აქვს ნაბიჯნი ჩემნიო, მიუგო იოსებმა, და დურგლის ეს სიტყვები, იობის წიგნში რომ გვხდება, ამ შემთხვევაში იმას ნიშნავდა, რომ აქ, დამსწრეთა

წინაშეც და არდამსწრეთა ჩათვლითაც იოსები აღიარებდა უფლის მიმართ მორჩილებას და განაცხადებდა, რომ მისი გრძნობები არ ეპუებოდნენ იმ ეშმაკისეულ საცდურს, რომელზეც სიმონმა მიანიშნა, აქაოდა, ცდილობ, ყოვლისმპყრობელის იდუმალ ზრახვებს ჩასწვდეო. ეტყობა, ბერიკაცმაც ასე გაიგო და ამიტომ მდუმარედ ელოდა და იოსები კვლავ ალაპარაკდა: დასაბამიდან იმ დღეების ბეჭედს, როცა ადამიანი ქვეყნიერებას ევლინება და როდესაც ის ქვეყნიერებას ტოვებს, ანგელოზები იცავენ და მხოლოდ უფალს ხელეწიფება თავისი ნების შესაბამისად ახსნას ბეჭდები – ზოგჯერ ადრე, ზოგჯერ გვიან, ზოგჯერ კი – ერთდროულად, ორივე ხელით; ხანაც კი ხდება, რომ მავანის სიკვდილის ბეჭედს იმდენ ხანს არ ხსნის, იფიქრებ, დაავიწყდაო. იოსები გაჩუმდა, წაიყოყმანა, ვთქვა თუ არაო, მაგრამ ბოლოს მაინც ეშმაკური ღიმილით

დაამატა: ჰოდა, არ მინდა, სიმონ, ამ ჩვენმა საუბარმა შენი თავი გაახსენოსო. კოცონთან მსხდომებმა ჩაიხითხითეს, ოღონდაც მორიდებულად: ეს სიტყვები ხომ იმას ნიშნავდა, რომ დურგალმა ვერ შეძლო პატივისცემის ის მთლიანობა შეენარჩუნებინა, რომელსაც ხანდაზმულობა იმსახურებს, მაშინაც კი, თუ განვლილი წლების სიმძიმე მოხუცის გონებაზე დამღუპველად ასახულა და მის ლაპარაკში აზრის სიმწირე გამოსჭვივის. სიმონმა კი განრისხებული მოძრაობით გადაიხსნა ქლამიდი გულზე და უთხრა: ეგება ღმერთმა შენი დაბადების ბეჭედი ნაადრევად ახსნა და ამქვეყნად არც უნდა დაბადებულიყავ, რაკიღა ასე თავხედურად და უპატივცემულოდ ექცევი უფროსებს, რომლებსაც შენზე მეტი უცხოვრიათ და შენზე მეტიც გაეგებათო. ამაზე იოსებმა უპასუხა: აჰ, სიმონ, შენ მკითხე, როგორ მოიქცევი, თუ შენი შვილი აღწერის დამთავრებამდე არ დაიბადებაო, მე კი ამ კითხვის პასუხი არ გამაჩნდა, რამეთუ რომაელთა კანონი არ ვიცი და ვგონებ, არც შენ უნდა იცოდე. დიახ, არ ვიცი, მაგრამ შენ ხომ თქვი, რაც თქვი და ახლა ნუ გადათქვამ, რადგან მშვენივრად მახსოვსო. ჰო, მაგრამ, პირველმა შენ დაიწყე, სიმონ, პირველად შენ მაკადრე უთანადო სიტყვები და თავდაჯერებულობა დამწამე, თითქოს მე ღვთის განგებულებას მანამ განვსჯიდე, სანამ გაცხადდება, ჰოდა, თუ ჩემი პასუხი გეწყინა, ბოდიში, მაგრამ პირველმა შენ თვითონ მაწყენინე, სიმონ, არადა, შენ ხომ უხნესი ხარ და მაგალითს უნდა მაძლევდეო. თანხმობის დუდუნმა გადაუარა კოცონთან მსხდომებს: დურგალმა იოსებმა კამათი აშკარად მოიგო, მაგრამ ყველას სურდა გაეგო, მოძებნიდა თუ არა სიმონი რაიმე პასუხს. პასუხი კი გასცა, მაგრამ ეს პასუხი ვერც მახვილგონივრულობით დაიკვეხნიდა, ვერც წარმოსახვის უნარით: ვალდებული იყავი, ჩემი ასაკისთვის პატივი გეცა და სიტყვა არ შემოგებრუნებინაო, ხოლო იოსებმა მიუგო: შენთვის სიტყვა რომ არ შემომებრუნებინა, ყველა მიხვდებოდა, რა ამაო კითხვა დამისვი, ამიტომ, თუნდ ძალიან გაგიჭირდეს, ჩემი პასუხი შენდამი დიდ პატივისცემად ჩათვალე, რამეთუ მე, თუმც შენ ეს არ გესმის, დაგეხმარე, ისეთ საგანს შეხებოდი, რომელიც აქ ყველას აინტერესებს: თუ ისურვებდა უფალი და თუ შეძლებდა თავისი ხალხი მტრული მზერისგან დაეფარაო? აჰა, მაშ, შენ ღვთის რჩეულ ხალხსა და შენს ჯერ დაუბადებელ შვილს აიგივებო? არა, სიმონ,

ტყუილად მჩრი პირში იმ სიტყვებს, რომლებიც არ წარმომითქვამს და არც წარმოვთქვამ, მაგრამ აკი ამბობენ, ერთგვარად ნათქვამი სხვაგვარადაც გაიგებაო. ამ ტირადას სიმონმა აღარ უპასუხა, ადგა, წრიდან გავიდა და მოშორებით დაჯდა ყველაზე ჩაბნელებულ ადგილას. ოჯახური მოვალეობისა და უფრო მეტად კამათში დამარცხებული პატრიარქის საცოდაობით სახლიკაცები და ჯალაბობა სიმონს გაჰყვნენ და კოცონს გაშორდნენ. კოცონთან სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ნელ-ნელა იმგვარმა შრიალმა და ბუტბუტმა შეცვალა, დასაძინებლად მზადებას რომ ახლავს ხოლმე. ფუნდუკის სხვა კუთხეებიდანაც ასეთივე ხმები გაისმოდა, ხანდახან მკვეთრი წამოძახილით, ფრუტუნითა და ვირების

ყროყინით შეზავებული და ხანდახან კიდევ სიყვარულის ვნებით ატანილი აქლემის ბღავილით. მაშინ ნაზარეთელებმაც დაივიწყეს წეღანდელი უსიამოვნება და ძლივსგასაგონად – თუმცა, ბევრნი რახან იყვნენ, მაინც გვარიანი დუდუნი დააყენეს, – წამღერებით შეუდგნენ დღის უკანასკნელი, ყველაზე გრძელი ლოცვის კითხვას. შემდეგ, რამდენიმე წუთში, იმათ, ვისაც სინდისი ყველაზე ნაკლებად აწუხებდა, ანდა ვინც გზაში სხვებზე მეტად დაიღალა, უკვე ეძინათ, თანაც ზოგიერთები ყოველგვარი სულიერების გარეშე ხვრინავდნენ, ხოლო დანარჩენებმა მათ მაგალითს მიჰბაძეს, მოთავსდნენ – ვინ როგორ, მხოლოდ მოხუცებსა და ყველაზე პატარებს – სისუსტის გამო – შედარებით მყუდრო ადგილები არგუნეს და სქელ-სქელი ზეწრები თუ გახუნებული საბნები წააფარეს. კოცონი ჩანავლდა და თითქმის ჩაქრა, აქა-იქ თუ გადაირბენდა დასუსტებული ალი ფიჩხებზე – ამ კეთილშობილი მიზნით ჯერ კიდევ დღისით გზად შეგროვილზე. და სულ მალე იმ ჩარდახქვეშ, რომელმაც ნაზარეთელები შეიფარა, ყველას ეძინა. ყველას, მარიამის გარდა. ვერაფრით ვერ მოთავსდა, ვერ დააბინავა ვეება მუცელი, რომლის ზომითაც თუ ვიმსჯელებდით, ეტყობა, შიგ ვიღაცა გოლიათი იჯდა. ჰოდა, ამიტომ მარიამი სანახევროდ წამოწვა, ზურგით მიეყრდნო სასაპალნე უნაგირებს, რათა მტანჯველად მტკივან წელს ოდნავ მაინც ეგრძნო შვება. სხვებთან ერთად მოისმინა იოსებისა და სიმონის კამათი და უხაროდა, როგორც ცოლს შეეფერება, რომ მისმა ქმარმა ბრძოლა, თუმც კი უსისხლო, გამარჯვებით დააგვირგვინა. მაგრამ კამათის არსი და საგანი

მარიამის მეხსიერებიდან მისი სხეულის შეგრძნებებს განედევნათ, ხან რომ აღმოცენდებოდნენ და ხანაც უჩინარდებოდნენ ზღვის მიქცევა-მოქცევასავით, რომელიც მარიამს ცხოვრებაში არ ენახა, მაგრამ რომლის შესახებაც ხანდახან მრავლისმნახველ ადამიანებს უამბნიათ, – და ეს ტალღების ნაკადი, მოსვენებას რომ არ აძლევდა, ანიშნებდა, რომ მის მკერდქვეშ ბავშვი იძვროდა, თუმცა რაღაც სხვანაირად, განსაკუთრებულად, გეგონებოდათ, ჯერაც დაუბადებელი პირმშო, მის წიაღში მჯდომი, ცდილობს, დედამისი მხრებზე შეისვასო. მარიამის გახელილი თვალები სიბნელეში მას შემდეგაც კი ელვარებდნენ, რაც კოცონი საბოლოოდ ჩაიწვა და ჩაინავლა, თუმც ამაში გასაოცარი არაფერი იყო – სამყაროს შექმნიდან მოყოლებული ასეთი რამ მუდამ ახასიათებთ მომავალ დედებს, მით უმეტეს, ჩვენ ხომ მთელი სიცხადით შევიტყვეთ, დურგლის მეუღლეს ვიღაც რომ შეხვდა, ვინც თავის თავს ანგელოზი უწოდა, თუმცა კი ჩვეულებრივი მაწანწალას სახე ჰქონდა მიღებული.

მალე მამლები აყივლდნენ და ცივი აისი ამცნეს ქვეყანას, მაგრამ მგზავრები, ვაჭრები, ჯორთა და აქლემთა მეხრეები, აუცილებლობის გამოისობით უფრო ადრეც შეუდგნენ სამზადისს და ჯერ კიდევ ბნელოდა, თავიანთ პირუტყვს ბარგი-ბარხანა და საქონელი რომ აჰკიდეს, რის გამოც ფუნდუკში ისეთი გნიასი ატყდა, ყველა ხმაურს გადააჭარბა. ქარავანი რომ წავა, ფუნდუკი რამდენიმე საათს მდუმარებასა და უძრაობაში გაატარებს მზეს მიფიცხებული რუხი ხვლიკივით, – ისინიღა დარჩებიან, ვისაც აქ მთელი დღის გატარება განუზრახავს და ამიტომაც მანამ ისვენებს, სანამ საღამო ხანს მტვერში თავფეხიანად ამოგანგლული დაქანცული მგზავრების ახალი ჯგრო არ შემოჯლიგინდება. ჰოდა, აი, ისინი, რაღაი გზაში ჩუმად ყოფნა მოუხდათ, ახლა სახმო იოგებს საქმეს გაუჩენენ და შემოსულებიც არ იქნებიან, ეშმაკით შეპყრობილებივით რომ აღრიალდებიან, ჯვარი აქაურობას. ნაზარეთელები უფრო მეტნი ტოვებდნენ ფუნდუკს, ვიდრე მოსულიყვნენ და ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან მათ ბარე ათიოდე კაცი კიდევ შეერთებოდათ და შეცდება, ვინც ამ მხარეს უკაცურად და უდაბურად ჩათვლის, განსაკუთრებით იმ

დროში, როცა რომ ეს აღწერა იყო გამოცხადებული, თანაც პასექის დღეებში. ამასობაში იოსებმა გადაწყვიტა, მოხუც სიმონს შერიგებოდა

და ასე იმიტომ გადაწყვიტა, რომ ღამის განმავლობაში იოსების მტკიცებულებებმა მისსავე თვალში დამაჯერებლობა დაკარგეს, – ასე თუ ისე, უფროსებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით იყო აღზრდილი, განსაკუთრებით კი, მოხუცებისადმი, რომლებსაც ხანგრძლივი სიცოცხლის სანაცვლოდ ჭკუის გამჭრიახობა და მსჯელობის სიცხადე ახალთაობის პატივისცემასთან ერთად დაუკარგავთ. და აი, ის სიმონს მიუახლოვდა და მორჩილად წარმოთქვა: მაპატიე, თუ გუშინდელი ჩემი სიტყვები თავხედობად და ტუტრუცანობად მოგეჩვენა, შენი უპატივცემულობა აზრადაც არ მომსვლია, ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე – სიტყვას სიტყვა მოჰყვა, რიგიანს – ურიგო და ბოლოს ზედმეტიც მომივიდა. სიმონმა თავაუღებლად უსმინა, უსმინა და ბოლოს – მიპატიებიაო, უპასუხა. იოსებს თავისი კეთილშობილების გამო უფლება ჰქონდა, ჯიუტი მოხუცისგან უფრო მეტად სათნო პასუხის მოლოდინი ჰქონოდა და ჯერაც იმედს არ კარგავდა, სხვა ისეთ სიტყვებსაც გავიგონებ, როგორსაც ვიმსახურებო, და კარგა ხანს იარა სიმონის გვერდიგვერდ, მაგრამ იმას თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა იოსებს, საკუთარ ფეხებს დასცქეროდა, სანამ დურგალმა, არცთუ უმიზეზოდ გაბეზრებულმა, ხელი არ ჩაიქნია და ნაბიჯს აჩქარება დაუპირა. მაშინ მოხუცი, ვითომ ღრმა ფიქრებიდან ახლაღა გამოვფხიზლდიო, იოსებს წამოეწია, სამოსის კიდეზე წაეტანა და უთხრა, დაიცაო. გაოცებული იოსები მოუტრიალდა. დაიცა, გაუმეორა მოხუცმა და თვითონაც შეჩერდა. დანარჩენი მგზავრები დაწინაურდნენ და ისინი ორნი დარჩნენ გზაზე, თითქოს ნეიტრალურ ტერიტორიაზე წინ წასულ კაცებსა და აქეთ მომავალ ქალებს შორის, რომელთა თავებს ზემოთ სახედრის ნაბიჯთა რიტმში მარიამის სახე მოირწეოდა.

ისრაელის ველს გასცდნენ. გზამ გვერდი უქცია კლდოვან კაჭრებს, ნელინელ ააღმართდა სამარიის მთებისკენ, დასავლეთით, ქედის გასწვრივ, რომლის გადაღმაც, თავდაღმართზე, იორდანეს მიმართულებით, უძველეს და შეუხორცებელ იარასავით გადაშლილიყო და გიზგიზებდა იუდეის უდაბნო – მრავალთათვის სასურველი მიწა, არც არავინ რომ არ უწყოდა, ვინ ფლობდა და ვინ განაგებდა მას. დაიცადე, თქვა სიმონმა და უეცრად შემკრთალი დურგალი დაემორჩილა. მოხუცმა სვლა განაგრძო, თუმცა იოსებს ისე ეჭიდებოდა, თითქოს ძალა გამოლევიაო.

წუხელის, თქვა მან, სანამ დავიძინებდი, ხილვა მქონდა. ხილვა? ჰო, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, როცა შენ წინაშე საგნები და ადამიანები ხილულად წარმოდგებიან, არამედ ხილვა იმ სიტყვებს მიღმა იმალებოდა, შენ რომ წარმოთქვი, ხომ გახსოვს? თუ ჩემი ვაჟი ვადამდე არ დაიბადება, ესე იგი, ღმერთს არ სურს, რომ რომაელები მას იცნობდნენ და თავიანთ სიაში ჩაწერონო. კი, მე ვთქვი, მაგრამ აკი შენ იხილე. არ ვიცი, მე რა ვიხილე, მაგრამ უცებ თითქოს იმის რწმენამ შემიპყრო, რომ უმჯობესია, რომაელებმა არ შეიტყონ შენი ვაჟის არსებობა, რომ საერთოდაც არავინ არაფერი იცოდეს მასზე და თუ ამ ქვეყანას მაინც მოევლინება, უმჯობესი იქნება, რომ მისთვის მოზომილმა სიცოცხლემ დიდებისა და მწუხარების გარეშე გაიაროს, აი, ამ კაცებივით, ჩვენ წინ რომ მიდიან და თვალს ეფარებიან, ამ ქალებივით, უკნიდან რომ გვიახლოვდებიან, რომ სიკვდილამდე სახელის გაუთქმელად იცხოვროს, თითოეული ჩვენგანივით და სიკვდილის შემდგომაც. და სხვა რა ხვედრი შეიძლება მოელოდეს უბრალო ნაზარეთელი დურგლის შვილს იმის გარდა, რაც ახლა უსურვე? არა, იოსებ, მხოლოდ შენ ხელთ ხომ არაა მისი მომავალი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ღვთის ნებითაა, ასე გვწამს

და ასე ვიცით, და მაინც, სიმონ, კიდევ მითხარი რამე ჩემს ვაჟზე, სხვა კიდევ რა გეცნობა მის შესახებ? არაფერი, არაფერი იმ შენი სიტყვების გარდა, ოღონდაც ამ სიტყვებმა თითქოს იფეთქეს, გამოანათეს და სხვა აზრი შეიძინეს: როგორც რომ ზოგჯერ კვერცხს შეხედავ და შიგ წიწილას დაინახავ. უფლის ნებაა ყოველივე, მის ხელთაა ჩემი ვაჟის ბედიც, აბა, აქ მე რას გავაწყობ?! ეგ ეგრეა, მაგრამ არის რამდენიმე დღე, როდესაც ჯერ არშობილი ბავშვის ბედს ღმერთთან ერთად მისი დედაც იზიარებს. სწორია, მერე კი, თუ ვაჟი მეყოლება, მისი ბედი ღვთისა და ჩემ ხელთ იქნება. თუ მხოლოდ ღმრთის ხელთ. ისევე, როგორც ყველა ადამიანის ბედი. არა, ყველასი არა, ზოგიერთის ბედს ღმერთთან ერთად ეშმაკიც განაგებს. მაგისას რას გაიგებ? კანონი რომ ქალებისგან დუმილს არ ითხოვდეს, მაშინ ეგ პირველცოდვის მომგონები, იმ პირველს, ყველა სხვა ცოდვა რომ მოჰყვა, გეტყოდნენ იმას, რისი ცოდნაც გმართებს. და რისი ცოდნა მმართებს? იმის, თუ მუცლადმყოფი ნაყოფის რა ნაწილია ღვთისა და რა – სატანისა. ვერ გაგიგე, სიმონ, ამას ჩემს შვილზე ამბობ? შენს

შვილზე კი არ ვამბობ, არამედ ქალებზე ვლაპარაკობ და კიდევ იმაზე, თუ როგორ გვაჩენენ ისინი ამქვეყნად ჩვენ ყველას, რამეთუ ვინ ვინ და, ქალებმა ყველაზე უკეთ იციან, რომ ყოველი ჩვენგანი მცირეცაა და დიადიც, რომ ყოველ ჩვენგანში სიკეთეც დევს და ბოროტებაც, ომიც და მშვიდობაც, მრისხანებაც და თვინიერებაც.

იოსებმა უკან მიიხედა და მარიამი დაინახა, სახედარზე მჯდომი, მის წინ კი – ბიჭუნა, ვირზე კაცურად ამხედრებული და წამით მოეჩვენა, რომ ეს მისი ძე იყო, ხოლო თავის ცოლს, ქალების გუნდის თანხლებით წინ რომ მოიწევდა, თითქოს პირველად ხედავდა.

ყურებში ისევ სიმონის უცნაური სიტყვები ჩაესმოდა, მაგრამ მაინც არ სჯეროდა, რომ ქალზე ამდენი რამაა დამოკიდებული, ყოველ შემთხვევაში, მის ცოლს არასდროს არაფრით, სულ მცირედითაც კი არ მიუნიშნებია, რაღაი ქალი ვარ, მნიშვნელოვანი და განსხვავებული ვინმე ვარო. მაგრამ უცებ მკვეთრად მოტრიალდა, რამეთუ ის მათხოვარი და მისი მანათობელი მიწა გაახსენდა, აკანკალდა და აცახცახდა თხემით ტერფამდე, თმა ყალყზე დაუდგა და ჟრჟოლამ დაურბინა ზურგზე, კვლავ გაიხედა ცოლისკენ და თვალნათლივ დაინახა, დიახაც, საკუთარი თვალით დაინახა მის გვერდით ძალიან მაღალი კაცი, იმსიმაღლე, რომ ირგვლივ შემოჯარული ქალები მხრებამდეც კი ვერ სწვდებოდნენ და ამ ნიშნით უმალ შეიცნო ის მაწანწალა, რომლის დანახვაც მაშინ ვერასდიდებით ვერ მოახერხა. ერთხელაც შეხედა, მაგრამ ის მთელი თავისი გარდაუვალობით მოაბიჯებდა ქალების გუნდთან ერთად, რაც შეუძლებელი იყო და მას იქ აღმოცენება არსაიდან არ შეეძლო. იოსებს მოუნდა, სიმონისთვის ეთხოვა, ერთი უკან გაიხედეო, რათა ეს სასწაული უარეყო ან დაედასტურებინა, მაგრამ ამასობაში ბერიკაცი დაწინაურებულიყო – სათქმელი თქვა და ახლა ცდილობდა, თავისიანებს წამოსწეოდა, წინასწარმეტყველის როლი ამოეწურა და კვლავაც საგვარეულოს უხუცესის სტატუსი დაებრუნებინა. ჰოდა, დურგალმა, მოწმეები რაკი ვერ ნახა, გადაწყვიტა, საკუთარ თვალებს მინდობოდა და ერთხელაც გაიხედა თავისი ცოლისკენ.

მაგრამ მარიამის გვერდით აღარავინ იყო.

სამხრეთის მიმართულებით კვეთდნენ სამარიას და სამხედროების ენით რომ ვთქვათ, ფორსირებული

მარშით მიიწევდნენ წინ, თან ცალი თვალით გზას გასცქეროდნენ, მეორეთი კი გარემოს ზვერავდნენ, რამეთუ ადგილობრივ მცხოვრებთა მხრიდან მტრობას თუ არა, არაკეთილგანწყობას მაინც ელოდნენ, რადგან აქაურები ვერაგები იყვნენ, თანაც ყელამდე ჩაფლულიყვნენ იმ ასურელი ლტოლვილების ერესში, ნინევიის მეფე სალმანასარის დროიდან რომ ჩამოსახლებულიყვნენ ამ მხარეში მას შემდეგ, რაც ისრაელის თორმეტი ტომი განდევნეს და მიმოფანტეს, და მათ შორის ბევრი იუდეველი იყო, მაგრამ უფრო მეტი – წარმართი, რომლებიც თავიანთ რჯულის კანონად მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეულს აღიარებდნენ და ამტკიცებდნენ, უფალმა თავისი ტაძრისთვის იერუსალიმი კი არა, ჩვენს მიწაზე აღმართული ხერეზინის მთა აირჩიაო, წარმოგიდგენია?

ძალიან კი ჩქარობდნენ, მაგრამ ორი ღამის გათევა მაინც ტრიალ მინდორში მოუწიათ. დარაჯებს აყენებდნენ, რათა სამარიტელები არ მიჰპარვოდნენ – მათგან ხომ ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ყველაფერს იკადრებდნენ, წყურვილით მომაკვდავ ადამიანს ყლუპ წყალს არ დაალევინებდნენ, თუნდაც ეს მომაკვდავი ძირძველი იუდეველი ყოფილიყო, ხოლო რაც შეეხება ყველასთვის ცნობილ გამონაკლისს[1], ის სწორედ იმიტომაა გამონაკლისი, რომ საყოველთაო წესი დაადასტუროს. და ჩვენი მგზავრები ისეთ განგაშს მოეცვა, რომ კაცები, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ორად გაიყვნენ, წინიდან და უკნიდან აეფარნენ ქალებსა და ბავშვებს, შეურაცხყოფისა და ეგება უარესისგანაც რომ დაეცვათ ისინი. მაგრამ იმხანად სამარიტელები რატომღაც მშვიდობიან გუნებაზე დამდგარიყვნენ და ჩვენს გალილეველებს გზად რომ ხვდებოდნენ, ავ მზერასა და სალანძღავ სიტყვებსღა სჯერდებოდნენ, თორემ ჩასაფრება და დამფრთხალ, უიარაღო ადამიანებზე თავდასხმა ან ქვების დაშენა აზრადაც არ მოსვლიათ. რამალას მახლობლად, იქ, სადაც ყველაზე ღრმად მორწმუნეთა, ანდა ყველაზე კარგი ყნოსვის მქონე ადამიანთა მტკიცებით უკვე იგრძნობოდა იერუსალიმიდან მოფრქვეული სიწმინ-

[1] იგულისხმება კეთილი სამარიტელის იგავი (ლუკას სახარება, 10: 30-36) (აქ და შემდეგ მთარგმნელის შენიშვნა).

დის კეთილსურნელება, თანამგზავრებს სიმონი გამოეთხოვა თავისიანებთან ერთად, რადგანაც – და ამის შესახებ ჩვენ ზემოთ მოგახსენეთ კიდევაც – მათ ერთ აქაურ სოფელში უნდა გაევლოთ აღწერა. ერთმანეთს შუა გზაზე დაემშვიდობნენ, კეთილი მგზავრობა უსურვეს და დალოცეს, სიმონის ოჯახობის ქალებმა მარიამს ათასი რჩევა-დარიგება დააყარეს, რომელთაგან თითოეული გამოცდილების შედეგი გახლდათ, და ასე განშორდნენ ერთმანეთს: ერთნი დაბლობისკენ დაეშვნენ, სადაც ოთხდღიანი მგზავრობის შემდეგ მოსვენება ეღირსებოდათ, სხვები კი რამალასკენ გაეშურნენ იქაურ ფუნდუკში ღამის გასათევად. აი, იერუსალიმში კი სხვა ნაზარეთელებთან გამომშვიდობებაც მოუხდებათ, რომელთა უმრავლესობაც ბერშევასკენ აიღებს გეზს და კიდევ ორი დღის სავალს გაილევს, ხოლო დურგალსა და მის ცოლს კიდევ უფრო შორით მოუწევთ გზის გაგრძელება – ბეთლემამდე. გამოსათხოვარი დარიგებებისა და ხვევნა-ჩახუტების კორიანტელში იოსებმა სიმონი გვერდზე გაიყვანა და სრული პატივისცემით ჰკითხა, ამასობაში კიდევ რამე ხომ არ გაგხსენებია იმ შენი ხილვისაო. აკი გითხარი, ხილვა არ ყოფილა-მეთქი. რაც იყო – მინდა ვიცოდე, რა ბედი ელის ჩემს ვაჟს. შენ საკუთარი ბედის ცოდნაც კი არ ძალგიძს, თუმცა კი აგერ დგახარ და მელაპარაკები, და როგორღა გინდა იმის ბედი იცოდე, ვინც ჯერ არც კი დაბადებულაო. სულიერი ხედვა უფრო შორს იყურება, ამიტომაც ვიფიქრე, რომ შენ, ვისაც ღმერთმა ის დაანახა, რასაც მხოლოდ რჩეულნი ხედავენ, ისეთი სიღრმე იხილე, სადაც ჩემთვის უკუნის მეტი არაფერი მოჩანსო. და ეგება შენი შვილის ბედზე რაიმეს ცოდნა სულაც არ გიწერია, ეგება შენი საკუთარი ბედისწერა უფრო მალე აღსრულდეს, ასე რომ, შეკითხვებს ნუ სვამ და

ნურაფერს მარჩიელობ, დღევანდელი დღით იცხოვრეო. და ამ სიტყვებით სიმონმა მარჯვენა ხელი თავზე დაადო, ძლივსგასაგონად და გაურკვევლად ჩაიბუტბუტა კურთხევის სიტყვები და გასწია თავისიანებისკენ, რომლებიც მის მოლოდინში შეჩერებულიყვნენ. დაკლაკნილი ბილიკით დაეშვნენ დაბლობისკენ, სადაც მოპირდაპირე ფერდობის ძირას დაუმარხავი ძვლებივით მიწიდან ამოჩრილ ქვებს შორის უხილავად ჩაწნულიყო სიმონის სოფელი. იოსებს მეტად აღარაფერი სმენია მოხუ-

ცის შესახებ გარდა იმისა, რომ ის ჯერ კიდევ აღწერამდე გარდაცვლილიყო – თუმცა ეს ამბავიც გაცილებით გვიან შეიტყო.

ორი ღამის განმავლობაში საბნად ცა ეხურათ და ვარსკვლავებით თბებოდნენ, რამეთუ მოულოდნელი თავდასხმის შიშით კოცონიც კი არ დაუნთიათ, და აი, როგორც იქნა, ეღირსათ ფუნდუკის სიმყუდროვე. ქალები მარიამს ვირიდან ჩამოსვლაში დაეხმარნენ და თანაგრძნობით ჩაილაპარაკეს, საცაა უნდა იმშობიაროო, და საბრალო მარიამმა პასუხად ჩაიჩურჩულა, ჰო, ალბათ მართლა ძალიან მალეო, უეცრად და სწრაფად მზარდი მუცელი თითქოს კიდევ მეტად გაეზარდაო (ეგება ეჩვენებოდა?), რაც უტყუარად ადასტურებდა მოახლოებულ შობას. ქალებმა რაც შეიძლებოდა კარგად დააბინავეს, მყუდრო კუთხე მიუჩინეს, მერე კი დაგვიანებულ ვახშამზე ზრუნვას შეუდგნენ. საჭმელად უკლებლივ ყველა შეიკრიბა, მაგრამ ამჯერად უხმოდ შეექცეოდნენ, თქმულებებს არ იხსენებდნენ, ცხოვრებისეულ ისტორიებს არ ჰყვებოდნენ, – არა, იერუსალიმის სიახლოვე თითქოს დუმილს ავალებდაო, თითოეული საკუთარ თავს ჩაღრმავებოდა და ეკითხებოდა: ვინა ხარ, ასე რომ მგავხარ, შეუცნობელოო? მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამას ხმამაღლა ამბობდნენ, ადამიანები უმიზეზოდ საკუთარ თავს ხმამაღლა როდი ესაუბრებიან, და ფიქრიც არ იყო მთლად გაცნობიერებული, თუმცა ერთი კი ცხადია: ვინმეს რომ ცეცხლზე თვალმიშტერებული ამ უტყვი ფიქრების ახმოვანება მოენდომებინა, ზუსტად ამ სიტყვებს გავიგონებდით და სათქმელიც ამომწურავად ითქმოდა. იოსები იმ ადგილიდან, სადაც იჯდა, ცოლის პროფილს ხედავდა, აბრწყინებულს კოცონის მოწითალო ათინათებით, რომლებსაც რბილი შუქ-ჩრდილით მოეხატათ ეს სახე და უცებ გაიფიქრა, და თავისივე მოულოდნელმა ფიქრმა გააკვირვა კიდეც, – ლამაზი ქალიაო: ჰო, ქალიო, თუმცა სახე ნახევრად ბავშვური ჰქონდა; ლამაზიო, თუმცა სხეულს მოქნილობა დაეკარგა, მაგრამ ხომ ახსოვდა, რა მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა, და, რაღა თქმა უნდა, მალე კვლავ ძველებურ იერს დაიბრუნებდა.

გაიფიქრა თუ არა ეს, იოსებს იმწამს თავს დაატყდა მრავალთვიანი თავშეკავების შედეგი, სისხლში გაიჯეჯილა, მთელ სხეულს ტალღებივით გადაუარა, ისეთი გადაულახავი სურვილი მოეძალა, რომ გონება

დაუბნელდა, მერე კი, წარმოსახვით კიდევ უფრო მეტად გაძლიერებული და გამაგრებული, ბუნდოვანებიდან და მერყეობიდან ურყევად განივთდა და იქვე დაბრუნდა, სადაც დაიბადა. უცებ მოესმა, როგორ ჩაიკვნესა მარიამმა, მაგრამ როდი მიეახლა. გაახსენდა – და ამ გახსენებამ ყინულოვანი წყალივით მყის გაუგრილა ვნებიანი ცეცხლი, – ორი დღის წინ როგორ გაიელვა მარიამის გვერდით იმ მათხოვარმა, რომელიც იმ დღიდან აეკიდათ, რაც მარიამის ფეხმძიმობა გასაცნაურდა; დიახაც, აეკიდათ, რამეთუ მართალია, იმ დღიდან გუშინწინდლამდე იოსებს მისთვის თვალი არ მოუკრავს, მაგრამ უეჭველია, მთელი ამ ცხრა თვის მანძილზე ეს იდუმალი მაწანწალა მოუშორებლად ჩართულიყო მისი ცოლის ზრახვებში. ვერ უბედავდა ეკითხა, ვინ იყო ის კაცი შენ გვერდითო, მერე სად გაქრა-გაუჩინარდაო, ვერ

უბედავდა, რადგან იმ პასუხის ეშინოდა, რომელსაც ელოდა. ჰო, ეშინოდა, ეშინოდა გაოცებული ქალის სიტყვების: კაცი? ვინ კაცი? რა კაცი? ხოლო თუ გაჯიუტდებოდა, ცოლი უეჭველად თანამგზავრ ქალებს დაიმოწმებდა, აგერ ამათ ვკითხოთ, ვინ კაცი, რა კაციო. და ისინიც ერთხმად განაცხადებდნენ, არ იყოო, და აღშფოთებით მოჰყვებოდნენ თავების ქნევას და მათგან ყველაზე ენაწაგდებული უეჭველად იტყოდა, ამქვეყნად ყველა კაცს თავში ერთი და იგივე უტრიალებსო. მხოლოდ ერთ რამეს ვერ ხვდებოდა იოსები – მისი ცოლი მარიამი უეშმაკოდ გაიოცებდა, რამეთუ მართლა არავითარი მაწანწალა არც ცხადად და არც წარმოსახვით არ ეყოლებოდა დანახული, არც ხორციელი და არც მოჩვენება. და ეგ როგორ, როცა ჩემი თვალით დავინახე შენ გვერდით?! – ჰკითხავდა იოსები და მარიამი მტკიცედ მიუგებდა: უთქვამთ, კანონი ქმრის მორჩილებას ავალებს ცოლსო, ყოველმხრივ პატივისცემასო, ამიტომ აღარ გავიმეორებ, ჩემ გვერდში არ ყოფილა ვიღაც მამაკაცი-მეთქი, რაკიღა შენ საპირისპიროს მიმტკიცებ, არამედ მხოლოდ იმასღა გეტყვი – არავინ დამინახავს. სწორედ ის მაწანწალა იყო! კი მაგრამ, საიდან იცი, თუკი იმ დღეს, ჩვენ რომ მოგვიკაკუნა, თვალის შევლებაც ვერ მოასწარი? ეგ იყო, სხვა ვინ იქნებოდა! რატომ ვითომ – მიდიოდა ვიღაც კაცი თავის გზაზე, ცოტა უფრო ნელი ნაბიჯით, ვიდრე ჩვენ, ჰოდა, გადავასწარით – ჯერ თქვენ – კაცებმა, მერე კი ჩვენც – ქალებმა. მე რომ დამიმხარგვერ-

დდა, შენ შემთხვევით სწორედ იმწამს გამომხედე, ეგ იყო და ეგ, მეტი არაფერი. ესე იგი, ადასტურებ, რომ იყო?! არა, უბრალოდ, როგორც შეგნებულ ცოლს შეშვენის, შენს მოსაწონ ახსნას ვეძებ. ძილმორეული იოსები მიბლეტილი თვალებით უცქერის ცოლის სახეს და ცდილობს, სიმართლე ამოიკითხოს, მაგრამ მთვარის უკანა მხარესავით ჩაბნელებულა იგი და ჩანავლული კოცონი მკრთალი ათინათით თხელ არშიას ავლებს პროფილზე. იოსებს თავი მკერდზე ჩამოუვარდა, თითქოს საბოლოოდ დაიჯერა, ამ ამოცანას ვერ ამოვხსნიო და ძილში აი, ასეთი აბდაუბდა წაიღო: ის კაცი მისი ჯერარშობილი ძე იყო, მომავლიდან მოსული იმის სათქმელად, აი, ასეთი ვიქნებიო, მაგრამ შენ მაშინ უკვე ვეღარ მნახავო. სძინავს იოსებს, მორჩილად და ნაღვლიანად იღიმება, თითქოს ამ გამოუთქმელი აზრის შესახებ მარიამის პასუხს ისმენსო: ღმერთმა არ ქნას, რომ ასე იყოს, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი – იმ უბედურს თავშესაფარიც არ გააჩნია. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: ბევრი რამ ქვეყნად მანამ გაცხადდებოდა, ვიდრე ამ ბევრი რამიდან სხვა მოვლენები გამოედინებოდნენ, თუკი ქმრები და ცოლები ერთმანეთთან ისე ლაპარაკს დაეჩვეოდნენ, როგორც ეს ქმრებსა და ცოლებს შეეფერებათ.

მეორე დღეს ადრიანად დაიძრა იერუსალიმისაკენ მრავალი იმათგანი, ვინც ღამე ფუნდუკში გაათია, მაგრამ ამჯერად ისე გამოვიდა, რომ იოსები, მართალია, ბერსავიაში მიმავალ თანამემამულეებს თვალს არ აცილებდა, მაგრამ იმავდროულად თავისი ცოლის გვერდით აღმოჩნდა და მისი უზანგის გასწვრივ ზუსტად ისე მიაბიჯებდა, როგორც სამი დღის წინ ის მაწანწალა თუ მოკლედ, ვინც იყო. სხვათა შორის, იოსებს ამ წუთებში სულაც არ სურდა იმ კაცზე ფიქრი: სულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, ღვთისგან უზენაესი მადლი მებოძა და ჩემი ჯერ არდაბადებული ვაჟიშვილი ვიხილეო, თანაც ჩანასახად კი არა, უმწეო ჭუპრად კი არა, ყვირილით რომ ტვინს წაგიღებს და უსიამოვნო სუნი ასდისო, არამედ ჩემზეც და ყველა ჩვენს თვისტომზეც ერთი თავით მაღალ, ზრდასრულ მამაკაცადო. იოსები ბედნიერია, რომ ახლა საკუთარი ვაჟის ადგილას მიაბიჯებს და მამადაც აღიქვამს თავს და ძედაც და გრძნობა ესე იმოდენა ძალას იძენს, რომ კაცს უცაბედად ავიწყდება კიდეც: აკი მისი

შვილი, თავის ფეხით თუ არა, დედის წიაღში მჯდომი ხომ მაინც მიემართება იერუსალიმისაკენ.

იერუსალიმი, იერუსალიმი! – გაჰყვირიან ღვთისმოსავი მგზავრები, როცა მათ მზერას დაბლობის მოპირდაპირე ფერდობზე ზეციურ ზმანებასავით წარმოუდგება ქალაქი – სამყაროს ცენტრი – შუადღის კაშკაშა მზის შუქზე ბროლის გვირგვინივით მირიადი ათინათით აელვარებული, დაისის სხივებში ოქროსფრად მბრწყინავი (ეს ყველას გაგვიგონია), ხოლო სავსემთვარეობისას რძისებრ სპეტაკად მოქათქათე იერუსალიმი! იერუსალიმი!

და ტაძარი ისე გამოჩნდება, გეგონება, უფალმა ზეციდან ეს წუთია ჩამოდგაო, და იდუმალი ქროლვა, თმებზე, ღაწვებზე, ტანისამოსზე რომ მოელამუნება მომლოცველებსა და უბრალო მგზავრებს, ეგება ღვთის ხელის ერთმა აქნევამ აღძრაო და თუ ცაში ღრუბლებს ყურადღებით დააკვირდებით, ვინ იცის, კიდევაც შენიშნოთ ეს ვეებერთელა, ცადმიმავალი ხელი, თიხით მოსვრილი თითები, ადამიანებისა და სამყაროს სხვა ყოველი სულიერის სიცოცხლისა და სიკვდილის ხაზებით დაზოლილი ხელისგული, და თვით – უკვე დროა ამის შესახებაც შევიტყოთ – თვით ღმერთის სიცოცხლისა და სიკვდილის ხაზებითაც. ზეაღაპყრობენ მგზავრები გრძნობით აღვსავსე აცახცახებულ ხელებს ზეცისკენ, აღმოხდებათ ბაგეთაგან დიდების სიტყვები, არაერთხმოვნად, რამეთუ თითოეული საკუთარ აღმაფრენაშია დანთქმული, ზოგიერთი ბუნებით თავშეკავებულიცაა და მძაფრი გრძნობებისგან უძრავად ქვავდებიან, ცას მიშტერებიან, ლოცვას კი მშრალად და მკაცრად გამოთქვამენ, გეგონება, ამგვარი წუთის დადგომა უფალთან, როგორც თანასწორთან საუბრის უფლებას აძლევსო.

გზა რბილად ეშვება თავქვე და რაც მეტად უახლოვდებიან მგზავრები დაბლობს, რათა მერე ერთხელაც შეუდგნენ აღმართს, რომელიც მათ ქალაქის კარიბჭესთან მიიყვანს, სულ უფრო და უფრო თვალნათლივ აღიმართება თვალწინ ტაძარი, დიდდება და იზრდება პერსპექტივის წესების თანახმად, ნელ-ნელა უფრო და უფრო ფარავს ანტონიუსის კოშკს, რომელშიც ამ მანძილიდანაც კი შეიმჩნევა დარაჯი ლეგიონერების სილუეტები – აალდება მზის შუქზე და მყის ჩააქრობს აბჯარ-იარა-

ღის ლითონიდან არეკლილ ბრწყინვას. სწორედ აქ გამოეთხოვა ჩვენი წყვილი ნაზარეველებს, რამეთუ მარიამი დაიღალა და იმ სწრაფ ჩორთს ვერ გაუძლებდა, რომლითაც მის ბედაურს უნდა ევლო, თანამგზავრების მხარდამხარ სვლა რომ დასჭირვებოდა, რადგან იმათ ქალაქის დანახვისთანავე ნაბიჯს აუჩქარეს და ლამის სირბილზე გადავიდნენ. ჰოდა, დარჩნენ იოსები და მარიამი გზაზე მარტონი – ქალი ცდილობს, უკანასკნელი ძალა მოიკრიბოს, კაცს კი ეს იძულებითი შეფერხება აღიზიანებს, გზის მიწურულს რომ მოუხდათ, მიზანთან სულ ცოტაღა რომ რჩებოდა.

შვეული სხივები მდუმარედ კრთიან, გარს ევლებიან დურგალსა და მის ცოლს. და სწორედ იმწამს კვნესა აღმოხდა მარიამს. რაო, გტკივა? – შეშფოთებით ეკითხება ცოლს იოსები. მტკივა, პასუხობს ქალი, მაგრამ იმავ წამს სახე ეცვლება, უნდობლობა გადაეფინება ზედ, თითქოს რაღაც აზრმიუწვდენელს გადაჰყრიაო: მას კი არ სტკივა, – თუმცა, როგორ არა, მასაც, – ეს ტკივილი სხვისგან გადმოეცემა, ვიღაცისგან კი არა, ბავშვისგან, მის წიაღში რომ დავანებულა. მაგრამ განა შესაძლებელია სხვისი ტკივილი საკუთარივით იგრძნო – ეგებ მთლად სწორად და სწორი სიტყვებით არ აღვწერთ ამ ამბავს, – იგრძნო, როგორც ექო, რომელიც უხილავი აკუსტიკური ანომალიის წყალობით თვით წარმომშობ ბგერაზე მკვეთრი და

ხმამაღალი გამხდარა. რაო, ისევ გტკივა? – ფრთხილად, დადებითი პასუხის შიშით ეკითხება იოსები, მარიამმა კი არც იცის, რა უპასუხოს, „ჰო“ რომ უთხრას, ტყუილი იქნება და არც „არა“ იქნება მართალი, ამიტომაც არაფერს ამბობს, ტკივილი კი არ ქრება, აქაა, მარიამი გრძნობს მას, ოღონდ ვერ ჩაერევა, გრძნობს მხოლოდ, უცქერს საკუთარ წიაღში ტკივილით შეპყრობილ ჩვილს და ვერ კი უმსუბუქებს, რამეთუ შორსაა მისგან. იოსები ვირს არც სიტყვით აშურებდა, არც – მათრახით, პირუტყვმა უეცრად თვითონ უმატა ჩორთით სვლას იერუსალიმისკენ ამავალ ციცაბო აღმართზე, მოხერხებულად და მსუბუქად წაიწია, თითქოს ვიღაცას უხილავად ეთქვას, მალე ნანატრ საჭმელსა და დასვენებას ეღირსებიო, თუმცა ის კი არ იცოდა, რომ წინ ჯერ კიდევ ბეთლემამდე არცთუ მოკლე გზის მონაკვეთი ჰქონდა გასავლელი და როცა იქ ჩააღწევდა, მერეღა მიხვდებოდა, ცხოვრება რომ ისეთი იოლი არაა, როგორიც გვგო-

ნია, და, რაღა თქმა უნდა, იულიუს კეისარმა კი შესძახა დიდების ჟამს – მოვედი, ვნახე, გავიმარჯვეო, მაგრამ ბევრად უარესი ის იყო, მალე სიკვდილს რომ უსწორა თვალი შვილის სახით და კი არ გაიმარჯვა, არამედ მოკვდა, და არაფერია დამამშვიდებელი იმაში, რომ ღვიძლი შვილის კი არა, მხოლოდ შვილობილის ხელით განიგმირა. ოდითგანვე გაჩაღებულა და, ისეთი პირი უჩანს, არც მალე დასრულდება მამათა და შვილთა ომი, ბრალის მემკვიდრეობით გადაცემა, სისხლის სმა და უმანკოთა მსხვერპლად შეწირვა.

ქალაქის კარიბჭეს რომ გასცდნენ, მარიამმა ერთხელაც ვეღარ შეიკავა კვნესა – ამჯერად ისე გამყინავი, გეგონებოდა, შუბი აძგერესო. მაგრამ ეს მხოლოდ იოსებმა გაიგონა, რამეთუ კედელთან გამართულ ბაზრობაზე ხალხსა და პირუტყვს ყურისწამღები გნიასი გაჰქონდათ, – თუმც კი პირუტყვს ბევრად ნაკლები, – და ისეთი ღრიანცელი იდგა, საკუთარ ხმასაც ძლივს თუ გაიგონებდი. დურგალმა კეთილგონიერებას უხმო: სიარული აღარ შეიძლება, მოდი, აქვე სადმე თავშესაფარი მოვნახოთ, ხვალ კი ბეთლემში წავალ, აღწერაზე, ვიტყვი, მშობიარობას რომ ელოდები, და თუ საჭირო გახდება, შენც მოხვალ, როცა მოილოგინებ, მე ხომ არ ვიცი, რა კანონები აქვთ იმ რომაელებს, ეგება ოჯახის თავიც იკმარონ, მით უფრო, ჩვენს შემთხვევაში. მარიამმა კი მიუგო: უკვე გამიარა. და მართალიც თქვა: ტკივილი შუბს მეტად აღარ აძგერებდა, მხოლოდ ქინძისთავივითღა ჩხვლეტდა, ჯვალოსავით ხეხავდა და თუმც გამუდმებით თავს ახსენებდა, მაინც სავსებით ასატანი იყო. იოსებმა შვებით ამოისუნთქა, მშობიარე ქალისთვის თავშესაფრის საძებრად იერუსალიმის შუკა-ლაბირინთებში ბოდიალი აღარ მომიწევსო. არ იმჩნევდა, თორემ მის მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი მამაკაცის დარად, იოსები შიშს ჰყავდა ატანილი. ჩავალთ ბეთლემშიო, ფიქრობდა იგი, ნაზარეთივით მიყრუებული ადგილია, იქ ყველაფერი უფრო იოლად მოგვარდება: პატარა ქალაქებში ყველა ერთმანეთს იცნობს და მოყვასის დახმარებაც უფრო ემარჯვებათო. მარიამმა კი კვნესა შეწყვიტა – ესე იგი, ან ტკივილი გაუყუჩდა, ან მოთმენას ახერხებს, ასეა თუ ისე, ბეთლემისკენ სვლაა საჭირო. სახედარს გავაზე ხელისგული მოხვდა, რაც, თუ დავუფიქრდებით, ამ წარმოუდგენელ ჯგლეთაში ჩლიქების უფრო ჩქარა გადგმის ყოვლად

შეუძლებელ ბრძანებას კი არ ნიშნავდა, არამედ ლოდმოხსნილი გულის მოძრაობა უფრო გახლდათ. ვიწრო შუკები ხალხით იყო გაჭედილი და ყველა რასის, ტომისა და ჯილაგის ადამიანებით გადავსებული და გასასვლელიც რაღაც ჯადოსნობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიხსნებოდა ხოლმე, თუ სადმე სიღრმეში რომაელთა რაზმი ან აქლემების ქარავანი დაილანდებოდა და ბრბოც მაშინვე წითელი ზღვის მსგავსად აქეთ-იქით გაიწეოდა. თუმცაღა ნელ-ნელა, მოთმინებითა და სიმტკიცით ნაზარეთელმა წყვილმა და მათმა ვირუკამ გააღწია ამ

გადარეული, მოფუთფუთე, ხელთამქნეველი ბრბოს მორევს, სადაც `იყიდე-გაყიდეს~ მეტი არავის არაფერი ახსოვდა, ასე რომ, სულაც არ იყო საჭირო ამ ხალხს სცოდნოდა – ეგე, ეგერ, ე – დურგალი იოსები და მისი ცოლიო, ცხვირზე წამომჯდარი მუცლითო, მარიამი ჰქვიაო, გზა ბეთლემისკენ აქვთ აღწერისთვისო, და თუ ბოლობოლო რომაელთა ხელისუფლების ამ კეთილმყოფელ ზრუნვაში არანაირი ხეირი არა ყრია, ეს იმიტომ, რომ ეტყობა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ხალხს სულ ერთნაირი სახელები ჰქვია და ამ ბრბოში ყოველი ფეხის ნაბიჯზე ყველა ასაკისა და წარმომავლობის იოსებსა და მარიამს შეხვდები და ალბათ ჩვენი გმირები ერთადერთნიც არ არიან, ვინც პირმშოს ელოდება; დაბოლოს, ბარემ ყველაფერი რომ ვთქვათ, ისიც დავძინოთ – გასაკვირიც არაა, რომ სადმე ახლომახლოში, იმავე დროს, ეგება იმავე ქუჩაზეც ორი ბიჭი მოევლინოს ქვეყნიერებას ღვთის მადლით, აი, ბედ-იღბალი კი თითოეულს თავისი ექნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაშინდელი პრიმიტიული ასტროლოგიის კვალობაზე ორივე ახალშობილს ერთსა და იმავე სახელს დავარქმევთ – ვთქვათ, იეშუას, ანდა, სხვაგვარი გამოთქმით – იესოს. და ნურავინ გვეტყვის, თითქოს სული გვისწრებს და მოვლენებს ვახტებით, რაკიღა უკვე სახელებს ვარქმევთ ჯერ დაუბადებელ ბავშვებს; ეს ჩვენი ბრალი არ არის – ნაზარეთელ დურგალს მოჰკითხეთ, რადგანაც დიდი ხნის წინ აიჩემა, ჩემს პირმშოს სწორედ ეს სახელი უნდა ერქვასო.

და იერუსალიმის სამხრეთ კარიბჭიდან გასულმა მგზავრებმა ბეთლემისკენ აიღეს გეზი, ხარობდნენ მიზანთან მიახლოებისა და ესოდენ რთულ-ვრცელი წოწიალის შემდგომ მოსალოდნელი დასვენების გამო,

მაგრამ საბრალო მარიამს დასვენება კი არა, სხვა, თუმც არანაკლები სიძნელეები მოელის – მან, და არავინ სხვამ, უნდა შვას თავისი პირმშო და მხოლოდ უფალმა უწყის, სად და როგორ მოხდება ეს. რამეთუ – თუმც კი ბეთლემი, თუ წმინდა წერილს მივენდობით, დავითიანთა გვარის სამკვიდრებელი გახლდათ, რომელსაც იოსები თავის თავს მიაკუთვნებდა, აქ იმ დროისათვის ნათესავთა ნაწილი უკვე გარდაცვლილიყო, სხვათა შესახებ კი იოსებს არავითარი ცნობა არ მოეპოვებოდა, და ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს აქვე, გზაზევე დიდი ალბათობით ვივარაუდოთ ის სიძნელეები, რომლებიც დურგალსა და მის ცოლს თავშესაფრის ძებნაში შეექმნებათ – დამეთანხმეთ, პირველსავე შემხვედრ კარზე ხომ არ მიაკაკუნებს: მიგვიღეთ, ჩემი ვაჟი საცაა დაიბადებაო, რის პასუხადაც ღიმილით სახეგანათებული მავანი დიასახლისი მიუგებს, მოდი, მოდი, ღრმად პატივცემულო იოსებ, აგერ უკვე წყალიც გაგიცხელეთ და ჭილოფიც დაგიგეთ, და სუფთა თეთრეულიც დაგახვედრეთ და თავი საკუთარ სახლში იგულეო. ასე მხოლოდ იმ ოქროს საუკუნეში იქნებოდა, როცა მგელი ბატკნის სიცოცხლის გადასარჩენად მინდვრის ბალახბულახით იკვებებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ სასტიკ დროებაში ვცხოვრობთ, რკინის საუკუნეში, და სასწაულების ჟამი ან წარსულს ჩაბარდა რახანია, ან კიდევ ჯერ არ დამდგარა, თუმცა, ყველაფერ ამას რომ თავი დავანებოთ, სასწაულებში არც არაფერია სახეირო, რაგინდ რასაც უნდა ამბობდნენ მათ შესახებ, რადგან სასწაულებზე ლაპარაკისას ადამიანები ლოგიკას და საგანთა შინაგან ბუნებას ყირამალა აყენებენ, ეგება ეს ლოგიკა და ბუნება რამენაირად გავაუმჯობესოთო. იოსებს სურს, ნაბიჯი შეანელოს, იქნებ როგორმე ამ სიძნელეებთან შეხვედრა გადავივადოო, მაგრამ აზრი იმის შესახებ – ყველაზე დიდი სიძნელე ისაა, მოვახერხო, რომ ემანდ ბიჭი ტრიალ მინდორზე არ დამებადოსო, – აიძულებს, სახედარი ააჩქაროს, ხოლო ის საცოდავი თუ როგორ დაიღალა, ეს თვით მან (ვირმა) იცის ყველაზე უკეთ, რადგანაც ღმერთმა, თუკი რამ ასეთი იცის, მაინც არაფერს ნიშნავს, რადგან ღმერთი მხოლოდ ადამიანებზე უნდა ზრუნავდეს,

ისიც მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, ვინც პირუტყვივით ცუდად ცხოვრობს, ან სულაც პირუტყვზე უარესადაც, მან კი (ღმერთმა) თით-

ქოსდა ამის დასანახად და სათანადო ზომების მისაღებად აქამდე ვერ მოიცალაო.

იოსებს დაახსომდა, რომ ნაზარეთიდან ჯერ კიდევ ახალგამოსულები იყვნენ, როცა ერთ-ერთმა მგზავრმა თქვა, ბეთლემშიც არის ერთი ფუნდუკიო, ანუ ეს ყოვლად სასარგებლო საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც სწორედ ისეთი პრობლემების მოსაგვარებლადაა გამიზნული, რომელსაც ესოდენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ, მაგრამ თვით საკმაოდ გაუთლელ დურგალსაც კი გააჩნია სირცხვილის გარკვეული გრძნობა – წარმოიდგინეთ, რა უნდა განეცადა, როცა მისი ცოლი, ქვეყნის სასეიროდ გამოფენილი, საყოველთაო ცნობისმოყვარეობის საგნად და საჩოთირო ხუმრობების სამიზნედ იქცეოდა, და ამ ხუმარათა შორის იქნებოდნენ უარესნი – ჯორებისა და აქლემების მეხრეები, ისეთივე ხეპრეები, როგორც ისინი, ვისი მეხრეებიც იყვნენ და კიდევ უარესებიც, რამეთუ პირუტყვთაგან განსხვავებით დამატებით პირმეტყველნიც გახლდნენ.

და ამის გახსენებაზე განსაჯა იოსებმა, რომ სინაგოგის უხუცესებისაგან მიღებული რჩევა გამოადგებოდა და საკუთარ თავს უსაყვედურა, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრეო და ახლა, რაკიღა მოიფიქრა, საჭიროდ მიიჩნია, ცოლისთვის ეკითხა, თავს როგორა გრძნობო, თუმცაღა განზრახულის აღსრულება სავსებით მკაფიო მიზეზის გამო არ იჩქარა – გავიხსენოთ, თუ რაოდენ მდაბალი და უწმინდურია ყოველივე ის, რაც ჩასახვიდან შობამდე იმ უფსკრულში, იმ ლაბირინთისმაგვარ წიაღში ხდება, ამა სოფლის ცოდვათა ჭურჭელში, საიდანაც ხან სისხლი იღვრება, ხან შიგანის ნაჟური, ხან ნაყოფსაფარის წყლები, ხან ამაზრზენი მომყოლი და რატომ, უფალო, რატომ ისურვე, რომ საყვარელნი შვილნი შენნი, კაცნი ამ ჭუჭყსა და ლაფში ვიბადებოდეთ, და რამდენად უმჯობესი იქნებოდა შენთვის და ჩვენთვის, რომ გუშინ, დღეს და ხვალ ნათლისა და შუქისაგან შეგექმნა ყოველი ჩვენგანი, უკლებლივ ყველა, განურჩევლად დიდებულისა ბოგანოსაგან, მეფისა – დურგლისაგან, და ოდენ ავაზაკის საშინელი ბეჭდით აღგებეჭდა ისინი, ვინც ზრდასრულობაში ბოროტმოქმედების გზას გვერდს ვერ უქცევდნენ. და იოსებმა, რომელმაც შეკითხვა ამ ერთობ მნიშვნელოვანი მოსაზრებების გამოისობით შეაყოვ-

ნა, ბოლოს და ბოლოს მაინც დასვა იგი – ნახევრად გულგრილი ტონით, როგორც მაღალ მატერიებზე მოფიქრალ კაცს წვრილმანებამდე დაშვებისას შეეფერება: აბა, როგორა ხარ? და ძალიანაც დროულად იკითხა, რადგანაც მარიამმა სწორედ რამდენიმე წამის წინ იგრძნო იმ მიზეზობათა ცვლილება, რომლებსაც განიცდიდა, დიახ, დიახ, სწორად შერჩეული სიტყვაა ეს „განიცდიდა“, ოღონდაც, თუ სიზუსტეს ზედმიწევნით დავიცავდით, უნდა გვეთქვა, რომ მარიამი კი არ განიცდიდა ამ სახეცვლილ მიზეზობას, არამედ პირიქით, ეს მიზეზობანი საბრალო ქალს იქით განცდიდდნენ.

ერთი საათი იარეს და მალე საცაა ბეთლემიც გამოჩნდებოდა. გზა კი, ვინ იცის, რატომ – განა ყოველთვის ყველაფერს მოეპოვება ახსნა – უკაცრიელი იყო მას შემდეგ, რაც ნაზარეთელთა წყვილი იერუსალიმის სამხრეთ კარიბჭეს გამოსცდა და გასაკვირიც გახლდათ ეს ამბავი: ბეთლემი წმიდა ქალაქთან ისე ახლო მდებარეობდა, რომ წესით, ყოველი მხრიდან მავალი ხალხითა და პირუტყვით სავსე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ იმ ადგილიდან მოყოლებული, სადაც იერუსალიმიდან რამდენიმე სტადიის მანძილზე (ერთი სტადია დაახლოებით 185 მეტრია) ბერსაბისა და ბეთლემისაკენ გზა ორად იტოტებოდა, მთელი სამყარო, თუკი სამყაროს ადამიანს შევადარებთ, მობუზულიყო, მოკაკულიყო, თითქოს საბანქვეშ შემძვრალიყო, ჩემმა თვალებმა არავინ დაინახოსო, და მხოლოდ მგზავრთა ნაბიჯის ხმა ისმოდა, როგორც ჩიტების ჭიკჭიკი დაბურული ფოთლებიდან, რომლებიც ჩიტებს ჩვენგან მალავენ, ჩვენ კიდევ – ჩიტებისგან და ალბათ იმათაც ეჩვენებათ, რომ ჩვენ ფოთლებში ვიმალებით.

მიდიან უდაბნოში იოსები, მარიამი და სახედარი, რამეთუ უდაბნო ის არ არის, რაც ჩვეულებრივ გვგონია ხოლმე, უდაბნო უბრალოდ ის ადგილია, სადაც ადამიანები არ არიან, ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადახრუკულ და უსიცოცხლო უდაბნოში შესაძლოა ყველაზე ხალხმრავალი ბრბოს შუაგულში ყოფნის დროსაც აღმოვჩნდეთ. მათგან ხელმარჯვნივ რაქელის სამარხია, ქალისა, რომელსაც იაკობი თოთხმეტ წელს ელოდა: როცა ლაბანთან მსახურების შვიდი წელი გავიდა, ცოლად ლია მიათხოვეს და მომდევნო შვიდწლეულის ბოლოსღა აღირ-

სეს ის, ვინც უყვარდა, ვინც ვაჟის გაჩენას გადაჰყვა, ბენიამინის, რაც ნიშნავს „ძეი მარჯვნისაი“, მაგრამ თვით რაქელმა შვილს ბენონი უწოდა და მართალიც აღმოჩნდა, რამეთუ ეს ნიშნავს „ძეი ჩემი სევდისა~.

და აი, უკვე გამოჩნდა ბეთლემის განაპირა სახლები – მიწისფერნი, ისეთივენი, როგორიც ნაზარეთში, ოღონდაც კაშკაშა შუქში ყვითელი და ფერფლისფერი შერევიათ. ცოცხალ-მკვდარი მარიამი უნაგირზე თავს ძლივს იმაგრებს, ყოველ ნაბიჯზე ცერავდება და ძლივძლივობით სწორდება, ჰოდა, იოსებიც ხელს აშველებს და ისიც მხარზე ეყრდნობა და რა სამწუხაროა, რომ მშვენიერსა და უჩვეულო სცენას დამნახავიც კი არავინ ჰყავს. და აი, შევიდნენ ბეთლემს.

იოსებმა გულისფანცქალით იკითხა, ფუნდუკი სად არისო, გადაეწყვიტა, ჯობს დილამდე იქ დავისვენოთ, რადგან მარიამი ტკივილს კი უჩივის, მაგრამ უახლოეს საათებში ეტყობა არ მოიმშობიარებსო. ფუნდუკი ქალაქის მეორე მხარეზე აღმოჩნდა, როგორც მოსალოდნელი იყო – ჭუჭყიანი და ხმაურიანი – ვერ გაიგებდი, ბაზარი იყო თუ თავლა და თუმც კი ამ დილაუთენია მთლად გადაჭედილიც არ გახლდათ, მყუდრო ადგილი იქ მაინც არ მოიპოვებოდა, საღამოსთვის კი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა, რადგან მეხრეების დიდი ჯოგის შემოცვენა იყო მოსალოდნელი. გამოტრიალდნენ. იოსებმა მარიამი ორ სახლს შორის, ლეღვის ხის ძირას დასვა, თვითონ კი, თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, უხუცესთა საძებრად გაემართა, მაგრამ სინაგოგაში მხოლოდ დარაჯს გადააწყდა, რომელიც იმითღა დაეხმარა, რომ იქვე ეზოში მოთამაშე ბიჭუნებიდან ერთ-ერთს გასძახა, ეს მგზავრი უხუცესთან მიიყვანეო – ანუ, ის თვითონ გაერკვევა და იმას იქმს, რასაც საჭიროდ ჩათვლისო. ზეცას, რომელიც მართალთა მფარველია, – ოდეს იქ მართლებისთვის მოიცლიან, – ისე ნებავდა, რომ იოსებს ამ ახალი საზრუნავის გზაზე კვლავ იქ გაევლო, სადაც ცოტა ხნის წინ ცოლი დატოვა და ამ გარემოებამ მარიამი ჭეშმარიტად გადაარჩინა, რადგანაც ქალი ლეღვის დამღუპველ ჩრდილში იჯდა და კინაღამ საიქიოს გაემგზავრა იმ შეუწყნარებელი გაუფრთხილებლობის გამო, რომელიც ორივემ გამოიჩინა, რამეთუ იმ მხარეში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და სადაც ლეღვის ხეების მეტი რა იზრდებოდა, კი უნდა

სცოდნოდათ, რა სარგებელი და რა ვნება მოაქვს ამ მცენარეს. იძულებულნი იყვნენ, გზა განეგრძოთ უხუცესის საძებრად, მაგრამ მისიანებმა იოსებს უთხრეს, უხუცესი ქალაქში არ არის და არც მალე დაბრუნდებაო. დურგალმა მხნეობა მოიკრიბა და ხმამაღლა იკითხა: ჩვენი ყოვლისმხილველი ღვთის გულისათვის ან ამ, ან სხვა რომელიმე სახლში ჩემი მშობიარე ცოლისთვის თავშესაფარი ხომ არ მოიძევებაო. ერთი კუნჭული მაინც როგორ არ გექნებათ, მეტი არც გვინდა, აგერ, ჩვენი ჭილოფებიც კი გვაქვსო. და კიდევ იმას გთხოვთ, კეთილო ადამიანებო, ბებიაქალი თუ გყავთ ამ სოფელში, ჩემს ცოლს რომ დაეხმაროსო? – და რადგანაც ასეთ, თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ღრმად ინტიმურ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკობდა, საბრალო იოსებს სირცხვილი სწვავდა და აწითლებდა, თან გრძნობდა, რომ წითლდებოდა და ამიტომ კიდევ უფრო მეტად რცხვენოდა და უფრო წითლდებოდა. ჭიშკართან მდგომი მხევალი, ვისაც იოსები ზემოთ მოყვანილი ვედრებისა და პროტესტის ნაზავი სიტყვებით მიმართავდა, შეტრიალდა და სახლს მიაშურა, თუმც მალევე მობრუნდა და პასუხი მოიტანა, აქ ვერ მიგიღებენო და ჯობს, თავშესაფარი სხვაგან ეძებოთო, მაგრამ საეჭვოა, სადმე მიაგნოთ, ამიტომ ჩემმა ქალბატონმა, ამ ოჯახის დიასახლისმა შემოგითვალათ, ყველას აჯობებს, თუ ეიმ მღვიმეებს მიაშურებთ, აგე, შორიახლო მთებში უამრავი რომ არისო. ბებიაქალი სადღა მოვნახოო? – იკითხა იოსებმა. ამაზე მხევალმა უპასუხა, ჩემმა ბატონებმა ნება დამრთეს და თუ თქვენც წინააღმდეგი არ იქნებით, მე დაგეხმარებითო, ამ წლების მანძილზე არაერთ მშობიარობას დავსწრებივარ და ამ საქმის ავანჩავანიც გამეგებაო. ჰოოო, ეტყობა, ერთობ ულმობელი დროება დაგვიდგა – მშობიარე ქალი კარს მოგვდგომია, ჩვენ კი შინ არ ვუშვებთ და მოსალოგინებლად სადღაც გამოქვაბულში ვაგზავნით, გეგონება, დათვი იყოს, ანდა ძუ მგელი. ოღონდაც სინდისი მაინც არ გვასვენებს და აი, ავბრძანდებით, ვუახლოვდებით ჭიშკარს, რომლის იქითაც ისინი დგანან, ვისაც აუცილებლობისა და ერთობ საპატიო მიზეზით თავშესაფარი დასჭირვებიათ, და იმ ქალის ტანჯული სახე ჩვენს ქალურ გრძნობებს ააჩვილებს, ჰოდა, საჭირო სიტყვებსაც გვაპოვნინებს უარის მიზეზების ასახსნელად – აქაოდა, სავსეა სახლი შინაურებით, ვაჟებითა და ასულებით,

შვილიშვილებითა და ბადიშებით, სიძეებითა და რძლებით, ამიტომაც ვერ ვიჩენთ სათანადო სტუმართმოყვარეობას, თუმცაღა აგერ ჩვენს მხევალს ვავალებთ, იმ მღვიმემდე მიგაცილოთ, რომელსაც უწინ ჩვენი პირუტყვის ფარეხად ვიყენებდით, ახლა კი იქ არავინაა და იმედია, მყუდროდ მოეწყობითო, – და, აჰა, წარმოვთქვით ეს ყოველივე და იმ საბრალოების მადლობაც რომ მოვისმინეთ, მშობლიურ კერას მივუბრუნდით, თანაც სული ისეთი სიმშვიდით აღგვევსო, როგორითაც ადამიანს მხოლოდ სუფთა სინდისი თუ აჯილდოებს. სანამ ეს გაქცევ-გამოქცევა, ფორიაქი, დგომა-ლოდინი და კითხვა-პასუხი გრძელდებოდა, ამასობაში კაშკაშა ცა გაიცრიცა და მზე საცაა, აგე, იმ მთის მიღმა გადაინაცვლებს. ხოლო მხევალი – სახელი მისი სალომეა – წინ მიუძღვის, გზას უჩვენებს და პატარა ქვაბით მინავლული მუგუზლები მოაქვს გამოქვაბულში ცეცხლის გასაჩაღებლად, აგრეთვე თიხის ქოთანი წყლის გასაცხელებლად და მარილი ახალშობილის შესაშრობად. ხოლო რადგანაც მარიამს საკუთარი სუფთა ჩვრები ჰქონდა და იოსებსაც ჩანთაში დანა ედო, რომლითაც ჭიპლარს გადაჭრიდნენ, თუკი, რა თქმა უნდა, სალომეა კბილით გადაკვნეტას არ აირჩევდა, გამოდიოდა, რომ ყველაფერი მზად იყო და ჩვილის დაბადებას წინ აღარაფერი ედგა, ბოსელი კი სახლზე ნაკლები ვითომ რით იყო და კიდევ ის, რომ ვინც ბაგაში არასოდეს წოლილა, ვერასოდეს გაიგებს, თუ როგორ ჰგავს იგი აკვანს.

ყოველ შემთხვევაში, ვირი ვერავითარ განსხვავებას ვერ დაინახავს – თივა თვით ზეცაშიც კი თივაა. როცა, როგორც იქნა, იმ მღვიმეს მიაღწიეს, მზე უკვე ძლივსღა აოქროებდა ბორცვთა წვეროებს, ხოლო ასე იმიტომ კი არ შეაგვიანდათ, რომ ბეთლემიდან მღვიმე შორს იყო, – სულაც არ გახლდათ შორს, – არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ მარიამმა, რაკიღა მკვიდრად შეპირებული ნანინანატრი სიმშვიდე, მოსვენება და ტანჯვათაგან გათავისუფლება დაიგულა, ახლა ცას მიმართა – ყველა ანგელოზს შესთხოვდა, მიხსენ და დამიფარეო, რამეთუ საკმარისი იყო, სახედარს კენჭზე ფეხი დააბიჯებინა და ოდნავ შეენჯღრია, ქალს ტკივილისგან გული უჩერდებოდა. ბნელოდა და ბინდბუნდის მკრთალი შუქი მღვიმის შესასვლელს ვეღარც კი სცდებოდა, მაგრამ სალომეამ იქ მომარაგებული ფიჩხი მოასწორა, მუგუზლებიან ქვაბში ჩალის ბღუჯა ჩაყო,

ცეცხლი გააჩაღა და სულ მალე მღვიმე ისე განათდა, გეგონებოდათ, ალიონიაო. მერე მხევალმა კედლის შვერილზე ზეთის ჭრაქი აანთო, მარიამს ვირიდან ჩამოსვლაში დაეხმარა და ახლომდებარე სოლომონის წყაროებისკენ წყლის მოსატანად გაემართა. უკან მობრუნებულმა აღმოაჩინა, რომ იოსებს თავგზა დაჰკარგოდა და აღარ იცოდა, რა ექნა, რა გაეკეთებინა და, მოდი, ნუ გავკიცხავთ ამისათვის, რამეთუ მამაკაცებს არავინ ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამგვარ სიტუაციაში, კაცმა რომ თქვას, ამის სწავლის არც არანაირი სურვილი აქვთ ხოლმე – არასდროს და არანაირი, დიდი-დიდი, რაც შეუძლიათ, გატანჯული ქალის ხელს ხელში აიღებენ და იცდიან, სანამ ყველაფერი თავისთავად დასრულდება. და ეს, ვიმეორებ, მაქსიმუმია, ჩვენი მარიამი კი მარტოა ამჟამს, რამეთუ მართლმორწმუნე იუდეველისთვის ეს მცირედიც იმდენად მიუღებელი რამ არის, რომ ამის გაკეთებას ურჩევნია, უფსკრულმა დანთქას. მაგრამ, აი, შემოვიდა სალომეა და თქვა: არაფერია, არაფერი – და მარიამის გაშლილ ფეხებთან დაიჩოქა, რამეთუ ქალმა თესლის მისაღებადაც და ნაყოფის გასაცემადაც ფეხები ფართოდ უნდა გაშალოს. სალომეა იმდენ ახალშობილს დაეხმარა ქვეყნად მოვლინებაში, რომ სათვალავიც კი აერია და ამ საბრალო ქალის ტანჯვა ზუსტად ისეთივეა, როგორიც ყველა სხვა მშობიარე ქალისა, თანახმად უფალი ღმერთის განგებულებისა, რომელიც მან ევას სასჯელად განუწესა გაუგონრობისათვის: განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულისთქუმანი შენნი, მწუხარებით ჰშვნე შვილნი – და დღემდე, ამდენი საუკუნის მერეც, ამდენი ტანჯვისა და მწუხარების მერეც ღმერთი ჯერაც არ დაკმაყოფილებულა, კვლავაც განაგრძობს ამ ტანჯვა-წამებას. იოსები კი ამასობაში აქ აღარ არის, არც მღვიმის შესასვლელშია – გაქცეულა, რათა ყვირილი არ გაიგონოს, მაგრამ აბა, სად გაიქცევა! გეგონება, მიწაც კი კვნესის და გოდებს ისე საწყალობლად, რომ აგერ სამი მწყემსიც კი, თავის ფარას შორიახლოს რომ აძოვებდა, იოსებს მიუახლოვდა და ჰკითხა: რა ამბავია, რა ხდება, გეგონება თითქოს თვით მიწა აკივლებულა?! და მიუგო იოსებმა: ჩემი ცოლი მშობიარობს, აი, იმ მღვიმეში, და უთხრეს მწყემსებმა: აქაური არა ხარ, არ გიცნობთ, და მიუგო იოსებმა: გალილეის ნაზარეთიდან ვართ, აღწერაზე ჩამოვედით, ჩემს ცოლს კი ამ დროს

მშობიარობამ უწია. სწრაფად მზარდ ბინდში ოთხივე მამაკაცის სახეს ერთმანეთისგან ძნელად გაარჩევდით, ხოლო მალე სულაც ვეღარც ერთსაც ვეღარ დაინახავდით, ხმებიღა დარჩებოდა: საჭმელი თუ გაქვთ რამე მაინც? – ერთ-ერთმა მწყემსმა იკითხა. არის რაღაც, – მიუგო იოსებმა. საქმე რომ მოთავდება ჩემი ცხვრის რძეს მოვიტან, თქვა იმავე ხმამ. მე ყველს მოვიტან, – გაისმა მეორე ხმა. ამას უმიზეზოდ კარგახნიანი დუმილი მოჰყვა და ბოლოს, თითქოს მიწის სიღრმიდან მესამე ხმაც გაისმა: მე პურს მოგიტანთ.

იოსებისა და მარიამის ვაჟი ადამიანის ძეთა მსგავსად დაიბადა – დედის სისხლში ამოსვრილი, ლორწოში ამოვლებული, მდუმარედ ტანჯული. მერე ატირდა, რადგან აიძულეს და ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთადერთი მიზეზით ატირდება ხოლმე. შეახვიეს და ბაგაში ჩააწვინეს ვირის დრუნჩის მახლობლად, ვირს კი, ყოველი შემთხვევისთვის, ემანდ, ღმერთმა არ ქნას და არ უკბინოსო, ავშარა მაგრად მოუჭირეს. სალომეა, როგორც წესი მოითხოვდა, მომყოლის დასაფლავად გავიდა და სამაგიეროდ მყისვე იოსებიც შემოვიდა. მხევალი იცდის, სანამ კაცი მღვიმეშია, ხარბად ისუნთქავს ღამის ცინცხალ ჰაერს, დაიღალა, გეგონება, თვითონ გაეჩინოს, მაგრამ არა – ეს მხოლოდ წარმოსახვის ცელქობაა, სინამდვილეში შვილი არასოდეს ჰყოლია.

დამრეც ფერდობს სამი მამაკაცი მოუყვება თავქვე, მღვიმისკენ.

მწყემსები. შემოდიან მღვიმეში. მარიამი წევს თვალდახუჭული.

იოსები ქვაზე ჩამომჯდარა, ცალი ხელი ბაგაზე ჩამოუდია, თითქოს თავის ბიჭს მცველად უდგასო. პირველმა მწყემსმა ბიჯი წინ წარდგა და თქვა: ჩემი ხელით მოვწველე ცხვარი და აი, რძე მოგიტანეთ. მარიამმა თვალი გაახილა და გაიღიმა. წინ გამოვიდა მეორე მწყემსი და თქვა: ჩემი ხელით ამოვიყვანე ყველი და მოგიტანეთ. როცა ბაგას მესამე მწყემსი მიუახლოვდა, გეგონებოდათ, თავისი ვეება ტანით მთელი მღვიმე გაავსოო. და ისე, რომ არც ახალშობილის დედისკენ გაუხედავს და არც მამისკენ, თქვა: ჩემი ხელით მოვზილე ცომი ცეცხლზე, მიწის წიაღში რომ გიზგიზებს, პური გამოვაცხვე და მოგიტანე. და მარიამი მიხვდა, ვინც იყო ეს მწყემსი.

7* * *

სამყაროს შექმნიდან მოყოლებული ასეა: ვიღაცა მოდის ამქვეყნად, ვიღაცა მიდის. ჰოდა, აი, მეფე ჰეროდეს ჯერიც დადგა, ცხადია, სიკვდილის და არა დაბადების. სხვა სატკივართა შორის და უპირატესადაც, რის შესახებაც თავის დროზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ, ჰეროდეს შემზარავი და გაუთავებელი, ჭკუიდან შემშლელი ქავილი ტანჯავს – ისეთი, თითქოს ასი ათასი მძვინვარე ჭიანჭველა თავიანთი ციცქნა ღრანჭებით დაუღალავად უფლეთდეს სხეულს. მას შემდეგ, რაც ამაოდ გამოიყენეს ყველა მალამო და წამალი, რომლებითაც დღემდე მკურნალობს კაცობრიობა, მათ შორის ეგვიპტიდან და ინდოეთიდან ჩამოტანილნიც, მეფის ექიმებმა, შიშით თავდაკარგულებმა (გადატანითი მნიშვნელობით) და თავის დაკარგვის შიშით შეპყრობილებმა (ეს კი უკვე პირდაპირი მნიშვნელობით) აბაზანებით მკურნალობა დაუწყეს, თანაც წყალსა თუ ზეთში ურევდნენ ყველა სააქიმო ბალახსა თუ ფხვნილს, რომელთა შესახებაც თუნდ ერთხელ მაინც სადმე გაეგონათ, ამან ვისმე უშველაო, და არად აგდებდნენ, რომ ამგვარი წამლობით სრულად არღვევდნენ ფარმაკოპეის ყოველგვარ წესებს. ტანჯვითა და მრისხანებით გაგიჟებული მეფე პირზე დუჟმომდგარი, თითქოს ცოფიანმა ძაღლმა დაკბინაო, ექიმებს უმკაცრესად, სიკვდილით დასჯას ჰპირდებოდა, თუკი ისინი უმოკლეს ვადაში არ მოაშორებდნენ სატანჯველს, რომელიც კანის აუტანელ წვასთან ერთად კრუნჩხვებითაც გართულდა, რის გამოც წამდაუწუმ მიწას ეხეთქებოდა, ძაგძაგებდა, იგრიხებოდა და იკლაკნებოდა, ხუთვის შეტევისას თვალები ორბიტებიდან უცვიოდა და ტანსაცმელს ისე იგლეჯდა ტანზე, თითქოს სურდა, რამენაირად იმ ჭიანჭველების ლაშქრამდე მიეღწია, რომლებიც კიდევ უფრო მომრავლებულიყვნენ და კვლავინდებურად განაგრძობდნენ მის ჯიჯგნას. კიდევ უარესი იყო, როცა ბოლო დღეებში ჭინჭრის ციება განვითარდა და კიდევ ამაზე უარესი უსახელო საშინელება, რომლის შესახებაც სასახლეში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ – ხელმწიფეს სარცხვინელში მატლები ჩაუსახლდნენ და ცოცხლად ხრავენო. ჰეროდეს ყვირილი სასახლის დარბაზებსა და ტა-

ლანებს აზანზარებდა, მეფის კუდად მავალ საჭურისებს აღარც ძილი ჰქონდათ, აღარც მოსვენება, მონები გარბოდნენ, ემანდ მეფეს თვალში არ შევეჩხიროთო. ჰეროდეს მრისხანებაღა აცოცხლებდა, მისი წყალობითღა დაათრევდა ფეხებს, მაგრამ გახრწნილი ხორცის სუნი ასდიოდა უკვე იმ ნელსაცხებლების მიუხედავად, რომლითაც მისი სამოსი და თმა იყო გაჟღენთილი. ტახტრევანზე მისვენებული, ექიმებითა და შეიარაღებული მცველებით გარშემორტყმული დაბორიალებს სასახლის ერთი ბოლოდან მეორეში ახალ-ახალი მოღალატეების აღმოსაჩენად, რამეთუ დიდი ხანია ყველგან და ყველაფერში ღალატი ელანდება, და მის თითზე წამოცმული ბეჭედი მალიმალ მიიმართება მორიგი მსხვერპლისაკენ, რომელიც ხან მთავარი საჭურისი აღმოჩნდება, მეტისმეტად დიდი გავლენა რომ მოუპოვებია ამ ბოლო ხანს, ან მავანი თავხედი ფარისეველი, ვისაც აღთქმის მცნების დამრღვევნი დაუტუქსავს, იმის ნაცვლად, რომ პირადი მაგალითით ეჩვენებინა ხალხისთვის, თუ როგორ უნდა მცნების გულმოდგინე და განუხრელი აღსრულება – მისი სახელის აღნიშვნაც კი არ არის საჭირო, ისედაც ყველამ იცის, ვისზეცაა საუბარი. ეგ კი არა, შესაძლოა მეფის ეჭვებმა მისი ღვიძლი ვაჟები – ალექსანდრე და არისტობულოსიც კი შეიწიროს და აი, მართლაც, ორივეს შეიპყრობენ და მყისვე სიკვდილი მიესჯებათ დიდებულ თავადთაგან შემდგარი საგანგებო სასამართლოს მიერ, სასწრაფოდ რომ მოუწვევიათ სწორედაც სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად და აბა,

რა უნდა ექნა საბრალო მეფეს, თუკი სიცხიანს მოელანდა, თუ როგორ ეპარებოდნენ უფლისწულები ქარქაშიდან ამოწვდილი ხმლებით, ხოლო შემზარავ კოშმარში საკუთარი მოჭრილი თავი დაესიზმრა, ისე ცხადად, თითქოს სარკეში დაენახოს. მაგრამ მრისხანე მბრძანებელმა დროულად აღკვეთა ბოროტმოქმედთა განზრახვა, სიკვდილს გადაურჩა და ახლა მშვიდად შეუძლია უცქიროს იმათ გვამებს, ვინც წუთის წინ ჯერ კიდევ მისი ვაჟები იყვნენ, მემკვიდრეები, ახლა კი შეთქმულებაში მონაწილეობისა და ძალაუფლების ზეთავხედური გადაჭარბების ბრალდებით სიკვდილით დაისაჯნენ და სასამართლოს განაჩენით მოაშთვეს. მაგრამ როცა გადაქანცული მეფე ხანმოკლე და ზერელე ძილს მიჰყავს, მისი ტვინის მოუხელთებელი სიღრმიდან სხვა კოშმარი ამოტივტივდე-

ბა და წუთიერ დასვენებასაც კი აშხამებს – ჰეროდეს შეძრწუნებულ სულს ისაიას დროს მცხოვრები წინასწარმეტყველი მიქია ეცხადება, იმ გამანადგურებელი და სისხლისმღვრელი ომების მომსწრე, ასურელებმა რომ გააჩაღეს სამარიისა და იუდეის მიწაზე, გამოეცხადება და, როგორც წინასწარმეტყველს შეშვენის, მდიდართა და ხელისუფალთა კიცხვამხილებას იწყებს. ბრძოლის მტვრითა და ცხელი სისხლის ლაქებით მოთხვრილ ტუნიკაში გამოწყობილი ცხადდება მიქია მეფის სიზმარში, არაამქვეყნიური გრგვინვით, გეგონება, ზურგს უკან ვეება ბრინჯაოს კარი მოიჯახუნაო და ქუხილისებრი ხმით იუწყება: უფალი დაიძრა თვისი სამყოფლიდან, დაეშვება და ფეხს დაადგამს მიწის მწვერვალებს, მერე კი იმუქრება: ვაი, უკანონობის მოსურნეთ, სარეცელზე რომ იგონებენ ბოროტმოქმედებებს, ხოლო დილით აღასრულებენ, რადგან ძალა აქვთ! მოუნდებათ მინდვრები და მიითვისებენ, სახლები და – წაართმევენ, იტაცებენ ადამიანს სახლ-კარიდან, კაცს ცოლშვილიანად. და ყოველთვის, ყოველ ღამე, ამას რომ იტყოდა მიქია, თითქოს რაღაც უხილავ ნიშანს ემორჩილებაო, კვამლივით გაქრებოდა ხოლმე. ცივ ოფლში გახვითქული, მომაკვდინებელი სევდით გალიცლიცებული და შიშით გულგახექილი იღვიძებდა ჰეროდე, ამ გამოცხადებაზე მეტად სხვა რამით გაოცებული და თავზარდაცემული – ზმანების სტუმარი სწორედ მაშინ უჩინარდებოდა ხოლმე, როცა მისი წინგაწვდილი ხელი და გახსნილი ბაგე მიანიშნებდა, რომ წინასწარმეტყველი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, რაღაც ყველაზე მთავარისა და მნიშვნელოვნის, მაგრამ თითქოს შემდგომისთვის გადადებდა და გაქრებოდა. უნდა აღინიშნოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ მეფე ჰეროდეს არანაირი მუქარისა არ ეშინოდა, რამეთუ მის მახსოვრობას უხვად შემორჩენოდა მისივე ბრძანებით დახოცილთა სახელები, მაგრამ სულს სინანულის ერთი მისხალიც კი არ აჩნდა, ხოლო სინდისი სიმშვიდეში განისვენებდა. გავიხსენოთ, თუ როგორ დაახრჩობინა ცოლისძმა – დედმამიშვილი თავისი ცოლის, მარიამისა, რომელიც რომ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, მერე როგორ ჩამოაკონწიალა მისი ბაბუა, ბოლოს კი მრუშობაში ბრალდებული, თვით ის გულით ნაყვარები ცოლიც გაგუდა. მართალია, ამის შემდგომ ჭკუას გადასცდა და ბოდვაში დანთქმული განსვენებულს, როგორც ცოც-

ხალს, თავისთან უხმობდა, მაგრამ როცა კი ცნობილი გახდა, რომ მისი სიდედრი, უწინაც მუდამ მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებების სული და გული რომ გახლდათ, სიძის ტახტიდან ჩამოგდებას კვლავაც ცდილობდა, ჰეროდეს უმალ დაუბრუნდა ცხადი გონება და ხანმოკლე სიგიჟისგან მსწრაფლ განიკურნა. ჰოდა, თვალის დახამხამებაში საშიში ინტრიგანი საგვარეულო სამარხში, თავისდა ჭირად ჰეროდესთან დამოყვრებული ოჯახის სხვა წევრების გვერდით აღმოჩნდა. სამი ვაჟი დაურჩა ცოლისგან: ალექსანდრე, არისტობულოსი, რომელთა მწარე ბედზეც უკვე მოგახსენეთ, და ანტიპატრე – არც მას ასცდება მსგავსი ხვედრი, ოღონდაც მოგვიანებით. ახლა კი, რათა შეგახსენოთ, რომ ცხოვრება მხოლოდ ტრაგედიებისა და საშინელებებისგან

არ შედგება, გაუწყებთ, რომ ხორციელ ჟინთა დასაცხრობად და სამხიარულოდ მეფე ჰეროდემ ათი ცოლი შეიცნო, ერთობ ლამაზები, მაგრამ იმ დროისთვის, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, ჰეროდე ამ მზეთუნახავებისგან სახეიროს და სასიამოვნოს ბევრს არაფერს ელოდა, ხოლო ისინი ჰეროდესგან ხომ სულაც აღარაფერს. ასე რომ, შმაგი წინასწარმეტყველის ყოველდღიური გამოცხადება იუდეისა და სამარიის, პერეისა და იდუმეის, გალილეისა და ჰავლონიტიდის, თრაკონიტიდის, აბრატინიდისა და ბეთანიის მიწათა ძლევამოსილ საჭეთმპყრობელს დიდად ვერ შეაშინებდა, რომ არა ის ბუნდოვანი გამოუთქმელი მუქარა, ყოველღამ ჰა-ჰა – მზად რომ იყო გასაჟღერებლად და მაინც რომ არა და არ ჟღერდა, რის გამოც თავის ხელშეუვალ მთლიანობაში ინახავდა და იქადნიდა ახალ საფრთხეს, ვინ იცის, რას, ვინ იცის, საიდან მომდინარეს.

ამ დროს კი, ჰეროდესგან არცთუ ისე შორს, შეიძლება ითქვას, იქვე, ყურისძირში, იოსები და მისი ოჯახობა კვლავაც ბეთლემის მღვიმეში ცხოვრობდა, ვინაიდან დურგალმა სხვა ბინის ძებნაზე ხელი აიღო, რაღაი მალე მაინც შინ უნდა დავბრუნდე ნაზარეთში, რაღა აზრი აქვსო, მით უფრო, რომ საბინაო საკითხი მაშინ უფრო მწვავეც კი იყო, ვიდრე დღესაა – ჯერ არც ბინების გაქირავება იყო გამოგონილი, არც უბინაოთა სოციალური დაცვის სისტემა. პირმშოს დაბადებიდან მერვე დღეს იოსებმა ბავშვი წინადასაცვეთად სინაგოგაში მიიყვანა და ქვის დანით შეი-

არაღებულმა კულტის მსახურმა გამოცდილი ხელით მოჰკვეთა პატარას კანის ნაჭერი, რომლის ბედზედაც – ცხადია, ჩვილს კი არა, სწორედ იმ ნაჭერს ვგულისხმობ, – ცალკე რომანი დაიწერებოდა, რამეთუ ხორცის ეს უფერო, ოდნავ სისხლმდენი წილაკი უკვე აი, ამ ჩვენი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში საზეიმოდ იკურთხება პაპ პასკუალე პირველის მიერ. ყველას, ვისაც მისი ნახვა მოესურვება, კალკატას სამრევლო ეკლესიას უნდა ეწვიოს, ქალაქ ვიტერბოში რომაა, იტალიაში – იქ ჭეშმარიტი და მტკიცე მორწმუნეების დასამოძღვრად და ცნობისმოყვარე ურწმუნოების თვალსასეიროდ სწორედ ეს რელიკვიაა გამოფენილი. იოსებმა თქვა, ჩემს ვაჟს იესოს ვარქმევო და ამ სახელით ჩაეწერა ბიჭუნა ჯერ კეისრისეული აღწერის, შემდეგ კი – მამაზეციერის სიებში. ბიჭუნა გულგრილად არ შეხვედრია საკუთარი ხორცის გვემას, მით უმეტეს, რომ ტკივილის შედეგად სულიერი ამაღლების განცდა ოდნავადაც არ უგრძნია, ჰოდა, უკანგზობას სულ ტიროდა და ჩხაოდა, სანამ მღვიმეს არ მიაღწიეს, სადაც არცთუ უსაფუძვლოდ შფოთვას ატანილი დედა ელოდა, გულაჩუყებულმა, ჩემო საბრალო ბიჭოო, და დაუყოვნებლივ ძუძუ მიაგება, მარცხენა, გულის მახლობელი. იესომ, რომელმაც ჯერ არ იცოდა, იესო რომ ერქვა, რადგანაც ჯერ მცირედ თუ განსხვავდებოდა, ვთქვათ, ბარტყის, ლეკვის, კრავის და სხვა ნებისმიერი ახალშობილი ქმნილებისგან, კმაყოფილებით ამოიხვნეშა, როცა ლოყაზე დედის მკერდის მკვრივი სიმძიმე და დანამული კანის სილბო იგრძნო, მერე კი დედის მოტკბო რძეც მოიგემოვნა და ტკივილი, წამის წინ ასე აუტანელი რომ ეჩვენებოდა, უეცრად განელდა, განზავდა აღუწერელ ნეტარებაში, რომელიც იმატებდა, იზრდებოდა, მაგრამ სისრულისათვის კი ვერა და ვერ მიეღწია, ზღვარს ვერ გადასულიყო, დახშული კარი ვერ შეეხსნა, აკრძალული ვერ დაეძლია. ზრდის კვალდაკვალ ბიჭს ეს შეგრძნებები ნელ-ნელა მიავიწყდება და ბოლოს საქმე იქამდე მივა, ასეთი რამ არც არასდროს მიგრძნია და არც შეიძლება მეგრძნოო, იფიქრებს; ასე გვემართება ყოველ ჩვენგანს, რამეთუ სადაც უნდა დავიბადოთ, რა ბედიც უნდა გვეწიოს, მაინც ყველანი ქალის ნაშობნი გახლავართ. ხოლო თუ გავბედავდით და, – ისე ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი თავხედობისგან, მაგრამ მოდი, წარმოუდგენელი

დავუშვათ, – იოსებს ვკითხავდით ამ შეგრძნებათა შესახებ, გვეტყოდა: მე, ოჯახის თავს, სულ სხვა, ბევრად სერიოზული სადარდებელი მაქვსო, ახლა უკვე ორი სული მყავს გამოსაკვებიო და მიუხედავად იმისა, რომ იესოს იოსები კი არა, აშკარად მარიამი კვებავს, თანაც თავისი რძით, კაცის ნათქვამი მაინც მართალიც არის, დამაჯერებელიცა და მკაფიოც. აგრეა, საზრუნავი გაუმრავლდა და მათგან უმთავრესი ისაა, რით უნდა ირჩინონ თავი, სანამ ნაზარეთში დაბრუნდებიან, მარიამი ჯერაც არ მომჯობინებულა და გრძელი გზის გამვლელი არაა, ეგეც რომ არ იყოს, ჯერ განწმენდილადაც არ ითვლება, რამეთუ დადგენილი ორმოცი დღიდან მხოლოდ შვიდეულია გასული. ნაზარეთიდან გამოყოლილი ფული, – არადა ბევრი არც ჰქონიათ, – საცაა გათავდება, აქ კი, ბეთლემში აბა, რა ფული უნდა იშოვოს ოჯახის გამოსაკვებად – თან არც ხელსაწყოები აქვს, არც საბრუნავი სახსარი მასალების შესაძენად. ღარიბ ადამიანებს უკვე იმ შორეულ დროშიც კი უჭირდათ ცხოვრება, რამეთუ უფალს ყველაფერი როდი აქვს გათვალისწინებულ-განჭვრეტილი. ამ დროს მღვიმის სიღრმეში ძლიერ შესაბრალისი კრუსუნი გაისმა და მყისვე შეწყდა კიდევაც – სანამ მარიამმა მარცხენა ძუძუ მარჯვენით ჩაანაცვლა, პატარამ კვლავ გაიხსენა თავისი დანაკარგი, თავისი წყენა და წამით ისევ შეიგრძნო ნატკენი ადგილი. არაფერია, მალე დანაყრდება, დედის ხელზე დაიძინებს და არც მაშინ გამოიღვიძებს, როცა მარიამი უკიდურესი სიფრთხილით ბაგაში ისე ჩააწვენს, თითქოს დედამ შვილი ალერსიან და საიმედო ძიძას მიანდოო. ხოლო იოსები, მღვიმის შესასვლელთან მჯდომი, კვლავაც გაუთავებელ ფიქრს განაგრძობს: ამ ბეთლემში სამუშაო არ გამოჩნდა, დამხმარედაც არავინ ამიყვანა და რამდენიც კი ვცადე, – თუ თანაშემწე დაგვჭირდება, თვითონ დაგიძახებთო, – ამის მეტი სხვა სიტყვა არ მეღირსაო, მაგათი დაპირება კი არც იჭმება და არც ისმება, თუმც დასაბამიდან ღარიბ კაცს დაპირების მეტი სხვა საკვები არც არა გააჩნიაო.

გამოცდილებით ათასჯერ მაინც დავრწმუნებულვართ, რომ თვით ის ადამიანებიც კი, მაინცდამაინც ტვინის უმიზნო ჭყლეტა რომ არ სჩვევიათ, საუკეთესო გამოსავლის ძიებაში აზრებს ნებაზე მიუშვებენ, – დაე, თავისუფლად იდინონ, ახირებულად გადაებან ერთიმეორეს, ოღონდაც

იმავ დროს თან ფხიზლად, თან ბუნდოვნად, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობო, თვალყური უნდა ადევნო და საჭირო წამს ხელი სტაცო მოულოდნელად გამკრთალ მიხვედრას, როგორც ვეფხვმა – თავის საკბილოს. მოკლედ, ასე და ამგვარად, დურგლების ცრუ დაპირებებზე ფიქრმა იოსების აზრები ღვთისკენ და მის წინაშე დადებული ჭეშმარიტი აღთქმებისკენ მიმართა, აქედან კი – იერუსალიმის ტაძრისა და მის ირგვლივ მიმდინარე უზარმაზარი მშენებლობისკენ, და უცებ გონება გაუნათდა, გაისაცნაურა – რაღაი აშენებენ, მაშასადამე, მუშახელიც სჭირდებათ, პირველ რიგში კირითხუროები და კალატოზები, მაგრამ ვერც დურგლებისა და ხუროების გარეშე გავლენ იოლად: აბა, ხის მორებს ვინ დააშალაშინებს, ფიცრებს საბიჯელებისა და ხიდურებისთვის, ჰოდა, მაგის მეტი რა იცის იოსებმა?! ცუდი ისაა, – თუკი, რა თქმა უნდა, საერთოდაც იშოვის სამსახურს, – რომ მღვიმიდან იერუსალიმამდე შორია, საათ-ნახევარი ჩქარი ნაბიჯით, ან უფრო მეტი, თანაც აღმართი, ვირით თუ წავა, კიდევ არა უშავს, მაგრამ მერე სულ იმის დარდი ექნება, სად დამალოს, რომ არ მოჰპარონ, რამეთუ ის გარემოება, რომ ეს მიწა-წყალი ღმერთს უყვარს და სხვა დანარჩენზე მაღლა აყენებს, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს აქაური ქურდების სინსილა გამწყდარიყოს, – გაიხსენეთ, ყოველ ცისმარე რას დასძახის ჰეროდეს მიქია წინასწარმეტყველი. სანამ იოსები ამ ძნელ საფიქრალს ფიქრობდა, მარიამმა ბავშვს აჭამა, დააძინა და ქმართან გამოვიდა. რას შვრება ჩემი იესო? –

იკითხა მამამ, თუმცა ხვდებოდა, რომ ამგვარად დასმული კითხვა რაღაც უცნაურად ჟღერდა, მაგრამ მამობრივმა სიამაყემ აიძულა, ახლად შობილი ვაჟის სახელი ასე დიდი ამბით წარმოეთქვა. კარგად არის, მიუგო მარიამმა, რომლისთვისაც ბიჭის სახელს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა – მთელი ცხოვრება შეეძლო მისთვის „შვილიკო“ ეძახა, და ეს მხოლოდ იმიტომ გახლდათ შეუძლებელი, რომ სხვა შვილებიც ეყოლებოდა – ცხადია, ეყოლებოდა – და გარდაუვალი აღრეულობა წარმოიქმნებოდა, ბაბილონის გოდლისაზე უარესი. იოსებმა კი, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, თუმცა, მოდი, ამ შთაბეჭდილებას მაინცდამაინც ნუ ვენდობით, ჩაილაპარაკა: მოსაფიქრებელია, რით უნდა ვიცხოვროთ, სანამ აქა ვართ, ბეთლემში საჩემო საქმე არ ჩანს. მარიამმა არ უპასუხა

და არც უნდა ეპასუხა: მისი საქმე მოსმენა იყო, როცა ქმარი პატივს სდებდა და თავის აზრებს უზიარებდა. იოსებმა მზეს ახედა, დაღამებამდე წასვლას და უკან დაბრუნებას თუ მოვასწრებო, მერე მღვიმიდან ჩანთა და საბანი გამოიტანა და წარმოთქვა: უფალო, გევედრები, სამუშაო მომეცი შენს სახლში, თუკი, ცხადია, პატიოსან ოსტატს, რომელსაც ეს იმედიღა აქვს, ესოდენ დიდებული წყალობის ღირსად მიიჩნევ. მერე იოსებმა მოსასხამის მარჯვენა კალთა მარცხენა მხარზე მოიგდო, ზედ სამგზავრო ჩანთის ღვედი მიაყოლა და ისე, რომ მეტი აღარაფერი უთქვამს, გზას გაუდგა.

და მაინც, ამქვეყნად იღბალი არსებობს.

ტაძრის მშენებლობა, მართალია, დიდი ხნის დაწყებული იყო, მაგრამ სამუშაოს იქ ახალბედაც მოიძიებდა, მით უფრო ის, ვინც გასამრჯელოს მიღებისას განსაკუთრებულ მომთხოვნელობას არ გამოამჟღავნებდა. იოსებმა იოლად გაიარა მარტივი გამოცდა, რომელიც ოსტატმა უფრორე წესისამებრ ჩაუტარა და ამ მოულოდნელმა წარმატებამ უნდა დაგვაფიქროს – რაა, რომ ჩვენი თხრობის პირველსავე გვერდებიდან მოყოლებული ასე სკეპტიკურად ვუყურებთ იესოს მამის პროფესიულ დონეს?! ჰოდა, შინისკენ გასწია ტაძრის ახლად გამომცხვარმა მშენებელმა, გზად უფალს დიდებას აღუვლენდა და შიგადაშიგ ჩერდებოდა, შემხვედრ გამვლელებს, ლოცვაში შემომიერთდითო, სთხოვდა და მგზავრებიც ღიმილით უსრულებდნენ სურვილს, რადგანაც იმ ერს, რომელსაც იოსები მიეკუთვნებოდა, წესად ჰქონდა, ერთის წილი სიხარული მთელი ერის სიხარულად მიეღო, რაც, პირველ ყოვლისა, ამ ერის მცირერიცხოვნებით უნდა ავხსნათ. როდესაც რაქელის საფლავს გაუსწორდა, უეცრად ჩვენი დურგლის ფიქრებიდან კი არადა, სულაც სადღაც სიღრმიდან ასეთი აზრი ამონათდა: ქალი, რომელიც ასე ელოდა ვაჟს, მოკვდა, და შეიძლება ითქვას, შვილის გამო მოკვდა და არათუ რამის თქმა, მისი დანახვაც კი ვერ მოასწრო და ბავშვის სხეული ისე განურჩევლად მოსცილდა დედის სხეულს, როგორც რომ ხეს – მოწყვეტილი ფოთოლი. მერე კიდევ უფრო სევდიანი ფიქრი მოეძალა – საერთოდაც შვილები მამების – რომლებმაც ჩასახეს, და დედების – რომლებმაც მუცლით ატარეს და შვეს, – დიახ, სწორედ მშობლების გამო იხოცებიან; და

შეებრალა იოსებს თავისი ვაჟი, უდანაშაულოდ სასიკვდილოდ განწირული. შეძრწუნებული იდგა იაკობის უსაყვარლესი ცოლის სამარესთან, ხელები უღონოდ ჩამოეშვა, თავი ჩაექინდრა და გრძნობდა გათოშილ სხეულს და არავინ იყო იმწამს მახლობლად და ვერვის მოუხმობდა საშველად. დურგალმა იგუმანა, ცხოვრებაში პირველად ეჭვმა შემიპყრო, ეგება სამყარო გონივრულად და გააზრებულად სულაც არაა მოწყობილიო და თითქოს უკანასკნელ იმედს განაგდებსო, შესძახა: მე აქ მოვკვდები! სავსებით შესაძლებელია, რომ სხვა

ვითარებაში ეს სიტყვები, ერთობ დამაჯერებლად წარმოთქმულნი – ალბათ ასე თვითმკვლელები იტყვიან ხოლმე – ცრემლისა და გალობის გარეშე გაგვიხსნიდა კარს, რომელიც ცოცხალთა სამყაროში შეგვიყვანდა, მაგრამ ადამიანების დიდი უმრავლესობა ემოციურად ცვალებადია, ყოველ წვრილმანს ხელეწიფება მათი აზრების მდინარება იოლად შეწყვიტოს: მაღლა ცარგვალზე ღრუბელი გაცურდება, ობობა სქელს გააბამს, ლეკვი პეპელას დაედევნება, ანდა კრუხი კლანჭებით მიწას მოფხოჭნის და წიწილებს კაკანით თავისკენ მოუხმობს და – ბიჭოს, სხვაგან ვართ უკვე, წეღანდელი ფიქრისგან შორს, ანდა კიდევ უფრო მარტივად, სულაც ცხვირი მოგვეფხანება და აჰა, ეკითხები საკუთარ თავს, ნეტავი წეღან რას ვფიქრობდიო? სწორედ ამიტომაც მომდევნო წამს რაქელის საფლავი იმადვე იქცა, რაიც იყო – მომცრო, შეთეთრებულ უფანჯრო შენობად, თამაშიდან გამოგდებულ ზედმეტ კამათელს რომ ჰგავდა, ხოლო შესასვლელზე აფარებული ქვა უხსოვარ დროითგან ამ სიწმინდის უთვალავ მომლოცველთა ჭუჭყიან და ოფლიან ხელებს დაესვარა, თუმცა ირგვლივ გავარჯული ზეთისხილის ხეები ალბათ უკვე მაშინაც ბებრები იყვნენ, როცა იაკობმა საწყალი ცოლის საუკუნო განსასვენებლად სწორედ ეს ადგილი შეარჩია, აქაურობა მოასუფთავა და ზოგიერთი მათგანი (ზეთისხილის ხეს ვგულისხმობ) ეგება მსხვერპლადაც შესწირა, ასე რომ, სრული დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ: დიახ, იღბალი არსებობს, თითოეული ადამიანის (და თუ გნებავთ – ხის) იღბალი იმის ხელთაა, ვის ხელთაც იგი (ეს იღბალი) ამწამს არის ჩავარდნილი.

და იოსებმა, სანამ გზას გააგრძელებდა, ის ლოცვა წარმოთქვა, რომელიც ყველაზე მიზანშეწონილად და დროულად ეჩვენა: დიდება შენ-

და, ჩვენო და ჩვენთა მამათა ღმერთო, ღმერთო აბრაამისაო, ღმერთო ისააკისაო, ღმერთო იაკობისაო, დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო, ღმერთო მტკიცეო. მღვიმეში შევიდა და სანამ მარიამს კარგ ამბავს მიახარებდა, სამუშაო ვიშოვეო, ბაგას მიაშურა ვაჟის სანახავად. ეძინა ვაჟკაცს. თავის თავს უთხრა იოსებმა: მოკვდება, უნდა მოკვდეს, და გული შეეკუმშა, მაგრამ მერე იფიქრა, რომ ბუნების წესით ჯერ თვითონ უნდა მომკვდარიყო და რომ სიკვდილი, ოდეს მას ამქვეყნად მცხოვრებთა სიიდან ამოშლის და მიწაზე მყოფობას არმყოფობით ჩაუნაცვლებს, ამით იოსებს – ზუსტად რომ ითქვას, იოსებს კი არა, რაღაცას – ამგვარი შეუსაბამობისთვის ბოდიშს გიხდით, – დიახ, სიკვდილი იოსებს მიანიჭებს დროში განსაზღვრულ უკვდავებას, რომელიც ჩვეულებრივ მანამ გრძელდება, სანამ ადამიანები, რომლებიც ჩვენთან აღარ არიან, გვახსოვს და გვიყვარს.

იოსებს დურგალთა არტელის ათისთავი, რომლის ხელქვეითიც გახდა, არ გაუფრთხილებია, მხოლოდ რამდენიმე – ჰა-ჰა, ხუთიოდე – კვირით ვაპირებ სამსახურსო, რის შემდეგაც დრო დაუდგებოდა ბავშვის ტაძრად მიყვანებას, დედის განწმენდას და მერე ნელ-ნელა შინისაკენ დაბრუნებას, ნაზარეთში. დუმილი იმიტომ არჩია, რომ შეეშინდა, არ ამიყვანენო და ეს გარემოება საცნაურყოფს, რომ ჩვენი დურგალი, თუ შეიძლება ითქვას, თეთრი ყვავივით იყო, საკუთარი თავის უფროსიც და ხელქვეითიც, და ამიტომ კარგად ვერ ერკვეოდა, რას წარმოადგენდნენ მაშინდელი მშრომელები, რომელთა ერთობლიობა ფაქტობრივად მხოლოდ მენარდე მუშებისაგან შედგებოდა, მხოლოდ გარკვეული ვადით რომ დაიქირავებდნენ ხოლმე. და გულმოდგინედ ითვლიდა იოსები დარჩენილ დღეებს – ოცდაოთხი, ოცდასამი, ოცდაორი, ხოლო სათვალავი რომ არ არეოდა, მღვიმის კედელზე რაღაც კალენდრისმაგვარი გამოსახა და ყოველ საღამოს – ცხრამეტი – გადახაზავდა ხოლმე გარდასულ დღეს, – თექვსმეტი – მარიამის გასაოცრად – თოთხმეტი,

ცამეტი, – რომელიც დაუღალავად ადიდებდა ზეციერ უფალს – ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი – გმადლობ, ესოდენ მრავალმხრივი ნიჭით შემკული ქმარი რომ მიბოძეო. უთხრა იოსებმა: მივალთ ტაძრად და მერე ეგრევე შინისკენ დავიძვრებით, ნაზარეთში მუშტრები მელოდებიანო, ხოლო

მარიამმა დიდი სიფრთხილით, რათა ქმარს არ მოსჩვენებოდა, ჭკუას მარიგებსო, რბილად მიუგო: ოღონდაც ამ მღვიმის დიასახლისისა და მისი მხევლისათვის, მეანობა რომ გამიწია, მადლობის თქმა არ უნდა დაგვავიწყდესო, მით უმეტეს, ყოველდღე მოდიან ჩვენი ბიჭის მოსაკითხადო. ამის პასუხად იოსებმა დუმილი არჩია, რამეთუ არ სურდა გამომტყდარიყო, ეს ყოვლად ჩვეულებრივი თავაზიანობა უბრალოდ გამომრჩაო, არადა ნამდვილად ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, მთელ ბარგი-ბარხანას ვირს ავკიდებ, სანამ სატაძრო ადათებს აღვასრულებთ, მანამდე დროებით ვინმეს მისახედად დავუტოვებ, მერე კი ჰაიდა, შინისაკენ, მადლობებსა და დამშვიდობებებში დროის დაუკარგავადო. მაგრამ არა, ცოლი მართალს მეუბნება – არ ივარგებს ასე წასვლა, სიტყვის უთქმელადო და რაღა დასამალია, ზრდილობით დიდად ვერ დავიკვეხნიო. მთელი საათი უბრაზდებოდა ცოლს იოსები საკუთარი შეცდომის გამო, რაც საკუთარი თავის მიმართ უკმაყოფილების დაძლევაში დიდად დაეხმარა.

რა უნდა ქნან, უნდა დარჩნენ კიდევ ორიოდ დღით, ეგებ სამითაც, დაემშვიდობონ, პატივი მიაგონ ყველას, როგორც წესი და რიგია, რათა ბეთლემის მცხოვრებთ უსიამოვნო კი არა, სასიამოვნო მოგონებები დარჩეთ მართლმორწმუნე, ზრდილი, ღვთისა და კაცის წინაშე მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული ოჯახის მიმართ, ვერც კი რომ იტყვი, გალილეველები არიანო, – უნდა გავითვალისწინოთ, რომ იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ბინადარნი იოსებისა და მარიამის თანამემამულეებზე არცთუ მაინდამაინც კარგი აზრისანი გახლდნენ.

და აი, ის ღირსშესანიშნავი დღეც დადგა, როდესაც ყრმა იესო დედის ხელში ატატებული ტაძრად წარემართა, ხოლო მარიამი კვლავაც ყოვლისმომთმენ სახედარზე ამხედრებულიყო, მთელ ამ მოგზაურობაში განუყრელ თანამგზავრობასა და ერთგულ თანაშემწეობას რომ უწევდა. იოსებს ვირი აღვირით მოჰყავდა და დროდადრო შეუძახებდა, რამეთუ ჩქარობდა, სამუშაო დღის მთლიანად გაცდენა არ უნდოდა, თუმცაღა ერთ-ერთი უკანასკნელი სამუშაო დღეთაგანი იყო. ამავე მიზეზით ერთობ ადრიანად გაუდგნენ გზას – როცა კი მოციმციმე გარიჟრაჟმა ღამეული წყვდიადის ფარდა ვარდისფერი თითებით გადასწია. აი, რაქელის სამარეც უკან დარჩა, ხოლო იმწამს, როცა ოჯახი მას გაუსწორდა, აისის

სხივები შეთეთრებულ კედელს დაეფინა და ბროწეულისფრად შეღება, და ვერც კი დაიჯერებდით, რომ იგივე კედელი უმთვარო ღამით მრუმე რუხი ფერისა ხდებოდა, სავსემთვარეობისას მკვდართა ძვლების საზარელი სითეთრე ედებოდა, ხოლო ახალშობილი მთვარის შუქზე თითქოს სისხლჩაქცევები დაეფინებოდა ხოლმე. იმავ წამს ჩვილმა საბოლოოდ გამოიღვიძა – მანამდე, როცა დედამ საგზაოდ გაახვია, მხოლოდ მყისიერად გაახილა და მერე მაშინვე დახუჭა პაწია თვალები – და ერთადერთი მისთვის შესაძლო ხერხით – ტირილით საცნაურყო, მშიაო. დადგება დღე და იგი ყოველი ჩვენგანივით აიდგამს ენას, ისწავლის ნაირგვარ საჭიროებათა განმარტებას და სულ სხვა ტირილსა და ცრემლებსაც დააგემოვნებს. იერუსალიმის მახლობლად, დამრეც ფერდობზე ოჯახს მომლოცველთა და ვაჭართა ჯგრო წამოეწია. სავარაუდოა, რომ თითოეულ მათგანს უნდოდა, ქალაქში სხვებისთვის ჩაესწრო, თუმცა

წყვილ-წყვილად მოარული, წესრიგის მოყურადე რომაელი დარაჯებისა და ჰეროდეს ჯარისკაცების, აგრეთვე არაიუდეველი უცხოტომელების, მათ შორის იდუმეველებისა და ფრაკიელების, გალატების, გერმანელებისა და გალების და თვით ისრის მიზანში სროლით სახელგანთქმული ბაბილონელების დანახვაზე ნაბიჯს ანელებდნენ და მღელვარებას იოკებდნენ. იოსებს, ამ მშვიდობიან კაცს, შალაშინის და ქლიბის, ჩაქუჩისა და ჯაყვის მეტი სიცოცხლეში სხვა იარაღი არ სჭერია და ამ მრისხანე მეომრების დანახვამ ერთდროულად კრთომაც მოჰგვარა და ზიზღიც, ხოლო ამ გრძნობათა ნაზავმა მის მზერაშიც გამოჟონა. ამიტომაც თვალდახრილი მიაბიჯებდა მარიამისგან განსხვავებით, რომელიც ერთთავადაც ოთხ კედელში იყო გამოკეტილი და ბოლო კვირები ხომ სულაც დამწყვდეულმა გაატარა ბნელ მღვიმეში, სადაც მხოლოდ ის ერთი მხევალი თუ შემოიხედავდა ხანდახან, – ჰოდა, ახლა ქალი ცნობისწადილით შეჰყურებდა ირგვლივ ყოველივეს, თავს გაუჩერებლად აქეთიქით ატრიალებდა, თანაც ამაყად, რამეთუ ხელთ თავისი პირმშო ეპყრა და აშკარად ეტყობოდა, რომ მან, სუსტი სქესის არსებამ პირნათლად მოიხადა ვალი ღვთისა და მეუღლის წინაშე. და ისეთი ბედნიერების შარავანდედი ადგა, რომ თვით ქერათმიანმა, უზარმაზარ-დაკიდულ-ულ-

ვაშა დაქირავებულმა გალებმაც კი მიაქციეს ყურადღება, სულდახავსებულებმა და გაუხეშებულებმა, თუმცა, სავარაუდოდ, გულები ბოლომდე არ გაჰქვავებოდათ, რაკიღა თვით ეს დაკორძილი, იარაღახორხლილი მეომრები სათნოდ იღიმოდნენ ახალშობილი ყრმისა და ახალგაზრდა დედის დანახვაზე, სამყაროს მარადიულ განახლებას რომ გამოხატავდნენ და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რომ ეს ღიმილი ჩამპალ კბილებს ამზეურებდა, რადგან აქ მთავარი კბილები სულაც არ გახლდათ.

და აი, ისიც. ტაძარი. თუ ახლოდან და ქვემოდან ახედავ, – და ასეც ვიქცევით, – მისი გრანდიოზულობისაგან სული შეგვიგუბდება და თავბრუ დაგვეხვევა – მოგვეჩვენება, რომ არანაირ ამქვეყნიურ ძალას არ შეეძლო ქვების ეს ვეება მთა აღემართა, გამოეთალა, აეწია, ერთმანეთზე დაეწყო ისე, რომ თითოეული საკუთარ წონას ადგილზე დაეკავებინა ყოველგვარი ცემენტის გარეშე ასე მკვიდრად და უბრალოდ, როგორც რომ მკვიდრად და უბრალოდ დგას ყოველივე ამ სამყაროში – ცისკენ ისე აღმართულა, როგორც მეორე ბაბილონის გოდოლი, და უფლის მფარველობის მიუხედავად, იგივე ბედი მოელის, რაც პირველს: დაიქცევა ეს ბუმბერაზიც, დადგება ჟამი შფოთიანი, დაიღვრება სისხლი და ათასი გაოგნებული ხმა ამოიღაღადებს: რისთვის და რატომ? და ისინი, ვისი ხმაც ამოიღაღადებს, პასუხს დაელოდებიან იმის იმედად, პასუხი არსებობსო, მაგრამ ადრე თუ გვიან დადუმდებიან, რამეთუ ჭეშმარიტება მხოლოდ დუმილშია.

იოსებმა სახედარი ფუნდუკში დააბინავა, სადაც პასექის დროს ფარეხებსა და თავლებში იმდენი გამწევი და სასაპალნე პირუტყვი გროვდებოდა ხოლმე, რომ აქლემს, ასე ვთქვათ, კუდის მოსაქნევი ადგილი აღარ რჩებოდა ბუზის მოსაგერიებლად, მაგრამ ახლა, აღწერის დასრულებისას, როცა ადამიანებმა თავის სამკვიდრებლებს მიაშურეს, სახედრისთვის ადგილი მოინახა, მით უმეტეს, რომ ადრიანი დილა იდგა. ადრე კი იყო, მაგრამ წარმართთა ეზოში, ტაძარს გარს რომ ეკრა და მისგან არკადებით იყო გამოყოფილი, უკვე მილეთის ხალხი ირეოდა – მეკერმეები, სამსხვერპლო მტრედებით, ციკნებით, ხბოებით მოვაჭრეები, მომლოცველები, რომელთაგან თითოეულს მაინცდამაინც დღეს აქ

მოსვლის მიზეზი გააჩნდა, უცხოელები, რომლებსაც საკუთარი თვალით სურდათ მეფე ჰეროდეს ნებით აღმართული მსოფლიოს ამ

საოცრების ნახვა. თუმცა ხუროთმოძღვრებს ეს ეზო ისე და ისეთი ზომისა აეგოთ, რომ ერთ ბოლოში მყოფი ადამიანი მეორეში მყოფს ქინქლისტოლად ხედავდა და მეფის ჩანაფიქრიც ეს გახლდათ, რომ ყოველ მოკვდავს, მით უფრო კი ურჯულოს, ყოვლადმპყრობლის წინაშე საკუთარი სიმცირე და არარაობა ეგრძნო. დიახ, ურჯულოებს, რამეთუ მართლმორწმუნე იუდეველი, თუ მთლად წყალწაღებული უსაქმური არ იყო, ამ ეზოში არ დაყოვნდებოდა, კოლონადებს სწრაფად გაივლიდა და თავისი სრბოლის მიზანს – სამყაროს ცენტრს, დედამიწის ჭიპს – წმიდათაწმიდას – მსწრაფლ მიაგნებდა.

სწორედ იქით ეშურებოდნენ დურგალი იოსები და მისი ცოლი მარიამი, სწორედ იქ შეცურდება დედის ხელებზე დავანებული ჩვილი იესო მას შემდეგ, რაც მამამისი მტრედის ორ ხუნდს შეიძენს იმისაგან, – მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, როგორ იწოდება ის, ვინც ამ საკრალური ვაჭრობის მონოპოლიურ პრივილეგიას ფლობდა, – დავუშვათ, ტაძრის ერთ-ერთი მსახურისგან. საბრალო ჩიტუნებმა არ იცოდნენ, რაც ელოდათ, თუმცა შეტრუსული ბუმბულისა და დამწვარი ხორცის სუნზე წესით კი უნდა მიმხვდარიყვნენ. საქმე ისაა, რომ ამ სუნს სხვა უფრო ძლიერი ფარავს – სისხლისა და ნეხვის, რამეთუ ხბოები, რომლებსაც სამსხვერპლოზე მიათრევენ, შიშისა და ავი წინათგრძნობისაგან ფუნას გორებად აყენებენ. იოსებს მტრედები დაკოჟრილი პეშვით მიჰყავს, ისინი კი, მცდარ სიხარულს აყოლილები, შიგადაშიგ უნისკარტებენ გალიის გისოსებივით გადახლართულ თითებში, თითქოს სურთ, ახალ პატრონს უთხრან, კარგია, რომ გვიყიდე, ჰოდა, ახლა შენთან ვართო. მარიამი თავისი შვილის გარდა ვერაფერს ამჩნევს, იოსების გახეშეშებული კანი კი სულაც ვერ გრძნობს ნისკარტებით აკაკუნებულ მორზეს.

ისინი შევლენ ტაძარში ცამეტთაგან ერთი შესასვლელიდან, რომელთა თავზეც – თითოეულზე – ბერძნულ და ლათინურ ენებზე მოკლე წარწერებია ამოკვეთილი იმის შესახებ, რომ ვერც ერთი წარმართი და ურჯულო ამ ზღურბლს ვერ გადააბიჯებს და ტაძრის გალავანს შიგნით ვერ შევა, თუ, რა თქმა უნდა, სიკვდილი არ მონატრებია.

შედიან, შეჰყავთ იესო – ცოტა ხნის შემდეგ უკან გამობრუნდებიან, საღად და უვნებლად, ხოლო აი, მტრედები, როგორც ვიცით, იქ დარჩებიან: მათ სიკვდილი ელით, რამეთუ ასე ბრძანებს კანონი, რათა დადასტურდეს, რომ მარიამი განწმენდილია. მავანი ირონიული და თავაგდებული, თუმც არცთუ ორიგინალური ვოლტერიანელი ამის თაობაზე იქედნურად შენიშნავდა, ჩანს, იმგვარი უზაკველი და უწყინარი არსებები, როგორებიც მტრედები და კრავები არიან, სწორედ იმისათვის არსებობენ, რომ ამქვეყნურ სიწმინდეს ხელი შეუწყონო. იოსებმა და მარიამმა თოთხმეტი საფეხური აიარეს და იმ ფიცარნაგზე აღმოჩნდნენ, რომელზეც ტაძარი იყო აღმართული. ეს ქალთა ეზო იყო: მარცხნივ ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი ზეთისა და ღვინის საცავი, მარჯვნივ – ნაზორეველთა სენაკები – ასე უწოდებდნენ იმ ღვთისმსახურებს, რომლებიც ლევიტელთა ტომს არ ეკუთვნოდნენ და რომელთა აღთქმა მოითხოვდა, თმა არ შეეჭრათ, ღვინო არ ესვათ და მიცვალებულს არ გაჰკარებოდნენ. ხოლო მოპირდაპირე მხარეს ორივ მხრიდან განსაკუთრებული კარიბჭე იყო, სადაც ის კეთროვანნი, რომლებიც თავს განწმენდილად თვლიდნენ, ელოდნენ, თუ როდის დაათვალიერებდა მღვდელი მათ და აგრეთვე სამსხვერპლო ცეცხლის შეშას, თანაც თითოეული მორი ყოველდღიურად უნდა შეემოწმებინათ, რადგან

დამპალი და მერქნის ხოჭოებით დასნებოვნებული შეშა ცეცხლის დასანთებად არ ივარგებდა. მარიამს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაღა დარჩა. და აი, იგი ნიკინორის კარიბჭისკენ მიმავალ თხუთმეტ ნახევრადმრგვალ საფეხურს აივლის და შეჩერდება, რამეთუ ქალები არ დაიშვებიან ისრაელის შვილთა ეზოში, საითაც ერთ-ერთი კარი გადის და სადაც სამსხვერპლოს მომტანთა მოლოდინში ლევიტები დგანან, მაგრამ აქაური ატმოსფერო ღვთისმოსაობისკენ ნაკლებად გვიბიძგებს, თუ არ ვიფიქრებთ, რომ იმ დროში ამ ცნებას სხვა აზრი ჰქონდა – აქ ყოველივე ხრჩოლავს და ბოლავს, დამწვარი ქონისა და ცხელი სისხლის სუნი დგას, ადამიანთა ხმები სიკვდილის მომლოდინე ცხოველთა ბღავილს, ღმუილსა და ჭყივილს ერთვის, და ოდესღაც მოჭიკჭიკე ფრინველთა ხორხისმიერი ყაშყაშიც ისმის. მარიამი ლევიტელს ეუბნება, განსაწმენდად ვარ მოსულიო, იოსები კი მტრედებს უწვდის. მარიამი წამით ეხება

მათ და ამ უკანასკნელი მოძრაობისთანავე ქმარიცა და მღვდელიც კარს უკან უჩინარდებიან. ქმრის დაბრუნებამდე მარიამი აქ იდგება, ოდნავ გაიწევს გვერდზე, სხვებს რომ არ გადაეღობოს, ელოდება, თავისი ბიჭუნა უჭირავს ხელში.

იქ კი, კარს მიღმა ხოცვა-ჟლეტაა. ქვის ორ დიდ მაგიდაზე სამსხვერპლოდ განწირულ ცხოველებს ამზადებენ, ხბოებს, ბატკნებს, თხებს. მაგიდების მახლობლად ტყვიისკაუჭებიანი ბოძებია, ზედ აწ დადუმებული ხორცი კიდია და ცოფიანად ტრიალებენ ელვარე დანები, საკვეთლები, ცულები, ნაჯახები, ტყავისმხდელთა წვრილკბილა ხერხები და ჰაერი ბოლითა და დამწვარი კანის ყროლით, ოფლისა და სისხლის ანაორთქლით ისეა გაჟღენთილი, რომ უბრალო კაცის სულს, ისეთისას, წმინდანობისკენ რომ არ ილტვის, ვეღარაფრით გაუგია, როგორღაა, რომ ღმერთი, თუკი ის მართლაც ყოველივე არსებულის, ყველა კაცისა და მხეცის მამაა, ამ სასაკლაოს ხილვას უძლებს. იოსები იმ ბჭის გარეთ უნდა იდგეს, ისრაელთა ეზოს მღვდელთა ეზოსგან რომ ყოფს, მაგრამ აქედანაც კარგად ხედავს საკურთხეველს, ოთხი კაცის სიმაღლეზე და კიდევ უფრო მეტადაც რომ აღმართულა, იმის მიღმა კი იმასაც, რასაც ბოლოს და ბოლოს მართლაც შეიძლება ტაძარი დაერქვას და უნდა დაერქვას კიდეც, რამეთუ ყოველივე ეს მეტისმეტად ჰგავს ერთიმეორეში ჩასაწყობ თავსატეხ კოლოფებს, იმხანად რომ უკვე ამზადებდნენ ჩინეთში: და მართლაც, შორიდან შევხედოთ და ასე ვთქვათ: ტაძარი – შევდივართ წარმართთა ეზოში და – ერთხელაც ვთქვათ: ტაძარი, და აი, დურგალი იოსები, ჩუქურთმიან რიკულებზე დაყრდნობილი კვლავაც იმავე სიტყვას იმეორებს: ტაძარი, ოღონდ ამჯერად უკვე მართებულად. აი, მისი განიერი ფასადი, ბერძნულ ყაიდაზე დაგვირგვინებული ოთხი მასიური სვეტით, და არა შესასვლელი, არა კარი, არა ბჭე, არამედ გასასვლელი, იქით მიმავალი, სადაც ღმერთია დავანებული და აი, ჩვენც, თუკი აკრძალვებს გადავაბიჯებთ, იქითკენ დავიძვრებით და წმინდა ადგილებს გავცდებით, საბოლოოდ თავსატეხის იმ უკანასკნელ კოლოფში აღმოვჩნდებით, წმიდათა წმიდა რომ ჰქვია, შიშისმომგვრელ ქვისკედლებიან ოთახში, სამყაროსავით ცარიელში, უფანჯროსა და ამიტომაც დახშულში დღის სინათლისთვის, რომელიც მხოლოდ მაშინღა მოეფინება აქაუ-

რობას, როდესაც ნგრევის ჟამი დადგება და ყოველივე ერთფეროვანი ქვების გროვად გადაიქცევა. ღმერთი მით მეტად ღმერთია, რაც უფრო მიუწვდომელია, დურგალი იოსები კი მხოლოდ მამაა ერთ-ერთი მრავალთაგანი ჩვილისა, რომელიც – ცხადია, მამა იგულისხმება და არა ჩვილი, – დაინახავს, როგორ მოკვდება ორი უცოდველი მტრედი, ხოლო ჩვილი, მათზე არანაკლებ უცოდველი, დედის ხელთ მოკალათებულა და ფიქრობს, თუ რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მის ფიქრს უკვე ფიქრი ეწოდოს, აი, ასეთია ეს ქვეყნიერება, სადაც მოვსულვარ და ასეთადვე დარჩება იგი უკუნითი უკუნისამდეო.

ხოლო ვეება გაუთლელი ქვებისგან აწყობილი საკურთხევლის წინაშე, არასდროს არანაირი რკინის ნივთი რომ არ შეჰხებია მას შემდეგ, რაც ეს ქვები კარიერებიდან გამოამტვრიეს და აქ დაალაგეს, ამ წმინდა ალაგას დგას ფეხშიშველი, ტილოს ქიტონით მოსილი მღვდელი და ელოდება, თუ როდის მიაწვდის ლევიტელი მტრედებს. აი, ერთი მათგანი აჰყავს, აი, საკურთხევლის კუთხისკენ მიჰყავს და იქ ხელის ერთი მოძრაობით თავსა და ტანს განუცალკევებს. სისხლი გადმოჩქეფს. მღვდელი საკურთხევლის ძირს მიაპკურებს, მერე უთავო სხეულს საგანგებო ღარში ჩადებს, რათა სისხლი ჩაიწუროს: ხოლო რიტუალის დასრულების შემდეგ მტრედს თავისთვის წაიღებს. მეორე ხუნდს წილად უფრო დიდი პატივი ხვდება – იგი მთლიანად უნდა დაიწვას. მღვდელი წმინდა ცეცხლთან მივა, საკურთხევლის იმავე მხარეს, ოღონდაც მეორე კუთხეში, სამხრეთ-დასავლეთით, – პირველი მსხვერპლი სამხრეთ აღმოსავლეთს შეეწირა, – მტრედს კისერს წააწყვეტს, სისხლს მოაპკურებს ფიცარნაგზე, რომლის კიდეებსაც ვერძის რქებად ნაჩუქურთმევი ორნამენტი ამშვენებს, და შიგანს ამოჰგლეჯს. არავინ აქცევს ყურადღებას – ერთობ უმნიშვნელო სიკვდილია და მხოლოდ იოსები, თავაღერილი, ცდილობს ამ ყოვლისმომცველ კვამლში თავისი მსხვერპლის კვამლი გამოარჩიოს, მაინცდამაინც იმ მტრედის დამწვარი ხორცის სუნი იყნოსოს, რომელსაც აი, ახლა მღვდელმა მარილი მოაყარა და ცეცხლში შეუძახა, თუმც საეჭვოა, დურგალმა ეს მოახერხოს, რადგან ცეცხლის ალში გახვეული გამოშიგნული მტრედი იმდენად მცირე რამ არის, რომ ღმერთის გამოხრულ კბილსაც კი ვერ ამოავსებს.

ქვემოთ კი, სამსხვერპლოს საფუძველთან სამი მღვდელი იცდის. რკინის კავით განგმირული ხბო ეცემა – ღმერთო, ღმერთო, რა სუსტნი ვართ შენი განგებულებით, რა ადვილად ვიხოცებით! იოსებს აქ მეტად საქმე აღარა აქვს, ცოლშვილიანად წასვლის დროა. მარიამი განწმენდილია, – ბუნებრივია, აქ ფიზიკურ სისუფთავეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ამის იმედი არავისა აქვს, ქალებს მით უფრო. იგულისხმება სულ სხვა რამ – რომ მარიამი აწ უკვე მშობიარობისგან გათავისუფლდა და ამიერიდან ყოველივე ძველებურადაა ქვეყნად, მხოლოდ ორი მტრედით ნაკლებია და ერთი ბიჭით მეტი, ეგ არის და ეგ. ტაძრიდან იმავე კარით გამოვიდნენ, რომლითაც შევიდნენ. იოსებმა სახედარი დაიბრუნა და სანამ მარიამი გზის პირას ქვაზე აცოცდა, რათა უნაგირზე მოთავსებულიყო, მამამ ვაჟი დაიჭირა – განა პირველად, მაგრამ ახლა, ჩანს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ დავიწყნოდა მტრედის ამოგლეჯილი შიგნეულობა, იოსები დაყოვნდა, სანამ ბიჭს დედას დაუბრუნებდა, თითქოს იფიქრა, მამის მკვლავებზე უკეთ ამქვეყნად ვერავინ დაიცავსო. ოჯახი ქალაქის გალავნამდე მიაცილა და ტაძარში, ანუ სამსახურში მიბრუნდა. ხვალ უკვე სრული სამუშაო კვირა შეივსება და ამიტომ უკანასკნელად გამოცხადდება, მერე კი წამითაც აღარ დააყოვნებენ, შინისკენ გასწევენ, ნაზარეთისკენ.

იმ ღამეს, როგორც იქნა, აღმოთქვა წინასწარმეტყველმა მიქიამ ის, რასაც ამდენ ხანს არ ამხელდა. ჰოდა, მაშინ, როდესაც ჰეროდე უკვე ყოველდღიურ სატანჯველს მოთმინებით იტანდა და იმედოვნებდა, ყოველი ახალი განმეორების შემდეგ მხილების ეს სიტყვები მრისხანე ძალას დაკარგავენო, აჩრდილიც გაქრება და არც საშინელი წინასწარმეტყველება აღარ გაისმებაო, უეცრად მეფემ ახალი და მოულოდნელი რამ ისმინა. და შენ, ბეთლემ, განა მცირე ხარ ურიცხვ იუდეველთა შორის? შენგან გამოვა მომავალი მბრძანებელი ისრაელისა. და იმავ წამს გაეღვიძა მეფე ჰეროდეს, მაგრამ მის საძინებელში სიმის ხანგრძლივი, უწყვეტი

ჟღერასავით კვლავ გაისმოდა წინასწარმეტყველის სიტყვები. ჰეროდე თვალებს უკვე აღარ ხუჭავდა ნათქვამის ფარული აზრის ამოსაცნობად, არც რა რჩებოდა ამოსაცნობი და ისე ღრმად ჩაფიქრებულიყო, რომ კანქვეშ მორიალე ჭიანჭველებსა და მატლებსაც ვეღარ გრძნობდა,

ცოცხლად გახრწნილ გვამში რომ დაუფუთფუთებდნენ. ამ წინასწარმეტ-ყველებაში ახალი არაფერი იყო არც მისთვის და არც იუდეის რომელიმე უწინდელი მმართველისთვის, მაგრამ ჰეროდეს არასოდეს ჩაუთვლია საჭიროდ ძველ წინასწარმეტყველთა გამოცხადებებში ჩაქსოვილ საიდუმლო აზრებს ჩასწვდომოდა, საიდუმლოებები ცხადშიც ყელში ჰქონდა ამოსული: შეთქმულებების მხილებასა და შეთქმულთა ხოცვას ვერ აუდიოდა.

სხვა რამ აშფოთებდა და უწრიალებდა სულს – რაღაც შემაწუხებელი უცნაურობა თვით ამ სიტყვების გამოძახილში გამოკრთოდა, თითქოს მარტო იმას კი არ ნიშნავდნენ სიტყვები, რასაც ნიშნავდნენ, არამედ კიდევ რაღაც ახლომდებარე და გარდაუვალ საშინელ საფრთხეს მოასწავებდნენ, სწრაფ და აუცდენელ უბედურებას იუწყებოდნენ. შეეცადა, განეგდო ეს თავზარი, ძილი შეებრუნებინა, მაგრამ ტანი არ ემორჩილებოდა და ხელახლა გახსნილიყო გულ-გვამში დატრიალებული განსაცდელისთვის, ასე რომ, თვით განსჯაც კი ამ საშინელებისგან თავდასაღწევ გზად მოჩანდა. პასუხის ძიებაში მეფე ჭერს მიაჩერდა, ჩირაღდანთა მრუმე სინათლეზე ჩუქურთმები თითქოს გაცოცხლდნენ და ამოძრავდნენო; შემდეგ საჭურისთა უფროსს მოუხმო, მისი ძილისა თუ უძილობის დარაჯობა რომ ევალებოდა, და უბრძანა, დაუყოვნებლივ, ამწამსვე ტაძრიდან მღვდელი მომგვარე, და თან წინასწარმეტყველ მიქიას წიგნი გამოიყოლოსო.

არ გამოვიდა „ამწამსვე“: სანამ სასახლიდან ტაძრამდე მივიდნენ, მთელი საათი გავიდა და უკვე თენდებოდა, მღვდელი რომ სამეფო საძინებელში შეიყვანეს. წაიკითხე! – უბრძანა ჰეროდემ და მანაც დაიწყო: უფლის სიტყვა, რომელიც იყო მორეშეთელ მიქიას მიმართ იუდეის მეფეების: იოთამის, აქაზის და ეზეკიას დროს... და ასე მანამ, სანამ ჰეროდემ არ შეაწყვეტინა და შესძახა: შემდეგ! მღვდელი აფორიაქდა, ვეღარ გაეგო, ასე გვიან რად დასჭირდათ მისი სასახლეში გამოძახება, სასწრაფოდ სხვა სტრიქონზე ისკუპა: ვაი, ავისმზრახველთ და ბოროტმოქმედთ, განთიადისას რომ სჩადიან თავიანთ საწოლებზე, – და მოკეტა, იაზრა, ახლა კი ძვირად დამიჯდება ეს უნებლიე შეცდომაო და აბნეულმა, თითქოს უნდა, წამის წინ წარმოთქმული სიტყვები სასწრაფოდ და-

ვიწყებას მისცესო, ალალბედზე სხვა ადგილზე გადახტა: უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ მთების წვერზე დამყარდება უფლის სახლის მთა: გორაკებზე მაღლა აღიმართება და მისკენ დაიწყებენ დენას ხალხები. შემდეგ! – დაუღრიალა ჰეროდემ, განრისხებულმა, რატომ ის სიტყვები არ მესმის, რომელთა გულისთვისაც ეს მღვდელი ვიხმეო და იმანაც წაიკითხა, როგორც იქნა: შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდეის ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამოვა ხელმწიფე ისრაელში. გაიმეორე! შესძახა, ხელი აღმართა ჰეროდემ და მღვდელი დაემორჩილა. ერთხელაც! და ერთხელაც წაიკითხა. კარგი, გეყოფა, ხანგრძლივი დუმილის შემდგომ თქვა მეფემ, შეგიძლია წახვიდე. ყველაფერს ნათელი მოეფინა: წიგნი ვიღაცის სამომავლო დაბადებას იუწყებოდა, მიქია წინასწარმეტყველის გამოცხადება კი იმას ნიშნავდა, რომ ნაწინასწარმეტყველევი შობა უკვე აღსრულებულიყო. შენგან გამომივა ხელმწიფე, – ნათლადაა თქმული, როგორც წინასწარმეტყველებას შეეფერება, ეს ჩვენ ვაბუნდოვანებთ ხოლმე მათ აზრს ჩვენივე განმარტებებით.

ფიქრობდა და ფიქრობდა ჰეროდე და შუბლი სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა და თავზარს დასცემდა მისი ხილვა ყველა დამნახავს და ბოლოს ბრძანა, დაცვის უფროსი მომგვარეთო და დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ბრძანება გასცა. როცა ის დაბრუნდა და მოახსენა, მეფის ბრძანება აღსრულებულიაო, ახლა სხვა უბრძანა, სახვალიო. მალე შევიტყობთ, თუ რაზე გახლდათ საუბარი, მაგრამ აი, იმ მღვდელს კი ამ „მალე“ დროით სიცოცხლეც კი აღარ ეღირსება, რადგან მეფის სასახლიდან ტაძრად დაბრუნებამაც აღარ მოუწია – გზად ვიღაც მეომრებმა გაიფრთხობინეს სული. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს გახლდათ ჰეროდეს პირველი ბრძანება, რამეთუ შესაძლო მიზეზი და მისი კანონზომიერი შედეგი ერთმანეთთან ერთობ ახლოა. რაც შეეხება წინასწარმეტყველ მიქიას წიგნს, იგი უკვალოდ გაქრა. წარმოგიდგენიათ, რა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა, ამ წიგნის მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი რომ არსებულიყო?!

8* * *

მოკრძალებული სადილი დამთავრდა, თუმცა ათისთავს სამუშაოს გაგრძელება ჯერ არ ებრძანებინა, ასე რომ დურგალ იოსებს, მრავალრიცხოვან დურგალთაგან ერთ-ერთს, შეეძლო ერთხნობას კიდევ მჯდარიყო, დაესვენა, ან თუნდაც წამოწოლილიყო და თვალი მოეხუჭა, სასიხარულო ფიქრთა აუჩქარებელ მდინარებას გაჰყოლოდა, წარმოედგინა, რომ სამარიის ქედს გადაღმა გზაზეა უკვე და მწვერვალიდან სათაყვანებელ ნაზარეთს ხედავს, ასე რიგად მონატრებულს ამასობაში. მაგრამ ახლა სული მხოლოდღა მღეროდა და იოსები თავის თავს ეუბნებოდა, აჰა, ხანგრძლივი განშორების დასასრულიც დადგაო, რამეთუ ხვალ დილაუთენია, როგორც კი ვარსკვლავები აისის მოლოდინში ოდნავ ჩაინავლებიან და მხოლოდ ერთი, მწყემსთა ვარსკვლავიღა იბრწყინებს ჯერაც ბნელ ზეცაზე, შინისკენ დავიძვრებიო და გზად უფალს დიდებას აღვუვლენ ჩვენი ნაბიჯების წარმართვისა და ჩვენი სახლ-კარის მფარველობისთვისო. შეკრთა უცებ, თვალი ჭყიტა – მოეჩვენა, ჩამეძინა და სამუშაოდ მხმობი სასტვენის ხმა გამომრჩაო, თუმცა, არა: ეტყობა, წამით კი ჩათვლიმა, მაგრამ აგერ მისი ამხანაგები – ვის სძინავს, ვინ ლაყბობს, და თვითონ ასისთავიც ისე ზის, გეგონება, დღევანდელი დღის უქმედ გამოცხადება გადაუწყვეტია და ამ დიდსულოვნებას არც კი ნანობსო. მზე უკვე ზენიტშია და ქარის მოკლე-მოკლე, მაგრამ ძლიერი წამოქროლვები სამსხვერპლოებიდან ადენილ კვამლს სულ სხვა მხარეს მიერეკება და აქ, დაბლა, იპოდრომის მშენებლობამდე ტაძართან მოვაჭრეთა გურგურიც კი ვერ აღწევს, კაცს ეგონება, თითქოს დროის ჭანჭიკები და ქანქარები გარინდულან, გაქვავებულან და სამყაროს სივრცის, ყველა ჟამისა და ეპოქის ზედამხედველი დიადი ათისთავის მობრძანებას ელოდებიანო. მაგრამ ამ აღუშფოთებელ ბედნიერებაში ჩაძირული იოსები უეცრად უცნაურმა შფოთვამ შეიპყრო, მიმოიხედა, ეგება ამ შფოთვის მიზეზს მივაგნოო, მაგრამ ირგვლივ არაფერი შეცვლილიყო, ყოველივე ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც მთელი ამ კვირის განმავლობაში მიეჩვია თვალი – ხარაჩოები, ქვები, ფიცრები, თეთრი ჩხვლეტია ხრეში ქვის სამტეხლოებთან, სველი ნახერხი, მცხუნვარე მზის გულზეც დიდხანს რომ არ შრება – არადა, გულს შემოწოლილი უეცარი დარდი იმდენად დამთრგუნველი, შემაშფოთებელი და დამაბნეველი იყო, იოსებმა

გადაწყვიტა, უეჭველად უნდა გავერკვე, რა ჭირი მეტაკაო – χერ იფიქრა, ალბათ წამოწყებული საქმის მიტოვება რომ მომიწევს, ის მედარდებაო, თუმცა ეს საქმე არც მაინცდამაინც ჩემია, თანაც მასზე თავის დანებებას ერთობ მნიშვნელოვანი და კანონიერი გარემოებები მაიძულებენო. წამოდგა, ნეტავი დრო რამდენი დამრჩაო, იფიქრა – ათისთავს მისკენ არც კი გამოუხედავს – და გადაწყვიტა, იმ ადგილებს შემოვივლი, სადაც მუშაობა მომიწიაო, იმ მორებს დავემშვიდობები, რომლებსაც ვთლიდიო, იმ ფიცრებს, რომლებსაც ვრანდავდიო, ძელებს, რომლებსაც ვამაგრებდიო, – იმ ფუტკრის მსგავსად, – მომიტევეთ ესოდენ თამამი შედარება, – რომელიც ამბობს, თაფლი ჩემიაო. გამოსათხოვარი შემოვლა დაასრულა და უკვე მზად იყო, სადურგლო მოვალეობას დაბრუნებოდა, მაგრამ კიდევ წამით შეყოვნდა, თვალი ვერ მოსწყვიტა ქალაქს, ბექობზე რომ აზიდულიყო მრავალ საფეხურად, იმ გამომწვარი აგურის ფერი რომ მოსდებოდა, რომლითაც იყო ნაშენი და ამ ფერის გამო პურს რომ მიაგავდა, და აი, ახლა კი ათისთავი ნამდვილად უხმობს, მაგრამ იოსები არ ჩქარობს და არავინ იცის, რას ელოდება. მცირედმა ხანმაც ჩაიარა და იოსებმა ისე ჩაიბუზღუნა, გეგონება, ან რაიმეს ეგუება, ან რაიმეზე უარს ამბობსო: ჰო, კარგი, წასვლის

დროა, – და იმავ წამს ქვემოთ გამავალი გზიდან ხმები მოესმა, პატარა ქვის კედლის მიღმა გაიხედა და სამი მეომარი დაინახა. ჩანს, ისინი სწორედ ამ გზას მოუყვებოდნენ, მაგრამ ახლა შეჩერებულიყვნენ, ორ მათგანს შუბის ტარები მიწაზე დაებχინა და მესამეს უსმენდნენ – მათ შორის უფრო ასაკოვანს, ეგება ჩინითაც აღმატებულს, თუმცა ამ უკანასკნელი ვითარების დასაზუსტებლად ზედმიწევნით უნდა ვერკვეოდეთ იმ ვარსკვლავების, შპალების, კოკარდების, შევრონებისა და მსგავსი სამხედრო ნიშნების ავანჩავანში, გვესმოდეს მათ ფორმასა და განლაგებაში ჩაქსოვილი ფარული მინიშნებები. ხოლო სიტყვები იოსების ყურთასმენამდე ბუნდოვნად აღწევდა და ერთი შეკითხვაღა გაარჩია: და როდის? ხოლო უფროსის პასუხი უკვე მთლად გარკვევით გაისმა: მესამე ჟამის დაწყებისას, როცა ყველანი შინ იქნებიან, და ისევ ჰკითხეს: რამდენ კაცს გაგზავნიან? – და კვლავ პასუხი: არ ვიცი, მაგრამ ქალაქს ალყა უნდა შემოერყას. და ყველანი? არა, ორი წლისანი და უმცროსნი. მიდი

და გაარჩიე, ორისაა თუ უკვე სამიც შეუსრულდა, თქვა პირველმა. და სულ რამდენი გამოდის? – ჩაეძია მეორე. აღწერის თანახმად ოცდახუთი სული, მიუგო უფროსმა. იოსებმა თვალები ისე გადმოკარკლა, თითქოს იმედოვნებდა, თვალები დამეხმარებიან, გაგონილის აზრს ჩავწვდეო, რამეთუ ყურებს აღარ უჯერებდა და მთელ კანზე ბალანი აებურძგლა: ერთი რამ, ასე თუ ისე, ცხადი იყო – ეს მეომრები ხალხის დასახოცად მოდიოდნენ. ვის დასახოცად? დაბნეული ეკითხებოდა იოსები თავის თავს, ხალხის კი არა და, ბავშვების, თუმცა რა, ბავშვები ხალხი არაა? ორი წლისანი და უმცროსნი, ასე ბრძანა ამ კაპრალმა, სერჟანტმა, მწერალ-კაპტენარმუსმა თუ ვინც არის, და სად, სად უნდა მოხდეს ეს? ხომ არ გადაეყუდება ამ კედელს და ჰკითხავს: ჰეი, ბიჭებო, საით გაგიწევიათო, ოფლი ღვარად სდიოდა და მუხლები უკანკალებდა, უფროსი კი ამ დროს კვლავ ალაპარაკდა, თან დაფიქრებით და თანაც თითქოს ერთგვარი შვებით: მადლობა ღმერთს, რომ არც ჩვენ და არც ჩვენი შვილები ბეთლემში არ ვცხოვრობთ. და რატომ გვაგზავნიან ბეთლემელი ჩვილების გასაჟუჟად, ეს მაინც თუ იცით ვინმემ? – იკითხა პირველმა შუბოსანმა. არა, და მგონი, ხელმძღვანელობამაც არაფერი იცის; მეფის ბრძანებაა და მორჩა, წერტილი. მეომარმა, რომელიც შუბისტარით მიწას ისე ხაზავდა, თითქოს ბედისწერის იდუმალი ნიშნები გამოჰყავსო, თქვა: ვაი, ჩვენ, ვაი! ეტყობა, ის ავკაცობა არა კმარა, თითოეული ჩვენგანი რომ სჩადის ცხოვრებაში, ახლა კიდევ სხვისი ავკაცობის იარაღადაც უნდა ვიქცეთ. მაგრამ იოსებს ეს სიტყვები აღარც გაუგონია, ფეხაკრეფით გამოეპარა ამ იღბლის ნაწყალობევ ქვის კედელს, მერე კი თავქუდმოგლეჯით მოკურცხლა, ვაცის სიმარჯვით მიხტოდა ქვებზე, ხოლო ახლახან შუბოსნის მიერ გამოთქმული ფილოსოფიური პოსტულატი, მოკლებული ვინმეს მიერ იმის დადასტურების შესაძლებლობას, რომ იგი (პოსტულატი) ნამდვილად გამოითქვა და თანაც ზუსტად ზემოთ მოყვანილი სიტყვებით, გვაიძულებს, მის (პოსტულატის) არსებობაში სერიოზული ეჭვი შევიტანოთ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ უფსკრულისებრ წინააღმდეგობას, რომელიც აღინიშნება ერთი მხრივ, მის (პოსტულატის) შესაშურსა და აშკარად ღრმა თვითმყოფადობასა და მეორე

მხრივ, იმ ბაგეთა სოციალურ უმნიშვნელობას შორის, რომლითაც იგი (პოსტულატი) გამოითქვა.

იოსები მიქრის გრიგალივით, მიარღვევს ყოველივე გზადშემხვედრს, აყირავებს ვაჭართა დახლებს და ხონჩებს, აპირქვავებს სამსხვერპლოდ განწირული მტრედების გალიებსა და ზარაფთა ტაბლებს, ყურს არ უგდებს უკან მიდევნებულ შეძახილებს და მის აგიზგიზებულ გონებაში ერთადერთი აზრიღა ბოგინებს –

მისი შვილის მოკვლა უნდათ, კაცმა არ იცის, რისთვის და რატომ და, დამეთანხმებით, კოლიზია დრამატიზმითაა აღსავსე: ერთმა კაცმა ბავშვს სიცოცხლე უბოძა, მეორეს კი ამ სიცოცხლის მოსწრაფება მოსურვებია, და ორივე სწრაფვა ერთურთის ღირსია – შექმნა და მოსპობა, შეერთება და განცალკევება, კეთება და განადგურება.

უეცრად ადგილზე ქვავდება, რადგან იაზრებს, თუ რაოდენ სახიფათოა ამ გიჟური რბოლის გაგრძელება – ემანდ ტაძრის მცველები გამოტყვრებიან და ხელს სტაცებენ, კიდევ კარგი, აქამდე რომ ვერ შენიშნეს, რარიგ მიანგრ-მოანგრია იქაურობა. და აი, უკვე ისე იქცევა, როგორც ყველა, ნაკეცში ჩამალული ტილივით შეერია ბრბოს, უმალ უსახო და უსახელო გახდა და სხვათაგან მხოლოდ ოდნავ სწრაფი ნაბიჯით განირჩეოდა, თუმცა ამ მჭიდრო ჯგროში ამას ყურადღებას არავინ აქცევდა.

იცის – გაქცევა მანამ არ შეიძლება, სანამ ქალაქის კედლებს არ გასცდება, მაგრამ ფიქრი არ ასვენებს – ეგება შუბებით, ხმლებით, დანებით და თუმც უმიზეზო, მაგრამ მაინც უზომო ბოღმით შეიარაღებული ჯარისკაცები უკვე დაიძრნენ და იქნებ, საბედნიეროდ, ფეხოსნური მწყობრით და არა ცხენდაცხენ, თუ არადა, უკვე მოაჭენებენ და გზა, თითქოს ჯიბრზე რომ თავქვე ეშვება, მხედრებს სვლას უიოლებს, და თუ ასეა, იმათ ვერც გაუსწრებ, ვერც დაეწევი და დაიღუპება ჩემი ბიჭუნა, ჩემი საბრალო, ჩემი საყვარელი, ერთადერთი, ჩემი იესო – და იმწამს ახალი აზრი, სულელური და გინებასავით უღირსი, შეურაცხმყოფლად იჭრება გონებაში: ხელფასი, მთელი კვირის ხელფასი იკარგება და ამ საძაგელი ანგარების, მდაბალი ინტერესის ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ იოსები, თუმც არ შეჩერდება, მაგრამ ნაბიჯს მაინც შეანელებს, თითქოს სურს, გონებას ასაწონ-დასაწონად ოდნავ მშვიდი პირობები შეუქმნასო

– ეგება მოხერხდეს ამ ორის ერთიმეორესთან მორიგება – ცხოვრების, ასე ვთქვათ, და ფულის – მაგრამ ეს წვრილმანი აზრი წამიერი და იმ სხივზე უმსუბუქესი აღმოჩნდა, დაბადებისთანავე რომ ქრება და ვერანაირი კვალის დატოვებას ვერ ასწრებს, ასე რომ, იოსებმა სირცხვილის განცდაც კი ვერ მოასწრო, იმ სირცხვილისა, რომელიც ხშირად, თუმც არცთუ საკმარისად ხშირად, ჩვენი ერთადერთი საიმედო და უერთგულესი მფარველი ანგელოზია.

და აი, როგორც იქნა, გასცდა ქალაქის მიჯნას, გზაზე, სადამდეც თვალი მიუწვდება, ჯარისკაცები არ ჩანან, არც რაიმე გამოცოცხლება იგრძნობა, რაც აუცილებლად შეინიშნებოდა, ამ კარიბჭიდან მეომრების რაზმი ახლახან რომ გამოსულიყო, თუმცა ყველაზე უტყუარი და ჭეშმარიტი ნიშანი მშვიდად მოთამაშე ბავშვებია: ისინი ასე არ მოიქცეოდნენ, აქ რომ ალმებაფრიალებულ, დოლ-საყვირებით ახმიანებულ მეომრებს ჩაევლოთ, მაშინ ბიჭები, სამყაროსავით ძველი მეომრული სულის ძახილს აყოლილები აქ არ დარჩებოდნენ – რაზმს, სულ ცოტა, პირველ მოსახვევამდე დაედევნებოდნენ, ყველაზე ყოჩაღები კი ბოლომდეც მიჰყვებოდნენ და მათ გეგმებსაც შეიტყობდნენ, გეგმები კი მარტივია – დახოცონ და დაიხოცნენ. ახლა უკვე შეუძლია გაქცევა იოსებს – და გარბის კიდეც, თავქვე ეშვება, ქიტონის კალთები ფეხებში ებლანდება, თუმც კი მუხლებამდე აიკაპიწა, მაგრამ სიზმრისეული განცდა არ ეშვება – თითქოს ფეხებს ვერ იმორჩილებს, გულს, თავს, თვალებს, ხელებს ვერ აჰყოლია, ისინი კი ჩქარობენ შველასა და გადარჩენას, მაგრამ აშკარად ვეღარ ასწრებენ. შემხვედრნი გაოცებული მზერით აცილებენ შურდულივით

გაქცეულს და თვალში არ მოსდით, რამეთუ ეს ხალხი თავშეკავებულ ღირსებას და სიდინჯეს აფასებს, სიარულსა და საქციელში დარბაისლური დიდებულება სჩვევია და იოსების ერთადერთ გამართლებად, – თუ, ცხადია, იმას არ გავითვალისწინებთ, შვილის გადასარჩენად რომ მიეშურება, – ისღა დარჩენილა, რომ გალილეველთა მოდგმისაა, ანუ, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, გაუთლელი და უხეში ჯიშის ტიპური წარმომადგენელია. აჰა, უკან მოიტოვა საფლავი რაქელისა, რომელსაც ალბათ აზრადაც არასდროს მოსვლია, თუ ესოდენ უხვი მიზეზი

შეექმნებოდა შვილთა თავისთა საგლოვად, გარემომცველი მრუმე ბორცვების წივილ-კივილით ასავსებად, სახის, თუ რაც დარჩა, იმის დასახოკად, თმის დასაგლეჯად და შიშველ თავის ქალაში ხელის წასაშენად. იოსებმა, ჯერ კიდევ სანამ ბეთლემის პირველ სახლებს დალანდავდა, გზას გადაუხვია და მინდორი მოკლეზე გადაჭრა: ასე უფრო ახლოაო, ეტყვის, თუ ვინმეს მისი ეს საქციელი გაუკვირდება და ჰკითხავს, რას აკეთებო, და თუმცა ასე მართლაც ბევრად იმოკლებს გზას, ისიც ცხადია, რომ ეს ბევრად უხერხული მარშრუტიცაა – მინდორში მომუშავეებს თავი უნდა აარიდოს, ქვებს უნდა ამოეფაროს, ემანდ მწყემსებმა არ დამინახონო, ამიტომ იოსები კარგა გვარიან წრეს არტყამს მღვიმემდე მისაღწევად, სადაც ცოლი ჯერ ასე ადრიანად არ ელის, შვილი ხომ მით უმეტეს – ახლა ტკბილად უნდა ეძინოს. ბოლო ბორცვის შუა ფერდზე, როცა მღვიმეში შესასვლელი შავი ხვრელი უკვე გამოჩნდა, კიდევ ერთმა საშინელმა აზრმა გაუელვა: ვაითუ. მარიამი ბავშვთან ერთად დაბაში წავიდა – ქალებმა ხომ ასე იციან, ჰოდა, ეგება მარტოობით ისარგებლა, იფიქრა, მხევალ სალომეას და იქაურ ახალგაზრდა დედებს, რომლებსაც ბოლო ხანს დაუმეგობრდა, ასე უფრო აუჩქარებლად დავემშვიდობებიო, მღვიმის პატრონებს კი, როგორც წესი და რიგია, ქმარი ეტყვის მადლობასო. და აი, ამ ქმრის წარმოსახვაში ახლა ასეთი სურათი იხატება – დარბის ბეთლემის ქუჩებში, სახლებზე აკაკუნებს, ყვირის: ჩემი ცოლი აქ ხომ არ არის?! – ორი თვის ბავშვის შესახებ ამავე შეკითხვას ხომ რა აზრი აქვს, და რომელიმე ბავშვიანი ქალი რომ დაინახავს, კაცი ჭკუაზე აღარ არისო, უეჭველად შეეკითხება: ხო მშვიდობაა? ის კი ეტყვის: არა, არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ, ხვალ ადრე დილით მივდივართ, ჩასაბარგებლები ვართ. აქედან, მაღლობიდან ბეთლემი მშენებარე ტაძარს ჰგავს და ირგვლივ მიმოფანტული ქვები თითქოს ელიან, როდის მოვლენ მუშები, ერთმანეთზე დაგვალაგებენ, ააშენებენ ჩვენგან რამესო – სათვალთვალო კოშკს ან ანძას, ან მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავ ობელისკს, ანდა სულაც გოდების კედელსო. შორს ძაღლი ყეფს, სხვები ეხმიანებიან, მაგრამ დაისისწინა ჟამის მცხუნვარე მდუმარება ბეთლემს იმ დავიწყებულ ლოცვასავით ეფინება, ძალა და მადლი თითქმის რომ გამოლევია ცაში გაბნეული ღრუბლის სულ ბოლო ფთი-

ლასავით. იოსებმა უძრავად იმაზე ნაკლები ხანი დაყო, ვიდრე ამ სიტყვების წარმოთქმას დასჭირდა. ბოლო ნახტომი და აი, მღვიმის შესასვლელშია, ცოლს უხმობს: მარიამ, აქ ხარ? და როცა ქალი სიღრმიდან გამოეხმაურა, ახლაღა მიხვდა და იგრძნო, როგორ უკანკალებდა და ეკეცებოდა ფეხები ამ ცოფიანი სრბოლისგან, მაგრამ იმავ დროს, სიხარულისგანაც: ბიჭი უვნებლადაა. მარიამს ვახშმად ბოსტნეული დაუჭრია, ჩვილს კი ბაგაში სძინავს. იოსები უღონოდ გაიშოტა მიწაზე, თუმც იმავ წამს თავი აიძულა, წამომხტარიყო და თქვა: მივდივართ, და მარიამმა გაკვირვებულმა შეხედა: მივდივართ? – და მან მიუგო: ჰო, ჰო, სასწრაფოდ მივდივართ. კი მაგრამ, ხომ ამბობდი... გაჩუმდი! – შეაწყვეტინა, ბარგი აკრიფე, სანამ სახედარს შევკაზმავ. გვევახშმა მაინც. გზაში ვივახშმებთ. საცაა დაღამდება, ბნელში სად უნდა ვიაროთ, დავიკარგებით, და იოსებს ყვირილი წასკდა: გაჩუმდი-მეთქი, გითხარი და ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან! მარიამს ცრემლი მოადგა თვალზე – ქმარმა ცხოვრებაში პირველად უყვირა – და უსიტყვოდ შეუდგა თავისი მცირედი ბარგიბარხანის თავმოყრას.

ცოცხლად, ცოცხლად! აგულიანებდა იოსები, თან ვირს კაზმავდა, მოსართავებს სახელდახელოდ უჭერდა და თან თოფრებში განურჩევლად ყრიდა ყველაფერს, რაც კი რამ ხელთ მოხვდებოდა, ხოლო განცვიფრებული მარიამი ქმარს ვეღარ ცნობდა.

უკვე თითქმის გამზადებულნი იყვნენ წასასწვლელად – ცეცხლზე მიწის მიყრაღა რჩებოდა, – როცა იოსებმა ცოლს ხელით ანიშნა, არ გაინძრეო, გასასვლელთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ბინდბუნდის ფერფლი მიწასა და ზეცას ისე დასდებოდა, ერთს მეორისგან ვეღარ გაარჩევდი. გაუმჭვირვალე სუდარაში გახვეული მზე ჯერ მთლად არ ჩასულიყო, იმ სიმაღლეზე კი ეკიდა, რომ თვალს მინდვრები გაერჩია, მაგრამ აი, სხივებს კი უკვე ვეღარას ჰფენდა. იოსებმა მიაყურადა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა და – უეცრად თმა ყალყზე დაუდგა: ბეთლემიდან კივილი მოისმოდა, იმდენად გამყინავი, ადამიანს ეს არ აღმოხდებაო, იტყოდით და იმავ წამს, გარშემო ბორცვებიდან არეკლილი ექოს კვალდაკვალ ხელახლა იფეთქა ტირილისა და წიოკის ახალმა ტალღამ, მაგრამ არა, ანგელოზები როდი გლოვობდნენ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს,

არამედ გონსგადასული ადამიანები შეჰღაღადებდნენ ცარიელ ზეცას. იოსებმა ფრთხილად, თითქოს ეშინია, ჩემი ფეხის ხმა არავინ გაიგონოსო, მღვიმის სიღრმეში დაიხია და მისი აკრძალვის დამრღვევ მარიამს შეეფეთა – თავით-ფეხებამდე თრთოდა ქალი. რა ხმაურია? – იკითხა, იოსებმა უპასუხოდ შეათრია მღვიმეში და კოცონზე მიწის მიყრას შეუდგა. რა ყვირილია? გაიმეორა ქალმა სიბნელიდან და ამჯერად კაცმა მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა: ადამიანებს ხოცავენ, კიდევ დადუმდა და ჩურჩულით დასძინა: ბავშვებს ხოცავენ, მეფე ჰეროდეს ბრძანებაა, და ყელში უხმო და უცრემლო ტირილის კლანჭმა წაუჭირა, მაგრამ ამასაც სძლია და სათქმელი დაასრულა: ამიტომაც უნდა გავიქცეთ.

აშრიალდა ჩალა, აშარიშურდა ქსოვილი – მარიამმა ბიჭი ბაგიდან ამოიყვანა და მკერდზე მიიკრა: იესო, შენი მოკვლა უნდათ, და ბოლო სიტყვა ქვითინმა შეაწყვეტინა. გაჩუმდი, თქვა იოსებმა, კრინტი არ უნდა დავძრათ. ეგება ჯარისკაცები აქ არც მოვიდნენ, ნაბრძანები აქვთ, ბეთლემში ორი წლისა და უმცროსი ჩვილები ამოხოცონ. საიდან იცი? ტაძართან ლაპარაკს მოვკარი ყური და აქეთ გამოვიქეცი. რა უნდა ვქნათ? არა მგონია, ყოველი მღვიმე დაჩხრიკონ, სახლების შემოვლა აქვთ ნაბრძანები, ილოცე, რომ არავინ გაგვცეს და გადავრჩებით. კვლავ გარეთ გაიხედა. კივილ-წივილი ჩანავლდა და მოთქმაღა ისმოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყრმათა მოსრვა შესრულდა და დასრულდა. ისევ უჟმური იყო ზეცა – მოძალებული ღამე და ნისლის ზეწარი საიმედოდ გადაჰფარებოდა ბეთლემს, თითქოს ცის ბინადართა თვალს რომ არ დაენახა. აქ იყავი, თქვა იოსებმა, გზაზე გავალ, ვნახავ, წავიდნენ თუ არა ჯარისკაცები. ფრთხილად იყავი, თქვა მარიამმა, თითქოს არ სცოდნოდა, რომ მის ქმარს არანაირი საფრთხე არ ელოდა, რომ სიკვდილი ამჯერად ბეთლემის ორი წლისა და ნაკლები ასაკის მამრობითი სქესის მცხოვრებლებს ეწვია მხოლოდ, ოღონდაც თუ გზაზე იმავე მიზნით – ჯარისკაცთა დასაზვერად, გამოსულმა მავანმა არ გასცა, არ დაასმინა, არა თქვა: აჰა, დურგალი იოსები და ვაჟს მისას, იესოდ სახელდებულს ჯერ ორი თვეც არ შესრულებია და ეგება მასზეა თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რამეთუ არასოდეს წაგვიკითხავს და გაგვიგია, თითქოს ჩვენს ვაჟებს სა-

მეფო გვირგვინი უნდა რგებოდათ, მით უმეტეს ახლა, როცა ერთიანად ამოგვიჟლიტეთ.

მღვიმეში ისეთი უკუნი იდგა, ხელს თავისუფლად მოჰკიდებდი. მარიამს სიბნელის ეშინოდა,

ბავშვობიდან მიჩვეული იყო კერიის ცეცხლს, კვარს ან ორივეს ერთად, ახლა კი თავს მიწაში ცოცხლად დამარხულივით გრძნობდა და სულ უფრო და უფრო ეჩვენებოდა, საცაა სიბნელე თავის ცივ, გრძელ თითებს ჩამავლებსო.

მღვიმიდან გამოსვლა, ქმრის ბრძანების დარღვევა და შვილის საფრთხეში ჩაგდება არ შეეძლო, მაგრამ შიში ყოველწამიერ ეძალებოდა, საცაა კეთილგონიერებას დააკარგვინებდა ვეღარც ამგვარი თვითდამშვიდება უშველიდა: თუ მანამ არაფერი იყო, სანამ ცეცხლი ენთო, მაშასადამე, არც ახლა არ არის არაფერი, და ამ ფიქრმა მოულოდნელად უშველა, ცეცებით მიაგნო ბაგას, ბიჭი შიგ ჩააწვინა, მერე ლამის ხოხვით მიიპარა კოცონთან, ჩალის ღერით მიწა მოჩიჩქნა, ორიოდ ჯერაც ჩაუნავლებელ ნაკვერჩხალს მიაგნო და შიშმაც გაუარა – რატომღაც თიხის ქოთანში ჩაყრილი ის მანათობელი მიწა გაახსენდა, ცახცახითა და ციაგით რომ ანათებდა და სწრაფ-სწრაფად ელვარებდა, თითქოს მთის მწვერვალზე ვიღაც ზეაღმართულ ჩირაღდანს იქნევდა და თან გარბოდა.

გაიელვა იმ მაწანწალის სახებამ და წამსვე გაქრა – მღვიმის განათების აუცილებლობამ განდევნა იგი. მარიამმა კვლავ ხელის ცეცებით მიაგნო ბაგას, ჩალა მობღუჯა, ამოაძრო, დაბრუნდა უკან, მკრთალად მანათობელ მიწასთან – და აჰა, გარედან შემომზირალი თვალისთვის უხილავ შორეულ კუთხეში აალდა კვარი, იმ ერთ ადგილას თავმოყრილი მღვიმის კედლები ოდნავ შეფერა და ამ მრუმე, მომაკვდავ შუქთან ერთად სიმშვიდეც მოვიდა მარიამთან. ბაგასთან მივიდა, უდრტვინველად მძინარე ვაჟთან, არანაირი შიში რომ არ ადარდებდა, არც სხვა რამ შთაბეჭდილებები, გარეთ მობობოქრე ძალადობა და მკვლელობები, კვლავ აიტატა ხელში და მიწაზე დაჯდა, მეტ სინათლესთან. ლოდინი იწყო.

ცოტა ხნის მერე გამოიღვიძა და სანამ თვალს გაახელდა, სატირლად მოჭმუხნა პაწია სახე, მაგრამ მარიამმა, ამასობაში დედობრივ ხელოვნებას დაუფლებულმა, ატირება აღარ აცალა – მკერდი მიაგება, ძუძუ ჩა-

უდო პირში. ასე ისხდნენ, როცა გარედან ნაბიჯის ხმა მოისმა. ერთ წამს მარიამს გული კინაღამ გაუჩერდა – ჯარისკაცები! მაგრამ ნაბიჯები აშკარად ერთისა იყო, ჯარისკაცები კი, როგორც ცნობილია, ცალად არ დაიარებიან, სულ ცოტა, წყვილად, ჩვეულებისა და საველე წესდების თანახმად, განსაკუთრებით ასეთ შემთხვევებში, როცა ძიება მიმდინარეობს, უფრო სწორად კი, ძებნა, და ყოველგვარი გართულების თავიდან ასაცილებლად ერთი ვალდებულია, მეორე დააზღვიოს. იოსებია, გაიფიქრა მარიამმა და შეეშინდა, გამიჯავრდება, ცეცხლი რად დაანთეო. ნაბიჯის ხმა ნელა ახლოვდებოდა და აჰა, იოსებიც შემოვიდოდა, მაგრამ მარიამი უეცრად აცახცახდა, – ეს ნაბიჯები, მძიმე, მყარი არ შეიძლება იოსებისა ყოფილიყო, ეტყობა, ვიღაც მაწანწალა თავშესაფარს ეძებდა ღამის სათევად და როგორც აქამდე ორი შემთხვევისას, მარიამს არ შეშინებია, რადგან ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ვინმე, რაგინდ ბოროტიც უნდა ყოფილიყო, ჩვილბავშვიან ქალს რამეს ავნებდა, თუმცა მარიამმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ დღეს ბეთლემში დახოცილ ბავშვთა უმრავლესობა დედებს სწორედაც ხელში ეჭირათ, ზუსტად ასევე, მარიამს რომ ახლა იესო უჭირავს და ასევე წოვდნენ დედის რძეს, როცა მახვილი აპობდა მათ ნაზ კანს, ესობოდა ნაზ ხორცს, მაგრამ ამ მახვილის ტარი ვინმე მაწანწალას კი არა, მეფის ჯარისკაცს ეკავა ხელში, ეს კი, დამეთანხმებით, არცთუ უმნიშვნელო განსხვავებაა. არა, ეს არც ქმარი იყო, არც საგმირო საქმის მაძიებელი

მარტოხელა მეომარი, დიდების სხვისთვის გაწილადება რომ ენანება, არც უბინაო მიუსაფარი გლახაკი – არა, ამჯერად მწყემსის სამოსში გამოწყობილი კვლავ ის მოვიდა მარიამთან, ვინც მანამდე, ერთხელაც და მეორედაც – მაწანწალად გამოეცხადა, ის, ვინც თავის თავს ანგელოზი უწოდა, ოღონდ არ უთქვამს, ცის მაცნე იყო თუ ჯოჯოხეთისა. თავიდან მარიამს აზრადაც არ მოსვლია, რომ კვლავ ის ეწვია, ახლა კი მიხვდა, რომ მის გარდა აქ გამოჩენა სხვას არავის შეეძლო.

და ასე ბრძანა: მშვიდობა შენდა, იოსების ცოლო, მშვიდობა შენ და შენს ძეს, ბედნიერებაა, რომ ეს მღვიმე თქვენს სახლად იქცა, თორემ სხვაგვარად ერთი თქვენგანი განგმირული და მოკლული იქნებოდა, მეორე კი ცოცხალი, მაგრამ გულგანგმირული.

თქვა მარიამმა: კივილი მესმოდა. თქვა ანგელოზმა: ჰო, ამჯერად მხოლოდ გესმოდა, მაგრამ დადგება დღე და შემოგღაღადებენ, შენ კი ყურად არ იღებ, ხოლო მაგ დღემდე უფრო ადრე ათასჯერ უფრო მძლავრ კივილს მოისმენ შენ მახლობლად. თქვა მარიამმა: ჩემი ქმარი გზის დასაზვერად წავიდა, რათა ნახოს, ჰეროდეს მეომრები ისევ ბეთლემში არიან თუ არა, ცუდი იქნება, აქ თუ მოგისწრებს. თქვა ანგელოზმა: მაგის დარდი ნუ გაქვს, მის დაბრუნებამდე წავალ, აქ კი მხოლოდ იმის სათქმელად მოვედი, რომ აწ უკვე დიდხანს ვეღარ მნახავ, რადგან რაც მოსახდენი იყო, უკვე მოხდა, ეს მოსრული ყრმებიღა რჩებოდა – სანამ დახოცავდნენ და – კიდევ იოსების მიერ ჩადენილი დანაშაული. თქვა მარიამმა: არავითარი დანაშაული ჩემს ქმარს არ ჩაუდენია, კარგი კაცია, კეთილი ადამიანია. თქვა ანგელოზმა: ჰო, კარგი კაცია, კეთილი ადამიანია, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და ვერც კი წარმოიდგენ – კეთილ ადამიანთა მიერ ჩადენილი რამდენი დანაშაული არსებულა და საყოველთაოდ მიღებული აზრის საწინააღმდეგოდ, სწორედ მათ არ მიეტევებათ დანაშაული. თქვა მარიამმა: და რა ჩაიდინა ასეთი?

თქვა ანგელოზმა: თვითონაც კარგად იცი, ნუ უარყოფ, თორემ მისი თანამონაწილე გამოხვალ. თქვა მარიამმა: ვფიცავ, არ ვიცი. თქვა ანგელოზმა: ფიცი საჭირო არ არის, თუმცა, თუ გსურს, დაიფიცე, ოღონდ გახსოვდეს, ჩემთვის ფიცს ქარის ხმაურზე ნაკლები აზრი აქვს. თქვა მარიამმა: მაინც რა ჩავიდინეთ? თქვა ანგელოზმა: მახვილნი ჰეროდეს სასტიკი განგებულებით აღიმართნენ, მაგრამ თქვენმა სულმოკლეობამ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვამ ხელ-ფეხი შეუკრა იმათ, ვისაც ეს მახვილნი დაეღირნენ. თქვა მარიამმა: მე რა უნდა მექნა? თქვა ანგელოზმა: შენ ვერაფერს იზამდი, რამეთუ ერთობ გვიან შეიტყვე ეს ამბავი, მაგრამ იმ შენს დურგალს კი ყველაფერიც შეეძლო: გაეფრთხილებინა ბეთლემელები, თქვენკენ ჯარისკაცები მოდიან ბავშვების დასახოცადო, და მაშინ მშობლებს გასაქცევი და უდაბნოში დასამალი დრო ექნებოდათ, ან თუნდაც ეგვიპტეში გადავიდოდნენ და იქ დაელოდებოდნენ მეფე ჰეროდეს სიკვდილს, სულ მალე რომ მოუწევს. თქვა მარიამმა: არ უფიქრია ამაზე. თქვა ანგელოზმა: არა, არ უფიქრია, მაგრამ ეს არ ამართლებს. მარიამი ატირდა და თქვა: მაპატიე, შენ ხომ ჩემი ანგელოზი ხარ. თქვა ან-

გელოზმა: საპატიებლად არ მოვსულვარ. თქვა მარიამმა: მას აპატიე. თქვა ანგელოზმა: აკი გითხარი, ეს უპატიებელი საქციელია, ჰეროდეს უფრო ეპატიება, ვიდრე იოსებს, მოღალატეს უფრო შეენდობა, ვიდრე განდგომილს. და კვლავ თქვა მარიამმა:

რაღა უნდა ვქნა? თქვა ანგელოზმა: იცხოვრებთ, იწვალებთ. როგორც ყველა. თქვა მარიამმა: და ჩემი შვილი? თქვა ანგელოზმა: მშობლების ცოდვები შვილებზე გადადის, და იოსების ბოროტმოქმედების ჩრდილი იესოს შუბლზე დაიფინება.

თქვა მარიამმა: ვაი ჩვენ, უბედურებს. უბედურებს, დაეთანხმა ანგელოზი, ვერაფრით დაგეხმარებით. მარიამმა თავი ჩაქინდრა, ბავშვი გულზე მიიკრა, თითქოს ამგვარად უნდა სამომავლო განსაცდელები აარიდოსო, ხოლო როცა მზერა ასწია, ანგელოზი აღარსად იყო – ოღონდაც ისე კი არ წასულა, როგორც გამოჩნდა, ამჯერად ნაბიჯების ხმა მარიამს აღარ გაუგონია. გაფრინდა, გაიფიქრა მარიამმა.

ადგა, მღვიმის შემოსასვლელს მიუახლოვდა მისი ჰაერში აფრენის დასანახად ან თუნდაც კვალის შესამჩნევად, თანაც იოსები ხომ არ გამოჩენილაო. ნისლი გაიფანტა, ვარსკვლავები ლითონისებრ ელვარებდნენ, ბეთლემიდან კვლავაც მოთქმა გაისმოდა და სწორედ ამ დროს მარიამს უსაშველო სიამაყემ თავბრუ დაასხა, ანგელოზის წინასწარმეტყველების მიუხედავად, ისეთმა ცოდვიანმა ამპარტავნებამ შეიპყრო, თითქოსდა მისი შვილი მამაზეციერის განგებულებას არ ჰყოლოდა გადარჩენილი, უფალს, რომელსაც საკმარისი ძალმოსილება გააჩნია, რომ ბოროტისა და სიკვდილისაგან გვიხსნას, როცა დანარჩენ განწირულებს ისღა დარჩენიათ, ელოდონ, როდის მიეცემათ საშუალება, უშუალოდ ღმერთს ჰკითხონ: რისთვის გაგვიმეტე სასიკვდილოდო? და ამ კითხვაზე ნებისმიერ პასუხს დასჯერდნენ.

მაგრამ ხანგრძლივი არ გახლდათ მარიამის სიხარული: მომდევნო წამსვე წარმოიდგინა, რომ მასაც, სხვა მრავალი ბეთლემელი დედის მსგავსად შესაძლოა ხელში მოკლული შვილის სხეული სჭეროდა და სულის სახსნელად თუ გონების განსაკურნად მარიამის თვალთაგან ცრემლებმა იჩქეფეს. იჯდა ასე და ტიროდა, როდესაც იოსები დაბრუნდა, – დაინახა, მაგრამ არ განძრეულა, რამეთუ მისი საყვედურების აღარ ეში-

ნოდა: ახლა ის სხვა დედებთან ერთად ტიროდა, წრედ რომ ისხდნენ, მუხლებზე შვილების უსულო სხეულები ესვენათ და აღდგომის ჟამს ელოდნენ. იოსები მიუხვდა ტირილის მიზეზს. არც არა უთხრა.

მღვიმეში შესულს არც დანთებული ჭრაქის გამო დასცდენია საყვედური. ნაღვერდლები ფერფლის თხელ ფენას დაეფარა, მაგრამ მათ შორის ცეცხლის უკანასკნელი ენები ჯერაც თრთოდნენ და რიალებდნენ. სახედარს უნაგირი მოხადა და თქვა: საშიში აღარაფერია, წავიდნენ და უმჯობესია, დილამდე აქ დავრჩეთ, მერე კი მზის ამოსვლამდე დავიძრათ, თანაც გზაზე კი არა, ბილიკით, ხოლო სადაც ბილიკს ვერ ვნახავთ, პირდაპირ გადავჭრათ. რამდენი ბავშვია დაღუპული! ჩაიჩურჩულა მარიამმა და იოსები უცებ გაბრაზდა: რამდენი?! შენ რა იცი, რამდენი, დასათვლელად იყავი თუ რა? უბრალოდ, ზოგიერთი მათგანი მახსოვს. მადლობა თქვი, რომ შენი შვილი გადარჩა. გაიგე?! და ისე ნუ მიყურებ, თითქოს დიდი ბოროტება ჩამედინოს. ეგრე არ გიყურებ. და ისე ნუ მელაპარაკები, თითქოს განმსჯიდე. ხმას არ გავიღებ. ჰო, ეგრე აჯობებს და ამ სიტყვებით იოსებმა ვირი ბაგაზე დააბა, თუმცა ცხოველი არცთუ ძალიან მშიერი უნდა ყოფილიყო – მთელი კვირის განმავლობაში ძღომაზე ჭამდა, ბალახის ძოვისა და მზეზე ნებივრობის გარდა სხვა საქმე არ ჰქონია, მაგრამ ბედნიერება, როგორც ცნობილია, ხანმოკლე გახლავთ, სულ მალე კვლავ გზა და ჭაპანწყვეტა დაიწყება. მარიამმა ბავშვი დააწვინა და თქვა: ცეცხლს დავანთებ. რატომ? ვახშამს

მოვამზადებ. არ გინდა, შესაძლოა ვინმემ კოცონი შეამჩნიოს, იოლად გავიდეთ. ასეც მოიქცნენ. ზეთის ჭრაქი ლანდურ შუქს ჰფენდა მღვიმის ოთხსავე ბინადარს – უძრავად, ქანდაკებასავით იდგა სახედარი, დრუნჩი ჩალაში ჩაეყო, თუმცა არ ჭამდა, ყრმას ეძინა, ხოლო ქალი და კაცი მშრალი ლეღვის ჩირით კუჭს იტყუებდნენ. მერე მარიამმა მიწაზე ჭილოფები გაშალა, ზეწარი გადააფარა და, ჩვეულებისამებრ, დაელოდა, სანამ ქმარი დაწვებოდა. მაგრამ იოსებმა ჯერ მღვიმიდან ერთხელაც გაიხედა, მიაყურადა – სიმშვიდე სუფევდა მიწაზეც და ცაშიც და აღარც ბეთლემიდან მოისმოდა მოთქმა თუ ქვითინი. ეტყობა, რაქელს მხოლოდ კვნესისა და ოხვრის თავიღა შერჩენოდა, და კიდევ იმის, რომ სახლისა და სულის კარიც მჭიდროდ მოეხურა.

იოსები ჭილოფზე გაიჭიმა და იგრძნო, წარმოუდგენლად ქანცგაწყვეტილი რომ იყო – რამდენი ირბინა დღეს, რა შიში ჭამა, იმასაც ვერ იტყოდა, იესო მე გადავარჩინეო, რამეთუ მეომრებმა ზედმიწევნით შეასრულეს ბრძანება – დაეხოცათ ბეთლემში მცხოვრები ყრმები და აზრადაც არ მოსვლიათ, საკუთარი ინიციატივით ახლომდებარე მღვიმეები ეჩხრიკათ, აბა ერთი, იქ ვინმე ხომ არ დაგვემალაო, ან კიდევ – ეს უბრალოდ უხეში ტაქტიკური შეცდომა იყო, რამაც, მკაცრად რომ ვთქვათ, მთელი ოპერაცია ჩააფლავა – შეემოწმებინათ რომელიმე ოჯახი რომელიმე მღვიმეში ხომ არ ბინადრობსო. საერთოდ იოსებს არ აღიზიანებდა მარიამის ჩვევა, მაშინღა დაწოლილიყო, როცა ქმარს დაძინებულს დაიგულებდა, მაგრამ ამჯერად ფიქრადაც ვერ აიტანა, რომ თვითონ უნდა დაეძინა, მარიამს კი ეფხიზლა და მისი მძინარე, უსუსური სახე ყოველგვარი სიბრალულის გარეშე ეხილა. ამიტომ თქვა: დაწექი, თავზე ნუ დამდგომიხარ. და მარიამმა, როგორც ყოველთვის, შეამოწმა, ვირი საიმედოდ დაბმული იყო თუ არა, მერე კი ოხვრით დაწვა ჭილოფზე, თვალები მაგრად დახუჭა – მყისვე დამეძინება თუ ცოტა ხანში, სულერთია, აღარაფრის დანახვა აღარ მინდაო. ღამით კი იოსებს დაესიზმრა, თითქოს ცხენზე ამხედრებული გზად მიქროდა, რომელიღაც სოფლისკენ ეშვებოდა ფერდობზე და აჰა, გამოჩნდნენ განაპირა სახლები, თვითონ კი მეომარივით იყო მოსილი, ხმლით, ხანჯლით, სხვებისნაირად, თითქოს სხვებისგან არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც ეკითხება მეთაური: შენ საით, დურგალო? და დაუყოვნებლივ, საქმისა და მიზნის კარგად მცოდნის სიამაყით პასუხობს იოსები: ბეთლემში მივდივარ, ჩემი შვილის მოსაკლავად და თქვა თუ არა ეს, წამსვე ახროტინდა და გაეღვიძა და მთელი სხეული შიშისგან ჰქონდა დაკრუნჩხული. მარიამმა თქვა: რა ხდება, რა დაგემართა? და თავით ფეხებამდე აკანკალებულმა იოსებმა ესღა ამოიბუტბუტა: არაფერია, არაფერიო, მაგრამ წამსვე განცდილმა საშინელებამ მკერდი გაუპო და ქვითინად ამოხეთქა. მარიამი ადგა, ჭრაქი მოიტანა, სახე გაუნათა, მაგრამ მან ხელები აიფარა: მოაშორე, მოაშორე! – ასე აქვითინებული წამოდგა, ბაგასთან მიირბინა და შვილს დახედა. ტყუილად წუხხართ, ღრმად პატივცემულო იოსებ, თქვენს ბიჭუნას – ამ მართლა ანგელოზს, მაძღარსა და უზრუნველს – ისე გემრიელად სძინავს,

თითქოს სიკვდილს მის გვერდით ორ ნაბიჯში არ გაევლოს, თან სიკვდილიცაა და სიკვდილიც – საკუთარი მშობელი მამის ხელიდან, და თუმც კი ვიცით, რომ საკუთარ ბედს ვერავინ გაექცევა, და რომ საბოლოოდ არც სიკვდილი ასცდება ვინმეს, მაინც დამეთანხმებით, რომ სიკვდილსაც გააჩნია. ხოლო იოსებს ახლა უკვე ეშინია, არ ჩამთვლიმოს და ის კოშმარი ხელახლა არ დამესიზმროსო, აღარ წვება, საბანში ეხვევა და მღვიმის შესასვლელში შვერილი კლდის ქვეშ ჯდება, ბუნებრივი სახურავივით რომ გამოწეულა და მთვარის კაშკაშა შუქზე ისეთ ბნელ ჩრდილს ქმნის, რომ მოცახცახე ჭრაქის შუქი უძლურია მის წინაშე.

თვით მონების მხრებზე ამხედრებული სისხლმოწყურებული მეფე ჰეროდეც რომ გამოჩნდეს აქ, ისიც კი ასე იტყვის: წავედით, წავედით, აქ არ არის ის, ვისაც ჩვენ ვეძებთ – ჩვილის ნაზი ხორცი და ახლად შობილი სიცოცხლე და საერთოდაც, არც არაფერი არ არის აქ, ქვებისა და ამ ქვების ჩრდილების გარდა. აკანკალდა იოსები თავისი სიზმრის გახსენებაზე, ჰკითხა თავის თავს, რას უნდა ნიშნავდეს, როგორ გავიგო ეს ყველაფერიო – ზეცის ყოვლისმხილველ თვალთა წინაშე თავქვე მიქროდა ფერდობზე, ქვებსა და ღობეებს ახტებოდა, ჩქარობდა, ვითარცა მამის ვალია, შვილის დაცვას და გადარჩენას რომ ცდილობს, სიზმრად კი სისხლიან ჯალათად ეზმანა თავი, მაგრამ ეგება არ ტყუის ანდაზა, სიზმრებს არ დაეჯერებაო. ეშმაკეული გამოცხადება თუ იყოო, ჩაიბუტბუტა. ამ დროს ჰაერი რაღაც სტვენამ გააპო, თითქოს უხილავი ფრინველი აჭიკჭიკდაო – ეგება მწყემსმა თავის სასტვენს ჩაჰბერა, ფარას მოუხმო, მაგრამ მწყემსისთვის ჯერ ადრეა, პირუტყვს ჯერ სძინავს, ამ დროს მხოლოდ ნაგაზები თუ ფხიზლობენ. თუმცაღა ღამე – წყნარი, კაცთა, მხეცთა და საგანთაგან განრიდებული ღამე, აღსავსე იმ უმაღლესი განურჩევლობით, რომელსაც ხშირად მთელი სამყაროს თვისებად მივიჩნევთ, ღამე განმსჭვალული რაღაც სულ სხვაგვარი გულგრილობით, ყოვლისმომცველი სიცარიელის ნაშთად რომ რჩება, – თუკი საერთოდ რაიმე რჩება იმ სიცარიელის ნაშთად, ყოველივე არსებულის სრულ და საბოლოო დასასრულს რომ მოჰყვება, – სწორედ რომ ღამე უარყოფდა სამყაროს მმართველ აზრსა და წესრიგს, რომელთა არსებობა მანამ გვჯერა, სანამ მივიჩნევთ, რომ ეს ქვეყანა იმისთვისაა შექმნილი, მთელი ჩვენი

სიგიჟიანად მიგვიღოს. და იოსების მახსოვრობაში ეს სიზმარი ნელ-ნელა უფრო დაუჯერებლად და სულელურად გამოისახა, გაფერმკრთალდა და ჩანავლდა, გაუფერულდა უარყოფილი ამ ღამის მიერ, მთვარის კაშკაშა შუქის მიერ, ბაგაში მძინარე ჩვილის მიერ, ყველაზე მეტად კი – აწ გამოღვიძებული ადამიანის გონების მიერ, თავის თავსა და თავის ფიქრებს რომ დაუფლებია, ფიქრებს, რომლებიც ახლა მშვიდად და წყნარად კი არიან, მაგრამ ამავდროს იმგვარი ურჩხულებიც კი შეუძლიათ წარმოშვან ქვეყნად, როგორიცაა აზრი, რომ ამდენი ბავშვის ამომხოცველმა ჯარისკაცებმა, რაღა თქმა უნდა, სიზარმაცისა და ბოთეობის მიზეზით, მაგრამ მაინც – მისი საყვარელი ვაჟი დაინდეს. ერთი და იგივე ღამე გადაჰფარებია დურგალ იოსებსა და ბეთლემელ დედებს, ხოლო მამებზე, ისევე როგორც მარიამზე, ნურაფერს ვიტყვით და ნურც ამ უთქმელობის მიზეზებს ჩავეძიებით.

დრო აუჩქარებლად მიედინება და აჰა, გარიჟრაჟი დგება და აჰა, მთვარე ჯერაც არ ჩამცხრალა – იოსები ვირს ბარგი-ბარხანას აჰკიდებს და მალე მთელი ოჯახობა გზას გაუდგება გალილეისკენ.

ხოლო დილით მხევალმა სალომეამ ცოტა ხნით მიატოვა ბატონის სახლი, სადაც ორი მოკლული ბიჭი ესვენა და მღვიმეში მოვიდა, დარწმუნებული, იმ პატარასაც, რომელსაც გაჩენაში დაეხმარა, იგივე ბედი ეწეოდაო. მაგრამ მღვიმე ცარიელი დახვდა, ადამიანისა და ვირის კვალი დარჩენილიყო მხოლოდ, ნაცარში, სისხლის ერთი წვეთიც კი არსად ჩანდა. აქ აღარ არის, ჩაილაპარაკა ქალმა, პირველ სიკვდილს გადარჩენილა.

9* * *

რვა თვე გავიდა იმ ბედნიერი დღის მერე, რაც მრავალ საფრთხეთა გამოვლის შემდგომ იოსები და მისი ოჯახობა მშობლიურ ნაზარეთში საღსალამათი დაბრუნდა – სახედრის გარდა, რომელიც წინა მარჯვენა ფეხით ოდნავ კოჭლობდა – და აი, ამბავი მოვიდა, მეფე ჰეროდე გარდაიცვალა იერიქონის ერთ-ერთ სასახლეში, სადაც უკვე ძლიერ დასუსტებული და უიმედოდ დაავადებული მკაცრი ზამთრის მოახლოების მაუწ-

ყებელი წვიმიანი ამინდის დადგომისთანავე გადაბარგდაო, ხოლო იერუსალიმური ზამთარი კი, მოგეხსენებათ, სუსტებისა და სნეულებისთვის ორმაგად მკაცრი გახლავთ. აგრეთვე იტყობინებოდნენ, რომ მბრძანებლის სიკვდილით დაობლებული სამეფო, რომლის გამოც მემკვიდრეები ერთმანეთს დაერივნენ, ოჯახური დავის კი არადა, ოჯახური ხოცვა-ჟლეტის შედეგად ჰეროდეს სამ ვაჟიშვილს შორის განაწილდაო: ჰეროდე ფილიპე აწ გალილეის დასავლეთით მდებარე მიწებს განაგებდა, ჰეროდე ანტიპას თვით გალილეა და პერეა ერგო, არქელაოსს კი იუდეა, სამარია და იდუმეა. სწორედ იმ დღეებში ვინმე ჩამოსული ჯორებით მოვაჭრე, ერთი იმათგანი, ვისაც თუ გინდა, პურს სულაც ნუ აჭმევ, ოღონდ ტყუილ-მართლით შეზავებული ზღაპრები მოაყოლე, ნაზარეთელებს მეფე ჰეროდეს მდიდრული დაკრძალვის ამბებს უამბობდა, რასაც, როგორც თვითონ ფიცით ამტკიცებდა, პირადად დასწრებოდა: მეფე ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ოქროს საკაცეზე ესვენაო, საკაცე კი, თავის მხრივ, ასევე ერთიანად ოქროსგან ჩამოსხმულ, მეწამული სუდარით დაფარულ ბრწყინვალე ბალდახინზე იდოო, სამგლოვიარო ეტლში ორი თეთრი ხარი იყო შებმულიო, მეფეც მეწამულ სუდარაში იყო გახვეული, ისე, რომ გვირგვინის გარდა არაფერი ჩანდა, გვირგვინი კი იქ იდო, სადაც წესით მეფის თავი უნდა ყოფილიყოო, ბალდახინს ფლეიტისტები მისდევდნენ, მათ – დაქირავებული მოტირლები და ყოველი მათგანი იძულებული იყო, ის გულისამრევი სუნი ეყნოსა, პირდაპირ ცხვირებში რომ სცემდათ, მე თვითონაც, თუმც კი გზის პირად ვიდექი, კინაღამ ვარწყიე, როცა პროცესიამ ჩამიარაო, მეფის დაცვა ცხენდაცხენ მოდიოდა, მერე – მეომრები შუბებით, ხმლებითა და ფარებით, გეგონებოდათ, საომრად მიდიანო, ჰოდა, მოდიოდა, მოდიოდა, მოდიოდა ეს ჯარი ვეება გველივით, თავი უკვე აღარ ჩანდა, კუდი კი ჯერაც არ გამოჩენილიყოო, ბოლო არ უჩანდა, გული გამისკდა ამ გაუთავებელი მსვლელობის დამნახავსო, მკვდარს რომ მიჰყვებოდა და თან საკუთარი სიკვდილის შესაგებებლად მიისწრაფოდაო, რადგან სიკვდილი ყოველთა ხვედრია და თუმც ხანდახან გვგონია, რაღაცა ძალიან იგვიანებსო, და აჰა, წამსვე მოგადგება და მოგიკაკუნებსო: შენი დრო გავიდა და აი, გეახელიო, ზღურბლიდან შემოგძახებს და სულ არ დაგიდევს, მეფე ხარ

თუ მონაო, ისა ხარ, ვის უსიცოცხლო, გახრწნილ ხორცს ეგერ იქ, წინ სამგლოვიარო კორტეჟის თავში მიასვენებენ, თუ ესა ხარ – უკან რომ მიჩანჩალებ, ურიცხვი ჯარით აბუქებულ მტვერს ყლაპავ და ჰო, ცოცხალი კი ხარ, მაგრამ უკანასკნელი განსასვენებლისკენ მაინც ყველანი ერთად მიეხეტებითო. რაც მართალია, მართალია, წესით ამ მთხრობელს სხვა ფილოსოფოს-პერიპათეტიკოსებთან ერთად რომელიმე აკადემიის კორინთული სვეტების ქვეშ უნდა ესეირნა, არათუ ჯორები ედენა ისრაელის შარაგზებზე, ღამეები აყროლებულ ფუნდუკებში ეთია და ამ ნაზარეთელებისნაირი სოფლელებისთვის ნაირგვარი არაკები მოეთხრო.

ხოლო სინაგოგის წინ მოედანზე თავშეყრილ ნაზარეთელებს შორის ჩვენი იოსებიც იმყოფებოდა, თავის გზაზე მოდიოდა და მოსასმენად შეჩერდა, თუმცა, მართალი ითქვას, არცთუ ყურადღებით უსმენდა დაკრძალვის ამბებს, და თუკი რამ მაინც დაამახსოვრდა, ისიც მყის გამოუფრინდა თავიდან, როგორც კი აედმა თხრობა ფილოსოფიური წიაღსვლით დააბოლოვა, ასე ვთქვათ, თავისი არფის ელეგიურ სიმებს ჩამოჰკრა: დურგალს უტყუარი საფუძველი გააჩნდა საიმისოდ, რომ ამ ჟღერას სწორედ მისი სულის სიმები გამოხმაურებოდნენ. და ეს საფუძველი ზედ შუბლზე ეხატა – იოსები ისე შეიცვალა, ვეღარ იცნობდი, რამეთუ ერთია მისი უწინდელი დარბაისლური თავდაჭერილობა, გულისყურიანი სერიოზულობა, რაც მიზნად მისი ჭაბუკური ასაკის დამალვას ემსახურებოდა, და სულ სხვაა, თან ბევრად უარესი – ტუჩებთან ჩაკეცილი მწარე მწუხარება, ღრმა ნაოჭებით უდროოდ დაღარული სახე. ხოლო თუ მისი მზერის გამომეტყველებას, უკეთ კი, ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე დარჩენილ მზერას წააწყდებოდით, უეჭველად შეგაშფოთებდათ: უსიცოცხლო ჰქონდა თვალები, თითქოს ზედ ფერფლი აფენიაო, თუმც კი ამ ფერფლის ფენის მიღმა ჯერაც არ ჩამქრალიყო უძილობით გაღვივებული ავი ელვარება. და მართლაც, ღამით სულ აღარ სძინავს იოსებს.

ძილი დაუძინებელ მტრად მოჰკიდებია, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმია და ვერ იგებს ამ ომს, თუმც კი ხანდახან იშვიათად მცირე გამარჯვებას აღწევს, დატანჯული სხეული ნებდება და იძინებს, მაგრამ იმავ წამს გზად ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდება ხოლმე, და მათ რიგებში,

სხვა მეომართა შორის, თვითონაც მოქრის, ხმალს ატრიალებს თავზე-მოთ და მაშინ, როცა გონება ბოლოს და ბოლოს შიშს დაძლევს, აუცილებლად იკითხავს მეთაური: შენ საით, დურგალო? და არ სურს უბედურ იოსებს ამ კითხვას რომ პასუხი გასცეს, რაც ძალი და ღონე აქვს, ეწინააღმდეგება, თუმცა აღარც ტანს შერჩენია ღონე და აღარც სულს – ძალა, მაგრამ ძილი თავისას შვრება, რკინის თითებით უხსნის შეკრულ კრიჭას და გამოღვიძებისკენ წამოსული იოსების ბაგეთაგან ქვითინთან ერთად ამოხეთქავს უცვლელი და შემზარავი პასუხი: ბეთლემში მივდივარ ჩემი შვილის მოსაკლავად. ამიტომაც, მოდი, ნუ ვკითხავთ, დაიხსომა თუ არა, რამდენი ხარი ება ჰეროდეს დამკრძალავ ეტლში, თეთრი ხარები იყვნენ თუ ამლაყები, – ის ახლა, შინმიმავალი, მხოლოდ იმ ჯორებით მოვაჭრის ნათქვამ ბოლო სიტყვებზე ფიქრობს, რომ უამრავი ადამიანი, ვინც მეფეს მარხავდა – მონები და ჯარისკაცები, მცველები და მოტირლები, ფლეიტისტები და მღვდლები, თავადები და პრინცები, და ჩვენც ყველანი მათთან ერთად, ვინც გინდა ვიყოთ, სადაც უნდა ვიყოთ, ცხოვრებაში მხოლოდ ერთი საქმით ვართ დაკავებულნი – იმ ადგილს ველტვით, საიდანაც ვეღარასოდეს დავიძვრებით. განა მუდამ ასეა? კრთის იოსების გონებაში და მისი მწუხარება იმდენად ძლიერია, რომ ბრძნულ მორჩილებას სულ მცირე ადგილსაც არ უტოვებს, არადა, ეს ხომ ერთადერთი რამაა ტანჯვის გასაქარვებლად და მწუხარების მოსალბობად, როცა სხვა აღარაფრის იმედი აღარ რჩება ადამიანს. განა მუდამ ასეა, იმეორებს, მრავალი, სადაც დაბადებულა, იქვე ატარებს მთელ ცხოვრებას, სიკვდილიც იქავ აკითხავს, ეს კი ადასტურებს, რომ ერთადერთი მყარი, ნამდვილი და უტყუარი რამ ბედ-იღბალია, ღმერთო ჩემო, რა უბრალოა – საკმარისია დაელოდო, როდის ახდება ყოველივე, რაც ცხოვრებაში გვიწერია, მერე კი იტყვი: ბედი მქონია ასეთიო, მეფე ჰეროდეს იერიქონში გარდაცვალება და სამგლოვიარო გზებით თავის ციხესიმაგრე ჰეროდიაში უკან დაბრუნება ეწერა ბედად, ბეთლემელ ყრმებს კი ბედისწერამ ყოველგვარი მგზავრობის საჭიროება ააცილა.

რაც შეეხება თვით იოსების ბედ-იღბალს, თუ მომხდარი ამბების ჯაჭვს ხელახლა გავყვებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი თითქოს უზენაესი განგებულების მონაწილე უნდა გამხდარიყო, უმანკო არსებათა

სიცოცხლე უნდა ეხსნა, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ გამოვიდა, რამეთუ დურგალმა სასიკვდილო საფრთხის შესახებ შეიტყო თუ არა, არავის არაფერი უთხრა, ისე გავარდა თავისი შვილის გადასარჩენად, სხვები კი ბედის ანაბარა მიყარა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომაც გაუქრა ძილი, ხოლო თუ მაინც მოახერხებს დაძინებას, მალევე დარდითა და გლოვით იღვიძებს, ცხადს უბრუნდება, ცხადი კი იმ სიზმარს არ ავიწყებს, და, ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ, როცა არ სძინავს, ნატრობს, ნეტავ დამაძინაო, ხოლო თუკი დაძინებას შეძლებს, ყოველ ჯერზე ამაოდ ცდილობს, გაიღვიძოს და სიზმარს გაექცეს, თუმც კარგად იცის, რომ უცილობლად კვლავ მოუწევს იმ სიზმარში დაბრუნება, რათა ხელახლა განიცადოს ეს უბედურება, მუდმივად რომ ჩასაფრებია სიზმრისა და ცხადის საზღვარზე, ასე რომ, რამდენჯერაც ამ საზღვარს გადალახავს, იმდენჯერ მოელის ეს აუტანელი სატანჯველი. დღესავით ნათელია, რომ წამების ეს ჩახლართული გორგალი სხვა არაფერია, თუ არ სინდისის ქენჯნა, თუმცაღა ურთიერთობათა ასწლეულობით დაგროვილი გამოცდილება უტყუარად გვიდასტურებს – მოვლენის ზუსტი განსაზღვრება და სახელდება უბრალო ილუზიაა, რამეთუ მოუქნელი და ღარიბია ადამიანის მეტყველება და, მადლობა ღმერთს, რომ ასეა, და ის კი არაა საქმე, აქაოდა სიტყვები არ გვყოფნის, მაგალითად, სიყვარულის განსამარტადო, არამედ ის, რომ სიტყვები თავზე საყრელად გვაქვს, აი, სიყვარული კი – არა.

მარიამი მეორე ბავშვს ელოდება, მაგრამ ამჯერად ამ სასიხარულო ცნობით არავითარი მაწანწალად გადაცმული ანგელოზი კარს არ მოსდგომია და არც უეცარ ქარს დაუტრიალებია ბუქი ნაზარეთის ქუჩებსა და მაღლა ზეცაში, და არც მანათობელი მიწით სავსე მეორე თასი გამხდარა პირველის გვერდით მიწაში ჩასამარხი – მსგავსი არავითარი. და აცნობა მარიამმა ქმარს, ისევ ფეხმძიმედ ვარო, უბრალოდ, ზუსტად ამ სიტყვებით: ფეხმძიმედ ვარო, ის კი არ უთქვამს, აბა, თვალებში შემომხედე და ჩემი მზერის ელვარებაში ჩვენს მეორე შვილს დაინახავო, რაზედაც იოსები მიუგებდა: გგონია, ვერ შევნიშნე? შევნიშნე, მაგრამ გელოდებოდი, სანამ თვითონ არ მეტყოდიო. ამგვარი არაფერი მომხდარა: იოსებმა გაიგონა და არაფერი უთქვამს, თუ „ა�ა“-ს ნათქვამად არ ჩავუთვლით, და

ფიცრის რანდვა განაგრძო, მარჯვედ და გაწაფულად შრომობდა, ოღონ-დაც დაუფიქრებლად, ხოლო, თუ სად იყო ამ დროს მისი ფიქრები, ეს ჩვენ უკვე კარგად ვიცით. მარიამმაც იცის, იმ ღამის მერე, როცა ქმარმა თავისი დაგმანული სულის საიდუმლო გაანდო, თუმცა მარიამს დიდად არ გაჰკვირვებია – რაღაც ამგვარი უეჭველად მოსალოდნელი იყო – აკი უთხრა ანგელოზმა იქ, მღვიმეში: მაგ დღემდე ათასჯერ უფრო მძლავრ კივილს მოისმენ შენს მახლობლადო. კარგი ცოლი ქმარს ასე ეტყოდა: ნეტავი ერთი შენ, რაც მოხდა, მოხდა, მომხდარს ვეღარ შეცვლი, არმომ-ხდარს – მით უმეტეს, ბოლოს და ბოლოს, პირველ ყოვლისა მართლაც საკუთარი შვილის გადარჩენაა მთავარი, სხვათა შვილების წინაშე რა ვალდებული იყავიო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ბოლო ხანს კარგი ცო-ლიაო, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, მარიამზე აღარც ითქმის, ანუ ისე-თი, როგორიც სურდა ყოფილიყო და ცდილობდა, ახლა კი აღარ სურს და აღარ ცდილობს, ალბათ იმიტომ, რომ ანგელოზის მკაცრი სიტყვები მოისმინა, რომლებიც ისე ითქვა, მარტო იოსებს კი არა, ეტყობა, მარი-ამსაც ეხებოდა: საპატიებლად არ მოვსულვარო.

მარიამს თავისი სანუკვარი საიდუმლოს ქმრისთვის განდობა რომ შესძლებოდა, იოსები, რომელიც წმინდა წერილის შესწავლას იყო და-წაფებული, უეჭველად სერიოზულად დაფიქრდებოდა, ნეტავ რომელი ანგელოზი მოევლინა ჩემს ცოლსო, გამოცხადდა საიდანღაც და გაიძა-ხის შემნდობი ანგელოზი არა ვარო, რაც თავისთავად უკვე საეჭვო ამბა-ვია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანგელოზად წოდებულ არ-სებებს შენდობის ძალმოსილება საერთოდაც არ გააჩნიათ, რამეთუ ამ-გვარი უფლებით მხოლოდ და მხოლოდ ღმერთია აღჭურვილი. თუ ანგე-ლოზი ირწმუნება, პატიების ანგელოზი არა ვარო, მისი ეს ნათქვამი ან საერთოდ ყოველგვარ აზრსაა მოკლებული, ანდა პირიქით – ერთობ მრავლისმთქმელია, და თუ ვივარაუდებთ, რომ მარიამთან გამოცხადე-ბული ანგელოზი სინამდვილეში სასჯელის აღმსრულებელი ანგელოზი იყო, მაშინ მისი სიტყვების გააზრება ასე შეიძლება: რა სისულელეა ჩემ-თვის პატიების თხოვნა, მე საპატიებლად კი არ მოვსულვარ, არამედ და-სასჯელადო. მაგრამ ანგელოზები, – თუ, რასაკვირველია, ცეცხლოვანი ხმლებით შეიარაღებულ ქერუბიმებს არ ჩავთვლით, რომელთაც ღმერ-

თმა სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზის დაცვა დაავალა, რათა ჩვენი წინაპრები და მათი შთამომავლები – ანუ ჩვენ ყველანი – ამ ხის ნაყოფისგან რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავით – სხვა ანგელოზები, თუ შეიძლება ითქვას, თავიანთი დანიშნულებით პოლიციელებს არანაირად არ უნდა ჰგავდნენ და არც ერთობ სასიამოვნო, მაგრამ საზოგადოებისთვის აუცილებელ რეპრესიულ ფუნქციებს ასრულებდნენ, რადგან ისინი ხომ ჩვენ დასახმარებლად არსებობენ, რათა დაგვიჭირონ მაშინ, როცა აჰა და, ჭაში ვვარდებით, ხელი გვტაცონ, როცა უფსრულზე გადებულ ხიდზე ფეხი გვისხლტება, გზიდან მოგვისროლონ, როცა გადარეული ეტლი ან მუხრუჭებმოშლილი ავტომობილი პირდაპირ ჩვენკენ მოექანება. იმ ანგელოზს, თუ მართლა ანგელოზი იყო, ეგება საბრალო იოსები ამ უსასრულო კოშმარისგანაც ეხსნა, გამოცხადებოდა სიზმრად იმ დახოცილი ბეთლემელი ყრმების მამებს და თითოეულისათვის ეთქვა: ადექ, აიყვანე ყრმა იგი და დედამისი და განივლტე ეგვიპტედ და იყავი მუნ, ვიდრე არ გეტყვი, რამეთუ ჰეროდე მოსაკლავად ეძებს მაგ ყრმასო და ამგვარად ყველა ბავშვი გადარჩებოდა – მღვიმეში მშობლებთან ერთად დამალული იესოც და დანარჩენებიც – დროებით ეგვიპტეში გახიზნულები, მოგვიანებით რომ დაბრუნდებოდნენ, როდესაც ანგელოზი ერთხელაც დაესიზმრებოდა თითოეულ მამას და ეტყოდა: ადექ, აღიღე ყრმა იგი და დედამისი და წადი ისრაელის მიწაზედ, რამეთუ მოკვდა იგი, ვინცა ეძიებდა სულსა მის ყრმისასაო.

ცხადია, ანგელოზი ამგვარი გაფრთხილების წყალობით, მართალია კეთილი განზრახვით, მაგრამ თითოეულ ბავშვს იმ ადგილას დააბრუნებდა, სადაც თავის დროზე ყოველი მათგანი საკუთარ სიკვდილს შეეყრებოდა, ანუ მხოლოდ გადაავადებდა მოსახდენს, რადგან როგორც უკვე დავრწმუნდით, ანგელოზებს თუმცა ბევრი რამ ხელეწიფებათ, მაგრამ ყოვლისშემძლენი სრულებითაც არ არიან და ამით ღმერთს ჰგვანან, რადგან სიკვდილს არ გვაცილებენ. ასე თუ იმსჯელებდა, იოსები საბოლოოდ დაასკვნიდა, რომ ანგელოზი, მის ცოლს რომ გამოეცხადა მღვიმეში, მაინც ჯოჯოხეთის მოციქული ყოფილაო, დემონი, მწყემსად გადაცმული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა იწროა ქალის ბუნება, რარიგ ესწრაფვის მანკიერებას და რარიგ ნიჭიერია ნაირ-ნაირი

ხრიკების გამოგონებაში, როცა კი რომელიმე დაცემული ანგელოზი თავის მახეში გააბამს. ჰოდა, მოკლედ, მარიამს რომ გადაეწყვიტა და თავისი აზრები ქმრისთვის გაენდო, დუმილი რომ ვეღარ მოეხერხებინა, ხარების საოცარი ეპიზოდების საიდუმლოდ შენახვა რომ არ ჰქონოდა გადაწყვეტილი, ქმარი ახალ სიმღერას მაინც ძველებურ ჰანგზე ააწყობდა და უამრავ ახალ

საბუთს გამონახავდა თავისი თეორიის დასამტკიცებლად, და რაც მთავარია, იმ სავარაუდო ანგელოზს არც უთქვამს, ღვთის ანგელოზი ვარო, ანდა უფალმა წარმომგზავნაო, არამედ მოკლედ აცნობა, ანგელოზი ვარო და თანაც სასწრაფოდ გააფრთხილა, იცოდე, არავის არაფერი უთხრაო, თითქოს იმას უფრთხოდა, ეს ამბავი მთელ ქვეყნიერებას არ მოედოსო. სავარაუდოდ, ბევრი გაილაშქრებს უმნიშვნელო წვრილმანების ამგვარი განმარტების წინააღმდეგ, რადგან ამით ჩვენი არქიცნობილი სიუჟეტის არსი ოდნავადაც არ საცნაურდება, თუმცა წინამდებარე სახარების ავტორი – როგორც წარსულის ასახსნელად, ასევე სამომავლოდაც – ერთობ არსებითად მიიჩნევს განსხვავებას, როცა ერთ შემთხვევაში ზეციურ ანგელოზად მიგიჩნევენ, მეორეში კი – ქვესკნელისად, ამასთან განსხვავება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმის, არამედ არსის მხრივაც, და შინაარსობრივადაც, ხომ ცნობილია, რომ ის მეორეებიც პირველთა შემქმნელმა გააჩინა, თუმც კი შემდეგ ეს შეცდომა გამოასწორა.

მარიამი, ქმრის მსგავსად, თუმც კი სხვა მიზეზით, ხანდახან ღრმა ფიქრებს ეძლევა ხოლმე, ადგილზე ირინდება, უაზრო თვალებს გაურკვეველი მიმართულებით მიაპყრობს ვინ იცის, რას და ამ დროს ყველაფერი უცვივა ხელიდან, თუმცა, მართალი ითქვას, მის მდგომარეობაში მყოფი ქალისგან ეს სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, თუ არა ის, რომ ფიქრების მდინარებას მუდმივად ერთსა და იმავე შეკითხვასთან მიჰყავდა: რატომ მახარა ანგელოზმა იესოს შობა, ახლა კი აღარსად ჩანს? და უცქერის თავის პირმშოს, რომელმაც იმხანად თანატოლთა მსგავსად ხოხვა დაიწყო, უცქერის და ცდილობს, მასში რაიმე განსხვავებული თვისება აღმოაჩინოს, განსხვავებული ნიშანი – ვარსკვლავი შუბლზე ან ექვსი თითი ხელზე, მაგრამ არა, მისი ვაჟი ისეთივეა, როგორიც ყველა:

ისევე იდორბლება, ქვეშ ისვრის და ტირის და მთელი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს მისი ვაჟია, დედ-მამასავით შავთმიანი და თვალის კაკალი უკვე კარგავს მოთეთრო, ეგრეთ წოდებულ რძიან ელფერს და თანდათან თავის ბუნებრივსა თუ წინაპართა მრავალ თაობათაგან გადმოცემულ ფერს იძენს – გუგის ირგვლივ მუქ წაბლისფერს, ხოლო რაც უფრო მეტად შორდება გუგას, მით მეტად შესამჩვევი ხდება გარდამავალი ფერი, რომელსაც, ჩვენი განსაზღვრებით კვამლნარევი მომწვანო შეგვიძლია ვუწოდოთ და ამასაც მხოლოდ მაშინ აქვს რაიმე მნიშვნელობა, როცა ჩვენს შვილებზეა ხოლმე ლაპარაკი, მოცემულ შემთხვევაში – მარიამის შვილზე. სულ რაღაც რამდენიმე კვირა გაივლის და ბიჭი უკვე ფეხზე დადგომასა და გავლას შეეცდება, თუმცა მალიმალ ოთხზე ხოხვას დაუბრუნდება ხოლმე, დედის ხმის გაგონებაზე, მოდი, აბა, ჩემთან მოდი, ჩემო ბიჭოო, გაირინდება და თავის ყოჩაღად დაჭერას შეეცდება, ხოლო კიდევ რაღაც ხნის შემდეგ ლაპარაკსაც მოსინჯავს, იგრძნობს, რომ ახალ-ახალი ბგერები უღიტინებენ ყელში და გარეთ გამოხეთქვას ლამობენ, თავიდან გაუჭირდება მათი გახედვნა, ამ ახლებს ყვირილისა და ტირილის ძველ, უკვე ათვისებულ ბგერებში შეურევს ხოლმე, მაგრამ მერე და მერე მიხვდება, რომ ეს ახალი ბგერები სხვაგვარად უნდა გამოუშვას და დედისა და მამის კვალდაკვალ, მათი ტუჩების მოძრაობის წახედვით სწორად წარმოთქმას შეეცდება მანამ, სანამ პირველი სიტყვა არ გამოუვა, მაგრამ ჯერ არავინ იცის, რა სიტყვა იქნება ეს – ეგება „მამა“, ეგება „დედა“ ან ეგება „ფაფა“, თუმცა ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ახლავე ითქვას – თუ დედა ან რომელიმე მეზობლის ქალი ისევ დაუსვამს კითხვას: აბა, მაჩვენე, სად დებს ქათამი კვერცხს, სად დებს, აბა, მაჩვენეო, პატარა იესო ამ შეკითხვას უხერხული ჟესტიკულაციით – მარჯვენა ხელის თითის მარცხენა ხელისგულზე მიდებით – მეტად აღარასოდეს აღარ უპასუხებს, რადგან ასეთი რამ თვით

ადამიანის არსების დამცირება და შეურაცხყოფაა, თითქოს ძაღლის ლეკვი იყოს, ბგერაზე რეაგირებას რომ ეჩვევა, პატრონის ხმას ან კიდევ – მათრახის შხუილს. ამიერიდან იესო ქათმის მიერ კვერცხის დადების ადგილად თავის ხელისგულზე აღარ მიუთითებს და ამით დაინტერესებულ პირებს ნათლად მიანიშნებს, რომ ქათამი კვერცხს იქ დადებს, სა-

დაც მოესურვება. უცქერდა მარიამი თავის ბიჭს და ოხრავდა და წუხდა, ნეტავ ანგელოზი ამდენ ხანს რად არ ბრუნდებაო: მალე ვერ მნახავო, უთხრა, მაგრამ ახლა რომ გამოჩნდებოდეს, განა ძველებურად შეშინდებოდა, შეკითხვებს დააყრიდა და პასუხებსაც დასტყუებდა, რადგან ქალი, რომელმაც ერთი შვილი უკვე გააჩინა და მეორეს მუცლით ატარებს, უსიტყვოდ მორჩილი ვეღარ იქნება, რამეთუ უკვე საკუთარ ტყავზე გამოსცადა ტანჯვა, ხიფათი, მწუხარება და თუ ამ ყველაფერს სასწორის ერთ პინაზე მოვათავსებთ, მას ვეღარც ვერაფერი გადაწონის. ჰოდა, ახლა ანგელოზთან გასაუბრების საშუალება რომ მისცემოდა, ისე იოლად ვეღარ დაუძვრებოდა მარიამს, პირველად რომ უთხრა: ღმერთმა გაკურთხოს, სძალო, შვილები მოგცეს და აშოროს იმგვარი ბედი, შენ წინაშე მდგომს რომ ერგო, სიმწარით სავსე, მიუსაფარიო. ამჯერად ანგელოზს მოუწევდა, ჯერ ერთი, აეხსნა, რომელი ღმერთის სახელით ლაპარაკობდა, მეორეც – მართალია თუ არა, რომ იგი – ანგელოზი – მიუსაფარია, რამეთუ ერთობ უცნაურია ანგელოზისგან ამის თქმა, ანდა იქნებ ეს სიტყვები იმად წარმოთქვა, რომ მაწანწალა გლახაკის როლში ერთობ ღრმად შეიჭრა, მერე კიდევ, კეთილ ინებოს და მარიამს აუხსნას, რა მომავალზე ლაპარაკობდა იმ თავის ნაღვლიან და პირქუშ წინასწარმეტყველებაში, ვითომცდა იესოსთვის რომ არის გამზადებული, დაბოლოს, რა საიდუმლო ინახება მანათობელი ქვიშით სავსე თასში, რომელიც აგერ ეზოში ჩამარხეს და ბეთლემიდან დაბრუნების შემდეგ ზედ უცნაური ხე ამოვიდა, უტოტებო, ცარიელი ღეროა, ბევრჯერ სცადეს, ფესვებიანად ამოეთხარათ, მაგრამ ყოველ ჯერზე ხელახლა იზრდებოდა, უწინდელზე უფრო სწრაფად. სინაგოგის ორმა უხუცესმა, ზაქემ და დოთაიმმა მოინახულეს ეს ხე და თუმცა კი ბოტანიკაში დიდად ვერ ერკვეოდნენ, უეჭველად იმ თესლიდან აღმოცენდა, რომელიც მანათობელ მიწაში იყო ჩაგდებულიო, თქვეს, რაც, ზაქეს გამოთქმა რომ გავიმეოროთ, სიცოცხლის შემოქმედი უფლის წესისამებრ მოხდა. მარიამი დროთა სვლასთან ერთად შეეგუა ამ ჯიუტ ხეს, ეზოს აცოცხლებს და უხდებაო, მაგრამ აი, იოსების სულს კი საშინლად ამღვრევდა, მის ძველ ეჭვებს ახალ საზრდოს აწვდიდა, დაზგაც კი ეზოს სხვა ნაწილში გადაიტანა და თავი ისე ეჭირა, ვითომც ეს ბილწი მცენარე სულაც არ არსებულიყო. რა

ღონეს აღარ მიმართავდა მის ამოსაძირკვად, რას აღარ შვრებოდა – ამაოდ – ჩეხდა, ხერხავდა, მდუღარეს ასხამდა, კინტზე ცხელ-ცხელ მუგუზლებს აყრიდა, მხოლოდ ერთადერთი, რისგანაც თავი ერთგვარი ცრურწმენის გამო შეიკავა – მანათობელი მიწით სავსე თასამდე თოხით მიწის ამოთხრა ვერ გაბედა. აი, ასე ცხოვრობდნენ იოსები და მარიამი, როდესაც ქვეყნიერებას მათი მეორე ვაჟი მოევლინა – იაკობი.

ასე გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. ყოველივე ძველებურად რჩებოდა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ კიდევ რამდენიმე ვაჟი და ორი ასულიც შეეძინათ და კიდევ იმას, თუ ფიგურალურად ვიტყვით, რომ ამ ხნის მანძილზე ამდენი ბავშვის მშობლებში სიჭაბუკის ნაპერწკალი საბოლოოდ ჩაინავლა. ან კი რა გასაკვირია: საყოველთაოდ ცნობილია, როგორ ცვდება ქალი ხშირი ფეხმძიმობისა და მშობიარობისგან, როგორ კარგავს, – რასაკვირველია, თუკი გააჩნია – სილამაზესა და სინორჩეს, უჭკნება სახე და ტანი, აბა რა იქნებოდა: იაკობს ლიზია მოჰყვა, ლიზიას – იოსები, იოსებს – იუდა, იუდას – სიმონი, სიმონს – ლიდია,

ლიდიას – იუსტინე, იუსტინეს – სამუელი, ხოლო სამუელის შემდგომ დაბადებულები ჩვილობაშივე იხოცებოდნენ, ისე, რომ სახელების დარქმევაც კი ვერ ესწრებოდა. შვილები სიხარულად და ნუგეშად გვეძლევიან და მარიამიც ყველანაირად ცდილობდა, გახარებული და ნუგეშისცემული ყოფილიყო, მაგრამ როცა თვიდან თვემდე მუცლით სიყვარულის ამდენ ნაყოფს ატარებ, ყოველგვარ ხორციელ და სულიერ ძალას რომ გართმევს, შენდა უნებურად სულში ჯერ გაუგებრობა შემოგეპარება, მერე – მოუთმენლობა, ბოლოს კი – მრისხანება, მაგრამ მარიამი იმ დროებაში ცხოვრობდა, როცა ქმარს ვერაფერს დააბრალებდი, მით უფრო – ღმერთს, მხოლოდ და მხოლოდ რომლის ნებაცაა სიცოცხლე თუ სიკვდილი და ურომლისოდაც ჩვენი თავებიდან თმის ერთი ღერიც კი ვერ ჩამოვარდება. იოსებს კი ბავშვების ჩასახვისა და გაჩენის საქმეებში ბევრი არაფერი გაეგებოდა, ანუ უბრალოდ ფლობდა ამ საქმის ზოგიერთ საწყის და პრაქტიკულ ასპექტსა და საკითხს, და თუ შეიძლება ასე ითქვას, პირწმინდად ემპირიული კუთხით უდგებოდა, რამეთუ გაკვეთილი, რომელსაც სამყარო ყოველდღიურად აძლევდა, ერთ გარკვეულ და აშკარა ფაქტზე დაიყვანებოდა – თუ კაცი ქალს უერთდება, სხვანაირად

რომ თქვათ, თუ ერთმანეთს შეიცნობენ, მაშინ ცხრა, ან უფრო იშვიათად, შვიდი თვის შემდეგ ქალის მიერ სიცოცხლისთვის ყოვლად გამოსადეგი ბავშვის გაჩენის ალბათობა ერთობ დიდია. ქალის წიაღში ჩაშვებული კაცის თესლი უკვე შეიცავს თვალით უხილავ ახალ არსებას, რომელიც ღმერთმა ამოარჩია, რათა არ შეწყდეს და არ შემცირდეს ადამიანის მოდგმა, რომელიც ქვეყნიერებაზე მისივე განგებულებით სახლობს, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეუცნობელია გზანი უფლისანი: ბავშვის გასაჩენად კაცის თესლი თავისთავად აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი – ამას გარდა საჭიროა, რომ კაცმა თესლი მხოლოდ დანიშნულების ადგილას ანთხიოს და არა სხვაგან, როგორც ამას საბრალო ონანი აკეთებდა, რისთვისაც სიცოცხლით ზღო, რადგან თავისი განსვენებული ძმის შთამომავლობის გაგრძელება არ ისურვა და დარწმუნებული გახლდათ, რომ თუ თესლი მის წიაღში არ მოხვდებოდა, – რაშიც ჩვენც სრულიად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, – ისე ქალი არ დაფეხმძიმდებოდა, მოკლედ, ყველა პირობის გათვალისწინებით, სრულიად მართებულია ანდაზა, თუ კოკა წყალის მოსატანად სიარულს მიჩვეულია, მაშინ სამჯერ ცხრაც ოცდაშვიდიაო. თუმცაღა ისიც დამტკიცებული გახლავთ, რომ ღმერთმა მომავალი ისააკი სითხის უკვე იმ ამოწურული მარაგის ბოლო წვეთში მოათავსა, რომელიც აბრაამს უნდა გამოენთხია და სწორედ ღმერთმა გაანაყოფიერა იმ ერთი წვეთით აბრაამის ცოლის – სარას წიაღი, რომელსაც იმჟამად ქალური წესი კარგა ხნის შემწყდარი ჰქონდა. თუ საკითხს ამგვარი თეოგენური კუთხით განვიხილავთ, ლოგიკასთან წინააღმდეგობაში მოუსვლელად შეგვიძლია დავასკვნათ, – რამეთუ ლოგიკა ამ სამყაროშიც და ნებისმიერ სხვა სამყაროშიც პირველ ადგილზე უნდა იდგეს, – რომ სწორედ თვით ღმერთი აღძრავდა, ან ეგებ უბიძგებდა კიდეც იოსებს, რომ თავის ცოლ მარიამთან ესოდენ ხშირად და გულმოდგინედ შესულიყო, რითაც იგი ერთგვარ იარაღად აქცია, რომლის წყალობითაც იქარვებდა სინდისის ქენჯნას, რაც იმ დღის მერე ტანჯავდა, როცა მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად ბეთლემელი ყრმების დახოცვა დასაშვები გახადა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის ამბავი გახლდათ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმრთის გზები არა მხოლოდ შეუც-

ნობელი, არამედ გაუვალიცაა და რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ იოსები, თუმც კი თითქმის გაუცნობიერებლად, ზეშთაგონებით მოქმედებდა, ამავე დროს თავის ქცევას ღვთით მადლმოსილად მიიჩნევდა და მიზნად ისახავდა, რომ ამ დაჟინებული ნაყოფიერებით ბეთლემში დახოცილ ბავშვებს უკან თუ ვერ დააბრუნებდა, რაც ყოვლად შეუძლებელი

იყო, ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნად იმ დაღუპულ ყრმათა რაოდენობის შესაბამისი ბავშვი მაინც დაებრუნებინა, რათა მომდევნო აღწერისას ციფრები ერთმანეთს დამთხვეოდა. ღმერთი და დურგალი იოსები ერთი მიზნით იღვწოდნენ და თუკი იმ დროებაში უკვე არსებობდა გამოთქმა, ღმერთს არა სძინავსო, დღეს ჩვენ მით მეტი საფუძველი გვაქვს ვიცოდეთ, რატომ არ სძინავს უზენაესს, იმიტომ ხომ არა, რომ რამე ისეთი შეცდომა დაუშვა, ღმერთს კი არა, კაცს რომ არ ეპატიება? იოსების მიერ ამქვეყნად გამოშვებული ყოველი ბავშვის მერე ღმერთი ჩაქინდრულ თავს სულ უფრო და უფრო მაღლა სწევდა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერასდროს ასწევდა, რამეთუ ჰეროდეს მეომრებმა ოცდახუთი სული გაწყვიტეს, ხოლო იოსებისთვის მიცემული სიცოცხლის ვადა ამდენი ვაჟის ჩასახვას არ ეყოფოდა, თანაც მისი ერთადერთი ცოლის წიაღიც მეტისმეტად გადაქანცული გახლდათ, ხოლო სული და ხორცი – გატანჯული საიმისოდ, რომ ამდენი მიეღო და ეტარებინა. დურგლის სახლი და ეზო ბავშვებით გახლდათ სავსე, არადა, სახლიცა და ეზოც ცარიელი გეგონებოდათ.

როცა იოსების პირმშოს ხუთი წელი შეუსრულდა, სინაგოგის სკოლაში დაიწყო სიარული. დილაუთენია მიჰგვრიდა ხოლმე დედა რჯულის კანონის მასწავლებელს, რომლის მწირი განათლება საწყისი ეტაპისთვის საკმარისი გახლდათ და სინაგოგაში მისთვის განსაკუთრებული ფართი ჰქონდათ გამოყოფილი, სადაც იესო ათ წლამდე ასაკის სხვა ნაზარეთელ ბიჭებთან ერთად ცხოვრებაში ერთი ბრძენკაცის მიერ გამოთქმული მითითების გატარებას ცდილობდა: ბავშვი კანონში იზრდება და ხარი – უღელშიო. დღევანდელი ჟამთასვლით გაკვეთილები შუადღისას მთავრდებოდა და საბრალო მარიამი უკვე ელოდა შვილს, თუმცა უფლება არ ჰქონდა, მისი წარმატებების შესახებ რაიმე ეკითხა, რამეთუ იმავე ბრძენკაცს თავის დროზე ისეც ებრძანებინა: სჯობს, სჯუ-

ლი ცეცხლს მივცეთ, ვიდრე ქალსაო. აგრეთვე არ უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობაც, რომ მისი ვაჟი საიმდროოდ უკვე გათვითცნობიერებულიყო ამქვეყნად ქალისთვის, მათ შორის, საკუთარი დედისთვის მიჩენილი ადგილის შესახებ და ამიტომ ნებისმიერ შეკითხვაზე რაიმე გაურკვეველს მიუგებდა, რითაც სწორედაც რომ ზემოაღნიშნული ადგილისკენ მიუთითებდა, რათა ქალს თავისი არარაობა არ დავიწყნოდა, არარაობა კი ყველას თავისებური აქვს, თუნდაც მეფე ჰეროდე ავიღოთ – უზომო ძალაუფლება, ვეება ძალმოსილება, და აჰა, ახლა შეხედე, იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ „წევს ხრწინელებაში განფენილი“[2], რამეთუ აღარც სახრწნელი დარჩენილა რამე, ბინძური ნაჭრებით ნახევრად დაფარული აყროლებული ძვლების გარდა. ხოლო როცა იესო შინ მივიდოდა, მამა ჰკითხავდა: აბა, რა ისწავლე დღეს? და ბიჭი, ბუნებისგან საოცარი მეხსიერებით დაჯილდოებული, ნასწავლ გაკვეთილს სიტყვასიტყვით იმეორებდა: თავიდან ასოებს სწავლობდა, მერე – უმთავრეს ცნებებს, შემდეგ თორადან მთელ ფრაზებსა და წერილის მთელ-მთელ პერიოდებს და იოსები უსმენდა, მარჯვენა ხელს ტაქტს აყოლებდა და თავს კმაყოფილად აკანტურებდა. ასე იგებდა მარიამი, რისი პირდაპირ გაგების უფლებაც არ ჰქონდა, – ეს ხომ ქალთაგან ქვეყნის შემეცნების ძველთაძველი ხერხი გახლავთ, საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში იდეალურ სრულყოფილებამდე მიყვანილი: რაკი შეკითხვის ნებას არ რთავენ, უბრალოდ ყურს უგდებენ და მალე სწორედაც რომ ყველაფერი იციან და იმასაც კი ახერხებენ, რომ მართალს ტყუილისგან კაცებზე უკეთ განასხვავებენ. მაგრამ აი, რა არ იცოდა, ან თუ იცოდა – არასაკმარისად, – ასეთი რა უცნაური კავშირი აერთიანებდა მამაშვილს, რომ გარეშე თვალიც კი გარკვევით დაინახავდა იმ სევდიან სინაზეს, იოსების

სახეს მუდამ რომ ეფინებოდა, როცა კი იესოს ესაუბრებოდა, გეგონება, ასე ფიქრობს ამ დროს: აი, ძე ჩემი საყვარელი, აი, ჩემი ტკივილიო. სამაგიეროდ, მარიამმა კარგად იცოდა, რომ ქმრის ღამეული კოშმარები – ეს სულისმიერი ქეცი – თუმც თავს არ ავიწყებდნენ იოსებს, მაგრამ ყო-

[2] პესოას ლექსის, „დედიკოს ბიჭის“ ქრესტომათიული სტრიქონი

ველღამიერ განმეორებადნი, უკვე ისევე ჩვეულნი გამხდარიყვნენ, როგორც ცალ გვერდზე ძილი, ანდა ძილ-ღვიძილში წყლის დალევაა. და თუმცა მარიამი, ვითარცა სანიმუშო მეუღლე, ერთთავად იოსებზე ზრუნავდა, მაინც ამქვეყნად ყველაზე მთავარი მისთვის შვილის ხორციელი თუ სულიერი ჯანმრთელობა გახლდათ, რაც თავის მხრივ დაადასტურებდა, რომ მამამისის დანაშაული არცთუ ისე დიდი იყო, ანდა რომ ღმერთი ჩვეულებისამებრ აღარ ურისხდებოდა, უკვე დაესაჯა იოსები იმგვარი სასჯელით, თავის დროზე ერთ გაკოტრებულ კეთროვანს, სახელად იობს რომ დაატეხა თავზე, ყოვლად წმინდა კაცს, სამართლიანსა და ღვთისმოშიშს, რომლის დანაშაული მხოლოდ ის გახლდათ, რომ ღმერთსა და ეშმაკს შორის იმ კამათის საგნად იქცა, რომელშიც ორივე მხარე ჯიუტად იცავდა საკუთარ შეხედულებებს. ჰოდა, ამის მერე გაუკვირდებათ, გამწარებული კაცი რომ აყვირდება: დაიქცეს ჩემი გაჩენის დღე და ღამე, როცა ითქვა, კაცი ჩაისახაო! დაბნელდეს ის დღე, აღარ მოხედოს უფალმა ზეგარდმო, აღარ ინათოს მასზე ნათელმა. ბნელმა წაიღოს ის ღამე! არ გაიხაროს წლის დღეთა შორის! თვეთა რიცხვში აღარ ითვლებოდეს! აჰა, გაბერწდეს ის ღამე, აღარ ეღირსოს სიხარული! მაგრამ სხვათა შორის, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მერე უფალმა ორმაგად დაუბრუნა იობს თავისი დანაკარგი, რასაც სხვებზე ვერ ვიტყვით, რომელთა სახელებიც წიგნებს არ ჰქვიათ, მათ ყველაფერი წაერთვათ და არც აღარაფერი დაუბრუნდათ, დაჰპირდნენ და გააცურეს. დურგლის სახლში კი, ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება მშვიდად მიედინება, სუფრა თუმც წარმატების ნაყოფებით დახუნძლული არაა, მაგრამ პური და რაღაც-რაღაცეები, რაც სულს სხეულში აკავებს, მაინც მუდამ მოიპოვება ზედ. იობისა და იოსების მონაპოვრებს შორის ერთადერთი მსგავსება ის გახლავთ, რომ პირველს შვიდი ვაჟი და სამი ასული ჰყავდა, ამას – შვიდი ვაჟი და ორი ასული, ასე რომ, ამ თვალსაზრისით უპირატესობა დურგალს ეკუთვნოდა, რადგან მან სამყარო კიდევ ერთი ქალის გაჩენისგან გადაარჩინა. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, მოდი, გავიხსენოთ – რას ფლობდა იობი, სანამ უფალი ქონებას გაუორმაგებდა: შვიდი ათასი სული წვრილფეხა საქონელი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი წყვილი ხარი, ხუთასი ვირი და უამრავი მონა, მაშინ, როცა იო-

სებს ერთადერთი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ვირი გააჩნდა და მეტი არც არაფერი. ჰოდა, ვაღიაროთ, ერთია, როცა ორი სულის, მერე სამის გამოსაკვებად შრომობ, თუნდაც იმ მესამეს სიცოცხლის პირველ წელიწადს დედა აჭმევდეს და სულ სხვაა, როცა უეცრად ბავშვების მთელი ურდოთი აღმოჩნდები გარემოცული, იზრდებიან და მოთხოვნილებაც ეზრდებათ, რომელთა დაკმაყოფილება დროულად და ხარისხიანადაა საჭირო. ხოლო ვინაიდან იოსებს შემოსავალი საშუალებას არ აძლევს, ხელქვეითი გაიჩინოს, მთელი იმედი ვაჟებზეა, ესენი ხომ მაინც აგერ არიან, ხელქვეით, თანაც მამა, თუ არ უნდა, რომ ვაჟები ყაჩაღებად დაეზარდოს, ვალდებულია, ხელობა ასწავლოს მათ. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა, ასეა წერია თალმუდში. ხოლო თუ ოსტატთა მოვალეობების შესახებ რაბინთა სწავლებასაც გავიხსენებთ, – თავის საქმის კარგად მცოდნე მწიგნობართაგან უბრძენესზე აღმატებულიაო, – იოლი წარმოსადგენი გახდება, თუ რაგვარი პროფესიონალური სიამაყით გადასცემდა იოსები ხელობის ავანჩავანს თავის ვაჟიშვილებს მათი ზრდის კვალდაკვალ – ჯერ იესოს, მერმე იაკობს, იოსებს, იუდას, ასწავლიდა საქმის მუღამს, ფაქიზ ხერხებსა და ხრიკებს, თანაც ძველებურ სიბრძნესაც არ ივიწყებდა: ყმაწვილთა შრომას ბარაქა მცირე აქვს, მაგრამ მასზე უარის თქმა სიგიჟეაო. ხოლო მოვლენა,

რომელსაც „ბავშვთა შრომა“ ეწოდა, მოგვიანებით წარმოიქმნა. და იოსებს, როცა ბოლო წახემსების შემდეგ კვლავ სამუშაოს ჰკიდებდა ხელს, ვაჟები ეხმარებოდნენ და ამ ჭეშმარიტად ოჯახურ საწარმოს შესაძლოა შესანიშნავი ნაყოფიც გამოეღო, ეგებ ჩვენს დრომდეც კი ეარსება დურგალთა ამ დინასტიას, თუ არა ღმერთი, რომელმაც მუდამ ზუსტად იცის, რა სურს, და რომელსაც ამჯერად სულ სხვა რამ მოესურვა.

10* * *

რომის იმპერიამ, თითქოს ის უსაზღვრო სიმკაცრე და ურცხვი ქედმაღლობა არა კმაროდა, რომელსაც მისგან იუდეველი ხალხი აგერ უკვე სამოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იტანდა, გადაწყვიტა, ჰეროდეს ძველი სახელმწიფოს დაშლით ესარგებლა და მოსახლეობის კი-

დევ ერთი აღწერა მოეწყო, ამჯერად ხალხს მშობლიურ ადგილებზე გამოცხადება არ ევალებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მინდვრები იცლებოდა, პირუტყვი უპატრონოდ რჩებოდა, ვაჭრობა წყდებოდა და ათასი სხვა რამ უსიამოვნება ხდებოდა, ისეთი, როგორიც მაგალითად, იოსებსა და მის ოჯახს შეემთხვა. ახლა აღწერა სხვაგვარად წარმოებდა: აღმრიცხველები სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ დაიარებოდნენ, ყველა მამაკაცს, გინდ დაოჯახებულს და გინდ მარტოხელას, მთავარ მოედანზე ან სადმე ღია ადგილას შეკრებდნენ და ჯარისკაცების ზედამხედველობით დაწვრილებით სიებს ადგენდნენ – სახელი, წოდება, საქმიანობა, ქონება, შემოტანილი ღალის ზუსტი თანხობრივი ოდენობა. თავისთავად ცხადია, ამგვარ ღონისძიებას მოსახლეობა სიხარულით არ ეგებებოდა, თუმცა ვერავინ იტყვის, ასეთი რამ რომაელებმა გამოიგონეს და მაინცდამაინც იმ ეპოქაში ხდებოდაო – საკმარისია გავიხსენოთ, რა წერია წმიდა წერილში იმ არცთუ რიგიანი იდეის შესახებ, მეფე დავითს რომ მოაფიქრდა ოდესღაც, როცა თავის მხედართმთავარ იოაბს ამგვარი რამ უბრძანა: შემოიარე ყოველი მუხლი ისრაელისანი დანითგან ბერსაბემდე და დათვალე ხალხი, რათა ვიცოდე მათი რიცხვიო და ვინაიდან მეფის სიტყვა კანონია, იოაბმა თავისი ყოყმანი თავისთვის შეინახა, ჯარი შეკრიბა და საქმეს შეუდგა. ცხრა თვისა და ოცი დღის შემდეგ იერუსალიმში დაბრუნდნენ და ჩააბარა იოაბმა მეფეს სახალხო აღწერის სია და აღმოჩნდა, რომ ისრაელს რვაასი ათასი ჯანმრთელი, საომრად გამოსადეგი ვაჟკაცი ჰყავდა, იუდეველებს კი – ხუთასი ათასი. ოღონდაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ უფალ ღმერთს გულზე არ ეხატება, თუ გამოთვლებს მის გარდა სხვა ვინმე გაეკარა; განსაკუთრებით, როცა თვლას მისი რჩეული ერი იწყებს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ, რომ რჩეულია, ღვთის გარდა სხვა მბრძანებელი არ შეიძლება ჰყავდეს, მით უმეტეს, თუკი მბრძანებლობის პრეტენზიას რომი გამოთქვამს, თვითონ ცრუ ღმერთებისა და ცრუ მმართველებისგან დამონებული, – ჯერ ერთი, ის ღმერთები არც არსებობენ, და მეორე, თუნდაც ნაწილობრივ არსებობდნენ, – რაკიღა ადამიანები თუმც უაზროდ და უმიზნოდ, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ეთაყვანებიან, – თვით ეს ბრმა თაყვანის-

ცემა ადასტურებს მისი ადეპტების მოჩვენებითობასა და ცრუ, არაჭეშმარიტ ბუნებას.

მაგრამ, მოდი, შევეშვათ რომს და მეფე დავითის ბრძანებით ჩატარებულ აღწერას მივუბრუნდეთ. როცა მხედართმთავარი სიის კითხვას შეუდგა, მეფეს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ვაი, რომ გვიანღა იყო თითზე კბენანი და დავითს აწ სინანული ვეღარაფერს უშველიდა: დიდად შევცოდე, უფალო, და ახლა გევედრები, შემიწყალო მონა შენი, რამეთუ ერთობ უგუნურად მოვიქეციო, – და დილით ახლად გაღვიძებულ დავითს ეახლა წინასწარმეტყველი გაადი, მეფის მისანი, ანუ შუამავალი მამაზეციერსა და მეფეს შორის, და უთხრა: ასე ამბობს უფალი, რა გიჯობს, შენს ქვეყანაში შვიდწლიანი შიმშილი, თუ სამი თვის ლტოლვილება შენი მტრებისგან, თუ სამი დღით შავი ჭირი მაგ შენს ქვეყანაში. დავითმა ვერ მოიფიქრა, თავიდანვე ეკითხა, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპებოდა შემოთავაზებულ უბედურებათაგან თითოეულში და გადაწყვიტა, სამ

დღეში, გინდაც შავი ჭირი იყოს, ყველაზე ნაკლები უბედურება დატრიალდება, ვიდრე სამთვიანი ომითა და შვიდწლიანი შიმშილითო და თქვა: შენის ნებისად, უფალო, მე შავ ჭირს ვირჩევო. და მოავლინა ღმერთმა შავი ჭირი და სამოცდაათი ათასი კაცი გაიჟუჟა, ქალებისა და ბავშვების გარდა, რომლებსაც ასეთ შემთხვევებში აღარც კი ითვლიან ხოლმე. საბოლოოდ ყოვლადძლიერმა, მას შემდეგ, რაც სამსხვერპლო აუგეს, მოიღო წყალობა და ეს უბედურება მოამთავრა, მაგრამ ვინც დაიღუპა, საბოლოოდ დაიღუპა და ეტყობა, უფალს ისინი ან აღარც გახსენებია, ან მათი აღდგინება ზედმეტად მიიჩნია, რადგან, ლოგიკას თუ გავყვებით, ამასობაში უკვე გარდაცვლილთა ქონების გაყოფაც დაიწყებოდა და მემკვიდრეობის უფლებაზეც მრავალი დავა ატყდებოდა, რამეთუ ავლა-დიდებაზე, ოფლითა და სისხლით, მძიმე შრომით, ომით, გმირობით თუ რა გინდა რა ხერხით მოპოვებულ კანონიერ ქონებაზე ხელის აღებას ხალხი, თუნდაც ეს ხალხი ღვთის რჩეული იყოს, მაინც ვერასდროს მოახერხებს: ასეთ დროს ანგარიშგასაწევი საბოლოო ჯამში მხოლოდ და მხოლოდ სწორედ ეს საბოლოო ჯამი შეიძლება იყოს.

თუმცა, როგორც ადამიანური, ისე ღვთაებრივი ნაირ-ნაირი მოქმედებების შესახებ მსჯელობას თუ კიდევ უფრო მეტად გავაღრმავებთ,

ურიგო არ იქნება, ის გარემოებაც გავითვალისწინოთ, რომ, მაგალითად, მეფე დავითის შეცდომას მკაცრი სასჯელი დაუყოვნებლივ მოჰყვა, მაგრამ ამჯერად მამაზეციერი აშკარად აღარ ჩქარობს და ჩაურევლად აკვირდება, როგორ ავიწროებენ რომაელები უფლის საყვარელ შვილებს, და რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია, გაუგებარი გულგრილობით ეგებება თვით მისივე სახელისა და ძლევამოსილების გაუგონარ აბუჩად აგდებას. ჰოდა, თუ ასეა, ანუ რაკი სავსებით ცხადია, რომ უფალი ღმერთი არც მოშველებას ცდილობს და საერთოდაც თავსაც აღარ გვახსენებს, ადამიანს ისღა დარჩენია, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი თვითონ ეძებოს და ისიც, ტოვებს თავის სახლს და ქაოსით მოცული, თავდაყირა მდგომი, არეულ-დარეული ქვეყნიერების დასალაგებლად მიეშურება, და ამ ქვეყნიერებას, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მისი კი არა, სწორედაც რომ ღვთისაა, საკუთარ სახლად დაიგულებს. ამგვარად, აღმწერები რომ გამოჩნდნენ, – ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ რომ ავრცელებდნენ თავიანთი მბრძანებლების უტიფარსა და ურცხვ ბრძანებას, და თანაც სიტყვითა თუ საქმით შეურაცხყოფისაგან თანმხლები მეომრებით გახლდნენ დაცულნი – გალილეასა და იუდეაში უკმაყოფილო დრტვინვა გაისმა, თავიდან ყრუ, თითქოს ვიღაცა ახლად გაღვიძებული პროტესტის ძალას ცდის, წონის და აფასებსო, მერე კი თანდათან მოღონიერდა, ადუღდა, შიგადაშიგ თავგანწირული აფეთქებებიც დაირთო, მაგალითად, როცა ერთმა ხელოსანმა მაგიდის სიახლოვეს, რომელთანაც აღმწერი შესაბამის ჩანაწერებს აკეთებდა, ყველას გასაგონად განაცხადა, ცოცხალი თავით ჩემს სახელს არ ვიტყვიო, ანდა მავანი ვაჭარი ოჯახიანად თავის დახლში ჩაიკეტა და იმუქრებოდა, ამ თიხის ჭურჭელს ერთიანად დავლეწავ, ქსოვილებს კი ნაკუწებად ვაქცევო, ანდა მიწათმოქმედმა თავის ნათესებს „წითელი მამალი“ წაუკიდა და აღმწერს ფერფლით სავსე კალათა მიართვა: აი, რით უხდის ისრაელი თავის შეურაცხმყოფლებსო, ამ ვაჟკაცებს მყისიერად იჭერდნენ, სცემდნენ და ყველანაირად შეურაცხყოფდნენ, რამეთუ, როგორც ვიცით, ძალა აღმართს ხნავს, ადამიანის სიმტკიცე კი ხანმოკლე გახლავთ, ჩვენ ხომ ფაქიზნი ვართ, სუსტნი, ნერვები იოლად გვეშლება და, რა გასაკვირია, რომ სიმამაცე მრავალთაგან მრავალს ღალატობდა და საქმე იმით მთავ-

რდებოდა, რომ იგივე ვაჟკაცები ზეწოლას ვეღარ უძლებდნენ, თავის ყველა საიდუმლოს ფქვავდნენ, ის ვაჭარი ბოლოს გადასახადს ზევით თავის ერთ-ერთ ქალიშვილს

იძლეოდა, ან სულაც – ორივეს, მიწათმოქმედმა კი ფერფლი თავზე დაიყარა და მონად წამიყვანეთო, ივედრებოდა. თუმცა ისეთებიც იყვნენ, თუმც კი ცოტანი, ბოლომდე რომ უძლებდნენ, მაგრამ მათ უბრალოდ ხოცავდნენ, მაგრამ იყვნენ მესამე რიგისანიც, ისეთები, ვინც ერთხელ და სამუდამოდ გაიაზრა, კარგი რომაელი მხოლოდ მკვდარი რომაელიაო, იარაღს მოჰკიდეს ხელი და მთებში გაიხიზნენ. „იარაღს“ რომ ვამბობთ, ცხადია, ქვებს ვგულისხმობთ, შურდულებს, ჯოხებსა და კეტებს, ჰა-ჰა, მშვილდ-ისრებს – ერთი სიტყვით, ისეთს არაფერს, საომარი მოქმედებები რომ იყოს შესაძლებელი, – ვთქვათ, მერე და მერე ხანმოკლე ბრძოლებსა და შეტაკებებში მოპოვებული ხმლები და შუბებიც დაემატოს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ეს ნადავლი დიდად ვერაფერში წაადგებათ, რადგან იარაღის ქონა საკმარისი არაა, იარაღს ფლობაც უნდა, ისინი კი მეფე დავითის ხნიდან მოყოლებული ხელსმოყოლილი თვითნაკეთი საშუალებებით მიეჩვივნენ თავდაცვას, უფრორე მწყემსებს რომ შეეფერებათ, ვიდრე მეომრებს. თუმცა იუდეველი, რომელი ტომის შვილიც გინდა იყოს, ომს ისევე სწრაფად ეჩვევა ხოლმე, როგორც რომ გადაჩვევა უჭირს მერე და მშვიდობიან ცხოვრებასთან დაბრუნება, მით უმეტეს, ბელადი თუ გამონახა და ირწმუნა იმდენად არა თვით იმ ბელადისა, არამედ იმისა, რაც იმ ბელადს სწამს. სწორედ ერთ ასეთ ბელადს, რომაელებს რომ აუჯანყდა იმხანად, როცა იოსების პირმშოს თერთმეტი წელი შეუსრულდა, სახელად იუდა ერქვა, გალილეველი გახლდათ, უფრო სწორად – ჰავლონიტიდელი, ამიტომაც მაშინდელი ჩვეულების თანახმად, იუდა გალილეველს, ანდა იუდა ჰავლონიტს ეძახდნენ.

შესაძლოა გეუცნაუროთ სახელებზე მეტსახელების დამატების, ზოგჯერ კი პირველის მეორით შეცვლის იუდეველთა ეს არსებითად მიამიტური ჩვეულება – იოსებ არიმათიელი, რაც ნიშნავს იოსებს არიმათიიდან, სიმონ კვირინელი, ანდა, ვთქვათ, მარიამ მაგდალელი, რაც მაგდალელ მარიამს ნიშნავს და თუკი იოსების უფროს ვაჟს გაზრდა და

დაკაცება უწერია, მაშინ, ეჭვი არაა, ნაზარეთელ იესოს, ანუ იესო ნაზარეველს დაუძახებენ, ან სულაც მოკლედ, ნაზარეველს, რადგან წინასწარ არავინ იცის, თუ რა სიმტკიცით გადაებმება ადამიანის სახელს მისივე დაბადების ადგილის, ანდა, როგორც ჩვენს შემთხვევაშია, იმ ადგილის სახელწოდება, სადაც გაიზარდა. ოღონდაც ჯერჯერობით ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია, რადგან ბედი, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ, ერთგვარი განსაკუთრებული ჭურჭელია, თან თავღია და თან დახუფული – ჩაიხედავ შიგ, დაინახავ, რაც უკვე მომხდარა ცხოვრებაში, უკვე განვლილ აღარარსებულ ბედს კაცისას, მაგრამ მოსახდენის დანახვას თუ მოვისურვებთ, ნურას უკაცრავად: მომავალი დახუფულია და მხოლოდ ბუნდოვან წინათგრძნობებს ანდა მიხვედრებს უნდა დავჯერდეთ, როგორც ეს წინამდებარე სახარების შემთხვევაშია, რომელიც არც კი დაიწერებოდა, რომ არა ზოგიერთი უჩვეულო მინიშნება, რომ მის გმირს ბედი ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებასთან შედარებით რაღაც უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს უმზადებს. ვაშლი, მოგეხსენებათ ვაშლის ხის მახლობლად ვარდება და, მართლაც, იუდა ჰავლონიტის ძარღვებში მეამბოხის სისხლი ჩქეფდა, რამეთუ ჯერ კიდევ თავის დროზე მამამისმა, მოხუცმა ეზეკიამ, რაზმი შეკრიბა და იმათ მიუერთდა, ვინც ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ გალილეაში მისი სავარაუდო მემკვიდრეების წინააღმდეგ გაილაშქრა, ეს კი უფრო ადრე მოხდა, სანამ რომი სამეფოს დაყოფის კანონიერებასა და ახალ ტეტრარქთა უფლებამოსილებას დაამტკიცებდა. ზოგჯერ ვერც კი ახსნი, როგორ გამოდის, რომ ერთი და იმავე ცომისგან მოზელილი ადამიანები, იმავე ხორცის, ძვლის, სისხლისა და კანისაგან შედგენილნი, ადამიანები, რომლებიც

ერთნაირად ოფლიანდებიან, ერთნაირად ტირიან და იცინიან, უეცრად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულნი გამოდგებიან – ერთნი მხდალნი, სხვანი კი – უშიშარნი, ერთნი – მებრძოლნი და სხვები კი მშვიდობისმოყვარენი: მაგალითად, იოსები იმავე პირობებში გაიზარდა, როგორშიც იუდა, მაგრამ იმ იუდასგან განსხვავებით, თავისი მამის შვილი რომ იყო და თავისი შვილების მამა, მშვიდობის უარყოფით მამამისს რომ მიჰბაძა და შვილებს ბრძოლის მაგალითი უჩვენა იმის დასამტკიცებლად, რომ კაცთა ზედა ბატონობა მხოლოდ და მხოლოდ უფალი

ღმერთის უფლებაა და სხვა არავისი, ყოველივე ამას დურგალმა იოსებმა თავის ცხრა მცირეწლოვან შვილსა და მათ დედასთან შინ დარჩენა და თავის დაზგასთან ძველებურად შრომა ამჯობინა, ოჯახისთვის ლუკმაპურის მოპოვება სახვალიო ფიქრის გარეშე, რამეთუ მხოლოდ უფალმა უწყის, ხვალ რა იქნება, თუმცა კი ზოგიერთები ასე ბრძანებენ: შეხედულება, რომ თითქოს არავინ იცის, ხვალ რა იქნება, უბრალო ჰიპოთეზაა, სხვა ჰიპოთეზებზე არც რით უმჯობეს-უარესი, ხოლო სიტყვებში – „გუშინ“, „დღეს“, „ხვალ“ – ჩვენ მიერ ნაგულისხმევი აზრი ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვაგვარი სახელდებაა და სხვა არაფერი. მაგრამ ამისდა მიუხედავად ბევრი ნაზარეთელი ახალგაზრდა იუდა ჰავლონიტის ამბოხებულებს შეუერთდა: გაუფრთხილებლად გაიპარებოდნენ ხოლმე და ერთიმეორის მიყოლებით ისე ქრებოდნენ, თითქოს ჰაერში იფანტებიანო; მათი ოჯახები, ცხადია, ყველაფერს საიდუმლოდ ინახავდნენ, მეზობლებიც ენას კბილს აჭერდნენ, არავის მოსდიოდა აზრად, დაუწერელი კანონი დაერღვია და, დავუშვათ, ამგვარი რამ ეკითხა: ნათანიელი სად დაიკარგა? ამ ბოლო ხანს აღარსად გამოჩენილა, მაშინ, როცა ეს ნათანიელი მართლაც აღარც სინაგოგაში დადიოდა, აღარც სამკალში, ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს საერთოდაც არავითარი ნათანიელი არ არსებულიყო, თუნდაც ყველას შეეტყო, რომ ეს ნათანიელი აგერ ახლახან ნაზარეთში გამოჩნდა, ბნელი ღამით შინ მიიპარა და გათენებამდე უკანვე გაბრუნდა, რამეთუ ეს ღამეული ვიზიტი მისი ცოლის გაღიმებულ სახეზე ეწერა, როცა ქალი უმიზეზოდ ადგილზე გაირინდებოდა, ჰორიზონტს მიბნედილ, გაფანტულ მზერას მოავლებდა, მერე თვალი იქავ გაუშტერდებოდა, თითქოს კედელს მიებჯინაო, სახეს კი წყლის ზედაპირზე გადავლილი მსუბუქი ნიავივით დინჯი და ფიქრიანი ღიმილი აუტალღებდა და მხოლოდ ბრმა, რომელსაც არც ამ ღიმილისა და არც არაფრის დანახვა არ შეუძლია, დაიჯერებდა, ნათანიელის ცოლს ეს ღამეც ქმრის გარეშე გაუტარებიაო. ხოლო ქალის გული ისეთი ყურადღებიანია, ისეთი მგრძნობიარე, რომ თვით ის ქალებიც კი, თავიანთ ქმრებთან განშორება აზრადაც რომ არ მოსვლიათ, ამ იშვიათი შეხვედრების მთრთოლარე წამებს რომ წარმოიდგენდნენ, ოხრავდნენ და ნათანიელის ცოლს, როგორც ფუტკრები ნექტრით სავსე ყვავილს, გარს

ეხვეოდნენ. მაგრამ მარიამი ამგვარი ვნებებისაგან ერთობ შორს გახლდათ, საზრუნავად ცხრა ბავშვი და ქმარიც ჰყოფნიდა, თან ქმარი ყოველ ღამე უხაბროდ წამოხტომას, ზაფრითა და დაუძლეველი სევდით ბღავილს არ იშლიდა, ბავშვებს აღვიძებდა და აატირ-აიყოლიებდა. მერე და მერე, რაღა თქმა უნდა, ბავშვები შეეგუვნენ ამ ამბავს და აღარ ეშინოდათ, და მხოლოდ უფროსიღა იღვიძებდა ხოლმე, შესაძლოა იმიტომ, რომ მასაც რაღაც საშინელება ესიზმრებოდა და თავიდან დედას ეკითხებოდა ხოლმე: რა სჭირს მამასო, და მარიამიც უბრალოდ პასუხობდა, ცუდი სიზმარი ნახაო, აბა, იმას ხომ არ ეტყოდა, მამაშენს ესიზმრება, თითქოს ჰეროდეს ჯარისკაცთაგანია და ცხენს ბეთლემის გზაზე მიაჭენებსო. ჰეროდე ვინ არის? ახლა რომაა მეფე, იმისი მამა. და ამიტომ ყვირის და კვნესის ასე ხმამაღლა? ჰო, ამიტომ. და რა არის ამაში ასეთი საშინელი – შენს თავს დიდი ხნის მკვდარი მეფის მხედრად ხედავდე? მამაშენი ჰეროდეს ჯარისკაცი არასოდეს ყოფილა, ის

მუდამ დურგალი იყო. აბა, მაშინ რატომ ესიზმრება? ადამიანები სიზმრებს თავისი სურვილით არ ირჩევენ. მაშ, სიზმრები თვითონ ირჩევენ, თუ ვის უნდა დაესიზმრონ? ამის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ ალბათ ასეა. მაგრამ ასე რატომ ყვირის, რატომ კვნესის ძილში? ამ კითხვის პასუხად მარიამს უნდა ეთქვა, იმიტომ, რომ მამაშენს ყოველღამ ესიზმრება, თითქოს შენ მოკვლას აპირებსო, მაგრამ განა შეეძლო შვილისთვის ამის თქმა? განა ოდესმე გაბედავდა, ქმრის კოშმარული საიდუმლო გაემხილა საკუთარი პირმშოსათვის, რომელსაც ამ სიზმარში ისააკის, აბრაამის ძის მსგავსად, თუნდაც აღუსრულებელი, მაგრამ მაინც დასაკლავი მსხვერპლის როლი ჰქონდა განკუთვნილი. და ერთხელაც, როდესაც კარის დამზადებაში შველოდა, იესომ ძალა მოიკრიბა და ეს მტანჯველი კითხვა მამას თვითონ დაუსვა, იოსები ჯერ კარგა ხანს დუმდა, მერე კი თავჩაქინდრულმა წარმოთქვა: შვილო ჩემო, უკვე იცი შენი ვალი და დანიშნულება, აღასრულე და უფლის თვალში მადლი გექნება, მაგრამ ამასთან შეეცადე, საკუთარ სულში იმ მოვალეობასა და დანიშნულებას მიაგნო, რომლის შესახებაც არც სხვებმა იციან რამე და არც კანონებში წერია. ეგ არის შენი სიზმარი, მამა? არა, ეს მიზეზია, რის გამოც მტანჯავს, რამეთუ ერთხელ ჩემი მოვალეობა დამავიწყდა და უარე-

სიც. რას ნიშნავს „უარესიც“? განა დამავიწყდა, უბრალოდ, არ გავიხსენე ის, რისი გაკეთებაც მმართებდა. კი მაგრამ, ეს ხომ სიზმარია. სიზმარი მხოლოდ მახსენებს, რაზეც უნდა მეფიქრა და ახლა ყოველღამ მაგონდება და ვეღარც ვეღარასოდეს დავივიწყებ. და რაზე უნდა გეფიქრა? ნუ მკითხავ, რადგან შენ ყველა კითხვის დასმას ვერ შეძლებ, მე კი ყველა პასუხი არ ვიცი. ზაფხული იდგა, მზე აცხუნებდა, მამა-შვილი ეზოში მუშაობდა, ჩრდილქვეშ. შორიახლოს და-ძმები თამაშობდნენ, მხოლოდ სულ უმცროსი იყო შინ, დედის მკერდთან. თავიდან მამას იაკობიც ეხმარებოდა, მაგრამ მერე დაიღალა თუ მოეწყინა, რაც გასაკვირი არ გახლავთ – სიყრმეში ერთწლიანი სხვაობა მეტად დიდია, რადგან მისი უფროსი ძმა იესო საცაა სრულწლოვანებას მიაღწევდა, სწავლის პირველი საფეხური ჩაემთავრებინა და ახლა რელიგიური აღზრდის წესთა კვალდაკვალ, თორას სწავლა უნდა გაეგრძელებინა და თანაც სიბრძნის უფრო მაღალ წყაროს – თალმუდსაც გასცნობოდა. ეს გარემოება საცნაურყოფს, თუ როგორ ახერხებდა იესო მამასთან ამგვარ სერიოზულ საუბარს, იოლად პოულობდა საჭირო სიტყვებს და თანმიმდევრულად, გააზრებულად ბჭობდა. იესო მეთორმეტე წელში იყო გადამდგარი, მალე სრულწლოვანი შეიქნებოდა და შემდგომ ამისა ეგებ ისევ დაესვა ამჯერად უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვა, თუკი, ცხადია, იოსები გაბედავდა და შვილს დანაშაულში გამოუტყდებოდა, აბრაამისგან განსხვავებით, რომელმაც შვილის წინაშე აღიარება ვერ მოახერხა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის მიერ გავლებულ წრფეს ადამიანური ზიგზაგები იშვიათად თუ გადაკვეთს, ნიმუშად იმავე აბრაამის ამბავი გამოდგება, უფლის ანგელოზი უკანასკნელ წამს რომ გამოეცხადა და უთხრა: ხელს ნუ აღმართავ შენს ნაშიერზეო, ხოლო იოსებს ანგელოზმა კი არა, თვით ღმერთმა მოასმენინა გზაზე იმ სამი მეომრის საუბარი, მან კი უდანაშაულო ბეთლემელი ყრმების გადასარჩენად მოცემული ვადა ვერ გამოიყენა. თუმცა, თუ სამომავლოდ იესო კვლავაც კეთილი ზრახვით აღიძვრება, შესაძლოა მაინც მოინდომოს იმის გაგება, თუ რატომ ისურვა მამაზეციერმა ისააკის გადარჩენა, როცა საბრალო ყრმების გადასარჩენად თითიც არ გაუნძრევია, თუმცა ისინი აბრაამის ძეზე ნაკლებ უმწიკვლონი როდი იყვნენ, მაგრამ ღვთის წყალობას მაინც ვერ ეღირსნენ. მაშინ ეტ-

ყოდა მშობელს იესო: მხოლოდ შენ როდი ხარ დამნაშავე მომხდარში, ხოლო ეგება ისიც გაებედა, სულის სიღრმეში წარმოეთქვა: უფალო, ის დღე თუ დადგება, როცა გამოგვეცხადები და შენი შვილების წინაშე საკუთარ შეცდომებს აღიარებ? ჯერხნობით კი მამასაც და შვილსაც კარებიც დაეკეტათ და სულებიც, რაღაცას ამბობდნენ,

რაღაცაზე დუმილს ამჯობინებდნენ და სანამ მაღალ მატერიებზე მსჯელობდნენ, რომთან ომი გრძელდებოდა. ორი წელი გადიოდა უკვე და დროდადრო ნაზარეთში სამწუხარო ცნობები მოდიოდა ხოლმე – ეფრაიმი დაღუპულა, აბისერი დაღუპულა, ნეფთალი დაღუპულა, ელიაზარი დაღუპულა და ვინ იცის, სად იწვნენ ახლა – ღრმა ხეობის ძირას, ხის დაბურულ ჩრდილში თუ მდინარეს მიჰქონდა თავქვე. ნაზარეთში დარჩენილებს ისღა დარჩენოდათ, ხელები დაებანათ და ყველაფერი, რაც იცოდნენ, უარეყოთ, გლოვისა და ძაძის ჩაცმის უფლებაც კი არ ჰქონდათ და მხოლოდ იმას თუ იტყოდნენ, ჩვენ ხელები სისხლში არ გაგვისვრია და არც ჩვენს თვალებს დაუნახავთ რამეო.

მაგრამ დიდი გამარჯვებების ამბებიც ჩამოდიოდა: ქალაქ სეფორისიდან – აგერ სულ ახლოს რომაა, ნაზარეთიდან ორი საათის სავალზეო – რომაელები გაუყრიათო, ამას გარდა იუდეის და გალილეის საკმაოდ ვრცელ ოლქებში მტრის ჯარი ცხვირის შეყოფასაც ვერ ბედავსო. არც თვით ნაზარეთში მთელი წლის მანძილზე ერთ რომაელ ჯარისკაცსაც არ გაუჭაჭანია. ჰოდა, ეტყობა, ამ ვითარებით წაქეზებული იოსების მეზობელი, ცნობისმოყვარე და თავაზიანი ანანია, რომელიც ზემოთ გაკვრით ვახსენეთ, დურგალს ეწვია და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა: გარეთ გავიდეთ, სალაპარაკო მაქვსო, და, უნდა ითქვას, ამგვარი წინდახედულობა ზედმეტი სულაც არ გახლდათ, რამეთუ იქაურ ქოხმახებში უცხო თვალსა და ყურს ვერაფერს დაუმალავდი, ვერც ბნელი ღამით, როცა წესითა და რიგით ყველას უნდა ეძინოს, და, მით უმეტეს ვერც დღისით – რაც გინდა სცადო, როგორც უნდა მალო, მაინც ყველაფერს გაიგებენ, აკი ნათქვამია: რაც ერთმა იცის, ყველამ იცისო და, დამეთანხმეთ, რომ ოდეს უფალ ღმერთს საშინელ სამსჯავროზე თავისიანების ამორჩევა მოუწევს, ეს საქმე არცთუ დიდად გაუჭირდება. იოსებს მეზობლის თხოვნა არ გაჰკვირვებია, მაშინაც კი, როცა ანანიამ საიდუმლოდ დაუმატა:

აგე, იქით წავიდეთ, უდაბნოსკენო, რადგან, ალბათ გახსოვთ, რომ უდაბნო მხოლოდ ის არ გახლავთ, რასაც ჩვეულებრივ ამ სიტყვის გაგონებისას ან წიგნში ამოკითხვისას წარმოსახვა გვიხატავს ხოლმე – უსაზღვრო სივრცე, ცხელი დიუნების ვეება ზღვა, სადაც ქვიშის გარდა არაფერია, – არა, უდაბნოები ამწვანებულ გალილეაშიც მოიძევებოდა – დაუმუშავებელი, დაუსახლებელი მინდვრები, ადამიანური შრომის კვალი რომ არსად ატყვია და საკითხის ბოლომდე გასააზრებლად, ნათქვამს – „წამო უდაბნოშიო“ უეჭველად უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენი იქ მისვლით უდაბნო უდაბნოდ აღარ ჩაითვლება. და როცა ორივენი ტყის გავლით გორაკის ქედზე აღმართული სამი ვეება ლოდისკენ გაემართნენ, ნათელი შეიქნა, რომ აქედან თუმცა კი ნაზარეთი ჩანდა, მაგრამ ადგილი სრულიად უდაბური გახლდათ, ანუ როცა აქედან წავიდოდნენ, უდაბნო კვლავაც უდაბნოდ გადაიქცეოდა. ანანია მიწაზე დაეშვა და იოსებიც გვერდში მიუჯდა, ასაკობრივი სხვაობა თვალში საცემი გახლდათ: იმხანად, როცა ჩვენს თხრობაში პირველად გამოჩნდა, ანანია მხნედ და თავის ხანთან შედარებით ყოჩაღად გამოიყურებოდა, მაგრამ ახლა უკვე ნამდვილ ბერიკაცად ქცეულიყო – თუმცა დრო არც არავის ინდობს და ამასობაში არც იოსებს მოქცევია ძალიან გულმოწყალედ. ანანია ყოყმანობდა და აქეთგზობას უკვე დაეკარგა სულის სიმტკიცე, რომლითაც დურგალს შინ მიადგა, და ახლა იოსებს შეკითხვის გარეშე რაიმე მარტივი ხერხით სასაუბროდ უნდა წაექეზებინა, მაგალითად, ასე: უჰ, კაი გვარიანად შორს წამოვსულვართო, რამაც ანანიას საბაბი მისცა ეპასუხა: საქმეა ისეთი, შინ ვერ გეტყოდიო. მერე კი საუბარი თავისით აეწყო, თუმცა, როგორც გაირკვა, სალაპარაკო თემა იმდენად დელიკატური გახლდათ, რომ სწორედაც ასეთ განმარტოებას საჭიროებდა. ანანიამ თქვა:

– გახსოვს ერთხელ სახლ-კარი რომ მომაბარე შენს არყოფნაში, და ეს თხოვნა შეგისრულე. ამისთვის მუდამ დიდად გიმადლი, მიუგო იოსებმა, ანანიამ კი განაგრძო: ახლა ის დრო დადგა, სამაგიერო სიკეთე გთხოვო – ამჯერად შენ უნდა მიმიხედო სახლ-კარს. ცოლთან ერთად მიემგზავრები? არა, მარტო მე. შუია რჩება? არა, მშობლიურ სახლს დაუბრუნდება, მეთევზეთა ოჯახიდანაა. შენ რა, ცოლს ეყრები? მისი სიბერწე რომ გავიგე, მაშინ არ გავყრივარ და ახლა გავეყრები? მაგრამ საქმე ისაა, რომ

კარგა ხნით მომიხდება სხვაგან ყოფნა და შუიას თავისიანებთან ურჩევნია. მაინც რამდენი ხნით აპირებ? არ ვიცი, გააჩნია, ომი რამდენ ხანს გასტანს. ომი რაღა შუაშია? – იკითხა უკიდურესად გაოცებულმა იოსებმა.

იუდა ჰავლონიტის საძებრად მივდივარ. რისთვის?

მინდა ვთხოვო, თავის რაზმში მიმიღოს. ანანია, მე შენ მშვიდობისმოყვარე კაცად გიცნობ, რამ მოგაფიქრა რომაელებთან ჩხუბში ჩაბმა, ხომ არ დაგავიწყდა, ეფრაიმს და აბისერს რაც დაემართათ?

ნეფთალი და ელიაზარიც დაუმატე. კარგად დაფიქრდი, ანანია. არა, იოსებ, შენ თვითონ დაუფიქრდი ჩემს სიტყვებს და, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მეტყველებს ახლა ჩემი ბაგეებით, რამეთუ ასაკით უკვე მამაჩემის ხნისა მოვიყარე, მან კი თავის შვილზე ბევრად მეტის ქმნა მოასწრო: შვილებსაც კი ვერ ვტოვებ ჩემ შემდეგ, არც შენსავით ბრძენი ვარ, რომ, დავუშვათ, სინაგოგის უხუცესობას მივაღწიო, ჰოდა, ისღა დამრჩენია, დღედაღამ სიკვდილს ველოდო, თანაც იმ ქალის გვერდით, უკვე დიდი ხნის წინ რომ გადამიყვარდა. მერედა, რატომ არ ეყრები? იმას კი არა, ჩემს თავს უნდა გავეყარო, ეს კი, ალბათ გესმის, შეუძლებელი რამაა. კი მაგრამ, როგორ უნდა იომო, მაგის ძალა სადღა გაგაჩნია? ვითომ ვაჟის გაჩენა გადამეწყვიტოს. ცხოვრებაში მსგავსი არაფერი გამიგონია. არც მე, ეს აზრი ამწამს მომივიდა თავში. მე მიგიხედავ სახლ-კარს, სანამ დაბრუნდები. ოღონდაც, თუ არ დავბრუნდი და ჩემს სიკვდილს გაიგებ, დამპირდი, რომ შუიას შეატყობინებ: მინდა, ყველაფერი იმემკვიდროს, რაც ერგება. გპირდები. ახლა მშვიდად ვიქნები, წამო, დავბრუნდეთ. ომში მიდიხარ და მშვიდად ვიქნებიო, ამბობ, შენი ვერაფერი გამიგია. აჰ, იოსებ, იოსებ, კიდევ რამდენი საუკუნე უნდა ვაგროვოთ ცოდნა და თალმუდის სიბრძნეს ვუმატოთ, სანამ სულ უბრალო რამეების გაგებას შევძლებთ? ანდა ამსიშორეს წამოსვლა რაღად მოგინდა? მოწმეების გარეშე მსურდა შენთან საუბარი, მოწმედ ღმერთიც კმარა, რომელიც ყოველივეს ხედავს და ესმის და ეს ზეცა, სადაც უნდა ვიყოთ, მაინც ზემოდან რომ დაგვყურებს. აი, ეს ქვებიც დაგვესწრნენ, მაგრამ ვერ კი დაგვიმოწმებენ ეს ყრუ-მუნჯები ესენი, თუმცა ყრუ-მუნჯები კი არიან, მაგრამ თუ ხვალ მათი თანდასწრებით დადებულ აღთქმას დავარღვევთ, აღაღად-

დებიან და ბრალს მანამ დაგვდებენ, სანამ მტვრად არ იქცევიან და სანამ ჩვენც მტვრად არ ვიქცევით. ჰო, კარგი, წამო, დავბრუნდეთ. წამო. გზად ანანიამ ორიოდჯერ უკან მიიხედა, ისევ და ისევ იმ ქვებს გაჰყურებდა და როცა ბოლოს და ბოლოს თვალს მიეფარნენ, იოსებმა ჰკითხა: შუიამ იცის? იცის. მერე? თავიდან არაფერი უთქვამს, მერე – აჯობებდა გამყროდიო, ახლა კი ტირის და მოთქვამს.

საწყალი. კარგი ერთი, როგორც კი თავისიანებთან დაბრუნდება, წამსვე დამივიწყებს, ხოლო თუ მოვკვდები – მით უმეტეს – დავიწყება სიცოცხლის მთავარი კანონია. დაბაში შევიდნენ და როცა დურგლის

სახლს მიუახლოვდნენ, რომელიც თუ ამ მხრიდან მიდიოდი, უფრო ახლო იყო, ვიდრე ანანიასი, შარაზე ძმებთან – იაკობთან და იუდასთან მოთამაშე იესომ მამას უთხრა, დედა მეზობლისას არისო. კაცებმა ანანიას სახლს მიაშურეს და უცებ უკნიდან მოესმათ, ძმებთან მოთამაშე იუდამ რა მძლედ და ამაყად შესძახა: მე იუდა ვარ, გალილეველიო, და მეზობელი შემობრუნდა, ბიჭს შეხედა და მამამისს ღიმილით უთხრა: აი, ჩემი მხედართმთავარიო, მაგრამ იოსებმა პასუხი ვერ მოასწრო, რადგან იმავ წამს მეორე ვაჟის – იესოს ხმა გაისმა: მაშინ აქ რაღა გინდაო. გულზე მოხვდა იოსებს ეს სიტყვები, თითქოს პირდაპირ მისთვის მიემართოთ და ამ ბავშვურ თამაშში რაღაც სხვა უმაღლესმა სიმართლემ იელვა, ის სამი ქვა გაახსენდა და ერთგვარ შინაგან სწრაფვას აყოლილმა, სცადა წარმოედგინა, როგორ შეძლებდა მათი მდუმარე დამოწმების წინაშე ეცხოვრა, ელაპარაკა და ემოქმედა და მყისვე გული ზაფრით შეეკუმშა, რადგან იაზრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ღმერთი არ გახსენებია. მეზობლისას გადასული მარიამი დიდხანს ცდილობდა უნუგეშო შუიას დამშვიდებას, მაგრამ მან ცრემლები მაშინღა შეიმშრალა და ტირილიც შეწყვიტა, როცა კარში ორივე კაცი დაინახა, თუმცა ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავდა, რომ ვარამი გაუქარდა, უბრალოდ, აქაურმა ქალებმა ცრემლების მდუმარე ყლაპვა ისწავლეს, ალბათ ამიტომაც ამბობდნენ ხოლმე მათზე: რამდენსაც ტირიან, იმდენს იცინიანო, თუმცა ანდაზა ცდებოდა, რადგან სიცილი წკრიალებს, ტირილი კი მეტწილად უხმოა.

თუმცაღა იმ დღეს, როცა ანანია თავის სახლს ემშვიდობებოდა, ცოლმა თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა ქვითინებდა. ერთი კვირის შემდეგ ნათესავებმა მოაკითხეს ზღვისპირეთიდან. მარიამმა ნაზარეთის კიდემდე გააცილა და იქ გამოეთხოვა.

შუიას ცრემლი კი შეშრობოდა, მაგრამ თვალებში სამუდამო, განუკურნელი ტკივილი ჩასახლებოდა, თითქოს სულზე ჩაუმქრალი ალი წაჰკიდებია, რომელიც ცრემლებს უშრობს, სანამ უპეებზე ამოვლენ და ღაწვებზე დაგორდებიანო.

თვე თვეს მისდევდა, ომიდან ხან კარგი ამბავი მოდიოდა, ხან ცუდი, თუმცა კარგი ამბები მხოლოდ გამარჯვებების ბუნდოვან ნიშნებს შეიცავდნენ და დაწვრილებითი განხილვისას დიდად სასიხარულონი აღარ ჩანდნენ ხოლმე, სამაგიეროდ ცუდი ამბები იუდა გალილეველის აჯანყებულ მეომართა მძიმე და სისხლიანი მარცხის შესახებ იუწყებოდნენ. ერთხელაც ბალდადის დაღუპვის ცნობა მოვიდა: რომაელები ჩასაფრებულ მეამბოხეებს წასდგომოდნენ თავს და ამგვარად მახეში თვით მახის დამგებნი გაბმულიყვნენ, ბევრნი ჩაეხოცათ, მაგრამ მათ შორის ნაზარეთელი მხოლოდ ბალდადი გახლდათ. მერე კიდევ ვიღაცა ჩამოვიდა და თქვა, ვიღაცამ მითხრაო და იმ ვიღაცას კიდევ სხვა ვიღაცამ უთხრაო, რომ ვითომცდა სირიის რომაელი განმგებელი ვარონი ორი ლეგიონით დაიძრა, რათა ამ სამწლიან აუტანელ ამბოხს ბოლო ერთი დაკვრით მოუღოსო. თავისთავად, ახალი ამბების შეტყობის „აი, მე კი სადღაც ყური მოვკარის“ მეთოდი თავისი ბუნდოვანებით ადამიანებში გაურკვეველ შიშს ბადებდა და თან მოლოდინს, აგერ ახლა, ნებისმიერ წამს მოსახვევიდან სადამსჯელო რაზმის კოლონა გამოჩნდებაო, არწივიანი მუზარადებითა და ოთხასოიანი შტანდარტებით – SPOR – ანუ სიტყვების: „რომის სენატი და ხალხის“ თავკიდური ასოებით და ეს ემბლემები, ეს შტანდარტები და ალმები, რაგინდ რა ყოფილიყო მათზე გამოსახული, იმ დროშიც და

შემდეგშიც და საერთოდაც, თითქოს ადამიანთა მიერ ადამიანთა განადგურების კანონიერებას ხელმოწერით ადასტურებდნენ და ბეჭედსაც უსვამდნენ, და ასეთივე როლს შეასრულებს სხვა არანაკლებ ცნობილი აბრევიატურაც – INRI, რაც ნიშნავს „იესო ნაზარეველი, მეფე იუდეველ-

თა“, თუმცა, მოდი, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, ყველაფერს საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე გიამბობთ, მაგრამ უცნაური კია, რომ ყოველივე ეს ვიცით და ისე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თითქოს სხვა სამყაროდან ვმაუწყებლობდეთ, რამეთუ ჯერ არავის გაუღია სიცოცხლე ამ ოთხი ასოს გამოისობით – ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს.

დიადი ომების ამბავი ყოველი მხრიდან მოისმის და მტკიცედ მორწმუნეებს სჯერათ, წელიწადიც არ დასჭირდება რომაელების ისრაელის წმიდა მიწიდან გაბუნძულებასო, თუმცა არც მცირედმორწმუნეთა ნაკლებობაა, ასეთების გაგონებაზე ავი წინათგრძნობით შეპყრობილები თავებს რომ იქნევენ და ცდილობენ, რეალურად გამოთვალონ, მართლა რით შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი. რაღა თქმა უნდა, მართლები ეს უკანასკნელნი გამოდიან. მას შემდეგ, რაც ხმა დაირხა, ვარონმა ლეგიონები დაძრაო, რამდენიმე კვირა ისე გავიდა, არც არაფერი მომხდარა. ამბოხებულებმა ამით ისარგებლეს და მტრის აქეთ-იქით გაფანტულ ძალებზე თავდასხმებს მოუხშირეს, მაგრამ სულ მალე გაცხადდა რომაელთა ამ მოჩვენებითი უმოქმედობის სტრატეგიული საფუძველი: გალილეველის მსტოვრებმა ამბავი მოიტანეს, ერთი ლეგიონი შემოვლით მანევრს ასრულებს და იორდანეს გასწვრივ სამხრეთით მოიწევსო, იერიქონთან მარჯვნივ ამოუხვევს და გამოცდილი მეთევზის ხელით ნასროლ და უკუმოზიდულ ბადესავით, ჩრდილოეთით მოტრიალდებაო, ხოლო მეორე ლეგიონიც იმავეს გააკეთებს, ოღონდ პირიქით, სამხრეთისკენ დაიძვრებაო.

სამხედრო ენაზე ამას „მარწუხი“ ჰქვია, თუმცა ეს მანევრები ერთმანეთისკენ მოძრავ ორ კედელს უფრო ჰგავდა, შეუბრალებლად რომ აწვება ყველას, ვინც ღრიჭოში, სულ უფრო და უფრო რომ ვიწროვდება, გასხლტომას ვერ მოასწრებს, და საბოლოოდ, ვისაც ცოცხალს მოიხელთებს, ცომივით გააბრტყელებს. გალილეისა და იუდეის ველებსა თუ მთებში ლეგიონების მიერ განვლილ გზებზე ნაკვალევად ჯვრების გრძელი მწკრივი რჩებოდა, რომლებზეც რომაელები იუდას თანამებრძოლებს აკრავდნენ, ხელებით ხარიხებზე ალურსმავდნენ, ხოლო ფეხებს, უფრო სწორად კი წვივის ძვლებს ურიებით უმსხვრევდნენ, რათა სიკვდილი არ დაყოვნებულიყო. ლეგიონერები სოფლებში შედიოდნენ, სა-

ეჭვო პირთა ძებნაში თითოეულ სახლს ჩხრეკდნენ, რადგან ამ პირთა ჯვარსაცმელად სხვა არავითარი საბუთი არ იყო საჭირო თვით მათივე საეჭვოობის გარდა, ამგვარ საბუთს კი – შენ ოღონდ მოინდომე და – რა გამოლევდა. ამ საბრალოებს გაუმართლათ კიდეც – მაპატიეთ ეს მწარე ირონია: მათ იქვე, საკუთარი სახლების წინ აცვამდნენ ჯვრებზე, ჰოდა, როგორც კი სული აღმოხდებოდათ, ახლობლები სასწრაფოდ გარდამოხსნიდნენ ხოლმე; და მძიმე იყო ეს სანახავად და დედათა, ცოლთა და საცოლეთა და დაობლებულ შვილთა ტირილი გაისმოდა. როცა ტანჯვით მოკვდინებულს მეტისმეტი სიფრთხილით ჩამოხსნიდნენ ჯვრიდან და უსულო ცხედარი მიწაზე დაეცემოდა, ცოცხლებს ძალიან ეტკინებოდათ. მერე ჯვარცმულს სამარეში მოათავსებდნენ, სადაც ამიერიდან მკვდრეთით აღდგომას უნდა დალოდებოდა. მაგრამ აი, ვინც ბრძოლაში ტყვედ ცვივდებოდნენ, სადღაც მთებში თუ სხვა უკაცრიელ ადგილებში, იმათ

ლეგიონერები ჯვრებზე ხშირად ცოცხლად ტოვებდნენ და იმ უდაბნოთა უდაბნოში დარჩენილები, მარტოობაში სიკვდილი რომ ჰქვია, მცხუნვარე მზეზე, მტაცებელი ფრინველებისგან დაკორტნილები თანდათანობით გახრწნილ გვამთა საცოდავ ნაფლეთებად იქცეოდნენ, ჩამოფშვნილ ჩონჩხებად, და იმგვარ საძაგელ იერს იღებდნენ, საკუთარ სულებსაც კი ზიზღს ჰგვრიდნენ. ერთობ ცნობისმოყვარე და წვრილმანებში მოკირკიტე ადამიანებს, და აგრეთვე სკეპტიკოსებს, რომლებიც არც ადრე და არც სხვა ვითარებაში სიტყვაზე არ იჯერებდნენ სახარებებში, და მათ შორის წინამდებარეში მოყვანილ ცნობებს, უეჭველად დააინტერესებთ, თუ როგორ ახერხებდნენ რომაელები ამდენი იუდეველის ჯვარცმას, მით უფრო, რომ სასჯელი უტყეო და ხრიოკ ადგილებში აღესრულებოდა, სადაც ოდითგანვე ისეთი ჭირიანი და საცოდავი მცენარეულობა იზრდება, მასზე უსხეულო სულსაც კი ვერ მიალურსმავს კაცი – ვერ გაუძლებს და იმიტომ.

ამ ადამიანებს უნდა მოვახსენო, რომ მაშინდელი სამხედრო მეცნიერების, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და ლოჯისტიკური უზრუნველყოფის უმაღლეს მიღწევებზე დაყრდნობილი რომაული არმიისთვის საჭირო რაოდენობის ჯვრებით მთელი იუდეური კამპანიის შე-

უფერხებლად მომარაგება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, საკმარისი იქნებოდა, ვირებისა და ჯორების ის უსასრულო ჯაჭვი დაგენახათ, ლეგიონებს კუდში რომ მისდევდა და საზიდრებით მიჰქონდა სადამსჯელო იარაღი დაშლილ მდგომარეობაში, ცალკე ძელები და ცალკე ხარიხები, ასე რომ, ადგილზე საჭირო იყო, სიკვდილმისჯილის ხელები ხარიხაზე მიგელურსმნა, მერე მიწაზე დადებული ძელის ზემო ნაწილზე ეს ხარიხა მიგება, კაცისთვის ფეხები მუხლებში მოგეკეცინებინა და ჯვარზე საბოლოოდ მიგემაგრებინა, რისთვისაც ერთმანეთზე დაწყობილ ტერფებში ერთადერთი მტკავლის სიგრძის ლურსმანი უნდა ჩაგერჭო. რომაული ლეგიონის ნებისმიერი ჯალათი გეტყოდათ, რომ ამ ერთი შეხედვით რთული პროცედურის ჩატარება ბევრად იოლი გახლდათ, ვიდრე მისი სიტყვებით აღწერა.

ჰო, უბედურების მომლოდინენი მართლები აღმოჩნდნენ. ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით გაურბიან პანიკით მოცული ადამიანები რომაელებს: მათ შორის ისინიც არიან, ვისზეც შესაძლოა მეამბოხეთა მხარდაჭერა იეჭვონ, და ისინიც, ვისაც უბრალოდ შიში მიარბენინებს, რადგან, როგორც ვიცით, დამნაშავედ რომ გცნონ, ამისათვის დანაშაულის ჩადენა სულაც არ არის აუცილებელი.

და აი, ერთი ასეთი ლტოლვილი ოდნავ შეყოვნდა, იოსების კარს მიუკაკუნა და თქვა, თქვენი მეზობელი ანანია, ხმლით დაჭრილი ქალაქ სეფორისშია და ცოლს უთვლის, ომი წაგებულია, მე გაქცევა ვეღარ მოვასწარი და შეუძლია ყველაფერი წაიღოს, რაც მას ეკუთვნისო. სულ ეგ არის? – ჰკითხა იოსებმა.

სხვა არაფერი უთქვამს, მიუგო მაცნემ. რატომ არ წამოიყვანე, გზა ხომ მაინც აქეთ გქონდა. ძალიან ცუდადაა და მძიმე ტვირთად დამაწვებოდა, ოჯახი თან მახლავს და პირველ ყოვლისა, მასზე ვზრუნავ, თუმცა მთლად ასეც არაა. აბა, დაფიქრდი, ვხედავ, წვრილშვილის პატრონი ხარ და რაკი არ გარბიხარ, ეტყობა, საფრთხე არ გემუქრება. ჰო, კარგი, ნუღა ყოვნდები, ღმერთი იყოს შენთან. საფრთხე იქაა, სადაც ღმერთი არაა. ჩანს, უღმერთო ხარ, ღმერთი ხომ ყველგანაა. არის, მაგრამ ზოგჯერ ვერ გვამჩნევს ხოლმე,

ჩემს უღმერთობას კი შენ მაინც ნუ განსჯი, რაღა რწმენაზე მელაპარაკები, მოყვასი განსაცდელში მიგიტოვებია. თუ ეგრეა, თვითონ მიაკითხე. დიახაც, მივაკითხავ. ამ საუბრისას მზიანი, ნათელი შუადღე იდგა, აქა-იქ თეთრი ქათქათა ღრუბლები თუ ჩაიქროლებდნენ ცაზე უსაჭო და უნიჩბო ნავებივით. იოსებმა ვირი გამოხსნა, ცოლს გასძახა და ზედმეტი მიეთმოეთის გარეშე უთხრა: სეფორისში ანანიას უნდა ჩავაკითხო, თვითონ სიარული არ შესძლებიაო.

მარიამმა თავი დაუქნია, გავიგეო, მაგრამ პატარა იესომ მამასთან მიირბინა: მეც წამოვალო. იოსებმა შვილს შეხედა, მარჯვენა ხელი თავზე დაადო და თქვა: შინ დარჩი, მარტო წავალ და ასე უფრო მალე დავბრუნდები, ხელს თუ არაფერი შემიშლის, გათენებამდეც მოვასწრებ, – და მართალსაც ამბობდა, რადგან ცნობილია, რომ ნაზარეთიდან სეფორისამდე მანძილი სულ რაღაც რვა კილომეტრია, იმდენივე, რამდენიც იერუსალიმიდან ბეთლემამდე და ერთხელაც შევნიშნოთ, თუ რა ხშირად ემთხვევა ერთმანეთს სამყაროში რაღაც-რაღაცეები. იოსებმა სახედარი აღვირით წაიყვანა, უკანგზობისთვის მეტი ღონე, კოჭში ძალა, ჩლიქში სიმტკიცე შერჩეს, ნიდაო არ ჩაეზნიქოს, ზურგი არ დაეღალოსო, რამეთუ სნეული უნდა ეტარებინა უკანგზობისას, უკეთ კი – დაჭრილი, რაც ერთი და იგივე სულაც არ გახლავთ.

იმ ბორცვს რომ ჩაუარა, სადაც თითქმის ერთი წლის წინ ანანიამ გაუმხილა, იუდა გალილეველის ამბოხებას უნდა შევუერთდეო, იოსებმა იმ სამ ქვას შეხედა, – ერთ ყუნწზე გამობმული სამი ნაყოფივით ერთმანეთს შეზრდილები, იქ, ზემოთ, გეგონება, მოლოდინში გაქვავებულანო, თითქოს ციდან და მიწიდან იმ კითხვებზე პასუხს ელიან, ყველა სულიერი თუ უსულო არსება რომ სვამს, თუნდაც რომ ხმამაღლა არ წარმოთქვამდეს მათ: რატომ ვარ აქ? რა ცნობილი თუ უცნობი მიზეზით ამიხსნი ჩემს არსებას? როგორი იქნებოდა სამყარო, მე რომ არ ვიყო, თუ ახლა ისეთია, როგორიც არის? ეს შეკითხვა ჩვენთვის ანანიას რომ დაესვა, ვუპასუხებდით, რომ ყველა-ყველა და ქვები არ შეიცვლებიან, რაკი ქარი, წვიმა და სიცხე მათ დაშლას თუ შეჭმას ვერ ახერხებენ და ამიტომ სავარაუდოდ, ოცი საუკუნის შემდეგაც იმავე ადგილზე დარჩებიან და იმ ოცის მერე კიდევ ოცისაც, როცა სამყარო ამასობაში სრულიად გარდაიქ-

მნება, მაგრამ პირველ ორ შეკითხვას პასუხი არც მაშინ ექნება გაცემული. გზად ლტოლვილთა ჯგუფი შემოხვდა, იმავე შიშით შეპყრობილები, ანანიას შიკრიკს რომ ტანჯავდა, გაოცებულები უცქერდნენ იოსებს, ერთ-ერთმა ხელი დაუქნია და უთხრა: საით გაგიწევია? და მიუგო დურგალმა: სეფორისში, მეგობართან, დაჭრილია, დასაღუპად არ მემეტება. გიჯობს თავს მოუფრთხილდე. ნუ წახვალ იქ. რატომ? იმიტომ, რომ რომაელები უკვე მოახლოვდნენ, ქალაქს აიკლებენ. უნდა წავიდე, ძმასავით მეზობელია და ჩემ მეტი არავინაა მისი პატრონი. კარგად დაფიქრდი, და კეთილგონიერმა მრჩეველმა თავისი გზა გააგრძელა, იოსები კი შუაგზაზე ირინდება უეცრად გაელვებული აზრის გამო, კაი, მაგრამ თვითონ ჩემივე თავის მეგობარი თუ ვარო, ან – და მეორე დასკვნისათვის უფრო მეტი საფუძველი გააჩნდა – ეგება ჩემი თავი მძულს და მეზიზღებაო, თუმცა, მცირედი განსჯის შემდგომ გადაწყვიტა, არც ერთი და არც მეორეო: თავისი თავი სულ არ ადარდებდა სიცარიელესავით, სიცარიელეში კი ვერც შორს და ვერც ახლოს ვერაფერს დაინახავ, რადგან არარსებულის შემჩნევა საერთოდ შეუძლებელი გახლავთ. მერე იფიქრა, მამობრივი ვალი უკან დაბრუნებას მთხოვსო: ბოლოს და ბოლოს, უპირველესად საკუთარ შვილებზე ზრუნვა გვმართებს და მერეღა მეზობელზე, თანაც ყოფილზე, რაკი თავისი სახლ-კარი დააგდო, ცოლი კი უცხო მხარეს გაგზავნაო.

მაგრამ შვილები უსაფრთხოდ არიან, რომაელები არაფერს დაუშავებენ, ისინი ხომ მეამბოხეებს ერჩიანო. როცა ფიქრმა იოსები ამ აზრამდე მიიყვანა, ამ დროს საკუთარი ხმა გაიგონა, ფარული შიშის პასუხად უნებურად ამომხდარი: არა, მეამბოხე არც მე გახლავართ. ეს თქვა, ვირს გავაზე შემოჰკრა, აცეო, შესძახა და გზა განაგრძო. მიწაზე გაწოლილი და ჯერ კიდევ შესამჩნევი სახლებისა და ხეების გრძელ-გრძელი ჩრდილები თანდათან ქრებოდნენ, თითქოს ჰორიზონტს მიეზიდებიან და მის მიღმა ისე უჩინარდებიან, როგორც რომ მდინარის წყალი იკარგება ხოლმე ჭორომების მიღმა სიბნელეში. ქუჩაში ბევრს ვერავის ნახავდით, ქალსა და ბავშვს ხომ საერთოდ, მხოლოდ დაღლილ მამაკაცებს თავიანთი უვარგისი იარაღი მიწაზე დაეყარათ, თვითონაც იქვე მიწოლილიყვნენ, მძიმედ სუნთქავდნენ და ვერვინ იტყოდა, ახალი ბრძოლისთვის

იკრებდნენ ძალას თუ ბრძოლის ველიდან იყვნენ გამოქცეულნი. იოსებმა ჰკითხა ერთ მათგანს: ახლოს არიან რომაელები? იმან თვალები დახუჭა, მერე ნელიად გაახილა და უპასუხა: ხვალ აქ იქნებიან, მერე შებრუნდა და დაუმატა:

წადი აქედან, წაიყვანე ეგ შენი ვირი და წადი. მეგობარს ვეძებ, ბრძოლაში დაჭრეს. ნეტავ იმდენი ფული მოგცა, რამდენი დაჭრილიც აქა ყრია, მდიდარი კაცი იქნებოდი. აბა, სად არიან? აქ, იქაც, ყველგან. სადმე ერთ ადგილას ხომ არ შეუკრებიათ? აგე, სახლებს იქით რომ ბეღელი ჩანს, იქ ბევრი დაჭრილია, ეგება შენი მეგობარიც იქ იპოვო, ოღონდ იჩქარე – იქიდან მიცვალებულები უფრო მეტი გამოაქვთ, ვიდრე ცოცხლები შეჰყავთ შიგნით. იოსები ქალაქს იცნობდა, ხშირად ყოფილა სამუშაოდ მდიდარსა და აყვავებულ სეფორისში, სადაც მუდამ რაღაც შენდებოდა, დურგლები სჭირდებოდათ და მეორეხარისხოვან რელიგიურ დღესასწაულებსაც ესწრებოდა ხოლმე, რომელთა აღსანიშნად იერუსალიმში ხანგრძლივი და ძვირადღირებული ასვლა აუცილებელი არ იყო. ამიტომ ბეღელსაც იოლად მიაგნო: სისხლისა და ტანჯული ხორცის სუნს გაჰყვა, თითქოს საბავშვო თამაშიაო, ოღონდაც „ცივა, ცივა, თბილა, ცხელას“ მძებნელის კვალზე დასაყენებლად აქ „არ მტკივა, მტკივა, ძალიან მტკივა“ ჩანაცვლებოდა და აჰა, ტკივილი აუტანელი შეიქნა.

იოსებმა ვირი კართან გრძელ ცხენსაბმელ ლატანზე მიაბა და საავადმყოფოს ჩაბნელებულ პალატად ქცეულ ბეღელში შევიდა. იატაკზე, ჭილოფებს შორის ზეთის ჭრაქები ციმციმებდნენ ოდნავ და შავ ზეცაზე მიმოფანტულ ვარსკვლავებს ჰგავდნენ, რამეთუ მათი სინათლე მათივე არსებობის დადასტურებას ხომ მაინც ყოფნის, რაკიღა ამსიშორეზე ჩანან.

ანანიას ძებნაში ნელა მიაბიჯებდა მწოლიარე ადამიანთა რიგებს შორის, აუტანელ სუნთა ნარევს ისუნთქავდა – ზეთისა და ღვინის სუნს, რომლითაც ჭრილობებს ამუშავებდნენ, ოფლის, განავლისა და შარდის სუნი ერწყმოდა, რადგან ამ წამებულთა შორის ისეთებიც იყვნენ, განძრევა რომ აღარ შეეძლოთ და იქვე, ადგილზევე გასდიოდათ, რასაც დასუსტებული ნებისყოფა სხეულში ვეღარ აკავებდა.

აქ არაა, ჩაიბუტბუტა რიგის ბოლოში გასულმა იოსებმა და უკან გამობრუნდა, კიდევ უფრო ნელა, მეტი ყურადღებით იცქირებოდა, რამეთუ ყოველი ტანჯული მის მეგობარს ჰგავდა: წვერი, ჩაცვივნული თვალები, გამდნარი, წებოვანი ოფლით მკრთალად აპრიალებული ყვრიმალები.

ზოგი დაჭრილი ხარბი მზერით მიაცილებდა, სურდათ ერწმუნათ, ამ ჯანმრთელმა კაცმა ჩვენ მოგვაკითხაო, თუმცა იმედის ნაპერწკალი მალევე უქრებოდათ თვალში და გრძელდებოდა მოლოდინი – ვისი ან რისა? იოსები ერთ ხანდაზმულ ჭაღარა თმაწვერიან კაცთან შეჩერდა და თავის თავს უთხრა: ისაა, თუმც იმას არ ჰგავს, ბოლოს რომ ვნახე, მაშინ თავი ახლად შევერცხლილი ჰქონდა, ახლა კი დიდი ხნის ნადებ თოვლს დამსგავსებია, თუმცა წარბები ძველებურად შავი მოუჩანს მუგუზლებივითო.

თვალდახუჭული მძიმედ სუნთქავდა. იოსებმა ხმადაბლა დაუძახა: ანანია, მერე დაიხარა, ხმამაღლა გაიმეორა: ანანია, და იმანაც ნელა, თითქოს მიწიდან ამოდისო, მძიმედ ასწია ქუთუთოები და როცა თვალები ბოლომდე გაახილა, ნათელი გახდა, რომ ეს სწორედაც ანანია ყოფილიყო, მეზობელი, რომელმაც სახლ-კარი და ცოლი მიატოვა, რომაელებთან საომრად წავიდა, ახლა კი აქ იწვა მუცელგაფატრული და დამპალი ხორცის სუნი ასდიოდა.

თავდაპირველად ვერ იცნო იოსები, ამ საქმეს ჭრაქი ცუდად შველოდა, თვალები – კიდევ უარესად და მაშინღა მიხვდა, ვინც მოსულიყო, როცა იოსებმა უკვე სხვაგვარად, ეგება მეტი სიყვარულით გაიმეორა: ანანია, და მოხუცის თვალები ცრემლით აივსო და ალაპარაკდა: შენა ხარ? შენა? რამ მოგიყვანა, რამ მოგიყვანა? უნდა, რომ წამოიწიოს, იდაყვს დაეყრდნოს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის, ბეჭებზე მიესვენება, სახეს ტკივილი უმანჭავს. შენთან მოვედი, ამბობს დურგალი, გარეთ ვირი დგას, თვალის დახამხამებაში შინ გავჩნდებით. არ უნდა მოსულიყავი, რომაელები საცაა, გამოჩნდებიან, მე კი აქედან ვეღარ გავალ და ამ საწოლიდანაც ვეღარ ავდგები, და აკანკალებული ხელებით დაფლეთილ ქიტონს გადაიწევს. ღვინითა და ზეთით გაჟღენთილი ჩვრების ქვეშ ფართოდ დაფჩენილი ბაგეებივით მოჩანს ღრმა და გრძელ-გრძელი

ჭრილობის პირი და მოტკბო, გულისამრევი სუნი ნესტოებში მოძვრება. თვალს არიდებს იოსები.

მოხუცმა ქიტონი წაიხურა და ხელები ჩამოყარა, თითქოს უკანასკნელი ღონე წაერთვაო. თვითონაც ხედავ, ჩემი ხელის ხლება არ შეიძლება, ოდნავ რომ გავინძრე, მთელი შიგანი გადმომცვივდება. მჭიდროდ შეგიხვევ, მაგრად შეგიკრავ და ნელა ვივლით, თავისაზეა იოსები, თუმც აღარც ისე დაბეჯითებით: ნათელია, მოხუცი ვირზე რომც მოათავსოს, ცოცხლად მაინც ვეღარ ჩაიყვანს. ანანიამ თვალები დახუჭა და თქვა: წადი, იოსებ, წადი აქედან, რომაელები საცაა მოვლენ. ნუ გეშინია, ღამით თავს არ დაგვესხმებიან. შინ წადი, შინ, ამოიოხრა ანანიამ, და მიუგო იოსებმა: დაიძინე.

თვითონ კი მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. და როცა გონებას სიზმრის ბინდი გადაუვლიდა, ეშინოდა, ძილმა არ წამიღოსო და მოძალებულ თვლემას ებრძოდა, თან თავს ეკითხებოდა, აქ რამ მომიყვანაო: აკი ეს მეზობელი სულაც არ იყო მისი ნამდვილი მეგობარი, ჯერ ერთი, ასაკში სხვაობის გამო, თუმცა მხოლოდ ეს არ იყო: ანანია და მისი ცოლი რაღაც ერთთავად იკბინებოდნენ და თან მეტისმეტად ცნობისმოყვარენიც გახლდნენ, როგორც წესი, სხვათა საქმეებშიც ეჩრებოდნენ, დახმარებაც იცოდნენ, მაგრამ ისეთნაირად, გეგონებოდა, საზღაურს ელიანო და რაში რა საფასურს ითხოვენ, ამასაც თვითონ განსაზღვრავენო. მეზობელიაო, ფიქრობდა, უკეთეს მიზეზს ვერ იგონებდა, მოყვასიაო, კაცი კვდებაო, თვალი იმიტომ კი არ დახუჭა, ჩემი დანახვა რომ არ უნდოდა, არამედ მოახლოებული სიკვდილის ჟამის არც ერთი წამი არ სურს

გააცდინოსო და ახლა მისი მიტოვება არ იქნებაო. ორ ჭილოფს შორის ვიწრო ადგილას იჯდა, ერთზე ანანია იწვა, მეორეზე – სულ მთლად ყმაწვილი ბიჭი, მის იესოზე ცოტა უფროსი, საწყლად, ხმადაბლა კვნესოდა და სიცხით დამსკდარი ტუჩებით რაღაც გაუგებარს ლუღლუღებდა. იოსები მის ხელს დასწვდა, ამ დროს ანანია აფათურდა, თითქოს ბრმად ეძებსო რაღაცას, თავდაცვის იარაღს ანდა კაცის ხელს ჩამოსართმევადო, ასე ისხდნენ სამნი, ერთი ცოცხალი ორ მომაკვდავს შუა, ერთი სიცოცხლე ორ სიკვდილს შორის, ნათელი ცა კი ამასობაში პლანეტებსა და ვარსკვლავებს ატრიალებდა, სამყაროს ცალი მხრიდან თეთრად მო-

კაშკაშე მთვარე შემოჰყავდა, ისიც მოცურავდა სივრცეში და უბიწოებას აფენდა გალილეის მიწა-წყალს. კარგა ხნის შემდეგ გამოერკვა უნებლიე თავდავიწყებიდან იოსები, შვებით გამოფხიზლდა, რადგან ამჯერად ბეთლემის გზა აღარ დასიზმრებია და თვალი გაახილა თუ არა, დაინახა, ანანია უკვე მომკვდარიყო, მასაც გახელილი ჰქონდა თვალები, ვეღარ გაებედა ბოლო წამამდე სიკვდილში ჩაღრმავება, ხელით კი ისე ძლიერ ჩასჭიდებოდა იოსების ხელს, ლამის ძვლები ჩაეჩეჩქვა; და როცა იოსებმა ჭაბუკს ხელი გაუშვა, ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუღვიძებელი გონებით მიხვდა, ბიჭს სიცხე დავარდნიაო. ღია კარს გახედა: მთვარე უკვე ამოსულიყო და ჯერ დაუმდგარი დღის უსწორმასწორო რუხი ნათელი იდგა. ბინდბუნდში მრუმე ჩრდილები მიმოიხროდნენ: დაჭრილები, ვისაც ადგომის თავი შერჩენოდათ, აისის სანახავად მიაბიჯებდნენ და ერთმანეთისთვის ან პირდაპირ ცისთვის შეეძლოთ ეკითხათ, რას იხილავდა იმ დღეს ჯერ დაუბადებელი მზე – ნეტავ ოდესმე თუ გადავეჩვევით უსარგებლო კითხვების დასმას, მაგრამ ვისარგებლოთ იმით, რომ ეს დრო ჯერ არ დამდგარა და ვიკითხოთ: ნეტავ რას იხილავს დღევანდელ დღეს ჯერ დაუბადებელი მზე?

იფიქრა იოსებმა: წავალ აქედან, ვეღარაფერს ვუშველიო, თუმცა ყოყმანი ამ აზრსაც შეეპარა და შემდეგსაც: ნაზარეთში წავასვენებო, და მოეჩვენა, სწორედაც რომ იმისთვის ვარ აქ ჩამოსული, რომ ცოცხალი ანანია მომენახა და მკვდარი წამესვენებინაო. ჭაბუკმა წყალი მოითხოვა. იოსებმა თიხის ციცხვით მიაგება: ახლა როგორ ხარ? უკეთ. ასეა თუ ისე, ცხელება, მგონი, ჩაგიცხრა. აბა, ვეცდები ავდგე.

ფრთხილად იყავი, და მოულოდნელი აზრით შემკრთალი იოსები დადუმდა – ანანიასთვის აღარაფერი შეეძლო ნაზარეთში დასაფლავების გარდა, მაგრამ ამ ბიჭის გადარჩენა, ვინც უნდა იყოს, ჯერ კიდევ შესაძლებელია, სიკვდილის კარიბჭისგან გამოშორება, ერთი მეზობლის მეორით შეცვლა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ანანია მეტად აღარ ეცოდებოდა, მისგან დაცარიელებული ტანი დარჩენილიყო; რამდენი თვალს შეავლებდა, ყოველ ჯერზე ხედავდა, თუ როგორ შორს და შორს მიფრინავდა ანანიას სული.

ყმაწვილი რაღაც კარგი ამბის წინათგრძნობამ შეიპყრო, თვალები აუბრწყინდა, მაგრამ შეკითხვის დასმა ვერ მოასწრო, იოსები ვირის ბეღელში შემოსაყვანად გავიდა, დიდება უფალს, ადამიანის თავში ასეთი სათნო აზრების მომგვრელს. ვირი აღარსად იყო, მისგან ხარიხაზე მოქანავე თოკის ნაგლეჯიღა დარჩენილიყო, ქურდს კვანძის გახსნაზე დრო არ დაეხარჯა, ბასრი დანით სწრაფად მოეგვარებინა საქმე.

ამ უბედურების დამნახავ იოსებს მყის ძალა გამოეცალა.

სამსხვერპლო უროს დარტყმით მოცელილი ხბოსავით დაეცა მუხლებზე, ხელები სახეზე აიფარა და ცრემლები, ცამეტი წლის განმავლობაში შენდობისა თუ სასჯელის მოლოდინში რომ დაგროვებოდა, ერთბაშად გადმოასკდა თვალებიდან. ღმერთი მისივე ნებართვით ჩადენილ ცოდვებს არავის პატიობს. იოსები ბეღელში აღარ შებრუნებულა, უკვე იცოდა, რომ დღეის შემდეგ ვერც საკუთარი საქციელის აზრს ჩასწვდებოდა ვეღარასოდეს და ვერც ცხოვრებისას – თავისი საკუთარი ცხოვრებისა და სამყაროს აზრს; მზე ამოდიოდა, და მერედა რისთვის, ღმერთო, და ცაზე ათასი ღრუბელი მიმოფანტულიყო, როგორც უდაბნოში ქვები. ვინმეს რომ დაენახა, თუ როგორ იწმენდდა იოსები ცრემლებს სახელოთი, იფიქრებდა, ალბათ, ნათესავი მოუკვდა, ბეღელში მწოლიარე ერთ-ერთი დაჭრილთაგანიო, მაგრამ სინამდვილეში იოსებმა აგერ ახლა თავისი ყოფიერების უკანასკნელი ცრემლები გამოაფრქვია, ცხოვრებისეული ტანჯვის ბოლო ცრემლები. მთელ საათს დაეხეტებოდა ქალაქში, ეგება მოპარული ვირი ვიპოვოო და უკვე ნაზარეთში დაბრუნებას აპირებდა, როცა რომაელმა ჯარისკაცებმა დაიჭირეს, იმ ჟამს რომ შემოსულიყვნენ სეფორისში. ვინ ხარ? იოსები ვარ, ძე ილიასი. საიდან ხარ? ნაზარეთიდან. საით მიდიხარ? ნაზარეთში. სეფორისში რა გინდოდა ამ დროს? მითხრეს, აქ შენი მეზობელიაო. ვინ მეზობელი? ანანია. მერე იპოვე? დიახ. სად ნახე? ბეღელში, სხვებთან ერთად. ვინ სხვებთან? დაჭრილებთან. სად? აი, იქ. მოედანზე მიიყვანეს, იქ მიწაზე უკვე იჯდა ასე თორმეტი-თხუთმეტი კაცი, მათ შორის დაჭრილებიც და უთხრეს იოსებს: აქ დაჯექი, ამათთან. მიხვდა იოსები, მოედანზე მსხდომნი მეამბოხეები რომ იყვნენ და გაასაჩივრა: მე დურგალი ვარ, მშვიდობიანი ადამიანი, და ერთმა მიწაზე მსხდომთაგან თქვა: ჩვენ ამას

არ ვიცნობთ, მაგრამ ტყვეთა მოდარაჯე რაზმის უფროსს არაფრის გაგონება არ სურდა და დანარჩენებისკენ ისე ძლიერად უბიძგა, რომ იოსები ძირს დაეცა: აქედან ერთი გზა გაქვს – ჯვარზე. პირველ წამს ვარდნისა და განაჩენისგან ორმაგად გაბრუებული იოსების თავში ერთ აზრსაც კი არ გაუჭაჭანია, მაგრამ გონს რომ მოვიდა, უდიადესი სიმშვიდე იგრძნო, თითქოს რაც ხდება, მართლა კი არაა, უბრალოდ ცუდი სიზმარიაო, ჰოდა, საშიშიც არაფერია, ყველაფერი თვალის გახელისთანავე გაქრებაო. მოულოდნელად გაახსენდა: როცა ბეთლემის გზა ესიზმრებოდა ხოლმე, მაშინაც ასევე სჯეროდა, მალე გამეღვიძებაო და იმავ წამს თრთოლვამ დაუარა ტანში და მთელი სიცხადით წარმოუდგა თავისი ხვედრი: უნდა მოვკვდე, სულ ტყუილად უნდა მოვკვდე. ვიღაცის ხელი იგრძნო მხარზე და გვერდით მჯდომმა წარმოთქვა: ლეგიონერების უფროსი რომ მოვა, ვეტყვით, რომ ჩვენთან არანაირი საერთო არ გაქვს და გაგიშვებს. მერედა თქვენ? როცა რომაელებს კლანჭებში ჩაუვარდები, ბოლო ერთია – ჯვარი – და ამჯერადაც ასე მოხდება და არა სხვაგვარად. ღმერთმა გიშველოთ. ღმერთი სულს შველის და არა სხეულს. კიდევ ორნი მოიყვანეს, სამნი, მერე ოცი ერთბაშად. მოედნის ირგვლივ სეფორისის მცხოვრებლები მოქუჩებულიყვნენ, ქალები და ბავშვები და სულ რამდენიმე მამაკაციც, შეშფოთებულები ჩურჩულებდნენ, მაგრამ რომაელთა უნებართვოდ აქედან წასვლასაც კი ვერ ბედავდნენ, ისედაც ძალიან უმართლებდათ, რომ ამბოხის თანამონაწილეობა არ ბრალდებოდათ.

ცოტა ხანში ლეგიონერებმა ერთი კაციც მოიყვანეს და თქვეს: მორჩა, მეტი აღარავინაა და დაცვის უფროსმა დაიყვირა: ადექით!

ტყვეებმა იფიქრეს, კოჰორტის მეთაური მოდისო, მეზობელმა იოსებს უთხრა, მოემზადეო, იმას

გულისხმობდა, მოემზადე, ახლა გაგათავისუფლებენო, გეგონება, გათავისუფლებას რაიმე განსაკუთრებული მომზადება სჭირდებოდა, მაგრამ კოჰორტის მეთაურის მაგივრად ვიღაც მოვიდა, ბოლომდე რომ ვერ გაიგეს, ვინ იყო, იმიტომ, რომ მეთაურმა ჯარისკაცებს ლათინურად უბრძანა და, უნდა აღინიშნოს, რომ აქამდეც ჯარისკაცები თუ რამეს ამბობდნენ, ლათინურად ამბობდნენ, აბა, რომაელი ძუ მგლის შთამომავლები ბარბაროსთა კილოკავების შესწავლით თავს ხომ არ დაიმცირებ-

დნენ, მაშინ თარჯიმნები საერთოდ რაღა საჭირონი იქნებოდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში ჯარისკაცები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, რაც თარგმნას სულაც არ საჭიროებდა და ლეგიონერები სასწრაფოდ გარს შემოერტყნენ ტყვეებს: ნაბიჯით იარ! და პროცესია – ჯერ სიკვდილმისჯილები, მერე სეფორისის მცხოვრებნი – ქალაქიდან დაიძრა.

როცა იოსები მიხვდა, აი, ასე სიკვდილის გზას გამიყენეს და შეწყალების თხოვნასაც არ მანებებენო, ხელები ზეცას აღაპყრო და დაიძახა: მიხსენ, მე ამნაირი არა ვარ, მიხსენ, მე უდანაშაულო ვარ, მაგრამ ჯარისკაცი მიუახლოვდა და ისე ჩასცხო შუბისტარი ზურგში, ლამის ძირს დასცა. იმედი გაქრა. სასოწარკვეთილს ანანიას სიძულვილმა წამოუარა, ვისი გულისთვისაც აგერ ახლა სიკვდილი ელოდა, მაგრამ ამ გრძნობამ ერთი რომ დაუარა გულ-გვამში, ისევე გაქრა, როგორც გაჩნდა და იოსების სულში უდაბნოღა დარჩა მარტოდენ. სადღა უნდა წავიდეო, ფიქრობდა, მაგრამ ცდებოდა, ცოტა კიდევ დარჩენოდა გასავლელი. არ დაიჯერებთ, მაგრამ სიკვდილის გარდაუვალმა სიახლოვემ ერთიანად დაამშვიდა.

თავისი უბედურებისა და მოახლოებული ტანჯვა-წამების თანამონაწილეებს გადახედა, ისინი კიდევ უფრო მშვიდად მოდიოდნენ. ზოგი ფეხს ითრევდა, მაგრამ სხვები მხრებგამართულნი და თავაწეულები მიაბიჯებდნენ. მეტწილად ფარისევლები იყვნენ. და იოსებს ახლაღა გაახსენდა შვილები, გაუელვა ცოლის სახებამ, მაგრამ ბევრნი იყვნენ შინაურები და რაკიღა გონება შიმშილისა და უძილობისგან ებინდებოდა, გზადაგზა ფანტავდა საყვარელ სახეებს, სანამ ბოლოს მარტო იესო არ დარჩა, მისი პირველი ვაჟი, მისი ბოლო სასჯელი. გაახსენდა, სიზმრებზე რომ საუბრობდნენ, ასე უთხრა შვილს: შენ ყველა კითხვის დასმას ვერ შეძლებ, მე კი ყველა პასუხი არ ვიციო, ახლა უკვე ყოველგვარ კითხვა-პასუხს გასვლოდა ვადა.

ქალაქგარეთ, პატარა ბორცვზე, რომელიც სეფორისის ქუჩებიდან კარგად მოჩანდა, თითო რიგში რვა-რვად ჩამწკრივებული, მიწაში მყარად ჩარჭობილი, კაცის წონის გასაძლებად საკმარისად მყარი ორმოცი ძელი აღემართათ. თითოეული ძელის გვერდით მიწაზე სწორედაც რომ ხელგაშლილი კაცის ზომის მოგრძო ხარიხა იდო. სასიკვდილო მოწყობილობების დანახვამ ზოგ მისჯილს გაქცევა აფიქრებინა, მაგრამ მცვე-

ლებმა თავისი საქმე კარგად იცოდნენ და გზა გადაუღობეს, ერთი მეამ-ბოხე ჯარისკაცს ხმალზე წაეპოტინა, მაგრამ იოლი სიკვდილი არავინ აღირსა, პირველი ის წაათრიეს ჯვრისკენ.

გახურდა მუშაობა: მისჯილთა ხელებს ხარიხებზე ალურსმავდნენ, მერე კი ვერტიკალური ძელების კენწეროებისკენ აღმართავდნენ. კვნე-სა-ყვირილი ისმოდა ირგვლივ, ტიროდა სეფორისელი ხალხი, რომელ-თაც ამ საშინელი სანახაობის ცქერა დააძალეს. მალე უკვე დასრულებუ-ლი სახე მიიღო

თითოეულმა ჯვარცმამ, ზედ გაკრულებს ფეხები მოეღუნათ და ალ-ბათ გაინტერესებთ, რატომ, ეგება რომიდან მიღებული მითითების თა-ნახმად, რომელიც შრომის ეკონომიასა და სარეალიზაციო მასალების დაზოგვას ისახავდა მიზნად, რადგან ჯვარცმის ტექნოლოგიაში სრული-ად გაუთვითცნობიერებელი კაციც კი იოლად მიხვდება, რომ თუ ადამი-ანს მთელი სიმაღლით გააკრავ ჯვარზე, ამას გრძელი ძელი დასჭირდე-ბა, რაც მასალების რაოდენობას საგრძნობლად გაზრდის, ტვირთბრუნ-ვის მოცულობაც მოიმატებს, აღმართვის პროცესიც გაძნელდება, ამას-თან ყურადსაღებია, რომ დაბალი ჯვარი მოცემულ ვითარებაში სიკ-ვდილმისჯილებს კომფორტს უქმნის: თუკი ფეხები თითქმის მიწას და-ებჯინება, ეს გარდამოხსნის პროცესს საგრძნობლად გააიოლებს, თავი-დან ავიცილებთ კიბის გამოყენების საჭიროებას, და მიცვალებულნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ მეგობართა და ახლობელთა ხელთ აღმოჩნდებიან, თუკი, ცხადია, ასეთები გამოჩნდებიან, ანდა მათ ხელ-ში, ვისაც სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში მათი დამარხვა და-ევალება. აბა, სულ იქ ხომ არ ეკიდებიან. ისე მოხდა, რომ იოსებს რიგმა სულ ბოლოს მოუწია, ამიტომ იძულებული შეიქნა, ენახა, როგორ მისცეს სატანჯველს ერთიმეორის მიყოლებით მისი ოცდაცხრამეტი უცნობი ამ-ხანაგი, ხოლო როცა მისი ჯერიც დადგა და სასოებაც სულ მთლად გა-დაიწურა, იმის ძალაც აღარ შერჩა, ერთხელ კიდევ განეცხადებინა თავი-სი უდანაშაულობა, და, უეჭველია, თავის გადარჩენის ბოლო შანსიც მა-შინ გაუშვა ხელიდან, როდესაც ჩაქუჩიანმა ჯარისკაცმა თავის უფროსს უთხრა: ეს ამბობდა, უდანაშაულო ვარო, და უფროსი უეცრად დაფიქ-რდა, და ამ დროს უნდა დაეყვირა: დიახ, უდანაშაულო ვარო, მაგრამ იო-

სებმა ხმა არ გაიღო, ბედს დანებდა და როცა უფროსმა მიმოიხედა, და სწორად შენიშნა, რომ თუ ბოლო ჯვარს აღარ გამოიყენებდა, სიმეტრია ირღვეოდა, რამეთუ ორმოცი – კარგი რიცხვია, მრგვალი, და ხელი ჩაიქნია და ლურსმნებიც ჩაარჭვეს და იოსებმა დაიყვირა და ყვიროდა და ყვიროდა და ასწიეს და მთელი სიმძიმით დაეკიდა ხელისგულებში ჩარჭობილ ლურსმნებს და ისევ იყვირა, როცა რკინის გრძელი სამსჭვალი გაუყარეს მიტყუპებულ ტერფებში, დიდება შენდა, უფალო ღმერთო ჩემო, ეს მე ვარ, კაცი, შენი ქმნილება, შენს დაწყევლას ხომ კანონი კრძალავს. უეცრად, თითქოს ვიღაცამ ანიშნაო, სეფორისელები ერთხმად აწიოკდნენ, მაგრამ არა დასჯილთა მიმართ თანაგრძნობით, არამედ მთელ ქალაქში ერთბაშად ხანძრები აგიზგიზდა, ცეცხლი, ბერძნული შუშხუნების მსგავსად დაეძგერა საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ შენობებსა და ეზოებში დარგულ ხეებს. ოთხი ჯარისკაცი სხვა ლეგიონერების მიერ გაჩაღებულ ხანძარს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ჯალათების დასახმარებლად ჯვრების რიგის გასწვრივ დარბოდნენ, ჯვარცმულებს რკინის ხელკეტებით წვივის ძვლებს უმსხვრევდნენ. სანამ ჯვარცმულნი ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ, იწვოდა და ბოლომდე დაიწვა ქალაქი სეფორისი. დურგალი, სახელად იოსები, ილიას ძე, ახალგაზრდა კაცი იყო, ჯან-ღონით სავსე... იმ დღეებში შეუსრულდა ოცდაცამეტი წელი.

11* * *

ეს ომი რომ დამთავრდება – არადა, სულ ცოტა დარჩა, რამეთუ მისი სიკვდილისწინა ხროტინი უკვე გაისმის, – ადამიანები ზუსტად დაადგენენ იმათ რიცხვს, ვინც აქ თუ იქ, ახლოს თუ შორს, ამ ომმა შეიწირა და თუკი ბრძოლის ველზე დაცემულთა, ალყაში გამომწყვდეულთა და შეტაკებებში დახოცილთა რაოდენობა თანდათან მნიშვნელობას დაკარგავს ანდა სულაც დავიწყებას მიეცემა, სამაგიეროდ დაახლოებით ორი ათასი ჯვარცმული იუდეისა და გალილეის მცხოვრებთა მახსოვრობაში დიდი ხნით დარჩება და მათზე მრავალი წლის შემდეგაც ილაპარაკებენ, მანამ, სანამ მიწა ახალი ომის სისხლით არ მოირწყვება. ორი ათასი

ჯვარცმული ძალიან ბევრია და უფრო მეტადაც მოგეჩვენებათ, თუკი წარმოიდგენთ გზის გასწვრივ ყოველ კილომეტრში ერთიმეორის მიყოლებით ჩარჭობილ ბოძებს ვთქვათ, იმ ქვეყნის სრულ პერიმეტრზე, რომელსაც ოდესმე პორტუგალია დაერქმევა, რამეთუ მისი საზღვრების გარშემოწერილობა დაახლოებით ამსიგრძე გახლავთ. სივრცეს მდინარე იორდანედან ზღვამდე ქვრივ-ობოლთა გოდება ავსებს: ასეთია ქვრივებისა და ობლების წესი – კვნესა და მოთქმა, მერე კი ბავშვები დაიზრდებიან, ახალ ომში წავლენ და მათ ადგილებს ახალი ქვრივ-ობლები დაიკავებენ და თუკი დროთასვლა წეს-ჩვეულებებს სახეს უცვლის, და გლოვის ნიშნად, ვთქვათ, თეთრ სამოსს შავით ჩაანაცვლებენ, ანდა პირიქით, თუ თმის გლეჯის მაგივრად თავებს ნაგვირისტევი ძაძით დაიბურავენ, სულერთია, ცრემლები ყოველ დროში ერთნაირია.

მარიამი ჯერ არ ტირის, მაგრამ სული წინათგრძნობით ევსება – ქმარი შინ აღარ დაბრუნდა, ნაზარეთელები კი ლაპარაკობენ, სეფორისი გადაწვეს და ბევრი ჯვარზე გააკრესო. მიჰყავს უფროსი შვილი და იმავე გზას გადის, რომლითაც გუშინ იოსებს გაუვლია, მისი სანდლების კვალს დაეძებს, წვიმის სეზონი ჯერ არ დამდგარა, ქარიც ნელია, მსუბუქი და მიწას სულ ოდნავ ეხება, მაგრამ იოსების ნაკვალევი ამასობაში რომელიღაც პრეისტორიული მხეცის ნაფეხურებად გადაქცეულა, უხსოვარ დროში რომ ბინადრობდა ამ ადგილებში და როცა ვამბობთ, გუშინო, იგივეა, რომ გვეთქვა, ათასი წლის წინ, რამეთუ დრო კვანძებიანი თოკი არ გახლავთ, მტკაველ-მტკაველ რომ გაზომოს რამე, დრო ტალღოვანი დაღმართია და მხოლოდ მახსოვრობას თუ ძალუძს მისი ამოძრავება ანდა მოახლოება. მარიამისა და იესოს მხარდამხარ სხვა ნაზარეთელებიც მოაბიჯებენ, ვინ თანაგრძნობით, ვინ ცნობისწადილით აღძრული, მათ შორის ანანიას შორეული ნათესავებიც არიან, თუმცა მათ შინ დაბრუნება იმავ გაურკვევლობაში მოუხდებათ, რაშიც ამჟამად იმყოფებიან: რაკიღა ნეშტი არსადაა, მაშასადამე, ცოცხალია, ბეღელში ძებნა არც კი უცდიათ: აბა, როგორ უნდა ამოეცნოთ თავიანთი მკვდარი დამწვარ-დანახშირებულ ცხედრებს შორის. როცა ნაზარეთელებს ნახევარგზაზე მათი ქალაქისკენ მიმავალი ჯარისკაცები შემოეყრებათ, ზოგი მათგანი საკუთარ ქონებაზე ზრუნვის გამო მხარს უკუიქცევს, – განა გაიგებ, რა წამო-

უვლით თავში ჯარისკაცებს, კარზე თუ მოგიკაკუნებენ, შენ კი შინ არ დახვდები. ხოლო რაზმის უფროსს იმის გაგება მოესურვა, ამ სოფლელებს სეფორისში რა ესაქმებათო, იქ რა დარჩენიათ, რატომ მიდიანო. ხანძრის სანახავადო, უპასუხეს და უფროსი ამით დაკმაყოფილდა, რადგანაც ქვეყნიერების შექმნიდან მოყოლებული ცეცხლი ადამიანს იზიდავს და მავანნი ბრძენნი ირწმუნებიან კიდევაც, ესაო შინაგანი ხმის

ქვეცნობიერი გამოძახილი არისო პირველსაწყისის ხსოვნაზეო, თითქოს ფერფლი ინახავდეს დამწვარი საგნების ხსოვნას და ამით აიხსნება, მუდამ მოჯადოებულნი რომ შევცქერით ხოლმე ცეცხლს, გინდ კერიაში ენთოს, ჩვენს საცხოვრისს რომ ათბობს, გინდაც სანთლის ძაფზე კიაფობდეს, იმავ საცხოვრისს რომ გვინათებს. ჩვენ რომ ფარვანებივით, ღამის პეპლებივით და სხვა ამისთანა ქინქლებივით უტვინოები და უგუნურ-მამაცები ვიყოთ, შესაძლოა მთელი კაცობრიობა – სრული შემადგენლობით – ცეცხლში ჩავმხტარიყავით და აბა, მაშინ აგიზგიზდებოდა, თუ აგიზგიზდებოდა და ამ ქვეყნის ნათება ღვთის დახუჭულ თვალებშიც კი შეაღწევდა, ლეთარგიული ძილქუშიდან გამოიყვანდა, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს ცნობას და შეთვალიერებასაც კი ვერ მოასწრებდა – უმალ შთანგვთქამდა ცეცხლი. მარიამი, თუმც ბავშვებით სავსე სახლი ჰქონდა დატოვებული, უკან არ მიბრუნებულა – გზას განაგრძობს და დიდად არც ღელავს, რადგან მეფე ჰეროდეს მეომრები ერთხელ უკვე შეესივნენ ერთი ქალაქის ყრმებს გასაჟუჟად, ასეთი ამბები კი ხშირ-ხშირად არ მეორდება, თანაც ეს ჩვენი ღირსეული რომაელები ბავშვების გაზრდას სულაც არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით, ხელსაც კი უწყობენ – იზარდეთ ჯერხნობით, მერე კი ვნახოთ, მერმისი გამოაჩენს, რამდენად კანონმორჩილნი დაიზრდებით, ზნეკეთილნი, რათა ხარკი დროულად გადაიხადოთო. ჰოდა, მიაბიჯებენ მარიამი და იესო; ანანიას ექვსიოდე ნათესავი, საუბრით გართულნი, ოდნავ ჩამორჩნენ და უკან მოჰყვებიან, და რაკიღა დედა-შვილს სულში დაბუდებული შფოთის გამომხატველი სიტყვების გარდა სხვა სიტყვები არ გააჩნიათ, ამიტომ დუმან – ერთმანეთი რომ არ დატანჯონ და უცნაური მდუმარება გამეფებულა – არც ჩიტების ჭიკჭიკი ისმის, არც ქარის სტვენა, არც არაფერი ნაბიჯის გარდა, და ეს ფეხის ხმაც სუსტდება და ყრუვდება, თითქოს მავანი პატიოსანი გამ-

ვლელი შემთხვევით მიტოვებულ სახლში შეხეტებულა და აჩქარებული ცდილობს, იქაურობას სასწრაფოდ გაერიდოსო. კიდევ ერთი, სულ ბოლო მოსახვევის შემდეგ სეფორისიც გამოჩნდა, აქა-იქ ჯერ კიდევ ცეცხლი ეკიდა და ერთიანად გახვეულიყო უკვე გაიშვიათებულ კვამლში, სახურავები გაჭვარტლოდა, ხეები დანახშირებოდა, თუმც გაჟანგისფრებული ფოთლები ზედ შერჩენოდა ტოტებს. ხოლო აგერ იქ, ჩვენგან მარჯვნივ ჯვრებია.

მარიამს მათკენ გაქცევა მოუნდა, მაგრამ შორი იყო – ვერ მიირბენდა, სუნთქვა არ ეყოფოდა, დაიხრჩობოდა, ჰოდა, ნაბიჯი შეანელა: რა გასაკვირია, ამდენი მშობიარობის შედეგად გული რომ ჰქონოდა დასუსტებული. იესოს, როგორც კარგ შვილს შეეფერება, დედის გვერდით სურს ყოფნა ახლაც და მერეც, როცა ერთად გაიხარებენ ან ერთადვე დამწუხრდებიან, მაგრამ დედა ძალიან ნელა მოაბიჯებს, ფეხებს ძლივს მოათრევს და ბიჭი ამბობს: ასე ხვალამდე ვერ მივაღწევთ და მარიამი ხელით ანიშნებს, წადი, დაწინაურდიო და ისიც მოკლეზე გადაკვეთს მინდორს, ქარივით მიქრის ბოძებისკენ და ბუტბუტებს: მამა, მამა, – თავიდან სასოებით, სანამ იმედოვნებს, რომ ჯვარცმულებს შორის მამას ვერ ნახავს, მერე კი ტანჯვით – როდესაც უკვე ნახავს. ბოძების პირველ რიგთან მიირბინა – ზოგზე ჯერაც ეკიდა ჯვარცმული, ზოგიდან უკვე ჩამოეხსნათ და, მიწაზე დასვენებულნი, დამარხვას ელოდნენ, მხოლოდ ზოგიერთის ირგვლივ ტრიალებდნენ ახლობლები, რამეთუ მეამბოხეთა უმრავლესობა აქაური არ იყო, სხვადასხვა რაზმში იბრძოდნენ და აქღა გაერთიანდნენ, უკანასკნელ ბრძოლაში, ახლა კი თითოეული მათგანი სხვებს განცალკევებია და სიკვდილის გამოუთქმელ მარტოობას ტყვედ ჩავარდნია. იესო მამას ვერ ხედავს და ხარობს სული მისი, მაგრამ გონება ეუბნება: დაიცა, ჯერ არ დამთავრებულა და აჰა, დასრულდა! მიწაზე ის

წევს, ვისაც დაეძებს – სისხლი თითქმის არ დასდენია, მხოლოდ ხვრეტილი ჭრილობები ხელის მტევნებსა და ტერფებზე – გეგონება, სძინავსო იოსებს, მაგრამ არა, არ გძინავს, მამა, ვინ მოახერხებს დაძინებას ასე ფეხებმოგრეხილი, მადლობა, რომ ვიღაც ღვთისნიერმა ჯვრიდან ჩამოგხსნა, თუმც აქ იმდენი ჯვარცმულია, რომ იმ კეთილმა ადამიანებმა შენი ფეხების გასასწორებლად ვეღარ მოიცალეს. ყმაწვილი იესო

მუხლმოყრილია მამის ცხედართან, ტირის, უნდა, ხელით შეეხოს და ვერ გაუბედავს, მაგრამ დადგება წამი, როცა მწუხარება სიკვდილის შიშს დაძლევს და მაშინ ჩაეხუტება ცხედარს. მამა, მამა, ბუტბუტებს, იქვე კი უცებ ხმა გაისმის:

ოჰ, იოსებ, ქმარო ჩემო, – ეს ქანცმიხდილ მარიამს მოუღწევია აქამდე, თუმცა შორიდანვე დაუწყია ტირილი, რადგან მალევე შეუნიშნავს გაქვავებული შვილი და მიმხვდარა, რაც მოელოდა. ახლა კი უფრო მწარედ და გულისმომკვლელად ტირის, რამეთუ გადამტვრეული ფეხები ნახა: განა იცის ვინმემ, ყუჩდებიან თუ არა სიცოცხლისას განცდილი ტკივილები სიკვდილის მერე, განსაკუთრებით სიკვდილისწინა წუთებში აღქმულნი, შესაძლოა სიკვდილთან ერთად ყოველივე მთავრდება, მაგრამ დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რომ ტანჯვის გამოძახილი, თუნდაც რამდენიმე საათით მაინც არ რჩება ტანში და არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ტკივილისგან თავდასაღწევი ერთადერთი გზა გვამის გახრწნა, ლპობა და გაქრობაა. მარიამი ისე ნაზად და მსუბუქად ეხება, როგორც არასდროს სიცოცხლეში, ცდილობს, არაბუნებრივად გადაგრეხილი ფეხები გაუსწოროს, რომ ეგება დამტვრეულ თოჯინას ასე შემზარავად აღარ ჰგავდეს. იოსებისთვის ჯერ ხელი არ უხლია, მხოლოდ ოდნავ მოქაჩა ქიტონის აკეცილი კალთა, ჯერაც რომ ეცვა, რადგან ჯვარზე ისე გააკრეს, რომ არც გაუხდიათ, მაგრამ მაინც ვერ დაუფარა წვივები, განსაკუთრებული სიცხადით რომ ამხელდნენ, თუ რა მყიფეა არსებითად კაცის სხეული. წვივის ძვლები დამსხვრეულია, ამიტომ ტერფები ზემოთ არ არის აშვერილი, ძირს ჩაცვენილან, ზედ ხვრეტილი ჭრილობებია, რომლებსაც სისხლის სუნს მოყოლილი ბუზების ჯარი შესევია.

იოსების დაჭმუჭნილი და დამტვერილი სანდლები იმ მსხვილი ბოძის ძირში ყრია, რომელზეც ცოტა ხნის წინ ამ სანდლების პატრონი ეკიდა და აქვე დარჩებოდნენ, იესოს რომ მარიამისგან შეუმჩნევლად, გაუცნობიერებელი თუ ზემოდან ნაბრძანები გადაწყვეტილებით არ აეღო და ქამარში არ ჩაემაგრებინა, როგორც სიმბოლური მემკვიდრეობა, პირმშოობისთვის მიკუთვნებული, რამეთუ ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ უბრალო წვრილმანით იწყება ხოლმე და ტყუილად არ შემორ-

ჩენილა ჩვენს დრომდე ანდაზა: კაცებად მაშინ ვიქცევით, მამის ფეხსაცმელს როცა ჩავიცვამთო.

მოშორებით მდგარი რომაელი ჯარისკაცები ამ ყველაფერს ფრთხილად უმზერდნენ და მზად იყვნენ, ძირშივე ჩაეხშოთ ჯანყისა და მტრული მოქმედების ყველა მცდელობა, თუკი ასეთ რაიმეს ადგილი ექნებოდა იმათი მხრიდან, ვინც ურვა-გოდებით დაჰფოფინებდა დასჯილთა ცხედრებს. თუმცა ეს ხალხი საჩხუბრად განწყობილი არ ჩანდა, ანდა კიდევ თავის დრომდე მალავდა მტრობას. მოსახსენიებელ ლოცვებს ამბობდნენ ხან ერთ, ხან მეორე მიცვალებულთან და უკვე ორი საათი გადიოდა, რაც მხოლოდ ლოცვის სიტყვები გაისმოდა და კიდევ – ტანისამოსის ფხრეწა – თუ შინაურები გლოვობდნენ, ტანსაცმელს მარცხნიდან იხევდნენ, თუ არადა – მარჯვნიდან, და საღამოს მდუმარებაში გაისმოდა მღერა: უფალო,

რისთვის დაგჭირდა კაცი, რად მოისურვე ძე კაცისა, ცხოვრება მისი ხომ ქროლვაა ნიავის, დღენი კაცისა, ნაშობისა დედაკაცისაგან, ჩრდილია სწრაფწარმავალი და სავსეა მარტოოდენ მწუხარებით, ყვავილივით აღმოცენდება და ყვავილისებრვე იცელება მცელავისაგან და ქრება უკვალოდ, ვითარცა ჩრდილი. შემდეგ კი, როცა ღვთის წინაშე ადამიანის სრული არარაობის ეს აღიარება ბოლომდე გამოითქვა, გუნდმა ღმერთისთვის ადამიანის მოულოდნელი დიდების შესახსენებლად ხმამაღლა და საზეიმოდ დასჭექა:

გაიხსენე, რაოდენ დაამცრე კაცი ანგელოზთა ქვეშე, მაგრამ დიდება მიაგე მას. როცა მოტირლები უცნობი იოსების ცხედარს მიუახლოვდნენ, სულ ბოლოში რომ იწვა, ჯვარცმულთა შორის მეორმოცე, თუმც კი აუჩქარეს მღერას, მაგრამ მაინც პატიოსნად გაატანეს დურგალს ზეცაში ყოველივე, რასაც ზნე-ჩვეულება და რჯული მოითხოვდა, აჩქარება კი იმით გახლდათ გამართლებული, რომ იგივე რჯული ჯვარცმულთა დილამდე დაუმარხავობას კრძალავდა, მზე კი ამასობაში დასავლეთით გადასულიყო და მალე ბინდიც ჩამოწვებოდა.

იესოს უასაკობის გამო გლოვის ნიშნად ტანისამოსის ტანთ შემოხევა არ ევალებოდა, მაგრამ მისი ხმა, მაღალი და მთრთოლვარე, სხვათა ხმებს ზემოთ გაისმოდა და ღმრთის დიდებას აღავლენდა.

თუ მიწაზე განრთხმულ იოსებს დალურსმული მტევნები და წვივები ჯერ ისევ სტკიოდა, მაშინ უეჭველად ღვთის სამართლიანობის შესახებ სიტყვებსაც გაიგონებდა და ახლა მაინც უეჭველად შეიტყობდა, რა ადგილს იჭერდა მის ცხოვრებაში ღვთის სამართალი – ახლა, როცა აღარც ამ სამართლიანობისგან და არც თვით ცხოვრებისგან აღარაფერს მოელოდა. მოილოცეს, ახლა დამარხვაზე უნდა ეზრუნათ, მაგრამ ჯვარცმული ბევრი იყო, ღამე კი ახლოვდებოდა, და შეუძლებელი ჩანდა თითოეულისთვის ცალკე განსასვენებლის მოძიება, ანუ თითოეულისათვის სამარის გათხრა, სუდარაში გახვეული მიცვალებულის შიგ ჩასვენება და ქვებით თაღის ამოშენება – ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. იმითღა შემოიფარგლნენ, რომ ერთი გრძელი ორმო ამოთხარეს, ყველასთვის სამყოფი, – ასე არც პირველად მოქცეულან, და მერწმუნეთ, არც უკანასკნელად, – და ცხედრები იმავ სამოსით ჩაასვენეს საძმო საფლავში, რაც ზედ ეცვათ და იესოსაც მისცეს ნიჩაბი და ისიც უფროსების დარად გულმოდგინედ მუშაობდა, რამეთუ სურდა, აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება, რომ ადამიანი დაიფლებოდა სამარეში, რომელსაც ძე კაცისა გათხრიდა, ხოლო თვითონ ძე კაცისა კი დაუფლავი დარჩებოდა. თუმც კი ეს სიტყვები ერთი შეხედვით ერთობ ამოუცნობი გვეჩვენება, მაინც არ გირჩევთ, მეტაფიზიკურ განზოგადებებში შეიჭრათ, რამეთუ აზრი ნათელია, ყოფითი და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანს, ვინც დედამიწაზე ბოლოს დარჩება, დამმარხავი აღარავინ ეყოლება.

ამ ყმაწვილს ეს არ ემუქრება, კაცობრიობა მისით არ დასრულდება, კიდევ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში დაიბადებიან და დაიხოცებიან ადამიანები, და თუ ანდაზა მართალს ამბობს, ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ადამიანსაც გამოუჩნდება ჯალათიცა და მესაფლავეც.

მზე მთის ფერდობს ამოეფარა. შავი ღრუბლები იორდანეს ველზე დაეშვნენ, ნელ-ნელა დასავლეთისკენ გაცურდნენ, თითქოს მეწამულად შეღებილი მწვერვალიდან არეკლილი სხივებისკენ მიილტვიანო.

აცივდა უცებ – ეტყობა, ღამით წვიმას ეპირებოდა, თუმცა ასეთი რამ წელიწადის ამ დროს აქ იშვიათობა გახლდათ. ჯარისკაცები წავიდნენ, გამთენიამდე ბანაკამდე ჩასწრება სურდათ, სადაც ამასობაში, სავარა-

უდოდ, მათ მიერ ნაზარეთში დასაზვერად გაგზავნილი თანაპოლკელებიც უნდა დაბრუნებულიყვნენ – სწორედ ამგვარი შეთანხმებული მოქმედებით განსხვავდება რეგულარული არმია აჯანყებულთა ჯგუფებისგან და ამ განსხვავების შედეგიც სახეზეა: ბრძოლაში დატყვევებული ოცდაცხრამეტი კაცი, აწ ჯვარზე დასჯილი და მეორმოცე, უდანაშაულო საცოდავი – გაუგებრობაში მოხვედრილი, სხვის ომში რომ გამოესალმა სიცოცხლეს.

სეფორისელები გადამწვარ ქალაქში ღამის გასათევის საძებნად გაემართებიან, დილით კი თითოეული ოჯახი თავის ნასახლარზე ნაცარს მოქექავს, ეგება ხანძარს რაიმე მაინც გადაურჩაო, ისეთი, რაც ახალ ადგილზე დასაფუძნებლად გამოდგებაო, რამეთუ რომაელები ჯერხნობით ქალაქის ხელახლა აშენების ნებას არ დართავენ – ჯერ ადრეა, ჯერ ამის დრო არ დამდგარაო.

მარიამი და იესო ორ ჩრდილს ჰგავდნენ ტყეში, სადაც ხეებს არც ტოტები აქვს, არც ფოთლები; ორ შიშსაც ჰგავდნენ, ერთმანეთში უშიშრობას რომ ეძებდნენ; და დედა ხელით იხუტებდა შვილს, ჩაბნელებული ციდან რა სიკეთეს უნდა ელოდე, ხოლო მიწაში ჩაყრილი მკვდრები ვაიდა, ცოცხლებს ეძგერონ, აღარ გაუშვან. ღამე ქალაქში გავათიოთ, თქვა იესომ, ხოლო მარიამმა მიუგო: არ შეიძლება, შენი ძმები მშივრები არიან შინ. დედა-შვილი მიწას ძლივს ხედავს ფეხქვეშ, მაგრამ აი, მრავალი წაბორძიკებისა და ერთხელ დაცემის შემდეგ, როგორც იქნა, გზაზე გავიდნენ, დამშრალი მდინარის კალაპოტივით რომ ანათებდა ბნელში. როცა სეფორისი უკან მოიტოვეს, გაწვიმდა კიდეც – პირველი მძიმე წვეთები მსუბუქი წკაპუნით დაეცნენ მტვრიან შარაზე, რომელიც სულ მალე ციდან ჩამონადენ ღვარს უნდა აეტალახებინა და მარიამსა და იესოს ფეხზე გახდა მოუხდათ, სანდლები ლაფში რომ არ ჩაფლობოდათ. მდუმარედ მიაბიჯებენ, დედა შვილს თავშალს ახურავს და სათქმელი არაფერია, თუმც ეგებ ორივე ბუნდოვნად ფიქრობს თავისთვის: არ მომკვდარა იოსები, აგერ მივლენ შინ და იქ ბავშვებს უვლის, როგორც სჩვევია და ჰკითხავს ცოლს: ვინ მოგცა ნება, დაუკითხავად რომ წასულხარ ქალაქშიო? – და მარიამი კვლავ აცრემლდება, მაგრამ მწუხარებითა და სიმწრით კი არა, საშინელი დაღლილობის გამო, შეუბრალებელი წვიმის

გამო, გაუთავებელი ღამის გამო. არა, ყველაფერი მეტისმეტად შავი და პირქუშია საიმისოდ, რომ დაიχერო, იოსები ცოცხალიაო. ის დღეც დადგება, როცა ქვრივს ვინმე უამბობს, სეფორისში დიადი სასწაული მოხდაო, χვარცმისთვის გამოთლილმა ბოძებმა ახალი ფესვები გაიდგეს და კვირტი იყარესო და სიტყვა „სასწაული“ აქ ლამაზ სიტყვად არ ითქმება, χერ ერთი იმიტომ, რომ რომაელებს ჩვეულების საწინააღმდეგოდ ეს ბოძები თან არ წაუღიათ, და მეორეც, კენწეროდან და კინტიდან მოხერხილი ბოძები სიცოცხლის წვენს „სასწაულის“ გარეშე ჩვეულებრივ ვერ ინარჩუნებენ და სისხლიან, მახინχ მორებს ამწვანებულ ხეებად ვერა ძალა ვერ გადააქცევს. ეს წამებულთა სისხლისგანააო, ამბობდნენ მორწმუნეები, არა, ეს უბრალოდ წვიმის საქმეაო, ეკამათებოდნენ მცირედმორწმუნეები, მაგრამ აქამდე არც დაღვრილ

სისხლს და არც ზეციდან გადმოხეთქილ ნიაღვარს რატომღაც არასოდეს გადაუქცევია ბორცვებსა და უდაბნოებში აღმართული უამრავი χვარი ამწვანებულ ხეებად. ერთი ეგაა, ვერავინ გაბედა ეთქვა, ეს ღვთის განგებით მოხდაო და იმიტომ კი არა, რომ ღვთის განგება, როგორიც უნდა იყოს, ჩვენი გონებისთვის მაინც ყოველთვის მიუწვდომელია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ვერავინ აზრიანად და გასაგებად ვერ ახსნიდა, მაინც რით აღემატებოდნენ სეფორისელი χვარცმულები სხვა დანარჩენებს, რა განსაკუთრებული დამსახურებისთვის გარდმოევლინათ არნახული ციური მადლი, უჩვეულობით წარმართული ღმერთების სასწაულებს რომ უფრო მიაგავდა. და კიდევ დიდხანს იდგებიან იქ ის ხეები და საბოლოოდ აღმოიფხვრება მომხდარის ხსოვნა და ადამიანები, ამქვეყნად ყოველივეს აუცილებლად რომ უნდა მოუნახონ ახსნა – ჭეშმარიტი თუ მცდარი – უამრავ ისტორიას შეთხზავენ, თავდაპირველად ისეთებს, ცოტად თუ ბევრად რაიმე კავშირი მაინც რომ ექნება ნამდვილ მოვლენებთან, მერე კი სულ უფრო და უფრო გაზღაპრებულებს, დაბოლოს ყოველივე იმ ლეგენდებად გადაიქცევა, რეალობასთან საერთო რომ აღარაფერი გააჩნია. მერე ის დღეც დადგება, როცა ამ ხეებსაც გაუვათ სიცოცხლის ვადა, გაიჩეხებიან, მერე მოინდომებენ ამ ადგილას ავტომაგისტრალის გაყვანას, სკოლის, საცხოვრებელი კორპუსის, სავაჭრო ცენტრის ან ხანგრძლივვადიანი საცეცხლე წერტილის აშენებას, მოიყვანენ

ექსკავატორებს, რომლებიც ამოთხრიან მიწას და დღის სინათლეზე ამოყრიან იმათ ნაწილებს, ვინც ორი ათასი წლის წინ ჩაწოლილა ამ მიწაში და გარკვეული თვალსაზრისით, მეორე ცხოვრებას მიანიჭებენ, რადგან გამოჩნდებიან ანთროპოლოგები, და ანატომიის პროფესორი, რომელიც შეისწავლის ჩონჩხებს და განცვიფრებულ სამყაროს აცნობებს, თურმეო იმ შორეულ წარსულშიო ადამიანებს, სანამ ჯვარს აცვამდნენ, წინასწარ წვივის ძვლებს უმსხვრევდნენო. ხოლო სამყაროს უფლება არ ექნება, ამ პროფესორს მეცნიერული ღვაწლი გაუუქმოს და ცრუმეცნიერად გამოაცხადოს და ამიტომაც სამყარო ამ პროფესორს მხოლოდ ესთეტიკური მოსაზრებების საფუძველზე თუ შეიძულებს.

როცა თავით ფეხებამდე გალუმპული, ტალახში ამოგანგლული მარიამი და იესო შინ მივიდნენ, ბავშვები მოსალოდნელზე უკეთ მოვლილები დახვდნენ უფროსების – იაკობისა და ლიზიას ზრუნვის წყალობით – ღამე სუსხიანი იქნებაო, უაზრიათ, კერიაში ცეცხლი გაუჩაღებიათ და პატარებთან ერთად ცეცხლის ირგვლივ მოქუჩებულან, რათა შინაგანი სიცივე გარეგან მცხუნვარებას დაეძლია. კაკუნის გაგონებაზე იაკობმა კარი გააღო, წვიმა კი იმწუთას ნამდვილ ნიაღვრად ქცეულიყო და როცა მარიამი და იესო შინ შემოვიდნენ, წყალი ნაკადულებად სდიოდათ. ბავშვები დედასა და უფროს ძმას შესცქეროდნენ და კარი რომ მიიხურა, მიხვდნენ, მამა არ მოსულაო, მაგრამ იაკობმა მაინც იკითხა: და მამა? თიხის იატაკი გაჟღენთილი ტანისამოსიდან ჩამოწურულ წყალს ნელა ისრუტავდა, კერიიდან ნესტიანი შეშის ტკაცატკუცი დუმილს არღვევდა, შვილები დედას შესცქეროდნენ. და მამა? – ერთხელაც იკითხა იაკობმა. მარიამმა პასუხის გასაცემად პირი გააღო, მაგრამ საბედისწერო სიტყვა მარყუჟივით მოეჭდო კისერზე და დედის ნაცვლად იესოს მოუწია თქმა: მამა მოკვდა, და გაუაზრებლად, ვითარცა უტყუარი მტკიცებულება, ქამრიდან სველი სანდლები ამოიღო და ბავშვებს უჩვენა: აჰა. უფროსი ბავშვების თვალებზე ცრემლები ისედაც უკვე ამოწვერილიყვნენ, მაგრამ ამ სანდლების დანახვაზე ჩქეფად წამოვიდნენ, საყოველთაო და უნუგეშო გოდება ატყდა. ქვრივმა აღარ იცოდა, ცხრა შვილთაგან პირველად რომელი დაემშვიდებინა და ძალაგამოცლილი მუხლებზე დაეცა, შვილები მისცვივდნენ, შემოეხვივნენ და ცოცხალ ყურძნის მტევანს

დაემსგავსნენ, დაჭყლეტაც რომ არ სჭირდებოდა, ისედაც რომ სდიოდა ცრემლები. მხოლოდ იესო იდგა ფეხზე და მკერდში იხუტებდა მამის სანდლებს ბუნდოვანი წინათგრძნობით, რომ ოდესმე მათ ჩაიცვამდა. ამასობაში ბავშვები თანდათან დედას შორდებოდნენ: პირველად უფროსები – სირცხვილის გამო, რადგან გლოვა განმარტოებით მართებდათ, მერე პატარებიც, ჯერ მთლად ბოლომდე რომ ვერ ჩასწვდომოდნენ უბედურებას და უბრალოდ ტიროდნენ, რადგან მოხუცებსა და პატარებსაც ტირილი სჩვევიათ, იმის მიუხედავად, გრძნობები ჯერ განუვითარებელი აქვთ თუ უკვე გაქვავებული. მარიამი კი კვლავ მუხლმოყრილი გარინდულიყო შუა ოთახში, თითქოს ხვედრსა თუ განაჩენს ელოდებაო, მაგრამ უეცრად შეაჟრჟოლა, იაზრა, მთლად სველი რომ იყო, წამოდგა, სკივრიდან ძველისძველი, არაერთხელ დაკემსილი მამაკაცის პერანგი ამოიღო და იესოს მიაწოდა, თან უთხრა: გამოიცვალე და ცეცხლთან დაჯექიო. მერე ასულებს უხმო, ლიზიას და ლიდიას, ჭილოფი ფარდასავით დაიკავეთო, ამ შირმის უკან ტანთ გამოიცვალა და მწირი მარაგით, რაც სახლში მოიპოვებოდა, ვახშმის მომზადებას შეუდგა. იესო კერიასთან გათბა, მამის პერანგში გამოწყობილი, კოჭებამდე რომ სწვდებოდა, სახელოებიც რომ გრძელი ჰქონდა, და ცხადია, სხვა ვითარებაში ძმები და დები სასაცილოდ აიგდებდნენ – მართლა ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა ამ პერანგში – მაგრამ ახლა მხიარულებას ვერ ბედავდნენ, არა მარტო იმიტომ, უბედურება რომ იყო ოჯახში: არა, ასე მოეჩვენათ, თითქოს უფროსი ძმა უეცრად გაზრდილიყო, სიმაღლეშიც კი და ეს შეგრძნება კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრდათ, როცა იესომ დინჯი, მოზომილი მოძრაობით მამისეული სანდლები ცეცხლისკენ მიაჩოჩა, თუმცა ამ მოქმედებაში არც აზრი ჩანდა, არც მიზანი, რამეთუ იოსებს სანდლები აწ აღარაფრად სჭირდებოდა. იაკობი, ასაკით მომდევნო, ძმას გვერდით მიუჯდა და ჰკითხა: რა დაემართა მამაჩვენს? მეამბოხეებთან ერთად ჯვარს აცვეს, ხმადაბლა მიუგო იესომ. რატომ? არ ვიცი, ორმოცი იყვნენ, მათ შორის მამაჩვენი. ეგება იყო. რა იყო? ეგება მეამბოხე იყო. არა, სულ სახლში იჯდა, თავის საქმეს აკეთებდა. ვირი იპოვეთ? ვერა, ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი. ამასობაში მარიამმა ვახშამი მოამზადა, ყველანი წრედ დასხდნენ და ერთი დიდი ლანგრიდან ჭა-

მას შეუდგნენ. ყველაზე პატარებს მალე ჩამოეყვინთათ, რადგან, რარიგ აღგზნებულებიც უნდა ყოფილიყვნენ, დაღლილი სხეულები დასვენებას სთხოვდნენ. უკანა კედელთან ბიჭებისთვის ჭილოფები დააგეს, ასულები კი მარიამმა, არც ერთს რომ არ სწყენოდა, აქეთ-იქიდან მოიწვინა. კარის ღრიჭოდან უბერავდა, მაგრამ ბინაში დახუთულობა იგრძნობოდა – ჯერაც ჩაუნავლებელი კერია სიცხეს აფრქვევდა და ერთმანეთს მიხუტებული ბავშვებიც თავის წილ მხურვალებას უმატებდნენ, მოკლედ, ოჯახმა ერთხანს იოხრა, იხვნეშა და ნელინელ ძილის გზას გაუდგა, მარიამმა სხვებისთვის მაგალითის მისაცემად ცრემლები შეიკავა, რათა ბავშვებს დროულად დაეძინათ და თავის უბედურებასთან პირისპირ დარჩენილს უქმრო მომავლისკენ გაეხედა. თუმცა გონებაში აზრები დარიალებდნენ, თუმცა სულიც კვნესოდა, ყველაფრის მიმართ განურჩეველი ტანი ძილს მაინც ვეღარ შეეწინააღმდეგა. ახლა უკვე ყველას ეძინა.

შუაღამისას ვიღაცის კვნესამ გააღვიძა მარიამი, იფიქრა, ალბათ, თვითონ მე თუ ვიყავიო, მაგრამ კვნესა კვლავ გაისმა, ამჯერად უფრო ხმამაღლა. ფრთხილად, ასულები რომ არ შეეწუხებინა, წამოიწია, მიმოიხედა, მაგრამ ჭრაქი ისე ბჟუტავდა, ბიჭები არც კი ჩანდნენ. ნეტავ რომელია? – გაიფიქრა, თუმცა გულმა იქვე უკარნახა, იესო იქნებაო. უხმაუროდ ადგა, წირთხლთან დაკიდებულ ჭრაქს დასწვდა, თავზემოთ ასწია, უკეთ რომ გაეშუქებინა მძინარე ბიჭები: იესო ბორგავს და ბუტბუტებს, თითქოს კოშმარი

ტანჯავს და, რაღა თქმა უნდა, მამა ესიზმრება, თავისი ასაკისთვის ერთობ ნაადრევად ნახა ის, რაც დღეს ნახა – სიკვდილი, სისხლი, წამება. მარიამმა იფიქრა, გავაღვიძებ, რომ აღარ იწვალოსო, მაგრამ არ გააღვიძა, არ მოუნდა, შვილის სიზმარი მოესმინა და მყის დაავიწყდა ყველაფერი, რაწამს იესოს ფეხებზე მამამისის სანდლები დაინახა. გაბრაზდა – რა სისულელეა, რა უპატივცემულობაა მამის სიკვდილის დღესვე მისი ფეხსაცმლის ჩაცმა! ჭილოფისკენ მიბრუნდა, აღარ იცოდა, რა ექნა: ეგება, რაკიღა მამის პერანგსა და სანდლებში დაიძინა, ახლა იოსების ბედს მიჰყვება სიზმრად, – შინიდან ჯვარცმამდე – ეგება მამაკაცთა სამყაროში შეაბიჯა, რომლის წევრიც ისედაც იყო, მაგრამ ახლა ახალ უფლებებს იძენდა – მემკვიდრეობით, თუნდაც ეს ერთი ძველი პერანგი და გაცვე-

თილი სანდლები ყოფილიყო მხოლოდ და კიდევ სიზმრები, თუნდაც მამამისის ბოლო ამქვეყნიური ნაბიჯები დასიზმრებოდა. აზრადაც არ მოსვლია მარიამს, რომ შესაძლო იყო, იესოს სხვა რამ დასიზმრებოდა.

ნათელი დილა დადგა, უღრუბლო ზეცაზე მზე აცხუნებდა და წვიმა მოსალოდნელი აღარ იყო.

მარიამი ადრიანად გავიდა შინიდან იმ ვაჟებთან ერთად, რომლებიც ასაკის შესაბამისად სკოლაში დადიოდნენ და იესოსთან, ვისაც, როგორც უკვე ერთხელ მოგახსენეთ, სწავლა დაესრულებინა. ქალმა სინაგოგას მიაშურა, რათა ქმრის სიკვდილი ეცნობებინა და იოსების განსვენების შემდეგ თავისი მძიმე მდგომარეობა განემარტა, თანაც ეამბნა, თუ როგორ აუგეს წესი იმ საბრალოებს და ეთქვა, რომ დროის სიმცირისა და სხვა მძიმე გარემოებების მიუხედავად დაკრძალვამ რჯულის კანონის სრული დაცვით ჩაიარა. შინ უფროს ვაჟთან ერთად დაბრუნდა და გზად იფიქრა, ახლა სწორედაც შესაფერისი ვითარებაა საიმისოდ, რომ ვკითხო, მამის სანდლები რატომ ჩაიცვიო, მაგრამ ბოლო წამს თავი შეიკავა, უხერხულობაში არ ჩავაგდოო: საფიქრებელია, იესო ვერ მოახერხებდა დედისათვის ამის ახსნას და თავს დამცირებულად იგრძნობდა, რამეთუ მის საქციელს ყოფითი მიზეზი არ გააჩნდა, ვთქვათ, რომ – ღამით გამეღვიძა, მშიოდა, ავდექი, პურის ლუკმა ჩავყლაპე და თუ ამ დროს შემნიშნეს, ცხადია, ჩემი საქციელი შიმშილს დავაბრალე, მაგრამ სანდლების ამბავს ასეთ ჩარჩოში ვერ მოათავსებდი, თუ არ ჩავთვლით, რომ ბიჭს სულ სხვა შიმშილი ტანჯავდა, რომლის შესახებ მე და თქვენ ვერასდროს ვერაფერს შევიტყობთ. აქ მარიამს აზრად მოუვიდა, ეგება რადგან იესოა ამიერიდან უფროსი გვარსა და ოჯახში, ამიტომ დედამ, მასზე დამოკიდებულმა, სათანადო პატივისცემა და ყურადღება უნდა გამოიჩინოს და ჰკითხოს, რა სიზმარი გეზმანა, წუხელ ასე რომ გაწუხებდაო. მამა დაგესიზმრა? – ჰკითხა, მაგრამ იესომ წაუყრუა, შეტრიალდა კიდეც, დედამ დაბეჯითებით გაიმეორა: მამა? – არ ელოდა, თუ შვილი ჯერ კი ეტყოდა, დიახ, მამაო, მაგრამ იქვე გადათქვამდა, არაო და ისეთი თვალები გაუხდებოდა, თითქოს ნაწამები იოსები აგერ ახლა კიდევ ერთხელ დაინახაო. ერთხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ, ხოლო როცა შინ შევიდნენ, მარიამი სართავს მიუჯდა და გაიფიქრა, ახლა შვილების გამოსაკვებად

მეტი შრომა დამჭირდება და რაკიღა შნოც მაქვს და ხელობაც ვიცი, ეგება ჩემი ნახელავის გაყიდვაც მოვახერხოო. ხოლო იესომ ზეცას ახედა, დარწმუნდა ისევ კარგი დარიაო, მამისეულ ჩარხს მიუახლოვდა, მოჩარდახულში რომ იდგა და დაწყებული და დაუსრულებელი ნაკეთობები ერთიმეორის მიყოლებით გადაათვალიერა, მერე ხელსაწყოებს შეავლო ხელი და მარიამის გული სიხარულით აღავსო იმისმა ხილვამ, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდა მისი ვაჟი თავის ახალ მოვალეობებს. როცა უფროსები სკოლიდან

დაბრუნდნენ და ყველანი სატრაპეზოდ დასხდნენ, მახვილი თვალი შენიშნავდა, რომ თუკი სულ რამდენიმე საათის წინ ოჯახი წინამძღოლის, ქმრისა და მამის დაკარგვას გლოვობდა, ახლა მარიამიცა და მისი შვილებიც მშვიდად და უდრტვინველად გამოიყურებოდნენ, მხოლოდ იესოს შავ-შავი წარბები, ცხვირზემოთ რომ გადაბმოდნენ ერთიმეორეს, რაღაც იდუმალ ფიქრებს ამხელდნენ, რამეთუ თქმულ არს: მწარედ იტირე და იკვნესე სულისტკივილით განსვენებულის გამო ერთი ან ორი დღის განმავლობაში – გააჩნია ვინ იყო შენი – რამეთუ ესე არს წესი კაცთა, მერმე კი ნუგეშინის ეც საკუთარ ვარამს და კიდევ თქმულ არს: გულს ნუ გაატან მწუხარებას, არამედ განაგდე შენგან და გახსოვდეს, რომ შენც თავის დროზე წახვალ იქ, საიდანაც უკან არასდროს ბრუნდებიან და ვერას არგებ მიცვალებულს, გარნა საკუთარ თავს ავნებ მხოლოდ. სიცილი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მისი დროც დადგება, რამეთუ დღეებს დღეები შეცვლიან, ერთმანეთს მიჰყვებიან წელიწადის დრონი და საუკეთესო რჩევას ეკლესიასტე გვაძლევს, მხიარულებას რომ აქებს, რადგან ჭამასმა და მხიარულება ამქვეყნად ყველაფერს სჯობია; ეს ულამაზებს ადამიანს ყოველდღიურ ჯაფას ღვთივბოძებულ სიცოცხლეში. საღამოხანს იესო და იაკობი სახურავზე აძვრნენ, ჩალა გაასწორეს, თიხით ხვრელები ამოლესეს, საიდანაც მთელი ღამის განმავლობაში წყალი აწვეთავდათ და ნუ გაიკვირვებთ, თუკი თხრობისას ესეოდენ მდაბალ ყოფით წვრილმანებზე ყურადღება არ გაგიმახვილეთ – ადამიანის სიკვდილი, დამნაშავეა თუ უდანაშაულო იგი, ყოველთვის ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

და კვლავ დაღამდა, სანამ ახალი დღე გათენდებოდა, ოჯახმა ივახშმა ღვთის წყალობით, ჭილოფებზე დაწვნენ, დაიძინეს. გამთენიისას შიშით გაეღვიძა მარიამს, ოღონდ თავისი ცუდი სიზმრის კი არა, იესოს სიზმრის გამო, გოდებდა, კვნესოდა მძინარე და ისე ხმამაღლა ტიროდა, უფროსი ბავშვები გააღვიძა კიდევაც – მხოლოდ პატარები განაგრძობდნენ უცოდველ ტკბილ ძილს. მარიამი მიეჭრა იესოს, რომელსაც ხელები ისე გაეწვდინა, თითქოს მოქნეული ხმლები უნდა აიცდინოსო, ანდა მოღერებული შუბებიო, მაგრამ ნელ-ნელა ჩაცხრა, თითქოს თავდამსხმელებმა ან თავი დაანებეს, ანდა სიცოცხლეს გამოასალმესო. თვალი გაახილა, მისკენ გადმოხრილ დედას მაგრად მიეხუტა, გეგონება, ოჯახის უფროსი და ზრდასრული ვაჟკაცი კი არა, პაწია ბალღიაო: ტირის შეშინებული ჩვილივით, ჩვენ კი, ბრიყვებს, არ გვსურს ვაღიაროთ, ცრემლები რომაა ნატკენი გულის საუკეთესო წამალი.

რა მოგივიდა, რა მოგივიდა? – იმეორებდა შეშფოთებული მარიამი, მაგრამ იესო არ პასუხობდა – არ სურდა ანდა არ შეეძლო, რამეთუ პირი კრუნჩხვით დამანჭვოდა, ამაში კი ბავშვური უკვე სრულიად აღარაფერი იყო. მითხარი, რა დაგესიზმრა, ჩააჯინდა მარიამი და საქმის გასაიოლებლად დასძინა: მამა დაგესიზმრა, არა? მაგრამ იესომ თავი გადააქნია, დედას ხელი უშვა და ჭილოფზე მიწვა: არაფერი, არაფერი, დაწექი, – და ძმებზე ანიშნა, დაიძინონ, ყველაფერი რიგზეაო. მარიამი თავის ლოგინს დაუბრუნდა, ორ ასულს შუა, მაგრამ სანამ მთლად არ გათენდა, თვალგახელილი იწვა, გაფაციცებული და ყოველ წამს ელოდა იმ საშინელი სიზმრის განმეორებას, ნეტავი რა სიზმარია ასეთი, ამ ბიჭს ასე რომ ტანჯავსო, მაგრამ არაფერი მომხდარა. ის კი აღარ უფიქრია, რომ შესაძლოა აღარც იესოს მოეხუჭა თვალი შემზარავი ზმანების ასარიდებლად, იმას ფიქრობდა, ჩემს პირმშოს მუდამ ღრმა და ჯანსაღი ძილი სჩვეოდა და კოშმარები მამის სიკვდილის მერე შემოეჩვიაო.

უფალო, ლოცულობდა მარიამი, გთხოვ, მეტად ნუღარ დაესიზმრება, და საღი აზრი ჰკარნახობდა, სიზმრები გადამდები არ არის, არც მემკვიდრეობით გადაეცემაო, თუმცა ცდებოდა, რამეთუ ადამიანებმა თავთავიანთი სიზმრები ერთმანეთს სულაც რომ არ მოუყვნენ, შვილებს შესაძლოა მაინც იგივე დაესიზმროთ, რაც მამებს. გარიჟრაჟდა ბოლოს და

ბოლოს, განათდა კარის ღრიჭო. მარიამს დილის ძილი მიჰპარვოდა, ახლა თვალი გაახილა და იესოს ცარიელი ლოგინი დაინახა. სად არის ნეტავ? – იფიქრა, წამოხტა, კარი გააღო, გაიხედა და შვილი დაინახა – თავზე ხელები შემოეჭდო, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა და ასე გარინდული იჯდა ჩარდახქვეშ, თივის ბულულზე. მარიამს შეაჟრჟოლა და არა მხოლოდ დილის სიგრილისგან, არამედ იმიტომაც, რომ შვილი ასეთ მარტოობაში იხილა, მიუახლოვდა, ჰკითხა: ავად ხომ არ ხარ? – და იმან თავი ასწია: არა, კარგად ვარ. აბა, რა გჭირს? სიზმრები. სიზმრები? უფრო სწორად, ერთი სიზმარი, წუხელაც დამესიზმრა და წინა ღამითაც. მამას ნახულობ ჯვარზე? არა, ხომ გითხარი, მამაჩემი არ დამსიზმრებია-მეთქი. პირიქით, შენ თქვი, მამა დამესიზმრაო. ჰო, დამესიზმრა, მაგრამ არ მინახავს, უბრალოდ ვიცი, რომ იქ იყო. მაინც რა ნახე ასეთი საშინელი? იესომ ერთბაშად როდი უპასუხა, დედას დაბნეულმა შეხედა და ქალმა იგრძნო, თითქოს ვიღაცამ თითები ზედ გულზე მოუჭირაო: მისი შვილი, მისი პირმშო, ჯერ კიდევ ბავშვი, უძილო ღამისგან ჩაწითლებული თვალებით, ტუჩს ზემოთ და ლოყებზე ახლად ამოწვერილი ნაზი ღინღლით მის წინაშე ზის და მარადიულია ერთიანობა მათი უკუნითი უკუნისამდე.

ყველაფერი მიამბე, სთხოვა და იესოც, როგორც იქნა, ალაპარაკდა: დამესიზმრა, თითქოს რომელიღაც ქალაქში ვარ, ნაზარეთი არაა, შენ კი ჩემთან თითქოს თან ხარ და თანაც არა ხარ, იმიტომ, რომ იმ ქალს, ვინც სიზმრად ჩემი დედა იყო, სხვა სახე ჰქონდა, ირგვლივაც სხვა ჩემი კბილა ბიჭები იყვნენ, არ მახსოვს, რამდენი და მათი დედები და ყველანი მოედანზე შეგვკრიბეს და ჯარისკაცებს ველოდით, რომლებსაც უნდა დავეხოცეთ, გვიახლოვდებიან, გვიახლოვდებიან, მაგრამ ვერ ვხედავთ, მარტო მათი ცხენების ფლოქვების ხმა ისმის, მაგრამ რატომღაც არ მეშინია, ვიცი, ცუდი სიზმარი რომაა და სხვა არაფერი, მაგრამ უცებ ვხვდები, რომ მამაჩემიც მოდის იმ ჯარისკაცებთან ერთად, შენკენ ვტრიალდები, მინდა მიშველო, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, შენ ხარ თუ შენ არ ხარ, დედები მიდიან და მარტონი ვრჩებით, ოღონდაც უკვე ბიჭები კი აღარა ვართ, არამედ ჩვილები, მიწაზე ვწევარ და ვტირი, სხვებიც ღრიალებენ, თუმცა ჯარისკაცებთან ერთად მხოლოდ ჩემი მამა მოდის, ყველანი მო-

ედანზე შემომავალი გზის მოსახვევს გავყურებთ, ვიცით, ჰა-ჰა და, გამოჩნდებიან, ველით, ისინი კი არა და არ ჩანან, თუმც ნაბიჯები ახლოვდება, აი, ახლა, აი, ახლა, მაინც არ ჩანან და უცებ ვხედავ, ისევ ისეთი ვარ, როგორიც ახლა, მაგრამ პატარა ჩვილის სხეულში გამომწყვდეული და ისიც მე ვარ და ვცდილობ, გამოვძვრე რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ ხელ-ფეხი შეკრული მაქვს, საშველად გეძახი, ვეძახი მამასაც, რომელსაც ჩემი მოკვლა უნდა და ამ დროს მეღვიძება. წუხელიც ეს დამესიზმრა და წინა ღამითაც. იესომ თხრობა დაიწყო თუ არა, მარიამი ზაფრამ აათრთოლა და თუმცა სიზმრის მნიშვნელობა ებუნდოვანა, ერთი რამ ცხადი იყო: მოხდა ყველაზე უარესი – საღი აზრისა და გონების ყველა საბუთის მიუხედავად იესომ იოსების სიზმარი იმემკვიდრა და ეგებ ამ სიზმრებს შორის განსხვავებაც იყო, მაგრამ არსებითად მამასაც და შვილსაც, თავიანთ ადგილებზე და თავის დროზე ერთი და იგივე ესიზმრებოდა. და კიდევ უფრო მეტად დაიზაფრა, როცა იესომ ჰკითხა: და მამას რაღა ესიზმრებოდა ყოველღამ? ცუდი სიზმარი ყველას ესიზმრება ხოლმე. არა, არა, შენ კარგად

იცი, რასაც გეკითხები. არ ვიცი, არასოდეს უამბნია. სიმართლეს ნუ დამიმალავ, მე ხომ შენი შვილი ვარ. არ მინდა, რომ იცოდე, ეს კარგს არაფერს მოგიტანს.

საიდან იცი, რა მომიტანს კარგს და რა – ცუდს? დედას პატივი ეცი. მე შენი შვილი ვარ, მე პატივს გცემ, მაგრამ ახლა ისეთ რამეს მიმალავ, რაზეც ჩემი ყოფნა-არყოფნაა დამოკიდებული.

ნუ მაიძულებ. ერთხელ მამას ვკითხე მისი სიზმრის შესახებ, მან კი მითხრა, ყველაფერს ვერ მკითხავ და არც მე მაქვს ყველა პასუხიო. ჰოდა, მისი სიტყვები იკმარე. სანამ ცოცხალი იყო, ვიკმარე კიდეც, მაგრამ ახლა ოჯახის თავი გავხდი, მისი პერანგი ჩავიცვი, მისი სანდლები და მემკვიდრეობად მისი სიზმარიც მერგო და ამ ავლა-დიდებით ცხოვრების გზაზე უნდა გავიდე, მაგრამ მსურს, ვიცოდე, ეს რა სიზმარი მკიდია მხრებზე. მაგრამ ეგებ მეტად აღარც დაგესიზმროს. იესომ დედას შეხედა, მზერით აიძულა, თვალი გაესწორებინა და ასე მიუგო: თუ ამაღამ არ დამესიზმრება, აღარას გკითხავ, მაგრამ თუ დამესიზმრა, შემომფიცე, რომ ყველაფერს მეტყვი. გეფიცები, წარმოთქვა მარიამმა, აღარ იცოდა,

როგორ დაეხსნა თავი ამ მბრძანებლური ჩაციებისგან, მაგრამ მისმა მტკივანმა სულმა ღმერთს უსიტყვო ლოცვა აღუვლინა, რომელიც სიტ-ყვიერი რომ ყოფილიყო, ასე გამოითქმებოდა: უფალო, მე მომგვარე ეს სიზმარი ყოველ ღამე, დაე, თვით სიკვდილის წინაც კი ეგ დამესიზმროს, ოღონდაც ისე მოაწყვე, რომ ჩემმა შვილმა აღარ იხილოს. თქვა იესომ: ფიცი არ დაივიწყო. თქვა მარიამმა:

არ დავივიწყებ, გულში კი ისევ ის ლოცვა გაიმეორა.

მაგრამ უფალმა არ უსმინა. ღამე გავიდა, შავმა მამალმა დაიყივლა განთიადისას და განმეორდა სიზმარი და პირველი ცხენის თავიც კი გა-მოჩნდა მოსახვევში. გაიგონა მარიამმა, როგორ აკვნესდა იესო, მაგრამ აღარ მიეახლა, ბიჭი კანკალებდა, შიშის ოფლი ასხამდა, მაგრამ დედას არ ეძახდა, იცოდა, რომ არ ეძინა მარიამს. ნეტავ რას მიამბობს? – ფიქ-რობდა იესო და ფიქრობდა მარიამიც: ნეტავ როგორ უნდა ვუამბო? – და ხერხს ეძებდა, ეგება ყველაფერი არ ვუთხრაო. ხოლო დილით, როცა ად-გნენ, იესომ უთხრა დედამისს: ახლა ძმები სინაგოგაში ერთად წავიყვა-ნოთ, მერე სადმე განვმარტოვდეთ თავისუფლად სალაპარაკოდ. საბრა-ლო მარიამს საუზმის კეთებისას ყველაფერი ხელიდან უცვიოდა, მაგ-რამ მწუხარების ღვინო ჩამოსხმული გახლდათ უკვე და ისღა დარჩენო-და, დაელია. ბიჭები სკოლაში რომ წაიყვანეს, დედა-შვილი ქალაქგარეთ გავიდა და ერთ უკაცრიელ ალაგას ზეთისხილის ქვეშ დასხდნენ და არა-ვის, ღვთის გარდა, თუკი იმხანად იმ მხარეში იმყოფებოდა, არ შეეძლო გაეგონა, რას საუბრობდნენ, ხოლო თუ რას საუბრობდნენ, ქვებმა იციან, მაგრამ ქვები, როგორც ცნობილია, მაშინაც კი დუმან, როცა ერთმანეთს ეხლებიან, ხოლო მიწის წიაღში ხომ სრულ მდუმარებად იქცევიან. თქვა იესომ: შეასრულე დანაპირები, და მარიამმა მიუკიბ-მოუკიბავად მიუგო: მამაშენი სიზმრად ხედავდა, რომ სხვა ჯარისკაცებთან ერთად შენს მო-საკლავად მოდიოდა. ჩემს მოსაკლავად? ჩემი სიზმარიც ხომ ესაა.

ჰო, მოულოდნელი შვებით დაუდასტურა მარიამმა, იფიქრა, რა იო-ლად ჩაიარაო ყოველივემ, და დაუმატა: ახლა შენ ყველაფერი იცი, შინ წავიდეთ, სიზმრები კი – ღრუბლებივით არიან – მოვლენ, წავლენ,

უბრალოდ, მამაშენი ძლიერ გიყვარდა, ჰოდა, აი, სიზმარიც კი გიმემ-კვიდრა, ცხადში მამაშენი შენ არასოდეს მოგკლავდა და თვით ღვთის

ბრძანებითაც რომ აღემართა ხელი შენზე, ანგელოზი მყის იმ ხელს გაუკავებდა, როგორც აბრაამს, როცა თავისი შვილის, ისააკის მსხვერპლად შეწირვას აპირებდა. რაც არ იცი, ნუ ლაპარაკობ, მშრალად მოუჭრა იესომ და მარიამი მიხვდა, რომ მწუხარების ღვინის შესმა უკანასკნელ წვეთამდე მოუწევდა. თქვა: დამეთანხმე, შვილო, რომ უფლის ნებას, რაგინდ რა იყოს, წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება, ხოლო უფალს ჯერ ერთი რამ მოუნდება, მერე სხვას – საწინააღმდეგოს მოისურვებს, და ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. ეს თქვა, ხელები მუხლებზე მორჩილად დაილაგა და დადუმდა. იესომ თქვა:

ყველა კითხვაზე მიპასუხებ? გიპასუხებ, თქვა მარიამმა.

როდის მერე აეკვიატა მამაჩემს ეს სიზმარი? ძალიან დიდი ხნის წინ. მაინც? შენი დაბადების დროიდან. და ყოველ ღამე ერთი და იგივე ესიზმრებოდა? ჰო, მაგრამ ბოლო დროს აღარ მაღვიძებდა, რას არ ეჩვევა ადამიანი. მე იუდეის ქალაქ ბეთლემში დავიბადე?

ჰო. რა მოხდა ჩემი დაბადებისას ისეთი, რომ მას შემდეგ მამაჩემს ესიზმრებოდა, თითქოს მოკვლას მიპირებდა? ეს დაბადებისას არ მომხდარა. აბა, როდის? რამდენიმე კვირის მერე. და რა მოხდა? მეფე ჰეროდემ ბეთლემში ჯარისკაცები გააგზავნა ორი წლისა და ორ წელზე უმცროსი ბავშვების დასახოცად. რატომ? არ ვიცი. მამამ იცოდა? არა. რატომ არ მომკლეს? ქალაქგარეთ მღვიმეში ვცხოვრობდით და იქ დავიმალეთ. ესე იგი, იმიტომ არ მომკლეს, რომ ვერ მიპოვეს? ჰო. მამაჩემი მაშინ მეომარი იყო? არასოდეს არ ყოფილა. აბა, მაშინ რას საქმიანობდა? ტაძრის მშენებლობაზე მუშაობდა. ვერ გავიგე. მე შენს შეკითხვებს ვპასუხობ. თუ ჰეროდეს ჯარისკაცებმა ვერ მიპოვეს, თუ ქალაქგარეთ ვცხოვრობდით, თუ მამაჩემი მეომარი არასოდეს ყოფილა, თუ პასუხს არაფერზე აგებდა და ისიც კი არ იცოდა, რას ერჩოდა მეფე ჰეროდე ბეთლემელ ბიჭებს... აკი გითხარი, არ იცოდა-მეთქი. გამოდის, რომ... არაფერიც არ გამოდის, თუ სხვა შეკითხვა აღარ გაქვს, მეც არაფერი მაქვს საპასუხო. რაღაცას მიმალავ. იესო გაჩუმდა, გრძნობდა, მბრძანებლური სულისკვეთება, რომლითაც აქამდე ლაპარაკობდა, ისე მიიპარებოდა, როგორც წყალი ქვიშაში, მაგრამ იმავე დროს ცნობიერების რომელიღაც საიდუმლო კუნჭულში რაღაც აზრი გაუფაჩუნდა, ჯერაც ჩამოუყალიბებე-

ლი, მაგრამ უკვე ამაზრზენი და შემზარავი. მთის ფერდობს მათ თვალწინ ცხვრის ფარა მოუყვებოდა მწყემსითურთ, მიწისფრები იყვნენ ცხვრები, თითქოს მიწა მიწაზე მოაბიჯებსო. მარიამის მორცხვ სახეზე გაოცება გამოისახა: რას ანიშნებდა მწყემსის ტანმაღალი ფიგურა, ნაცნობი იერი და ის, რომ ამდენი წლის შემდგომ სწორედ ახლა აღმოცენდა, მარიამმა კი, შეხედა თუ არა, წამსვე იცნო ნაზარეთელი მეზობელი, ისეთივე გამხდარი, როგორიც მისივე ცხვრები. ამასობაში კი იესოს აზრმა სრულყოფილი სახე მიიღო და ახმოვანება მოითხოვა, ენა არ უბრუნდებოდა ამ აზრის გამოსათქმელად, მაგრამ მაინც გაუბედავად თქვა: მამამ იცოდა, ბავშვები რომ უნდა დაეხოცათ. კი არ იკითხა, უბრალოდ თქვა და ამიტომ პასუხიც საჭირო აღარ იყო. საიდან იცოდა? – რახან ეს უკვე შეკითხვა გახლდათ, მარიამმა მიუგო:

იერუსალიმში ტაძარს აშენებდა და გაიგონა, როგორ ლაპარაკობდნენ ამის შესახებ ჯარისკაცები. მერე? მერე შენ გადასარჩენად გამოიქცა. მერე? მერე იფიქრა, გაქცევა საჭირო არ არის, მღვიმეშიც შეიძლება დამალვაო. მერე?

რაღა მერე, ჰეროდეს ჯარისკაცებმა თავისი ქნეს და წავიდნენ. მერე? მერე ნაზარეთში დავბრუნდით. და მერე ეს სიზმარი აეკიდა? პირველად ჯერ კიდევ მღვიმეში დაესიზმრა. იესომ ხელები სახეზე იტაცა, თითქოს სურს, სახე მოიგლიჯოსო, მკერდიდან სასოწარკვეთილი კივილი აღმოხდა: მამაჩემმა ბეთლემელი ყრმები გაჟლიტა! ხომ არ გაგიჟდი, შვილო, ეს ჰეროდეს ჯარისკაცებმა ჩაიდინეს. არა, ქალო, ისინი მამაჩემმა დახოცა, იოსებმა, ილიას ძემ, რამეთუ იცოდა, რასაც აპირებდნენ, მაგრამ მშობლები არ გააფრთხილა, – და როცა ყველა სიტყვა გამოაფრქვია, ნუგეშის იმედიც სამუდამოდ გაქრა. იესო მიწაზე დაეცა და ტირილით იმეორებდა:

საწყლები, საწყლები!

დაუჯერებელიც კია, რომ ცამეტი წლის ასაკში, როცა თავმოყვარეობა ბუნებრივი და მისატევებელია, ადამიანი ასრერიგად შეეძრწუნებინა ამბავს, რომელსაც, თუკი ყველაფერს კარგად გავითვალისწინებთ, რაც თანამედროვე სამყაროს შესახებ ვიცით, წესით, ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა გულგრილად შეხვდებოდა. თუმცა ხალხი სხვადასხვა-

ნაირია, მათ შორის ისეთი გამონაკლისებიც გვხვდებიან, საუკეთესოები – როგორიც ეს ბიჭია, მწარედ რომ ტირის მამამისის შეცდომის გამო, ანდა იქნებ იმიტომაც, რომ, საფიქრალია, ძალიან უყვარდა ის თავის ორგზის დამნაშავე მამა. მარიამმა ხელი გაიწოდა, უნდოდა შეხებოდა, მაგრამ იესომ იუარა: არ მომეკარო, სულში ვარ დაჭრილიო. იესო, შვილო. შვილს ნუ მეძახი, შენც დამნაშავე ხარო. ნაშიერები შემწყნარებლობას მოკლებულნი არიან მუდამ და მკაცრად განსჯიან, არადა მარიამი უბრალოა თვით იმ დახოცილ ყრმათა მსგავსად, – აბა, ქალს ვინ ეკითხებოდა? ქმარი მოვიდა და თქვა: წავიდეთ აქედანო, მერე კიდევ: არაო, ჯობია დავიმალოთო და არაფერიც არ აუხსნია და, ცხადია, უნდა ეკითხა ქმრისთვის: ეს რა ყვირილი ისმისო? მაგრამ მარიამმა შვილს კამათი აღარ დაუწყო, თუმცა თავისი უდანაშაულობის დამტკიცება სულ იოლად შეეძლო, რადგან იმწამს ჯვარზე გაკრული იოსები გაახსენდა, ასევე უდანაშაულოდ მოკლული და სირცხვილნარევი ცრემლით შეიგრძნო, რომ ქმარი ახლა უფრო უყვარდა, ვიდრე სიცოცხლეში, ჰოდა, ამიტომაც არ მოუნდა თავის მართლება: სულერთი არაა, რომელი დანაშაული მოგეკითხება? და თქვა მხოლოდღა: შინ წავიდეთ, უკვე ყველაფერზე ვილაპარაკეთ, შვილმა კი უთხრა: წადი, მე დავრჩები.

გეგონებოდა, ფარამ ერთი ცხვარი დაკარგაო და ის უკაცური ადგილი კიდევ უფრო გაუკაცურდა და აქა-იქ მიმოფანტული სახლებიც კი ვეებერთელა ქვებს დაემსგავსნენ, სიმძიმის გამო ნელ-ნელა რომ ეფლობიან მიწაში. როცა მარიამის ფიგურა დაბლობის ფერფლისფერ სიღრმეში გაუჩინარდა, იესო, მთელ ტანზე რომ ცეცხლი ეკიდა და თითქოს სისხლიანი ოფლი სდიოდა, მუხლებზე დადგა და დაიღრიალა: მამა, მამა, რად მიმატოვე! – რამეთუ საბრალო ბიჭი თავს მიტოვებულად გრძნობდა, უიმედოდ მიგდებულად, გამეტებულად, უცნაური უდაბნოს უსაზღვრო სიცარიელეში შეტყუებულად, სადაც არც დედაა, არც მამა, არც ძმები, არც დები, სადაც მკვდრების გზის დასაწყისია მხოლოდ.

ის მწყემსი თავის ცხვრებს შორის იჯდა და მათგან ვერც კი რომ გამოარჩევდით, იესოს შორიდან უცქერდა.

12* * *

ორი დღის შემდეგ იესო სახლიდან წავიდა. იმ ორ დღეშიც იმდენი სიტყვა წარმოთქვა, თითებზე დაითვლიდით, ღამით კი თვალი არ მოუხუჭავს, ვერ იძინებდა. საშინელი სურათები ელანდებოდა: ხედავდა, როგორ შერბოდნენ ჰეროდეს ჯარისკაცები სახლებში, აკვნებიდან ბავშვებს ითრევდნენ, აშიშვლებდნენ და ჩეხდნენ მათ ციცქნა სხეულებს, ანდა ხმლებზე აგებდნენ, ესმოდა დედების გიჟური კივილი, მამების ღრიალი ცოფიანი ხარებივით, თავის თავსაც წარმოიდგენდა მღვიმეში, რაც არ შეეძლო ხსომებოდა და დროდადრო მძიმე, აუჩქარებელი ტალღასავით თავით ფეხებამდე დაუვლიდა ხოლმე სიკვდილის აუხსნელი სურვილი, თუ მთლად სიკვდილისა არა, ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლის არსურვილი მაინც. მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვა, რომელიც დედას არ დაუსვა: რამდენი ყრმა ამოწყვიტეს ბეთლემში, ასე ფიქრობდა, უამრავიო, გასისხლიანებული და თავმოჭრილი პატარების მთელი მთა ედგა თვალწინ, როგორც ბატკნები სასაკლაოზე, ცეცხლის მომლოდინენი, რომელიც გაანადგურებს მათ და ზეცას კვამლად აღუვლენს. მაგრამ რაკი თავის დროზე გულახდილობის ჟამს არ ჰკითხა, ახლა უკვე უტაქტობად ეჩვენებოდა, – იმ დროებაში საერთოდაც თუ არსებობდა „ტაქტის“ ცნება – ახლა დედისთვის ეთქვა: იცი, მაშინ დამავიწყდა მეკითხა და მაინც რამდენი ბეთლემელი ლაწირაკი გაუყენეს იმ ქვეყნის გზასო, დედა კი მიუგებდა: აჰ, შვილო, გამოიბერტყე თავიდან ეგ ამბავი, ასე სამიოდ ათეული თუ იქნებოდა, მეტი არა და იმიტომ დაიხოცნენ, რომ უფალმა ინება ასე, თუ მოისურვებდა, გადაარჩენდა კიდეცო. მაგრამ იესო ამ შეკითხვით თავს იტანჯავდა გაუთავებლად, თავის ძმებს შეჰყურებდა და გამუდმებით იმეორებდა: რამდენი? რამდენი? სურდა, უეჭველად სცოდნოდა, რამდენი პატარა გვამი გადაწონიდა მის ერთ გადარჩენილ სიცოცხლეს. მეორე დღეს კი, გამთენიისას დედას უთხრა: მივდივარ, ძმებსა და დებს გიტოვებ, რამეთუ არა მაქვს სიმშვიდე და არ არის მშვიდობა ჩემს სულში. მარიამმა ხელები ზეცას აღაპყრო და ალაპარაკდა: სად გაგონილა, რომ უფროს ვაჟს დაქვრივებული დედა მიეტო-

ვებინოს, ეს რა ხდება ცისქვეშეთში, საით მიექანება ქვეყნიერება, სად უნდა წახვიდე მშობლიური სახლიდან, როგორ უნდა მიატოვო ოჯახი და როგორ ვიცხოვროთ უშენოდ? იაკობი მხოლოდ ერთი წლითაა ჩემზე უმცროსი, მიუგო იესომ, აქამდე თუ მე ვიყავი, ახლა ის იქნება მარჩენალის მაგიერ. ეგ მარჩენალი შენი მამა იყო. არ მინდა მასზე ლაპარაკი, საერთოდაც არაფერზე ლაპარაკი არ მსურს, გზა დამილოცე, თუ გინდა, თუ არადა, უამისოდაც წავალ. სად წახვალ? არ ვიცი, ეგებ იერუსალიმში, ეგებ ბეთლემში, ვნახო ერთი, სად დავიბადე. იქ არავინ გიცნობს. მით უკეთესი, აბა, წარმოიდგინე, რას დღეს დამაყრიდნენ, რომ გაეგოთ, ვინცა ვარ. გაჩუმდი, იესო, ძმები გაიგონებენ. დრო მოვა და ისედაც ყველაფერს გაიგებენ. კი, მაგრამ გზებზე ყველგან რომაელი ჯარისკაცები დაძრწიან, იუდას მეამბოხეებს დაეძებენ, ათასი საფრთხე გემუქრება. ეგ რომაელები ვინმე ჰეროდეს ჯარისკაცებზე უარესები როდი არიან, გახსოვს ეგეთი ვინმე? ესენი ხმლებით მაინც არ დამეტაკებიან და არც ჯვარს მაცვამენ, რადგან უდანაშაულო ვარ და ცუდი არაფერი მიქნია. მამაშენიც არაფერში არ გარეულა, მაგრამ ხომ ნახე, რაც მოხდა. შენი ქმარი უდანაშაულოდ დაიღუპა, მაგრამ უდანაშაულოდ არ უცხოვრია. იესო, ეშმაკი მეტყველებს შენი პირით. ეგება ეშმაკი კი არა, ღმერთი? უფლის სახელს ამაოდ ნუ წარმოთქვამ. არავინ იცის, ამაოდ წარმოვთქვამთ უფლის სახელს, თუ არა: შენ ეს არ იცი, არც მე ვიცი, მხოლოდ მან ერთმა იცის, რას როგორ ვაკეთებთ. იესო, შვილო. რა იყო? სად შეიძინე

შენს ასაკში ასეთი სიბრძნე, სად დააგროვე ასეთი ცოდნა? არსად, არც არაფერი მისწავლია, სავარაუდოდ, ადამიანებს ჭეშმარიტება დაბადებით დაჰყვებათ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ არ გამოთქვამენ, რომ არ სჯერათ მისი. წასვლა მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი? დიახ. დაბრუნდები? არ ვიცი. თუ აუტანლად იტანჯები, ბეთლემში წადი, იერუსალიმში, ტაძარში მწიგნობრებსა და ბრძენებს გაესაუბრე, ჰკითხე, გაგარკვევენ და გასწავლიან და დაბრუნდები მშობლიურ სახლში, რადგან მჭირდები, ძმებსა და დებსაც სჭირდები. დაბრუნებას ვერ დაგპირდები. რით იცხოვრებ, რას გააკეთებ: მამაშენი ადრე მოკვდა და თავისი ხელობა ვერ გასწავლა. მიწას მოვხნავ, პირუტყვს მოვმწყემსავ, მეთევზეებს ვთხოვ, ზღვაში წამიყვანონ. მწყემსობა რომ არ გინდა?! შენ რა იცი? ასე მგონია.

ის ვიქნები, ვინც უნდა ვიყო, ახლა კი... არა, არა, ასე ნუ წახვალ, საგზალს გაგატან, ფული ცოტა გვაქვს, მაგრამ ვიშოვი და მამაშენის ჩანთა წაიღე, კარგია, რომ ეგ მაინც დარჩა. საჭმელს წავიღებ, ჩანთას არა. სხვა ჩანთა არ გვაქვს, მამაშენი კიდევ არც კეთროვანი იყო, არც ჭლექიანი, ასე რომ გძაგდეს. არ წავიღებ. ის დღეც დადგება, ატირდები მამის გამო, მაგრამ სახსოვრად აღარაფერი შეგრჩება. უკვე ვიტირე. კიდევ იტირებ და მისი ბრალიც დაგავიწყდება, მაგრამ მარიამს ამ ნათქვამზე პასუხი აღარ მიუღია. უფროსი შვილები მოვიდნენ და თქვეს: შინიდან მიდიხარ, ჩვენ კი არ ვიცით, რა ისაუბრეთ შენ და დედამ, ხოლო იაკობმა თქვა: ჩვენც გვინდა შენთან ერთად წამოსვლა – ამ ბიჭს უყვარდა რისკი, ფათერაკები, ახალი გზების ძიება, ლაღად უცქერდა ქვეყნიერებას. არ შეიძლება, უთხრა იესომ, შენ უნდა დარჩე, ვინმემ დედაზე ხომ უნდა იზრუნოს, ქვრივია, – ენაზე იკბინა, გვიანღა იყო, სიტყვა ხომ ბეღურა არ არის, გაგექცეს და იქვე დაიჭირო, ვეღარც ცრემლები შეაკავა, გადმოსდინდა ნაკადულებად, რადგან მამის ცოცხალი ხსოვნა ისე დაეტაკა, თითქოს თვალებში კაშკაშა შუქმა შეანათაო.

ნასადილევს კი წავიდა. სათითაოდ გამოეთხოვა ყველას – ძმებსა და დებს, მერე მტირალ დედას უთხრა – თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდა – დავბრუნდები, ავად თუ კარგად, დავბუნდებიო. მერე მხარზე შულდაკი მოიგდო, ეზო გადაჭრა და ჭიშკარი გააღო, ქუჩაში გავიდა და შედგა, თითქოს დაფიქრდა, ამას რას ვაკეთებო, სახლს, დედას, ძმებს ვტოვებო. რა ხშირად ხდება ხოლმე – როცა ზღურბლზე – სახლისა თუ გადაწყვეტილების ზღურბლზე მყოფებს ახალი აზრი მოგვივა თავში ანდა უბრალოდ გული აგვიჩქროლდება, ლამის გადავიფიქროთ და რას არ მივცემდით, ოღონდაც ჯერ ნათქვამი არ გვქონდეს ის, რაც უკვე ვთქვით. მარიამსაც ასე ეგონა და შეჩერებული შვილი რომ დაინახა, სახეზე სიხარული გადაეფინა, მაგრამ მზემ მხოლოდ წამით გამოიჭყიტა – ბიჭმა, სანამ გამობრუნდებოდა, საგზაო შულდაკი გზაზე დადო, თითქოს მძიმე გადაწყვეტილებით დასრულებულ ხანგრძლივ განსჯას წერტილი დაუსვაო. შინაურებისთვის ზედ არ შეუხედავს, სახლში შევიდა და როდესაც რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ კარში გამოჩნდა, ხელში მამის სანდლები ეჭირა. მდუმარედ, ჩამქრალი მზერით, თითქოს არ სურს, ვინმემ თვა-

ლებში ჩახედოსო, სანდლები შულდაკში ჩააწყო და სიტყვის უთქმელად, ხელის დაუქნევლად წავიდა. მარიამი ჭიშკრისკენ გაექანა, ბავშვები მიჰყვნენ, ამასთან დიდებს თავი ისე ეჭირათ, აქაოდა, დიდი რამეც არა ხდებაო, ან იქნებ ბოლომდე მართლაც არ ესმოდათ, რაც ხდებოდა და არავის დაუქნევია ხელი დამშვიდობების ნიშნად, რადგან იესო ერთხელაც არ მობრუნებულა. ამ ამბავს შემთხვევით შესწრებულმა მეზობლის ქალმა იკითხა: სად მიდის შენი შვილი, მარიამ? – და მარიამმა მიუგო: იერუსალიმში, იქ სამსახური ვუშოვეთ, და ეს, როგორც ვიცით, სიმართლე სრულიადაც არ გახლდათ, მაგრამ მოდი,

საბოლოო ზნეობრივი დასკვნის პასუხისმგებლობას ჩვენ ნუ ვიკისრებთ, რამეთუ თუ დროს საკმარის დროს მივცემთ, აუცილებლად დადგება დღე, როცა სიმართლე სიცრუედ იქცევა, სიცრუე კი – სიმართლედ. იმავე ღამით, როცა მარიამის გარდა ყველას ეძინა, ის კი მარჩიელობდა, ნეტავ ახლა ჩემი ბიჭი სად არისო, თავზემოთ ფუნდუკის ჭერი აქვს, ხის ქვეშ წევს თუ სადმე მღვიმეშიო, ღმერთმა დაიფაროს და რომაელებს ხომ არ ჩაუვარდა ხელთო – და უცებ ჭიშკრის ჭრიალი მოესმა და გულმა ბაგაბუგი აუტეხა, ლამის ბუდიდან ამოუხტა: იესო დაბრუნდაო! – იფიქრა და სიხარულისა თუ დაბნეულობისგან წამიერად გახევდა, რადგან კარის გაღება ასეთი მოზეიმე სახით არ მოუნდა – აი, რა გულქვად მომექეცი, თვითონ კი ერთი ღამეც ვერ გაძელი მშობლიური სახლის გარეთო, – ეს კი ბიჭს დაამცირებდა, ჰოდა, მარიამმაც გადაწყვიტა, წყნარად და უსიტყვოდ გასუსულიყო, თავი მოემძინარებინა, შემოვიდესო, შემოიპაროსო, თავის ჭილოფზეც კი დაწვესო, ნუ იტყვის, აი, მოვედიო, დილით კი დედა ხაზგასმით დაანახებს, უძღები შვილის დაბრუნებამ აი, რარიგად გამახარაო და გამაოცაო და განშორების ხანმოკლეობა სიხარულს ვერ შეამცირებს, რამეთუ განშორება იგივე სიკვდილია და ერთადერთი, რაც მათ განასხვავებს, კვლავ შეხვედრის იმედი გახლავთ.

მაგრამ რად შეყოვნდა? ეგება ზღურბლზე კვლავ შეყოყმანდა? – და ამ აზრს მარიამი წინ ვეღარ აღუდგა: აგერ ჭუჭრუტანა კარში, საიდანაც ეზოს მალულად დაინახავს, და თუ საჭირო შეიქნა, უკან, ჭილოფზე დაბრუნებასაც მოასწრებს თავის მოსამძინარებლად, ხოლო თუ დაბრუნება

გადაიფიქრა და კვლავ წასვლა დააპირა – შეაჩერებს. ფეხშიშველი, თითისწვერებზე მიეპარა კარს, ჭუჭრუტანას მიადო თვალი.

მთვარიანი ღამე იდგა, მიწა გუბურაში ჩამდგარი წყალივით ლაპლაპებდა. მაღალი ჩრდილი კარს ნელა უახლოვდებოდა და მარიამმა, შენიშნა თუ არა ეს სილუეტი, პირზე ხელი აიფარა, რომ არ ეყვირა. იესო კი არა, წარმოუდგენელი, გოლიათური, გიგანტური სიმაღლის მაწანწალა იყო: სწორედ ის, იმავე ძონძებში გამოწყობილი, სულ პირველად რომ ეცვა, მაგრამ ამჯერად, ეტყობა, მთვარის ციმციმის გამო, მძიმე ნაკეცებად დაშვებულ მდიდრულ მოსასხამად ქცეულიყვნენ. შეძრწუნებული მარიამი წირთხლს ჩაებღაუჭა, ნეტავ რა უნდა? ნეტავ რა უნდა? – ბუტბუტებდა საშინელებისგან ჩათეთქვილი ტუჩებით, მეორე წამს კი სულმთლად დაიბნა: მათხოვარი, თავს ანგელოზს რომ უწოდებდა, კართან მოვიდა, ოდნავ გვერდით გადგა, შინშემოუსვლელად სუნთქვა, მერე კი ფხაჭუნი გაისმა, თითქოს მიწის ნაიარევ ზედაპირს ჩიჩქნიან, შიგ ძვრებიან, უფსკრულის გათხრას ლამობენო. მარიამს არც შესაკითხი ჰქონდა რაიმე, არც კარის გაღება უცდია – ისედაც იცოდა, რაც ხდებოდა გარეთ: წამზე ნაკლები დროით მაწანწალა ისევ გამოჩნდა, მარიამს თვალწინ ჩამოეფარა, მერე კი სახლიდან ჭიშკრის მიმართულებით დაიძრა, ქუჩისკენ, და თან ფესვებიან-ღეროიანად საღსალამათად ამოთხრილი ხე მიჰქონდა – ის იდუმალი მცენარე, ცამეტი წლის წინ რომ აღმოცენდა იქ, სადაც ერთხელ მანათობელმიწიანი ფიალა დაფლეს. გაიღო და დაიხურა ჭიშკარი, ანგელოზი კვლავ მათხოვრად გადაიქცა და ღობის მიღმა ერთხელაც გამოჩნდა, თან მიწაზე მიათრევდა გრძელ-გრძელ, უფოთლო ტოტებს, ფრთიანი გველების მსგავსებს, მერე კი ისეთი მდუმარება ჩამოწვა, თითქოს ამ ყველაფერმა მარიამის წარმოსახვაში ჩაიფრინა ანდა ეზმანაო. ნელა გააღო კარი, ზღურბლს ფრთხილად გადააბიჯა. მიუწვდომლად მაღალი ცის ქვეშ სამყარო ნათლად და მკაფიოდ ჩანდა. კედელთან მიწაში ხეამოთხრილი ორმო ჩამუქებულიყო, ორმოს კიდიდან ჭიშკრამდე კი მანათობელი

კვალი გაწოლილიყო ირმის ნახტომივით – დიახ, მოდი, სწორედ ასე მოვიხსენიოთ და არა წმინდა იაკობის გზად, რადგან ის, ვისი სახელიც მოგვიანებით ამ მანათობელ მოვლენას დაერქვა, იმჟამად ჯერ მხო-

ლოდ ერთი უცნობი გალილეველი მოზარდი გახლდათ, დაახლოებით იესოს ხნისა, და ღვთის გარდა არავინ უწყის, ან ერთი სად იყო იმ დროს, ანდა მეორე.

მარიამმა შვილი გაიხსენა, მაგრამ ამჯერად შიში გულს აღარ უფხოჭნიდა – ამ მშვენიერი, უძირო, უშფოთველი ცის ქვეშ, სადაც ყველა მიწიერ წყაროსა თუ წვენს დაწაფებული, ნათლისგან გამოცხობილი პურის ყუასავით კაშკაშებდა მთვარე, ბიჭს ცუდი არაფერი დაემართებოდა. სულდამშვიდებულმა გადაჭრა ეზო, უშიშრად დაადგა ფეხი მიწაზე მიმოფანტულ ვარსკვლავებს და ჭიშკარი გააღო. გახედა – მანათობელი კვალი რამდენიმე ნაბიჯში შეწყვეტილიყო, თითქოს ფოთლებში ჩამდგარი შუქმდინარი სითხე გამოილიაო, ანდა კიდევ – ყური მივუგდოთ იმ ქალის მორიგ აბდაუბდა გამონაგონს, რომელსაც თვითონ როდი მოუწევს, ახსნა-განმარტება მოუძებნოს იმას, რაც მის წიაღში ჩაისახა და რაც მან ცხრა თვე მუცლით ატარა, – თითქოს მაწანწალა მათხოვარმა კვლავ ანგელოზის სახე მიიღო, ამგვარი მნიშვნელოვანი საქმის გამო მიწაზე სიარული აღარ იკადრა და ბოლოს და ბოლოს თავისი ფრთების გაშლაც გვაღირსაო. მარიამს ასეთი დაუჯერებელი სასწაული ისე ჩვეულებრივ, ბუნებრივ და ყოფიერებრივ წარმოუდგებოდა, როგორც მთვარის შუქში განბანილი საკუთარი ხელები. შინ რომ ბრუნდებოდა, ლურსმნიდან სანათური ჩამოხსნა, მიწაზე დარჩენილ, ხეამოგლეჯილ ღრმა ორმოზე გადაიხარა. ორმოს ფსკერზე ცარიელი თასი იდო.

მარიამმა ხელი ჩაყო და თასი ამოიღო – ერთი ჩვეულებრივი ჭურჭელთაგანი, შიგ მიწა ეყარა, მაგრამ აღარ ანათებდა, თასსაც საოჯახო ნივთის დანიშნულება დაბრუნებოდა, გაჩვეულებრივებულიყო, ამიერიდან უკუნისამდე მზად იყო რძის, ღვინის ან წყლის ჩასასხმელად პატრონის შეძლების შესაბამისად, რამეთუ ჭეშმარიტად თქმულ არს, ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველა ნივთსაც მოსაზღვრული ჟამი აქვს ცისქვეშეთშიო.

მოგზაურობის პირველი ღამე იესომ ღია ცის ქვეშ გაატარა. უკვე ბინდბუნდი დგებოდა, როცა შარამ პატარა დაბასთან მიიყვანა, უფრო სწორად, ქალაქის გარეუბანთან და იღბალმა, დაბადებიდანვე მტრულად რომ ექცეოდა და არცერთ ავის მომასწავებელ ნიშანს აღუსრულებლად

არ ტოვებდა, ამჯერად ისე ინება, რომ განაპირა სახლის მასპინძლები, რომლებსაც იესომ დიდი იმედის გარეშე კარზე მიუკაკუნა, ეგება ღამე გამათევინოთო, იმდენად სტუმართმოყვარენი აღმოჩდნენ, რომ თავის თავს სიცოცხლის ბოლომდე არ აპატიებდნენ, ეს პატარა ბიჭი ღამით ამ ომსა და ხოცვა-ჟლეტაში, ჯახაჯუხსა და ზედახორაში, ტყუილუბრალოდ ჯვრებზე გაკვრაში, უბიწო ყრმათა აკვანშივე ჩაკვლაში გარეთ რომ დაეტოვებინათ. იესომ უთხრა, ნაზარეთიდან იერუსალიმს მივდივარო, მაგრამ დედამისის სამარცხვინო ტყუილი, ვითომც იქ სამსახური ვიშოვეო, არ გაუმეორებია, არამედ თქვა, ჩემი ოჯახის დავალებით ტაძრის მწიგნობრებს კანონის გაუგებარი ადგილის ახსნა უნდა ვთხოვოო. მასპინძელს ერთობ გაუკვირდა, ასეთი მნიშვნელოვანი საქმე ამ უასაკო კაცს ვითარ ანდესო, იესომ კი მამამისის მოუხსენებლად აუხსნა, ასეც უნდა ყოფილიყო, რამეთუ ოჯახში უფროსი მე ვარო. ავახშმეს და ჩარდახის ქვეშ, ეზოში დააწვინეს,

რადგან შემთხვევითი სტუმრის დასაბინავებლად უკეთესი ადგილი არ მოეპოვებოდათ. შუა ძილში ისევ ის თავისი სიზმარი დაესიზმრა, ოღონდაც ამჯერად მამამისი და ჰეროდეს ჯარისკაცები ისე ახლოს აღარ მოსულან და არც ცხენის თავი გამოჩენილა მოსახვევში, თუმცა ამის გამო არც სიზმარს მოჰკლებია ზაფრა და არც ტანჯვა შემსუბუქებულა – აბა, თქვენი თავი წარმოიდგინეთ მის ადგილას, თითქოს მშობელი მამა, ვინც სიცოცხლე გიბოძათ, გაშიშვლებული ხმლით თქვენს მოსაკლავად მოიწევს. მასპინძელთაგან არავის შეუნიშნავს, როგორ წვალობდა მათი სტუმარი ძილში, რამეთუ იესომ სიზმარშიც კი ისწავლა თავშეკავება, შიშის დათრგუნვა და გაუღვიძებლად პირზე ხელის მაგრად აფარება, ისე, რომ ყვირილს მხოლოდ მისი სხეული შეერყია, მაგრამ ხმა მანამდე ჩახშობილიყო, სანამ გარეთ გაისმებოდა.

დილით მასპინძლებთან ერთად ისაუზმა, მერე მადლობა გადაუხადა, ქება მიუძღვნა იმგვარი საზეიმო სახითა და იმგვარი შესაფერისი სიტყვებით, რომ მადლიერება ერთობ გულწრფელად გამოავლინა, მასპინძლების ოჯახს კი მოაჩვენა, ამ ბიჭზე ჭეშმარიტად ღვთაებრივი მადლი გადმოდისო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სამარიტელთა არცთუ ძალიან პატივცემული მოდგმისანი იყვნენ. ამგვარად, დაემშვიდო-

ბა იესო კეთილ სამარიტელებს და გზა განაგრძო, ყურში ედგა სიტყვები, მასპინძელმა რომ გამოაყოლა: დიდება შენდა, უფალო ჩვენო, მეუფეო ზეციერო, ადამიანის გზის გამკვლევოო, რასაც თავის მხრივ იესო უმატებდა, მადლობა შენდა, უფალო ღმერთო, მეუფეო ზეციერო, რადგან ყოველივეს ითვალისწინებ, რაც ადამიანს სჭირდებაო და ამგვარად თვალნათლივ ადასტურებდა, რომ გამოცდილება ცხოვრებაში განვლილ დღეთა რიცხვის პირდაპირპროპორციულად იზრდება და თანაც სრულად შეესაბამება წესს, რომელიც მასვე აძლევს მეტს, ვისაც გააჩნია.

მოკლედ რომ ვთქვათ, რომელსა აქუნდეს, მიეცესო.

იერუსალიმის გზა კი მთლად კარგი რამ იქნებოდა, ცოტათი უკეთესი რომ ყოფილიყო. ჯერ ერთი, ყველა სამარიტელი ერთნაირი როდი იყო და იმ დროსაც არსებობდა ანდაზა, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ორია საჭიროო, ცხადია, აქ ორი მერცხალი იგულისხმება და არა ორი გაზაფხული, თანაც დედალ-მამალი – გასამრავლებლად. ტყუილად უკაკუნებდა იესო კარებზე იქაურებს – მეტად აღარავინ გაუღო და სად არ ათევდა ღამეს – პირველად ლეღვის ქვეშ, ტოტები იმ კაბებივით ფართოდ რომ ჰქონდა გაშლილი, აქ აღწერილი ამბებიდან თვრამეტი საუკუნის მერე რომ შემოვიდოდა მოდაში და „კრინოლინი“ რომ დაერქმეოდა. მერე მეორეც – იესო ქარავანს შეუერთდა და მის – იესოს – ბედად ამ ქარავნისათვის ფუნდუკში ადგილი ვერ მოინახა და ტრიალ მინდორში დასცეს კარვები. იესოს ბედადო, იმიტომ ვამბობთ, რომ ცოტა ხნით ადრე ჩვენს მარტოხელა პატარა მოგზაურს უკაცურ მთიან ალაგას ორი ავაზაკი დაესხა თავს, მშიშრები და შეუბრალებლები და ის ცოტაოდენი ფულიც წაართვეს, რაც კი გააჩნდა და ამის გამო იესოს სასტუმროებსა და ფუნდუკებში ღამისთევის სახსარი აღარ გააჩნდა, მათი პატრონები კი იმ დროში გულმოდგინედ მისდევდნენ კომერციის კანონებს და სტუმრებს, ჭერქვეშ ღამის გათევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თითო დაცემინებაშიც კი ფულს ახდევინებდნენ. ო, რა საბრალო სანახავი იყო – ოღონდაც არც დამნახავი ჰყავდა არავინ და არც შემბრალებელი ჩვენს პატარა ჩაგრულს, – როცა მძარცველებმა დამცინავი სიცილ-ხარხარით ცარიელ-ტარიელი მიატოვეს უსასრულო ცის ქვეშ, მთების გარემოცვაში, სრულიად

გაუგებარ, ყოველგვარ ზნეობრიობას მოკლებული სამყაროს შუაგულში, სადაც მხოლოდ ვარსკვლავები, ყაჩაღები და ჯალათები ბინადრობენ. და თუ შეიძლება, ამ ჩემს მიგნებებს ნუ დამიწუნებთ, აქაოდა, ცამეტი წლის ბიჭს მსგავსი მელანქოლიური აზრები არ ექნებოდაო, არც ცოდნა და ფილოსოფიური საფუძვლებიო, არც ცხოვრებისეული გამოცდილებაო; ნუ შემახსენებთ, არც სინაგოგის სკოლა, რომელშიც ჩვენი გმირი სწავლობდა, არც იქ მის მიერ გამომჟღავნებული გონიერება და მჭევრმეტყველების ნიჭი საკმარის საფუძველს არ ქმნის მის მიმართ ესოდენ მოჭარბებული ყურადღების გამოსაჩენადო. ამ მხარეში დურგლების შვილებს რა გამოლევსო, ბევრის მამა ჯვარსაც გააკრესო, მაგრამ რაკიღა შესაბამისი მასალის სიუხვის მიუხედავად, ჩვენი არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერეთ, ამიტომ მოდი, ყოველგვარი ეჭვი ამ არჩევანის შემთხვევითობისა და მცდარობის შესახებ თავიდან მოვიშოროთ. ჯერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ, რომ თითოეულ ადამიანში მთელი სამყაროა მოქცეული, ეს მისი იმანენტური და ტრანსცენდენტური თვისებაა. მერე მეორე, ეს მხარე დედამიწის სხვა ნაწილებისაგან მუდამ განსხვავდებოდა, აბა, გაიხსენეთ, მაღალი, საშუალო და დაბალი წოდების რამდენი ადამიანი წინასწარმეტყველებდა აქ, ისაიათი დაწყებული და მალაქიათი დამთავრებული, მათ შორის მეფეებიც იყვნენ, მღვდლებიც, მწყემსებიც – ვინ აღარ! ამიტომაც მსჯელობისას მეტი თანმიმდევრობა გვმართებს, რამეთუ ამ დურგლის შვილში გამჟღავნებული ნიჭიერების მოკრძალებული ნიშნები ნაჩქარევი დასკვნების საფუძველს როდი გვაძლევს, რადგან ასე შეიძლება დასაწყისშივე გავუფუჭოთ კარიერა. დიახაც, ეს მოზარდი, იერუსალიმისკენ რომ გაუწევია, მაშინ, როდესაც მის თანატოლებს ჯერ სახლიდან ფეხი არსად გაუდგამთ, არც არწივისებრი მახვილი მზერით გამოირჩევიან და არც სიბრძნის საგანძურები არიან, ჩვენგან მაინც გარკვეულ პატივისცემას იმსახურებს: იგი სულშია დაჭრილი, როგორც დედამისს განუცხადა, ბუნება კი იმგვარი აღმოაჩნდა, რომ სულის იარას ვერ შეეგუება, ვერ შეეჩვევა, ვერ დაელოდება, სანამ კეთილგონივრული მიდგომა – ამაზე არ უნდა ვიფიქროო – ამ იარას არ მოუშუშებს – არა, ამის ნაცვლად აიღო და თამამად შეაბიჯა სამყაროში, სადაც, სავარაუდოდ, მრავალი ახალი სულის

ჭრილობა მოელის, ბოლოს ერთ მთლიან, ყოვლის განმსაზღვრელ ტანჯვად რომ გადაექცევა. შესაძლოა ეს ვარაუდი საშინელ ანაქრონიზმად აღიქვათ, რამეთუ თანამედროვე კომპლექსების განთავსებას ფროიდის, იუნგის, გროდეკისა და ლაკანის გამოჩენამდე ბევრად ადრე დაბადებული პალესტინელი ბიჭის სულსა და გულში ვცდილობთ[3], მაგრამ ეს ჩვენი შეცდომა, მაპატიეთ თვითდაეჭვება, არც ისე მცდარი გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წმიდა წერილში, რომელიც იუდეველთა სულიერი საზრდო გახლდათ, უამრავი მაგალითით დასტურდება, რომ ნებისმიერი ეპოქის ადამიანები, რაგინდარა დროში შობილნი, ერთმანეთისგან საუკუნეებით დაშორებულნი, გარკვეული წარმოსახვითი თვალსაზრისით ერთმანეთისა და ჩვენი თანამედროვენი არიან. ერთადერთი და უპირობო გამონაკლისი ადამისა და ევას ისტორია გახლავთ და იმიტომ კი არა, რომ პირველი მამაკაცი და პირველი ქალი გახლდნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ ბავშვობა არ ჰქონიათ და ქვეყნიერებას უკვე ზრდასრულნი მოევლინენ. ბიოლოგებსა და ფსიქოლოგებს ვთხოვ, კამათს ნუ ატეხენ: ჯერ კიდევ კრომანიონელის წარმოუდგენელ მენტალობაში ჩაისახა ის გოგრა, მე და თქვენ მხრებზე რომ გვაბიაო. ეს ერთობ არაკორექტული არგუმენტი იქნება, რადგან არც ერთ კრომანიონელს ერთი სიტყვითაც არასოდეს უხსენებია დაბადების წიგნი, იესომ კი სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ სწორედ ამ წიგნში ამოიკითხა. თუმცა ერთობ გაგვიტაცა ამ მსჯელობებმა, რომლებსაც, უნდა ითქვას, პირდაპირი კავშირი აქვს წინამდებარე სახარებასთან, და

დაგვავიწყდა იერუსალიმის გზაზე გავყოლოდით დურგლის ძე იესოს, ის კი ამასობაში ქალაქს მიუახლოვდა – უფულოდ, მაგრამ ჯანმრთელად და უვნებლად, გადაყვლეფილი ფეხებით, მაგრამ ამ გრძელი გზისგან ოდნავადაც ვერშერყეული რწმენით, ისეთივეთი, სამი დღის წინ რომ ენთო მის გულში, როცა მშობლიური სახლის ზღურბლს გადმოაბიჯა. პირველად არ არის აქ, ამიტომაც ზომიერად ხარობს – ასეთი

[3] გეორგ გროდეკი (1866-1934) – გერმანელი ექიმი, მწერალი და მეცნიერი, ცნება „იდი“-ს ავტორი, რომელიც შემდგომში ფროიდმა გამოიყენა). ჟაკ ლაკანი (1901-1981) – ფრანგი მეცნიერი, ფილოსოფოსი და ე.წ. სისტემური ფსიქოანალიზის შემქმნელი.

გრძნობა ეგების ღვთისმოსავ ადამიანს, რომელმაც უკვე კარგად იცის, ან ჰა-ჰა და, სულ მალე კარგად ეცოდინება თავისი ღმერთის ავანჩავანი. ამ მთიდან, გეთსემანიისას რომ ეძახიან, ანუ, რაც იგივეა – ზეთისხილისას, მის თვალწინ რიტორის მჭევრმეტყველურად დაწყობილი მონოლოგის რთული პერიოდებივით მშვენიერი ხედი გადაშლილა, სრულქმნილი მშვენიერებით მოჩანს ტაძარი, კოშკები, სასახლეები და სახლები იერუსალიმისანი და ქალაქი თითქოს ისე ახლოა, გეგონება ხელს გავიწვდენ და მივწვდებიო, ოღონდაც იმ აუცილებელი ვითარების გამო, რომ ასეთ დროს მისტიკური ცეცხლი უკიდურეს მხურვალებას აღწევს და მის ალში გახვეული ადამიანი საკუთარ ძალებსა და სამყაროს სულის ძალმოსილებას შორის განსხვავებას ვეღარ აცნობიერებს. საღამოვდებოდა, მზე შორეული ზღვისკენ იწვერებოდა. იესო დაბლობისკენ ეშვებოდა და ფიქრობდა, ნეტავი ღამეს სად გავათევო – შიგ ქალაქში თუ გალავანს გარეთ, როგორც წინათ, როცა დედ-მამას პასექზე ჩამოვყავდი და ერთ-ერთ იმ კარავთაგანში ვცხოვრობდით, რომელთაც ქალაქის ხელისუფალნი კეთილი ზრუნვის ნიშნად მომლოცველთათვის შლიდნენ ხოლმეო, თანაც, თავისთავად ცხადია, ცალკე მამაკაცებისა და ცალკე დედაკაცებისთვის, განცალკევებით რომ ყოფილიყვნენ და ეს წესი ბავშვებზეც ვრცელდებოდაო. როცა ახლად ჩამომდგარ ბინდბუნდში ქალაქის გალავანს მიუახლოვდა, ბჭისკარი უკვე იხურებოდა, მაგრამ მცველებმა მაინც შეუშვეს და შეაბიჯა თუ არა, ზურგს უკან მძიმე ურდულებმაც დაიბრახუნეს და იესოს ადგილზე ვინმე სინდისშელახული რომ ყოფილიყო, აი, ისეთი, ყველაფერში საკუთარ საქციელსა თუ დანაშაულზე მინიშნებებს რომ ეძებს გაუთავებლად, აუცილებლად იფიქრებდა, ხაფანგში გავებიო, რკინის მახეში გამეხლართა კანჭებიო, ან კიდევ თავისი თავი აბლაბუდაში გახლართულ ბუზად მოეჩვენებოდა. მაგრამ ცამეტი წლის მოზარდი ცოდვას ჯერ ასე როდი ჰყავდა დამძიმებული, ცოდვა თუ ჩაედინა, მხოლოდ უნებლიე, ჯერ არ დასდგომოდა ძარცვისა და კაცკვლის ასაკი, ჯერ ადრე იყო ცრუმოწმეობა და გულისთქმა ცოლისა მოყვასისა თვისისათვის, ანუ მონისა, ანუ ხარისა, ანუ კარაულისა, და ამიტომაც სუფთა იყო იესოს სინდისი, ერთი ლაქაც კი არ ეცხო, თუმც კი უკვე თანდათან კარგავდა თანდაყოლილ უბიწოებას, რამეთუ სიკვდილის ხილვა

გარდაუვლად გარდაქმნის მნახველს. საღამო ჟამის ტრაპეზის დრო იყო, დაცარიელებულ ქუჩებში მაწანწალები და მათხოვრებიღა დაბორიალებდნენ და ისინიც კი ცდილობდნენ თავ-თავიანთ საიდუმლო სოროებსა და ხვრელებში დამალვას, რამეთუ უკვე გამოდიოდნენ ქალაქში რომაელი გუშაგები ამრევთა და ბოროტმოქმედთა ჯინაზე, თვით ჰეროდე ანტიპას ქალაქშიც კი რომ არ იშლიდნენ ბნელ საქმეებს, იმის მიუხედავად, რომ, თუ დაიჭერდნენ, მოწამეობრივი სასჯელი არ ასცდებოდათ, აი, ისეთი, სეფორისში რომ იყო მაშინ. ჩირაღდანთა მოცეკვავე შუქით გაჩახჩახებული ქუჩის სიღრმეში ხმლებისა და ფარების ხმადაბალი წკრიალისა და მძიმე საბრძოლო სანდლების ბრაგაბრუგის თანხლებით გუშაგთა ერთი ამგვარი საბრძოლო რაზმი აღმოცენდა. იესო კედელს აეკრა და დაელოდა, სანამ ლეგიონერები თვალს არ მიეფარნენ, მერე კი თავშესაფრის საძებნად გასწია. სადაც ივარაუდა, იქვე იპოვა კიდეც ტაძრის ვეება მშენებლობაზე, ნიშისმაგვარ სივრცეში, ორი ნახევრად დამუშავებული უშველებელი ქვა რომ ქმნიდა და ქვისავე ფილით რომ იყო გადახურული. იქ შეიყუჟა, გამხმარი და

დაობებული პურის ნარჩენები მიირთვა და თავისი შულდაკის ფსკერზე ნაპოვნი ცოტაოდენი ლეღვის ჩირი მიაყოლა. სწყუროდა, მაგრამ წყალი არსად იყო და მოთმენა გადაწყვიტა. ჭილოფი გაშალა, პაწია საბანი წაიხურა – ერთიცა და მეორეც შინიდან ჰქონდა წამოღებული, რომ არ შესცივნოდა, გუნდასავით მომრგვალდა და დაიძინა კიდეც. და აქაც, იერუსალიმშიც კვლავ ის სიზმარი ეწვია, მაგრამ ეტყობა, ღვთის სიახლოვემ შეამსუბუქა – ისევ ადრინდელ სურათს ხედავდა, მაგრამ ამჯერად ჰეროდეს მეომრების ნაცვლად რომაელი ჯარისკაცები მოდიოდნენ, ამათ კი იესო ჯერჯერობით ხელიდან იღბლიანად უსხლტებოდა ხოლმე. გამთენიისას გამოიღვიძა, თავისი სამარესავით ცივი სოროდან გამოძვრა, საბანში გაეხვა და აისის ვარდისფერი შუქით შეფაკლულ მომცრო ქვის სახლებს გადახედა. მერე ლოცვა თქვა, ბავშვურ ბაგეთაგან ერთობ საზეიმოდ გაისმა: დიდება, შენდა, უფალო ღმერთო ჩემო, მეუფეო ზეციერო, რამეთუ სახიერებითა შენითა აღმიდგინე სული ცოცხალი და შეუცვლელი. დგება ხოლმე ცხოვრებაში დაუვიწყარი წამები, მოსაფრთხილებლები, დასამახსოვრებლები, დროთასვლისგან გადასარ-

ჩენები, და არა მხოლოდ თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით ჩასაწერები, რასაც ახლა ჩავდივართ, ამ სახარების წერისას, ანდა საღებავებით ტილოებზე დასახატები, ან ფოტოზე, ან კინოფირზე, ან ვიდეოზე აღსაბეჭდები – მთავარია, რომ მან, ვინც ეს წამები განიცადა, შეძლოს ისინი შთამომავლობას სამარადჟამოდ გადაულოცოს, რათა იმათ თავიანთი თვალით იხილონ, ისე თითქოს ახლა, ჩვენს დროში იერუსალიმს მივსულიყავით და საკუთარი თვალით დაგვენახა ეს ბიჭი, იესო, იოსების ძე, მოკლე საბანში გახვეული, წმინდა ქალაქის სახლებს მაცქერალი და უფლის მადიდებელი იმისათვის, რომ მან – უფალმა – მას – იესოს კიდევ ერთხელ აღუდგინა სული ცოცხალი და შეუცვლელი. მხოლოდ ცამეტი წლისაა, ცხოვრებას ახლაღა იწყებს, სამომავლოდ უფრო ბედნიერი წამებიც ექნება და უფრო სევდიანიც, იმედიანიც და სასოწარკვეთით მოცულიც, მხიარულიც და სულ მთლად ტრაგიკულიც, მაგრამ ჩვენ ეს წამი ავირჩიეთ, როცა ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს, როცა განთიადის ნათელი ჯერაც სუსტია, საბანში გახვეულ ბიჭს კი ფერხთით სამგზავრო შულდაკი უგდია, მომცრო ქვის სახლებს გადაჰყურებს, სამყარო კი მოლოდინითაა გარინდული. მაგრამ ვაი, რომ ეს შეუძლებელია, აი, ბიჭი თვითონ შეირხა, წამმა ჩაიქროლა და დრომ იქით გაგვაქანა, სადაც მხოლოდ მოგონებებია, იყო, არ იყო, ასე იყო თუ ასე არ იყო. მოდი, ვთქვათ – იყო, ყველაფერი ზუსტად ასე იყო. ახლა კი იესო ვიწრო ქუჩებს მიუყვება, თანდათან რომ ივსება ხალხით – ტაძარში მისვლა ჯერ ადრეა, მწიგნობრებს – ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში კარგად გამოძინება უყვართ. აღარ სცივა, მაგრამ კუჭი უყმუის, შია, ორი ცალი შემორჩენილი ლეღვის ჩირი შიმშილს თუ გაუძლიერებს და ეგაა. ახლა ის დროა, მძარცველების წართმეული ფული დაენანოს, რამეთუ ფული ქალაქში სხვაა, მინდორში კი სულ სხვა, შენთვის რომ მიხვალ-მიისტვენ, თან ათვალიერებ, რა გემრიელი რამ დაგიტოვეს მიწათმოქმედებმა ღვთის მცნების თანახმად: რამეთუ მკიდე მინდორსა შენსა და ძნა დაგირჩეს, არა დაბრუნდე მის ასაღებად, დაე, იყოს მომსვლელისათვის, ქვრივებისა და ობლებისათვის; რამეთუ კრეფდე ზეთისხილს შენსა, არა მოიხილვოდე ტოტებსა აწ უკვე ჩამოკრეფილსა; რამეთუ რთვლავდე ვენახსა შენსა, არა აჰკრებდე მარცვალსა დაცვინულსა მიწასა ზედა, დაე, იყოს მომსვლელისათვის,

ქვრივებისა და ობლებისათვის; და გახსოვდეს მარადის, რამეთუ მონა იყავ ეგვიპტესა შინა. მაგრამ იერუსალიმი დიდი ქალაქია და თუმცა ღმერთმა სწორედ აქ ბრძანა თავისი მიწიერი სამყოფლის აგება, ამ საქველმოქმედო ზნე-ჩვეულებებმა აქამდე ვერც მოაღწია და არც დამკვიდრებულა, ამიტომაც, თუ ფული არ გაქვს, სხვა გზა არაა, უნდა ითხოვო, არ შეუშინდე უხეშ უარს, ან მოიპარო, მაგრამ იცოდე: თუ ჩავარდები, მათრახი და ვირის აბანო არ

აგცდება, თანაც მადლობელი იყავი, ასე იოლად თუ გადარჩი. იესოს ქურდობა არ შეუძლია, თხოვნა კი არ სურს, ჰოდა, მშიერი თვალებით უცქერის ახლად გამომცხვარი პურის გორებით, ხილის პირამიდებით, კერძებითა და ნუგბარით სავსე დახლებს ქუჩის მთელ გაყოლებაზე, ტვინი ერევა, ლამისაა გული წაუვიდეს – სამი დღეა, არაფერი უჭამია, თუ სამარიტელთა მცირედ ნამასპინძლევს არ ჩავთვლით და ამიტომაც, დაგროვილი შიმშილი აუტანელი და მოუთმენელი გამხდარა. დიახ, რა თქმა უნდა, ტაძარში მიდის, მაგრამ ჩვენი ხორცი, მისტიკოს-მარხვიკოსებმა რაც უნდა ილაპარაკონ, მაინც უკეთ აღიქვამს ღვთის სიტყვას, თუკი გაგებისა და გააზრების უნარი საჭმლით გვაქვს განმტკიცებული. საბედნიეროდ, ერთმა გამვლელმა ფარისეველმა შეამჩნია, ამ მოზარდს შიმშილით გული მისდისო, შეებრალა, და რა ტყუილად გაუვარდებათ მომავალში ცუდი სახელი და თვით სიტყვა „ფარისეველი“ ლამის საგინებელ სიტყვად იქცევა, არადა ისინი არსებითად კეთილი ადამიანები იყვნენ, რაიც სწორედ იმ კაცმა დაადასტურა, იესო რომ შენიშნა და ჰკითხა: ვინ ხარო? იესო ვარ, გალილეის ნაზარეთიდანო, უპასუხა ბიჭმა, ხოლო როცა შეკითხვა გაისმა, ხომ არ გშიაო, ენაც დაება, რადგან სიტყვები სრულიად ზედმეტი გახლდათ: სახეზე ეწერა ყოველივე. ობოლი ხარ თუ? არა, მაგრამ აქ მარტო ვარ. სახლიდან გამოიპარე?

არაო, – და მართლაც ხომ არ გამოპარულა, გაახსენდა, დედა, ძმები და დები როგორ ეხვეოდნენ გამომშვიდობებისას, ხოლო წასულს უკან ერთხელაც რომ აღარ მიუხედავს, ეს გაქცევასა და გაპარვას სულაც არ ნიშნავს, მაგრამ სიტყვებს თავისი თვისებები აქვთ და საფიქრალია, უბრალო „ჰო“ და უბრალო „არა“ მათ შორის ყველაზე მეტად დამაჯერებელნი არიან, მაგრამ ჭეშმარიტება პირდაპირ კი არა, მიკიბულ-მოკი-

ბულ პასუხს მოითხოვს: აბა, რას ჰქვია „გამოვიპარე“, არაფერიც არ გამოვპარულვარ, – და აი, აქ კი ჩვენგან აწ უკვე მოთხრობილი მთელი ამბავი კიდევ ერთხელ უნდა გამეორდეს, მაგრამ ნუ შიშობთ, ეს არ მოხდება, რადგან, ჯერ ერთი, ამ ფარისეველს, მხოლოდ ერთჯერადად რომ გამოჩნდება ჩვენს თხრობაში, ამ ამბის ცოდნა არად სჭირია, მერე მეორეც, მე და თქვენ ეს ამბავი ყველაზე უკეთ ვიცით: აბა, დაფიქრდით, რა ცოტა იციან ამ სახარების გმირებმა ერთმანეთის შესახებ, იესომ – დედ-მამაზე, მარიამმა – ქმარსა და ვაჟზე, ხოლო საძმო საფლავში ჩაგდებულმა იოსებმა ხომ საერთოდაც არაფერი იცის. ჩვენ კი, მათგან განსხვავებით, ყველაფერი ვიცით, რაც კი რამ აქამდე ჩაუდენიათ, უთქვამთ ან უფიქრიათ მათ და ყველა სხვასაც, მაგრამ თავი ისე უნდა გვეჭიროს, თითქოს არაფერი ვიცოდეთ და, გარკვეული თვალსაზრისით არაფრით არ განვსხვავდებოდეთ ამ ფარისევლისაგან, ხომ არ გშიაო, იესოს რომ ჰკითხა, თუმცა ბიჭის ფერმკრთალი, გატანჯული სახე ნებისმიერ სიტყვაზე უკეთ ღაღადებდა:

კი ნუ მეკითხები, დამაპურეო. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს სწორედაც რომ ასე მოიქცა ის გულმოწყალე ადამიანი – ფურნეში ორი პური იყიდა, ჭიქა რძე აიღო და უსიტყვოდ მიაწოდა იესოს, ამასთან ჭიქის აღებ-მიცემაში ორივეს ხელებზე ცოტაოდენი რძე გადაესხა და ორივემ ერთდროული და ერთნაირი მოძრაობით მიიტანა რძიანი ხელები პირთან, წვეთები იმგვარად შეისრუტეს, დაგდებულ პურს რომ ვკოცნით ხოლმე, და, მართალი გითხრათ, გული მწყდება, ეს ორნი მეტად რომ აღარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს, – მათ ხომ თითქოს კავშირი შეკრეს და ამ მშვენიერი მოქმედებით სიმბოლურად დაადასტურეს.

ფარისეველმა, სანამ თავის გზას გაუდგებოდა, ჯიბიდან ორი მონეტა ამოიღო და წარმოთქვა: ჯობს, შინ დაბრუნდე, ქვეყნიერება ჯერჯერობით მეტისმეტად დიდია შენთვის.

დურგლის ვაჟმა, ხელში ჭიქითა და პურით, უეცრად იგრძნო, რომ აღარ შიოდა, მიმავალ ფარისეველს შესცქეროდა და ახლაღა წარმოთქვა მადლობის სიტყვები, თანაც ისე ხმადაბლა, რომ ის მაინც ვერ გაიგონებდა, თუნდაც ერთ-ერთი იმათგანი ყოფილიყო, ვინც სიკეთისათვის მადლობას მოელის და ვინც ჩვენს გმირს უმადურ და უზრდელ ბი-

ჭად ჩათვლიდა. და იესოს კვლავაც შიმშილმა დარია ხელი და აქვე, შუა ქუჩაში შეჭამა თავისი პური და შესვა თავისი რძე, ცარიელი ჭიქა კი გამ-ყიდველს გაუწოდა, მან კი, გადახდილია, შენთვის დაიტოვეო. ეს როგორ-რაო, ვიკითხავთ, ასეთი წესი იყო იერუსალიმში – რძე ჭურჭლიანად იყი-დებოდაო? არაა ცნობილი, მაგრამ იმ ფარისეველმა სწორედ ასე ქნა, და ღმერთმა იცის, რა აზრები მოსდიოდა ამ დროს თავის ფარისევლურ თავში. მაშ, შემიძლია თან წავიღო? გითხარი, შენია, გადახდილია-მეთ-ქი.

იესომ ჭიქა საბანში გაახვია, შულდაკში ჩადო და გაიფიქრა, სიფ-რთხილე მმართებს, ემანდ არ გამიტყდეს, თიხა ხომ ერთობ ნაზი და სა-თუთიაო, და მართლაც, თიხა ხომ ისაა, რისგანაც ადამიანის ტანია შექ-მნილი და გინდ ჭიქა იყოს და გინდაც კაცი, დროებითაა მოზელილი გან-გების მიერ. ხორცი გამოკვება, სული გაიმაგრა და ასე გაემართა ტაძრის-კენ იესო.

მოედანზე, სადამდეც კარიბჭის მაღალ საფეხურებს აჰყვა, უკვე ბლო-მად ხალხი ირეოდა. კედლების გაყოლებაზე ორთავ მხრიდან დახლები და კარვები ჩაემწკრივებინათ, ყველაფერს ყიდდნენ სამსხვერპლო ცხო-ველების ჩათვლით. აქა-იქ ტაბლებთან მეკარმეები ისხდნენ; ვაჭრები ხელებს იქნევდნენ და თავიანთ საქონელს აქებდნენ; ქვეითი თუ ცხენო-სანი რომაელი გუშაგები წესრიგს იცავდნენ; მონები დახურულ ტახ-ტრევნებს დაატარებდნენ; აქლემები მედიდურად დააბოტებდნენ; და-ყუნყულებდნენ მძიმედ დატვირთული ვირები; ირგვლივ ყიჟინა და გურ-გური ისმოდა, შიგადაშიგ ბატკნებისა და თიკნების კიკინიც ერთვოდა – ვის ზურგზე მოეგდო, ვის ხელით მოჰყავდა დაღლილი ბავშვივით, სხვე-ბი კისერზე თოკგამობმულებს მოათრევდნენ, მაგრამ ყველას ერთი ბე-დი ელოდა – ყასბის დანა და სამსხვერპლო ცეცხლი. იესომ ერთ განსა-კუთრებულ ემბაზს ჩაუარა, განსაბანელად წოდებულს, საფეხურებს აუყ-ვა, შეუჩერებლად გადაჭრა წარმართთა ეზო და ქალთა ეზოში შევიდა, საიდანაც ზეთისა და ისრაელიანთა ეზოებში გადიოდა კარები, და იქ, ბოლოს და ბოლოს მიაგნო იმას, რასაც ეძებდა – უხუცესები და ბრძენნი ისხდნენ და ჩვეულების თანახმად სჯულის კანონს განმარტავდნენ, კითხვებს პასუხობდნენ, რჩევებს არიგებდნენ.

ყმაწვილი ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს სწორედ მაშინ მიუახლოვდა, როდესაც ერთმა იქ მყოფმა ხელი ასწია შეკითხვის დასასმელად და როცა მწიგნობარმა თავის დაქნევით ნება დართო, იკითხა: ამიხსენი, თუ შეიძლება, სიტყვასიტყვით უნდა გავიგო ის, რაც სჯულის ფიქალზე დაუწერა მოსეს უფალმა სინას მთაზე, როცა დაჰპირდა, მიწას მშვიდობას მოვუვლენ და ჩემს ხალხს ვერავინ შეაწუხებსო და რომ დაჰპირდა, ჩემი ხალხის მიწიდან ველურ მხეცებს განვდევნი და ამ მიწაზე მახვილი არ გაივლისო, ხოლო ჩვენ მტრებს გავაძევებთ და დაეცემიან ჩვენი ხმლებისგან და ხუთნი ასეულს განვდევნით და ასი ჩვენგანი კი ბნელსაც დასძლევსო? მწიგნობარმა შემკითხავს ეჭვიანად შეხედა, ემანდ გალილეველი მეამბოხე იუდას მოგზავნილი ხომ არ არისო კაცთა გონების მზაკვრულ სიტყვებით საცდუნებლადო, აქაოდა, ტაძარი

რომაელებს მორჩილებსო, – და ამიტომაც ცხარედ მიუგო: ეს სიტყვები უფალმა მაშინ წარმოთქვა, როდესაც ჩვენი წინაპრები უდაბნოში ილტვოდნენ ეგვიპტელთაგან. შემკითხავმა კვლავ ხელი აიწია, კიდევ მაქვს შეკითხვაო და თქვა:

თუ სწორად მესმის, შენ ამბობ, რომ სინას მთაზე წარმოთქმულ უფლის სიტყვებს აზრი მხოლოდ იმ დროში ჰქონდა, როცა ჩვენი წინაპრები აღთქმულ მიწას დაეძებდნენ? თუ ეგრე გესმის, ცუდი ისრაელიანი ყოფილხარ, რამეთუ უფლის სიტყვებს აზრი ყოველ დროებაში ჰქონდა, აქვს და ექნება კიდეც, წარსულშიცა და მომავალშიც და სიტყვა ღვთისა ღმერთთან მანამდეც იყო, სანამ გამოითქმოდა და მას მერეც დარჩა, რაც უფალმა თვისი ბაგენი დაახშო და აღარა გვითხრა. გამოდის, რომ ფიქრს მიკრძალავ? და რა ფიქრი გაქვს? ვფიქრობ, უფალს ესათნოება, თუ მჩაგვრელებზე იარაღს არ აღვმართავთ, რომ ას ჩვენგანს ხუთის წინააღმდეგ ამხედრებაც კი ვერ გაუბედავს და რომაელთა ასეული ათი ათას იუდეველს შიშში ამყოფებს. ნუ გავიწყდება, ტაძარში ხარ და არა ომში. ჩვენი ღმერთი ომის ღმერთია. ნუ დაგავიწყდება, რომ უფალმა მოსეს პირობა წამოუყენა. რა პირობა? რა და, უფალმა თქვა, ეს ყოველივე მაშინ აღსრულდება, თუ ჩემი მცნებით იმოქმედებთო, თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ და აღასრულებთო, გაიგე? და რით ვეურჩეთ, რა მცნებები არ აღვასრულეთ, რომელი აღთქმა დავარღვიეთ? რაო, რომაელთა ბატო-

ნობა ჩვენი ცოდვების სამართლიან საზღაურად უნდა ჩავთვალოთ? ეგ მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. ღმერთმა კი უწყის, თუ რამდენს სცოდავს უნებლიეთ ადამიანი, მაგრამ ხომ ვერ ამიხსნიდი, რად მოინდომა ჩვენი დასჯა რომაელების საშუალებით, რატომ პირისპირ არ დაუდგა თავის რჩეულ ხალხს? უფალმა იცის თავისი მიზანიცა და საშუალებაც. მაშასადამე, შენ ამბობ, რომ უფლის ნებით ბოგინობენ რომაელები ისრაელის წმინდა მიწაზე? დიახაც. და, ესე იგი, ვინც რომაელებს წინ აღუდგება, ის უფლის ნებას აღუდგება? მცდარი დასკვნაა. შენს თავს ეწინააღმდეგები, ბრძენო. უფლის სურვილი შესაძლოა უარყოფით გამოიხატოს. სურვილი მხოლოდ ადამიანს გააჩნია, მაგრამ ჩვენს სურვილს უფლის თვალში ძალა არა აქვს? დიახ, ასეა. მაგრამ აკი ადამიანს ნება ებოძა? დიახ, მაგრამ ადამიანს სასჯელის ტვირთვის ნებაც ებოძა. ამ წუთიდან მსმენელთა შორის ხმადაბალი ჩოჩქოლი ატყდა, ზოგიერთებმა ალმაცერად დაუწყეს ცქერა კაცს, რომელიც წმინდა წერილის ნათლით მოსილ კითხვებს კი სვამდა, მაგრამ კითხვები იმავდროს უხერხულად და კადნიერად ჟღერდა და ამიტომაც, ხომ გითხარით, ისეთი თვალით დაუწყეს ცქერა, თითქოს მთელი ისრაელის ცოდვები მარტო მან უნდა იტვირთოს და გამოისყიდოსო, ხოლო ორჭოფნი დარწმუნდნენ ბრძენის სიმართლეში, ახლა რომ მოლოცვებსა და ქება-დიდებას ქედმაღლური ღიმილით ისმენდა, თავისი ფასის კარგად მცოდნე ოსტატივით თუ სიტყვიერ ბრძოლებში გამოცდილი მეომარივით თვითკმაყოფილი იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს მსურველებს იწვევდა, ვინმეს კიდევ ხომ არ სურს ჩემს სიბრძნესთან შეჭიდებაო, გლადიატორი გეგონებოდათ, ერთი სუსტი მეტოქის შემდეგ მეორეს, უფრო ძლიერს რომ უხმობს არენაზე, რამეთუ რაც მეტად მძიმე იქნება ბრძოლა, მით მეტი დიდება ერგება გამარჯვებულს. და აი, კვლავ აღიმართა ხელი და გაისმა კითხვა: უფალი მოსეს ეუბნებოდა და რქუა მას: უცხოს ნუ შეავიწროებ და ნუ დაჩაგრავ, რამეთუ თავად იყავით უცხონი ეგვიპტის მიწაზეო, მაგრამ ამ კაცს შეკითხვის დასრულება აღარ დასცალდა, წინა ორთაბრძოლით გახურებულმა მწიგნობარმა დამცინავად შეაწყვეტინა: იმედია, იმას არ მეკითხები, რომაელებს, თუმც კი უცხონი არიან, რატომ ჩვენიანებივით არ ვექცევითო?

არა, მე მაგას არ გეკითხები, მინდა გავიგო, რომაელები რად გვექცევიან თავისიანებივით, თუმცაღა

სხვადასხვა ღმერთს ვლოცულობთ და ერთმანეთისგან განსხვავებულ კანონებს ვიცავთ. აჰ, მაშ, შენც გინდა ღვთის რისხვა დაიმსახურო მისი სიტყვების ეშმაკეული განმარტებისთვის?! კვლავ გააწყვეტინა მწიგნობარმა. არა, მე მინდა მითხრა, მართლა გგონია, თითქოსდა აღთქმას ვიცავდეთ, როცა უცხოებად ვიქცევით თუ ჩვენსავე მიწაზე არა, ჩვენს რჯულსა და რწმენაში მაინც? რას გულისხმობ, პირდაპირ თქვი! რას ვგულისხმობ? ზოგიერთებს, დღეს რომ ცხოვრობენ, ბევრს, ვინც ადრე ცხოვრობდა და კიდევ უფრო მეტს, მომავალში რომ იცხოვრებს. იცი, რა გითხრა, მე მაგ შენი იგავებისთვის არა მცალია, გამოცანებს თავი ანებე. როცა ეგვიპტიდან გამოვედით, ეს მხარე, ისრაელად რომ მოვნათლეთ, სხვა ხალხით იყო დასახლებული, უნდა გვებრძოლა ჩვენ იმათთან და იმ ხანებში უცხოები სწორედ ჩვენ გახლდით, მაგრამ უფალმა გვიბრძანა, ხოცეთ და გაანადგურეთ ყველა, ვინც ჩემს ნებას წინ აღუდგესო. დიახაც, რადგან ეს აღთქმული მიწა იყო, მაგრამ უნდა დაგვეპყრო და დავუფლებოდით, არც გვიყიდია და არც საჩუქრად მიგვიღია. ახლა კი უცხოს უღლის ქვეშ ვცხოვრობთ და ეს მიწა, ჩვენად რომ ვაქციეთ, უკვე ჩვენი აღარ არის. ზეციერ მამას წუთითაც არ დაავიწყდება თავისი რჩეული ხალხი, გინდ მთელ ქვეყნიერებაზე მიმოფანტული იყოს იგი და გინდაც ერთად შეკრებილი და სადაც უფალი მოისურვებს, იქ იქნება ისრაელი. მაგრამ აქედან გამომაქვს დასკვნა, რომ სადაც უნდა აღმოვჩნდეთ, ჩვენთვის სხვები მარად უცხოები იქნებიან. უფლის თვალში – უეჭველად. მაგრამ აკი ჩვენ შორის მცხოვრები უცხო, ღვთის მცნების თანახმად, ჩვენიანივით უნდა გვიყვარდესო, იმის სახსოვრად, რომ თვით ვიყავით უცხონი ეგვიპტის მიწაზეო. დიახ. მაგრამ ასე მგონია, მეტისმეტად ძლევამოსილი უცხო, რომელიც დაგვიპყრობს, რომაელებმა როგორც დაგვიპყრეს, ჩვენიანივით არ უნდა გვიყვარდეს. სწორად განსჯი. ჰოდა, მაშინ დაე, სიბრძნემ და ცოდნამ ამიხსნას: ის დღე თუ დადგება ოდესმე, როდესაც ჩვენც შევიძენთ ძალმოსილებას, დაგვრთავს უფალი იმ უცხოთა დაჩაგვრის ნებას, მცნებით რომ გვმოძღვრავს, გიყვარდეთო? ისრაელი ღვთის წინააღმდეგ არასდროს წავა, უფალი კი არასოდეს

მიუზღავს ბოროტს თავის რჩეულ ხალხს. მაშინაც, როცა ხალხი არ შეიყვარებს მათ, ვის სიყვარულსაც ღმერთი ავალებს? დიახ, თუ მისი ნება იქნა ასეთი. ვისი – უფლის თუ ისრაელის? ორივეს ნება, რადგან ორივე ერთი მთლიანობაა. კი მაგრამ, აღთქმაში ხომ ნათქვამია, უცხოს უფლებებს ნუ შელახავთო. დიახ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, საერთოდ თუ აქვს უფლებები იმ უცხოს, ან თუ ვანიჭებთ. თანხმობის შეძახილები მოჰყვა ამ სიტყვებს და მწიგნობარმა კვლავ მოუგო სულელს კამათში, და აუბრწყინდა ბრძენს თვალები გამარჯვებისგან იმ ათლეტივით, ბადრო ყველაზე შორს რომ სტყორცნა, რეტიარიუსივით, მეტოქე რომ ბადეში გაება, ცხენოსანივით, მარულაში რომ ყველა მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა. აქ კი იესომ ასწია ხელი და არც არავის გაჰკვირვებია, რომ ეს უასაკო ყმაწვილკაცი უკვე ცდილობდა ტაძრის ბრძენთა და მწიგნობართაგან მიეღო ცოდნა – ახალგაზრდობას ცნობისწადილი ახასიათებს, ჭაბუკს, აბელისა და კაენისგან მოყოლებული, მუდამ აეჭვებს რაღაცეები და უფროსები გულმოწყალე ღიმილით მხრებზე ხელებს უტყაპუნებენ და ეუბნებიან: გაიზრდები და თვითონ დარწმუნდები, რომ მაგ ყველაფერს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონიაო. მათგან ყველაზე გონიერები კი უეჭველად დაუმატებენ: შენხნობას მეც ზუსტად ასე ვფიქრობდიო.

ამასობაში მსმენელები, აუდიტორიისგან ყურადღებას მიჩვეული მწიგნობრის სამწუხაროდ, უკვე დაშლას რომ აპირებდნენ, ისევ მობრუნდნენ, თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ და ძლივს გაისმა იესოს ხმა: ბრალის შესახებ მინდა გკითხოთ. დააშავე რაიმე? არა, ზოგადად, ბრალის შესახებ, თუმცა ჩემს ბრალსაც

შეეხება ჩემი შეკითხვა: ბრალი მიმიძღვის, თუმც ცოდვა არ ჩამიდენია. გარკვევით თქვი. უფალმა ბრძანა, მამები შვილების სიკვდილით არ უნდა დაისაჯონ და შვილები მამების სიკვდილითო და ყველა საკუთარი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯოსო. ასეც ხდება, ოღონდაც გაითვალისწინე, რომ აქ ძველი დროის ჩვეულება იგულისხმება, როცა ოჯახის წევრის დანაშაულზე მთელი ოჯახი აგებდა პასუხს, თვით უცოდველი ჩვილების ჩათვლით. მაგრამ უფლის სიტყვა ხომ მარადიულია და ყველა დროებას შეეხება, განა ცოტა ხნის წინ თავად არ ბრძანე, ადამიანს სასჯელის ტვირთვის ნებაც ებოძაო, და ამიტომ მე ასე ვფიქრობ, მამის მი-

ერ ჩადენილი დანაშაული, თუნდ თვითონ უკვე დასჯილი იყოს ამის გულისთვის, ერთი სასჯელით არ სრულდება და მემკვიდრეობით გადადის შვილზე მსგავსად იმისა, როგორც რომ ჩვენ, ამჟამად მცხოვრებნი ადამისა და ევას პირველცოდვის ტვირთს დავატარებთ. გამოგიტყდები, გაოცებული ვარ შენი, ესოდენ ნორჩი და ამასთან, როგორც გეტყობა, არცთუ მაღალი წოდების ადამიანის გონიერებით, ასე მშვენივრად გასცნობიხარ წმინდა წერილს და ასე იოლად აგნებ მასში საჭირო ადგილს. მხოლოდ ის ვიცი, რაც მასწავლეს. საიდანა ხარ? გალილეის ნაზარეთიდან. კილოკავზე ასეც შეგატყვე. გთხოვ, გამარკვიო ჩემს ეჭვებში. კეთილი და პატიოსანი, დავუშვათ, რომ ადამისა და ევას ცოდვა, უფალ ღმერთს რომ არ დაუჯერეს, მხოლოდ ის კი არაა, რომ იგემეს ნაყოფი ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, არამედ უფრორე ამისაგან გამომდინარე საბედისწერო შედეგებია, რამეთუ თავისი საქციელით ყოვლისმპყრობლის ის ჩანაფიქრი აურიეს, რომლის თანახმად ჯერ კაცი შექმნა, მერე კი ქალი. მაშ, შენ ამბობ, რომ ადამიანის ყველა ქმედება, სამოთხეში უფლის სიტყვის არდაჯერება ან სხვა რაიმე, მუდამ ღმერთის იმ ჩანაფიქრს უნდა შეესაზომოს, კუნძულს რომ მოჰგავს, ადამიანთა სურვილების ზღვით შემოსაზღვრულს? – ეს კითხვა იესოს არ დაუსვამს, დურგლის ვაჟი ასეთ კადნიერებას აბა, როგორ გაბედავდა, არამედ იმან, მეორედ რომ იპაექრა ბრძენ მწიგნობართან, და მწიგნობარმაც საგულდაგულოდ, გამოზომილად აარჩია სიტყვები პასუხისათვის: იცი, რა გითხრა, არც მთლად ასეა: ღვთის ნება არა მხოლოდ ყოველივესა და ყველას განაგებს, ის ყოველივე არსებულსაც დასაბამს აძლევს. კი, მაგრამ განა შენ თვითონ არ თქვი, ადამმა რომ უფლის სიტყვა არ შეისმინა, ამის გამო ჩვენც ვერ გავიგეთ, რა გეგმა ჰქონდა ღმერთს დასახული თვით ადამის ცხოვრებისათვის, ცოდვა რომ არ ჩაედინაო? ჰო, ეგ ეგრეა, მაგრამ სამყაროს შემოქმედი და ყოვლისმპყრობელი უფლის ნება ყველა შესაძლო ნებას შეიცავს: იგი ღვთის ნებაცაა, მაგრამ იმავდროულად, ყოველი ადამიანისაც – ამჟამად ცოცხლებისაც და მათიც, ვინც სამერმისოდ უნდა იცოცხლოს. ეგრე რომ იყოს, როგორც შენ ამბობ, წამოიძახა იესომ თითქოს გონების უეცარი გასხივოსნებით აღტკინებულმა, მაშინ ყველანი ღვთის ნაწილები ვიქნებოდით. შესაძლოა, მაგრამ ადამიანთა სრული

ერთობლიობა, რამდენიც რომ მიწაზე სახლობს, ღმერთს ისე თანაშეეზომება, როგორც ქვიშის მარცვალი თვალუწვდენელ უდაბნოს. და მწიგნობარი უეცრად თვალსა და ხელს შუა შეიცვალა – მისი ამპარტავნება უკვალოდ გაქრა. კვლავინდებურად ზის იატაკზე მოწაფეებითა და თანაშემწეებით გარემოცული და მათ თვალებში მოწიწება და შიში თანაბრად სახლობს – ჯადოქრად თვლიან, გაუფრთხილებელი და უნებური გამოლოცვით არყოფნიდან უზარმაზარი ძალა რომ გამოიხმო, რომლის ტყვეობაშიც ამიერიდან თვითონ უნდა მოექცეს. მხრებში მოხრილს ხელები მუხლებზე უღონოდ დაუწყვია, თითქოს მთელი არსებით, ჩამოგრძელებული სახის ყოველი ნაკვთით ითხოვდეს, გევედრებით, ჩემს სევდასთან მარტო დამტოვეთო. და ხალხმა დაშლა დაიწყო – ზოგმა ისრაელიანების ეზოს მიაშურა, სხვები იქით გაემართნენ, სადაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა მსჯელობები და განმარტებები. იესომ თქვა: შენ ჩემს შეკითხვას არ უპასუხე.

მწიგნობარმა თავი ნელა ასწია, ბიჭს ისე შეხედა, თითქოს ღრმა ძილიდან ეს-ესაა გამოერკვაო, და ხანგრძლივი, მოუთმენლად ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მიუგო: ბრალი მგელია, ჯერ მამას რომ შეჭამს, მერე კი შვილსაც დაგლეჯს. და მაგ მგელმა შეჭამა მამაჩემი? ჰო, ახლა კი შენ მოგდგება. შენ თვითონ თუ შეუჭამიხარ და დაუგლეჯიხარ ვინმეს? არათუ შევუჭამივარ, არათუ დავუგლეჯივარ – ამოვურწყევივარ კიდეც.

იესო ადგა და წავიდა. კართან შეყოვნდა, ფეხი აითრია, უკან მოიხედა. სამსხვერპლოდან კვამლი პირდაპირ ზეცისკენ მიიწევდა სვეტად, ხოლო იქ, მაღლა იფანტებოდა და ქრებოდა, თითქოს ღვთის უზარმაზარი ფილტვები ისრუტავსო. შუადღევდებოდა, ბრბო იმატებდა, ხოლო შიგნით, ტაძრის ერთ-ერთ სავანეში იჯდა კაცი სულდაფლეთილი, უსაშველო სიცარიელეს განიცდიდა და უცდიდა, ძვლებზე ხორცი როდის აღმიდგება, ისევ ჩემს ტყავში როდის გავეხვევი, ერთ საათში ან თუნდაც ერთ დღეში მშვიდად და ღირსეულად რომ ვუპასუხო იმას, ვინც, მაგალითად, მოისურვებს გაიგოს, ლოთის ცოლი რომ გადაიქცა, ის სვეტი ქვამარილისა იყო თუ ზღვის მარილისა, ანდა ნოე თეთრი ღვინით დათვრა თუ შავით. ტაძრიდან გამოვიდა თუ არა, იესომ თავისი მოგზაურობის მეორე მიზნის – ბეთლემის გზა გაიკითხა, ორჯერ გეზი აერია, სწორ მხა-

რეს არ შეუხვია ხალხით სავსე ჩახლართულ ქუჩაბანდებში და ბოლოს მონახა მიმართულება, რომლითაც ბედმა ცამეტი წლის წინათ ატარა ამქვეყნად მოსვლის მომლოდინე დედის საშოში. მცდარი იქნება ვარაუდი, რომ თვითონ ფიქრობდა ამ რამეებს, მით უფრო, რომ სიცხადე და უცილობლობა შთაგონებას მუდამ აფერხებს, რის დასტურადაც ერთ მაგალითს მოგახსენებთ: დაე, წინამდებარე სახარების მკითხველმა თავისი დედის პორტრეტს შეხედოს, იმდროინდელს, თვითონ მკითხველი რომ ეჯდა მუცლად და გამოგვიტყდეს, შეუძლია თუ არა, თავისი თავი მუცლად მყოფი წარმოიდგინოს. იესო კი მიაბიჯებს ამასობაში ბეთლემისაკენ, მწიგნობრის პასუხებზე ფიქრობს, სხვების დასმულ შეკითხვებზეც, და არ ასვენებს, სულს უშფოთებს იმის შეგრძნება, რომ ყველა კითხვა საბოლოოდ ერთადერთ კითხვამდე დადიოდა, პასუხები კი – ყველა კითხვას რომ მოერგებოდა, ისეთი გახლდათ, განსაკუთრებით მწიგნობრის ბოლო ყოვლისმომცველი სიტყვები: ბრალი, მგელივით გაუმაძღარი, არასდროს არ დაცხრება, მუდამ შეგვჭამს და მოგვინელებსო. ხშირად ჩვენი მახსოვრობის სისუსტის გამო თვითონაც არ ვიცით – ან თუ ვიცით, საჩქაროდ ვცდილობთ, დავივიწყოთ – ჩვენი ბრალის მიზეზები, მოტივი, ფესვი, ანუ ფიგურალურად რომ მოგახსენოთ – ტაძრის მწიგნობრის სტილში – ბუნაგი, საიდანაც ის მგელი გამოვარდება, რომ მსხვერპლს დაეძგეროს. მაგრამ იესომ იცის ამ ბუნაგის ადგილსამყოფელი, სწორედ იქით გაუწევია. წარმოდგენაც არ აქვს, იქ რა უნდა აკეთოს, მაგრამ თითქოს ყველას სათითაოდ უნდა განუცხადოს: აჰა, ეს მე ვარ, – და ყოველ შემხვედრს ჰკითხოს: რა გსურს? დამსაჯო? მაპატიო? დაივიწყო? რაქელის სამარესთან შეჩერდა, როგორც ოდესღაც მისი მშობლები, ილოცა და გზა გააგრძელა, გრძნობდა, როგორ უცემდა გული. აი, ბეთლემის პირველი სახლები, სადაც მის ყოველღამეულ სიზმრებში ჰეროდეს ჯარისკაცები შეცვივდებიან ხოლმე და მათთან ერთად – მამამისი, მაგრამ, სიმართლე ითქვას, დაუჯერებელია, რომ ეს საშინელება სწორედ ამ ცის ქვეშ მოხდა, ახლა ზედ რომ მშვიდი, თეთრი ღრუბელი ისე მინანაობს, თითქოს თვით უფალს მოსურვებია, აქაურობას თავისი კეთილგანწყობა დაანახოსო. ამ მიწაზე, მზის სხივებს ნებიერად რომ ძირს გასწოლია, უნებურად მოგინდება წარმოთქვა: „ეჰ, დავივიწყოთ ეს ყოვე-

ლივე, ნუღარ ამოვთხრით ძვლებს სამარიდან“ და სანამ ერთ-ერთი სახლიდან

ქალი არ გამოსულა ჩვილით ხელში და არ უკითხავს: „ვის დაეძებო“, მოტრიალდე და ისე წახვიდე, რომ კვალი, აქ რომ მოგიყვანა, წაიშალოს და იმედი იქონიო, მალე ჟამთასვლა იმ მოვლენების ხსოვნას ხშირი მტვრის ქვეშ დამალავსო. გვიანღაა, რაღა დროსია. წამის წინ ქინქლას ჯერ კიდევ შეეძლო გადარჩენა, გვერდზე გაწევა, მაგრამ თუ ფრთის კიდით უკვე ოდნავ მაინც შეეხო წებოვან აბლაბუდას, მერე რაგინდ იფართხალოს, რაგინდ იქნიოს სარგებლობადაკარგული ფრთები, ვეღარაფერი უშველის და რაც მეტად აფართხალდება თავისუფლებისკენ სწრაფვით, მით მეტად გაიბლანდება აბლაბუდაში, სანამ ქანცი არ გაუწყდება და სასიკვდილო გარინდებაში ჩავარდნილი არ მიხვდება, რომ ხსნასა და დანდობას მაშინაც კი აღარ უნდა ელოდეს, თვით ობობამაც რომ უარი თქვას, ესოდენ მცირე ნადავლი სულაც არაფრად მჭირდებაო.

და იესოსთვისაც წამმა, როცა ჯერ კიდევ გადარჩენა შეეძლო, ჩაიფრინა. ქალაქის მოედანზე, ტოტებგაბარჯღული ლეღვის ქვეშ რაღაც დგას – დაბალი, კუბისებური, და დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, სამარხი რომაა ეს რაღაცა. იესო მიუახლოვდა, ნელა შემოუარა, ერთ-ერთ წახნაგზე ნახევრად წაშლილი წარწერები ამოიკითხა და ეს ყოველივე რომ დაასრულა, მიხვდა, ის ვიპოვე, რასაც ვეძებდიო. მოედანი ვიღაც ქალმა გადმოკვეთა, ხუთიოდე წლის ბავშვი ხელჩაჭიდებული მოჰყავდა და ცნობისწადილით უცქერდა უცხო ადამიანს, ჰკითხა: საიდან ჩამოსულხარო, და თავის გასამართლებლად დასძინა, ვხედავ, აქაური არ უნდა იყოო. გალილეის ნაზარეთიდან ვარო. აქ ნათესავები ხომ არ გყავსო. არა, იერუსალიმში ვიყავი და ვიფიქრე, ბარემ ბეთლემსაც ვნახავ-მეთქი. მაშ, შემთხვევითი გამვლელი ხარ? ჰო, საღამოხანს, რომ აგრილდება, იერუსალიმში მინდა დავბრუნდე. ქალმა ბავშვი ხელში აიყვანა და თქვა: ღმერთი იყოს შენი მეგზურიო, და ის იყო თავისი გზით აპირებდა წასვლას, როცა იესოს შეკითხვამ შეაჩერა: აქ ვინ არის დაკრძალულიო. ქალმა ბავშვი გულში ჩაიკრა, თითქოს საფრთხისგან იფარავსო და უპასუხა: ოცდახუთი პატარა ბიჭი, დიდი ხნის წინათ მოკვდინებული. რამდენიო? ხომ გითხარი, ოცდახუთი-მეთქი. რამდენი

წლის წინ? მეთოთხმეტე წელი გადის. მართლაც ბევრია. იმდენივე, რამდენი წლისაც შენა ჩანხარ. არა, მე იმათ რიცხვზე ვამბობ, ვინც აქ მარხია. ერთი მათგანი ჩემი ძმაა. შენი ძმაც აქ წევს? ჰო. ეს, ხელში რომ გყავს, შენი შვილია? ჰო, პირველია. და რატომ დახოცეს ის ბიჭები? არ ვიცი, მაშინ შვიდი წლის ვიყავი.

კი, მაგრამ ალბათ მშობლებისგან, უფროსებისგან გაგეგონება. „გაგონება“ რაში მჭირდებოდა, იქ ვიყავი, როცა კლავდნენ. შენს ძმას? ჩემს ძმასაც. ვინ ქნა ეს საქმე? მეფე ჰეროდეს ჯარისკაცები მოვიდნენ და ორ წლამდე ასაკის ბიჭებს დაერივნენ. რისთვის, დღემდე არავინ იცის. მაგრამ როცა ჰეროდე მოკვდა, ტაძარში რატომ არ მიხვედით, მღვდლებს რად არ სთხოვეთ, რომ გაეგოთ ამის მიზეზი? არც კი ვიცი, რა გიპასუხო. რომაელებს რომ ექნათ ეს საქმე, რაღაცას კიდევ გავიგებდი, მაგრამ ხომ უნდა იყოს მიზეზი, რომლისთვისაც მეფემ თავის ქვეშევრდომთა დასახოცად ჯარისკაცები გამოგზავნა, თანაც ბავშვების. მეფის სურვილებს ჩვენ ვინ გვკითხავს, ღმერთი იყოს შენი მფარველი. რა, ორი წლის ხომ არ გგონივარ? სიკვდილის ჟამს ყველანი ორი წლისანი ვართ ხოლმე, თქვა ქალმა და თავის გზას გაუდგა. მარტო დარჩენილი იესო საფლავის წინაშე მუხლებზე დაეშვა, შულდაკიდან აწ უკვე გამხმარი პურის ნარჩენები ამოალაგა, სამარის კართან ისე დააწყო, თითქოს უმწიკვლოდ დახოცილი უხილავი ყრმების დაპურება

გადაწყვიტაო და იმავ წამს მოსახვევში ქალი გამოჩნდა, სხვა ქალი, მთლად მოხუცი, მოკაკული, ჯოხს დაყრდნობილი, სანახევროდ დაბრმავებული. სუსტი თვალებით შეამჩნია, რასაც უცნობი ყმაწვილი აკეთებდა, შეჩერდა, ჩააცქერდა, იესო კი წამოდგა, თავი დახარა, თითქოს ამ უბედური ბავშვების სულთა განსვენებისთვის ლოცულობსო და თუმცა სიტყვა „სამარადისო“ აქ თითქოს არ უნდა გამოგვრჩენოდა, მაგრამ საგანგებოდ გამოვტოვეთ, რამეთუ ერთხელ, როცა ვეცადეთ წარმოგვედგინა, რა უნდა იყოს განსვენება, სამარადისოდ რომ გაგრძელდება, წარმოსახვამ უარი გვითხრა. იესომ ლოცვა მოათავა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ცარიელი კედლები, დახურული კარები და მოშორებით მდგარი დედაბერი დაინახა, მხევლის სამოსში გამოწყობილი, ჯოხს ეყრდნობოდა, და ცნობილი ამოცანის მესამე ნაწილის აშკარა თვალსაჩინოება გახ-

ლდათ: რომელი მხეცია, დილით ოთხფეხი, დღისით ორფეხი და საღამოს კი სამფეხიო, ოდესღაც იდუმალმა სფინქსმა ბრძენთაბრძენ ოიდიპოსს რომ ჰკითხა, ხოლო მან კი მიუგო: ადამიანიო, თუმცა იმაზე არც უფიქრია, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ის სულაც არ გახსენებია, რომ ყოველი ადამიანი როდი აღწევს შუადღის ასაკს და მხოლოდ აგერ, ბეთლემში ასეთთა რიცხვმა ოცდახუთი შეადგინა. დედაბერი კი მოცუხცუხებს, მოირწევა, ახლოვდება, და აჰა, იესოს მოეახლა, კისერი გამოიწვდინა, უკეთ რომ შეეთვალიერებინა, ეკითხება: ვის ეძებ? იესომ ჯერ არ უპასუხა, რამეთუ ჭეშმარიტება ღაღადებდა, რომ იგი „ვის“ კი არა „რას“ ეძებდა და უკვე ეპოვა კიდევაც, აგერ, ორ ნაბიჯში მდებარე, თანაც თუ ადრე ესენი „ადამიანების“ რიცხვში ძლივს მოიაზრებოდნენ, – ლაწირაკები, დასვრილ ჩვრებში გახვეული ძუძუმწოვრები, მერე, როდესაც სიკვდილი დაატყდათ თავს, ბუმბერაზებად გადაიქცნენ, ვერც ერთ კუბოში რომ ვერ ეტეოდნენ, ნებისმიერი საძვალე ევიწროებოდათ და თუ ამქვეყნად სიმართლე არსებობს, ყოველღამე უბრუნდებოდნენ ამ სააქაოს თავიანთი სასიკვდილო ჭრილობების – ხმლისპირებით გამოჭრილი კარიბჭეების გამოსაფენად, რომელთა გავლით არყოფნაში გადასულიყვნენ. არა, მიუგო იესომ, არავის არ ვეძებ. მაგრამ მოხუცი არ მიდიოდა, თითქოს ელოდა, აბა, კიდევ რას მეტყვისო და ამ ლოდინმა ის სიტყვები მოსწყვიტა ბაგეს, რომელთა წარმოთქმა აქამდე აზრადაც არ მოსვლია: აქ დავიბადე, ქალაქგარეთ, მღვიმეში, ჰოდა, მოვედი. დედაბერმა რის გაჭირვებით ნაბიჯით უკან დაიხია, რაც კი შეეძლო, დაჟინებული მზერით გაბურღა და შემკრთალი ხმით შეეკითხა: რა გქვია შენ, საიდან მოხვედი, შენი მშობლები ვინ არიან?

მონის დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელი არ იყო, მაგრამ ასაკის პატივისცემა, თუნდაც წოდებით ესოდენ დაბლა მდგომი ადამიანისა, იესოს სისხლში ჰქონდა გამჯდარი: მოხუცებს, ვინც გინდა იყვნენ, ყოველთვის უნდა ვუპასუხოთ, რამეთუ გასათვალისწინებელია, თუ რა ცოტა დრო დარჩათ მათ შეკითხვების დასასმელად, და რა სასტიკად მოვიქცეოდით, თუ ამ შეკითხვებს ჰაერში გამოვკიდებდით, მით უფრო, რომ ეგება რომელიმე მათგანს ძალიანაც მოველოდით. იესო მქვია, გალილეის ნაზარეთიდან ვარ, მიუგო. დედაბერმა ნაბიჯი წინ გადმოდ-

გა და პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა: მშობლებს რა ჰქვიათ? მამას იოსები, დედას მარიამი. რამდენი წლისა ხარ? მეთოთხმეტეში გადავ-დექი. დედაბერმა მიმოიხედა, სად დავჯდეო, მაგრამ იუდეის ბეთლემის მოედანი სან პედრო დე ალკანტარა არ გახლდათ, სადაც ყოველ კუთხე-ში მოხერხებული სკამძელებია ჩამოსაჯდომად და კიდევ სასახლის ბრწყინვალე ხედები, აქ კი პირდაპირ მიწაზე თუ დაჯდებოდი, მტვერში, საუკეთესო შემთხვევაში, კარისწინა საფეხურზე, ან თუ საფლავზე მოხ-ვიდოდი, სპეციალურად დადებულ ქვაზე, რათა მკვდრების საგლოვად

მოსულ ცოცხლებს, გულით საყვარელ მიცვალებულთა გამოსატირ-ლად რომ მოსულიყვნენ, ჩამოჯდომა შესძლებოდათ, ან კიდევ, ეგება იმისთვის, რომ საფლავებიდან ამოსულ ლანდებს, სიცოცხლეში რაც ვერ მოასწრეს, ის ცრემლები დაეღვარათ, როგორც რაქელის შემთხვევა-ში, რომლის სამარეც აქვეა, ახლომახლოში, და ჭეშმარიტად თქმულ არს, რამეთუ: „რაქელი დასტირის თავის შვილებს და ვერ მშვიდდება, რადგან აღარ არიან ისინი~, და ოიდიპოსის სიბრძნე სულ არ სჭირდება იმის დანახვას, რომ ადგილი გარემოებებს შეესაბამება, გოდება კი მის-სავე გამომწვევ მიზეზებს.

დედაბერი ვიშვიშით ჩამოჯდა ქვაზე და იესომ დასახმარებლადაც კი გაიწია, მაგრამ ვერ მოასწრო – რასაც წრფელი გულით არ ვაკეთებთ, ყო-ველთვის გვიანდება ხოლმე – და, როცა, როგორც იქნა, მოკალათდა, თქვა: მე შენ გიცნობო. გეშლებაო, უთხრა იესომ, აქ პირველად გხედავ, ნაზარეთში კი არასოდეს შემხვედრიხარო. პირველი ვინც ხელი შეგახო, დედაშენი კი არა, მე ვიყავი. ეგ როგორღა? მე სალომეა მქვია, მეანი ვარ და მე მიგიღე. იმავ წამს, თითქოს წეღან გამოთქმული აზრის დასტუ-რად, რომ მოძრაობები, თუ გულიდან არ მომდინარეობენ, უეჭველად იგვიანებენ, და აგრეთვე შესაბამისად საპირისპირო აზრის დასტურად, რომ გულითადი მოძრაობები დროულად ხდება – იესომ მუხლი მოიყა-რა ამ მოხუცი მხევლის წინაშე, გრძნობის გარეშე აღძრული სიხარულია-ნი გაოგნების მსგავსი ცნობისწადილით, ან კი უბრალო თავაზიანი მო-ვალეობით – ან როგორ გინდა თავაზიანი არ იყო მასთან, ვისაც მოცე-მულ შემთხვევაში უმაღლესი პასუხისმგებლობით იქიდან გამოუყვანი-ხარ, სადაც ყოფიერებას ჯერ კიდევ ცნობიერებისა და მეხსიერების გა-

რეშე განიცდიდი და ცხოვრებაში გამოუშვიხარ. მაგრამ დედაჩემს არასოდეს უთქვამს რაიმე შენ შესახებ, უთხრა იესომ. რა უნდა ეთქვა? შენი მშობლები ჩემს პატრონს კარზე მოადგნენ, დახმარება სთხოვეს, მან კი მე გამაგზავნა, იმიტომ, რომ ასეთ საქმეებში გამოცდილი ვიყავი. და ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა ამ სამარეში ჩასვენებული ყრმები ამოჟლიტეს? ჰო, სწორედ მაშინ და გაგიმართლა, ვერ გიპოვეს, თორემ მათ გვერდით იწვებოდი. იმიტომ, რომ მღვიმეში დავიმალეთ? ჰო, მაგრამ იმიტომაც, რომ გაქცევა მოასწარით: ნამშობიარევი დედისა და ჩვილის მოსანახულებლად რომ მივედი, მღვიმე ცარიელი დამხვდა. მამაჩემი გახსოვს? როგორ არ მახსოვს: ახალგაზრდა იყო, ტანმაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი და, ეტყობოდა, ჩინებული ადამიანიც. გარდაიცვალა.

სამწუხაროა, უდროოდ წასულა, შენ ახლა უკვე უფროსი ხარ ოჯახში და დედაშენი რატომ მიგიტოვებია, იმედია, ცოცხალია? მინდოდა, ის ადგილები მომეხილა, სადაც დავიბადე, თანაც ამ დახოცილი ბავშვების ამბის შეტყობა მსურდა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რისთვის დახოცეს ყველანი, სიკვდილის ანგელოზმა ჰეროდეს მეომრების სახე მიიღო, ჩვენს ბეთლემში დაეშვა და გაწირა ისინი. მაშ, ღვთის ნება იყო? მე ერთი ბებერი მხევალი ვარ, მაგრამ ამქვეყნად დიდი ხანი მიცხოვრია და დაბადებიდან ჩამესმის: რაც უნდა ხდებოდეს, რა ტანჯვა-წამებაშიც უნდა აგდებდნენ ადამიანები ერთმანეთს, ყველაფერი ღვთის ნებაა.

აღთქმაში ასეა ნათქვამი. მესმის, უფალი დღეს-ხვალ ჩემს სიკვდილსაც კი არ მოისურვებს და უდანაშაულო ყრმების ხოცვა რაღად დასჭირდა? შენი სიკვდილის თარიღს ღმერთი დაადგენს, ესენი კი სასიკვდილოდ ადამიანმა გაიმეტა. გამოდის, ღმერთს სუსტი ხელები ჰქონია, რაკიღა მსხვერპლისკენ მოღერებული დანა ვერ შეაჩერა. ნუ მკრეხელობ, ქალო. მე არაფერი ვიცი და ვერც ვერავის დავაბრალებ

რამეს. დღეს ტაძარში გავიგონე, რომ ადამიანის ყოველგვარი, თუნდ უმნიშვნელო ნამოქმედარი ღვთის განგებით არის განსაზღვრული და ადამიანს ერთადერთი ნებაღა რჩება – ნება სასჯელის მიღებისა. მე ჩემი ნებით კი არ მსჯიან, მსჯიან, რადგანაც მონად გავჩნდი, თქვა დედაბერმა.

იესომ არ უპასუხა. სალომეას ბოლო სიტყვები თითქმის აღარც გაუგონია, რადგან უეცრად ერთმა აზრმა ისე გაუნათა გონება, როგორც ბნელ ოთახში გამოღებული დარაბებიდან შემოვარდნილმა დამაბრმავებელმა სინათლემ: ადამიანი ღმერთის ხელში სათამაშოა მხოლოდ და მხოლოდ, იმის საქმნელად განწირული, რაც უფალს ნებავს, მაშინაც, როცა ფიქრობს, ახლა ღმერთს ვემორჩილებიო და მაშინაც, როცა დარწმუნებულია, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ვიქცევიო.

მზე დასავლეთით გადაიწვერა, ლეღვის ჩრდილი ავის მომასწავებლად მოცოცდა იესოს ფეხებთან. უკან დაიხია, დედაბერს გასძახა და ქალმაც გაჭირვებით ასწია თავი. რა გინდა? იმ მღვიმეში მიმიყვანე, სადაც დავიბადე, ანდა, თუკი ეს არ შეგიძლია, გზა მიმასწავლე. სიარული მართლაც მიჭირს, ძალა არა მაქვს, მაგრამ უჩემოდ ვერ მიაგნებ. შორსაა? არა, მაგრამ იქ ბევრი ერთნაირი მღვიმეა. კარგი, წავიდეთ. ვინც იმ დღეს მოხუცი სალომეა უცნობ ყმაწვილთან მავალი ნახა, ერთიმეორეს ეკითხებოდნენ, ნეტავი რა ხდებაო. ვერვინ შეიტყო მათი ამბავი, რადგან დედაბერს მთელი ორი წლის განმავლობაში, რომელიც ბედმა ამის შემდგომ კიდევ უბოძა, არაფერი უთქვამს, ხოლო იესო მეტად აღარ სწვევია საკუთარი დაბადების ადგილს. მეორე დღეს, როცა ქალი მღვიმეში მივიდა, რათა ღამის სათევად იქ დარჩენილი იესო მოენახულებინა, იქ აღარავინ დახვდა. სულის სიღრმეში ასეც იცოდა. იქ რომ დახვედროდა კიდეც, ერთმანეთთან სალაპარაკო აღარაფერი ექნებოდათ.

13* * *

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ჩვენი ცხოვრება დამთხვევებისგანაა მოქსოვილ-მოგვირისტებულიო, მაგრამ უცნაურია, თითქმის არასოდეს არაფერი რომ არ ითქმება იმ შეხვედრების შესახებ, რომლებითაც აღსავსეა ჩვენი წუთისოფელი, რამეთუ სწორედაც რომ ეს შეხვედრები აძლევს გეზს და განსაზღვრავს ჩვენს სიცოცხლეს, თუმცაღა სასიცოცხლო შესაძლებლობების ამგვარი, უკაცრავად პასუხია და, წამგებიანი პერცეფციის დასაცავად შეგვიძლია შემდეგი არგუმენტი წარმოგიდგინოთ: შეხვედრა, მკაცრად თუ განვსაზღვრავთ, ერთგვარი დამთხვევაა, საიდა-

ნაც ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, ყოველგვარი დამთხვევა შეხვედრააო, ცხადია, არ გამომდინარეობს. ჩვენს სახარებაში მეტწილად დამთხვევები ჭარბობს, თუმც იესოს ცხოვრებაში, რომელსაც გამორჩეულ ყურადღებას ვუთმობთ, განსაკუთრებით იმ წუთიდან, რაც მან მშობლიური სახლი დატოვა, არც შეხვედრათა ნაკლებობა აღინიშნება. თავი დავანებოთ ყაჩაღების ავბედით ეპიზოდს, რადგან მისი შედეგები ჯერაც გაურკვეველია უახლოესი თუ შორეული მომავლის ბურუსში და ვთქვათ, რომ თავის პირველ მოგზაურობაში შეხვედრების მხრივ იესოს ძირითადად უმართლებდა: ხშირი და იღბლიანი გახლდნენ ისინი – გავიხსენოთ თვით ბედის მიერ გამოგზავნილი კეთილი ფარისეველი, ვისი წყალობითაც ჩვენმა ჭაბუკმა არა მხოლოდ მტანჯველ შიმშილს სძლია, არამედ ამაში ზუსტად იმდენი დრო დაეხარჯა, რამდენიც საჭირო იყო ტაძარში არც ადრე და არც გვიან, არამედ ზუსტად თავის დროზე მისასვლელად, ანუ მაშინ, როცა იქ ის სიტყვები ჟღერდა, რომლებიც ჩვენი ნაზარეთელი გმირის დასმულ შეკითხვას დაესაფუძვლა, შეკითხვას, რომელიც, თუ გახსოვთ, პასუხისმგებლობასა და ბრალს შეეხებოდა. თხრობის წესების მკაცრად დაცვის მომთხოვნი თხრობათმცოდნენი გვეტყვიან, საჭიროა ერთმანეთს მნიშვნელოვანი და საბედისწერო შეხვედრები ათას სხვა, თითქმის ან სრულიად უმნიშვნელოებს ენაცვლებოდეს ხოლმეო, რათა მკითხველის თვალში, თუ რა თქმა უნდა გვეყოლება, ჩვენი გმირი რაღაც განსაკუთრებულ არსებად არ გადაიქცეს, ვისაც მდარე და ყოფითი არაფერი შემთხვევიაო. თანაც იტყვიან, თხრობა თავის ძირითად მიზანსა და ერთობ სანატრელ ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას მხოლოდ ასე თუ მიაღწევსო, რამეთუ, თუკი გამოგონილი ეპიზოდი რეალურ სინამდვილეში არც ყოფილა და ვერც იქნებოდაო, ისე უნდა ვქნათ, რომ ეს ეპიზოდი ნამდვილ ამბავს მიაგავდეს მაინცო, ისეთად მაინც მოგვეჩვენოს, რასაც ვერაფრით ვერ ვიტყვით ახლახან მონათხრობ და მკითხველის უნდობლობისა და აღშფოთების გამომწვევ ეპიზოდზე, თითქოს იესო ჯერ რიგიანად არც კი ჩასულიყო ბეთლემში და უცებ – გამარჯობა თქვენი! – იმწამსვე იმ მოხუც მეანს გადაეყარა, რომელიც მის შობაში მონაწილებდა, მით უმეტეს, რომ მეორე ქალთან შეხვედრა და საუბარი, ავტორის მიერ საგანგებოდ ტექსტში ჩასმული, რათა გმირმა წინასწარი

ცნობები მიიღოს, – ხომ გახსოვთ ის ბავშვიანი ქალი? – ისედაც სცილდებოდა დამაჯერებლობის ყოველგვარ საზღვრებსო. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება მერე იწყება: როგორ დავიჯეროთ, რომ მოხუცმა სალომეამ იესო მღვიმემდე მიაცილა და იქ დატოვა მისივე თხოვნით: ახლა წადი, ამ ბნელ კედლებში მარტო ყოფნა მსურსო, ჩემი პირველი ტირილი დუმილში მინდა გავიგონოო, რადგან ჩვილის ტირილის ექო დიდი ხნის წინ ჩანავლულიყო, – თითქოს იესომ სწორედ ეს სიტყვები უთხრა მოხუც ქალს, თუმცა ისინი დამაჯერებლობას დემონსტრაციულად ეწინააღმდეგებიან და ავტორი რომ ოდნავ მაინც საღად მოაზროვნე ყოფილიყო, ამ სიტყვებს კი არ

ჩაიწერდა, არამედ მიაწერდა, – დიახ, სალომეას ხანდაზმულებრივ ჭკუასუსტობას მიაწერდა. ასე იყო თუ ისე, დედაბერი წავიდა, უნდობლად ადგამდა დაძველმანებულ ფეხებს, მიირწეოდა, ყოველი ნაბიჯის წინ ორთავ ხელში ჩაბღუჯული ხელჯოხით სინჯავდა მიწას და, მართალი გითხრათ, ჩვენი გმირი ღირსეულად მოიქცეოდა, სახლამდე თუ მიაცილებდა საბრალო მოხუცს, მისთვის ასე რომ გაისარჯა, მაგრამ სიჭაბუკეში თავმოყვარენი ვართ და ამპარტავანნი და ვითომ იესო ტოლებისაგან გამორჩეული რატომღა უნდა ყოფილიყო?

ქვაზე ზის, იქვე მდგარი ჭრაქი ძლივს ანათებს ხორკლიან, უსწორმასწორო კედლებს, კერიის ადგილას მუქი, გამომწვარი ლაქაა. ზის, წვრილი ხელები უღონოდ ჩამოუყრია, სახე სერიოზული აქვს. აქ დავიბადე, ფიქრობს, ამ ბაგაში მეძინა, მშობლები ამ ქვაზე ისხდნენ, ახლა რომ ვზივარ, აქ ვიმალებოდით, სანამ ბეთლემში ჯარისკაცები ბავშვებს ხოცავდნენ და როგორც უნდა ვეცადო, ჩემს პირველ ტირილს ვერ გავიგონებ, ვერც იმ ბავშვების სიკვდილისწინა ტირილის ხმას, მშობლების მოთქმას, რომელთა თვალწინ ტრიალებდა უბედურება – ვეღაფერი დაარღვევს მღვიმის სიჩუმეს, სადაც დასაწყისი და დასასრული ერთად შეყრილა, მამები წარსულ ცოდვებს ზღავენ, ხოლო შვილები – მომავალ ცოდვებს, როგორც ტაძარში განმიმარტეს, მაგრამ თუკი ეს ცხოვრება განაჩენია, სიკვდილი კი – მართლმსაჯულება, ქვეყნად არავინ გაჩენილა უფრო უმანკო, ვიდრე ის ბეთლემელი ჩვილები იყვნენ, ტყუილუბრალოდ რომ დაიხოცნენ და არვინ იქნება მამაჩემზე მეტად დამნაშავე, მა-

შინ რომ დუმდა, როცა უნდა ელაპარაკა, და ამიერიდან სიცოცხლეში ერთი ცოდვაც რომ არ ჩავიდინო, ეს ბრალი დამხრავს, რადგან ისა ვარ, ვინც გადარჩა, რათა სცოდნოდა, თუ რა საზარელი დანაშაულით არის მისი სიცოცხლე გამოსყიდული. წამოდგა მღვიმის ბინდბუნდში, გეგონებოდა, გაქცევას აპირებსო, მაგრამ ორად ორი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და უეცრად ფეხები ჩაეკეცა, ხელები კი სახეზე აიფარა მოწოლილი ცრემლების შესაკავებლად. საბრალო ბიჭი: თითქოს გაუსაძლისი ტკივილით იგრიხება და იკლაკნება მიწაზე, მტვერში, იტანჯება საქციელისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მაგრამ რომლის მთავარმიზეზად, სანამდეც ცოცხლობს, თავის თავს მიიჩნევს და ამ ბრალს ვერც მოიშორებს, ვერც ვერაფრით გამოისყიდის. წინასწარ გეტყვით, რომ ეს მტანჯველი და შვების არმომგვრელი ცრემლთა ნაკადი მარად დატოვებს იესოს თვალებში სველ, მგლოვიარე სხივს, რომლის გამოც მუდამ ასე მოგეჩვენებათ, ეს-ესაა, უტირიაო. დრო გადიოდა და მზე დასავლეთით მიიწევდა, ჩრდილები გრძელდებოდნენ, ქვეყნიერებას ეხვეოდნენ და მალე დღეს დააღამებდნენ და თვით მღვიმეშიც იგრძნობოდა ეს ცვლილებები: ბინდი სქელდებოდა, ჩაგრავდა ნუშის მსგავს ალს პატრუქის წვერზე – ჭრაქში, ცხადია,ზეთი ილეოდა, და ასე იქნებოდა მაშინაც, როდესაც მზე ჩაქრებოდა, და ადამიანები ერთმანეთს ეტყოდნენ, აღარაფერი აღარ ჩანსო და ის კი არ ეცოდინებოდათ, რომ ამიერიდან თვალები სულაც აღარ დასჭირდებოდათ. სძინავს იესოს, დანებებია უკანასკნელი დღეების უსაშველო დაღლილობას – რა აღარ მოხდა ამ მოკლე ხანში – მამის მოწამეობრივი სიკვდილი, მისგან ნამემკვიდრალი კოშმარული სიზმარი, დედის მიერ განდობილი შემზარავი სიმართლე, იერუსალიმის მძიმე გზა, შიშისმომგვრელი ტაძარი, მწიგნობრის შეუბრალებელი სიტყვები, ბეთლემში მოსვლა და ბედისწერის ნაჩუქარი შეხვედრა დროთა წიაღიდან გამოხმობილ მეან ქალთან უკანასკნელი დაეჭვების საბოლოოდ განსაქარვებლად – და რაღა გასაკვირი უნდა იყოს, თუკი გატანჯული სხეული ძილს წაუღია, გადაქანცული სულიც თან გაუყოლებია და კვლავ ბეთლემი ესიზმრება, მოედნის ცენტრში შემზარავი

ბრალის აღიარება გაისმის: მე ვარო, სხეულის პირით ამბობს სული, მე ვარო ის, ვინც თქვენს შვილებს სიკვდილი მოუტანა, მე განმსაჯეთ და

აჰა, თქვენ წინაშეა, სხეული ჩემი, რომელსაც განვასულიერებ – აწამეთ, ტანჯეთ, რამეთუ, როგორც ცნობილია, მხოლოდ ხორცის ტანჯვა-წამებას შეუძლია სულს ხსნა და ჯილდო მოუტანოს. ესიზმრება იესოს ბეთლემელი დედები ხელში დახოცილი შვილებით და მხოლოდ ერთი იკრავს გულში ცოცხალ ჩვილს: ის ქალია, პირველი რომ შეხვდა მოედანზე და სწორედ ის ეუბნება: თუ მათთვის სიცოცხლის დაბრუნება არ შეგიძლია, გაჩუმდი მაინც – სიკვდილს სიტყვები არ სჭირდება. შულდაკის ფსკერზე ჩაკეცილ-ჩაჭმუჭნილ ტუნიკასავით ჩამალულა შემკრთალი სული საკუთარ თავში, მიუტოვებია ბეთლემელი დედების სამსჯავროზე მიგდებული სხეული, მაგრამ იესო ვეღარ შეიტყობს, რომ შეუძლია ხელუხლებლად წაიტანოს აქედან თავისი მოკვდავი სხეული, რამეთუ ქალი, ცოცხალი ბავშვით ხელში – ის-ის იყო, აპირებდა ეთქვა: უდანაშაულო ხარ, შეგიძლია წახვიდეო, როცა უეცრად რაღაც დამაბრმავებელმა აფეთქებამ მღვიმის ბინდი გაფხრიწა და გამოაღვიძა. სადა ვარ? იყო პირველი ფიქრი, ძლივს მოსწყვიტა მზერა მტვრიან მიწას და ჯერაც შეუმშრალი ცრემლების მიღმა თავის წინაშე ვეება კაცი დაინახა, გოლიათური სიმაღლისა და წამიერად მოეჩვენა, თითქოს კაცს თავზე ცეცხლი ეკიდა, თუმც იქვე მიხვდა, რომ ზეაღმართულ მარჯვენაში ანთებული ჩირაღდანი ეპყრა, რომლის ალი მღვიმის ჭერს სწვდებოდა, თავი კი, მართალია, ცოტა უფრო დაბლა მოჩანდა, მაინც მხოლოდ ფილისტიმელი გოლიათისა უნდა ყოფილიყო, თუმც სახე არც მძვინვარე ჰქონდა და არც გამომწვევი, პირიქით – ბაგეებზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა: ასე იღიმიან, როცა პოულობენ იმას, რასაც დაეძებენ. იესო წამოდგა, კედლისკენ დაიხია და ახლა უკეთ შეეძლო ამ დევკაცის შეთვალიერება, თუმცა უკვე აღარც ისეთი წარმოუდგენელი სიმაღლის ჩანდა, ჰა-ჰა, ყველაზე მაღალ ნაზარეთელს ერთი მტკაველით თუ აღემატებოდა: ეს ოპტიკური ილუზიის შედეგი გახლდათ, რომლის გარეშე სასწაულები და ზებუნებრივი მოვლენები შეუძლებელი იქნებოდა და გოლიათი ცოტა გვიან რომ გაჩენილიყო, უბრალოდ, კალათბურთს ითამაშებდა, მორჩა და გათავდა. ვინა ხარ? ჰკითხა ჩირაღდნიანმა კაცმა, თუმც ეტყობოდა, რომ საუბრის გაბმა ეწადა, სხვა არაფერი. ჩირაღდანი ქვებს შორის, ღრიჭოში ჩაარჭო, ორი ჯოხი, რომლებიც თან მოეტანა, კედელს მიაყუ-

და, ერთი, კორძებიანი, ხელისგულებს ისე გაეპრიალებინა, აშკარაა, დიდი ხანია ხმარობდა, მეორე კი, ჯერაც ქერქგაუცლელი, ეტყობა, სულ ახლახან მოეჭრა, – თვითონ ყველაზე დიდ ქვაზე დაჯდა და მხრებზე მოსხმულ ლაბადაში მჭიდროდ გაეხვია. ნაზარეთელი იესო ვარ, მიუგო ბიჭმა. აქ რას დამჯდარხარ, ნაზარეთელი თუ ხარ? მე აქ დავიბადე, ამ მღვიმეში, ახლა კი იქ დავბრუნდი, საიდანაც ამქვეყნად გამოვედი. ამქვეყნად შენ იქიდან გამოხვედი, სადაც, ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერ დაბრუნდები. ამ ორაზროვანმა ნათქვამმა იესო შეაცბუნა და გააწითლა. შენ რა, სახლიდან გამოიქეცი? – განაგრძობდა უცნობი ამასობაში. იესომ, მცირედი ყოყმანის შემდეგ, თითქოს სურს თვითონვე გაერკვეს, ჩემს საქციელს სახლიდან გაქცევა უნდა ეწოდოს თუ არაო, უპასუხა: ჰო. დედ-მამასთან ვერ მორიგდი? მამა არა მყავს. ააა, – გაწელა კაცმა, მაგრამ იესო უეცრად უცნაურმა და ბუნდოვანმა განცდამ შეიპყრო, თითქოს ამ კაცმა ესეც იცოდა და არა მარტო ეს, არამედ ყველაფერი, რაც მან თქვა და ისიც, რაც სულაც არ თქმულა.

კითხვაზე რატომ არ მპასუხობ? რომელ კითხვაზე? მე შეგეკითხე, მშობლებთან უთანხმოება ხომ არ გქონია-მეთქი. რა შენი საქმეა. თუ ითავხედებ, ერთს მაგრა გაგწკეპლავ და შენს ყვირილს აქ ღმერთიც კი ვერ გაიგონებს. უფლის თვალი და ყური ყველგან სწვდება, მაგრამ თუ ყველაფერს არ ამხელს, მისი ნებაა. ეგეთების შენ რა იცი, ბიჭუნა? ის ვიცი, რაც სინაგოგაში მასწავლეს.

და რატომ გგონია, რომ უფალს თვალი და ყური აქვს და არა ჩვენსავით ორი თვალი და ორი ყური? იმიტომ, რომ ერთმა თვალმა შესაძლოა მეორე მოატყუოს, ერთმა ყურმა – მეორე, პირი ხომ ერთია.

ადამიანისთვის არც ორპირობაა უცხო, ან მართალს იტყვის, ან ტყუილს. ჰო, მაგრამ ღმერთს ტყუილის თქმა აკრძალული აქვს. მაინც ვინ აუკრძალა? თვითონ აიკრძალა, სხვაგვარად თავის თავს უარყოფდა. გინახავს? ვინ? ღმერთი. არ მინახავს, სხვებს უნახავთ და დანარჩენებსაც გააგებინეს. კაცი ერთხნობას მდუმარედ ათვალიერებდა იესოს, თითქოს ვიღაცას ამსგავსებსო, მერე კი უთხრა:

მართლა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, ღმერთი გვიხილავსო, მერე ერთხელაც გაჩუმდა და დამცინავი ღიმილით დაუმატა:

შენ მე მაინც არ მიპასუხე. რა არ გიპასუხე? რა და, მშობლებთან ურთიერთობა თუ გქონდა რიგზე? ქვეყნიერების სანახავად დავტოვე სახლი. ტყუილის თქმას მიჩვეული ხარ, მაგრამ მშვენივრად ვიცი, ვინც ბრძანდები: დურგალ იოსებისა და ფეიქარ მარიამის ვაჟი ხარ. საიდან მიცნობ? ერთ მშვენიერ დღეს გაგიცანი, და როგორც ხედავ, არ დამვიწყებიხარ. წესიერად გამაგებინე. მე მწყემსი ვარ და უკვე მრავალი წელია ამ მხარეში ვაძოვებ ჩემს თხებსა და ცხვრებს და კიდევ ვერძებსა და ვაცებს, თხებსა და ცხვრებს რომ მფარველობენ და ერთხელ აქ ყოფნა მომიხდა, სწორედ მაშინ, შენ რომ დაიბადე, აი, ბეთლემელ ყრმებს რომ ხოცავდნენ, ასე რომ, დიდი ხანია გიცნობ. იესო დაფეთებული მიაჩერდა და ჰკითხა:

რა გქვია? სამწყსოსთან სახელი არ მჭირდება. მერე მე ხომ შენი ფარის კრავი არა ვარ. ეგრე ნუ იტყვი. მაინც მითხარი შენი სახელი.

რახან ასე ძალიან გინდა, მწყემსი მიწოდე, შენ დაძახილზე რომ მოვიდე, საამისოდ ესეც გეყოფა. თანაშემწედ წამიყვანე, შეგირდად. ველოდებოდი, რომ ამას მთხოვდი. მერე? კეთილი, ჩემს სამწყსოში ჩამირიცხიხარ. კაცი წამოდგა, ჩირაღდანი აიღო და მღვიმიდან გავიდა. იესო მიჰყვა. ბნელი ღამე იდგა, მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. მღვიმის პირას ეჟვნების ძლივსგასაგონი წკრიალით წყნარად იდგნენ ცხვრები და თხები, თითქოს ელიან, როდის მორჩება ჩვენი მწყემსი თავის ახალ თანაშემწესთან ლაპარაკსო. მწყემსმა ასწია ჩირაღდანი, გაანათა თხების შავი თავები და ძვლოვანი ზურგები, ცხვრების თეთრი დრუნჩები და ხუჭუჭა ფერდები და თქვა: აი, ჩემი ფარა, მწყემსე და თვალყური ადევნე, რომ არც ერთი მათგანი არ დაიკარგოს. მერე მღვიმის შესასვლელთან ჩამოსხდნენ, ხმელი პური გატეხეს და ყველიც მიაყოლეს, მერე მწყემსმა მღვიმიდან ახალი ჯოხი გამოიტანა, პატარა კოცონი დაანთო და ეს ჯოხი ცეცხლზე მოხერხებულად გადაატარ-გადმოატარა, ისე, რომ ქერქი გრძელ-გრძელ ნაჭრებად ჩამოცვივდა, შემდეგ გაფხიკა, გააცივა და ისევ ცეცხლში გააქანა, შეყო და იმავ წამს გამოყო – და ასე რამდენჯერმე გაიმეორა, თან უყურებდა, ცეცხლი არ წაეკიდოს და მხოლოდ გარუჯოს, რათა ნედლი ხე გამაგრდეს და გამუქდესო, თითქოს თვალსა და ხელს შუა დააძველაო. ეს საქმე რომ მოათავა, ჯოხი იესოს გაუწოდა: აჰა, და-

იჭი, ახლა უკვე სწორი და მაგარია შენი სამწყემსო კვერთხი, შენი მესამე ხელია. თუმც იესოს არცთუ მთლად ნაზი ხელისგულები ჰქონდა, კვერთხის დაჭერა მაინც ვერ მოახერხა და ძირს გააგდო – ხელებს სწვავდა. თვითონ როგორღა ეჭირაო, გაიფიქრა, მაგრამ ამ კითხვას პასუხი ვერ მოუნახა. როცა, ბოლოს და

ბოლოს, მთვარე ამოვიდა, მღვიმეში შებრუნდნენ, ღამის სათევად მოეწყვნენ. რამდენიმე თხა და ცხვარიც შემოჰყვა და მათ მახლობლად მოიკალათეს. გარიჟრაჟი იწყებოდა, როცა მწყემსმა იესოს ხელი წაჰკრა და უთხრა: გეყოფა ძილი, ყმაწვილკაცო, ადე, პირუტყვს მოშივდა, ამიერიდან კი შენ უნდა გადენო საძოვარში და ამაზე უფრო დიდი საქმე ცხოვრებაში ჯერ არ გქონია. ნელა-ნელა, ფარის ფორხილა ცუხცუხს ფეხშეწყობილნი წინ დაიძრნენ – ჯერ მწყემსი, მერე მისი შეგირდი – ნათლით მოსილი დილის სიგრილეში, რომელიც სულ არ ჩქარობდა, გზა დაეთმო მზის მცხუნვარებისთვის, თითქოს შურდა, რომ მზის შუქში სამყარო ისეთივე მშვენიერი მოჩანს ხოლმე, როგორიც შესაქმის პირველ დღეს იყო.

მერე, კარგა მოგვიანებით, ბეთლემიდან სამ ფეხზე, – ანუ ჯოხს დაყრდნობილი – მავანი დედაბერი მობეხრეკდა, მღვიმეში შევიდა. დიდად არ გაჰკვირვებია, იესო იქ რომ აღარ დახვდა – ეტყობა, აღარაფერი დარჩენოდათ ერთმანეთისთვის სათქმელი. მღვიმის ბინდბუნდში ჭრაქი კაშკაშებდა, რადგან მწემსს შიგ ბლომად ზეთი ჩაესხა.

გაივლის ოთხი წელი და იესო ღმერთს შეხვდება. ამას მოულოდნელად და ზემოხსენებული თხრობის წესების თვალსაზრისით ყოვლად უდროოდ მხოლოდ იმიტომ ვაცხადებთ, რომ გვსურს, ამ სახარების მკითხველი მწყემსური ცხოვრების რამდენიმე ყოფითი ეპიზოდის გასაცნობად განვაწყოთ, თუმცა – იმათ საყურადღებოდ და გასამართლებლად, ვინც ცდუნებას აჰყვება და ამ ეპიზოდებს წაუკითხავად გადაფურცლავს, წინასწარ უნდა მოგახსენოთ – ისინი მართლაც ჩვენი თხრობისთვის და მისი ძირითადი თემისათვის არაფერს არსებითს არ წარმოადგენენ. და მაინც, დამეთანხმებით, ოთხი წელი კაი გვარიანი ვადაა, მით უმეტეს, იმ ასაკში, როცა კაცი, თუ ხორციელად, თუ სულიერად, გასაოცრად გარდაიქმნება, როცა უეცრად მკვეთრად იმატებს სიმაღლეში, იშ-

ლება მხრებში, როცა ბუნებითად ისედაც შავგვრემანი სახე კიდევ უფრო უმუქდება ლოყებსა და ცხვირქვეშ მოდებული შავი ღინღლის გამოისობით, როცა ხმა უუხეშდება და ბოხ ბუხუნს იწყებს, თითქოს ფერდობზე დიდი ქვა მორიხინობსო, როცა გონებაში ნაირ-ნაირი ფანტაზიები, ხოლო ცხადში სიზმრები ჩნდება – ერთიც და მეორეც საძრახისი შინაარსისა, განსაკუთრებით, როცა ღამით ძილი არ შეიძლება და სადარაჯოდ უნდა იდგე, საგუშაგოზე ანდა დაზვერვაში, როგორც ეს ჩვენს გმირს დაემართა შეგირდობაში, რადგან ცხვრებსა და თხებს უნდა გაფრთხილებოდა, აკი უფროსმა ჩააბარა და დაავალა, თვალი წამითაც არ მოაშოროო. თვითონ კი მაინც ვინ ბრძანდება, ვერ გაიგებ. იმ მხარეში და იმ დროებაში პირუტყვის მწყემსვას მონებს ან უპოვარ დაქირავებულებს ავალებდნენ, სასჯელის შიშით მუდმივი და მკაცრი ანგარიშგება რომ მართებდათ წველისა და პარსვის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ ნამატზე, რომლის მუდმივი ზრდა მეზობლების გულის გასახეთქად აუცილებელი პირობა გახლდათ, რათა ყველას დაენახა, რომ უფალი სათნოებას მადლით ზღავდა, ხშირად კი სიმდიდრითაც აჯილდოებდა ღვთისმოსავ მეპატრონეს, რომელსაც, ამ ჩვენს ქვეყნიერებაზე ფესვგამდგარი ჩვეულების შესაბამისად, თითქოს უფრო ის ადარდებდა, ემანდ სწორედ ზეცის სიკეთე არ მომაკლდესო, ნაცვლად იმისა, რომ იმ ვერძებისა და ვაცების ძალასა და თესლზე ეზრუნა, მის ცხვრებსა და თხებს რომ დაამაკებდნენ. უცნაური ის გახლდათ, რომ მწყემსს, – რადგან იესოს უბრძანა, ასე მიწოდეო, ჩვენც ამ სახელით მოვიხსენიოთ, – პატრონი საერთოდაც არ ჰყავდა, რადგან ამ ოთხი წლის განმავლობაში არავინ მოსულა მატყლის, რძისა და ყველის წასაღებად, ფარა არც თვითონ

მიუტოვებია და არც ანგარიში ჩაუბარებია ვინმესთვის. ყველაფერი გარკვეული იქნებოდა, თვითონ რომ ყოფილიყო ამ თხებისა და ცხვრების პატრონი, ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული და ჩვეული გაგებით, მაგრამ ამას ძნელად თუ დაიჯერებდით, რამეთუ რომელი პატრონი გაწირავდა დასაღუპად ამდენ მატყლს, ვინ გაკრეჭდა ცხვრებს მხოლოდ იმისათვის, ემანდ არ დასცხეთო, რძეს კი ზუსტად იმდენს მოიხმარდა, – თუკი საერთოდ შესაძლოა, რომ აქ სიტყვა „მოიხმარდა“ გამოვიყენოთ, – რამდენიც ყოველდღიურად ერთი წველა ყველის ამოყვანას

დასჭირდებოდა, რომელსაც თვითონ და მისი შეგირდი მიირთმევდნენ, ხოლო ზედმეტს კი პურზე, ინდისხურმასა და ლეღვზე ცვლიდნენ. დაბოლოს – ყველაზე უცნაური ამოცანა – რომელი ნამდვილი პატრონი არ გაყიდდა კრავებს, განსაკუთრებით პასექის წინ, როდესაც მყიდველები ხელიდან გგლეჯენ და კარგი ფულიც შეგიძლია იშოვო? ამიტომაც რაღა გასაკვირია, ფარა განუწყვეტლივ მრავლდებოდა, თითქოს ცხვრები და თხები ჯიუტი აღფრთოვანებით, – რის საფუძველსაც, უეჭველია, ის უტყუარი ცოდნა ქმნიდა, ამქვეყნად ჩვენთვის – თხებისა და ცხრებისათვის ბოძებული ცხოვრების ვადა მკაცრად არის მოზომილიო, – დაუზარებლად ასრულებდნენ დიად მცნებას ზეციერისას, რომელმაც, უნდა ვივარაუდოთ, ბუნებრივი ინსტინქტის სიტკბო მთლად ეფექტურად არ მიიჩნია და სიტყვიერი ბრძანებაც დაამატა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთო. ამ ფარაში ცხოველები მხოლოდ სიბერისაგან იხოცებოდნენ, ხოლო იმათ, ვინც ასაკის ან სენის გამო სხვების მხარდამხარ სიარულს ვეღარ შეძლებდა, მწემსი სიკვდილში აუღელვებლად საკუთარი ხელით ეხმარებოდა.

როცა ასე პირველად მოხდა იესოს თვალწინ, ბიჭი ამგვარმა გულქვაობამ აღაშფოთა, მაგრამ მწყემსმა უბრალოდ უთხრა: ან უნდა დავკლა, რასაც ყოველთვის ვაკეთებ ამ დროს, ან უნდა მივატოვო, რომ სული გასძვრეთ გადაკარგულში, ან კიდევ მთელ ფარასთან ერთად დავდგე და მაგათ სიკვდილს ველოდოო, ხოლო სიკვდილი აბა, ვინ იცის, როდის მოვაო და შესაძლოა ცოცხლები და ჯანმრთელები ამასობაში მშივრები დარჩნენო...

აბა, მითხარი, ჩემს ადგილზე შენ თვითონ როგორ მოიქცეოდი, ამ ჩემი ფარის სიკვდილ-სიცოცხლეს რომ განაგებდე? იესომ არ იცოდა, რა ეპასუხა და ამიტომ სხვა რამეზე დაიწყო ლაპარაკი: თუ მატყლს არ ყიდი, თუ რძე და ყველი უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე ჩვენ ორნი დავლევთ და შევჭამთ, თუ არც კრავებსა და ციკნებს ყიდი, რად გინდა ფარა, რომელიც ერთთავად მრავლდება და ერთ მშვენიერ დღეს მთელ დედამიწას აავსებს? და მწყემსმა უთხრა: რახან ფარა აქ არის, ვიღაცამ ხომ უნდა მოუაროს, ბოროტთა და ხარბთაგან დაიცვას, ჰოდა, აი, მეც ამას ვაკეთებ. სად „აქ“? აქ და იქ, ყველგან. თუ სწორად გაგიგე, შენ გინდა თქვა,

რომ ფარა ყოველთვის იყო? დაახლოებით. პირველი ცხვარი, პირველი თხა თვითონ იყიდე? არა. აბა, ვინ? ერთხელ წავაწყდი და არ ვიცი, ნაყიდნი იყვნენ თუ არ იყვნენ, მაგრამ ფარა იყო უკვე. ფარა მოგცეს? არა, არავის არ მოუცია, მე იმათ შევხვდი, ისინი – მე. მაშ, შენა ხარ მათი პატრონი?

არა ვარ და არც არაფერი, რაც ამქვეყნად არსებობს, ჩემი არ არის. რამეთუ ყოველივე ღვთისაა? ო, ხომ ხედავ, შენ თვითონ თქვი. დიდი ხანია მწყემსობ? დიდი ხანია, ჯერ კიდევ შენ დაბადებამდე ვმწყემსავდი ფარას. მაინც რამდენი ხანია? არ ვიცი, ალბათ თხუთმეტჯერ მეტხანს, ვიდრე შენ არსებობ ამქვეყნად. ამდენ ხანს და მეტსაც მხოლოდ წარღვნამდელი პატრიარქები ცოცხლობდნენ, ჩვენს დროებაში კი ასე აღარ

ხდება. ვიცი. თუ იცი, რაღას მიმტკიცებ, თითქოს ამდენი გიცხოვრია?! ეგებ გგონია, რომ შესაძლოა შენზე ვიფიქრო, ადამიანი არ არისმეთქი? დიახ, მგონია. ეჰ, იესოს, რომელიც კითხვებს ასე სწორი თანმიმდევრობითა და გონივრულად სვამდა, მეიევტიკის დაწყებითი კურსი რომ ჰქონოდა მოსმენილი[4], და რომ ეკითხა: „აბა, ვინა ხარ, თუ ადამიანი არა ხარ?“ სავსებით შესაძლებელია, მწყემსს შემწყნარებლურად, სასხვათაშორისოდ, ვითომც აქ არაფერიო, ეპასუხა: ანგელოზი ვარო, ოღონდაც ჩვენ შორის დარჩესო. ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე: კითხვას იმიტომ არ ვსვამთ, რომ პასუხისთვის ჯერ მზად არ ვართ, ანდა გვეშინია მისი, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ძალას მოვიკრებთ და შეკითხვას დავსვამთ, ხშირად უკვე პასუხს ვეღარ ვიღებთ ხოლმე, ისე, როგორც ერთხელ რომ ჰკითხავენ, რა არის ჭეშმარიტებაო, თვით იესო არ უპასუხებს და დუმილს არჩევს და ეს დუმილი ჩვენს დღეებამდე გრძელდება აგერ.

მაგრამ ახლა იესომ თვითონაც იცის და ამის შეკითხვა სულაც არ სჭირდება, რომ მისი იდუმალი თანამგზავრი უფლის ანგელოზი არ გახლავთ, რამეთუ უფლის ანგელოზები დღემუდამ უფალს ადიდებენ, ადამიანებს კი არა ჰგვანან, რომლებიც, როცა უფალს ადიდებენ, ამას იძულებით თუ არა, ვალდებულებით აკეთებენ, ისიც ხანდახან, გარკვეულ

---

[4] მეიევტიკა – ოსტატურად დასმული შეკითხვების საშუალებით ადამიანში დაფარულის ძიების სოკრატესეული მეთოდი.

და დადგენილ, სალოცავად გამოყოფილ საათებში, და ეს ნაწილობრივ გასაგებიცაა, რადგან ანგელოზებს უფლის სადიდებლად მეტი მიზეზი და საფუძველი გააჩნიათ – ისინი ხომ მასთან ერთად ბინადრობენ ზეცაში, მათ უფალთან, ასე ვთქვათ, საერთო ბინა აკავშირებს. მაგრამ ყველაზე მეტად იესო იმან გააოცა, რომ გამთენიისას მღვიმიდან გამოსვლისას მწყემსს მისგან განსხვავებით აზრადაც არ მოსდიოდა, ელოცა, უფალი ედიდებინა – ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რისთვისაც: რომ დილაობით ჩვენ ჩვენს სულებს გვიბრუნებს, რომ მისცა მამალს დღისა და ღამის გარჩევის ნიჭი, და ქვას რომ მოეფარები მოსაფსმელად, იმისათვის, რომ თავის უსაზღვრო სიბრძნის წყალობით ადამიანის სხეული ყველა საჭირო მოცულობით, ჭურჭლითა და ხვრელით აღჭურვა, რომელთა გარეშე ვერა კაცი აუცილებელ საჭიროებას ვერაფრით ვერ დაიკმაყოფილებდა. მწყემსმა კი ცასა და მიწას გადახედა, როგორც ყველა ახლად გაღვიძებულს სჩვევია, ჩაიბუტბუტა, მგონი, დღეს კარგი ამინდიაო, მერე ორი თითით ძალუმად დაუსტვინა და მის სტვენაზე ფარა მორჩილად წამოიშალა. სულ ეს იყო.

იესომ თავიდან იფიქრა, მწყემსს უბრალოდ ლოცვა დაავიწყდაო – ხდება ხოლმე, როცა ადამიანის გონებაში რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი ტრიალებს: ეგება, მწყემსი იმაზე ფიქრობს, ამ ჩემს შეგირდს, დურგლობის მეტი რომ არა გაეგება რა, მწყემსობის პირქუში მეცნიერება საუკეთესოდ რაგვარად უნდა ავუხსნაო. სხვათა შორის, უნდა ითქვას, ახლა რომ იესოს უწინდელ პირობებში ეცხოვრა, თავისი უფროსის ნაკლებ ღვთისმოსაობას მაინცდამაინც დიდად არ იდარდებდა, რადგან იმ დროში იუდეველები უფალს დიდებას დღეში ოცდაათჯერ მაინც აღუვლენდნენ ხოლმე, ყოველი წვრილმანისა და უაზრობის გამო მადლობდნენ, რის შესახებაც ჩვენს მოთხრობაში უკვე გაცნობეთ, ასე რომ, ახლა სხვა მაგალითებისა და მტკიცებულებების მოყვანით აღარ შეგაწუხებთ. მაგრამ დღე ისე გავიდა, მწყემსს დიდება საერთოდ არ აღუვლენია, დადგა ღამე, რომელიც მწყემსებმა ღია ცის ქვეშ გაათენეს, შიშველ მიწაზე, მაგრამ თვით თავს ზემოთ აზიდულმა ვარსკვლავებით მოჭედილმა ზეცის გუმბათმაც ვერ აღუძრა მწყემსს მადლიერების გრძნობა და ერთი

სადიდებელი სიტყვაც არ დასცდენია, ხოლო როცა ზეცა მოიქუფრა და წვიმით

დაიმუქრა, თუმცაღა მერე აღარ უწვიმია, რაც უეჭველად მიგვითითებდა, თუ როგორ ზრუნავს უფალი თავის ნაშიერებზე, მაშინაც კი მწყემსს დიდება არ აღუვლენია. და აი, მეორე დილას, როცა მწყემსებმა პური და ყველი მიირთვეს და ფარის შემოვლის დრო დადგა დასარწმუნებლად, რომ არც ერთი ცანცარა ბეკეკა საძოვრად მარტო არ გაპარულიყო, იესომ მტკიცედ განაცხადა: მე მივდივარო. მწყემსი შეჩერდა, მოუტრიალდა, ამასთან სახის გამომეტყველება ოდნავადაც არ შეცვლია, და უთხრა: ნება შენია, შენ ხომ არც მონა ხარ ჩემი და არც ქირავნობის ხელშეკრულება დაგვიდია, ასე რომ, თუ გინდა, ნებისმიერ წუთს შეგიძლია წახვიდე. არც მეკითხები, რატომ მივდივარ? ცნობისმოყვარე არ გახლავარ. მინდა იცოდე, მივდივარ, რადგან იმ კაცის გვერდით ვერ გავჩერდები, ვინც ღვთის წინაშე თავის მოვალეობებს არ ასრულებს. რა მოვალეობებს? ყველაზე ჩვეულებრივ მოვალეობებს: უფალს არ ადიდებ, არ ლოცულობ. მწყემსი დუმდა, თვალებში ღიმილი ედგა, მერე თქვა: იუდეველი არა ვარ და ამიტომ უცხოთა რწმენის რიტუალებს არც უნდა ვასრულებდე. გაოგნებულმა იესომ უკან დაიხია. ცხადია, იცოდა, რომ ისრაელში ბლომად იყვნენ უცხოელები, სხვა რწმენის ხალხი, წარმართები, კერპთაყვანისმცემლები, მაგრამ მათ გვერდით ყოფნა, ერთად ძილი, პურის გატეხა და ჭიქა რძის გაყოფა აქამდე ვერც კი წარმოედგინა. ამიტომაც, თითქოს შუბი მოიმარჯვა და ფარი აიფარაო, ისე შესძახა: ერთ არს ღმერთი! მწყემსს თვალებში ღიმილი ჩაუქრა, ტუჩები დამცინავად შეუთრთოლდა: დიახ, თუ ღმერთი არის, ნამდვილად ერთი უნდა იყოს, თუმცა ალბათ ორი აჯობებდა, ერთი მგლისთვის და მეორე კრავისთვის, იმისთვის, ვინც კვდება და იმისთვის, ვინც კლავს, დასასჯელისთვის და ჯალათისთვის. ღმერთი ერთი და განუყოფელი მთლიანობაა, იყვირა ასეთი მკრეხელობით აღელვებულმა, ლამის ცრემლმორეულმა იესომ, მწყემსმა კი მიუგო: არ ვიცი, როგორ ცხოვრობს ღმერთი... მაგრამ სიტყვის დამთავრება აღარ დასცალდა, რამეთუ იესომ სინაგოგის კანონთმოძღვარივით შეაწყვეტინა: ღმერთი არ ცხოვრობს, არამედ... არ ვიცი, ასეთ ფაქიზ დეტალებში მე ვერ ვერკვევი, მაგრამ გულწრფელად გეტ-

ყვი, არ ვისურვებდი მის ტყავში ყოფნას, ვინც ცალი ხელით მკვლელის ხელს მართავს, მეორით კი – მსხვერპლის ყელს მიაგებებს. ამ სიტყვებით ღმერთს შეურაცხყოფ. კარგი ერთი. დიახ, მაგრამ ღმერთს არ სძინავს, ადრე თუ გვიან, დაგსჯის ამისთვის. თუ არ სძინავს, კარგია, რადგანაც მაშინ სინდისის ქენჯნა შემზარავი სიზმრებით არ გააწამებს. რატომ მიხსენებ სინდისის ქენჯნას და შემზარავ სიზმრებს?

იმიტომ, რომ ეგ შენი ღმერთია. შენი ვინღაა? მე, ისევე როგორც ჩემს ცხვრებს, ღმერთი არა გვყავს. შენი ცხვრები იმას მაინც აკეთებენ, რომ თავის კრავებს მსხვერპლად სწირავენ მამაზეციერს. დამერწმუნე, მათ რომ იცოდნენ ამის შესახებ, მგლებივით აყმუვლდებოდნენ. იესო გაფითრდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა. ამასობაში ფარა მათ ირგვლივ შემოჯარულიყო, ისე წყნარად იდგნენ, თითქოს ამ საუბარს ყურს უგდებენო. ამომავალი მზის სხივები ცხვრების საწმისებს და თხების რქებს ლალისფრად დაეფინა. წავალ, თქვა იესომ, თუმცა ფეხიც არ მოუცვლია. მწყემსი თავის არგანს დაყრდნობოდა და ისე მშვიდად, უდრტვინველად იცდიდა, გეგონებოდა, თადარიგში მთელი მარადისობა აქვსო. იესომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შეჯგუფულ ცხვრებში გზის გასაკვლევად, მერე უეცრად შეჩერდა და იკითხა: რა იცი სინდისის ქენჯნასა და კოშმარულ სიზმრებზე? ვიცი, რომ მამაშენისგან იმემკვიდრე. ამ სიტყვებს იესომ ვეღარ გაუძლო: მუხლები ჩაეკეცა, შულდაკი მხრიდან ჩამოუცურდა და იქიდან შემთხვევით თუ ვისიმე განზრახვით მამამისის სანდლები გადმოცვივდა, იმავ წამს ყრუ ჭახანიც გაისმა – ფარისევლის ნაჩუქარი ჭიქა

დაიმსხვრა. იესო პაწია ბავშვივით ატირდა, მწყემსს ფეხიც კი არ მოუცვლია, არ მიახლოებია, ისე უთხრა: ნუ დაივიწყებ, შენ შესახებ შენი ჩასახვის წამიდან მოყოლებული, ყველაფერი ვიცი, ამიტომ ახლა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტე, რჩები თუ მიდიხარ. ჯერ ის მითხარი, ვინ ხარ. ამის ცოდნა ჯერ შენთვის ნაადრევია. აბა, როდის? თუ წახვალ, ინანებ, რომ არ დარჩი, თუ დარჩები – ინანებ, რომ არ წახვედი. მაგრამ თუ წავალ, მაშინ ხომ ვერასოდეს გავიგებ, ვინ ხარ. არა, აი, ეგ კი არ არის სწორი: დადგება დრო, როცა წარმოგიდგები და გეტყვი, ვინცა ვარ, ახლა კი გეყოფა ლაყბობა: ფარა მთელ დღეს ხომ არ დაიცდის, სანამ

შენ რამეს გადაწყვეტ. იესომ ჭიქის ნამსხვრევები წამოკრიფა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, თითქოს განშორება უჭირსო, თუმცა, აბა, რა იყო დასანანი, გუშინწინ ამ დროს ჯერ კიდევ არ შეხვედროდა იმ ფარისეველს, თანაც თიხის ჭიქა ხომ დღემოკლე ნივთია. ბოლოს და ბოლოს ნამსხვრევები მიწაზე მოისროლა, თითქოს კვალში თესლი ჩააპნიაო და ამ დროს მწყემსმა დასძინა: სხვა ჭიქა გექნება და სანამ ცოცხალი ხარ, არ გატყდება.

იესოს ეს არ გაუგონია – ხელში მამის სანდლები ეჭირა და ფიქრობდა, ჯერ არ მომერგებაო, ამ მოკლე დროში ფეხი ხომ არ გაეზრდებოდა, მაგრამ დრო, როგორც მოგვეხსენება, ფარდობითია, და ეჩვენებოდა, უხსოვარი დროიდან დავატარებ შულდაკით ამ სანდლებსო, და გაუკვირდებოდა კიდეც, სანდლები რომ ფეხზე ძველებურად დიდი აღმოაჩნდებოდა, ჩაიცვა, თავისები კი, ვინ იცის, რატომ, ჩანთაში შეინახა. მწყემსმა თქვა:

ფეხები, რაკი გაზრდილან, აღარასდროს დაპატარავდებიან, შვილები კი, ვისაც შენს შემდეგ ქიტონს, მოსასხამსა და სანდლებს დაუტოვებდი, არ გეყოლება. მაგრამ იესომ მაინც არ გადაყარა თავისი სანდლები, რადგან მაშინ თითქმის დაცარიელებული სამგზავრო ჩანთა წამდაუწუმ მხარზე ჩამოუცურდებოდა. მწყემსის ნათქვამი პასუხს არ მოითხოვდა და იესო ფარას კუდში მოექცა, იმავდროს სული ეწურებოდა ერთი მხრივ, კაცმა არ იცის, საიდან გაჩენილი ზაფრის ბუნდოვანი განცდით და მეორე მხრივ, არანაკლებ გაურკვეველი პირქუში აღფრთოვანებით. მაინც გავიგებ, ვინ ხარ, ბუტბუტებდა იესო, პირუტყვის მიერ გზაზე ადენილი მტვრის ღრუბელში მიაბიჯებდა და ჩამორჩენილ ცხვრებს მიერეკებოდა: ჭეშმარიტების დადგენის ამ განზრახვით ამართლებდა თავის დარჩენას იდუმალ მწყემსთან.

ასე გავიდა პირველი დღე. სიწმინდესა და მკრეხელობაზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე, საკუთრებაზე მეტად აღარ უსაუბრიათ, მაგრამ იესო ზედმიწევნით აკვირდებოდა მწყემსის ყოველ მოქმედებას და შეამჩნია, რომ მუდამ, როცა თვითონ უფალს ადიდებდა, მისი თანამგზავრი წინ იხრებოდა, ხელისგულებს მიწას ადებდა და უსიტყვოდ თავს ხრიდა. ერთხელ, ადრეულ ბავშვობაში, ნაზარეთზე ჩამოვლილი მოხუცების ნა-

ამბობი გაახსენდა, მიწის ქვეშ ვეება გამოქვაბულებია, იქ კი, აქაურობის მსგავსად, ქალაქები, მინდვრები, ტყეები, უდაბნოები და მდინარეებიც არისო და ეს მიწისქვეშა იდუმალი სამყარო ზედმიწევნით იმეორებს ამას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთო, ხოლო ის სამყარო ეშმაკმა მას შემდგომ შექმნა, რაც ღვთის წინააღმდეგ ამბოხისათვის ზეციდან განიდევნაო. და ვინაიდან ეშმაკი ერთ დროს ღვთის რჩეული და მეგობარი იყოო, – ამბობენ მსგავსი მეგობრობა დასაბამიდან არ ყოფილა და არც იქნებაო, – ჰოდა, მოკლედ, ვინაიდან ეშმაკი, იმ მოხუცთა სიტყვით, ადამისა და ევას შექმნას ესწრებოდაო,

და ისიც შეიტყო, მათი შექმნა რა წესითაც შეიძლებოდაო, აიღო და იმ თავის მიწისქვეშეთში იმანაც შექმნა კაცი და ქალიო, ოღონდაც ღვთისგან განსხვავებით, მათთვის არაფერი აუკრძალავს, რის გამოც არც ცოდვით დაცემულანო. ერთ-ერთმა მოხუცმა იმის თქმაც კი გაბედა, რახან ცოდვით დაცემა არ ყოფილა, არც სხვა ცოდვები ჩადენილაო. მას შემდეგ, რაც ეს მოხუცი მოგზაურები ნაზარეთიდან გააძევეს, ხოლო მოთხოვნას – „აქედან გაეთრიეთო“ მეტი დამაჯერებლობისათვის მოსახლეობამ – რაკიღა მიხვდნენ, საით უკაკუნებდნენ ის უწმინდურები, – ქვების სეტყვაც მიაყოლა, მალე პატარა მიწისძვრა მოხდა – სულ ერთადერთი მსუბუქი ბიძგი, მიწის წიაღიდან გამოგზავნილი მცირედი დასტური და ამან იმხანად ჯერაც არასრულწლოვან, მაგრამ გონებაგახსნილ იესოს მიზეზი და შედეგი ერთმანეთთან დააკავშირებინა. ახლა კი, მწყემსს რომ უთვალთვალებდა, მიწაზე განრთხმულს, ძირს ხელებდაწყობილს, თითქოს ფრთხილად სინჯავს მის თითოეულ მარცვალს, თითოეულ კენჭს, ნიადაგიდან ამოშვერილ თითოეულ ფესვსო, ის ძველი ამბავი გაახსენდა და დაიჯერა, ეს კაცი იმ იდუმალი მიწისქვეშა სამყაროს ბინადარია, რომელიც ეშმაკმა ჩვენი სამყაროს წაბაძვით შექმნაო.

ჩვენთან რაღად მობრძანებულაო, ფიქრობდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო და ამიტომ, როცა მწყემსი წამოდგა, ჰკითხა: ამას რატომ აკეთებ? მინდა დავრწმუნდე, რომ მიწა კვლავაც ფეხქვეშ მაქვს. რაო, ზედ რომ დააბიჯებ, ის არ გარწმუნებს? ფეხით რას იგრძნობ, შეცნობა ხელებს შეუძლიათ: ღმერთს რომ ადიდებ, ცისკენ ფეხებს ხომ არ იშვერ, ხელებს

აღაპყრობ, თუმცა შეგეძლო სხეულის ნებისმიერი ნაკვთი აღგემართა, მათ შორის ისიც, ფეხებშუა რომ გაბია, თუ რა თქმა უნდა, საჭურისი არ ბრძანდები. იესო წამოჭარხლდა, რაღაც შიშისმაგვართან შეზავებული მწველი სირცხვილი წაეკიდა და ლამის დაახრჩო. ანუ შეურაცხყოფ ღმერთს, რომელზეც არა იცი რა! – შეჰყვირა ბოლოს, მაგრამ მწყემსის შეცბუნება ადვილი საქმე არ გახლდათ. შენი სხეული ვინ შექმნა? – ჰკითხა. უფალმა. ისეთი შექმნა, როგორიც არის, ყველაფრიანად? დიახ. არის კი მასში რამე ისეთი, რაც ეშმაკის შექმნილია? არა, არა, ჩემი სხეული ღვთის ქმნილებაა. მაშინ გამოდის, რომ სხეულის ყველა ნაწილი ღვთის წინაშე თანაბარია. დიახ. ჰოდა, აბა, როგორ შეუძლია ღმერთს უარყოს, თითქოსდა თვითონ არ შეექმნას, თუნდაც ის, რაც ფეხებშუა გაქვს? მაგრამ ხომ გააძევა სამოთხიდან თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამი? კეთილ ინებე და ჩემს შეკითხვას პირდაპირ უპასუხე, სინაგოგის მწიგნობარივით რაღაცას ნუ მიედ-მოედები. შენ მაიძულებ, ისე გიპასუხო, როგორც შენ გაწყობს, მაგრამ მე შემიძლია ჩამოგითვალო ყველა შემთხვევა, როდესაც ღმერთი წაბილწვისა და სიკვდილის შიშით უკრძალავს ადამიანს საკუთარი თავის ან სხვის გაშიშვლებას, რაც ამტკიცებს, რომ სხეულის ის ნაწილი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, დაწყევლილია. იმ ბაგეებზე მეტად არა, რომლითაც ვცრუობთ და ცილს ვწამებთ, მაგრამ განა სწორედ იმავე ბაგეებით არ აღუვლენ ხოლმე შენს ღმერთს დიდებას, თან ჯერ იცრუებ, მერე ილოცებ, მერე კი ცილსაც დასწამებ ვინმეს. სურვილი აღარ მაქვს, რომ გისმინო. არ გაქვს, მაგრამ მოგიწევს, რადგან სხვაგვარად ჩემს შეკითხვას პასუხს ვერ გასცემ. რა შეკითხვას? მიპასუხე, შეუძლია თუ არა ღმერთს უარყოს, როგორც სხვისი ქმნილება, ის, რაც ფეხებს შუა გკიდია? ან „ჰო“ უნდა თქვა, ან „არა“. არა, არ შეუძლია. რატომ? იმიტომ, რომ ღმერთი არ გადაიყვარებს იმას, რაც ერთხელ უკვე შეიყვარა. მწყემსმა თავი ნელა დააქნია და ასე ბრძანა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, შენი ღმერთი იმ ციხის ერთადერთი მედილეგეა, რომლის ერთადერთი პატიმარიც თვითონაა. ეს შემზარავი დებულება იესოს ყურებში ჯერ კიდევ ავად ჟღერდა, როცა მწყემსმა მოჩვენებითი ბუნებრიობით უთხრა:

აირჩიე ერთი კრავი, რომელიც მოგეწონება. რა? ამოთქვა დაბნეულმა იესომ. მე გითხარი, ერთი კრავი შენთვის აირჩიე-მეთქი, თუ რა თქმა უნდა, ციკანი არ გირჩევნია. რისთვის? დაგჭირდება, თუ მართლაც საჭურისი არ ხარ. ნათქვამის აზრი მძიმე მუშტივით დაენარცხა თავში იესოს, მაგრამ სირცხვილსა და ზიზღზე უარესი ის იყო, რომ მათი ზიზღისა და სირცხვილის ადგილი უმალ თავბრუდამხვევმა ხორციელმა სურვილმა დაიკავა ძლევამოსილად. ხელები სახეზე აიფარა და ხრინწიანად წარმოთქვა: ბრძანა უფალმა: „ყოველი, ვინცა შეეყოს პირუტყვსა, მოკვდეს~. და კიდევ თქმულ არს: „ვინც პირუტყვს შეუერთდება, მოჰკალით და ის პირუტყვიც მოკვდეს~. მართლა?

ეს ყველაფერი შენმა ღმერთმა თქვა? დიახ! მე კი გეტყვი: განვედ ჩემგან, ბილწო მხეცო, სატანის ნაშიერო. მწყემსი მდუმარედ უსმენდა, არ ინძრეოდა, თითქოს ელის, გამოიღებს თუ არა იესოს მრისხანე სიტყვები რაგინდ რა სასურველ შედეგსო, მეხი ხომ არ დამეცემაო, კეთრის წყლული ხომ არ ამომივაო, ერთ წამში სული ხომ არ გამძვრებაო. არაფერიც არ მომხდარა. მხოლოდ ქვებს შორის ქარმა ჩაიშრიალა, მტვრის ბუქი აიტაცა და უდაბნოში გააფრიალა – მერე კი სუჩუმე ჩამოვარდა და სამყარო მდუმარედ უცქერდა ადამიანებსა და ცხოველებს, თითქოს იმედოვნებს, ეგება მივხვდე, ჩემში ერთნიც და მეორენიც რა აზრს დებენ, რას მომაწერენ, რას ნახულობენო და დაგვიანებული პასუხის მოლოდინში პირველქმნილი ცეცხლი, საწვავის გარეშე დარჩენილი, ჩაინავლა, ჩაიფერფლა და ჩაქრა ბოლოს. მწყემსმა უეცრად ხელები ზეცას აღაპყრო და მქუხარე ხმით თავის სამწყსოს შესძახა: ისმინეთ, ისმინეთ ჩემი ფარის ცხვრებო, ისმინეთ და შეისმინეთ თავის ასაკთან შედარებით ამ უჭკვიანესი ბიჭის სიტყვები: თურმე თქვენთან მრუშობა არ შეიძლება, ღმერთს აუკრძალავს, ასე რომ, მშვიდად იცხოვრეთ დღეიდან; თქვენი გაკრეჭა – არაფერია, ეგ შეიძლება, თქვენი დაკვლა – რამდენიც გნებავთ, გატყავება – კი, ბატონო, თქვენი ხორცის ჭამა – ღმერთმა შეარგოთ, რამეთუ ამისთვის ხართ შექმნილნი, ამისთვის თელავთ მისი ნებით თქვენ ფეხქვეშ მიწას. მერე სამგზის გაბმით დაუსტვინა, თავზემოთ კვერთხი დაატრიალა და დაიყვირა: ჰა, გაინძერით! – და ფარა იქით დაიძრა, საითაც ქარისგან ატაცებული მტვრის ღრუბელი საცაა თვალს მი-

ეფარებოდა. იესო ადგილზე დარჩა, გასცქეროდა, სანამ მწყემსის ტანმაღალი ფიგურა შორს არ ჩაიკარგა, სანამ ცხვრების მორჩილი ზურგები მიწას არ შეერწყა. არ გავყვები მაგათ, თქვა, მაგრამ მაინც გაჰყვა. მოხერხებულად მოიგდო მხარზე შულდაკი, მჭიდროდ შეიკრა ბალთები მამის სანდლებზე და კვალში მიჰყვა, თუმცა დაწევა არ ისურვა, მოშორებით მისდია უკან. და როცა მიწას ღამე ეწვია, სიბნელიდან კოცონის შუქში გამოვიდა და თქვა: ეს მე ვარ.

14* * *

ჟამი ჟამს მისდევს. ასეთი სიბრძნეები ყველას კარგად მოეხსენება და ხშირადაც გაიგონებთ ჩვენში, თუმც კი არც ისე აშკარანი და უდავონი არიან, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს მას, ვინც მხოლოდ სიტყვების პირველადი მნიშვნელობებით კმაყოფილდება, იმისდა მიუხედავად, ეს სიტყვები ცალ-ცალკე ითქმება თუ ოსტატურად აწყობილ ფრაზას ქმნიან, რამეთუ ყველაფერი ინტონაციაზეა დამოკიდებული, ის კი თავის მხრივ, გრძნობაზე, რომლითაც სიტყვა გამოითქმის და, დამეთანხმეთ, სულ სხვაგვარად გამოხატავს ჟამთა ცვალებადობას ის, ვისი ცხოვრებაც წარუმატებელია და ამიტომ უკეთესს ნატრობს და ის, ვისაც ეს სიტყვები მიმდინარე მდგომარეობის წინააღმდეგ მიმართულ მუქარად ეჩვენება. უკიდურესი შემთხვევა კი ისაა, როცა ამ სიტყვებს მელანქოლიური ამოოხვრით წარმოთქვამს ის, ვისაც, არავითარი უტყუარი და საფუძვლიანი საყვედურის მიზეზი არ გააჩნია არც საკუთარი ჯანმრთელობის, არც კეთილდღეობის მიმართ. უბრალოდ, პესიმისტადაა დაბადებული, მუდამ რაღაც ცუდის მოლოდინშია. საეჭვოა, რომ ჭაბუკ იესოს ეს სიტყვები რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობით წარმოეთქვა, მაგრამ ჩვენ, მე და თქვენ, ვითარცა ღმერთებმა რომ ვიცით, იმ ძველ დროში რა იყო და რაც მერე უნდა მოხდეს, სრული უფლება გვაქვს წამოვიძახოთ, ჩავიბუტბუტოთ, ამოვიოხროთ ეს სიტყვები, რადგან აჰა, ვაკვირდებით, თუ როგორ ითვისებს იესო მწყემსურ ხელოვნებას იუდეის მთებში, ანდა, როცა დაეშვება ხოლმე, – იორდანეს ველზე. და აქ საქმე თვით იესოში კი არ არის, როგორც ასეთში, – უბრალოდ,

ადამიანთა მოდგმის ნებისმიერ წარმომადგენელს ცხოვრების ყოველ მონაკვეთში კარგიც ექნება და ცუდიც, ერთს მეორე მოჰყვება, მსგავსად იმისა, თუ როგორ მისდევს ჟამს ჟამი. ხოლო რამდენადაც იესო ჩვენი სახარების აშკარა პროტაგონისტია, ხოლო ჩვენს სახარებას არასოდეს დაუსახავს მიზნად უღირსად უარეყო სხვათა მიერ უფრო ადრე დაწერილი სახარებები, განეცხადებინა, თითქოს არ მომხდარიყოს ის, რაც მოხდა და პირიქით, – ამიტომ ჩვენთვის ძნელი არ არის ჩვენსავე მთავარ გმირს მივუახლოვდეთ, რამეთუ, კიდევ კარგი, ვიცით, სადაც იმყოფება და მომავალიც კი ვუწინასწარმეტყველოთ: ვაცნობოთ, რა ჩინებული ცხოვრება ელის წინ, რა სასწაულებს დაატრიალებს, მშივრებს დააპურებს, სნეულებს განკურნავს და ერთ მიცვალებულსაც კი გააცოცხლებს, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიზამთ, რამეთუ ეს ყმაწვილი, თუმც კი გულით მორწმუნეა, თუმც კი კარგად ერკვევა ძველ პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა ნაწერებში, მაინც გამსჭვალულია მისი ასაკისათვის ესოდენ დამახასიათებელი ჯანსაღი სკეპტიციზმით, ამიტომ დიდი შანსია, ერთ ადგილას გაგვაგზავნოს. ცხადია, თავის დროზე შეხედულებებს შეიცვლის, მით უფრო, როცა ღმერთს შეხვდება, მაგრამ ეს საბედისწერო შეხვედრა მალე არ მოხდება და მანამდე იესოს კიდევ დიდხანს მოუწევს მთებში ხეტიალი, თხებისა და ცხვრების წველა, მოწველილი რძიდან ყველის ამოყვანა და მახლობელ სოფლებში ამ ყველის ათას რამეში გაცვლა. ავადმყოფი და სახიჩარი პირუტყვის დაკვლაც მოუწევს და მერე მისი გამოტირებაც.

ოღონდაც ერთი რამ არასდროს მოხდება, შეგიძლიათ დამშვიდდეთ: იესო არ აჰყვება იმ შემზარავ ცდუნებას, ვერაგი და ღრმად გარყვნილი მწყემსი რომ აქეზებდა, კრავს ან ბეკეკას რომ ურჩევდა, ანთუ ორივეს რიგრიგობით ხორციელი ვნების დასაოკებლად, ქვენა გრძნობების დასაცხრობად, რომლის

გვერდით თანაცხოვრება ამაღლებული სულისათვის იძულებაა. ახლა არც ადგილია და, რაც მთავარია, არც დრო, სიღრმეში ჩავყვეთ ფსიქოანალიზს, რომელიც მრავალი საუკუნის შემდეგ გაჩნდება, ამიტომ არც იმის შესახებ ვიტყვით რაიმეს, რომ ხშირად ხორცის ღირსეულ სიწ-

მინდეში შესანახად სევდის, შურისა და იმ ტალახის მძიმე უღელი, რომ-ლისაგან თითქოს სხეული დავიცავით, სულს ადგას ხოლმე.

მწყემსი და იესო, თუმც მალევე არ შეუწყვეტიათ ღვთისმეტყველური და ეთიკური დისკუსიები, დროდადრო კვლავ რომ იფეთქებდა ხოლმე მათ შორის, მაინც მეგობრულად ცხოვრობდნენ და უფროსი იშვიათი მოთმინებით აცნობდა უმრწემესს მწყემსური საქმის ავანჩავანს, ხოლო უმრწემესი გულმოდგინედ და ბეჯითად ითვისებდა ყოველივეს, გეგონე-ბოდათ, მისი სიცოცხლე ამაზეა დამოკიდებულიო. დაეუფლა კვერთხის თავზემოთ დატრიალების ხელოვნებას, ისე, რომ ჰაერი ბოხი ზუილით ავსებულიყო, ან არგნის ტყორცნას ისე ზუსტად, რომ სიშტერით და უდარდელობით ფარას ჩამორჩენილი ცხვრის ზურგს დიდი სიზუსტით მოხვედროდა, და ეს ხელოვნება, როგორც ყველა სხვა, მსხვერპლს მო-ითხოვდა: ერთხელ, როცა ჯერ ოსტატობას სრულად ვერ ფლობდა, ძა-ლიან დაბლა მოუვიდა და კვერთხი ახლახან, რამდენიმე დღის წინ გა-ჩენილ ციკანს მოხვდა შიგ წვრილ კისერში, რის გამოც იქვე გააცხო სუ-ლი. ამგვარი მარცხისაგან არავინაა დაზღვეული, რადგან, როგორც ნე-ბისმიერი შემთხვევითობა, თვით გამოცდილ და ბრძენ მწყემსსაც კი შე-ეფეთება, მაგრამ საბრალო იესომ, ისედაც რომ ათასგვარი განსაცდელი გადაეტანა, ჯერაც თბილი ციკნის სხეული ხელთ აიტატა მწუხარებით გაქვავებულმა. რაღას იზამდა, თვით დედა თხამაც ერთხელ დასუნა უსულო შვილს და მერე წავიდა და ბალახის ძოვა განაგრძო, მოკლედ და მკვეთრად იქნევდა რქიან თავს თითოეული ღერის მოსაკვნეტად და საქ-მიანი იერით თვალსაჩინო საბუთს უქმნიდა ანდაზის სიბრძნეს: „ვინც რქებს იქნევს, პირს ააცდენსო“, ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ცრემ-ლი უბედურებას ვერ უშველისო~. მოვიდა მწყემსი, გაიგო, რაც მომხდა-რიყო და თქვა: საწყალი, სიცოცხლე არ დასცალდა, მაგრამ შენ ნუ იდარ-დებ. მე მოვკალი, სასოწარკვეთით წამოიძახა იესომ, ასეთი უსუსური მოვკალი. ჰო, თორემ დიდი აყროლებული ვაცი რომ გაგეგორებინა, კი არ შეწუხდებოდი. კარგი შეეშვი ამას, მე მივხედავ, შენ კი აგერ იმ ცხვარს მიხედე – მგონი, საცაა ბატკანი უნდა გააჩინოს. ამას რას უზამ? გავატყა-ვებ და ავქნი, სხვა რა უნდა ვუქნა, მაგას მე ვერ გავაცოცხლებ, სასწაულე-ბი არ მეხერხება. გეფიცები, მაგის ხორცს ძალითაც ვერ შემაჭმევ. საკუ-

თარი ხელით მოკლულ პირუტყვს შენ თვითონ თუ შეჭამ, ამით ყველაზე მეტ პატივს დასდებ, ბევრად უარესია ის ჭამო, ვისი მოკვლაც სხვამ დაგავალა. მე მაგას არ შევჭამ-მეთქი. არ შეჭამ და ნუ შეჭამ, მე მეტი დამრჩება. მწყემსმა ქამრიდან დანა ამოიღო, იესოს შეხედა და უთხრა: ადრე თუ გვიან იმის სწავლაც მოგიწევს, თუ როგორ არიან შიგნიდან მოწყობილნი ისინი, ვინც ჩვენდა სასარგებლოდ, მათ შორის, საკვებადაც შეიქმნა. იესო შეტრიალდა, გვერდზე გადგა, მაგრამ მწყემსმა დანით ხელში კიდევ ჩაილაპარაკა: მონა იმისთვის ცოცხლობს, რომ გვემსახუროს და ეგებ საჭიროა გავფატროთ, რათა დავრწმუნდეთ, მუცელში ახალი მონები ხომ არ უსხედან, მერე კი მეფე გამოვშიგნოთ, ეგება ახალი მეფე უზის წიაღში, მაგრამ სატანა თუ შემოგვეყრება და ამისვე ნებას დაგვრთავს, გამორიცხული არ არის და ნუ გაგიკვირდება, მისი წიაღიდან ღმერთი რომ გამოხტეს. ზემოთ მოგახსენეთ, მწყემსსა და მის შეგირდს შორის ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა ხოლმე ამგვარ იდეურ შეჯახებებს-მეთქი, და აჰა, ამის ნიმუშიც. თუმცა დროთა განმავლობაში იესო მიხვდა, რომ ასეთ ვითარებაში დუმილი სჯობდა კამათში ჩაბმას, რათა, როგორც ჩვენს დროებაში

ვიტყოდით, პროვოკაციას არ აჰყოლოდა, მით უმეტეს ამგვარ უხეშ პროვოკაციას, როგორიც მწყემსის ზემოთ მოყვანილი გამოხდომა გახლდათ, ან კიდევ უარესი: წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, მწყემსს რომ აზრად მოსვლოდა, – მაგისგან რაღა არ იყო მოსალოდნელი, – ეთქვა, რომ პირიქით, ღმერთი ატარებს თავის წიაღში სატანასო. მაგრამ იმჯერად იესო მაკე ნეზვის საძებრად წავიდა, ბატკნის საშობად ფარას რომ ჩამორჩენოდა და იმედოვნებდა, აქ მაინც ყველაფერი რიგზე იქნება და ბატკანი ისეთივე დაიბადება, როგორებიც სხვა ბატკნები იბადებიან, დედამისის თარგზე შექმნილი და თავისი და-ძმების მსგავსი წყლის წვეთებივითო: მადლობა ღმერთს, რომ არსებები ძირითადად თავის მსგავსებს აჩენენ და ამგვარი უწყინარი მონაცვლეობა მშფოთვარე სულს მშვიდობას ჩუქნის. ცხვარი რომ ნახა, იმას უკვე მოეგო ბატკანი და ახალშობილი, ისე პაწია, რომ გაჩაჩხული ფეხების მეტს ჯერ ვერაფერს დაუნახავდი, მიწაზე იწვა, დედა კი ფრთხილად დრუნჩს აჭერდა, წამოდგომაში ეხმარებოდა, მაგრამ საბრალო რეტდასხმულ თავს ისე იქნევდა,

თითქოს უნდოდა, ქვეყნიერება, სადაც ეს-ესაა მობრძანებულიყო, ოდნავ მაინც ისეთი კუთხით დაენახა, რომ ეგება ცოტა რამე მაინც გაეგო. იესო ბატკანს ფეხზე დადგომაში დაეხმარა, ცხვრის წიაღიდან გადმოდენილ სასიცოცხლო წყლებში თითებისა და ხელისგულების დასვრას არ მოერიდა: აი, რას ნიშნავს სოფელში ცხოვრება, პირუტყვის გვერდით – ვისთვის ნეხვია, ვისთვის ნაკელი, კრავი კი ძალიან საყვარელი იყო, ხუჭუჭა, ვარდისფერი დრუნჩით უკვე მოუთმენლად რძეს დაეძებდა დედის ცურში, აქამდე რომ არც ენახა და არც წარმოედგინა, სანამ დედის მუცელში იჯდა. უეჭველია, არც ერთ ცხოველს სასაყვედურო არა აქვს ღმერთთან, რაკიღა დაბადებისთანავე უამრავ სასარგებლო ცოდნას თან გამოაყოლებს ხოლმე. მოშორებით მწყემსი თიკნის ტყავს ჭიმავდა ლატნებისგან გაკეთებულ საშრობზე, რომელსაც ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმა ჰქონდა, ხოლო შულდაკში სუფთა ჩვარში გახვეული, გამოფატრული თვით ის ციკანი ინახებოდა. ღამის სათევად რომ დაბანაკდებიან, მწყემსი ხორცს დაამარილებს, ცხადია, იმ ნაწილის გარდა, რომელსაც ვახშმად მიირთმევს, კიდევ კარგი, იესომ უკვე უარი განაცხადა იმ არსების ხორცის ჭამაზე, რომელსაც უნებლიეთ სიცოცხლე მოუსწრაფა. არადა, ამგვარი გულაზიზობა ჯიქურ ეწინააღმდეგება მის რჯულსა და ზნე-ჩვეულებებს, რამეთუ ღვთის საკურთხევლებზე ყოველი დღესასწაულისას უამრავ ასეთსავე უდანაშაულო არსებას კლავენ, განსაკუთრებით იერუსალიმში, სადაც ჰეტაკომბები ივსება ხოლმე ამგვარი მსხვერპლით. მაგრამ ეს საქციელი, ერთი შეხედვით აუხსნელი იმდროინდელი და იქაური კრიტერიუმით, საფიქრალია, უფრო მის სულში გაჩენილი ჭრილობიდან მომდინარეობს, – არ დაგვავიწყდეს, რა ცოტა დროა გასული იოსების მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ, რა ნედლია მის არსებაში თხუთმეტი წლის წინ ბეთლემში მომხდარი უბედურების გამოძახილი, გასაკვირიც კია, ჭაბუკს გონება საღად რომ შერჩა, თავის ქალაში მოთავსებულ მზაკვრულ მექანიზმს ჭანჭიკები, ჭოჭონაქები და კბილანები რომ არ დასცვივდა, თუმც მტანჯველ სიზმრებს ისევ ხედავს და მათ შესახებ თუ აღარაფერს გეუბნებით, იმას არ ნიშნავს, რომ ამ სიზმრებმა იესოს თავი დაანებეს. დიახაც რომ ესიზმრებიან და როდესაც ეს წამება ყველანაირ ზღვარს გადადის და იმნაირად ძლიერდება,

რომ მთელ ფარას გადაეცემა, შუაღამეს რომ გაიღვიძებს თითქოს დანის ქვეშ სიკვდილის შიშით და აბღავლდება მთელი ფარა გულგასახეთქად, მაშინ მწყემსი ფრთხილად აღვიძებს: რა დაგემართა? რა მოგივიდა? – და იესო კოშმარის ბრჭყალებიდან მწყემსის ხელებში ინაცვლებს ხოლმე, ჩაეხუტება, თითქოს ღვიძლ მამას ეკვროდეს მკერდში.

ერთხელ, სულ ადრე, მწყემსს უამბო თავის სიზმრები, ოღონდაც ისე, რომ ამ ყოველღამეული სატანჯველის ფესვები და მიზეზები არ გაემხილა, მაგრამ იმან ასე მიუგო: კარგი, გაჩერდი, ტყუილად ნუ გაირჯები, მე ყველაფერი ვიცი, ისიც კი, რასაც მიმალავ. სწორედ ამის მერე იყო, იესო რომ თავს დაესხა, ურწმუნოება, ათასგვარი მანკიერება და ცოდვები რომ დააბრალა, ცხადი თუ დაფარული, აშკარა და საგულისხმო, მაპატიეთ, ამ თემას რომ ისევ ვეხები, – თვით სექსუალური გარყვნილებაც კი. მაგრამ იესოს, მოგეხსენებათ, ქვეყანაზე არავინ ჰყავდა ოჯახის გარდა, რომელსაც მოსწყდა და რომელიც თითქმის დაივიწყა – ცხადია, ეს დედას არ ეხებოდა: დედა ცხოვრებას გვჩუქნის და ყოველთვის დედად რჩება, თუმცა ცხოვრებაში არის ხოლმე წუთები, როცა გვინდა ვიკითხოთ: „რად გამაჩინე, დედაჩემო, ნეტავი ქვეყნად?“ ხოლო დედის გარდა რატომღაც თავისი და – ლიზია ახსოვდა და მხოლოდ მას იხსენებდა, თითოეულ ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი მიზეზები გვაქვს ხოლმე ხსოვნისაც და დავიწყებისაც. ჰოდა, ყოველივე ამის გამო იესო მწყემსს შეეთვისა და ეს არცთუ ძნელი გასაგებია: ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ბევრს ნიშნავს, როცა იგრძნობ, რომ ამქვეყანად მხოლოდ საკუთარი თავისა და ბრალის გარდა რამე სხვაც არის, როცა გვერდით ადამიანი გყავს, ამ შენი ბრალის შესახებ რომ იცის, ოღონდაც თავს კი არ იკატუნებს, აქაოდა, უპატიებელი გაპატიეო, თუნდაც რომ მისი ნებისა იყოს ეს პატიება, არამედ არ გეთვალთმაქცება – როცა საჭიროა, გლანძღავს, როცა საჭიროა, გაქებს, ანუ იმ სამართლიანობას გიზღავს, რომელსაც იმ ჩვენი ბრალის ოკეანით გარემოცული ჩვენივე უმანკოების კუნძული იმსახურებს. შემთხვევით ვსარგებლობთ და საგანგებოდ ვავითარებთ ესოდენ ვრცელ განმარტებას, რათა უკეთ ჩავწვდეთ, მცდარად არ აღვიქვათ მიზეზები, თუ რატომ დარჩა იესო მისგან ესოდენ განსხვავებული ზნის, საერთოდაც სრულიად საპირისპირო ბუნების მქონე უხეშ პატრონთან თუ მოძ-

ღვართან მანამ, სანამ ღმერთთან შეხვედრა შედგებოდა, შეხვედრა აღთქმული, ამაღლებული, რომელიც კიდევ კარგა ხანს არ მოხდება, რადგან ღმერთს რიგით მოკვდავთან შესახვედრად ჯერ საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა შეექმნას.

მაგრამ მანამდე შემთხვევითი გარემოებები და გაუთვალისწინებელი ვითარებები, რომელთა შესახებაც საკმაოდ ბევრი მოგახსენეთ, ისეთნაირად უნდა აეწყოს, რომ იესო ჯერ დედამისსა და ზოგიერთ დედმამიშვილს იერუსალიმში შეხვდეს, პასექის დღესასწაულზე, რომელსაც მარტოობაში, ოჯახის გარეშე პირველად ეგებება. ხოლო იესოს იერუსალიმში წასვლის სურვილს შესაძლოა გაოცებული მწყემსის უარი და აკრძალვაც კი მოჰყოლოდა, რამეთუ ფარა უდაბნოში იმყოფებოდა და საგანგებო ყურადღება, მოვლა და გაფრთხილება სჭირდებოდა, სხვა უთვალავი ჩვეულებრივი მწყემსური მოვალეობები რომც არ ჩავთვალოთ. ასე რომ, მწყემსს, იუდეველი სულაც რომ არ იყო და საერთოდაც არც ერთ ღმერთზე რომ არ ლოცულობდა, თავისუფლად შეეძლო ეთქვა:

კიდევ რა გინდა?! არსადაც არ წახვალ, შენი ადგილი აქ არის, მე ვარ შენი პატრონი, საქმეს მიხედე და სისულელეს შეეშვიო.

მაგრამ ვჩქარობ, შეგატყობინოთ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა, მწყემსმა მხოლოდ ჰკითხა: თუ დაბრუნდებიო, თან ისე ჰკითხა, თითქოს დარწმუნებული იყო, პასუხად „ჰოს“ რომ გაიგონებდა, რაც სწორედაც რომ იმავ წამს მოსწყდა იესოს პირს, დაუყოვნებლივ, თვითონაც კი გაუკვირდა, რა

გადამჭრელად ვუპასუხე, დავბრუნდებიო. მაშინ ფარაში ერთი კრავი ამოარჩიე, თქვენში რომ იტყვიან, უმწიკვლო, სუფთა და ჩასუქებული, თქვენებური წესის მიხედვით მსხვერპლად შესწირავო, მაგრამ ასე მწყემსმა გამოსაცდელად უთხრა, აბა, ამ ნაჯაფარი და ნაამაგარი ფარის ბატკანს სასიკვდილოდ თუ გაწირავსო. იესოსთვის არავის არ უკარნახია, გცდის ეს კაციო, არც ერთი პატარა ანგელოზი – ხომ იცით, ერთი ციცქნები რომ არიან, თითქმის უხილავები – არ დაფრენია მხარზე ჩურჩულით: ფრთხილად იყავი, მახეს გიგებს, არ გაება, ხომ იცი, ეგ კაცი ყველაფერზე წამსვლელიაო. არა, სწორი პასუხი თავად მოვიდა, თუმცა, ეგება, იმ შემთხვევით მოკლული ციკნისა და ახალშობილი ბატკნის შე-

სახებ მოგონება წამოეშველა. არა, მე ამ ფარის კრავს იქ არ წავიყვან. რატომ ვითომ? ვინც გამიზრდია, სასიკვდილოდ ვერ გავიმეტებ. ვერაფერს ვიტყვი, სწორი ხარ, მაგრამ კრავის შოვნა სხვა ფარაში მაინც მოგიწევს. მომიწევს, აბა, ბატკანი ციდან ხომ არ ჩამოვარდება. როდის მიდიხარ? ხვალ დილით. დაბრუნდები? დავბრუნდები. ამით დასრულდა საუბარი, თუმც კი წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ შეძლებს იესო, უპოვარი ადამიანი, რომლის შრომის საზღაური საჭმელ-სასმელი იყო მხოლოდ, სამსხვერპლო ბატკნის ყიდვას. ერთიც ვთქვათ, იგი შორსაა ყოველგვარი ცდუნებისაგან, რაშიც ფულს იხდის ადამიანი და ამიტომაც ეგებ შემორჩა მონეტები, ერთი წლის წინ ფარისეველმა რომ უწყალობა, მაგრამ ეს ფული არ ეყოფა, რამეთუ, როგორც უკვე მოგახსენეთ, წელიწადის ამ დროს პირუტყვის ფასი, განსაკუთრებით კი ბატკნისა, ცაში ავარდებოდა ხოლმე. მართალია, იესოს ბევრი სიმწარე გადახდა, მაგრამ გავბედავდი და ვიტყოდი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა-მეთქი, და ის ვარსკვლავი იცავდა და იფარავდა-მეთქი, რომ არა ერთობ საეჭვო სისულელის საფუძველზე, რაც არც მე უნდა მეპატიოს და არც სხვა რომელიმე ევანგელისტს, – დაწყებული მსჯელობა, თითქოს ციურ სხეულებს, ჩვენი პლანეტიდან ასეთი შორი მანძილით დაშორებულებს, ადამიანის მიწიერ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ, როგორც უნდა შეელოცათ, როგორც უნდა დაკვირვებოდნენ მათ მოძრაობას და დაეძებნათ მნათობთა და ამქვეყნიურ ყოფიერებას შორის კავშირი იმ სამ დიად მოგვს, რომლებსაც, თუ მართალია, რასაც ამბობენ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ აქაურ უდაბურ მხარეში ჩამოუვლიათ, რასაც, უნდა ითქვას, არც არაფერი განსაკუთრებული შედეგი არ მოუტანია: დაუნახავთ, რაც დაუნახავთ და გზას გაჰყოლიან. ჰოდა, ამგვარად, ამ მოზრდილი ნაწყვეტის აზრი, თუ მის სირთულეს თავი გაართვით, ის გახლავთ, რომ ჩვენი იესო უეჭველად მოახერხებს ტაძარში ღირსეულად მისვლას სამსხვერპლო ბატკნით და მართლმორწმუნის მოვალეობას სრულად მოიხდის, რაც აქამდეც არაერთხელ შეძლო მწყემსთან კამათში.

ფარა კი ამასობაში ხვავრიელი ბალახის ძოვით ნებივრობდა აიალონის ნაყოფიერ საძოვრებზე, ქალაქ ხაზერსა და ქალაქ ემაუსს შორის. სწორედ აქ, ემაუსში სცადა იესომ ბატკნის საყიდელი ფულის შოვ-

ნა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ერთწლიანმა მესაქონლეობამ ყველა სხვა ხელობა დაავიწყა დურგლობის ჩათვლით, რომელსაც თავის დროზე მოუცლელობის გამო არცთუ მაინცდამაინც სრულყოფილად დაუფლებია, ანუ არასაკმარისად იმისათვის, რომ ამ ხელობით სარჩო ეშოვა. ამიტომაც ემაუსიდან თავის ბედზე მძიმე ფიქრებით დამძიმებულმა გასწია იერუსალიმისკენ: ბატკნის საყიდელი ფული, როგორც ვიცით, არ გააჩნდა, ქურდობა, რაც კიდევ უფრო კარგად ვიცით, არ სურდა, – და ალბათ სასწაულად უფრო ჩაითვლებოდა, ვიდრე იღბლიან შემთხვევითობად, გზად დაკარგულ ბატკანს რომ გადაჰყროდა, ერთ იმათგანს, ვისაც კისერში თოკგამობმულს მიათრევდნენ, ანდა უფრო კეთილი პატრონები ხელში

ატატებულს მიაბრძანებდნენ, იმათგანს, ვინც ახლად დაწყებული სიცოცხლის მანძილზე პირველად მოგზაურობდა შორ მანძილზე და ერთობ უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო და ამის გამო თავგზააბნეული შფოთავდა, ცდილობდა მიმხვდარიყო, რა ამბავია ჩემს თავსო, მაგრამ რადგან პირუტყვი გახლდათ, შეკითხვა არაფრისა შეეძლო, გაფაციცებით იცქირებოდა, თითქოსდა სიტყვებისგან შედგენილი ქვეყნიერების შემეცნება მხოლოდ თვალებით ყოფილიყოს შესაძლებელი. იესო გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა, იმ მატერიალურ პრობლემებზე ფიქრს განაგრძობდა, სულიერი მოვალეობის აღსრულებაში ხელს რომ უშლიდა და სრულიად უნაყოფო იმედად მიაჩნდა მოლოდინი, რომ, მაგალითად, იგივე ან სხვა ფარისეველი ეგება შემხვდეს და მკითხოს, ბატკანი ხომ არ გჭირდებაო, ისე, როგორც შარშან ჰკითხა, ხომ არ გშიაო, მაგრამ მაშინ უთხოვნელად ეწია საწადელს, ახლა კი ითხოვს, თუმცა იმედი არა აქვს, რომ მიეცემა. ხელი უკვე გაშვერილი აქვს სამოწყალოდ, და ეს ხელი ვითარებას ყველა სიტყვაზე უკეთ ხდის გასაგებს და ამიტომაც ხშირად თვალს ვარიდებთ, როგორც პირღია იარას, რომლის დანახვა ზიზღს გვგვრის ხოლმე. რამდენიმე მონეტა უკვე დაეცა იესოს ხელისგულს, მაგრამ ამას უკვე არსებულიც რომ დაუმატოს, ნახევარ ბატკანსაც ვერ იყიდის, არადა ყველამ კარგად იცის, რომ მსხვერპლი, რომლის საკურთხეველზე მიტანის უფლებასაც გვანიჭებს ღმერთი, უხინჯო უნდა იყოს, მამრობითი სქესის მსხვილფეხა პირუტყვი, ან ცხვარი, ან თხა და

აზრადაც არ გაივლოთ ბრმა, ხეიბარი, მახინჯი, სნეული, ტურტლიანი და საძაგელი ცხოველის მოყვანა, ხოლო იმის წარმოდგენაც კი არ შეიძლება, რა დღეს დაგვაყრიან, ტაძარში პირუტყვის ნახევარი რომ მივიტანოთ, მით უმეტეს, გამოშიგნული – ეჭვია არაა, ტაძრიდან მყის გაგვაძევებენ. არადა აზრად არავის მოსვლია, ამ მოზარდისთვის ეკითხა, ფული რად გჭირდებაო, მაგრამ ჯერ ეს ფრაზა ბოლომდე დაწერილიც კი არ გვქონდა, როდესაც ერთი მხცოვანი მამაკაცი, გრძელი, ჭაღარა წვერი რომ ჰქონდა, გამოეყო მრავალრიცხოვან ჯალაბობას, თავიანთი პატრიარქის მოლოდინში შუა გზაზე პატივისცემით რომ გარინდულიყვნენ, და იესოს მიუახლოვდა. ალბათ ერთ მონეტას ესეც მომცემსო, მაგრამ შეცდა, მოხუცმა ჰკითხა: ვინ ხარ? ნაზარეთელი იესო ვარ, მიუგო და ფეხზე წამოდგა. ობოლი ხარ? არა. შენი მშობლები სად არიან? იუდეაში მწყემსად ვარ, – ამ სიმართლით იცრუა, ან ამ სიცრუით სიმართლე თქვა იესომ. მოხუცის ცნობისმოყვარეობა ამან არ დააკმაყოფილა და ისევ ჰკითხა: რას მათხოვრობ, თუკი საქმე გაქვს? გასამრჯელოდ საჭმელ-სასმელს მაძლევენ და საპასექო ბატკნისთვის ფული არ მყოფნის.

ამიტომ თხოულობ მოწყალებას? დიახ, ამიტომ. მოხუცმა ერთ-ერთ თავისიანს ანიშნა და უბრძანა: მიეცით ერთი ბატკანი, ტაძართან რომ მივალთ, სანაცვლო იქ ვიყიდოთ. მოხუცის ბრძანება მყისვე შესრულდა, თოკზე გამობმული ექვსი ბატკნიდან ერთ-ერთი, სულ ბოლო, ჩახსნეს და იესოს მიჰგვარეს, მოხუცმა კი უთხრა: აჰა, შენ შენი კრავი, რათა პასექზე უფალს მსხვერპლი შესწირო და მადლობისთვის არ დაუცდია, შეუერთდა თავისიანებს, რომლებიც ამ დროს იღიმოდნენ და ტაშს უკრავდნენ.

იესომ მადლობა მაშინღა თქვა, როცა ისინი უკვე ვეღარ გაიგონებდნენ, ხოლო გზა ამ დროს, თითქოს რაღაც ჯადოქრობითო, დაცარიელდა და ერთი მოსახვევიდან მეორემდე ამ ორის – ბიჭისა და კრავის გარდა არავინ დარჩა, ემაუსიდან იერუსალიმამდე გზის ბოლოს მოვლენილი მოხუცი იუდეველის სიკეთის წყალობით. იესო ბატკნის კისერზე გამობმული თოკის ბოლოს ხელზე იხვევს, ის კი ასცქერის თავის ახალ

პატრონს და ხმის კანკალით – მეეეეო, კიკინებს, ისე ფრთხილად და წვრილად, როგორც ძუძუს ბატკნებს სჩვევიათ ხოლმე, ჩვილობაშივე სა-

სიკვდილოდ განწირულებს, რამეთუ ღმერთს ასეთები უფრო მოსწონს. ეს კიკინი, რომლის მსგავსიც თავისი ახალი მწყემსური ცხოვრების მანძილზე ათასჯერ მაინც გაუგონია, შიგ გულში ხვდება და ეჩვენება, ახლა გავსკდები ამის საცოდაობითო, პირველად იგრძნო სრული, სრულიად განუყოფელი ძალაუფლება სხვა არსების სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ, აი, ამ პატარა ბეკეკასი, არც ნება რომ არ გააჩნია, არც სურვილი, ნდობით რომ მიუშვირა პაწია დრუნჩი: კიკინისას პაწაწინა ვარდისფერი ენა უჩანდა და მეჩხერი მატყლის მიღმა ყურების კანიც ვარდისფრად გამჭვირვალე ჰქონდა, ვარდისფერივე იყო ისიც, რასაც ადამიანის შემთხვევაში „ფრჩხილები“ ჰქვია, ხოლო ამ კრავის შემთხვევაში „ჩლიქებად“ ქცევა არ ეწერა აწ და მარადის.

იესომ ბატკანს თავზე ხელი გადაუსვა, მან კი პასუხად ხელისგულზე სველი ცხვირი მიუცაცუნა, ჟრჟოლა მოჰგვარა. ჯადოქრობაც უეცრად განქარდა – გზაზე ემაუსის მხრიდან კვერთხები გამოჩნდნენ, მოფრიალე ქიტონები, მხრებზე მოკიდებული შულდაკები: მომლოცველთა კიდევ ერთი გუნდი მოაბიჯებდა უფლის დიდებით, სხვა ბატკნები მოჰყავდათ თოკით. იესომ თავისი ხელში აიყვანა ბავშვივით და დაიძრა. იერუსალიმში მას მერე არ ყოფილა, პირველად რომ თავისი ბრალის, ტანჯვისა და სინდისის ქენჯნის ფასის გასაგებად ჩამოვიდა და არა მხოლოდ ფასის გასაგებად, არამედ იმ გზის საპოვნელად, სინდისთან რომ შეარიგებდა, იმის მისახვედრად – ცალ-ცალკე უნდა გამკლავებოდა ბრალს, ტანჯვასა და ქენჯნას, ნაწილ-ნაწილ, მამა-პაპის დანატოვარი ქონებასავით, თუ ერთიანად – ყოველი კაცის სიკვდილივით.

ტალახიანი მდინარესავით შეედინებოდა ხალხის ნაკადი ტაძრის კარიბჭეში. იესო ბატკნით ხელში შესცქეროდა ამ რიარიას, ფორიაქსა და მიხლა-მოხლას: ერთნი ადიოდნენ კიბეებზე, ზოგს აჰყავდა სამსხვერპლო ცხოველები, ზოგსაც აჰქონდა, მეორენი მსუბუქად ძირს ეშვებოდნენ ხელგაცლილები, გაიძახოდნენ „ალილუია“, „ოსანა“, „ამინ“, ანდა დუმდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ყიჟინა ამ დროს იგივეა, რაც იერუსალიმის ტაძრიდან გამოსულებმა „ავოიე“ რომ დავიყვიროთ, ან რიხიანი „ვაშა“ დავძახოთ, თუმცა, არსებითად თუ დავუკვირდებით, ყველა ამ შეძახილს შორის განსხვავება უმნიშვნელოა, რამეთუ ასე გამოვთქვამთ

ჩვენს უმაღლეს სრულყოფილებას, ჩვენი იგივეობის გარკვეულ კვინტესენციას, და როცა ამ შეძახილებს ამოვუშვებთ, ხანდახან ვფიქრობთ: რა საჭიროა ეს ყვირილი? და პასუხი ვერ მოგვინახავს.

ტაძრის თავზე ცისკენ კვამლის სვეტი ადიოდა გაუთავებლად, მუდმივად გამოკვებილი ახალ-ახალი სამსხვერპლოს დაწვით, რათა მსოფლიოს დაენახა, მორწმუნეთა რა ვეება რაოდენობას მოჰქონდა მსხვერპლი, ადამისა და ევას შვილის, აბელის ძეებს, ერთხელ, ოდესღაც უფალს რომ თავისი ფარის პირმშოები მიართვა მსხვერპლად და ქონი მათი, ხოლო უფალმა აბელის მსხვერპლს მიხედა, ანუ კეთილი თვალით მიიღო იგი, ხოლო კაენის სამსხვერპლო ძღვენი, მიწის უბრალო ნაყოფის მეტი რომ არა იყო, უარყო – მაგრამ რა მიზეზით, დღემდე არ ვიცით. კაენს რომ აბელი მაინცდამაინც ამის გამო მოეკლა, შეგვეძლო მშვიდად დაგვეძინა, რადგან ჩვენ ყველანი დიდი ხანია, ერთსა და იმავე მსხვერპლს ვწირავთ უფალს დაახლოებით, რის დასტურადაც ყური დავუგდოთ, როგორ ტკაცუნობს ქონი ცეცხლში და იწვის

ხორცი, ხოლო უფალი ღრუბლებს ზემოდან კმაყოფილი ყნოსავს სასაკლაოს კეთილსურნელს და დახრაკული ხორცის არომატს.

იესო ბატკანს გულში იხუტებს – რატომ არ უნდა ღმერთს, რომ საკურთხეველზე რძე დაუსხურონ – ყოფიერების ნამდვილი წვენი, – წვენი, რომელიც ერთი მიწის ბინადრიდან მეორეში გადაიღვრება; ანდა რატომ არ შეიძლება, საკურთხეველზე, როგორც ხნულში, მოუბნიო პეშვით ხორბალი, რისგანაც მერე არსობის პური გამოცხვება?

ბატკანი, ცოტა ხნის წინ უცნობი მოხუცის გულუხვი საჩუქარი რომ გახლდათ, ხვალ მზის ამოსვლას ვეღარ იხილავს, – უკვე დროა ტაძრის საფეხურებისაკენ წაიყვანოს, დანასა და სამსხვერპლოს ცეცხლს გადასცეს, გეგონება სიცოცხლის უფლება არა აქვს, თითქოს საძოვართა მფლობელის წინაშე დანაშაული ჩაედინოს, სიცოცხლის წყაროს წყალი მისი ნებართვის გარეშე დაელიოს. და აი, იესომ, თითქოს რაღაც შინაგან გასხივოსნებას აყოლილმა, კანონის პატივისცემისა და მორჩილების საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა, ეს ბატკანი არ მოკვდებაო, რომ არსება, სასიკვდილოდ რომ მაჩუქეს, ცოცხალი დარჩებაო, თუმცაღა თვითონ, წმინდა ქალაქ იერუსალიმში მსხვერპლშეწირვისთვის მოსული,

კიდევ ერთი ცოდვით სინდისდამძიმებული წავა აქედან, გეგონება, ძველი ცოდვები ცოტა ჰქონდეს და დადგება დღე, როცა ყოველივე მომეკითხება, რამეთუ უფალს არაფერი ავიწყდებაო. ერთხნობას ამ გარდაუვალი სასჯელის შიშმა შეაყოყმანა, მაგრამ წარმოსახვით მყისვე საშინელი სურათი დაინახა: ბატკნების, ხბოებისა და ყველა იმათგან დადენილი სისხლის უმოწყალო ზღვა, ვისაც ადამიანი გაჩენის დღიდან მსხვერპლად სწირავს, რამეთუ სწორედ თაყვანსაცემად და მსხვერპლის შესაწირად წარმოქმნილა კაცობრიობა. აბობოქრებულმა წარმოსახვამ დაანახა იესოს ტაძრის კარიბჭის კიბეებიდან მის ფერხთამდე მეწამულ ნიაღვრად გადმოდენილი სისხლი, თვითონ კი დგას, კრავი ზეცისკენ აღუპყრია – თავმოკვეთილი და მკვდარი. სინამდვილის განცდა დაეკარგა, თითქოს დუმილით სავსე მკვრივი ბუშტის შიგნით აღმოჩნდა, მაგრამ ეს ბუშტი უეცრად გასკდა, ნაფლეთებად იქცა და იესოს სმენას კვლავაც მისწვდა ხალხის დუდუნი, ყვირილი, ლოცვა, ბატკნების საბრალო ბღავილი და წამიერად ყველა ამ ხმის გადამფარავი სპირალურად დახვეული ცხვრის რქისაგან დამზადებული საყვირის ბოხი, სამმაგი ჟღერა. თავისი კრავი შულდაკში ისე დამალა, თითქოს გარდაუვალ საფრთხეს გადაარჩინაო და გაიქცა, ვიწრო შუკების აბლაბუდას შეაფარა თავი, თვითონაც არ იცოდა, საით გარბოდა. უკვე მინდორში იყო, როცა გონს მოვიდა და შეჩერდა, ჩრდილოეთით გასულიყო ქალაქიდან, რამალას კარიბჭიდან, რომელიც მის უკან მოიხურა, როცა ნაზარეთიდან აქ მოვიდა. ჩანთიდან კრავი ამოიყვანა, ხალხს კი ეს სულაც არ უკვირდა, რადგან ალბათ ასე ფიქრობდნენ: დაიღალაო, ძალას იკრებს, სანამ ტაძარში კრავს წაიყვანსო, ვაი, რა საყვარელიაო და ჩვენ ვერასგზის ვერ მივხვდებით, იესოზე ამბობდნენ თუ ბატკანზე. პირადად ჩვენი აზრით ორივე ძალიან საყვარელია, მაგრამ თუ აუცილებლად ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ, მოდი, პირველობა მაინც ბატკანს მივაკუთვნოთ, ოღონდაც ერთი პირობით, – თუ უზარმაზარ ცხვრად არ გაიზრდება. იესო ზურგზე წამოწოლილა, ხელში თოკის ბოლო უჭირავს, ბატკანი რომ არ გაექცეს, თუმც ეს სიფრთხილე, კაცმა რომ თქვას, სულ ზედმეტია: ის საწყალი მთლად ღონემიხდილია, იმდენად მცირე ასაკის გამო არა, რამდენადაც მღელ-

ვარებისგან, წინ და უკან სირბილისგან, აქეთ-იქით რომ ათრიეს, იმისგან, ხან რომ ხელში აჰყავდათ

და ხან ძირს სვამდნენ, აი, იმისგან, რომ დილით დედასთანაც არ მიუშვეს, რამეთუ მაძღარი კუჭით იმქვეყანას გამგზავრება, გინდ ბატკანი იყავი და გინდაც მარტვილი, უხერხულია. და აი, იესო ზურგზე წევს, სუნთქვა ნელ-ნელა უმშვიდდება, ცას ხედავს ლეღვის ტოტებს შორის, ნელა-ნელა რომ არხევს ნიავი და ამის გამო ფოთლებში ათინათები ცეკვავენ; ალბათ, მეექვსე საათია, მზე ჯერ მაღლაა, ჩრდილი – მოკლე, ძნელიც კია წარმოიდგინო, რომ ღამე, აუჩქარებლად რომ ჩააქრობს ამ თვალისმომჭრელ ელვარებას, უკვე ახლოა. იესომ დაისვენა და ახლა ბატკანს ეუბნება: ახლა მე შენ ფარაში დაგაბრუნებო, და დგება. იერუსალიმის გზაზე ხალხი მოაბიჯებს, მერე – კიდევ ვიღაც სხვები და მათ დანახვაზე იესო ერთი ნახტომით წამოხტება, გაუელვებს, გავიქცევიო, მაგრამ, ცხადია, არ გაიქცევა, ან კი როგორ უნდა გაიქცეს, როცა ხედავს დედამისს და უმცროს და-ძმას – იაკობს, იოსებს, იუდას, ლიზიას, მაგრამ ლიზია ქალია და არ ითვლება, თუმცა რიგით იაკობსა და იოსებს შორის იშვა ამქვეყნად. ისინი ჯერ ვერ ხედავენ იესოს, გზისკენ ეშვება, თან ბატკანს ხელში ატატებულს მიათრევს, მაგრამ გულის სიღრმეში ეჭვობს, ასე იმიტომ ვიქცევი, მინდა, რომ ხელები დაკავებული მქონდესო. უფროს ძმას იაკობი ამჩნევს პირველი, რაღაცას ნაჩქარევად ეუბნება დედას, ის იცქირება, ნაბიჯს უჩქარებს, და იესოც თავის მხრივ ცდილობს, იჩქაროს, თუმცა ხელში თუ კრავი გიჭირავს, სირბილი არცთუ ადვილია, და ამ ყველაფერს ასე დაწვრილებით გიამბობთ, თითქოს არ გვინდოდეს, რომ მალე შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მერწმუნეთ, საქმე ასე სულაც არ გახლავთ. სიყვარული, დედობრივი სიყვარული, ანდა შვილური, ძმური, დური სიყვარული ფრთებს შეასხამდა, მაგრამ სიყვარულის გარდა ხომ არის ქვეყნად კიდევ რაღაც – ხომ გახსოვთ, როგორ დასცილდნენ ერთმანეთს და ამიტომაც ახლა ერთგვარი შეცბუნებაც და გარკვეული უხერხულობაც ბუნებრივია, და მერე კიდევ, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა შედეგი გამოიღო ასე ხანგრძლივმა განშორებამ და ერთმანეთის ამბების სრულმა არცოდნამ რამდენიმე თვის განმავლობაში. მაგრამ თუ მიდიხარ, ბოლობოლო მიხვალ კიდევაც და აი, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს,

პირისპირ დადგნენ. დამლოცე, დედა, თქვა იესომ. ღმერთმა დაგლოცოს, ამბობს მარიამი. ერთმანეთს გადაეხვივნენ, მერე ძმების ჯერი დადგა და მხოლოდ ამის შემდეგ – ლიზიასი, და არც ერთმა მათგანმა, როგორც ვვარაუდობდით, არ იცოდა, რა უნდა თქვა ასეთ შემთხვევაში და მარიამი არ აპირებდა წამოძახებას – აი, შეხვედრაც ამას ჰქვიაო, ხოლო იესო საპასუხოდ: ნეტავ ვიცოდე, აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთო, – ისედაც ნათელი იყო, რა ქარმაც – ხმიადის ზეიმი მოახლოებულიყო, უფლის პასექად წოდებული, ორივე ბატკანი ამის დასტურია, განსხვავება ისაა, რომ ერთს სიკვდილი ელის, მეორე კი, საბედნიეროდ, გადარჩა. წახვედი და დაიკარგე, თქვა ბოლოს მარიამმა, და თვალებიდან ცრემლები ნაკადულივით წამოუვიდა – პირველი, უფროსი შვილი წინ ედგა, გაზრდილი, თითქმის დაკაცებული, ღია ცის ქვეშ მცხოვრებისთვის დამახასიათებელ, მზის, ქარით და უდაბნოს მტვრით გარუჯულ სახეზე ამოწვერილი ღინღლით. ნუ ტირი, უსაქმოდ არ ვარ, მე ახლა მწყემსი ვარ. მწყემსი? მე კი მეგონა, მამის ხელობას გაჰყვებოდი. მწყემსობა მერგო. შინ როდისღა დაბრუნდები? არ ვიცი, ოდესმე დავბრუნდები. ახლა მაინც წამოდი ტაძარში ჩვენთან ერთად. ტაძარში არ წამოვალ. რატომ, აგერ კრავიც მზად გყოლია.

ეს სამსხვერპლო კრავი არაა. რატომ, ნაკიანია? არავითარი ხინჯი არა აქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ მოკვდება, როცა სიცოცხლის ვადა გაუვა. ვერ გავიგე. არც არის საჭირო: ბატკანი გადავარჩინე, რათა ოდესმე ვინმემ მეც გადამარჩინოს. მაშ, ჩვენთან ერთად იერუსალიმში არ წამოხვალ? იქიდან მოვდივარ. საით?

ჩემს ფარასთან. სად? ახლა აიალონის დაბლობზეა. ეგ სად არის? გადაღმა. რის გადაღმა?

ბეთლემის გადაღმა.

მარიამი გაფითრდა და ნაბიჯი უკან გადადგა და უცებ დაბერებული გამოჩნდა, თუმცა კი სულ ოცდაათი წლისა იყო. ბეთლემი რატომ ახსენე? იმიტომ, რომ იქ შევხვდი მწყემსს, რომელმაც შეგირდად ამიყვანა. ვინ არის? – და სანამ იესო უპასუხებდა, ბავშვებს უბრძანა: წინ იარეთ, ქალაქის შესასვლელთან დამელოდეთო, იესოს ხელი სტაცა, გზიდან

გვერდზე გადაიყვანა. ვინ არის? – გაიმეორა. არ ვიცი, თქვა იესომ. სახელი ხომ ჰქვია? ჰქვია ალბათ, მაგრამ მითხრა, მწყემსი დამიძახეო.

შესახედავად როგორი კაცია? მაღალია. სად შეხვდი? იმ მღვიმეში, სადაც დავიბადე. მღვიმეს როგორღა მიაგენი? მხევალმა სალომეამ მიჩვენა, იმან, შობაში რომ დაგეხმარა. ამ სიტყვების გაგონებაზე მარიამი მიწაზე დაეცა, თითქოს ვიღაცის ძლიერმა ხელმა მოცელაო. ის კაცი ეშმაკია. ეგ თვითონ გითხრა? არა, თავიდან მითხრა, ანგელოზი ვარ, ოღონდ არავის არ უთხრაო. ეგ როდის იყო? იმ დღეს, როდესაც მამაშენმა გაიგო, რომ შენზე ფეხმძიმედ ვიყავი, ეს კაცი ჩვენს სახლს მათხოვრად გადაცმული მოადგა, მოწყალება მთხოვა, მერე კი მითხრა, ანგელოზი ვარო. მეტად აღარ შეგხვედრია? როგორ არა, ერთხელ მე და მამაშენი ბეთლემში აღწერაზე რომ მივდიოდით, მერე კიდევ მღვიმეში შენი დაბადების შემდეგ, და ბოლოს იმ ღამით, სახლიდან რომ წახვედი, ეზოში ვიღაც შემოვიდა, შენ მეგონე, მაგრამ ის იყო, ჭუჭრუტანიდან დავინახე, როგორ მოთხარა კართან ხე – გახსოვს? ის ხე, რომელიც იმ ადგილზე ამოვიდა, სადაც მანათობელმიწიანი ჭურჭელი დავფალით. რა ჭურჭელი, რა მიწა? შენთვის არასდროს მიამბნია, თასში, რომლითაც მათხოვარს საჭმელი გავუტანე, მან მიწა ჩაყარა – მანათობელი. მიწას რომ ნათელი აადენინოს, მხოლოდ ანგელოზს შეუძლია. თავიდან მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ ეშმაკიც ხომ ახდენს სასწაულებს. იესო დედას გვერდში მიუჯდა, ბატკანი კი საძოვრად გაუშვა. ჰო, მეც მივხვდი, რომ ანგელოზისა და ეშმას გარჩევა ხშირად ძნელია, თუ ერთობლივად მოქმედებენ. დამპირდი, რომ ჩვენთან ერთად წამოხვალ და იმ კაცთან აღარ დაბრუნდები. დაბრუნებას დავპირდი და სიტყვას არ გავტეხ. ეშმაკს პირობა მხოლოდ იმისთვის უნდა მისცე, რომ მოატყუო. ის კაცი რომ ადამიანი არ არის, ვიცი, მაგრამ ანგელოზია თუ ეშმა, დაბადების დღიდან მოყოლებული თან მდევს და მინდა ვიცოდე, რატომ. იესო, შვილო, წამოდი ტაძარში, ეს ბატკანი ღვთის საკურთხეველზე მიიტანე მსხვერპლად, როგორც წესია, და უფალს სთხოვე, ეგ აზრები ჩამოგაშოროს, რომ შეუპყრიხარ. ეს ბატკანი იმ დღეს მოკვდება, როცა მისი ბედი ინებებს. ახლაა ეგ დღე. შენი შვილები ცას არ გამოეკერებიან, მაგრამ გაგიხარდება, უდროოდ რომ დაგეხოცონ? შვილები ერთია და ბატკნები მეორე. როცა

უფალმა აბრაამს ისააკის მოკვლა უბრძანა, მაშინ სად იყო განსხვავება? ერთი უბრალო ქალი ვარ და არ ვიცი, რა გიპასუხო, ერთსა გთხოვ მხოლოდ: ცუდი აზრები მოიშორე. დედაჩემო, აზრები თავისთავად არც კარგებია და არც ცუდები, ისინი თავში დაცურავენ, როგორც ღრუბლები ცაში, მნიშვნელობა კი მხოლოდ საქციელს აქვს. მადლი უფალს, რომ ჩემებრ ღარიბსა და უვიც ქალს ბრძენი შვილი გამოუვიდა, მაგრამ ერთხელაც გეუბნები: ეგ სიბრძნე ღვთისგან არ გამოსულა. ეშმაკისგანაც ისწავლის კაცი რაიმეს. იესო, შვილო, ვხედავ, სწორედ რომ ეშმაკს შეუპყრიხარ, ხელთ ჩაუგდიხარ. თუ დღეს ამ ბატკნის გადარჩენა ეშმაკის ნებას მიეწერება, მაშასადამე, ამ ქვეყანაზე

დღეს სიკეთე გამრავლებულა. მარიამმა არ უპასუხა. ქალაქის კარიბჭის მხრიდან იაკობი ბრუნდებოდა. ქალი წამოდგა: ძლივს გიპოვე და ისევ გშორდები. თუ მიპოვე, მაშ, ერთხელ უკვე დაგკარგვივარ, უთხრა იესომ, შულდაკში ხელი ჩაყო და მოწყალებად მიღებული მონეტები ამოიღო. სულ ეს მაქვს. სულ ეს არის ამდენი თვის ნამსახური? არა, მე მხოლოდ საჭმელ-სასმელს ვიღებ საზღაურად. ეტყობა, შენი პატრონი ძალიან გიყვარს, რაკი ამით კმაყოფილდები. ჩემი პატრონი უფალია. იმისგან, ვინც ეშმაკთან დგას სამსახურში, ღვთის სახელის გაგონება მკრეხელობაა. ვინ იცის, ეგებ ჩემი მწყემსი მართლაც ღვთის ანგელოზია, მხოლოდ სხვა ღმერთს ემსახურება და სხვა ცაში ცხოვრობს. კანონში წერია: მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე. ამინ, გაეპასუხა იესო, ბატკანი ხელში აიყვანა. აგერ იაკობმა მოგაკითხა, მშვიდობით, დედა. ეტყობა, ეგ ბატკანი საკუთარ ოჯახს გირჩევნია. მიუგო იესომ: ახლა ეგრეა.

მარიამი მწარე აღშფოთებით სუნთქვაშეკრული შეტრიალდა და შუათანა შვილისკენ გასწია.

ერთხელაც არ მობრუნებულა.

ხოლო იესო ჯერ ქალაქის გალავანს გაჰყვა, მერე სხვა გზაზე გადაუხვია, მერე მოკლეზე მინდვრები გადაჭრა და ვრცელ დაღმართზე დაეშვა აიალონის დაბლობისკენ. ერთ სოფელში შეჩერდა, დედამისის უარყოფილი ფულით პური, ლეღვი და რძე იყიდა თავისთვის და კრავისთვის, რძე სწორედ ცხვრისა აღმოჩნდა, ასე რომ სხვაობა, რომც არსებულიყო,

ბეკეკამ ვერც კი შეამჩნია და სწორედ ეს ადასტურებს, ერთი დედის მეორით შეცვლა შეუძლებელი სულაც არ გახლავთ. ხოლო იმათ, ვინც გაიკვირვებს, ეს ბიჭი ბატკანს, რომელიც წესით ახლა ცოცხალი არ უნდა იყოს, ნეტავ ფულს რატომ ახარჯავსო, ასე ვუპასუხებო, ვითომც ორი ბატკანი მყავდაო, ერთი ღმერთს შევწირეო, მეორე კი უფალმა არ მიიღო, ნაკლი აქვსო – ყური აქვს გაჭრილიო, აი, ხედავ? ვერაფერსაც ვერ ვხედავო, უპასუხებენ, ჯანსაღი ყურიაო. ჰოდა, თუ ჯანსაღია, მე თვითონ გავუჭრიო, უპასუხებს ამაზე იესო, თავის ბატკანს მხრებზე მოიგდებს და გზას განაგრძობს. საღამოვდებოდა, ფარა რომ დაინახა, ცაზე დაბალი შავი ღრუბლები გროვდებოდა. ჰაერიც დაძაბულიყო ავდრის მოლოდინში და მალე პირველმა ელვამაც გაჰკვეთა ზეცა, სწორედ იმწამს, როცა იესომ ფარას მოჰკრა თვალი. მშრალი ელჭექი იყო, უწვიმო, და ამიტომ უფრო მეტად შიშის მომგვრელი, რამეთუ ამ დროს მთლად დაუცველი გვგონია თავი, წვიმისა და ქარის ფარდის გარეშე, თუმცა ქარმა და წვიმამ რისგან უნდა დაგვიფაროს, არავინ იცის: ამ დროს მქუხარე, ელვით დასერილი ცა ჯიქურ, აშკარად თავს ატყდება უმწეოდ აფართხალებულ მიწას, რომელსაც დარტყმაზე დარტყმის შებრუნება არ შეუძლია. იესოსგან ას ნაბიჯში საშინლად, დამაბრმავებლად გაიელვა და ფესვებიდან კენწერომდე გადაჩეხილ ლეღვს მყისიერად მოედო ცეცხლი, ჩირაღდანივით ააპარპალა. ახლო დარტყმისგან, მეხის გრგვინვისგან თავზემოთ ზეცა გადაიხსნა და იესო მკვდარივით დასცა. კიდევ ორჯერ დააზიგზაგა – ერთი აქეთ, მეორე – იქით, თითქოს ორი გადამწყვეტი სიტყვა ითქვაო, მერე ქუხილი მიინავლა, ჩაცხრა, ცისა და მიწის ძლივსგასაგონ სასიყვარულო ღუღუნს დაემსგავსა. ბატკანი დაცემისგან არ დაზიანებულა, საფრთხე უკან დარჩა: გაშხლართულ იესოს მიუახლოვდა და ტუჩები ტუჩებზე შეახო – კი არ ალოკა, დრუნჩი კი არ დაატაკა, მხოლოდ შეეხო და ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, – რა? არ უნდა დავიჯეროთ?! – რომ იესო გონს

მოსულიყო. თვალები გაახილა, ბატკანი დაინახა, ზემოთ კი – ცის უსასრულო სიბნელე, დღის ნარჩენებს შავი ხელით რომ შლიდა. ლეღვის ხე ჯერ კიდევ იწვოდა, იესო შეირხა და იგრძნო, რომ თითოეული მოძრაობა ტკივილს ჰგვრიდა, მაგრამ სხეული ემორჩილებოდა, თუ სა-

ერთოდ შესაძლებელია იმის მორჩილებაზე ვილაპარაკოთ, რაც ასე იოლად შეიძლება გაითიშოს, საძრაობა წაერთვას და მიწას დაენარცხოს. რის ვაი-ვაგლახით წამოიწია, წამოჯდა და უფრორე ბუნდოვანი შეგრძნებით, ვიდრე საკუთარი თვალით დარწმუნდა, რომ დამწვრობასაც გადარჩენილიყო, დაჟეჟილობასაც, ხელ-ფეხის მოტეხილობასაც და საერთოდაც, მრთელი და უვნებელი გახლდათ, თავში ჯერაც ჩაუნავლებელ რეკვასა და გუგუნს თუ არაფრად მიიჩნევდა. ბატკანი თავისკენ მიიზიდა და კაცმა რომ არ იცის, თავში საიდან მოუვიდა, ისეთი სიტყვები უთხრა: ნუ გეშინია, მას მხოლოდ სურდა, შენთვის აეხსნა, რომ შენი სიკვდილი მისი ნებაა, ჩემთვის კი შთაეგონებინა, რომ მე კი არა, სიცოცხლე მან შეგინარჩუნა. უკანასკნელად დაიქუხა, თითქოს ზეცამ მძიმედ ამოიოხრაო, ქვემოთ კი, უდაბნოში დიდი ხნის ნანატრი ოაზისივით თეთრად ქათქათებდა ფარა. იესო ფეხებს ძლივს მიალასლასებდა, ბატკანი, თოკზე – სრულ ზედმეტობად გადაქცეულზე – გამობმული, ლეკვივით მისდევდა, უკან კი ისევ იწვოდა ლეღვი. და ბინდბუნდში მისმა მხურვალე ნათებამ უეცრად მოსასხამში გახვეული მწყემსის ტანმაღალი ფიგურა გამოაჩინა, კვერთხს დაჰყრდნობოდა, თორემ ეს კვერთხი ზემოთ რომ აეწია, ზეცას უწვდენდა. მწყემსმა თქვა: ვიცოდი, ავდარი რომ მოგელოდა. მეც რომ მცოდნოდა, აჯობებდა, უთხრა იესომ. ეს რა კრავია? საყიდლად ფული არ მეყო, გზაზე დავჯექი სამოწყალოდ და ერთმა მოხუცმა მაჩუქა. მსხვერპლად რატომ არ შესწირე? ვერ შევძელი. აღმოჩნდა, რომ არ შემეძლო. მწყემსს გაეღიმა: ახლა უკეთ გავიგე, რატომ დაგაბრუნა ფარასთან და ჩემ თვალწინ გაგრძნობინა თავისი ძალა. იესო დუმდა, რამეთუ წეღან თითქმის ამავე სიტყვებით აუხსნა მომხდარი ბატკანს და სულაც არ სურდა, დაუყოვნებლივ ახალი საუბარი წამოეწყო იმის შესახებ, თუ რის გამო ღმერთმა ასე ქნა და ისე არა ქნა. და რას უპირებ? არაფერს, ფარასთან ერთად ძოვოს. ყველა თეთრი ბატკანი ერთმანეთს ჰგავს და ხვალიდან ვეღარ გამოარჩევ. თვითონ მიცნობს. დღეს გიცნობს, ხვალ კი დაგივიწყებს, და ასეც რომ არ მოხდეს, ქანცი გაუწყდება, სანამ ყოველ ჯერზე თვითონ გიპოვის. რამენაირად უნდა დანიშნო, ეგება ყური დავუსეროთ. ცოდვაა. შენც ხომ მოგაჭრეს ჩუჩა, რათა ცნობილი ყოფილიყო, თუ ვის ეკუთვნი. ეგ სულ სხვა ამბავია. ეს შენ გგო-

ნია, რომ სხვაა, სინამდვილეში კი იგივეა. ამასობაში მწყემსმა ფიჩხი მოაქუჩა და ცეცხლის დანთებას ცდილობდა. არ ჯობია, იმ ცეცხლწაკიდებული ლეღვის ხის ტოტი ავიღოთ? მწყემსმა კი მიუგო: არ ჯობია, დაე, ციდან ჩამოვარდნილი ცეცხლი თავისთვის ჩაინავლოს. ლეღვის ხის ვარჯი კი ვარვარა ნაკვერჩხალივით ღუოდა ბნელში, ქარი აალებული ქერქის ნაფლეთებს აგლეჯდა და ჰაერში დააფრიალებდა, ნაპერწკლები ცვიოდა და მყისვე ქრებოდა.

ღამის სიბნელეს თავისი ჩვეულების წინააღმდეგ მძიმედ ჩამოწოლილი ღრუბლები არ დაუმალავს. მწყემსი და იესო, როგორც ყოველთვის, სავახშმოდ დასხდნენ და უფროსმა დამცინავად აღნიშნა: წელს, მე მგონი, პასექის ბატკნის ხორცს ვერ იგემებ. იესომ შენიშვნა უპასუხოდ დატოვა, თუმცა თავისი თავით უკმაყოფილო დარჩა, რამეთუ ამ წუთიდან გადაუჭრელი წინააღმდეგობის წინაშე დგებოდა: როგორ უნდა ჭამო ხორცი, თუ არც ხბო, არც ვერძი, არც ბატკანი არ დაკალი? აბა, რა ვუყოთ შენს ბატკანს? ჰკითხა მწყემსმა, ნიშანი არ დავადოთ? მე ხელს ვერ მოვკიდებ. კარგი, მაგ საქმეს მე მოვუვლი. დანის სწრაფი და მარჯვე მოქნევით ბატკანს ყურის წვერი ჩამოათალა, ჩამონათალი ხელიდან არ გაუშვია, ისე იკითხა:

ეს სად წავიღოთ – მიწაში დავმარხოთ თუ გადავაგდოთ? – და იესომ, იმის გააზრებაც კი ვერ მოასწრო, რას ვაკეთებო, თქვა:

აქ მომეცი – და კანის ნაკუწი ცეცხლში მოისროლა.

შენს ჩუჩასაც ასე მოექცნენ თავის დროზე, თქვა მწყემსმა. ნაჭრილობევიდან სისხლის ფერმკრთალმა წვეთმა გამოჟონა და წამსვე შედედდა.

კოცონმა შემწვარი ხორცის მათრობელა სუნი აუშვა და ასე და ამგვარად, ამ ხანგრძლივი, ბავშვური გამოხტომებითა და წინააღმდეგობრივი ქცევებით აღსავსე დღის ბოლოს უფალმა, როგორც იქნა, მიიღო თავისი კუთვნილი, და ვინ იცის, ეგება მთელი ეს გრანდიოზული ავდარი ელვიან-ქუხილიანად ამ ჯიუტი მწყემსებისთვის გამოგზავნილი ნიშანი იყო, კარგი, ბატონო, თქვენს ნებას ვემორჩილებიო.

სისხლის უკანასკნელი წვეთი მიწას დაეცა და მანაც ხარბად შეისრუტა, რამეთუ არ ივარგებდა, თუკი მსხვერპლის მთავარი შემადგენელი,

რის შესახებაც უამრავი ფიქრი და საუბარი დაიხარჯა, ამაოდ დაკარგულიყო.

და მოხდა ისე, რომ სწორედ ეს ცხვარი, რომლადაც თანდათან სამი წლის განმავლობაში ჩვენი ბატკანი გადაიქცა, ეს ყოვლად ჩვეულებრივი ცხვარი, მხოლოდ ერთი ყურის ნაკაწრით რომ განსხვავდებოდა სხვებისაგან, ფარას ჩამორჩა და იმ უდაბურ ადგილებში დაიკარგა, იერიქონის სამხრეთით ლამის ნამდვილ უდაბნოდ რომ არის ქცეული.

ფარა უშველებელია და რა მნიშვნელობა აქვს, ერთი ცხვრით მეტი იქნება თუ ნაკლები, მაგრამ ცხოველი, რომელზედაც ვსაუბრობთ, განსაკუთრებულია, და მწყემსებიც არ არიან მთლად ისეთი ადამიანები, ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდებიან, ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, მწყემსმა რომ დაფანჩული წარბების ქვემოდან ფარას გადახედა და ცხვრების სათითაოდ გადათვლა არც დასჭირვებია, ისე აღმოაჩინა დანაკარგი, იესოს უხმო და უთხრა: შენი ცხვარი არ ჩანს, წადი, მოძებნე, – და რადგან ჩვენმა გმირმა არც კი ჰკითხა, საიდან გაიგე, რომ მაინცდამაინც ჩემი დაიკარგაო, მოდი, ჩვენც ნუ დავსვამთ ამ ზედმეტ კითხვას. ან კი განა მთავარი ესაა – ახლა გაცილებით მნიშვნელოვანი იმის გაგებაა, თუ როგორ მოახერხებს იესო, ამ არემარის შესახებ საკუთარ, არცთუ სრულყოფილ ცოდნას დაყრდნობილი, გაუკვალავ ბილიკებზე და ალალბედზე გზის გაგნებას მთელ თვალსაწიერზე გადაშლილ ამ უსასრულო სივრცეში. კაი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც მწყემსმა და იესომ ფარა იერიქონის ნაყოფიერი ველებიდან გამორეკეს, ვინაიდან მუდმივი მომთაბარეობის სიმშვიდეს ბევრად მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ადამიანებთან შეხვედრებისა და ვაჭრობის შესაძლებლობას, კაცი იქნებოდა თუ ცხვარი, უმალ იმ ადგილებში დაიკარგებოდა, მით უმეტეს – საგანგებო განზრახვით, სადაც სასურველ განმარტოებას ნაკლებ დაამძიმებდა სარჩო-საბადებლის შოვნაზე გადაჭარბებული ზრუნვა. მსჯელობის ლოგიკას თუ გავყვებით, იესოს ბეკეკა შეუმჩნევლად და ვითომცდა შემთხვევით უნდა ჩამორჩენოდა ფარას და ახლა უეჭველად ნედლი ბალახი უნდა ეწიწკნა

იორდანეს სანაპიროს სიგრილეში, ყოველ შემთხვევაში, ქალაქ იერიქონის სანახებში მაინც.

მაგრამ ცხოვრება ლოგიკას ყოველთვის როდი მისდევს: ხშირად ხდება, რომ იგი ყველაზე აშკარა მიზეზთა გამო მოსალოდნელ და აგრეთვე მხოლოდ მისთვის ცნობილ სხვა მიზეზთა გამოც თავის თავის გამოსავლენად შემოვლით გზას ირჩევს და, ასე ვთქვათ, მაგისტრალური გონიერების გეზიდან სულ სხვა მიმართულებით გადაიხრება.

და თუ სწორედ ასეა საქმე, მაშინ ჩვენმა იესომ გზააბნეული კრავი უკან მოტოვებულ მწვანე სანახებზე კი არ უნდა ეძებოს, არამედ წინ გადაშლილი უდაბნოს სიცხით გადამწვარ, მეჩხერ და მწირ მცენარეებთან და ყურად არ უნდა იღოს დამაჯერებელი, ხელისგულზე გადაშლილი საბუთი, აქაოდა, ცხვარი ფარას იმისთვის არ დაეკარგებოდა, რომ შიმშილითა და წყურვილით თავი მოეკლაო; ყურად არ უნდა იღოს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ცხვრის აზრები არავინ უწყის, მერე მეორეც – იმიტომ, რომ სიაშკარავის ზემოხსენებული განუსაზღვრელობა ხანდახან ამ სიაშკარავეს სრულ ბუნდოვანებად გადააქცევს ხოლმე.

ასე რომ, უდაბნოსკენ წავა, – და უკვე წავიდა კიდეც იესო და ამ გადაწვეტილებას მწყემსი სულაც არ გაუკვირვებია, პირიქით, უსიტყვოდ მოუწონა, თანაც ეს მოწონება ნელი და საზეიმო თავისქნევით გამოხატა, რომელიც, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, იმავდროულად დამშვიდობების ნიშანიც გახლდათ.

აქაური უდაბნო სულაც არ არის სიგრძე-სიგანეზე გადაჭიმული ქვიშის სივრცე, რომელსაც უდაბნო ეწოდება. აქაური უდაბნო მშრალი, უნაყოფო ბორცვების უსასრულო მწკრივი უფროა, ერთიმეორეს რომ ებმის და დაბლობ-მაღლობის დახლართულ ლაბირინთს ქმნის. აქ ცხოვრება მხოლოდ უიშვიათეს მცენარეებს შეუძლიათ, ერთიანად ეკლიან-ბუსუსიანებს, რომელთა ღეჭვა-ყლაპვა თხებს თუ ხელეწიფებათ გაქვავებული ღრძილების წყალობით, ცხვრების ნაზ ტუჩებს კი პირველსავე მიკარებაზე დაასისხლიანებენ. აქაური უდაბნო ბევრად უფრო შიშისმომგვრელია, ვიდრე გლუვი და მოძრავი ქვიშები, ყოველწამიერად რომ იცვლიან დიუნების ფორმასა და იერს, – აქ ასე როდია: აქ თითოეული ბორცვი საფრთხეს შეიცავს, მომდევნო ბორცვის იქით დამალული საშიშროებით გემუქრება, და როცა აცახცახებული მგზავრი ერთ ბორცვს გასცდება, გრძნობს, რომ საფრთხე კი არ გამქრალა, არამედ ახლა ზურგს

უკნიდან წამოპარულა. აქ შენს ძახილს ექო კი არა, თავად ბორცვების საპასუხო ყვირილი მოსდევს – ანთუ იმ რაღაც უხილავის, ბორცვებს უკან რომ ჩასაფრებულა.

აი, ასეთ ველურ მხარეს მიაშურა იესომ ხელში არგნით და მხარზე შულდაკით. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, ოდნავ გადაკვეთა თუ არა ამ სამყაროს საზღვარი, იმავ წამს მიხვდა, რომ იოსებისგან ნამემკვიდრალი ძველი სანდლები საბოლოოდ დაფლეთილიყვნენ. დიდხანს კეთილად ემსახურნენ, იესოც გულმოდგინედ ადებდა საკერებელს, სასიცოცხლო და სასიარულო ვადას უხანგრძლივებდა, მაგრამ აწ უკვე ვეღარც ხარაზი, ვერც მეთოკე, ვერც მეწაღე ვერ უშველიდა, ამ ლანჩებისთვის ერთობ რთული აღმოჩნდა აღმართები და დაღმართები, მეტად გრძელი გზა გამოევლოთ, გზის მტვერში აზელილი ბევრი

ოფლი შეესრუტა ზონრებსა და ღვედებს. თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, იმაზე უფრო მოკლე დროში, ვიდრე დაგვჭირდა ამის სათქმელად, ერთბაშად დასკდა ორივე ლანჩა, ბალთები და ძაფები დაწყდა, ზონრები დანაკუწდა და იესო ფეხშიშველი დარჩა. ყმაწვილს – ასე მხოლოდ ინერციით თუ მოვიხსენიებთ, რამეთუ თვრამეტი წლის იუდეველი სრულფასოვანი მამაკაცია, – ძველი სანდლები გაახსენდა, ამდენი ხანი შულდაკის ფსკერზე რომ ინახავდა, როგორც წარსულის ნივთიერ საბუთს, და ჩაცმა სცადა. ამაოდ დაშვრა და მხოლოდ ახლა მიხვდა ნათლად, მართალი უთხრა მწყემსმა, ერთხელ გაზრდილი ფეხი აღარასოდეს დაპატარავდებაო. არ ერგებოდა ძველი სანდლები. სამოთხიდან გამოძევებული ადამივით ფეხშიშველი იდგა უდაბნოს წინაშე და ვერ ბედავდა პირველი და ყველაზე ძნელი ნაბიჯის წარდგმას მომლოდინე ხრიოკ მიწაზე. წამის შემდეგ, – თავისი თავისთვის არც უკითხავს, რას ვაკეთებო, – არგანი მოისროლა, შულდაკი მოიხსნა, ერთი მოძრაობით ქიტონი გადაიძრო, გვერდზე გადააგდო და ადამსავითვე შიშველი დარჩა. იმ ადგილიდან, სადაც იდგა, მწყემსი არ ჩანდა, არც რომელიმე ცნობისმოყვარე ბეკეკა დასდევნებია, მხოლოდ ჩიტები თუ არღვევდნენ უხილავ საზღვარს, ხოლო მიწიერ ქმნილებათაგან ჭიანჭველები და თითოოროლა დამფრთხალი მორიელი თუ იღერებდა შხამიან ნესტარს, რამეთუ არც ერთ მათგანს ამ ადგილებში არასოდეს დაენახათ შიშველი კაცი,

ვერც ხვდებოდნენ, რა ნივთი იყო, რა სულიერი. იესოსთვის რომ გეკითხა: რატომ გაიხადეო? მისი პასუხის არსს ფეხსახსრიანები, ობობასმაგვარნი და სიფრიფანაფრთიანები ვერ ჩასწვდებოდნენ: უდაბნოში მხოლოდ შიშვლად შეიძლება ყოფნაო. და ჩვენ გავიმეორებთ: „მხოლოდ შიშვლად“, თუმცა ეკლები კანს კაწრავენ, ბოქვენის თმებში იხლართებიან, – „შიშვლად“, მიუხედავად იმისა, რომ ფეხისგულებს ქვები სერავენ, ქვიშა წიწკნის, „შიშვლად“ – მზის ცეცხლით წვის და სინათლით დაბრმავების მიუხედავად – რამეთუ გზააბნეული კრავია მოსაძებნი: იგი ჩვენია და ჩვენი ნიშნით დაღდასმულია. უდაბნო კარს უღებს იესოს და მერე მყისვე იკეტება ზურგს უკან, დასაბრუნებელ გზას არ ტოვებს. სიჩუმე ჩუმად შრიალებს, როგორც ნაპირზე გამორიყული ცარიელი, მხოლოდ მოქცევის ხმიანობით სავსე ნიჟარა, რომელსაც ვინმე რომ აიღებს და ყურს მიადებს, იტყვის: აი, ესაა უდაბნოო. ფეხები დაუსისხლიანდა, მზე ღრუბლებს მიერეკება, ბასრი სხივებით მხრებს უსერავს, ეკლები ბრჭყალებს კანში ასობენ, წვეტიან ტოტებს უტყლაშუნებენ. ჰეი, სად ხარ? – გაიძახის და ბორცვების ექოც, ეს სიტყვები რომ სცოდნოდა, როგორც წესია, უპასუხებდა: სადხარ, სადხარ, სადხარო, მაგრამ შრიალი, ნიჟარაში რომ გაისმის, სხვა ყველა ბგერას ახშობს და ფარავს, შრიალისგან კი სულ სხვა სიტყვა წარმოიქმნება: ღმეეეეერთი, ღმეეეეერთი, ღმეეეეერთი. და უცაბედად თითქოს ბორცვები განზე გადგნენ, გზა დაუთმეს, იესო დაბლობ-მაღლობთა ვიწრო ლაბირინთიდან გამოვიდა და ქვიშის მრგვალი, გლუვი ველობის შუაგულში თავისი კრავი დაინახა. მისკენ მთელი ძალით გაექანა დასახიჩრებულ-დასერილი ფეხებით, მაგრამ უეცრად ხმა მოესმა:

სდექ. და მის თვალწინ დაახლოებით ადამიანზე ორჯერ მაღალი ღრუბელი აღიმართა, კვამლის სვეტივით მოტრიალე თავისსავე გარშემო და ხმა იქიდან გაისმოდა. ვინ ხარ? – კანკალით ჰკითხა იესომ, თუმცა პასუხი უკვე იცოდა. ხმამ მიუგო: მე ვარ ღმერთი, და იესო ახლაღა მიხვდა, შიშველი რატომ შემოვიდა ამ უდაბნოში. რად მომიყვანე, რა გნებავს ჩემგან? – ჰკითხა. ჯერ არაფერი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს მოგთხოვ. რა ყველაფერს?

შენს სიცოცხლეს. შენ ხომ ღმერთი ხარ, სიცოცხლესაც ყოველთვის გვართმევ შენივ ბოძებულს. აბა, როგორ ვქნა სხვანაირად, ქვეყნიერება რომ არ გადაივსოს?! ჩემი სიცოცხლე რაღად გინდა? ჯერ ადრეა ამის ცოდნა, იცხოვრე შენთვის, ჯერ კიდევ დიდხანს არ გეტყვი, სხეულით და სულით შენით განემზადე იმ უმაღლესი განგებისათვის, რაც განგიმზადე-მეთქი. უფალო ღმერთო, აზრს ვერ ვწვდები შენი სიტყვების, რა გინდა ჩემგან? ძალაუფლება და დიდება გერგება წილად. რა დიდება და ძალაუფლება? მაშინ გაიგებ, როცა ხელახლა დაგიძახებ. როდის? ნუ ჩქარობ, კიდევ იცოცხლე, რამდენ ხანსაც შეძლებ სიცოცხლეს.

ღმერთო, აქა ვარ, შენ წინაშე, შიშვლად ინებე ჩემი ხილვა, ამიტომაც ნუღა დააყოვნებ, დღესვე მომეცი, რის მოცემასაც ხვალ აპირებ. შენ რა იცი, რომ ვაპირებ, რაიმე მოგცე? შენ ხომ დამპირდი. არა, მხოლოდ გაცვლა გითხარი. რა არის, რაშიც საფასურად სიცოცხლე მთხოვე? ძალაუფლება. და დიდებაც თქვი, როგორც მახსოვს, არ დამვიწყნია, მაგრამ მითხარი, ვისზე ვიუფლებ და ვის თვალში განვდიდდები, თუ არადა, დაპირება ნაადრევია.

ისევ შემხვდები, როცა უკვე მზად იქნები, მაგრამ ნიშნებს ამიერიდან მუდამ მოგაწვდი.

მითხარი, ღმერთო. გაჩუმდი, კმარა შეკითხვები, მოვა ჟამი და – არც მასზე ადრე, არც მასზე გვიან, – გაიგებ, თუ რა მინდა შენგან. გისმენ, უფალო, და ეს ნიშნავს, რომ გემორჩილები, მაგრამ ერთს კიდევ გკითხავ. ჩემს მოთმინებას ნუ გამოცდი. ღმერთო, ძალიან საჭიროა. კარგი, მითხარი. შემიძლია ეს ჩემი ცხვარი თან წავიყვანო? აი, თურმე რა. შეიძლება? არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ ეგ ცხვარი მსხვერპლად უნდა შემომწირო, ჩვენ შორის ახლა დადებული აღთქმის დასტურად.

ეს ცხვარი უნდა შემოგწირო? დიახ, სწორედ ეგ. სხვა რომ იყოს? ახლავ ფარასთან გავიქცევი, წამში მოვიყვან. ნუ მეურჩები, მე ეს მინდა. კი მაგრამ, ეს ხომ ნაკიანია, აი, ყური აქვს ახეული. ცდები, შეხედე, სრულიად მრთელი ყურები აქვს. ეს როგორ, შეუძლებელია. მე უფალი ვარ, რაა ჩემთვის შეუძლებელი?! მაგრამ ეს ხომ ჩემი ცხვარია. ისევ გეშლება, კრავი წამართვი, ჰოდა, ახლა ცხვრით გადაიხდი. დე, იყოს შენი სურვილისამებრ: ქვეყნიერება შენ გეკუთვნის, შენი მონა ვარ.

თუ ასეა, საქმეს მიხედე, თორემ აღთქმა ძალას დაკარგავს.

კი მაგრამ, ღმერთო, ხომ ხედავ, რომ შიშველი ვდგავარ, არც დანა მაქვს, არც ნაჯახი, და ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, იესოს კიდევ ცხვრის გადარჩენის იმედი ჰქონდა. მაშინ რა ღმერთი ვიქნებოდი, შენს დახმარებას თუ ვერ შევძლებდი, აჰა, დაიჭი. და სიტყვები სრულად არ ჰქონდა წარმოთქმული, იესოს ფერხთით დანა გაჩნდა, ახალი, ფართოპირიანი, გრძელი, ნალესი. მიდი, მიდი, გაინძერი, უთხრა ღმერთმა, ეგებ გგონია, ამის გარდა სხვა საქმე არ მაქვს, უკუნისამდე აქ დარჩენა არ შემიძლია. იესომ მიწიდან დანა აიღო, ცხვრისკენ დაიძრა, ხოლო იმან კი თავი ასწია, ნამდვილად ჩემი პატრონია ეს თუ არაო, რამეთუ ჯერაც არ ენახა იგი შიშველი, ხოლო ყნოსვა კი, ცხვრებს, როგორც ვიცით, მაინცდამაინც მახვილი არ აქვთ. ტირი? – ჰკითხა ღმერთმა იესოს. არა, ასეთი თვალები მაქვს, – უპასუხა და იელვა დანამ, საჭირო კუთხით

მოუქნია და ისე სწრაფად დაეშვა დაბლა, როგორც იმხანად ჯერაც არ გამოგონებული გილიოტინა. ცხვარს ჩქამიც არ გამოუცია, მხოლოდ გაისმა, „აჰა“, – ეს ღმერთმა ამოიოხრა კმაყოფილებით. შეიძლება, რომ წავიდე? – ჰკითხა იესომ. წადი, ოღონდაც დაიმახსოვრე, ამიერიდან მე მეკუთვნი, რადგანაც სისხლით განვამტკიცეთ ჩვენი კავშირი. დამშვიდობება როგორ მმართებს? ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, გინდ შეტრიალდი, გინდაც უკუსვლით წადი, თუმც ჩვეულებრივ, უკან-უკან მიდიან ხოლმე და თაყვანსაცემად იხრებიან, თავსაც მიკრავენ.

უფალო... აუჰ, რა აბეზარი ვინმე ყოფილხარ! რა გნებავს კიდევ? მწყემსი? ვინ მწყემსი? ის, ვის ფარასაც ვაძოვებ. და რა მერე? ანგელოზია თუ დემონი. ვიცნობ მე მაგას. ვინ არის-მეთქი. აკი გითხარი, რომ ღვთისთვის არც წაღმა და არც უკუღმა არ არსებობს, კარგად იყავი. კვამლის სვეტი გაიფანტა, ცხვარიც გაუჩინარდა, ხოლო სისხლმა კი, მიწას რომ ჯერაც ემჩნეოდა, სწრაფად არჩია მის წიაღში ჩაწრეტილიყო.

როცა იესო დაბრუნდა, მწყემსმა გამომცდელად შეათვალიერა და ჰკითხა: ცხვარი სადღაა? მე ღმერთი ვნახე, თქვა იესომ. მაგრამ მე ღმერთს კი არა, ცხვარს გეკითხები. ღმერთს შევწირე. რატომ?

ასე იყო საჭირო. მწყემსმა კვერთხის წვერით მიწაზე ხაზი გაავლო, ღრმა, როგორც ხნული, გადაულახავი ცეცხლის კედელივით და თქვა: ეჰ, ვერაფერიც ვერ ისწავლე. წადი აქედან.

15* * *

სად უნდა წავიდე ასეთი ფეხებით, ფიქრობდა იესო და მზერით მწყემსს მიაცილებდა. ღმერთმა, რომელმაც ასე უნაკლოდ და სუფთად გააქრო ცხვარი, თავისი მადლიანი ფურთხის ერთი წვეთიც კი არ გაიმეტა, არადა ღრუბლიდან მცირეოდენი ნერწყვი რომ გადმოეშხეფებინა, იესო ფეხებს დაიზელდა და აქამდე სისხლმდინარე იარებს მოიშუშებდა. არც მწყემსის იმედი უნდა ჰქონოდა – საყვედური გადმოუგდო და წავიდა მსაჯულის მსგავსად დარწმუნებული, ჩემ მიერ გამოტანილი განაჩენი უეჭველად აღსრულდებაო, და ცხადია, არ სურდა ენახა, როგორ აიკრებდა იესო თავის ბარგი-ბარხანას, არც დამშვიდობებას აპირებდა, რაღა თქმა უნდა.

იესო დაოთხილი მიხოხდა ამასწინანდელ სადგომამდე, სადაც ყოველ ნაბიჯზე პირუტყვის კვალი დარჩენილიყო – მიწაზე მიმოფანტულიყო დურკები და სხვა მწემსური ჭურჭლეულობა, გორებად ეყარა ცხვრისა და თხის მოუთრიმლავი და გამოუქნელი ტყავები, რომლებსაც იესო და მწყემსი, როცა კი მოინდომებდნენ, ნებისმიერ საჭირო ნივთზე გაცვლიდნენ – მოსასხამზე, საბანზე, ქიტონზე, საკვებზე. იესომ იფიქრა, ჩემი ყოფილი აღსაზრდელები არ გამინაწყენდებიან, თუკი ჩემს თავს ხელფასს მე თვითონ გადავუხდიო, ამ ტყავებს ტერფებზე დავიხვევ და რაღაც ხამლისმაგვარს მოვიჯღანავო და გარდა ამისა, დანარჩენს თხის ტყავის რბილი ღვედებით შევკრავ და თან წავიღებო. მერე დაფიქრდა, რა ჯობია – ბეწვით აღმა დავიდო თუ დაღმაო და გადაწყვიტა, ფეხები ისეთ დღეში მაქვს, ტყავისპირის მიკარებას ვერ გავუძლებო, ამიტომ სჯობს, ბეწვისსარჩულიანი პაჭიჭები მქონდესო.

რასაკვირველია, სამწუხაროდ, ბეწვი მყისვე მიეწება გადატყავებულ ხორცს, მაგრამ რაკი მაინც იორდანეს ნაპირს უნდა გაჰყოლოდა, იფიქრა, როცა ვეღარ მოვითმენ, ფეხებს ხამლებიანად წყალში ჩავყრიო:

ფეხსაცმელი ისედაც მძიმე გამოვიდა, ახლა კიდევ წყლით გაიჟღინთებოდა, და დაიარავებულ ფეხებსა და ზედ მიწებებულ ბეწვს დააცალკევებდა, ფუფხებსაც მოაშორებდა ჭრილობებიდან. წყალს გაყოლილი ღია ფერის სისხლის ნაკადი მიუთითებდა, რომ ჭრილობები, რაც უნდა უცნაური გეჩვენოთ, ჯერ არ დაჩირქებოდა. ნელა მიიწევდა ჩრდილოეთისკენ, რადგან ხშირ-ხშირად ისვენებდა – ნაპირზე ჯდებოდა, მდინარეში ფეხებს ყოფდა, წყლის სიგრილითა და სამკურნალო თვისებებით ტკბებოდა.

მაგრამ მხოლოდ ფეხები კი არ უკვნესოდა – სულიც: როგორ მოხდა, რომ მწყემსმა მაინცდამაინც ღმერთთან ამ დიდებული შეხვედრის შემდეგ გამოაგდო, რამეთუ, როგორც იცოდა, მთელ ისრაელში ერთი კაციც კი არ მოიძებნებოდა, რომ დაეტრაბახა, ღმერთი ვნახე და ცოცხალი გადავრჩიო. „ვნახე“ – სხვათა შორის, ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი, მაგრამ თავად განსაჯეთ: უდაბნოში ღრუბელი თუ კვამლის სვეტი შემოგეყრება და გეტყვის, ღმერთი ვარო, და მერე რაღაც-რაღაცეებზე საუბარს გაგიბამს, თან არა მარტო თანმიმდევრულად და გასაგებად, არამედ იმგვარი ღვთაებრივი ძალმოსილებით, ვერანაირ შეპასუხებასა თუ კამათს რომ ვერ ეგუება, რის გამოც თანამოსაუბრის ღვთაებრიობაში შეტანილი იოტისოდენა ეჭვიც კი დიდ მკრეხელობად მოგეჩვენება. ან ვის შეეძლო ღმერთის გარდა იესოს მიერ მწყემსის შესახებ დასმულ

კითხვაზე თან ჰაიჰარად და იმავ დროს დამარწმუნებლად ეპასუხა, მართალია დიდად გულზე არ მეხატება, მაგრამ ძალიან კარგად ვიცნობო, რაც კიდევ მეტად იმ უარით დაადასტურა, რომ არ განმარტა, ანგელოზია თუ დემონი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მწყემსმა თავისი მშრალი, ამ მოვლენასთან თითქოს დაუკავშირებელი სიტყვებით ზებუნებრივი შეხვედრის ჭეშმარიტობა დაამტკიცა: მე ღმერთს კი არა, ცხვარს გეკითხებიო, ჩაიბუზღუნა და სულაც არ გაჰკვირვებია, გეგონებოდა ამ შეხვედრის ავანჩავანი ისედაც კარგად იცოდაო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ცხვრის დაღუპვა არ აპატია – მაშ, სხვას რას ნიშნავს ბოლო სიტყვები: ეჰ, ვერაფერიც ვერ ისწავლე. წადი აქედანო, რის შემდეგაც, ახლებურად თუ ვიტყოდით, ხაზგასმით დემონსტრაციულად ადგა, ფარას მიაშურა და ზურგშექცევით იდგა მანამ, სანამ იესო არ წავიდა. და

აი, ახლა, როცა იესო წარმოსახვის ძალას ძაბავდა, რას მომთხოვს ღმერთი მომავალი შეხვედრისასო, მწყემსის სიტყვები – ვერაფერიც ვერ ისწავლეო – ცხადად და მკვეთრად ჩაესმოდა, თითქოსდა ისევ გვერდში უდგასო და ამის გამო მარტოობის, განშორების, დანაკარგის ძალუმი დარდი გულს უგმირავდა. იორდანეს ნაპირზე იχდა წყალში ფეხებჩაშვებული და უყურებდა, გამჭვირვალე მდინარებას როგორ ერთვოდა ჭრილობებიდან გადმოღვრილი სისხლის წვრილი, მკრთალი ნაკადი და უცებ იგრძნო, რომ არც ეს სისხლი, არც ეს ფეხები მას უკვე აღარ ეკუთვნოდა: მამამისი კოჭლობით მოსულიყო იორდანეს წყალში ლურსმნით გახვრეტილი კოჭების გასაგრილებლად და ისიც იმასვე ეუბნებოდა, რაც მწყემსმა უთხრა: ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო, რადგან ვერაფერიც ვერ ისწავლეო. იესო, თითქოს სიცოცხლის მძიმე და გრძელი χაჭვის რგოლებს წყლიდან თითო-თითოდ ეზიდებაო, მთელი განვლილი ცხოვრების გახსენებას შეუდგა – მისი ჩასახვის იდუმალი შეტყობინება, მანათობელი მიწა, მღვიმეში შობა, ბეთლემელი ბავშვების მოსრვა, χვარცმული მამა, კოშმარების მემკვიდრეობა, სახლიდან წასვლა, ტაძრელ ბრძენთან შეკამათება, სალომეას დამოწმება და მღვიმეში მწყემსის მოსვლა, მწყემსად ცხოვრება, ბატკნის ხსნა, ხოლო მერე – უდაბნო, დაკლული ცხვარი, ღმერთი. და ეს უკანასკნელი სიტყვა უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა – მასზე ფიქრის გაგრძელება იესომ ვეღარ მოახერხა და აზრებმა გეზი იცვალეს: რატომ გადარჩა კრავი, ხოლო ცხვარი – ვერა? დამეთანხმებით, სულელური შეკითხვაა, მაგრამ მის არსს რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ, მოდი, იგივე სხვა სიტყვებით გავიმეოროთ: გადარჩენა სამუდამო არ არის, ხოლო განწირული სამუდამოდ განწირულია. ჰოდა, ასე ამოზიდა ბოლო რგოლი წყლიდან იორდანეს ნაპირზე გულისწამღები ჰანგის თანხლებით – ვიღაც ქალი რომ არ ჩანდა და ისე მღეროდა ლერწმებს ამოფარებული – ალბათ რეცხავდა იქ რაიმეს, ან ბანაობდა, – იესოს უნდა გაიაზროს, ერთი რომაა ეს ყველაფერი: ცოცხალი კრავი, დაკლულ ცხვრად რომ გადაქცეულა, თავის ფეხები – მამამისის სისხლით მორწყული, მღერალი ქალი, ნიავისგან ოდნავ ატალღულ მდინარეში რომ ჩაწოლილა, მკვრივი, დიდრონი ძუძუები და მუცლის ქვემოთა ქებული სამკუთხედი ზეცისკენ რომ მიუშვერია – ასეთი რამ იესოს დღემ-

დე არ უნახავს, მაგრამ ვინ იცის, თუ არა მან, ვინც რომელიღაც კვამლის სვეტის ნახვისთანავე ფიქრი დაიწყო, მეორეჯერ რომ შევიყრებით, მე და ღმერთმა რა უნდა ვქნათო, – მასზე უკეთ ვის გაეგება, რომ მშვენებანი, – დიახ, ეს სიტყვა ვითარებას შეეფერება – ქალის სხეულის ეს სანუკვარი მშვენებანი წარმოსახვით განა ითხზვება, ანდა ყურმოკრულ სიმღერის ჰანგს როდი მოჰყვება, მით უმეტეს, რომ კაცმა არ იცის, ვის უმღერის უცნობი ქალი. იოსებიც წასულა უკვე, სეფორისის საძმო საფლავში დაბრუნებულა, მწყემსიც არ არის, მისი კვერთხის წვერიც კი არ ჩანს არემარეზე, ხოლო ღმერთი კი, თუ ის მართლაც ყველგანმყოფია, ამჯერად მონასა თვისსა ღრუბლის სვეტად კი აღარა და, მდორედ მდინ წყლად მოვლენია, იმ წყლად, რომელიც ქალის სხეულს ნაზად ევლება.

და სხეულიც თავისას შვრება – ფეხებს შორის ის ემართება, რაც ყოველ მამრს – კაცსა თუ მხეცს – ებერება, უდგება, მთელი ტანიდან ელვის სისწრაფით მოდენილი სისხლით ევსება, იარებიდან გამოსაჟონად წვეთიც არ რჩება.

ღმერთო, რა საღი სხეული აქვს, მაგრამ იესო უცნობი ქალის მოსაძებნად არ დაძრულა, არამედ ხელი აუკრა სხეულებრივი ვნების დაუნდობელ ცდუნებას, რომ ჩურჩულებდა: „არავინ არ ხარ, თუ შენი თავი არ შეიყვარე; ღმერთს ვერ ჩასწვდები, საკუთარ სხეულს თუ არ შეიცნობ~. ვინ ჩურჩულებდა ამ სიტყვებს, არავინ იცის, მაგრამ ღმერთი რომ არა, ცხადი იყო, ღმერთის დავთარში ეს არ ეწერა, აი, მწყემსი კი, რატომაც არა, სადმე აქვე რომ ყოფილიყო, იმავე სიტყვებს ეტყოდა ისიც, ანდა იქნებ, ამ სიტყვებს ლერწმებიდან ქალი მღეროდა და იფიქრა იესომ, რა იქნებოდა, იმ ქალისთვის რომ მეთხოვა, ამ სიტყვების შინაარსი ამიხსენიო, მაგრამ ხმა მიწყდა: დინებამ წაიღო ქალი დაღმა, ან კი სულაც წყლიდან ნაპირზე ამოვიდა გასაშრობად, ტანი დამალა სამოსელში და გააჩუმა. იესომ კი წყლით გაჟღენთილ ფეხსაცმელში დურთა ფეხები, წამოდგა, რის გამოც ხამლებიდან ყოველ მხარეს გაასხა წყალმა, თითქოს სველ ღრუბელს დააბიჯაო. რას იცინებდა ის ქალი, აქეთკენ რომ წამოსულიყო და ეს ჯღანები დაენახა, თუმცა ისიც საფიქრალია, სიცილს შეწყვეტდა, თუ თვალებს ზემოთ ასწევდა და ქიტონის ქვეშ კარგად ჩამოსხმულ აღნაგობას შეამჩნევდა, და უფრო ზევით ახედვისას წააწყდებოდა

იესოს თვალებს, მუდამ დარდიანს, მაგრამ ამჯერად ახალი შფოთვით დაბინდულებს. სიტყვის უთქმელად კვლავ გაიხდიდა და მოხდებოდა, რაც ასეთ დროს ხდება ყოველთვის, ნაზად გახდიდა მოუხეშავ ბეწვის სანდლებს და იარებს განკურნებამდე დაუკოცნიდა, მერე კი ფრთხილად, როგორც კვერცხს ან რელიკვიას, თითოეულ ტერფს თავისი ნაზი, ჯერაც სველი თმით შეუხვევდა. არავინაა გზაზე. იესო აქეთ-იქით იცქირება და ოხვრით პოულობს მყუდრო კუნჭულს, იქით მიიწევს, მაგრამ უეცრად ადგილზე შეშდება – დროულად ახსენდება ონანის ისტორია, თესლის უმისამართო დანთხევისთვის რომ დასაჯა ღმერთმა. ბუნებრივია, იესო ამ კლასიკურ ეპიზოდს რომ განმეორებით ჩაღრმავებოდა, ღვთის დაუნდობელი სიმკაცრე ვერ შეაჩერებდა, რამეთუ ურჩობისთვის ორ მიზეზს გამონახავდა: ჯერ ერთი, ონანის ამბისგან განსხვავებით, რძალი, რომლისთვისაც რჯულის მიხედვით, ძმის თესლი უნდა აღედგინა, ამ დროს აქ არ ბრძანდებოდა და საერთოდაც არ არსებობდა, მეორე უფრო საფუძვლიანი მიზეზი კი ის იყო, რომ ღმერთმა, როდესაც გამოეცხადა, აცნობა, შენთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები მაქვსო, მაგრამ არ უთქვამს, კერძოდ, რა და ამიტომაც დავიწყნოდა დანაპირები და ისეთი წვრილმანის გამო, როგორიცაა ხელით ცელქობა, არა მგონია, მთელი გეგმები დაენგრია, რამეთუ ღმერთმა კარგად იცის, რომ ყველა წყურვილსა და ყველა შიმშილს წყლით და საკვებით ვერ დაიოკებ, არანაკლებ ძნელად ასატანი სხვა წყურვილ-შიმშილიც არსებობს. ამგვარმა ფიქრებმა ნაცვლად იმისა, რომ ერთობ საპატიო ადამიანური აზრები წაექეზებინა და იესო დამღუპველი მანკიერების გზაზე გაეყვანა, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, მყუდრო ადგილას მიეყვანა, პირიქით, მოულოდნელად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღეს და კი არ მოხიბლეს, არამედ განხიბლეს და თავდაპირველ ჩანაფიქრზე ხელი ააღებინეს, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით სურვილზე, რომლის მომაკვდინებელ ცოდვასთან აშკარა კავშირი ხორცს აგრილებდა და სულს აყოყმანებდა. ამრიგად, იესო საკუთარ სათნოებას დაემორჩილა, ჩანთა მხარზე გადაიგდო, კვერთხი ჩაბღუჯა და გზას გაუდგა. იორდანეს გასწვრივ ამ მოგზაურობის პირველ დღეს იესო ოთხი წლის განმავლობაში ათვისებული ჩვევის

თანახმად ხალხმრავალ ადგილებს ერიდებოდა და მხარს უქცევდა სოფლებს, რომლებიც, სხვათა შორის, არცთუ ხშირად ხვდებოდა.

მაგრამ რაც მეტად უახლოვდებოდა გენისარეთის ტბას, ამის გაკეთება მით მეტად გაუჭირდა: ჯერ ერთი, აქაურ სოფლებს დამუშავებული მინდვრები ერტყა გარს – აბა, სცადე და შემოუარე, და მერე კიდევ, როცა ასეთი საეჭვო გარეგნობის მაწანწალა თან ხალხსაც ერიდება, გლეხებში ეს ამბავი ათას ეჭვიან აზრს ბადებს ხოლმე. და იესომაც სოფელში მისვლა გადაწყვიტა და სოფელმა მას იმედი არ გაუცრუა, თუმცა კი, მწყემსურ სიწყნარეს მიჩვეული, გვარიანად გააყრუა. პირველსავე სოფელში ბიჭუნების გუნდმა მისი არაჩვეულებრივი კოთორნების დანახვაზე სტვენა და ველური ყიჟინა ატეხა, რამაც იესოს ახალი სანდლების ყიდვისკენ უბიძგა, არ დაგვავიწყდეს, რომ საამისო თანხები ჰქონდა, ფარისევლის მოწყალება ოთხი წლის განმავლობაში არ დაუხარჯავს, ან სად და რაში უნდა დაეხარჯა, ასე რომ, ისეთი ქონების პატრონი გახლდათ, მეტი რომ არ უნდოდა. სანდლების შეძენის შემდეგ მისი სიმდიდრიდან ორი დაბალი ღირებულების მონეტაღა დარჩა, მაგრამ ამას არ შეუშინებია და არც შიმშილის დარდი ჰქონდა, რამეთუ ნაზარეთისკენ, მშობლიური სახლისკენ გაუწევია, – რადგანაც ასეთი პირობა დადო იქიდან წამოსვლისას, თუმცა კი თითქოს სამუდამოდ წამსვლელს ჰგავდა: ასე თუ ისე, მაგრამ მაინც აუცილებლად დავბრუნდებიო. – აუჩქარებლად მიაბიჯებს, კალაპოტის ხვეულებს მიუყვება: დიდ მანძილზე სამოგზაუროდ ფეხები ბოლომდე ჯერაც არ მოშუშებია, მაგრამ ამ აუჩქარებლობის მთავარი მიზეზი, კაცმა რომ თქვას ისაა, დარწმუნებული რომაა, ჩემი სახლი არსად დამეკარგებაო, აჰა, თითქმის მისული ვარო, მაგრამ, არა, სულ სხვა, გაცილებით ამამღვრეველი აზრი აფერხებს:

რაც მალე მივალ, მით უფრო ადრე მომიწევს იქიდან წამოსვლაო. და მიუყვება იორდანეს ნაპირს ჩრდილოეთისკენ და საცაა, ნაზარეთიც უნდა გამოჩნდეს: საჭიროა დასავლეთით გადაუხვიოს და შინ იქნება, მაგრამ ამ განიერი ტბის ლურჯი, მშვიდი წყალი მოულოდნელად შეაყოვნებს. ლტოლვას აყოლილი ნაპირზე ჯდება, მეთევზეებს შესცქერის, ბავშვობაში მშობლებთან ერთად ნამყოფია ამ მხარეში, მაგრამ არასოდეს დაკვირვებია ადამიანებს, ჩავლისას რომ თევზის სუნს ტოვებენ, გე-

გონება, ზღვის სიღრმიდან ეს წუთია ამოყვინთესო. გადაუწყვეტია, რითაც შევძლებ, დავეხმარებიო – არადა, რა იცის, რა შეუძლია – ნავის ნაპირზე გამოყვანა ან პირიქით, წყალში შეშვება, სხვებთან ერთად ბადის მოზიდვა და მეთევზეები მისი მშიერი სახის დანახვაზე ორ-სამ ფხიან თევზს აძლევენ. თავდაპირველად მორიდებით, მოფარებულში წვავდა, მაგრამ მეორე დღეს – არადა, სულ სამი დღე გაატარა იქ, – მეთევზეებმა კოცონთან მიიწვიეს. ბოლო დღეს კი ზღვაშიც შეცურდა, ასე ვუწოდოთ იმ მეთევზეთა კვალობაზე გენისარეთის ტბას, – ნავით, რომელიც ძმების – სიმონისა და ანდრიას საკუთრება გახლდათ: ისინი იესოზე უფროსები იყვნენ, ორივე ოცდაათს გადაცილებული. თევზაობისას ახალბედა, ახალი მეგობრების წახალისებით პირველი თვითონ დასცინოდა საკუთარ მოუქნელობას და ბადეს ისე ფართოდ ისროდა, რომ ნაპირიდან თუ შეხედავდი, გაიფიქრებდი, ბადეს კი არა, გამოწვევას ისვრისო, რამდენჯერმე გადააგდო სათხეველი ყოვლად უშედეგოდ, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ბადეს თვითონაც კინაღამ გადაჰყვა წყალში. მეთევზეები ხითხითებდნენ, რამეთუ იესო მხოლოდ ცხვრებსა და თხებში ერკვეოდა, სიმონი კი ამბობდა: რა ცხოვრება გვექნებოდა, თევზის პირუტყვივით მწყემსვა რომ შეიძლებოდეს, ჰა? ხოლო იესო პასუხობდა: თევზი

ფარას არ ჩამორჩება მაინც და ტყე-ღრეში ძებნა არ დასჭირდება – ამ ზღვის ჭურჭლიდან ვერსად გაიქცევა, ყოველდღე გაურბის ბადეს, მაგრამ მაინც ყოველდღე ებმება შიგ. ნადავლი მწირი გამოდგა და თქვა ანდრიამ: ნაპირისკენ წავიდეთ, ძმაო, დღევანდელმა დღემ, რაც შეძლო, მოგვცა. სიმონიც დაეთანხმა: სწორია, ძმაო, და ნიჩბები მოიმარჯვა, მარცხენით მოსმას აპირებდა ნავის შემოსაბრუნებლად, მაგრამ ამ დროს იესომ – არ გვსურს დავიჯეროთ, რომ ციური მადლის კარნახით კი არა, უფრო მადლიერების გაუცნობიერებელი გრძნობით აღძრულმა – შესთავაზა, მოდი, სამჯერ კიდევ ვისროლოთ ბადეო. რა იცი, ეგება თევზების მწყემსმა ეს წუთია ფარა მორეკა, ნაფოტას ცხვარი ამით სჯობია, გაიცინა სიმონმა და ანდრიას უთხრა: კარგი, ისროლე, ჩვენი რა მიდის.

ანდრიამ ბადე მოისროლა და თევზით სავსე ამოიღო. ძმებმა იესოს გაოცებით შეხედეს, მეორე სავსე ბადის ამოღების შემდეგ – განცვიფრებით, ხოლო მესამეზე – გაოგნებით. და ზღვიდან, წეღან რომ ცოცხალი

არსება არ ჭაჭანებდა, გეგონებოდა, ნაკადულის სუფთა წყალიაო, ახლა უცებ არნახული სიუხვით იხუვლა ლაყუჩების, ქერცლის, ფარფლების ნაკადმა და თვალთახედვა ააბრჭყვიალა. ჰკითხეს იესოს სიმონმა და ანდრიამ, საიდან იცოდი, თევზი აქ და ახლა რომ იქნებოდაო, ნუთუ შენი მზერა ასეთ სიღრმეს სწვდება და ეგება ფსკერსაც ხედავო? მაგრამ იესომ მიუგო: არაფერიც არ ვიცოდი და არც არაჩვეულებრივი თვალთახედვის პატრონი ვარ, უბრალოდ, გავიფიქრე, რა მოხდება დაბრუნების წინ ერთხელაც რომ ვცადოთ-მეთქიო. ძმები მისი სიტყვების სიმართლეში არ შეეჭვებულან – ვინ არ იცის, რომ შემთხვევას ზოგჯერ უარესი სასწაულებიც მოუხდენია, მაგრამ იესო შინაგანად თვითონ აღელდა და საკუთარ თავს ჰკითხა: ნეტავ მართლა ვინ ქნა ეს საქმეო. თქვა სიმონმა: ღმერთმა ქნას, ეს ამხელა ნადავლი გადაგვარჩევინაო, – შემთხვევით ვსარგებლობთ და უნდა გაცნობოთ, რომ ეკუმენურ-ყველაფრისმჭამლური გამოთქმა: „უთევზობისას კიბოც თევზიაო“ გენისარეთის ტბის ნაპირას ნამდვილად არ წარმოშობილა, რამეთუ სჯულის კანონი, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვნად განმარტავს: „წყლის ყველა ცხოველთაგან შჭამეთ მხოლოდ: რომელთა აქუნდეს ფარფლნი და ქერცლნი, მდინარეებშიც, ზღვებშიც – ეგენი შჭამეთ, ხოლო ყოველი, რაისა არა აქუნდეს ფარფლნი და ქერცლნი, მდინარეებშიც, ზღვებშიც, რომლებიც ცურავენ წყალში და ცხოვრობენ წყალში, ბილწია თქვენთვის. ბილწ ჰყავით და არა შჭამოთ ხორცი მათი და ლეშსა მათსა არა დახარბდეთ. ყველა ცოცხალი, უფარფლებო და უქერცლებო განაგდეთ თქვენგან. ასეც მოექცნენ ამ უკანასკნელთ, რომლებიც ღირსნი არ იყვნენ, რომ ღვთის რჩეული ერის შვილებს შეეჭამათ, – უკან ჩაყარეს წყალში, ბევრი მათგანი, სავარაუდოდ პირველად არა, და ალბათ უკვე მიეჩვივნენ კიდევაც ამას, ასე რომ, ბადეში გაბმულები ძალიანაც არ წუხდებოდნენ, რამეთუ ზუსტად იცოდნენ, რომ მალე მშობელ სტიქიას უვნებლად დაუბრუნდებოდნენ და ეგება თავიანთი თევზური ტვინებით იმასაც ფიქრობდნენ, შემოქმედს სიყვარულით თუ არ ვუყვარვართ, ჩვენ მიმართ სულ ცოტა კეთილგანწობილი მაინც არისო და თავს განსაკუთრებულ ქმნილებებად მიიჩნევდნენ – ბევრად უფრო მაღლა მდგომებად იმ თევზებზე, რომლებიც გორებად ეყარნენ ნავებისა და

კარაპების ფსკერზე, და რომლებსაც ღრმა წყლისქვეშეთში, უეჭველია, ღვთის წინაშე აურაცხელი მძიმე დანაშაული ჩაედინათ, რაკიღა უფალს შეუბრალებლად გაეწირა სასიკვდილოდ.

როცა ბოლოს და ბოლოს ნაპირს მიადგნენ, რაც ძალიან გაუჭირდათ და რისთვისაც დიდ სიფრთხილესთან ერთად მთელი ცოდნა-გამოცდილება დასჭირდათ, რადგან წყალი გადატვირთულ ბორტებს სწვდებოდა და წამდაუწუმ გადაბრუნებით ემუქრებოდა, ნაპირზე მდგარი ხალხი გაოცებისგან გონს ვერ მოსულიყო და ამ არნახული წარმატების მიზეზების დადგენა სურდათ, რამეთუ სხვა მეთევზეები ცარიელ-ტარიელნი დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ამ სამეულმა, უსიტყვო მეგობრული თანხმობის კვალად არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ მაინც როგორ მოახერხეს ამ გულუხვი ნადავლის ხელში ჩაგდება. საამისოდ ყველას თავის მიზეზი ჰქონდა: სიმონსა და ანდრიას არ სურდათ თავიანთი ყოჩაღობა საჯაროდ დაემცირებინათ, ხოლო იესოს არ უნდოდა, რომ სხვა მეთევზეთა არტელებს ზღვაში გაყოლა მოეთხოვათ და ანკესზე წამოცმული სატყუარასავით ხელიდან ხელში გადასულიყო, თუმცაღა, ჩვენი თვალთახედვით, ეს საკმაოდ სამართლიანი იქნებოდა, რამეთუ შვილებსა და გერებს შორის უთანხმოებას ერთბაშად ბოლოს მოუღებდა – არადა დღემდე რაოდენი ბოროტება დათესილა ამ ნიადაგზე. ამიტომაც იმავ საღამოს განაცხადა იესომ, გამთენიისას ნაზარეთში მივდივარო ჩემს ოჯახშიო, რომელთანაც განშორებულმა ოთხი ისეთი ძნელი, დამღლელი წელიწადი გავატარე ხეტიალში, რომ გეგონება, ეშმაკი დამატარებდაო.

დიდად გული დასწყდათ სიმონსა და ანდრიას, გენისარეთის ისტორიაში ზღვის პირუტყვის საუკეთესო მწყემსი ხელიდან გვეცლებაო, აგრეთვე სინანულს გამოთქვამდა ორი სხვა მეთევზეც, იაკობი და იოანე, ზებედეს ძენი, იმდენად გულალალი ახალგაზრდები, რომ შეკითხვაზე, ზებედეს ძეთა მამა ვინ არისო, საგონებელში ვარდებოდნენ და იბნეოდნენ, რა თქმა უნდა, პასუხი იცოდნენ, რამეთუ თვითონ იყვნენ სწორედ იმ ზებედეს ძეები, მაგრამ მაინც სიტყვას ეძებდნენ და სულ მცირე ერთწუთიანი დუმილის მერე გასცემდნენ პასუხს. ენანებოდათ იესოს წასვლა. იმიტომ კი არა, მის გარეშე ურიცხვ თევზს ვეღარ დავიჭერთო, არამედ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, – იოანე თვით იესოზე უმცროსიც

კი გახლდათ – და იმედოვნებდნენ, სამნი ერთად უფროს თაობას უკეთესად მოვერევითო. ხოლო მათი გულალალობა გონების სიჩლუნგის ან თანდაყოლილი სისულელის ბრალი კი არ გახლდათ, არამედ ისე გამოდიოდა, რომ ეს ძმები დაიარებოდნენ და რაღაც სხვა საკითხზე მუდმივად დაძაბულად ფიქრობდნენ, ჰოდა, ამიტომ უცებ ვერ ხვდებოდნენ, რა ერქვა ზებედეს შვილების მამას, თუმცა ის კი კარგად ესმოდათ, რა ახარხარებდა ყველას, როცა ბოლოს და ბოლოს საზეიმო იერით უპასუხებდნენ: რა ჰქვია და ზებედეო. იოანე იესოსთან მივიდა და უთხრა: ჩვენთან დარჩი, ჩვენი ნავი უფრო დიდია, ვიდრე სიმონისა და ანდრიასი, მეტ თევზს დავიჭერთო, რაზედაც იესომ სიბრძნითა და თანაგრძნობით მიუგო:

უფლის სამართალს თავისი, ადამიანთა სამართლისგან განსხვავებული საზომი აქვსო. თავჩაქინდრული გაერიდა იოანე და იესოს შეკავება მეტად აღარავის უცდია. დილით კი გამოეთხოვა თავის თვრამეტწლიან სიცოცხლეში პირველ მეგობრებს და საგზლით მომარაგებული გაშორდა გენისარეთის ტბას, სადაც ღმერთმა ნიშანი მისცა – თუ რა თქმა უნდა, ტყუილად არ დაჰპირდა – და გეზი მთებისკენ აიღო, ნაზარეთისკენ.

მაგრამ ბედმწერის ნება-სურვილით, ქალაქ მაგდალაში ფეხი გაეჭრა, ძვლამდე გადაუსკდა და სისხლისდენა არ უწყდებოდა. ბედისწერამვე მოაწყო ისე, რომ ეს ამბავი ქალაქის განაპირას ერთი სახლის

კართან მოხდა, ცალკე რომ იდგა, თითქოს არ სურს, დანარჩენ სახლებს მიუახლოვდეს, ანდა ის სხვა სახლები თვითონ ჩამოშორებიანო. იესო ხედავს, რომ სისხლისდენა არ უწყდება, მიდის და ყვირის: ჰეი, არის აქ ვინმე? – და იმავ წუთას, გეგონებოდათ, ელოდებოდაო, ქალი გამოჩნდა და სახეზე გაელვებული გაოცების მცირე ჩრდილმა საცნაურყო, რომ გაუფრთხილებლად სტუმრის მოსვლას ჩვეული იყო, კარზე კაკუნ-ბრახუნისა და ხმობის გარეშე, თუმცა ეს, თუკი კარგად დავუკვირდებით, ამ შემთხვევაში სხვა შემთხვევასთან შედარებით მართლაც ნაკლებ საჭირო იყო, რამეთუ ქალი ესე, იმდროინდელი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, მეძავი იყო და მისი ხელობის წესის თანახმად, სტუმარს სახლში რომ შეიყვანდა, კარი უნდა გადაეკეტა.

იესო მიწაზე იჯდა და სისხლმდინარე იარას ხელს უჭერდა, ცალი თვალით ახედა მოახლოებულ ქალს და თქვა: მომეხმარე, – გამოწვდილ ხელზე ჩაეჭიდა, წამოდგა და ჭიშკრამდე მილასლასდა. სიარულს ვერ შეძლებ, შინ შემოდი, უნდა შეგიხვიო. იესომ არც „ჰო“ უთხრა, არც „არა“ – ამ ქალს ისეთი სურნელი ასდიოდა, რომ ვეღარც აზროვნებდა და აღარც ჭრილობის ტკივილს გრძნობდა, ხოლო როცა ქალს ხელი მხრებზე გადახვია, ხოლო საკუთარ წელზე შემოსალტული ქალის ხელი იგრძნო, მთელი სხეული უზარმაზარმა ქარიშხალმა აუზანზარა, და შეგრძნებებიც, რამეთუ სწორედ ერთ მათგანით, შეგრძნება რომ ერქვა, მაგრამ ცალკე რომ არც თვალთახედვა იყო, არც სმენა, არც ყნოსვა, არც შეხება, არც დაგემოვნება, არამედ ყველა ამ შეგრძნების მცირე ნაწილს მოიცავდა, სწორედ ამ შეგრძნებით გრძნობდა, თუ როგორ უზანზარებდა, უცემდა და უბაგუნებდა ყველაფერი და მადლობა ღმერთს, რომ ასე იყო. ამასობაში ქალმა ეზოში შეიყვანა, ჭიშკარი გადაკეტა და უთხრა: აქ ჩამოჯექი, ახლავე მოვალ, – დასვა, თვითონ სახლში შევიდა და იმწამსვე გამობრუნდა თიხის ქოთნითა და თეთრი ტილოს ნაჭრით ხელში. ტილო წყალში დაასველა, იესოს წინ მუხლებზე დაეშვა, მტკივანი ფეხი ხელისგულზე დაიდო, იარა ფრთხილად დაუმუშავა, მიწა ჩამორეცხა, მოურბილა ფუფხი, საიდანაც სისხლი და კიდევ რაღაც ყვითელი, ჩირქოვანი, საზიზღარი სითხე ჟონავდა. თქვა ქალმა: მარტო წყალი ამას ვერაფერს უშველის, ხოლო იესომ თქვა: კარგად გადამიხვიე და შემიკარი, ნაზარეთამდე მივაღწევ და... იქ კი... იქ კი დედა მომარჩენს, უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ თქვა, არ მოუნდა ამ ქალს ბავშვად ჩაეთვალა, თითს რომ იტკენს და ცრემლიანი, დედიკოო, რომ მორთავს ბღავილს იმის იმედად, რომ წამსვე შეიცოდებენ და მტკივან თითზე ალერსით შეუბერავენ და თან ეტყვიან: არ იტირო, არ იტირო, ჩემო პატარა, ქორწილამდე მოგირჩებაო. ნაზარეთამდე კარგა დიდი გზაა, თუმცა ნება შენია, ოღონდ მალამოს წაგისვამ, თქვა ქალმა და ისევ სახლისკენ გაემართა, ამჯერად ცოტა მეტხანს შეყოვნდა. იესომ მიიხედ-მოიხედა, გაუკვირდა, რა სუფთა და დალაგებულია აქაურობაო. ეჭვი აქვს, დიასახლისი ალბათ სხეულით ვაჭრობსო, იმიტომ კი არა, რომ ადამიანის ხელობის ერთი შეხედვით გამოცნობის რამე საგანგებო ნიჭი ჰქონდა, არამედ თვითონ ხომ სულ ახ-

ლახან თხის სუნით ისე ყარდა, რა უნდოდა იმის მიხვედრას, მწყემსი რომ იყო, ახლა კი თევზის სუნი უდის და ნებისმიერი გამოიცნობს – მეთევზეაო, და ერთი ყროლი მეორე არანაკლებ ყროლით შეუცვლია.

ხოლო ეს ქალი გასაოცარ არომატს აფრქვევს, მაგრამ იესოს, თავისი უბიწოობის მიუხედავად, რაც უვიცობაში არ უნდა აგვერიოს – დანერბვის მეტი რა უნახავს! – საღი აზრი კარნახობს, რომ ქალის სხეულს ადენილი ტკბილი სურნელი მის მეძავობას სულაც არ ნიშნავს. თუ მაინცდამაინც, ეგება მეძავს სულაც

კაცების სუნი უნდა ჰქონდეს, როგორც მწყემსს – თხების, მებადურს კი – თევზის, მაგრამ ვინ იცის, ამ პროფესიის ქალები ამდენ ნელსაცხებელს იმიტომ ხმარობენ, რომ სწორედ კაცების სუნი დამალონ. ამასობაში ქალი დაბრუნდა, შუშის ჭურჭლით და ხალისიანი ღიმილით, გეგონებოდა, სანამ შინ იყო, რაღაც მხიარული ჭორი უამბესო. ხედავს იესო: სულ ახლოა, მაგრამ – თუ მხედველობა არ ღალატობს – ისე ნელა მოდის, გეგონება სიზმარიაო, და ტუნიკაც უფრიალებს, თეძოების ვნებიან რხევას აყოლილი, ხოლო შავი გაშლილი თმა მხრებზე ცეკვავს, როგორც ნამჯაზე თავთავები ცეკვავენ ქარში. ეჭვიც არაა, ეს მეძავის ტანსაცმელია, ტანი – მროკავის, და ამნაირად მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იცინის.

აღელვებული იესო საკუთარ მეხსიერებას შეევედრა, ეგება ჩემი სახელგანთქმული სეხნიის, იესო ზირაქის ძის მოძღვრებიდან რომელიმე შესაფერისი ბრძნული გამონათქვამი გამახსენოო და მეხსიერებამ არ უღალატა, ძლივსგასაგონად უჩურჩულა, ოღონდაც ყურში კი არა, ყურს შიგნით: დიდხანს ნუ დარჩები მომღერალ ქალთან, მისმა ხელოვნებამ რომ არ დაგატყვევოს, და კიდევ: სულს ნუ მისცემ მეძავებს, რათა ქონება არ დაკარგოო, და თუკი პირველი შეგონება ახალგაზრდობის გამო სრულიად შესაძლო იყო იესოს გადახდენოდა, მეორე შემთხვევაში ასაღელვებელი არაფერი ჰქონდა, რამეთუ მისი ქონების ავან-ჩავანი ძალიან კარგად მოგვეხსენება და თვითონაც ძალიან გაუხარდა, უპოვარი რომ იყო, წარმოიდგინა, სანამ ქალი ფასზე დამელაპარაკება, მკითხავს, ფული რამდენი გაქვსო და ამიტომაც ამ ყველაფრისთვის უკვე მზად მყოფს ქალის შეკითხვა მოულოდნელად ვერ დააბნევდა, მან კი ამასობაში იე-

სოს ტერფი მუხლზე დაიდო, იარას რაღაც საცხი წაუსვა და ჰკითხა: რა გქვია? იესო, მიუგო მან, მაგრამ ნაზარეთიდანო, აღარ დაუმატებია, რამეთუ ადრევე აცნობა ქალს სადაურიც იყო და სადაც მიდიოდა. ასევე ქალმაც, მის შეკითხვას რომ უპასუხა, თავის სახელი უთხრა მხოლოდ, მარიამიო, ხოლო მაგდალელი ვარო, აღარ დაუმატებია, რადგან ისედაც ნათელი იყო. აი, რამდენი რამე მოხდა იმ მოკლე ხანში, სანამ მარიამი მალამოდადებულ იარას მჭიდროდ, საიმედოდ და ვიწროდ უხვევდა სუფთა ტილოს ნაჭრით, ხოლო ბოლოს თქვა: ესეც ასე. მადლობა როგორ გადაგიხადო? – ჰკითხა იესომ და აქ პირველად მისი თვალები მარიამის ნახშირივით შავ, ელვარე თვალებს შეხვდა, ვნებიანი სისველის გამო წყლიანიც რომ ეთქმოდა და ჭაბუკის ბუნების სიღრმეს რომ სწვდებოდა. ქალმა სწრაფად არ უპასუხა, ისე შეათვალიერა, თითქოს აფასებსო, თუმცა კი ცხადზე ცხადი იყო, კაპიკიც რომ არ ექნებოდა და ბოლოს უთხრა: დამიმახსოვრე, სხვა არაფერი. სიცოცხლეში არ დავივიწყებ შენს სიკეთეს, უთხრა იესომ, მერე გული გაიმაგრა და დაუმატა; მარტო სიკეთე კი არადა შენც არასოდეს დამავიწყდები.

ეგ ვითომ რატომ? – გაიღიმა ქალმა. იმიტომ, რომ ლამაზი ხარ. ადრე როგორი ვიყავი, ის უნდა გენახა. მე ახლა გხედავ, როგორიც ხარ. ქალს სახეზე ღიმილი ჩაუქრა, თითქოს ჩამოერეცხაო:

თუ იცი, რას ვსაქმიანობ, რით ვცხოვრობ. ვიცი.

შენ რა, ერთი შეხედვით შეგიძლია ჩემ შესახებ ყველაფერი შეიტყო? რა უნდა შევიტყო, შენ შესახებ არაფერი არ ვიცი. არც ის, სხეულს რომ ვყიდი? არა, ეგ ვიცი. აბა, სხვა რაღა უნდა იცოდე? მე მარტო ეგ ვიცი. ქალი გვერდში მიუჯდა, თავზე ხელი მსუბუქად გადაუსვა, თითის წვერები ტუჩებზე შეახო.

მადლობის თქმა თუ გინდა, დღეს ჩემთან დარჩი. არ შემიძლია. რატომ? ვერ გადაგიხდი, ფული არა მაქვს. ეგ ვიცი. ნუ დამცინი. არ დამიჯერებ, მაგრამ ფულიან კაცებს უფრო მწარედ დავცინი ხოლმე. მარტო ფული არ არის საქმე. აბა, სხვა რა? იესო მდუმარედ შეტრიალდა. ქალი არ დახმარებია, თუმცა შეეძლო – უნდა ეკითხა:

უბიწო ხარ? – მაგრამ გამომწვევად დუმდა. ისეთი ღრმა და მკვრივი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ, ორივე გულისცემას გავიგონებთო –

ხმამაღალსა და ძლიერს – ბიჭისას, თავიდან მშვიდსა და თანაბარს, მერე და მერე კი, თითქოს ღელვა გადაედოო, გახშირებულს და ათრთოლებულს – ქალისას. თქვა იესომ: თმა შენი – თხის ფარაა, გალაადის მწვერვალიდან ძირს დაშვებული. ქალმა უსიტყვოდ გაიღიმა. თქვა იესომ: შენი თვალები ესევონის ტბებია ბათრაბიმის კარიბჭესთან. ისევ გაიღიმა და ისევ უსიტყვოდ. მაშინ მიუტრიალდა იესო: არ ვიცი ქალი. მარიამმა ხელი ხელზე მოუჭირა: ყველამ როდისმე ეს გზა უნდა გაიაროს – კაცმა, რომელმაც ქალი არ იცის, ქალმა, რომელმაც კაცი არ იცის; მცოდნე ასწავლის, არმცოდნე ისწავლის. მასწავლი? მაშინ ერთხელაც მოგიწევს ჩემთვის მადლობის გადახდა. მარად შენი მადლიერი ვიქნები. მე კი მარად გასწავლი. მარიამი ადგა, კარი გადარაზა, მაგრამ მანამდე ჭიშკრის წინ ბოძზე რაღაც ქსოვილი გამოკიდა, რითაც საზოგადოებას აუწყა, რომ მასპინძელი სტუმრებს ვერ მიიღებდა, რამეთუ დამდგარიყო სიმღერის ჟამი: ამოვარდი ჩრდილოეთის ქარო, დაუბერე სამხრეთიდანაც, დაუქროლე ბაღს ჩემსას და მოეფინება მისი სურნელი არემარეს. მოვა ჩემი სატრფო და იგემებს მის ნაყოფს. მერე ერთად – იესო, უწინდებურად დაყრდნობილი მაგდალელი მეძავის მხარზე, ვინც უმკურნალა, ხოლო ახლა ლოგინში იწვენს, – შინ შევიდნენ, სუფთა ოთახის ბინდბუნდში, სადაც საწოლად ისეთი რუხსაბანგადაფარებული უხეში ჭილოფი კი არ იყო, მშობლების სახლში რომ ენახა იესოს, არამედ ნამდვილი საწოლი, ამგვარი სიტყვებით აღწერილი: მოფენილია სარეცელი ჩემი ქვეშაგებით, ზეწრებია ეგვიპტური სელით ნაქსოვი, ნარდის, ზაფრანის, აირისა და დარიჩინის, მირონისა და ალოეს და სხვა საუცხოო სურნელითაა გაჟღენთილი. მარიამ მაგდალელმა იესო ქვის ფილებით წრიულად შემოზღუდულ კერიასთან მიიყვანა, და იესოს დაუხმარებლად, საკუთარი ხელით გახადა და დაბანა, თან შიგადაშიგ თითის წვერებს იქაც მიაკარებდა, იქაც და იქაც, ტუჩებს ახებდა მკერდზე, თეძოებზე, წინიდან, უკნიდან. ამ მსუბუქმა ალერსმა იესო აათრთოლა, ხოლო როდესაც მარიამმა ბასრი ფრჩხილები ჩამოუსვა, მთელ სხეულზე შეაცოცდნენ ჭიანჭველები. ნუ გეშინია, უთხრა მარიამმა, ხელი ჩასჭიდა და საწოლთან მიიყვანა. დაწექი, მე ახლავე მოვალ. ფარდა გადაიწია, წყალი აჩხრიალდა, მერე სიჩუმე ჩამოვარდა, ჰაერი სურნელებით აივსო

– და მარიამი გამოჩნდა საწოლთან შიშველი. შიშველივე, როგორც დატოვა, იწვა იესოც, რამეთუ ფიქრობდა, სიშიშვლეს თუ დავიფარავ, ვაწყენინებო. მარიამი შედგა, იმავდროულად ნაზადაც და ვნებიანადაც დააცქერდა და თქვა: ლამაზი ხარ, მაგრამ მთლად მშვენიერი თუ გინდა იყო, თვალი გაახილე. წამიერი ყოყმანის შემდგომ იესო დაემორჩილა, მაგრამ სასწრაფოდ ისევ დახუჭა დაბრმავებულმა, ისევ გაახილა და მიხვდა, თუ რას ნიშნავდა სოლომონ მეფის ეს სიტყვები: თეძოთა სიმრგვალე მინიაკს გიგავს, შექმნილს ხელოვანის ხელით; შენი ჭიპი მრგვალი თასია, ღვინისაგან მოუკლებელი; შენი მუცელი ხორბლის ხვავია, შროშანთაგან გარემოცული, ორი ძუძუ შენი ორი თიკანია ნიამორისა, მარჩბივნი, – მაგრამ ეს სიტყვები კიდევ უფრო მეტად მაშინ აცხადდნენ, როცა მარიამი გვერდში მოუწვა, მის ხელებს დასწვდა და ნელ-ნელა გააცურებინა მთელ სხეულზე, თმიდან შუბლამდე,

შუბლიდან ორივე ლოყამდე და ყელამდე, ყელიდან მხრებამდე, მხრებიდან მკერდამდე, ხელებში მოუქცია, მოაჭერინა და აუშვა, და ისევ მოაჭერინა, მერე მკერდიდან მუცლამდე, ჭიპამდე და იქით, ქვემოთ, ფეხებს შორის და იქ ერთხელაც შეაყოვნა, გაუხლართა თითები თავის საწმისში და გამოუხსნა და ისევ გაუხლართა და მერე იქიდან მრგვალი, ნაქანდაკარი თეძოებისკენ და ამასთან ძლივსგასაგონად ჩურჩულებდა: ისწავლე, ისწავლე, შეიცანი ჩემი სხეული. იესო მის ხელებში მომწყვდეულ საკუთარ ხელებს ხედავდა და მოუნდა გამოეხსნა, რათა თავისით გამოეკვლია მისი სხეულის ყოველი გოჯი, ყველა ნაწილი, მაგრამ მარიამი არ უშვებდა, ატარებდა მის ხელებს ზევიდან ქვევით და კიდევ და კიდევ.

ისწავლე, ისწავლე, ჩურჩულებდა ქალი. იესო წყვეტილად და მძიმედ სუნთქავდა და წამით მოეჩვენა, ახლა სულაც ვეღარ ვისუნთქებო – სწორედ მაშინ, როცა მისი ხელები – მარცხენა შუბლიდან და მარჯვენა ტერფიდან ნელა დაიძრნენ ერთმანეთისკენ და შუაში ერთ წერტილში შეიკრიბნენ, თუმც იქ წამით შეჩერდნენ მხოლოდ და კვლავაც აუჩქარებლად დაუბრუნდნენ ამ მოგზაურობის საწყის წერტილებს და მერე კი ერთხელაც დაიძრნენ. „შენ ვერაფერი ვერ ისწავლე, წადი აქედან“, უთხრა მწყემსმა და ეგებ ეს ნიშნავდა, სიცოცხლის დაცვა ვერ ისწავლეო. ახლა მარიამ მაგდალელი შეუდგა მის სწავლებას, იმეორებს „შეიცანი ჩემი

სხეული“, მერე კი ერთი სიტყვა შეცვალა და, შეიცანი შენი სხეულიო – და აჰა, დაიძაბა, გამაგრდა, ადგა მისი სხეული, მიაშურა მარიამის ჯადოსნურ სიშიშვლეს, ქალმა კი უთხრა: წყნარად, ყველაფერი დაივიწყე, ნურაფერს ფიქრობ, მე თვითონ ვიზამ და იესომ უეცრად იგრძნო მისი ხორცის ერთი ნაწილი, სწორედ აი, ეს, როგორ შევიდა ქალის სხეულში, ვით ცეცხლის რკალში, წინ და უკან ამოძრავდა, სანამ ყვირილში არ დაინთქა სხმარტალით, როგორც თევზი ქვიშაზე, რაც ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც თევზი ვერ იყვირებს, ის კი ყვიროდა, როცა მარიამი ზედ დაეცა და მწყურვალე, მოუსვენარი ბაგეებით შეისრუტა მისი ყვირილი და ამ კოცნის გამო მეორე გაუთავებელმა კრუნჩხვამ დაატყვევა იესოს ტანი.

მთელი დღე არავინ მოსდგომია კარზე მაგდალელს.

მთელი დღე ემსახურებოდა ნაზარეთელ ჭაბუკს, რომელმაც ისე, რომ მისი არსებობაც კი არ უწყოდა, შველა სთხოვა – იარების გამრთელება, წყლულების შეხორცება, ტანჯვის შემსუბუქება, რომელიც – ამის შესახებ ქალს აბა, რა ეცოდინებოდა, – სულ სხვა შეხვედრას წარმოეშვა, უდაბნოში, ღმერთთან. ღმერთმა უთხრა: ამიერიდან მე მეკუთვნიო, სისხლით აღთქმა განვამტკიცეთო, ხოლო ეშმაკმა, თუკი მართლა ეშმაკი იყო, აგდებულად განდევნა: ვერაფერი ვერ ისწავლე, აქედან წადიო. მარიამი კი, რომლის აღზნებულ და დაბერილ ძუძუთა შორის ოფლი წვეთავდა, გაშლილ თმას ბოლი ასდიოდა, ხოლო თვალები შავ უფსკრულებს მიუგავდა, კოცნისგან შეშუპებული ტუჩებით ჩასჩურჩულებდა: რაც გასწავლე, ამას არ დავჯერდები, დილამდე ჩემთან დარჩიო. იესო მისკენ გადაიხარა და მიუგო: რაც მასწავლე, ტყვეობა კი არა, თავისუფლებაა. ერთად დაიძინეს, მაგრამ განა მხოლოდ იმ ღამით. დილით ადრე არ გაუღვიძიათ და მერე, როცა სხეულებმა კვლავ მოძებნეს ერთმანეთი და პოვეს კიდეც – მარიამმა იესოს ჭრილობა დაუთვალიერა და უთხრა: ხორცდება, მაგრამ წასვლა არ გიღირს, გზის მტვერი გაგიღიზიანებსო. აბა, რა ვქნა, ხომ არ დავრჩები, აკი თქვი, ხორცდებაო.

თუ გსურს, დარჩი, ჩემი ჭიშკარი დახურული იქნება მანამ, სანამდეც გვინდა. მაგრამ შენი ცხოვრება... ჩემი ცხოვრება ახლა შენა ხარ. რატომ ვითომ? სოლომონ მეფის სიტყვებით გიპასუხებ: ჩემმა მეტრფემ შემო-

ყო ხელი კარის ღრიჭოში და შემეძრა მის გამო შიგნეული. მე რა შენი მეტრფე ვარ, არც კი მიცნობ ხეირიანად. შენ შემომიშვი, ჩემი ტკივილი შეიწყნარე, კიდევ უფრო – ჩემი უვიცობა. მე იმიტომ მიყვარხარ, რომ დაგეხმარე და გასწავლე, აი, შენ კი ვერ შემიყვარებ, რადგან ვერც ვერაფერს მასწავლი და არც ჩემი განკურნება შეგიძლია. ჰო, შენ ხომ იარა არ გაქვს.

თუ მოძებნიდი, აღმომიჩენდი კიდეც. რა იარაა? ჩემი იარა კარია, ყველა რომ შემოდის ჩემი მეტრფის გარდა.

აკი მითხარი, შენ მიყვარხარო. ამიტომაც შემოგიშვი და კარი ჩავრაზე. მე შემიძლია ის გასწავლო, რაც თვით ვისწავლე. კარგი, მასწავლე, შევამოწმებ ჩემი ნასწავლი როგორა გაქვს შეთვისებული. მაგრამ ჩვენ ერთად ვერ ვიცხოვრებთ. იმის თქმა გინდა, რომ მეძავთან ვერ იცხოვრებ? ჰო. სანამ ჩემთან ხარ, მეძავი არ ვარ, შენი მოსვლის წუთიდან მეძავი აღარ ვარ, ახლა აღარ ვარ მე მეძავი. მეტისმეტს მთხოვ. მხოლოდ იმას გთხოვ, კიდევ ერთი დღე მაჩუქო, კიდევ ორი, იმდენი, რამდენიც საჭიროა, რომ შენი იარა მოშუშდეს, ჩემსას კი პირი გაეხსნას.

აქამდე მოსვლას თვრამეტი წელი მოვანდომე. ჰოდა, ორ დღეს რაღა მნიშვნელობა აქვს, შენ ხომ ასე ახალგაზრდა ხარ. შენც. მე შენზე უფროსი ვარ, მაგრამ დედაშენზე უმცროსი. შენ რა, დედაჩემს იცნობ? არა. აბა, რა იცი, რომ შენზე უფროსია. მე ის ვიცი, რომ შეუძლებელია შენი ხნის შვილი მყოლოდა. მართალი ხარ, რა სულელი ვარ. სულელი კი არა, სუფთა ხარ. სუფთა აღარ ვარ. რახან ქალი შეიცანი? არა, ეს მანამ მოხდა, სანამ შენთან დავწვებოდი. შენ შესახებ მერე მიამბე, ახლა არა, მინდა, რომ შენს მარცხენა მკლავზე თავი მედოს, მარჯვენით კი მომეხვიო.

იესომ მარიამ მაგდალელთან მთელი კვირა გაატარა – ეს დრო დასჭირდა გასამრთელებლად მის იარას. მარიამის მუშტრებიდან ყველაზე მოუთმენლები, ხურუშისა თუ იმედგაცრუების ქავილს აყოლილები, კარზე აკაკუნებდნენ, ბოძზე გამოფენილ ქსოვილს ყურადღებას არ აქცევდნენ, მათ შესაჩერებლად გამოკიდულს. აინტერესებდათ, ნეტავი ამდენ ხანს მარიამთან ვინ არის ჩარჩენილიო, ერთმა დაიყვირა კიდეც:

ჰეი, მარიამ, მაგ შენს სტუმარს ეტყობა ან არაფერი შეუძლია, ან არაფერი გაეგება, გამიღე, ყველაფერს ავუხსნიო და ეზოში გამოსულმა მა-

რიამმა ასე მიუგო: ჰეი, შენ, მანდ რომელიცა ხარ, იმაზე მეტი რა შეგეძ-ლება, რაც აქამდე შეგძლებიაო. უი, შენს ენას, შე დაწყევლილო ბოზოო! წადი, გაიარე, გეშლება: დაწყევლილი კი არა, ქვეყნად ყველა ქალზე მე-ტად დალოცვილი ვარო. ამ სიტყვებმა იმოქმედეს თუ რა იყო, მაგრამ ჭიშკარს მეტად აღარავინ მოსდგომია, ალბათ უფრო იმ მიზეზით, რომ მაგდალელ და მის გარეუბნელ მამაკაცებს გარისკვა არ სურდათ, ემანდ სქესობრივ უძლურებას არ გამოვკრათ ხელიო, რამეთუ ერთობ გავრცე-ლებული შეხედულებით, კახპები, მით უფრო, მაღალი რანგისანი, თავი-ანთი

ხელობის უნაკლოდ მცოდნენი, ბუნებით ანთუ მრავალწლიანი გა-მოცდილებით ისეთ ძალას ფლობენ, რომლითაც არა მხოლოდ სურ-ვილს აღუძრავენ მამაკაცებს, პირიქითაც – შეუძლიათ დაუძლეველი დარდი მოჰგვარონ და ამაყი ივები სამარცხვინოდ ჩაუქინდრონო. ასე იყო თუ ისე, იესო და მარიამი მთელი რვა დღის განმავლობაში მეტად აღარავის შეუწუხებია და მიცემული თუ მიღებული გაკვეთილები ერთ მთლიანობად აიდღვიბა – მოძრაობების, ჩურჩულისა და საალერსო ტი-ტინის, მოულოდნელ, უაზრო და ერთობ წვრილმან აღმოჩენათა, მიხ-ვედრათა და გამოგონებათა დიდ მოზაიკად, წვრილ-წვრილი სმალტის ნაჭრები ცალ-ცალკე რომ ბევრს არაფერს ნიშნავს, ყველა ერთად კი მთლიანობაში მშვენიერ და მნიშვნელოვან პანოს რომ ქმნიან.

რამდენჯერმე სთხოვა მარიამ მაგდალელმა თავის სატრფოს, შენ შესახებ მიამბეო, მაგრამ იესო მუდამ გაურბოდა პასუხს, მაგალითად, ეუბნებოდა:

ჩაველი ჩემს ბაღში, სძალო, დაო ჩემო: მოვისთვლე მურრი და ჩემის სურნელებანი. ვიგემე პური ჩემი და თაფლი ჩემი, ვსვი ღვინო ჩემი და რძე ჩემი, და ამ პოეტური სტრიქონების წარმოთქმისთანავე ასეთივე აღ-მაფრენით გადადიოდა სიტყვიდან საქმეზე, და ჭეშმარიტად, ჭეშმარი-ტად გეტყვი შენ, ძვირფასო იესო, ამგვარ საუბრებს აზრი არა აქვს. მაგ-რამ ერთხელ მაინც გადაწყვიტა, მარიამისთვის დურგალი მამისა და ფე-იქარი დედის, რვა დედმამიშვილისა და იმის შესახებ ეამბნა, თუ როგორ დაიწყო მიღებული წესის თანახმად მამის ხელობის შესწავლა, მაგრამ მერე სახლიდან წავიდა, ოთხი წელი ცხვრებსა და თხებს მწყემსავდა, მე-

რე კი უკანა გზობაზე რამდენიმე დღე მეთევზეებთან გაატარა, მაგრამ მოკლე დროში მათ ხელობას ვერ დაეუფლა.

ამას დღის ბოლოს უამბობდა, ეზოში ვახშმობდნენ, იესო დროდადრო თავს მაღლა სწევდა და მზერით მერცხლებს აცილებდა, გულის შემაღონებელი ჟივჟივი რომ გაემართათ თავზემოთ, მერე კი დადუმდა, იფიქრებდი, ყველაფერი თქვაო, მამაკაცი ქალს ყველაფერში გამოუტყდაო, მაგრამ ქალი, ცხადია, ასე არ ფიქრობდა, რადგანაც ჰკითხა: სულ ესაა?

ესაა, თავი დაუქნია იესომ. დუმილი გამეფდა, მერცხლებმაც სხვაგან გადაინაცვლეს ცაზე წრეების სახატად და მერე იესომ თქვა:

მამაჩემი ჯვარს აცვეს ოთხი წლის წინ ქალაქ სეფორისში, იოსები ერქვა. შენ, ეტყობა, პირმშო ხარ. კი, პირმშო. ოჯახთან რატომ არ დარჩი, როგორც უფროსი ვაჟის ვალი მოითხოვდა? ყველაფერს ვერ გაიგებ და მეტს ნურაფერს შემეკითხები. კარგი, ოჯახზე აღარაფერს შეგეკითხები, მაგრამ მიამბე, მწყემსობა როგორ გაატარე. აბა, რა არის მოსაყოლი, სულ ერთი და იგივეა, ცხვრები და თხები, ვაცები და ვერძები, და რძე, რძე, ყველგან რძე. მოგწონდა? მომწონდა. რატომ წამოხვედი? მომბეზრდა, ჩემიანები მომენატრა. რას ნიშნავს „მომენატრა“? ნახვა მომინდა. იტყუები. ვითომ რატომ? თვალებში შიში და სირცხვილი გაქვს. ოდესმე თუ კიდევ შევხვდებით, დანარჩენსაც გიამბობ, ოღონდ დამპირდი, რომ არავის ეტყვი. რატომ გადავდოთ, ახლა მითხარი. არა, მხოლოდ მაშინ, თუ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით. იმედი გაქვს, რომ იმ

დროს უკვე კახპა აღარ ვიქნები, არა? თორემ ახლა არ მენდობი, რომ გავცე შენი საიდუმლო, ფულზე გავცვალო, ანდა უბრალოდ, გასართობად ჩავუკაკლო, ვინც უკეთ შემიყვარებს, ვიდრე შენ გიყვარდი და გიყვარვარ? არა, ამიტომ არ ვარჩევ დუმილს. ჰოდა, იცოდე, მე გეუბნები, მაგდალელი მეძავი მარიამი, როცა დაგჭირდები, მუდამ შენ ფერხთით ვიქნები. რით დავიმსახურე? შენ არც კი იცი, ვინ ხარ.

ასე დასრულდა მათი საუბარი, მაგრამ იმ ღამით იესოს ძველი კოშმარი ეწვია, რომელიც ბოლო ხანებში მხოლოდ მკრთალ ჩრდილად თუღა შეერეოდა ხოლმე ჩვეულებრივ სიზმრებს, თან ჩვეული და ასატანი გამხდარიყო. მაგრამ იმ ღამით – ეგებ იმიტომ, ამ საწოლში უკანასკნე-

ლად რომ იწვა, ეგებ იმიტომ, რომ საღამოს სეფორისი ახსენა – კოშმარმა ძილქუშიდან გამოსული ვეება გველივით დაგრაგნა თავისი შემზარავი რგოლები, ასწია საშინელი თავი და ღრიალით გააღვიძა ცივ ოფლში გაწურული იესო. რა მოგივიდა?

რა მოხდა? – ეკითხებოდა შეშინებული მარიამი. არაფერია, სიზმარი ვნახე. მომიყევი, – სთხოვა ქალმა ისეთი სიყვარულით, ისეთი სინაზით, რომ იესომ ცრემლები ვეღარ შეაკავა, ხოლო მერე კი – ვეღარც სიტყვები, რომელთა დამალვასაც ცდილობდა. მესიზმრება, რომ მამაჩემი მოსაკლავად დამეძებს. მამაშენი მოკლეს, შენ კი აგერ, ცოცხალი ხარ. იუდეის ბეთლემში ვარ, ახალშობილი და მამაჩემი მოსაკლავად დამეძებს. რატომ ბეთლემში? იქ დავიბადე.

ეგება შენი სიზმარი მიგანიშნებს, რომ მამაშენს შენი ამქვეყნად გაჩენა არ სურდა. მარიამ, შენ ხომ არაფერი არ იცი. არ ვიცი. მამაჩემმა ბეთლემელი ბავშვები დაღუპა. დახოცა? თავისი ხელით არ დაუკლავს, მაგრამ იმით დაღუპა, რომ არ იხსნა, მოღერებული მახვილი არ აარიდა. და გესიზმრება, რომ ერთი იმ ბავშვთაგანი ხარ? ჰო, უკვე ათასგზის მოვმკვდარვარ ასე. საბრალო, საბრალო იესო. სახლიდანაც ამიტომ წამოვედი. ახლა, როგორც იქნა, ყველაფერი გავიგე. გგონია გაიგე? კიდევ რამეა? არის კიდევ რაღაც, რასაც ჯერ ვერ გეტყვი. ის, რასაც მომავალი შეხვედრისას მეტყვი? ჰო. იესოს მარიამის მხარზე ჩაეძინა, მშვიდად სუნთქავდა ქალის მკერდში თავჩარგული, მარიამს კი მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. გული უკვნესდა, რადგან განშორების დილა ახლოვდებოდა, თუმცა სული კი მშვიდად ჰქონდა: ზუსტად იცოდა, რომ ეს კაცი, მის გვერდით რომ ეძინა, სწორედ ის იყო, ვისაც მთელი სიცოცხლე ელოდებოდა, რომელიც ეკუთვნოდა და რომელსაც ეკუთვნოდა. მართალია, იესო მარიამს უბიწოდ ჩაბარდა, ხოლო თვითონ მრავალი ცოდვით წაბილწული და შებღალული სხეული მისცა, მაგრამ ქვეყნიერება განახლდა სუფთა ფურცლიდან, რომელზეც ჯერჯერობით მხოლოდ რვა სტრიქონი ეწერა – რვა დღე – და რა არის რვა დღე ხანგრძლივი, ხელუხლებელი მომავლის წინაშე, თუმც ასე ახალგაზრდაა ეს იესო, მე კი, მარიამ მაგდალელი კვლავ კაცთან ვწევარ, როგორც უწინ მრავალგზის, მაგრამ ახლა სიყვარულით ვკვდები და წლოვანება აღარ გამაჩნია.

დილამ სამზადისში ჩაიარა, გეგონებოდათ, იესო ორასიოდე სტადიით დაშორებულ ნაზარეთში კი არა ქვეყნის დასალიერისკენ მიემგზავრებაო, არადა, შუადღისას გასული საღამოს უკვე იქ იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მაგდალიდან ნაზარეთამდე არცთუ პირდაპირი და სწორი გზა იყო, მრავალი

ციცაბო ფერდობით დახუნძლული. ფრთხილად იარე, გარეუბნებში ჯერაც მეამბოხეები დაძრწიან, თქვა მარიამმა. მართლა? დიდი ხანია ამ მხარეში არ ყოფილხარ. ეს ხომ გალილეაა. მეც გალილეველი ვარ, არაფერს დამიშავებენ. აბა, რა გალილეველი ხარ, იუდეის ბეთლემში დაიბადე. ნაზარეთში ჩავისახე, ამქვეყნად კი შიგ ბეთლემში კი არა, მღვიმეში გავჩნდი, გამოქვაბულში, თუმცა, ასე მგონია, აქ, მადგალაში ხელმეორედ დავიბადე. მეძავმა გშობა. ჩემთვის მეძავი არა ხარ, ცხარედ მიუგო იესომ. მეძავობა ჩემი ხელობაა. ამ სიტყვებს ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა: მარიამი ელოდა, იესო სათქმელს ბოლომდე მეტყვისო, ხოლო იესო აღელვებას იოკებდა და ვერ დაეოკებინა, ბოლოს ამოღერღა: იმ ტილოს ნაჭერს ჩამოხსნი, ჭიშკართან რომ გამოკიდე, რათა თავს არვინ დაგვდგომოდა? მარიამმა სერიოზული მზერით შეხედა, მაგრამ მყისვე უეშმაკოდ გაიღიმა: ორ კაცს ერთად ხომ ვერ ვიყოლიებ. რის თქმა გინდა? იმის, რომ თუმც მიდიხარ, მაინც რჩები, – ერთხანს გაჩუმდა და დაუმატა: ჩვარი ასევე ეკიდება ჩემი ჭიშკრის წინ. ყველა იფიქრებს, კაცი ჰყავსო. ჰოდა, სწორადაც იფიქრებენ, რადგან ჩემთან ხომ შენ იქნები. და სხვა არავინ შემოვა შენთან? შენ თქვი ასე, და აღარაა მეძავი ქალი, სახელად მარიამი, მაგდალის მკვიდრი, რაც შენ მოხვედი, იმ წამის მერე. თავს რითღა ირჩენ? შრომისა და ზრუნვის გარეშე მხოლოდ შროშანები ცხოვრობენ მინდვრად. იესომ მისი ორივე ხელი აიღო და თქვა: ნაზარეთი ახლოა, მოვალ შენთან. მოხვალ, შენი ვარ. მინდა მუდამ ჩემი იყო. ასეც იქნება, სანამ არსებობ. მაშ შენზე ადრე უნდა მოვკვდე? მე ვარ უფროსი და, ცხადია, ჯერ მე მოვკვდები, მაგრამ შენ თუ დამასწარი, მხოლოდ მისთვის დავრჩები ქვეყნად, რომ შენს შემდეგაც შენი ვიყო. მაგრამ, თუ მაინც შენ დამასწრებ? დიდება იმას, ვინც ამ სოფელში მოგიყვანა, როცა მე უკვე აქ ვიყავი. მარიამმა საჭმელი მიართვა და არ დასჭირდა თქმა: დაბრძანდი, გვერდით მომიჯექ, რამეთუ პირველივე დღიდან,

მათ ზურგს უკან ჭიშკარი რომ ჩაიკეტა, ეს მამაკაცი და ეს ქალი ინაწილებდნენ და ამრავლებდნენ ურთიერთშორის გრძნობასა და მოძრაობას, შეგრძნებასა და სივრცეს და სრულიად არ უზრუნიათ ზნე-ჩვეულების, კანონების, წესებისა და თავაზ-ზრდილობიანობის დასაცავად. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გვეკითხა, თვითონაც ვერ აგვიხსნიდნენ, თუ როგორ ახერხებდნენ ამას, როგორ გრძნობდნენ თავს ასე საიმედოდ ამ ოთხ კედელში, რომლის შიგნითაც რამდენიმე დღის მანძილზე შექმნეს სამყარო თავის მსგავსად და ხატად – აქვე გაკვრით უნდა აღვნიშნოთ, უფრო მეტად მარიამის, ვიდრე იესოს მსგავსად და ხატად – და ვინაიდან ორივემ დაბეჯითებით იცოდა, რომ კვლავ შევხვდებითო, ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ ჟამს, როდესაც ორივე იმ სხვა სამყაროს წინაშე დადგებიან პირისპირ, ახლა ჭიშკრის მიღმა რომ ელოდება თითოეულ მათგანს, იმ სამყაროს, რომლის ბინადარნიც შეშფოთებულნი იკითხავენ:

ნეტავ რა ხდება შიგნით? – და დამიჯერეთ, ლოგინის ამბები არ უტრიალებთ წარმოსახვაში. მოკლედ, მარიამმა და იესომ მიირთვეს, ქალმა ფეხებზე სანდლები ჩააცვა და უთხრა: თუ გინდა, რომ ნაზარეთში საღამომდე ჩააღწიო, უნდა წახვიდე.

მშვიდობით, თქვა იესომ, თავისი შულდაკი და კვერთხი აიღო და ეზოში გავიდა. ცა ღრუბლებით მოქუფრულიყო და ამ ნისლს მიღმა, ბინძურ, დაძენძილ მატყლს რომ ჰგავდა, უფალს უჭირდა, უეჭველად, გადმოეხედა და დაენახა, თუ რას შვრებიან მისი ცხვრები იქ, ქვემოთ, დაბლა. ჩაეხუტნენ ერთიმეორეს იესო და მარიამი ისეთნაირად, იფიქრებდით, ეს ჩახუტება არასოდეს დასრულდებაო. კოცნაც იყო, ოღონდ

ხანმოკლე, ნუ გაიკვირვებთ, იმ დროში გრძელი, ხანგრძლივი კოცნა ჩვეულებად ჯერ არ ჰქონდათ ადამიანებს.

16* * *

მზე გადახრილიყო, როცა იესომ ნაზარეთში შეაბიჯა ოთხი წლის შემდეგ – კვირა იქით, კვირა აქეთ არ ითვლება, – ბავშვი იყო ჯერ, აქედან რომ გაექცა მომაკვდინებელ სასოწარკვეთას, გადაიხვეწა მშობლიური

სახლიდან ვინმეს საძებნად, ვინც რომ ცხოვრების გზაზე სულ პირველად დაჯახებულ აუტანელ ჭეშმარიტებას განუმარტავდა. ოთხი წელიწადი, რაგინდ ნელა ჩაიაროს, საკმარისი დრო არ გახლავთ ტკივილების დასავიწყებლად, მაგრამ გასაყუჩებლად და დასაამებლად – რატომაც არა. კაცმა ტაძარში მწიგნობრებს ჰკითხა, მთის ბილიკებზე ეშმაკის ფარა მწყემსა, ღმერთი ნახა, მარიამ მაგდალელთან დაწვა და უწინდელი ტანჯვისაგან თვალებში მხოლოდ სისველე დარჩა, როგორც ადრეც მოგახსენეთ, მაგრამ, ეგება ეგ კი არაა, სამსხვერპლო ცეცხლი უწვავს თვალებს, ან აღტაცების ცრემლი ჟონავს, მაღალმთიანი საძოვრების სივრცეებით გამოწვეული, ან იქნებ შიში, უდაბნოსა და მარტოობაში გაგონილი „მე ვარ ღმერთით“ გამოწვეული, ან, რაც ყველაზე სარწმუნოა, რამდენიმე საათის წინ განშორებული ქალის სხეულის მონატრებით თუ მასზე დარდით. გამამაგრეთ ღვინით, გამაგრილეთ ვაშლებით, რადგან დავსნეულდი სიყვარულისგან, – ამ ტკბილი ჭეშმარიტების გამომხატველ სიტყვებს ეტყოდა იესო დედას და ძმებს, მაგრამ მშობლიურ სახლთან მიახლოებულმა რატომღაც ნაბიჯი შეანელა. ვინ არის დედა ჩემი და ვინ არიან ძმანი ჩემნი? – ეკითხება თავის თავს და არა იმიტომ, თითქოს მართლა არ იცოდეს, საქმე ისაა, მათ თუ იციან, დედამ და ძმებმა, რომ ის დაუბრუნდათ, ვინც ტაძარში იკამათა, ვინც სივრცეები მოიხილა, ვინც ღმერთი ნახა, ქალი შეიცნო და მამაკაცად შეიცნო თავი. აგერ აქ იჯდა ერთ დროს მაწანწალა მათხოვარი, თავის თავს ანგელოზს რომ უწოდებდა, და თუმცა ანგელოზს არად უღირდა გაშლილი ფრთების ერთი აქნევით ქარიშხალივით შეჭრილიყო სახლში, მაინც სიტყვებით მოწყალების თხოვნა არჩია.

ჭიშკარი გადარაზულია, გარედან იოლად იღება და არ სჭირდება დაძახება: ჰეი, რომელი ხარ მანდო, – როგორც ეს მაგდალაში გააკეთა, რამეთუ ეს სახლი მისია, და თავის სახლში წყნარად და თავდაჯერებით შეაბიჯებს და, ნახე ერთი, ფეხზე ჭრილობა სულ ერთიანად შეხორცებულა, – სხვათა შორის, ხორციელი ჭრილობები, სისხლი და ჩირქი რომ სდით ხოლმე, ყველაზე ჩქარა იკურნებიან სხვა ჭრილობებთან შედარებით. მოკლედ, დაკაკუნება საჭირო არ არის, მაგრამ აკაკუნებს. კედლის მიღმა ხმები გაისმის, შორიდან დედამისის ხმას არჩევს, მაგრამ ვერ ბე-

დავს, ჭიშკარს ხელი ჰკრას და განაცხადოს: აი, მოვედი, მოვიდა როგორც ყველა, ვინც იცის, რომ ელოდებიან, და უნდა რომ სასიხარულო სიურ-პრიზი გაუკეთოს ოჯახის წევრებს. პატარა, რვა-ცხრა წლის გოგონამ გა-უღო ჭიშკარი. მოსული ვერ იცნო და არც სისხლის ძახილი გაუგონია: ეს იესოა, შენი უფროსი ძმა, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ ოთხი წელი მოემატა შენს და მის ასაკს, და ამ საღამოს ბინდბუნდის მიუხედავადაც გეკითხება: შენ ლიდია ხარ? – გოგონამ თავი დაუკანტურა, ამ სასწაუ-ლით გაოგნებულმა, რომ უცნობმა მისი სახელი გამოიცნო, – მაგრამ იე-სომ იდუმალება გაუქარწყლა, რადგანაც უთხრა: იესო ვარ, შენი უფროსი ძმა, შემომიშვი. ეზოში, ზღურბლთან, ჩარდახის ქვეშ ჩრდილის მსგავსი ბუნდოვანი სილუეტები დაინახა – ძმები იყვნენ, შემოსულისკენ იყურე-ბოდნენ, ხოლო უფროსები, იოსები და იაკობი, წამოდგნენ და შესახვედ-რად წამოვიდნენ, თუმცა

სიტყვები, იესოსგან დისთვის ნათქვამი არ გაეგონათ, მაგრამ იო-ლად იცნეს იგი, ამასობაში ლიდიამაც ყიჟინა დასცხო: იესოა, ჩვენი ძმაა-ო, და ამ სიტყვების შემდეგ ცრემლები ამოძრავდნენ და კარშიც მარიამი გამოჩნდა ლიზიასთან ერთად, სიმაღლეში რომ წამოსწეოდა და ორივე-ნი ერთხმად იძახდნენ: იესოო, და წამის შემდეგ ყველანი ეხვეოდნენ ოჯახური სიყვარულით და სიხარულით აღსავსენი, ასეთ შეხვედრებს კი მართლა მოაქვთ სიხარული, მით უფრო მაშინ, როგორც რომ ეს ჩვენს შემთხვევაშია, როცა ბრუნდება პირმშო, უფროსი ვაჟი, ახლა თავიდან რომ შეგვიძლია მოვუაროთ და გავანებივროთ. იესო დედას, ძმებსა და დებს მიესალმა, და ისინიც არ ჩუმდებოდნენ: კეთილი იყოს შენი მობ-რძანება, ძმაო, რა კარგია, რომ დაგვიბრუნდი, ჩვენ გვეგონა, რომ დაგვი-ვიწყე, და ერთადერთი, რაც ყველას აზრად გაუკრთა და არავინ არ თქვა: გამდიდრების არაფერი გეტყობა, ძმაოო. მერე ყველანი შინ შევიდნენ და საღამოს ტრაპეზად დასხდნენ, რისთვისაც იმწუთას ისედაც ემზადე-ბოდნენ, როცა იესომ მოაკაკუნა, ასე რომ, სავსებით შესატყვისი იქნებო-და – მით უფრო, თუ გავიხსენებთ, საიდან მოდიოდა და რა თავშეუკავებ-ლად, გულმოდგინედ, ზნეობრიობის გაუხსენებლად განაცხრობდა ცოდვილ სხეულს გასულ კვირაში, – მოკლედ, სავსებით შესატყვისი გა-მოვიდოდა უხეში და პირდაპირი გამონათქვამი, უბრალო და ღარიბ

ხალხში გავრცელებული, მოულოდნელი სტუმრის მოსვლასა და ისედაც მწირი ლუკმის გაყოფას რომ მოჰყვებოდა, თავისთვის რომ ჩაიდუდუნებდნენ: რა ეშმაკმა მოგიყვანა, შენღა გვაკლდიო. მაგრამ არა, მსგავსი არაფერი ყოფილა და არათუ ვერ ითქმებოდა, ფიქრშიაც კი არ გაივლებოდა, რამეთუ საცა ცხრა ყბა ღეჭავს, იქაც მეათემ ღეჭოს, რა მნიშვნელობა აქვს. და სანამ ვახშმობდნენ, უმცროსები ცდილობდნენ იესოსთვის მისი თავგადასავალი გამოეცინცლათ, მაგრამ დედა და სამი უფროსი დედმამიშვილი ისედაც ხვდებოდნენ, რომ იერუსალიმში უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ იესომ ახალი ხელობა ვერ ისწავლა, რამეთუ არც თევზის სუნი ასდიოდა, და თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმ არომატებისა, რომლითაც ტრფობაუხვი მარიამ მაგდალელის სხეული იყო გაჟღენთილი და რომელიც იესოს სხეულს, ერთი შეხედვით, სამუდამოდ გადმოეცა, – თუმცა გასათვალისწინებელია გზა, ქარი, მტვერი – მხოლოდ მაშინ შეიგრძნობდით, თუ მის ქიტონში ცხვირს ჩარგავდით, მაგრამ თუკი ეს მისი ოჯახის წევრებს არ უქნიათ, ჩვენ – მით უმეტეს. იესო მოჰყვა, ფარას ვმწყემსავდიო, ყველაზე დიდ ფარას, რაც კი ცხოვრებაში მინახავსო, – ხოლო ცოტა ხნის წინ მეთევზეებს ზღვაში გავყევი და ბადეებიდან თევზებისა და სხვა წყლის ცხოველთა ამოცლაში ვეხმარებოდიო, ჰოდა, აქ ერთი არაჩვეულებრივი ამბავიც შემემთხვაო, რომელსაც მერე, დრო რომ მოვა, მოგიყვებითო. ახლა, ახლა მოყევიო, ჭყლოპინი ატეხეს პატარებმა, ხოლო საშუალომ, სახელად იუდამ, ყოველგვარი ცუდი ჩანაფიქრის გარეშე უთხრა: ამასობაში ბლომად ფულს იშოვიდიო. სამი მონეტაც არ მაბადიაო, არც ორიო და ერთიც არაო, მიუგო იესომ და ამ ძნელად დასაჯერებელი სიტყვის დასტურად – ჰო, აბა, როგორ: ოთხი წელი განუწყვეტლივ გიშრომია და კაპიკი არ გაქვს? – ჩანთა ამოატრიალა. მართლაც დიდი ვერაფერი ნადავლი იყო, ასეთს იშვიათად თუ ნახავდი, – დაბრეცილი, დაბლაგვებული დანა, თოკის ნაგლეჯი, ქვასავით გამხმარი პურის ნაჭერი, ორი წყვილი მთლად დაგლეჯილი სანდალი და ძონძი, რომელსაც ოდესღაც ტუნიკა ერქვა.

ეს მამაშენის ტუნიკაა, თქვა მარიამმა, მერე უფრო დიდი ზომის სანდლებს შეახო ხელი და ბავშვებს მიმართა: ესეც მამათქვენს ეცვა. ბავშვებმა თავები ჩაქინდრეს, ოთახს დარდის ქროლვამ გადაუარა, ხოლო

იესომ მწირი ბარგი ჩანთაში ჩააბრუნა და უცებ შეამჩნია, რომ ტუნიკას ერთ-ერთი კუთხე გამოკვანძული

ჰქონდა და კვანძის სიმძიმეც შენიშნა, სისხლმა აასხა სახეში, როცა მიხვდა, რომ აქ ფული უნდა ყოფილიყო გამოკრული – განა ამწუთას არა თქვა, კაპიკი არ გამაჩნიაო, – ცხადია, ფული ტუნიკაში მარიამ მაგდალელმა გამოუხვია, ღირსეული შრომითა და ოფლის ღვრით ნაშოვნი კი არა, ვითომ ვნებიანი ხვნეშა-კვნესის გათამაშებით ნაშოვნი ფული, და თუ ოფლიც დაიღვარა მის საშოვნად, შრომით დაღვრილს ვერასდიდებით ვერ დაარქმევდი. დედა და ძმები ტუნიკის გამოკვანძულ კუთხეს თვალს არ აშორებდნენ, მერე ერთბაშად ყველამ იესოს გახედა, მან კი აღარ იცოდა, დაემალა და სიცრუის სამხილი მიეჩქმალა, თუ გამოემზეურებინა, თანაც ისე, რომ სულ ოდნავი შესაძლებლობაც არ ექნებოდა, ამ ფულის წარმომავლობისთვის იმგვარი ახსნა გამოენახა, რომელსაც მისი მაღალზნეობრივი ოჯახი შეიწყნარებდა, მაინც მეორე გადაწყვიტა, ყველაზე ძნელი, და მჭიდრო კვანძი გამოხსნა, იქიდან ოცი მონეტა გადმოგორდა – არასდროს ენახათ ამ კედლებში ასეთი განძი, – და თქვა: ამის შესახებ არც კი ვიცოდი. უდაბნოს ცხელი ქარიშხალივით მიეხალა სახეში ახლობლების განმსჯელი დუმილი: რა სირცხვილია! პირმშო ტყუის! ხოლო იესომ საკუთარ სულში ჩაიხედა და მაგდალელის მიმართ უმცირესი საყვედურისთვისაც კი ვერანაირი მიზეზ-საბაბი ვერ იპოვა, იყო მხოლოდ მადლიერება გულუხვობისთვის, სიფაქიზისთვის, რომელიც ქალმა გამოიჩინა, რადგან იცოდა: ხელიდან ხელში ფულს იესო არ აიღებდა – დამცირდებოდა, რამეთუ ერთია თქმა:

შენს მარცხენა მკლავზე თავი მიდევს, ხოლო მარჯვენით მეხვევიო და სულ სხვაა, არ იფიქრო, თუ რამდენ სხვადასხვა მარჯვენა თუ მარცხენა მკლავებს ჰყავდი მომწყვდეული და რომ არავის უკითხავს: ისე, უბრალოდ ხომ არ გინდა თავქვეშ მკლავი ამოგიდოო. და აი, ახლა უკვე იესო თვითონ უყურებს თავისიანებს გამომწვევად – დაუჯერებენ თუ არა მის ნათქვამს, ამის შესახებ არც კი ვიცოდიო, არადა, სრული სიმართლეა, მაგრამ იმავდროულად სრულიცაა და არასრულიც – და უსიტყვო შეკითხვას ელის: თუ არაფერი იცოდი, მაშინ მანდ საიდან გაჩნდაო და ამ შეკითხვის პასუხი იესოს არ გააჩნია, აბა, იმას ხომ არ იტყვის: მეძავმა მომ-

ცა, რომელთანაც ბოლო რვა დღე გავატარეო, იმას კი კაცები მისცემ-დნენ, რომლებთანაც ჩემამდე იწვაო. ბინძურ და დაფხრეწილ ტუნიკა-ზე, რომლის პატრონიც ოთხი წლის წინ ჯვარს აცვეს, მერე კი ძაღლივით ჩააგდეს საძმო საფლავის ორმოში, ახლა ოცი ოქროს მონეტა ბრწყინავს და ეს ბრწყინვა იმ ნათებას ჰგავს, მიწიანი თასიდან რომ ამოდიოდა და ამ სახლის კედლებს ეფინებოდა, მაგრამ დღეს აქ სინაგოგის უხუცესები არ მოვლენ, არ ბრძანებენ, „მიწაში ჩამარხეთ ეს მონეტებიო“, არავინ იკითხავს, „საიდანაა ეს ფულიო“, რამეთუ პასუხი შესაძლოა ისეთი აღ-მოჩნდეს, რომ დიდი სიდუხჭირისა და თანხის მწვავე საჭიროების მიუხე-დავად, ოჯახს ამ ფულზე უარის თქმა მოუწიოს. იესოს მონეტები ერთად მოუქუჩებია, ერთმანეთზე ციცხვივით მიტყუპებულ ორივე მუჭში უჭი-რავს და იმეორებს: მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო, მერე კი უკანას-კნელ საშუალებას მიმართავს, დედას შეხედავს და დასძენს: ეშმაკისგან არ არის ეს ფულიო.

და-ძმები აცახცახდნენ, მაგრამ მარიამმა გამომეტყველების შეუც-ვლელად უპასუხა: არც ღვთისგანააო. იესომ მონეტები ხელში შეათამა-შა, ააწკარუნა და მარიამს ისე უბრალოდ მიმართა, თითქოს ეუბნება, დი-ლით მამაჩემის ჩარხთან დადგომას ვაპირებო: ღმერთზე ხვალ ვილაპა-რაკოთ, მერე იაკობსა და იოსებს მიუბრუნდა და დაუმატა: თქვენთვისაც მაქვს სათქმელი რაღაც, – და ნუ იფიქრებთ, პირმშომ ეს სიტყვები

მხოლოდ ზრდილობის გულისთვის თქვაო: ძმებს სრუწლოვანების-თვის მიეღწიათ და უკვე ჰქონდათ სარწმუნოებრივ საკითხებზე რთული მსჯელობის უფლება. მაგრამ იაკობმა იფიქრა, საუბარი უმნიშვნელოვა-ნესი და უსერიოზულესი იქნება და ახლავე უნდა ვიცოდე, რას შეეხებაო, რამეთუ უფროსი ძმის შინ დაბრუნება – რაგინდ უფროსიც უნდა იყოს, მთავარი სულაც არ არისო, ჰოდა, იკითხა: ღმერთზე ვისაუბრებთ? – და გვარიანი იქედნურობით დაუმატა: როგორც გვითხარი, ოთხი წელი ცხვრებთან და თხებთან მთასა თუ ბარში დადიოდი და ალბათ სინაგო-გაში სასიარულოდ ვერ იცლიდი, ვერც წესს იცავდი, რაკიღა მოსვლის-თანავე ღმერთზე საუბარი მოგსურვებიაო.

იესომ იგრძნო ღრმად ჩამარხული მტრობა ძმის ნათქვამში და მი-უგო: ეჰ, იაკობ, რა მცირედ გესმის ღმერთის რაობა, თუ ის არ იცი, რომ

ღმერთის ძებნა კაცს არ სჭირდება, ის თვით გიპოვის, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის. უეჭველად შენს თავს გულისხმობ. ახლა ნუ მკითხავთ ნუღარაფერს, ხვალ ყველაფერს მოგახსენებთ, რაც სათქმელია. იაკობმა ამის პასუხად თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა, გაურკვევლად, მაგრამ აშკარად გულისწყრომით მათზე, ვინც თვლის, რომ ყველაფერი იცის ამქვეყნად. მარიამმა კი დაღლილი ხმით მიმართა პირმშოს: ხვალ იქნება თუ ზეგ იქნება, თუ როცა გინდა, ახლა კი ის თქვი, დედასა და შენს ძმებს გვითხარი, ამ ფულს რას უპირებ. ხომ იცი, როგორ გვიჭირს. განა არ გინდა იცოდე, საიდან მაქვს? თვითონ არა თქვი, არ ვიციო. მართალიც ვთქვი, მაგრამ ახლა დავფიქრდი და მივხვდი, ეს ფული საიდან გაჩნდა. შენ თუ არაფერი დაგიშავა, არც შენს ოჯახს აწყენს რაიმეს. სულ ესაა, რისი თქმაც გინდა? დიახ, ესაა. მაშინ დახარჯე, როგორც გენებოს, მეურნეობას მოახმარე ან რამეს კიდევ.

იესოს ნათქვამს ძმების კმაყოფილი დუდუნი მოჰყვა, იაკობმაც კი კეთილმოყვრულად გაიხსნა სახე, მარიამმა კი თქვა: თუ წინააღმდეგი არ იქნები, თანხის ნაწილი შენი დის მზითვად გადავდოთო. არ ვიცოდი, ლიზია თუ თხოვდებოდა. ქორწილის დღეც კი დანიშნულია. მზითვად რამდენი გამოვუყოთ? არც კი ვიცი ამ მონეტის ღირებულება. იესომ გაიღიმა: მეც არ ვიცი ღირებულება, მარტო ის ვიცი, მის უკან რა დგას, – და თავის სიტყვებზე ხმამაღლა, თავშეუკავებლად ახარხარდა, ოჯახის წევრები დაბნეულები შეაცქერდნენ. მხოლოდ ლიზია, თხუთმეტი წლის ქალწულისათვის დამახასიათებელი უბიწოობით შეცბუნდა, რამეთუ სიქალწულეს იდუმალი წვდომა სჩვევია და მხოლოდ მას ერთს დაეუფლა აღელვება მთელ ოჯახში ამ ფულის გამო, არავინ რომ არ უწყოდა, საიდან გაჩნდა, ვისი იყო, როგორ ნაშოვნი. იესომ დედას ერთი მონეტა მიაწოდა: ხვალ გადაცვლი და ღირებულებას ასე გავიგებთ. რომ მკითხავენ, ეს სიმდიდრე საიდან გაქვსო, ყველა მიხვდება, რომ ვინც ერთ მონეტას გამოაჩენს, დანარჩენს გადამალავდაო. იტყვი, ჩემი ვაჟი იესო დაბრუნდა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ და უძღები შვილის დაბრუნებაზე მეტი სიმდიდრე რაღა არის-თქო.

იმ ღამეს იესოს მამა დაესიზმრა. ეზოში ეძინა, ჩარდახქვეშ, რამეთუ, როცა დასაწოლად ემზადებოდნენ, მიხვდა, ოთახში, სადაც ყოველ კუთ-

ხეში მყუდროების მძებნელი ათი ადამიანი გადანაწილებულიყო, ვერ დავიძინებო: ის დრო წავიდა, სულერთი რომ იყო ძმები, დები თუ ბატკნების ჯოგი – ახლა ხელებიც შეაწუხებს, ფეხებიც, სხვისი ოდნავი მიკარებაც, ამ უხერხულ სივიწროვეში ვერსადაც რომ ვერ გაექცევი.

დაძინებამდე მარიამ მაგდალელი გაახსენდა იმ ყველაფერთან ერთად, რასაც აკეთებდნენ, და მოგონებამ თუმცა ისეთი დარდი მოჰგვარა, ორჯერ თივიდან წამოახტუნა და მთელი ეზო შემოატარა, რათა ცეცხლი ოდნავ დაეცხრო, მაგრამ ძილით კი – როცა კი ძილმა ბოლოს და ბოლოს მაინც წაიღო, – თოთო ბავშვივით ჩაეძინა, თითქოს მდინარის ტალღებს გაჰყვა, რბილად და ტკბილად მონანავეს, და დაწყნარებით მიცურავდა დავიწყებისკენ, თითქოს დინებას მიჰყვებოდა ხელებგაშლილი, შენთან ერთად და შენს თავს ზემოთ აცურებულ ტოტებსა და ღრუბლებს რომ ასცქერ და რომელიღაც ჩუმი ჩიტუნა ხან გამოჩნდება, ხან ისევ თვალს მიეფარება. ხოლო სიზმარი ისე დაიწყო, თითქოს ვიღაცამ ოდნავ უბიძგა, თითქოს მეორე სხეულს შეეხო და თავდაპირველად მოეჩვენა, გვერდში მარიამ მაგდალელი მომიწვაო. გაიღიმა, გაღიმებული მიუტრიალდა, მაგრამ დაინახა, რომ იმავე წყალს, იმავ ტოტების, იმავ ზეცის და იმავე უჩუმარი ჩიტის ქვეშ რომ მოედინება, მამამისის სხეული მოაქვს. ზაფრის ძველი, უწინდელი ყვირილი მოასკდა ყელში, ამოხეთქვა დაეპირა, მაგრამ იქვე ჩაცხრა: ეს ის ჩვეული სიზმარი არ იყო, სულ თან რომ სდევდა, თავის თავს ჩვილად რომ ხედავდა სხვა ჩვილთა გვერდით ბეთლემის მთავარ მოედანზე სიკვდილის მოლოდინში – არა, ამჯერად არ ისმოდა ნაბიჯები, ცხენის ჭიხვინი, იარაღის ჟღრიალ-ჟღარუნი, აბრეშუმივით დიოდა წყალი და ზედ ტივივით მიცურავდა მამასთან ერთად. შიში გაუქრა იმწამს იესოს და მის მაგივრად აფეთქების თუ ელვის მსგავსად სიხარული დაიბადა, უსაზღვრო და დაუძლეველი. მამა! – იყვირა სიზმარში. მამა! – კიდევ გაიმეორა, გაიღვიძა ატირებულმა, რადგან მიხვდა, კვლავინდებურად მარტო ვარო. სცადა სიზმარში დაბრუნება, მისი თავიდან გამეორება, რათა ხელახლა განეცადა მცირე ბიძგისგან მოსალოდნელი განცვიფრება, რათა ხელახლა ენახა მამა და მასთან ერთად ეცურა წყალზე უკუნითი უკუნისამდე, ამ მდინარის წყლის დაშრობამდე. ვერ მოახერხა, მაგრამ ის ძველი კოშმარი აღარ ეწვევა ამიერიდან, სიხა-

რულმა სამუდამოდ შეცვალა ზაფრა, მარტოობას მამასთან ყოფნა ჩაენაცვლება და აბა, ახსნან ეს სიზმარი, თუ შეუძლიათ, მწიგნობრებმა, წმინდა წერილი ზეპირად რომ დაუსწავლიათ, გაარკვიონ, რაა მდინარე, კალაპოტზე გადმოკიდული ტოტები და ღრუბლები ცაში, მდუმარე ჩიტი, აბა, ახსნან, როგორ მოხდა, რომ ყოველივე გაერთიანდა და ყოველივემ გამონახა თავისი ადგილი, მამა შვილს შეხვდა, თუმცა ერთის ბრალს კვლავ ძველებურად არ შეუძლია მეორის ტანჯვა გამოისყიდოს და განაქარვოს.

მეორე დღეს იესომ სცადა, სადურგლო საქმეში დახმარებოდა იაკობს, მაგრამ მაშინვე ცხადი გახდა, რომ მონდომება ცოდნას ვერ შეცვლის, და სრულიად გასაგებია, თუ რატომ იყო, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ამ ხელობის შესწავლისას კარგი ნიშნები ვერა და ვერ დაიმსახურა. იაკობი კი, კარგი თუ არა, ცუდი დურგალი არ დამდგარიყო და მესამე ძმას, იოსებსაც, თუმც ჯერ თოთხმეტი წლისაც არ იყო, ხელობა ისე კარგად ესმოდა, საჭიროების შემთხვევაში უფროს ძმას იქით ასწავლიდა. იაკობი დასცინოდა იესოს მოუხერხებლობასა და უვიცობას, იმეორებდა: ვინც გაგამწყემსა, დაგღუპაო, – კაცი ვერ დაუშვებდა, ამ უბოროტო ქილიკით ნათქვამ უბრალო სიტყვებს რამე ფარული ცუდი აზრი რომ დაემალა, მაგრამ იესო უცბად მკვეთრად მოშორდა ჩარხს და მარიამმა იაკობს უთხრა: დაღუპვაზე ლაპარაკი აღარ გაბედო, თორემ უწმინდურს შემოიხმობ სახლშიო. გაოგნებულმა ბიჭმა მიუგო: არავისაც არ შემოვიხმობ, მე მხოლოდ ვამბობ. გავიგონეთ, რასაც ამბობ, შეაწყვეტინა ძმას იესომ, მეც გავიგონე, დედაჩვენმაც, დანარჩენებმაც, სწორედ დედაჩვენის შთაგონებით დაუკავშირე „მწყემსი“ „დაღუპვას“, რამეთუ მაგდენს

შენ თვითონ ვერ მოიფიქრებდი, დედამ იცის ამის მიზეზი, შენ კი არ იცი. მე გაფრთხილებდი, მკაცრად უთხრა მარიამმა. გვიანღაა, ჩემო დედიკო, ბოროტება, თუ ის მართლა ბოროტებაა – უკვე მომხდარა, რამეთუ ჩემს თავს შევცქერი და ვეღარ კი ვხედავ. ბრმაზე ბრმა არის, ვისაც არ სურს დაინახოს. ამ სიტყვებმა იესო რატომღაც განსაკუთრებით გააჯავრა და მწარე სიტყვა ათქმევინა: გაჩუმდი, ქალო! თუკი შენმა შვილმა ბოროტი იხილა, მანამდე იგი შენ მოგევლინა, მე კი, თუმცა ბრმად მიმიჩ-

ნევ, ისეთი რამ ვიხილე, რაც შენ არასდროს გინახავს და ვერც ვერასდროს ნახავ. გაუგებარი ნათქვამი იყო, მაგრამ მარიამი თავისი პირმშოს ნებას დაჰყვა მისივე მშრალი და მკაცრი ტონით დათრგუნული, დაემორჩილა, მაგრამ პასუხში გაფრთხილება გამოურია: მაპატიე, წყენინება არ მიფიქრია, ღმერთმა ქნას, შენი თვალისა და სულის ნათელი მარადის ენთოსო.

გაოცებული იაკობი ხან დედას უცქერდა, ხან უფროს ძმას: ხვდებოდა, ჩხუბობენო, მაგრამ ამ დავის ძველისძველ მიზეზებზე წარმოდგენა არ ჰქონდა, ახალი მიზეზი კი ჯერ რა უნდა ყოფილიყო. იესო სახლისკენ გაემართა, ზღურბლთან შედგა და მარიამს უთხრა: პატარები სადმე გაგზავნეთ, შენთან, იაკობსა და იოსებთან მაქვს სალაპარაკოო. ასეც მოიქცნენ, წუთის წინ ბავშვებით სავსე სახლი სასწრაფოდ დაცარიელდა და იატაკზე ოთხნი დასხდნენ: მარიამი, აქეთ-იქიდან იაკობი, იოსები, პირისპირ კი – იესო. ხანგრძლივი დუმილი დამყარდა, თითქოს საერთო თანხმობით გადაწყვიტეს, ბავშვებს, მოსალოდნელი საუბარი რომ არ გაეგოთ, დრო მისცეს ისე შორს წასულიყვნენ, რომ მათი ყიჟინის ექოც კი არ მოსწვდომოდა ყურთასმენას.

ბოლოს იესომ დინჯი სიტყვით ასე დაიწყო: მე ღმერთი ვნახე. მყისვე დედის და ძმების სახეზე წმიდათაწმიდა შიში და ელდა გამოიხატა, რასაც იმავ წამს უნდობლობა ჩაენაცვლა, ხოლო ამ ორ გრძნობას შორის იაკობის თვალებში ერთგვარმა ბოროტმა ეჭვმაც გაიელვა, იოსებისაში კი აღფთოვანება-გაოგნებამ, ხოლო მარიამმა სევდიანი მორჩილებით დახარა მზერა. ხმის ამოღება მაინც ვერც ერთმა ვერ გაბედა, ისევ იესომ დაარღვია გრძელი სიჩუმე. მე ღმერთი ვნახე, გაიმეორა.

თუ ხალხის ნათქვამს დავიჯერებთ, მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიჩუმისას რომ იტყვიან, მდუმარე ანგელოზმა ჩამოიქროლაო, მაშინ ამჯერად მთელი დასი მოფრენილიყო: იესომ სათქმელი თქვა, დანარჩენებმა კი რა ეთქვათ, არ იცოდნენ. საფიქრალია, ყველა მათგანი ადგება და თავის საქმეთა მისახედად წავა, რამეთუ ყველას თავისი ცხოვრება აქვს და მხოლოდ ფიქრში იკითხავენ, მართლა ვნახე სიზმრად ის, რაც არა მჯერაო? მაგრამ დუმილს თუ დრო მიეცი, ის სიკეთე სჭირს, თითქოსდა მისივ ბუნებისთვის საპირისპირო, რომ უნდა აგალა-

პარაკოს აუცილებლად. და როცა უკვე დაძაბული მოლოდინი აუტანელი გახდა, იაკობმა შეკითხვა დასვა – ყველაზე უმტკივნეულო, არც არაფერს რომ ავალებდა მოპასუხეს და არც აზრი ჰქონდა, ერთი სიტყვით, რიტორიკული შეკითხვა იყო: ნამდვილად ნახე? იესომ პასუხგაუცემლად ისე შეხედა, როგორც მას თვითონ უყურებდა სავარაუდოდ მაღალი ღმერთი იმ ღრუბლიდან და მესამეჯერ გაიმეორა: მე ღმერთი ვნახე. მარიამს არაფერი უკითხავს, მხოლოდ თქვა: მოგეჩვენა. მელაპარაკა, მიუგო იესომ. იაკობი გონს მოვიდა და გადაწყვიტა, ჩემი ძმა რაღაცას ურევსო, აბა, ეს რა ბოდვააო:

ღმერთი ელაპარაკა თურმე, – და დამცინავი ღიმილით თქვა:

ეგებ ფულიც ღმერთმა ჩაგიდო შულდაკში? იესო გაწითლდა, მაგრამ მშრალად უპასუხა: ყველაფერი, რაც ჩვენთან მოდის, ღვთისგანაა, ის დაეძებს და გვთავაზობს ჩვენკენ მომავალ გზებს და ეს ფულიც მისგან არა, მაგრამ მისი წყალობითაა. გვითხარი, სად ნახე, ცხადში თუ სიზმარში? უდაბნოში, დაკარგულ ცხვარს დავეძებდი და დამიძახა. თუ მისი სიტყვების განმეორება ნებადართული გაქვს, გვითხარი, რა გითხრა.

მითხრა, როცა დრო მოვა, შენი სიცოცხლე უნდა მომცეო.

ყველა ჩვენგანის სიცოცხლე ისედაც მისი საკუთრებაა. მეც ზუსტად ეგ ვუთხარი. იმან რა გითხრა? სიცოცხლის სანაცვლოდ ძალაუფლებას და დიდებას მოგცემო. მარიამი ისე ჩაეძია, თითქოს ყურებს არ დაუჯერაო: ძალაუფლება და დიდება სიცოცხლის სანაცვლოდო? ჰო. და რად გინდა ძალაუფლება და დიდება, თუ ამქვეყნად არ იქნები? არ ვიცი. ოცნებებს წაუღიხარ. სულაც არა, ცხვარს დავეძებდი უდაბნოში, ფხიზლად ვიყავი. სიცოცხლე როდის უნდა მომცეო? ეგ არ ვიცი, მითხრა, კიდევ მოვალ, როცა ამისთვის მზად იქნებიო. იაკობმა ძმას შეხედა და აღუშფოთველად განაცხადა: იქ, უდაბნოში, ალბათ მზემ დაგკრა, ეგ არის და ეგ, ხოლო მარიამმა უცებ იკითხა: და ცხვარი? ცხვარს რა ბედი ეწია? უფალმა მიბრძანა, მსხვერპლად შემომწირე ჩვენი აღთქმის საწინდრადო. ამ სიტყვებმა იაკობი აღაშფოთა: ნუ მკრეხელობ, ძმაო, უფალმა აღთქმა მთელ თავის ხალხს მისცა და არა მხოლოდ შენ, უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანს, დურგლის ძეს, მწყემსა და კიდევ ვინ იცის, რას. მარიამი, თუ მისი სახის გამომეტყველებით ვიმსჯელებდით, უკიდურესად დაძაბუ-

ლი ცდილობდა რაღაც აზრის დაჭერას, თითქოს შიშობდა, ფიქრის ძაფი არ გამიწყდესო, მაგრამ, აი, ხელი სტაცა მას და ის კითხვა დასვა, რომლის დასმასაც საჭიროდ თვლიდა: რა ცხვარი იყო? ის ბატკანი გაიზარდა, იერუსალიმში, რამალასთან რომ ერთმანეთს შევხვდით და თან რომ მყავდა, მაშინ კრავად არ შევწირე და ცხვრად შეიწირა. როგორი იყო? ღრუბლის სახით მომევლინა. ღრუბლის სახით? ჰო, ღრუბლის, კვამლის სვეტს ჰგავდა. არა, შენ მართლა გაგიჟებულხარ! – შესძახა იოსებმა. თუ ასეა, მაშინ ეგ ღვთის ნებით მოხდა, თქვა იესომ. ეშმაკს შეუპყრიხარ! – კი არ თქვა, დაიყვირა მარიამმა. უდაბნოში ეშმაკს კი არა, ღმერთს შევხვდი და თუ ეშმაკს ვყავარ შეპყრობილი, მაშინ ესეც ღვთის ნებაა. ეშმაკმა დაბადებიდანვე შეგიპყრო. მართლა? დიახ, მასთან ოთხი წელი გაატარე, ღვთისაგან დაშორებულმა. მაგრამ იმ ოთხი წლის თავზე ღმერთს შევხვდი. შემზარავად იტყუები. შენი შვილი ვარ, შენ მშობე: ან დამიჯერე, არ უარმყავი. არ მჯერა შენი. შენ იაკობ? არც მე მჯერა.

იოსებ, მამაჩვენის სახელი რომ გქვია, არც შენ გჯერა ჩემი? შენი მჯერა, შენი სიტყვებისა – არა. იესო მთელი სიმაღლით წამოიმართა, ზემოდან გადმოხედა სამივეს და თქვა: როცა ღვთის აღთქმა აღსრულდება, მოგიწევთ დაიჯეროთ, რაც დღეს არ გჯერათ. შულდაკი და კვერთხი აიღო, სანდლები ჩაიცვა. კართან მისულმა ფული ამოიღო, ორად გაყო: ეს ლიზიას მზითვად იყოს – და სათითაოდ დააწყო მონეტები ზღურბლზე, – ამას კი უკან დავაბრუნებ და ეგებ ესეც მზითვად იქცეს.

კარისკენ შეტრიალდა, დაუმშვიდობებლად აპირებდა წასვლას, მაგრამ მარიამმა თქვა: შევამჩნიე, რომ

ჩანთაში თასი აღარ გაქვს. გატყდა. აგე, კერიასთან ოთხი ცალია, ამოირჩიე. იესო შეყოყმანდა, რამეთუ სურდა, ამ სახლიდან ხელცარიელი წასულიყო, მაგრამ მერე მაინც მივიდა კერიასთან, სადაც ერთმანეთში ჩაწყობილი თასები ელაგა. ნებისმიერი ამოირჩიე, გაიმეორა მარიამმა. იესომ შეხედა და ამოარჩია: ამას ავიღებ, ყველაზე ძველი ჩანს. მაინცდამაინც ეგ რის გამო ამოირჩიე, რა მოგეწონა? შავია მიწასავით, არ გატყდება, არც გაიბზარება.

თასი ჩანთაში ჩაიდო, კვერთხი მიწას დაჰკრა: ერთხელაც თქვით, რომ არ გჯერათ ჩემი. არ გვჯერა შენი, უთხრა დედამ, მით უმეტეს, ახლა,

რამეთუ სწორედ ეშმაკის მიერ დაღდასმული თასი აირჩიე. იმავ წამს გაკრთა იესოს მეხსიერების ჯურღმულიდან გონებაში ამოსული მწყემსის სიტყვები: სხვა გექნება და არ გატყდება, სანამ ცოცხალი ხარო. ბაწარი მთელ სიგრძეზე გაიჭიმა, მერე მოირკალა და აჰა, ჩვენ თვალწინ ყულფად გამოიკვანძა. მეორედ მიდის იესო მშობლიური სახლიდან, მაგრამ ახლა აღარ იტყვის: დავბრუნდები, ადრე თუ გვიან, მაგრამ მაინც დავბრუნდებიო. ნაზარეთი ზურგს უკან რჩება, იესო თავდაღმა ეშვება უბრალო და სევდიანი ფიქრებით: ვაიდა, არც მარიამ მაგდალელმა დაუჯეროს.

ამ კაცს ღმერთი ძალაუფლებას და დიდებას დაჰპირდა, წასასვლელი კი მაგდალელი მეძავის იქით არსადა აქვს. სამწყსოს ვეღარ დაუბრუნდება, წადიო, უთხრა მწყემსმა. შინ ვერ დარჩება, არ გვჯერა შენიო, – შინაურებმა ბრძანეს, ამიტომაც გაუბედავი ნაბიჯით მიდის: სიარულის ეშინია, მისვლის ეშინია, თითქოს ისევ იმ უდაბნოში აღმოჩენილა. ვინ ვარ, კითხულობს, მაგრამ არც მთა და არც ბარი პასუხს არ სცემს, ცა კი, გუმბათად გადახურვია ქვეყნიერებას და ამიტომაც, ყოვლისმხილველი, დუმს, ხოლო შინ თუ დაბრუნდება და ამ კითხვას დედას დაუსვამს, ის ალბათ ეტყვის: ჩემი შვილი ხარ, მაგრამ შენი არ მჯერა, და ამიტომაც ის დროა, ქვაზე ჩამოჯდეს, ქვეყნის შექმნიდან მოყოლებული აქ რომ დევს და ელოდება, რათა ჩამოჯდეს და მარტოობა-მიუსაფრობა გამოიტიროს, რადგან, ვინ იცის, მართლა კიდევ მოევლინება ღმერთი თუ არა, ღრუბლად თუ კვამლად, ოღონდაც უთხრას: აბა, ეს რას ჰგავს, რად იცრემლები, უიღბლობის შავი ბილიკით ვის არ უვლია, მაგრამ არის ამქვეყნად ერთი მნიშვნელოვანი რამე, რაც ჯერ არასდროს მითქვამს, შენ კი გეტყვი: გაიგე, რომ სამყაროში, ყველაფერი ფარდობითია, სისაძაგლე ასატანად მოგეჩვენება, თუ წარმოიდგენ, რომ უარესი სისაძაგლეც შეიძლებოდა, ასე რომ, ცრემლი მოიწმინდე, მამაკაცურად მოიქეცი, მამას ხომ უკვე შეურიგდი, მეტი რა გინდა, ხოლო დედასთან განშორებას რაც შეეხება, თავის დროზე მაგ საქმეს მე თვითონ მივხედავ, მართალი გითხრა, მარიამ მაგდალელის და შენი ამბავი, ცოტა არ იყოს, თვალში არ მომდის, კახპაა მაინც, მაგრამ ჰო, კაი, ახალგაზრდა ხარ – ჟამი მარხვის და ჟამი ცოდვის, ჟამი მონანიების, ჟამი სიცოცხლის და ჟამი სიკ-

ვდილის. მუჭებით ცრემლი მოიწმინდა იესომ: რა იყო, მართლა რას იცრემლება, ან რას დამჯდარა აქ მთელი დღე, თუ უდაბნოა, უდაბნო იყოს, შემოგვესალტოს, ალყა დაგვარტყას, თავისებურად დაგვიცვას კიდეც, და როცა მზეს ღრუბლები აეფარებიან, ასე გვეთქვას: აჰა, თვით ზეცა ჩვენს მხარესაა, – თუმც სისულელე იქნება თქმული, რადგანაც ზეცა, უგულო და განურჩეველი, იცავს უმკაცრეს ნეიტრალიტეტს, არც სიხარული ადარდებს ჩვენი, არც მწუხარება.

ნაზარეთიდან ხალხი მოდის და იესოს არ უნდა, რომ მათ დაცინვის საბაბი მისცეს: ამხელა წვერი ამოსვლია, თვითონ კი დამჯდარა და ძუძუწართმეული ღლაპივით ტირისო.

მგზავრები ხვდებიან, ვინ აღმართ მიდის, ვინ დაღმართ, ერთმანეთს მაღალფარდოვნად და სიტყვაუხვად ესალმებიან, ოღონდ მას შემდეგ, როცა ჩათვლიან, შემხვედრს ავი რამ არ უდევს გულშიო, რამეთუ ამ მხარეში თავზეხელაღებულებიც უხვად დადიან. მათ შორის ნამდვილი ბოროტმოქმედებიც არიან, იმათი მსგავსნი, ხუთი წლის წინათ თვითონ იესო – სევდის საშველად იერუსალიმს მიმავალი – რომ გაძარცვეს და გაყვლიფეს ერთიანად, ხოლო არიან მაღალი მიზნებით ფრთაშესხმული მოჯანყეებიც, რომლებიც გზად არ ყაჩაღობენ, მხოლოდ გზის გასწვრივ იშვიათად იმალებიან მარშით მავალი კოლონების დასაზვერად, რათა მოხერხებულ ადგილას რომაელებს ჩაუსაფრდნენ, ანდა იმისთვის, რომ, ცოდვა გამხელილი სჯობს, ოქრო, ვერცხლი და სხვა საუნჯე წაართვან მდიდარ, როგორც ახლა მათ ჩვენ ვუწოდებთ, კოლაბორაციონისტებს, სამართლიანი რისხვისაგან ვერანაირი მცველთა რაზმი რომ ვერ უშველით. იესო რომ თვრამეტი წლისა არ იყოს, იუდა გალილეველის მიმდევართა თავშესაფრად ქცეული ამ დიდებული მთების ხილვით აღგზნებული წარმოსახვა რომ ბრძოლის სურათებს არ უხატავდეს, არც იმაზე ფიქრს დაიწყებდა, რას ვიზამდიო, გზად მეამბოხეები თუ შემომხვდებოდნენ და შემომთავაზებდნენ, ჩვენს რაზმს შემოუერთდიო, ამქვეყნიური სიამეები თუნდაც დუხჭირი ცხოვრებისა მოსახვეჭელ სახელსა და გამარჯვებულის ძალმოსილებაზე გადაცვალეო, რამეთუ წმინდა წერილში ნაწინასწარმეტყველებია ვინმე წარმოგზავნილის, ანუ მესიის მოსვლა, ღმერთი რომ მოავლენს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაათა-

ვისუფლოს თავისი ხალხი მტარვალებისგან და გაამაგროს მისი ძალა მომავალი გამარჯვებისთვის.

გიჟური იმედისა და დაუძლეველი ამპარტავნების გრიგალი სცემდა სახეში, თავბრუს ახვევდა, და დურგლის შვილმა გასაოცრად ხანმოკლე წამში თავი მეომრად წარმოიდგინა, სარდლად, დევგმირად, ხმლით ხელში მისი ერთი გამოჩენაც რომ მედიდურ ლეგიონებს შეაკრთობს და უკუაქცევს, ნაჩქარევად და უთავბოლოდ რომ გაქუსლავენ, გეგონებათ, სენატი და რომის მთელი მოსახლეობა ეშმაკთა ჯარით შეპყრობილი ღორების კოლტად გადაიქცაო.

მაგრამ იმავ წამს – ვაი ჩვენს თავს! – იესოს გაახსენდება, რომ ძალაუფლებას და დიდებას, აღთქმით ბოძებულს თუ მიიღებს, მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, ამიტომაც რაც შეიძლება საუკეთესოდ უნდა გაუძღვეს სიცოცხლისთვის განსაზღვრულ წლებს, ასე რომ, ომში მხოლოდ ერთი პირობით წავა – თუ ბრძოლებს შორის დაზავებისას ნებას დართავენ, მიატოვოს ჯარისკაცობა და რამდენიმე დღე გაატაროს მარიამ მაგდალელთან, რადგან თვით ამ გამათავისუფლებელ ჯარშიც ვერ იქნება, რომ მარკიტანტმა – ასე ვუწოდოთ, ერთს სიყვარული უბოძოს და სხვებს კი – ბრანწი, და თუ ასეა, ეს სიყვარული კი არ გამოდის, არამედ ცოდვა, ხოლო ცოდვას მარიამ მაგდალელი, მისივ სიტყვებით, სამუდამოდ განეშორა. ღმერთმა ქნას ასე, რადგან იესომ ძალთა ისეთი აღზევება შეიგრძნო მყისვე იმ არსების გახსენებაზე, რომელმაც ერთი მძიმე იარა მოურჩინა, მეორე კი – მწველი ვნების ღრმა იარა გულზე დაუჭდო, და ძლიერ საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ მოიქცევა, როცა დახშული ჭიშკრის წინ ბოძზე გამოკიდულ ტილოს ნაჭერს დაინახავს, – თავს ვინ დადებს, რომ კარის მიღმა იმას იპოვის, რაც მახსოვრობას შეუნახავს – მოლოდინით მფეთქავ არსებას, მისი სულის და მისი სხეულის მოლოდინით, რამეთუ მარიამ მაგდალელი ერთის გარეშე მეორეს არ ცნობს.

დღე საღამოსკენ მიეშურება, შორს უკვე მოჩანს მაგდალის ქოხმახები, ცხვრებივით რომ მისჯრიან ერთურთს, მაგრამ მარიამის სახლი დაკარგული ცხვარია, და აქედან არ ჩანს დაკლაკნილ გზისპირს ჩამწკრივებულ ვეება ქვებს მოფარებული. წამით იესოს სწორედ ის ცხვარი ახსენდება, რომლის დაკვლა თვითონ მოუხდა, რათა სისხლს განემტკიცები-

ნა ღვთის მიერ თავსმოხვეული აღთქმა, და ომებსა და გამარჯვებებზე ოცნებისაგან თავისუფალმა, ახლა სხვა თავზარდამცემი აზრი აიჩემა: ეჩვენება, რომ ისევ ცხვარს ეძებს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ მერე დაკლას, ანდა ფარაში დააბრუნოს, – არა, არამედ იმისთვის, რომ მასთან ერთად ხელუხლებელ საძოვრებზე გაილაღოს, ხოლო ასეთი საძოვრები – თუ, რა თქმა უნდა, კარგად დაძებნი, – ნამდვილად არის ჩვენს ვრცელსა და ფეხით გათელილ დედამიწაზე, ცხვრები კი – ანუ ჩვენ ყველა ერთად – ვპოულობთ ხოლმე ნაკრძალ ალაგებს და უეცარ კბოდეებს, ოღონდაც ამ უკანასკნელთ კიდევ უფრო გულმოდგინე დაძებნა უნდა. იესო კარის წინაშე შედგა, ფრთხილად დარწმუნდა – შიგნიდან იყო გადარაზული. ტილოც ისევე ფრიალებდა თავის ადგილზე. იესოს სურდა დაეძახა, ეთქვა: ეს მე ვარ, – რათა იმწამსვე გაეგონა სიხარულის ამოძახილი: აჰა, ხმა ჩემი შეყვარებულის! აჰა, მოდის, მთებსა და ბორცვებს გადაევლება. აჰა, კედელთან დგას და სარკმლიდან იცქირება, – მაგრამ იესომ გადაწყვიტა უსიტყვოდ დაკაკუნება ერთი-ორჯერ და მოცდა, სანამდე კარს გაუღებდნენ. ვინ ხარ და რა გსურს, ხმა გაისმა სახლის სიღრმიდან, და სულელური ჩანაფიქრი გაუჩნდა აზრად, ხმა შეეცვალა, მუშტრად თავის მოსაჩვენებლად, ფულით რომ უნდა ვნების ქავილი დაიშოშმინოს, ეთქვა, ვთქვათ და, ასეთი რამ: გამიღე მინდვრის შროშანო, არ ინანებ, რადგან არც ალერსს დავიშურებ, არც ვერცხლსო, და მაინც – ხმა შეიცვალა თუ პირიქით – ხმამ უღალატა – ითქვა ის, რაც რომ უნდა თქმულიყო: მე ვარ, იესო ნაზარეველი. მარიამმა იმ წუთშივე არ გაუღო, რამეთუ ხმა არ ეცნობოდა, გარდა ამისა, არ სჯეროდა, რომ ასე მალე – ერთი ღამე და ერთი დღე იყო მხოლოდ გასული, – დაუბრუნდა შეყვარებული, წასვლისას რომ უთხრა: ნაზარეთი შორს არაა, ერთიც იქნება, მოვალ შენთანო, რა ხშირად ვამბობთ ხოლმე ამის მსგავს სიტყვებს, რომ გავახაროთ ის, ვინც ყურს გვიგდებს, ხოლო გამოთქმა „ერთიც იქნება“ შესაძლოა ნიშნავდეს სამ თვეს, ოღონდაც „ხვალეს“ არამც და არამც. მაგრამ ქალი კარს აღებს და იესოს მკლავებში ეხვევა, თან ისეთი დაბნეულია, სისულელეც კი მოსდის აზრად – ეგება ფეხზე ჭრილობა ისევ გაეხსნაო, – ამ ფიქრით შეჰყავს სახლში, ძირს დასვამს და სანთურს უმარჯვებს: როგორ გაქვს ფეხი, აბა, მაჩვენე, მაგრამ იესო ეუბნება: ფეხი მო-

მირჩა დიდი ხანია, განა ვერ ხედავ. ვერა, შეეძლო ეპასუხა მარიამ მაგდალელს და მართალიც იქნებოდა, რამეთუ ცრემლით სავსე თვალებს არაფრის დანახვა არ შეუძლიათ. საჭირო გახდა ტუჩებით შეხებოდა მის დამტვერილ ტერფს, ფრთხილად შეუხსნა წვივებზე შემოხვეული სანდლის ბალთები, თითით მოსინჯა თოთო კანი პირმოხურულ ჭრილობაზე, დასარწმუნებლად, რომ მის მალამოს სათანადოდ ერგო და რომ – თუმც ამ აზრს თავის თავსაც არ უმხელდა, – მის სიყვარულსაც თავის წვლილი შეეტანა განკურნებაში.

სანამ ვახშმობდნენ, მარიამ მაგდალელს შეკითხვები არ დაუსვამს, მხოლოდ შეტყობა მოისურვა, – ცხადია გესმით, სხვადასხვაა ეს ორი რამ – როგორ იმგზავრა, უსიამოვნოს რასმე გზაში შემთხვევით ხომ არ გადაეყარა და ამგვარები, ასე, უბრალოდ. მერე კი, როცა ტრაპეზი მორჩა, სულაც გაჩუმდა და ამ დუმილს აღარ არღვევდა, რამეთუ მისი ჯერი არ იყო. იესო დაკვირვებით და ყურადღებით დააცქერდა, გეგონებოდათ, ქარაფზე დგას და ზღვაში ნახტომს აპირებსო: ასე უცქერენ არა იმისთვის, რომ გამოიცნონ,

იქ ზღვის სიღრმეში მტაცებელი თევზები ან რიფების ბასრი წვეროები ხომ არ არის ჩამალულიო, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ თავის თავს ჰკითხონ, გადასახტომად სიმამაცე თუ მეყოფაო? ერთი კვირაა, რაც ამ ქალს იცნობს, ანუ მთელი საუკუნეა და სავსებით საკმარისი, რათა დარწმუნდეს: მასთან თუ მივა, ქალი უმალ მკერდში ჩაიკრავს, თავის არსებას და სხეულს შესთავაზებს, და მაინც შიშობს, თქმის ეშინია, – არადა სწორედ ახლა დამდგარა თქმის ჟამი, – რამდენიმე საათის წინ უარმყვეს სისხლით და ხორცით ახლობლებმა, სულიერად შორებლები გამოდგნენო. იესო ყოყმანობს, არ იცის, რომელი გზით გაგზავნოს სიტყვები და ვრცელი, აუცილებელი განმარტების მაგივრად ბაგეთაგან მოკლე ფრაზა გამოუსხლტება, თითქოსდა დროის მოსაგებად, თუმცა სიტყვით დროს ვერ მოიგებ, მხოლოდ დაკარგავ: გაგიკვირდა, ასე მალე რომ მოვედიო. მე იმ წუთიდან გელოდები, რაც ამ ჭიშკრიდან გახვედიო, ხოლო წასვლას და მოსვლას შორის დროს არ ვითვლიდი და არც დავთვლიდი, თუნდაც ათი წლის მერე დაბრუნებულიყავიო. იესომ გაიღიმა, მხრები

აიჩეჩა – აქამდეც უნდა მცოდნოდა, რომ ამ ქალთან არც თვალთმაქცობას, არც წვრილმანობას ახლოსაც არ გაუვლიაო.

იატაკზე ისხდნენ, პირისპირ, მათ შორის მდგარი ჭრაქი ვახშმის ნარჩენებს ანათებდა. იესომ პურის ნაჭერი აიღო, ორად გატეხა, ერთი მარიამს გაუწოდა და თქვა: დაე, ეს იყოს პური ჭეშმარიტებისა, ვჭამოთ, რათა არ დავეჭვდეთ არაფერში, რაც აქ ითქმება და გაიგონება. აგრე იყოს, თქვა მარიამმა. იესომ პური შეჭამა, დაელოდა, სანამ მარიამიც მიირთმევდა თავის წილს და ამ ბოლო დღეებში მეოთხედ გაიმეორა:

მე ღმერთი ვნახე. მარიამი არ განძრეულა, მხოლოდ მუხლებზე დაწყობილი ხელები ოდნავ შეირხა. როცა შევხვდებით, მერე გეტყვიო, ამას ამბობდი?

ჰო, ამას და რაც რამ გადამხდა მას შემდეგ... ამ ოთხი წლის წინ მშობლიური სახლი რომ დავტოვე, უფრო ნათლად დავინახე, როგორ არის ეს ყველაფერი ერთიმეორეს გადაბმული, მაგრამ რაა და რატომ, ამას ვერ ვხსნი. მე, თქვა მაგდალელმა, შენი ყური და პირი ვარ: რასაც მეტყვი, გინდაც შენ თვითონ გაგეგონოს, მე მხოლოდ ის ვარ, რაც შენშია. ახლა იესოს უკვე შეეძლო თხრობის დაწყება: ორივემ გატეხეს და ჭამეს ჭეშმარიტების პური, ჭეშმარიტება კი ისაა, რომ სიცოცხლეში ამგვარი საუბრები იშვიათია. ღამე დილისკენ მიიწევდა, ორჯერ ჩაკვდა და ორჯერ აღდგა ცეცხლი სანთურში და იესოს მთელი თავგადასავალი თავიდან ბოლომდე მოთხრობილ იქნა, ყველა წვრილმანით, ისეთებითაც კი, რომლებიც ჩვენც კი არ გაგვიხდია ყურადღების ღირსად, მრავალთაგან მრავალი თანამდევი აზრებითურთ, რომლებიც ჩვენც კი არ ვიცით, არა იმიტომ, რომ იესომ დაგვიმალა, არამედ იმ უბრალო მიზეზით, რომ მახარებელი, დამეთანხმებით, ყველაფრის თხრობას ვერ მოახერხებს. როცა იესოს მონათხრობი იმ ამბებს მიუახლოვდა, რაც ნაზარეთში დაბრუნებულს შინ გადახდა, უცებ თითქოს ხმა დაეღალაო, არეულმა და სევდიანმა შეწყვიტა თხრობა, აღარ იცოდა, მოეყოლა თუ არა, როგორ ყოყმანობდა ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, სანამ მშობლიური სახლის კარზე მიაკაკუნებდა, და მაშინ მაგდალელმა მთელი ამ დროის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა, შეკითხვა დასვა, თუმც ცხადი იყო, პა-

სუხი წინასწარვე იცოდა: არ დაგიჯერა დედაშენმა? არ დამიჯერა. და აქ მოხვედი? ჰო, მოვედი.

რას არ მივცემდი, რომ შემძლებოდა ტყუილი მეთქვა, არც მე მჯერა შენი-მეთქი. კი მაგრამ, რატომ?

იმიტომ, რომ მაშინ ამ სახლიდანაც წახვიდოდი, როგორც მშობლიური სახლიდან წახვედი, ხოლო მე, რაკიღა არ დაგიჯერებდი, არც ვალდებული ვიქნებოდი, გამოგყოლოდი. ეგრეც რომ იყოს, ჩემს შეკითხვას ეგ არ პასუხობს. ჰო, არ პასუხობს. მაშ, მიპასუხე. მე რომ შენი არ მჯეროდეს, აღარ მომიწევს, შენთან ერთად გავიარო საშინელება, რომელიც შენ მოგელის? შენ რა იცი, რა მომელის? ღმერთის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთნაირად საშინელი ბედი მოელის მის რჩეულსაც და იმასაც, ვინც მისი რისხვა დაიმსახურა. რატომ გგონია, რომ ეგრეა? ქალი უნდა იყო, რომ მიხვდე, რას ნიშნავს ღვთისგან უარყოფილი კაცის გვერდში ცხოვრება, ხოლო შენ, რათა ღვთის რჩეულის შესაფერისად იცხოვრო და მოკვდე, უბრალო კაცზე ათასჯერ მეტი მოგეთხოვება. მაშინებ, მარიამ?! აი, რა მინდა გიამბო: ერთხელ ჩვილი დამესიზმრა, საიდან გაჩნდა, არც კი ვიცოდი, არაფრიდან აღმოცენდა და მითხრა: ღმერთი საშინელია, მითხრა და გაქრა, და არ ვიცი, ვინ იყო, ანდა ვისი იყო. ეგ ხომ უბრალოდ, სიზმარია, დიდი ამბავი. ვინ ვინ და, შენგან ასე აგდებით ეგ სიტყვები გასაკვირია. კარგი, და მერე?

მერე მე ჩემს ხელობას გავყევი, თუმცა ახლა ხელი ავიღე მასზე, მაგრამ ის სიზმარი არავის უარუყვია, მას შემდეგაც კი, რაც შენ მოხვედი ჩემს ცხოვრებაში. აბა, გამიმეორე, რა გითხრა იმ ჩვილმა? ღმერთი საშინელიაო. იესოს კვლავ წარმოუდგა უდაბნო, დაკლული ცხვარი, მისი სისხლი ქვიშაზე, მოესმა კმაყოფილი ამოსუნთქვა ღრუბლის სვეტიდან და ასე თქვა:

შესაძლებელია, შესაძლებელია, მაგრამ ერთია, ასეთ რამეს სიზმარში რომ გაიგონებ და სულ სხვაა, როცა ცხადად ნახავ, სიცოცხლეში აღიქვამ ამას. ღმერთმა არ განგაცდევინოს, რაც მე განვიცადე. ბედს ვერსად გაექცევი. შენი ბედი კი უკვე გეუწყა, აკი პირველი მნიშვნელოვანი ნიშანიც მიიღე. მადგალასა და დანარჩენი სამყაროს თავზე ნელა ტრიალებდა ვარსკვლავებით პირთამდე სავსე ცარგვალი. უსასრულობის ერთ

კუნჭულში მოკალათებული, ანთუ უსასრულოდ განფენილი საკუთარსა-ვე უსაზღვროებაში, ღმერთი ფიგურებს გადააადგილებს და კამათელს აგორებს, სულ სხვა თამაშს თამაშობს იგი: ამისთვის ჯერ არ მოუცლია, მხოლოდ ისე ჰქმნა, რომ მოვლენები ბუნებრივად ვითარდებიან. და მხოლოდ ოდნავ, ნეკის წვერს წაჰკრავს ხოლმე გაჭედილ ქმედებასა თუ აზრს, რათა ბედ-იღბლის უმოწყალო ჰარმონია არ დაირღვეს, ამიტომაც უკვე ნაკლებად აინტერესებს, რას საუბრობდნენ ამის მერე იესო და მაგ-დალელი. ახლა რაღას აპირებ? – ჰკითხა ქალმა.

შენ მითხარი, სადაც წახვალ, გამოგყვებიო. ეგრე გითხარი, იქ ვიქნე-ბი, სადაც შენ-მეთქი. რა განსხვავებაა? არავითარი, ეს ნიშნავს მხო-ლოდ, რომ შეგიძლია აქ დარჩე რამდენ ხანსაც მოისურვებ, თუ რა თქმა უნდა, ზიზღს არ მოგგვრის ცხოვრება სახლში, სადაც სხეულით მივაჭ-რია. იესო ჩაფიქრებული დუმდა, მერე კი უთხრა: შევეცდები მაგდალაში სამსახური მოვნახო რამე, ერთად ვიცხოვროთ, როგორც ცოლ-ქმარმა. ეგ მეტისმეტი იქნება ჩემთვის, საკმარისია, თუ ნებას დამრთავ, შენს ფეხრთით ვიყო.

ვერავითარი სამსახური იესომ მაგდალაში ვერ იშოვა, სამაგიეროდ ბევრი დაცინვა, უხამსი კბენა, შეურაცხყოფა აიტანა, ან კი სხვას რას უნ-და ელოდე, როდესაც ახლად წამოჩიტული ყვინჩილა საქვეყნოდ სა-ხელგატეხილ ქალთან თანაცხოვრებას მოინდომებ. დაიცადეთო, ასე ამბობდნენ, ერთ კვირაში დავინახავთ ზღურბლზე მჯდომარეს, სანამ-დეც მისი დედოფალი მორიგ მუშტარს გაისტუმრებსო.

ორი კვირა ითმინა ეს ამბავი იესომ, მერე კი მარიამს უთხრა: მივდი-ვარ. საით? ზღვაზე. გამთენიისას გაუდგნენ გზას და მაგდალის მცხოვ-რებლებმა ვერაფრით იხეირეს – ცეცხლმოდებული სახლიდან ერთი ნივთის გამოტანაც კი ვერ მოასწრეს.

17* * *

რამდენიმე თვის შემდეგ, ზამთარში, ერთ სუსხიან და წვიმიან ღამეს ანგელოზი შევიდა ნაზარეთელი მარიამის სახლში და არც ერთ ბავშვს არ გაუღვიძია, ვერ შენიშნეს მისი მოსვლა – მარიამის გარდა, რაც სავსე-

ბით ბუნებრივია, რადგან ანგელოზმა პირდაპირ მას მიმართა: უნდა იცოდე, მარიამ, რომ იმ დილას, როცა პირმშო ჩაგესახა, უფლის თესლი შეერია შენი ქმრის, იოსების თესლს, მაგრამ მისგან, კანონიერი ქმრისგან კი არ გეყოლა ძე შენი იესო, არამედ ღვთისგან. მარიამი უაღრესად განაცვიფრა ამ ცნობამ, რომლის აზრიც, საბედნიეროდ და ცნობის მომტანი მაცნის ნართაული ლაპარაკის მიუხედავად, ნათლად გაიგო და ჰკითხა: ესე იგი, იესო ჩემი და ღვთის ძეა? ქალო, რა კადნიერებაა, როგორ ბედავ შენი თავის წინ დაყენებას, უნდა გეთქვა „ღვთისა და ჩემი“. ღვთისა და შენი? ჩემი კი არა, შენი. სულ დამაბნიე, თავგზა ამირიე, წესიერად გამაგებინე, ვისი ძეა იესო. ძე ღვთისა, შენში კი იგი ჯერ ჩაისახა, მერე მუცლით ატარე და შობე.

მაშ, უფალს მე არ ავურჩევივარ? როგორ გითხრა: უფალს იმხანად ამ ადგილებში მოუხდა ყოფნა, შეგეძლოთ თვითონ მიმხვდარიყავით, თუნდაც იმით, თუ რა არანახული ფერი დაედო ზეცას, მან შეამჩნია, რომ შენ და შენი ქმარი ჯანმრთელები ხართ, სასიამოვნო გარეგნობისა და აღნაგობის, თუ ჯერაც გახსოვს, რაა სურვილი, მან მოგისურვა და შედეგად ცხრა თვის შემდეგ იესო შობე. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი პირმშო ღვთისგან მეყოლა?

ეს საჩოთირო საკითხია, შენ მე, ძვირფასო, არც მეტი და არც ნაკლები, მამობის დადგენას მთხოვ, მე კი გეტყვი, რომ ამგვარ გარემოებებში რა ანალიზიც გინდა აკეთე, რა ცდებიც გინდა ჩაატარე, სხეულაკები ითვალე სისხლში, დარწმუნებული მაინცდამაინც ვერაფერში ვერ იქნები.

ვაი, მე უბედურს, რომ გისმენდი, ჯერ ვიფიქრე, უფალმა იმ დილით საპატარძლოდ ამომირჩია-მეთქი, მაგრამ ახლა საქმეს შავბნელი პირი გამოუჩნდა, ან ასეა, ან ასე არ არის და იცი, რა გამოდის, სულ ტყუილად დაშვებულხარ ზეციდან ამ ჩვენს ნაზარეთში, მხოლოდ ეჭვი რომ გამიჩინო, მაგრამ თუ გინდა იცოდე, ამ ყველაფერზე მე რას ვფიქრობ, გულწრფელად გეტყვი: ღვთის ძე, თუნდაც ჩემს წიაღში ჩასახული, დაბადებისას და მერეც, როცა გაიზრდება, უფალს უნდა ჰგავდეს სახითაც, აგებულებითაც, სიტყვითაც, მე კი ვხედავ, რომ, თუმც ბრმა არის დედობრივი სიყვარული, ვაჟი ჩემი იესო ამ მოთხოვნებს ვერა და ვერ აკმაყოფილებს. მარიამ, პირველ შეცდომას მაშინ უშვებ, როცა გგონია, თითქოს აქ

მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ ყოვლისმპყრობლის ძველ სასიყვარულო თავგადასავალზე ვიჭორაო, ხოლო მეორე შეცდომა კი ისაა, რომ გგონია, თითქოს ადამიანის სილამაზე და მჭევრმეტყველება ღვთის მსგავსებად და ხატად არის შექმნილი, მაშინ როდესაც თვითონ უფალი – შეგიძლია დამერწმუნო, ასე ვთქვათ, მისი ახლობელი ვარ, – მოკლედ, უფალი ღმერთი სრულიად საპირისპიროა იმის, როგორადაც მას თქვენ, ადამიანები წარმოიდგენთ, და – ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი აზრია, და გთხოვ, ჩვენს შორის დარჩეს, – სხვანაირი ვერც იქნებოდა და გაცილებით უფრო ხშირად „არას“ ამბობს, ვიდრე „ჰოს“. მე კი მუდამ მეგონა,

რომ ყველაფერში ეჭვი ეშმაკს შეაქვს, ეშმაკი უარყოფს ყოველივეს. არა, შვილო ჩემო, ეშმაკი მხოლოდ თავის თავს უარყოფს და თუ მთელი გულით არ შეითვისებ ამ განსხვავებას, ვერასოდეს მიხვდები, ვის ეკუთვნი. ღმერთს ვეკუთვნი, რაღა თქმა უნდა. აი, ამბობ, ღმერთს ვეკუთვნიო, ამ დროს კი მესამე და ყველაზე დამღუპველი შეცდომაც გაქვს დაშვებული, რამეთუ შენს ძეს, იესოს არ დაუჯერე. იესოს? აბა, ვის, შენს დანარჩენ შვილებს ღმერთი არ უნახავთ და ვერც ვერასდროს ნახავენ. მითხარი, ღვთის ანგელოზო, ჩემმა ძემ, იესომ ღმერთი მართლა ნახა? დიახ, ნახა და პატარა ბავშვივით, სიცოცხლეში პირველად ჩიტის ბუდეს რომ წააწყდა, დედასთან გამოიქცა, უნდოდა, შენთვის გაეზიარებინა, შენ კი, მცირედმორწმუნეო, უთხარი, ეგ შეუძლებელიაო, ბუდე ცარიელიაო, კვერცხები თუა შიგ, მაინც ლაყე იქნებაო, ანდა გველმა შეჭამაო. შემინდე, ჩემო ანგელოზო, ეს დაეჭვება. ამას მე მეუბნები თუ შენს შვილს? შენც და იმასაც, ორივეს. როგორ უნდა გამოვისყიდო ეს შეცოდება? დედის გული გიკარნახებს. ალბათ უნდა მოვნახო, პატიება და შინ დაბრუნება ვთხოვო, დაე, შინ იყოს, როცა დრო მოვა და ღმერთი იხმობს. მართალი გითხრა, მეეჭვება, ეგ ჩანაფიქრი გამოგივიდეს: ეს ბიჭები ძალიან დიდგულა ვინმეები არიან, ვშიშობ, ცუდ სიტყვებს გაიგონებ, ემანდ კარიც არ მოგიჯახუნოს. თუ ასე მოხდა, იმ დემონის ბრალი იქნება, იმ ეშმაკის, იესოს რომ ჩაუსახლდა და დაღუპა, და, მართალი ვთქვა, არც კი მესმის, ღმერთი – ბოლოს და ბოლოს მამა არაა?! – რატომ აძლევს ამის ნებას, რას ანებივრებს, რა ხელს აფარებს, იმის მაგივრად, ალაგმოს და ჭკუა ასწავლოს. ვისზე ამბობ? აი, იმ მწყემსზე, ჩემს შვილთან ერთად

ოთხ წელიწადს ფარას რომ მწყემსავდა, რას აშრომებდა, რით ახეირა? აჰ, მწყემსზე ამბობ. იცნობ? სკოლაში ერთად ვსწავლობდით. რატომ ანებებს ღმერთი დედამიწაზე სიარულს და უზრუნველად დროის ტარებას?! იმიტომ, რომ ქვეყნიერების წესსა და რიგს ასე სჭირდება, მაგრამ ბოლო სიტყვას მაინც უფალი იტყვის, ოღონდაც არავინ იცის, როდის ითქმება ეს ბოლო სიტყვა, მაგრამ ეჭვიც არ შეგეპაროს, ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძებთ და დავინახავთ, რომ ბოროტება აღარ არსებობს, ახლა კი ჩემი წასვლის დროა, თუკი რაიმე კითხვა დაგრჩა, დროულად მკითხე. მხოლოდ ერთი რამ. გისმენ. ჩემი შვილი რად უნდა უფალს? შვილიო, რომ ამბობ, ასე მხოლოდ გარკვეული აზრით თუ ითქმის. ხალხისათვის იესო ხომ ჩემი შვილია. და უფალს რაში სჭირდებაო, მეკითხები, კარგი კითხვაა, მე ვიტყოდი, ძალიან კარგი, არსებითი კითხვაა, მაგრამ პასუხი გაცილებით უარესია, რადგან პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით არ გამაჩნია, ეს მხოლოდ იმათ, ორმა იციან, თანაც, იესომ არა მგონია, იმაზე მეტი იცოდეს, რაც უკვე გითხრა. მან მითხრა, რომ სიკვდილის შემდეგ ძალაუფლებას და დიდებას მოიპოვებს. ეს ვიცი, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ცხოვრებაში, უფლის დანაპირები რომ დაიმსახუროს?! ეჰ, ნუთუ მართლა გგონია, შავბნელო ქალო, რომ უფლის თვალში რამე ფასი აქვს, ან ერთი ბეწო ღირსება აქვს თვითდაჯერებულ სიტყვებს შენსას, რომელი დამსახურებები შეიძლება იქონიოთ თქვენ, საცოდავმა მონებმა ღვთის ნების მორჩილებით აღსრულების გარდა? საკმარისია, აღარას გეტყვი, მეც ხომ ღვთის მხევალი ვარ. დაე, აღსრულდეს მისი სიტყვა, ოღონდ მითხარი, სად ვიპოვი ახლა იესოს, რაც სახლიდან წავიდა, არაერთმა თვემ ჩაიარა. ეძებე, ვალი აღასრულე, როგორც იესო ეძებდა თავის დაკარგულ ცხვარს. ეძებდა, რათა მერე დაეკლა. ნუ გეშინია, შენ იგივე არ გელოდება, მაგრამ სიკვდილის წამს მასთან რომ იყო, მაშინ მოკლავდი? საიდან იცი, რომ მის სიკვდილს მოვესწრები? ეგ თუ არ ვიცი, აბა, რა ვიცი, იმ სფეროებში ვარ გასული, სადაც მსგავს გადაწყვეტილებებს იღებენ ხოლმე, ახლა კი – მშვიდობით, ყველაფერი გაიგე, რაც მოისურვე, ეგებ მთლად ყველაფერიც არა, რისი გაგებაც წესით უნდა მოგსურვებოდა, მაგრამ ეს უკვე აღარ არის ჩემი

პრობლემა. გამაგებინე. დღეიდან შენს თავს გააგებინე, – ამ სიტყვებთან ერთად გაქრა ანგელოზი, მარიამმა კი თვალები გაახილა. ბავშვებს ეძინათ: სამ უფროსს – იაკობს, იოსებს, იუდას ერთ კუთხეში, სამ უმცროსს – სიმონს, იუსტინეს და სამუელს – მეორეში, ხოლო დედას ორივე მხრიდან როგორც ყოველთვის, გოგონები – ლიზია და ლიდია მისწოლოდნენ და უცბად მარიამს თვალები – ჭეშმარიტების მღაღადებელი ანგელოზის ხილვით ისედაც გაფართოებულნი, – ამჯერად კინაღამ ბუდეებიდან ამოუცვივდა გაოგნებისგან: უფროსი ასული გაშხლართული იწვა, ფეხებგაშლილი და გაშიშვლებული, პერანგი მხრებამდე ჰქონდა აწეული, წყვეტილად სუნთქავდა და კოცნისგან დასივებული ტუჩებით ძილში ვნებიანად იღიმებოდა, შუბლი კი ოფლით დასცვაროდა. ისე აშკარა ნიშნები იყო, რომ მარიამი, დანამდვილებით რომ არ სცოდნოდა, სულ ახლახან სიტყვაუხვი ანგელოზი იყო აქ სტუმრადო, აუცილებლად იფიქრებდა, რომ რომელიღაც დემონ-ინკუბმა, ღამღამობით მზაკვრულად რომ ხდის ნამუსს ქალებს, უმანკო ქალწულის მიამიტობით ისარგებლა და სანამ დედა საუბარში იყო გართული, რაც სავსებით შესაძლებელია, რადგან თურმე – აქამდე არ ვიცოდით, – ანგელოზები მუდამ წყვილ-წყვილად მუშაობენ და სანამ ერთი თვალის ასახვევად ლაილაის გააბამს ხოლმე, მეორე ჩუმად აღასრულებს თავის actus nefandus-ს[5], თუმცა, ჩვენ ვამბობთ ასე, რადგან პატივს მივაგებთ მჭევრმეტყველების ტრადიციებს, თორემ ამ აქტში მაინცდამაინც ნეფანდუსური არაფერია, და უეჭველად მეორე ჯერზე როლებსა და ადგილებს გაცვლიან, რათა ბოლომდე დაიგემოვნონ სულისა და ხორცის მადლმოსილი ერთიანობა. მარიამმა, როგორც შეძლო, ქალიშვილი მოაწესრიგა, პერანგი ჩამოუწია და ის ადგილი დაუფარა, დაფარული რომ უნდა ყოფილიყო, გააღვიძა და ჩურჩულით ჰკითხა: რა დაგესიზმრა? დანაშაულზე წასწრებულმა ლიზიამ ტყუილის და უარის თქმა ვერ მოახერხა და უპასუხა, ანგელოზი დამესიზმრაო, ოღონდ არაფერი უთქვამს, მხოლოდ მიცქერდა და ამ მზერამ იმგვარი სინაზე და სიტკბოება მომანიჭა, თავი სამოთხეში მეგონაო. არ მოგკარებია? – ჰკითხა მარიამმა, მაგრამ ლიზიამ უპასუხა, რომ

[5] შავი საქმე (ლათ.)

მომკარებოდა, ხომ გავიგებდიო. მარიამს ვეღარ გადაეწყვიტა, დამშვიდებულიყო თუ კიდევ უფრო მეტად აღშფოთებულიყო იმის გამო, რაც აქვე, მის გვერდით მომხდარიყო, მაგრამ მაინც წყნარად წარმოთქვა: მეც ანგელოზი დამესიზმრა. გელაპარაკა თუ ისიც დუმდა? – უზაკვოდ ჰკითხა ლიზიამ. მელაპარაკა და აი, რაზე: შენს ძმა იესოს მართალი უთქვამს – აი, იმის შესახებ, ღმერთი ვნახეო.

ოჰ, დედა, რა ცუდია, იესოს რომ არ დავუჯერეთ, ხომ შეეძლო, გაბრაზებულიყო და სამზითვო ფული საერთოდ აღარ მოეცა. აკი მოგვცა, ახლა ის უნდა მოვიფიქროთ, ეს შეცდომა როგორ გამოვასწოროთ. რომ არ ვიცით, სად იმყოფება, ამბავსაც არ გვატყობინებს, აი, იმ ანგელოზს კი შეეძლო დაგვხმარებოდა, მათ ხომ ყველაფერი იციან. არ დაგვეხმარა, მხოლოდ ის მითხრა, იესოს მოძებნა თქვენი ვალიაო. მაგრამ თუ იესომ ღმერთი მართლა ნახა, მაშინ წესით, ჩვენი ცხოვრება ამიერიდან სხვანაირი უნდა გახდეს.

ასეც იქნება, უარესისკენ შეიცვლება – სადაც ჩვენ არ დავუჯერეთ მის სიტყვებს, სხვები ხომ სულ არ დაუჯერებენ! ნაზარეთში სირბილს ხომ არ დავიწყებთ „იესომ ღმერთი ნახა“, „იესომ ღმერთი ნახას“ ყვირილით, ჩაგვქოლავენ. კი, მაგრამ რახან ღმერთმა იესო აირჩია, ჩვენც დაგვიცავს. ტყუილად გგონია: როცა უფალმა ჩვენი იესო აირჩია, ჩვენ იქ არ ვიყავით, ღმერთმა კი მშობელი და შვილი არ იცის, აბრაამი და მისი ვაჟი ისააკი გაიხსენე და მიხვდები.

აჰ, დედა, რა ცუდი ამბავია! ყველაზე ჭკვიანური იქნება, თუ ამ ამბავს სულში დავიმარხავთ და რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ, უკეთესია. და მაინც, რამე ხომ უნდა ვქნათ? ხვალ გავაგზავნი იაკობსა და იოსებს იესოს საძებრად. სად უნდა ეძებონ, ჯერ გალილეა რამხელაა და ახლა კიდევ სამარია, იუდეა, იდუმეა დაამატე, გადაკარგულში. სავარაუდოდ, ზღვაზე იქნება: გახსოვს, აქ რომ იყო, გვიამბობდა, მეთევზეებთან დავმეგობრდიო. ან ეგებ ისევ მწყემსად წავიდა? არა, ეგ უკვე განვლილია. შენ რა იცი?

დაიძინე, ლიზია, გათენებამდე ჯერ ადრეა. ეგება ისევ დაგვესიზმრონ ის ჩვენი ანგელოზები. შესაძლოა. მაგრამ თუკი ლიზიას ანგელოზი მეწყვილეს გამოეპარა და ლიზიასთან მაინც მივიდა, გოგონას არ გა-

უგია. ხოლო მაცნე ანგელოზი, მარიამისთვის თუნდაც მეტად მნიშვნელოვანი რამ წვრილმანის თქმა დავიწყნოდა, დაბრუნებას მაინც ვეღარ მოახერხებდა, რადგან მარიამს მეტად აღარ დაუძინია, დილამდე იჯდა თვალდაჭყეტილი სიბნელეში: რაც იცოდა, სადარდელად ისიც ჰყოფნიდა, ხოლო ის, რასაც გული სამომავლოდ მიანიშნებდა, შიშით ავსებდა.

დღე დაიბადა, ჭილოფები აახვიეს და მარიამმა შეკრიბა ოჯახის წევრები, აცნობა, ამ ბოლო ხანს ბევრი ვიფიქრე იმაზე, რა ცუდად მოვექეცით იესოსო. პირველ ყოვლისა, მე, დედას მმართებდა მეტი ალერსი და გაგებაო, ჰოდა, ამიტომ სამართლიანი და მარტივი გადაწყვეტილება მივიღეო: უნდა მოვნახოთ, შინ დაბრუნება ვთხოვოთ და ვუთხრათ, რომ გვჯერა მისიო, და რახან ღმერთს ასე ნებავს, მის მონათხრობს მართლაც უნდა დავუჯეროთო, – ასე უთხრა მარიამმა შვილებს და ვერ კი შეამჩნია, რომ სიტყვასიტყვით გაიმეორა ის, რაც აქ დამსწრე შუათანა ძმამ – იოსებმა უთხრა იესოს იმ ავმწარე განშორების წინა წუთებში და არვინ იცის, ეს ჩაბუტბუტებული ნათქვამი, მაშინ ჩვენც რომ ძლივს გავიგონეთ, ყველას ერთხმად რომ აეტაცებინა, ეგებ არსადაც არ წასულიყო. მარიამს არც ანგელოზის შესახებ უთქვამს რაიმე, არც ანგელოზის მონათხრობზე, მხოლოდ პირმშოს წინაშე უმცროსი ძმების მოვალეობას გაუსვა ხაზი. იაკობმა ვერ გაბედა, დედას შეკამათებოდა, თუმც სულის სიღრმეში დარწმუნებული გახლდათ, ჩემი ძმა გაგიჟდაო, ან – საუკეთესო შემთხვევაში, რომელიც არ უნდა გამოირიცხოს, – ვიღაცის მიერ მოწყობილ სასტიკსა და მკრეხელურ გათამაშებას ემსხვერპლაო. დარწმუნებულმა, ვიცი, რასაც მიპასუხებსო, დედას ჰკითხა: იესოს საძებრად ვინ უნდა წავიდესო? შენ, როგორც ასაკით მომდევნო და იოსებიც გამოგყვება, ორნი უფრო მხიარულად და უსაფრთხოდ იქნებით. და საიდან გვირჩევ ძებნის დაწყებას? გალილეის ზღვიდან, დარწმუნებული ვარ, იქ იპოვით. როდისთვის გინდა, რომ დავიძრათ? რამდენიმე თვეა გასული მისი წასვლიდან, ამიტომ საათიც კი აღარ უნდა დავკარგოთ. ამ თავსხმაში, ამ ავდარში წასვლა არ ივარგებს. შვილო ჩემო, გარემოებები აუცილებლობას წარმოქმნიან, მაგრამ ზოგჯერ აუცილებლობა ისე დიდია, რომ იქით წარმოშობს გარემოებებს. შვილებმა გაოცებით შეხედეს დედას, რადგან ამგვარ ზოგად სენტენციებს მიჩვეულნი არ იყვნენ მის-

გან და თავიანთი ნორჩი ასაკის გამოისობით არ ესმოდათ, რომ ანგელოზების სტუმრობა უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე და გასაოცრად კეთილისმყოფელ გავლენასაც ხშირად ახდენს, რის დასტურადაც ლიზიამ დედის სიტყვებს თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ოჯახის საბჭო ამით დასრულდა და იაკობმა და იოსებმა გაიხედეს, ხომ არ გამოიდარაო, რამეთუ რადგან იესოს ძებნა წვიმიან სეზონში დაევალათ, იქნებ ეზოდან მაინც გავიდეთ ისე, უკვე მთლიანად გალუმპულები არ ვიყოთო და მართლაც, თითქოს ცამ შეიბრალაო, სწორედ გალილეის ზღვის მხარეს გამოაჩინა დიდი ლურჯი ნაპრალი

ღრუბლებს შორის და პირობა დადო, უნალექო დღე იქნებაო. სახლშივე დაემშვიდობნენ ერთმანეთს, რადგან მარიამის აზრით, მეზობლებს იმაზე მეტი არ უნდა სცოდნოდათ, რისი ცოდნაც საჭირო იყო, და როგორც იქნა, დაიძრნენ ძმები, მაგრამ მაგდალისაკენ არ წასულან, რადგანაც აზრადაც არ მოსვლიათ, იესოს გეზი აქეთ ჰქონდაო, არამედ – პირდაპირ, მოკლეზე, და მალე ახალ ქალაქს – ტიბერიადას მიუახლოვდნენ.

წვიმამ გზები ლაფით აავსო და ამიტომ ძმები ფეხშიშველა მიიარეებოდნენ, რადგანაც, სანდლების დატოვება ჩანთაში ჯობს, ვიდრე ტალახშიო, ფიქრობდნენ. იაკობმა ტიბერიადის გზა ორი მიზეზის გამო არჩია: ჯერ ერთი მას, სოფლელს, საშინლად უნდოდა ყბადაღებული სასახლეებით, ტაძრებითა და სხვა გრანდიოზული ნაგებობებით დამტკბარიყო, მეორეც, ქალაქი, როგორც ცნობილია, ტიბერიადის ზღვის ნაპირასაა, მის ჩრდილო და სამხრეთ წერტილებს შორის, ანუ შუაგზაზე. ძებნას რა დრო დასჭირდებოდა, არავინ იცოდა, არადა, თავიც უნდა გაეტანათ რამენაირად, და იაკობმა ყურად არ იღო კეთილგონიერ ნაზარეველთა მტკიცება, გოგირდიანი წყლების გამო იმ უწმინდურ ადგილას ჰაერი მოწამლულიაო, ფიქრობდა, მშენებლობაზე ფულს ვიშოვითო. მაგრამ საღამომდე ტიბერიადას ვერ მიაღწიეს – ცამ პირობა არ შეასრულა: ერთ საათში ისევ დასცხო და კიდევ კარგი, ძმებმა ერთი მღვიმის პოვნა მოასწრეს და მანამ შეაფარეს თავი, სანამ წვიმა თავსხმად გადაიქცეოდა, თორემ ნიაღვარი გზიდან ორივეს მტვერივით გადარეცხავდა. მღვიმეში ღამე გაათიეს, ხოლო დილით, მწარედ ჭკუანასწავლებს გა-

რეთ ცხვირი მანამდე არ გამოუყვიათ, სანამ საბოლოოდ არ გამოიდარა, რათა ახლად გამშრალი ტანისამოსი ხელახლა არ გალუმპვოდათ. ტიბერიადაში ქვისმთლელებად დადგნენ: ახალი, უცხო საქმე იყო და ორივემ ერთობ გაიხარა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ საკმაო თანხა გამოემუშავებინათ – და იმიტომ კი არა, რომ ჰეროდე ანტიპა მშენებლებს ჩეჩქად უხდიდა, არამედ იმიტომ, რომ თვით ბიჭების ყოფითი საჭიროებანი იმდენად უმნიშვნელო გახლდათ, უფულოდაც მშვენივრად გაჰქონდათ თავი.

იქვე, ტიბერიადაში შეუდგნენ გამოკითხვას, აქეთ ვინმე იესო ნაზარეველი ხომ არ გინახავთ, ჩვენი ღვიძლი ძმაა, აი, ასეთი სიმაღლის, ასეთი და ასეთი გარეგნობის, მარტო იქნებოდა თუ ვინმესთან ერთად, მაგას ვერ გეტყვითო. პასუხობდნენ, ასეთი ვინმე აქეთ არ შეგვხვედრიაო, ყველა მშენებლობა შემოიარეს და დარწმუნდნენ იაკობი და იოსები, იესო ტიბერიადაში არ ყოფილაო და არც არაფერი იყო ამაში გასაკვირი: რაში დასჭირდებოდა მძიმე ქვების თრევა არანაკლებ ხელმძიმე ათისთავების ზედამხედველობით, თუკი კვლავ მეთევზეობა უნდოდაო, აგერა ზღვაო. მოკლედ, ძმებმა ცოტა ფული იშოვეს და ახლა უნდა გადაეწყვიტათ სოფელ-სოფელ, არტელ-არტელ, კარაპ-კარაპ კითხვა-კითხვით სამხრეთით ევლოთ თუ ჩრდილოეთით.

იაკობმა სამხრეთი არჩია – უფრო იოლი გზა ეჩვენა, სწორი და გლუვი, ხოლო ჩრდილოეთის ლანდშაფტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უბედური რამ იყო.

დარი დაღვინდა, წვიმებმა გადაიარა, ოდნავ გამოთბა და უფრო მეტად მახვილი გრძნობების მქონე ადამიანი, ვიდრე ჩვენი ყმაწვილები გახლდნენ, უკვე თვით ჰაერსა და მიწის თრთოლაში შეიგრძნობდა

გაზაფხულის პირველ მოკრძალებულ ნიშნებს. და დედის ბრძანებით წამოწყებული ექსპედიცია თანდათან დამატკბობელ, სასიამოვნო ექსკურსიად გადაიქცა, იფიქრებდით, საცაა დაავიწყდებათ, ზღვასთან რა საქმემ მოიყვანაო და უზრუნველ დროსტარებაში დაინთქმებიანო, მაგრამ პირველივე შემხვედრმა მებადურებმა მიაწოდეს ცნობები იესოს შესახებ, და თან ასეთი უცნაური სიტყვებით: გვინახავს იგი, ვიცით იგი, ხოლო თქვენ თუ სადმე ნახოთ, გადაეცით, რომ ისე ველოდებით, რო-

გორ ზეციურ მანანასო. ძმებს გაუკვირდათ და არ დაიჯერეს, ალბათ იესოზე არ არის ლაპარაკიო, ალბათ ვინმე სხვა იესოც არისო.

ნიშნებით ეგ უნდა იყოსო, თქვეს მეთევზეებმა, მაგრამ ნაზარეველია თუ არა, ეგ არ ვიცით, არ უთქვამსო. ზეციურ მანანასავით რატომ ელოდებითო? – ჰკითხა იაკობმა. იმიტომ, რომ როცა ნავშია, ბადე თევზით არნახულად ივსებაო. ნამდვილად ვიღაც სხვა იქნებაო, ჩვენს იესოს თევზაობისა არაფერი გაეგებაო. მერე ვინა თქვა, გაეგებაო, უბრალოდ, ამბობს, აი, აქ ჩააგდეთ ბადეო, – ვაგდებთ და გალიცლიცებული ამოგვაქვსო. თუ ასეა, ახლა თქვენთან რად არ არისო? რამდენიმე დღის წინ სადღაც წავიდა, ახლა სხვა მეთევზეებს უნდა დავეხმაროო და მართალიც იყო, რადგან პირველად ჩვენ გამოგვყვა სათევზაოდ და ყოველ ჯერზე გვპირდებოდა ხოლმე, თქვენთან ისევ დავბრუნდებიო. და ახლა სად არისო? არ ვიცით, თქვა, სამხრეთისკენ წავალო, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჩრდილოეთითაც გასწია, მისი ვერა გავიგეთ რა, ჩნდება და ქრება თავის ნებაზეო. მაშინ იაკობმა იოსებს უთხრა:

სამხრეთით წავიდეთ, ის მაინც ვიცით, ამ ნაპირზე რომ არისო. თითქოს უბრალო ამბავი იყო, მაგრამ ნურას უკაცრავად: გაითვალისწინეთ, რომ სანამ ისინი წყლის ნაპირს გაუყვებიან, იესო შესაძლოა ასცდეს, ზღვაში შევიდეს და თავის სასწაულებრივ თევზჭერას შეუდგეს, ჩვენს მონათხრობში ამგვარ წვრილმანებზე ჯერ არაფერი გვითქვამს, მაგრამ ახლა დროა მოგახსენოთ, რომ ბედ-იღბალს საერთო არაფერი აქვს ჩვენს შეხედულებასთან, ვითომცდა ყოველივე წინასწარ იყოს გაწერილი, სულაც არა: თავად განსაჯეთ – ვიღაცის ვიღაცასთან წინასწარ ბედისწერით განსაზღვრული შეხვედრა რომ შედგეს, საჭიროა, ეს ვიღაცეები საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე აღმოჩნდნენ, რაც, ვიმეორებ, იოლი საქმე არ გახლავთ, საკმარისია ოდნავ დაყოვნდეთ, მაგალითად, ცაში ღრუბელს ახედოთ, ჩიტის ჭიკჭიკს ყური მიუგდოთ, ჭიანჭველების ბუდეზე შესასვლელ-გამოსასვლელების თვლას შეუდგეთ, ანდა პირიქით, უყურადღებოდ შეხედოთ, ვერ გაიგონოთ – და თითქოსდა ხელსაყრელი შესაძლებლობა მყისვე დაგისხლტებათ, და, მოკლედ რომ გითხრათ, არაფერია იმაზე ძნელი ამქვეყნად, ვიდრე ის, რომ შენს წილს ხელი გამოჰკრა, აი, გახდები ჩემი ხნისა, ძმაო იოსებ, და მაშინ მიხვდები.

და იაკობი და იოსები სასწაულებრივ წინდახედულებას იჩენდნენ – ყურადღებით იცქირებოდნენ, ჩერდებოდნენ, სათევზაოდ ზღვაში გასული კარაპების დაბრუნებას ელოდებოდნენ, თუ მოეჩვენებოდათ ზურგს უკან, ახლახან რომ გამოვიარეთ, იესო სწორედ იმ ადგილას გამოჩნდაო, უკანაც ბრუნდებოდნენ. ასე დაიარეს მთელი ზღვისპირი, ფონით მდინარე იორდანე გადალახეს და პირველსავე შემხვედრ მებადურებს იესოს შესახებ ჰკითხეს. როგორ თუ არ გაგვიგია მისი უჩვეულო უნარის შესახებ, მაგრამ ჩვენს მხარეში არ გამოჩენილაო. ძმები საკუთარ კვალს უკან, ჩრდილოეთისკენ გამოჰყვნენ, ყურადღება

გაორკეცეს, თვით დაემსგავსნენ მეთევზეებს, ბადის ამოწევისას რომ იმედოვნებენ, ეგება თევზთა მეფე დაგვიჭერიაო და ერთხელაც, გზისპირას ღამეს რომ ათევდნენ, რიგრიგობითაც კი დაიძინეს, იესო არ გამოგვეპაროსო, ვაითუ მთვარიანი ღამით ისარგებლოს ერთი ადგილიდან მეორეგან წასასვლელადო. აი ასე, გეგონებოდათ, არემარეს ფოცხავენო, ტიბერიადას მიაღწიეს, სადაც ამჯერად სამუშაოს ძებნით თავი აღარ შეუწუხებიათ, რადგან ფული კიდევ შემორჩენოდათ, რისთვისაც მადლი უნდა ეყოთ სტუმართმოყვარე მებადურებს, ერთთავად თევზით რომ უმასპინძლდებოდნენ ხოლმე, რის გამოც ერთხელ იოსებმა იაკობს უთხრა: ეგება ეს თევზი ჩვენი ძმის დაჭერილიაო, – რაზედაც იაკობმა მიუგო: ამით თევზი განა მეტად გაგემრიელდებაო? და ეს სიტყვები, უეჭველია, ძმური სიყვარულით ნაკარნახევნი სულაც არ გახლდნენ, არამედ სრულიად ბუნებრივი ჯავრით, თივის ზვინში ნემსის ძებნა რომ იწვევს ხოლმე.

ხოლო იპოვეს ძმებმა იესო ტიბერიადიდან ერთი საათის სავალზე და შორსმჭვრეტელმა იოსებმა, შორიდან რომ შენიშნა, წამოიძახა: აი, ისიც! მაგრამ იქ, საითაც ხელს იშვერდა, გზას ორნი მიუყვებოდნენ – კაცი და ქალი – და ამ გარემოების გამო შემცბარმა იაკობმა თქვა: არა, გეშლება. უფროსებთან არ დავობენო, მაგრამ იოსები ისე იყო გახარებული, რომ ზრდილობა გადაავიწყდა და უპასუხა: გეუბნები, იესოა-მეთქი! ქალთან ერთადაა.

ქალი – ქალია, კაცი კი – ჩვენი იესოა.

დაბლობზე გაკვალულ ვიწრო ბილიკზე, ორ ბორცვს შორის, რომელთა ფერდობებიც წყლისპირას ეშვებოდა, იესო და მარიამ მაგდალელი მოდიოდნენ. იაკობი მომლოდინედ შეჩერდა და იოსებიც შეაჩერა. ისიც არცთუ ნება-სურვილით დაემორჩილა, სურდა, ძლივს ნაპოვნი ძმისკენ გაქცეულიყო და კისერზე ჩამოჰკიდებოდა. იაკობი კი უცნობმა ქალმა შეაკრთო, იესოს გვერდით რომ მოჰყვებოდა, – არ სჯეროდა, ძმას თუ ქალი შეეცნო უკვე, გრძნობდა, რომ ამის მხოლოდ დაშვებაც კი ერთობ აშორებდა უფროსი ძმისგან, თითქოს ამიერიდან იესო სრულიად სხვა სამყაროს ბინადარი გამხდარიყო, იმიტომ კი არა, ღმერთი რომ ჰყავდა ნანახი, არამედ იმიტომ, რომ ქალთან იყო ნამყოფი.

ერთ აზრს მეორე მოჰყვება, ამასთანავე ზოგჯერ ერთი აზრიდან მეორემდე გზას უგრძნობლად გავივლით ხოლმე, თითქოს მდინარეზე დახურული ხიდით გადავდიოდეთ, რომ მიდიხარ და თვითონ არ იცი, სად გახვალ, აღმოჩნდება, რომ მდინარე გადაგვილახავს, რომლის არსებობაც კი არ ვიცოდით და იაკობი, თვითონაც არ იცოდა, ისე მიხვდა, რომ არ ვარგოდა, ასე ბოძივით ერთ ადგილზე რომ დარჭობილიყო, თითქოს თვითონ ყოფილიყო ოჯახის პირმშო და ელოდა, უმცროსი როდის მოახლოვდება და მომესალმებაო. მისი აზრი იოსებსაც გადაედო და ისიც სიხარულის ძახილით იესოსკენ გაექანა და მაღალ ლერწმებში ჩამალული, ნაპირის შლამში საკვების მძებნელი ჩიტების გუნდი დააფრთხო. იაკობმაც ნაბიჯს აუჩქარა, არ სურდა, უმცროსისთვის დაეთმო, რისი უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა, გადაასწრო და თქვა: მადლი ზეციერს, ძმას რომ შეგვახვედრა, რომელსაც ვეძებდით, და იესომ მიუგო: მადლი ზეციერს, რომ ორივეს ჯანმრთელად გხედავთ. მარიამ მაგდალელი მოშორებით შეჩერდა, იესომ კი იკითხა: აქეთ რა

ქარმა გადმოგაგდოთო, და იაკობმა მიუგო: გვერდზე გავიდეთ, სალაპარაკო მაქვსო. ხელს არავინ შეგვიშლისო, უპასუხა იესომ, რაც შეეხება ამ ქალს, მინდა იცოდე, ჩემო ძმაო, რაც გინდა მითხრა და რაც მინდა შენგან გავიგონო, მისი თანდასწრებითაც შეიძლება ითქვასო. ამის შემდეგ ისეთი ღრმა, მკვრივი და დამაყრუებელი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდა, ზღვა და მთა დადუმებულა და არა ოთხი ადამიანიო. განვლილ თვეებში იესო კიდევ უფრო მეტად დაკაცებულიყო, კანიც მეტად გარუჯ-

ვოდა, მაგრამ თვალები ძველებური მხურვალებით აღარ უელავდა, მოშვებულ წვერში ჩაფლული სახე დამშვიდებოდა და დალაგებოდა, და ამ სიმშვიდეს მოულოდნელი შეხვედრაც კი ვერას აკლებდა. ვინ არის ეს ქალი? – დაინტერესდა იაკობი.

მარიამი ჰქვია, ჩემთან არის, მიუგო იესომ. დაქორწინდი? ჰო, და არაც, არაც და ჰოც. ვერ გავიგე. მეც ეს მინდოდა. სალაპარაკო მაქვს შენთან. ილაპარაკე.

დედამ შენთან რაღაც დაგვაბარა. გისმენ. ცალკე მინდოდა. ვერ გაიგონე, რა გითხარი? მაგდალელმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია: ისე დავდგები, რომ საუბარი ვერ გავიგოო. სულში არაფერი მაქვს ისეთი, რაც შენ არ იცი, ამიტომ სამართლიანი უფლება გაქვს, ისიც იცოდე, დედაჩემი რას ფიქრობს ჩემზე, მით უმეტეს, ამ შემთხვევაში მერე მოყოლა აღარ დამჭირდება შენთვის. ნაწყენ იაკობს სახეში სისხლი მოაწვა, ნაბიჯი უკან გადადგა, თითქოს წასვლას აპირესო და მაგდალელს გულმოსულმა შეხედა – მაგრამ მის მრისხანე მზერაში გაავებასთან შეზავებულ ვნებასაც ამოიკითხავდით. იოსებმა ხელები გაიწოდა ორივე ძმის შესაკავებლად, სხვა ვერაფერი მოახერხა. იაკობმა გრძნობები მოთოკა და მცირედ დაყოვნდა, რათა აზრი მოეკრიბა დანაბარების გასახსენებლად, მერე კი წამღერებით, ხმამაღლა, მჟღერად წარმოთქვა: დედამ შენს საძებრად გამოგვაგზავნა და შემოგითვალა, შინ დაბრუნდიო, რადგანაც შენი ყველას გვჯერაო და რაკი უფალს ასე ნებავს, ყოველივეს დავიჯერებთ, რასაც გვეტყვიო. სულ ესაა? დედამ ეს თქვა. ანუ შენ გინდა მითხრა, რომ თქვენ თვითონ არაფერს იღონებთ ჩემი სიტყვების დასაჯერებლად, არამედ დასხდებით და დაელოდებით, სანამ უფალი ჭკუაზე არ მოგიყვანთ და გაგების ნიჭს არ გიწყალობებთ? სწორედაც ღმერთმა უნდა ინებოს, რომ რაიმე გავიგოთ. ცდები: ღმერთმა ფეხები მოგვცა, და დავიარებით, მაგრამ არ გამიგია, კაცი ელოდოს, როდის მიბრძანებს უფალი, იარეო, გაგებაც ასევეა, გონება იმისთვის გვიბოძა, რომ ჩვენი ნებისა და სურვილისამებრ გამოვიყენოთ. არ გედავები. სწორსაც შვრები, რამეთუ კამათში მაინც ვერ მაჯობებ.

დედას რა ვუთხრათ? გადაეცი, რომ მისმა სიტყვებმა მეტისმეტად დაიგვიანა, რომ ეს სიტყვები თავის დროზე იოსებმა თქვა, მაგრამ მან

მათი გამეორება არ მოინდომა, და რომ თვით ზეცის ანგელოზი რომ მოევლინოს და ყოველივე ჩემი ნათქვამი დაუდასტუროს, დაარწმუნოს, რომ უფლის ნებას ვერსად წაუვა, მე სახლში მაინც არ დავბრუნდები.

ამპარტავნების ცოდვას ჰყავხარ შეპყრობილი, იესო. ხე კვნესის, როცა ცულს ურტყამენ, ძაღლი წკავწკავებს, როცა სცემენ, კაცი კი, როცა შეურაცხყოფენ, ჭკუას სწავლობს და ასე იზრდება. დედაა შენი, შენი ძმები ვართ. ჩემი დედა და ჩემი ძმები ამიერიდან იქნებიან ისინი, ვინც მე მერწმუნებიან, როცა შევდივართ

ზღვაში და ვამბობ, უხვი იქნება ნადავლი-მეთქი, დედა და ძმები ისინი არიან, ვინც ჩემს სიკვდილს არ ელოდებიან, რომ დამიტირონ. და სხვას არაფერს დაგვაბარებ? სხვას არაფერს, მაგრამ მალე შეიტყობთ ჩემზე, უთხრა იესომ, მაგდალელს მიუბრუნდა: წამო, მარიამ, ნავები უკვე ზღვაში გასვლას აპირებენ, თევზები გუნდად შეკრებილან და მოსავლის აღების დროა. უკვე შორს იყვნენ, იაკობმა რომ მიაძახა: იესო, დედა გვკითხავს, ის ქალი ვინ იყოო? რა ვუთხრათ? უთხარი, მარიამი ჰქვია და იესოს გვერდით არის-თქო! – და ამ სიტყვებმა ზღვასა და ბორცვებს შორის ხმამაღალ ექოდ გაიხმაურა.

მიწაზე პირქვე დამხობილი იოსები მწარედ ტიროდა.

18* * *

იესო ზღვაში მიჰყვებოდა მეთევზეებს, მაგდალელი კი ნაპირზე ელოდა – წყლის პირს ქვაზე ჩამოჯდებოდა, ანდა ბორცვზე ადიოდა, საიდანაც უკეთ შეეძლო ნავის დანახვა. თევზს ლოდინი არ სჭირდებოდა – აქამდე არასოდეს ყოფილა ასეთი სიუხვე, თავიდან ხალხი ლაპარაკობდა – თევზჭერა უბრალოდ ბადის წყლიდან ამოღებად იქცა, თავისით მოდიანო, მაგრამ ორ-სამ დღეში ხვდებოდნენ, იესო თუ არა ჰყავთ ნავში, ყველას როდი უხტება თევზი ბადეშიო, ტყუილუბრალო შრომისგან ხელებსა და მხრებს იღლიან და საცოდავი სანახავია, ცარიელ-ტარიელები რომ გამოდიან ნაპირზე, ბადეში შემთხვევით გაჩხერილი თითოოროლა თევზის ამარაო. ამიტომაც გალილეის ზღვის მთელი დასავლეთ სანაპიროს მეთევზეთა საზოგადოება იესოს თხოულობდა, იესოს

მოითხოვდა, ცდილობდა ხელთ ეგდო, მიეტყუებინა და როცა ყვავილებით, პალმის რტოებითა და ტაშით ხვდებოდნენ ხოლმე, დღესასწაული გეგონებოდათ.

მაგრამ რადგანაც ადამიანი იმგვარი ცომისგანაა მოზელილი, რომელშიც თანაბრადაა აზელილი ერთი მხრივ, შური და სიავე, მეორე მხრივ კი – ცოტაოდენი გულკეთილობა, ხოლო დვრიტად კი შიში აქვს დატანებული, ყოველსავე ცუდს რომ აფუებს და ამოჰყავს, სიკეთეს კი გვავიწყებინებს, ამიტომაც ხშირი იყო ჩხუბი – არტელი არტელზე, სოფელი სოფელზე, რამეთუ ყველას სურდა, რომ იესო მარტო მათ დახმარებოდათ, სხვებმა კი თავში ქვა იხალონო. და როცა ასე ხდებოდა, იესო უდაბნოში განმარტოვდებოდა ხოლმე და არ ბრუნდებოდა, სანამ ჩხუბისთავები პატიების სათხოვნელად არ ეახლებოდნენ, თავი მხოლოდ იმად ვერ შევიკავეთ, რომ ძალიან გვიყვარხართო. სამუდამო საიდუმლოდ რჩება, რატომ არ აგზავნიდნენ აღმოსავლეთ სანაპიროს მეთევზეები შიკრიკებს ადგილობრივებთან მოსალაპარაკებლად, რათა სამართლიანად გარიგებულიყვნენ, მაშინ ხომ იესო მთელ იმ მხარეს მადლს თანაბრად გაუნაწილებდა ნაირგვარი წარმართებისა და უცხო რჯულის მიმდევართა გარდა, რომლებიც უხვად სახლობდნენ იმ არემარეში. ხომ შეეძლოთ ბოლოს და ბოლოს ერთ ბნელ, უმთვარო ღამეს მთელი ფლოტილიით, – როგორც საზღვაო ბრძოლისას – მოცურებულიყვნენ, იესო მოეტაცათ, თავისთან წაეყვანათ და კეთილდღეობითა და ბარაქით გაზულუქებული დასავლეთი სიდუხჭირეში დაებრუნებინათ.

ჯერ ისევ ის დროა, იესო ძმებს რომ შეხვდა – იაკობსა და იოსებს – შინ წასაყვანად რომ მოაკითხეს, მაწანწალობას შეეშვიო, თუმცაღა იესოზეა დამოკიდებული თევზჭერა, თევზით ვაჭრობა და თევზის რეწვის სხვა ქვემდებარე დარგები.

აი, ამ წამს ორივე – ერთი გაბრაზებული, მეორე მტირალი სწრაფი ნაბიჯით ნაზარეთისკენ მიაბიჯებენ მთებისა და ველების გავლით, დედასთან, რომელიც მეასედ ეკითხება თავის თავს, ჩემ გაგზავნილ ორ შვილთან ერთად დაბრუნებულს მესამესაც თუ დავინახავო და ხვდება – ალბათ ვერაო. სანაპიროს იმ ადგილიდან, სადაც ძმები იესოს შეხვდნენ,

სახლამდე უმოკლესი გზა ქალაქ მაგდალაზე გადიოდა, რომელსაც იაკობი ცუდად, იოსები კი სულ არ იცნობდა, მაგრამ, პირველი შთაბეჭდილებით დიდი

არაფერი დაუკარგავთ. ცოტა დაისვენეს და გზა განაგრძეს. ამ დასახლებული პუნქტიდან რომ გამოდიოდნენ, – ეს სიტყვა მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ როგორც ირგვლივ განფენილი უდაბნოს ლოგიკური და ნათელი ანტითეზა – ბიჭებმა ხელმარცხნივ, ოდნავ მოშორებით ოთხი დანახშირებული კედელი დაინახეს – რაც კი დამწვარი სახლისგან დარჩენილიყო. ეზოს ჭიშკარი ძლიერ გამურული გახლდათ, მაგრამ არ დამწვარიყო, ცეცხლის ალი, ყველაფერი რომ შთაენთქა, ეტყობა, სახლს შიგნით გაჩენილიყო. ასეთ შემთხვევაში გამვლელი, ვინც უნდა იყოს, ფიქრობს, ნახანძრალზე აუცილებლად განძს ვიპოვიო და თუ თავზე დაცემული განივი კოჭის არ შეეშინდება, ფერფლში ფათურს იწყებს, ჯოხით ან ფეხსაცმლის წვერით ქექავს ნაცარს, მუგუზლებს, ჩანავლულ ნახშირს იმის იმედად, ეგებ უეცრად ოქროს მონეტამ გამოიბრწყინოსო, ან უწვავმა ბრილიანტმა ანდა ზურმუხტის დიადემამო. იაკობი და იოსები ცნობისწადილით შედიან მხოლოდ – არც ეგრე მიამიტები არიან, რომ ეგონოთ, თითქოს ხარბ მეზობლებს დავასწრებდით აქაურობის გადაქექვას იმის ძებნაში, რისი გატანაც პატრონებმა ვერ მოასწრეს, ხოლო ცეცხლს კი გადაურჩაო, მაგრამ სახლი ერთი ციცქნაა, ალბათ, მეტ-ნაკლებად ფასეული ავლადიდება გადაარჩინეს: შიშველი კედლებიღაა დარჩენილი, რამეთუ ახალ ადგილას ახლებსაც აღმართავდნენ იოლად. ფეხქვეშ შორენკეცების ნამსხვრევები ხრაჭუნობენ, ესღა დარჩენილა ჩამოქცეული კერიის ირგვლივ დაგებული იატაკისგან. აქ არაფერი არ არის, წამო, წავიდეთ, ამბობს იაკობი, მაგრამ იოსები ეკითხება: აი, ეს რაღაა? „ეს“ – ერთგვარი განიერი და მოგრძო ხის ფიცარნაგია, დამწვარ ფეხებზე მდგარი და ზედ დანახშირებული ქსოვილის ნაჭრები გადმოკიდულა. ამას საწოლი ეწოდება, უხსნის იაკობი, ამაზე სძინავთ მეფეებს, მდიდრებს. და დედაჩვენსაც. კი, როგორ არა, შეადარე ახლა ეს იმას. არა მგონია, აქ მდიდრებს ეცხოვროთ. ერთი შეხედვით მაგას ნუ იტყვი, ბრძნულად წარმოთქვამს იაკობი. გამოდიან და ჭიშკართან ჭოკს ამჩნევენ, ხიდან ლეღვს რომ ბერტყავენ, ისეთს, მაგ-

რამ, ეტყობა, როცა ამისთვის იყენებდნენ, უფრო გრძელი იქნებოდა, მერე კი დაამოკლეს.

ეს აქ რატომღაა? – თავის თავს თუ ძმას ეკითხება, და პასუხს სანამ მიიღებს, ჭოკი თან მიაქვს ხანძრის სახსოვრად, დამწვარი სახლის და შიგ მცხოვრები უცნობი ხალხის მოსაგონებლად. არავის დაუნახავს, როგორ შევიდნენ ძმები სახლში და მერე როგორ გამოვიდნენ, – უბრალოდ ორი მოზარდი, მჭვარტლით დასვრილ ტუნიკებში გამოწყობილნი, მიდიან ნაზარეთში თავისთვის, ცუდი ამბავი მიაქვთ დედასთან. ერთ-ერთის აზრი, ერთფეროვან მგზავრობაში თავშესაქცევად მარიამ მაგდალელისკენ მიიქცევა, მეორის ფიქრი კი შედარებით ნაყოფიერი და ცოცხალია – ეს მოკლე ჭოკი, ნაალაფარი, რომელ თამაშში და რანაირად გამოადგება.

ხოლო ზღვაში გასული იესოს მოლოდინში ქვაზე ჩამომჯდარი მარიამ მაგდალელის ფიქრები ნაზარეთელ მარიამს უტრიალებს. დღევანდლამდე იესოს დედა იესოს დედა იყო მხოლოდ, სხვა არაფერი, ახლა კი იცის, რადგანაც ჰკითხა, რომ სეხნია ყოფილა მისი და ეს დამთხვევა თავისთავად უმნიშვნელოა, რამეთუ მარიამების მეტი რაა დედამიწაზე და მერე, როცა მოდაშიც შემოვა, გაცილებით მეტიც იქნება, მაგრამ მოდი, გავრისკოთ და ვივარაუდოთ, რომ მათ შორის, ვინც ერთნაირ სახელს ატარებს, გარკვეული მჭიდრო კავშირი წარმოიქმნება და იოსები, ვთქვათ, მეორე იოსები რომ გავიხსენოთ, მამამისი, მის შვილად კი არ აღიქვამს თავს, არამედ ძმად და მხოლოდ ღმერთი შევიცოდოთ, მისი სახელი სხვას რომ არავის არა ჰქვია

მთელ სამყაროში. არ გეგონოთ, რომ სილოგიზმების ეს ზემოთ მოყვანილი ჯაჭვი მაგდალელის აზრებში გაჩნდა, თუმც, როგორც ვიცნობთ – მის შესახებ კი საკმაო ცოდნა გაგვაჩნია, – იგი ერთობ ნიჭიერი ქალია და არანაკლებ რთულ საკითხებსაც შეუძლია სიღმეში ჩასწვდეს, მაგრამ, უბრალოდ, მისი ფიქრი სხვა მხარეს მიდის: ხდება ხოლმე ასე – ქალს კაცი უყვარს, მაგრამ იმ კაცის დედაზე ფიქრობს. მაგდალელს დედური სიყვარული არ გამოუცდია, მაგრამ აი, როგორც იქნა, მას შემდეგ, რაც ამდენი ხნის განმავლობაში სწავლობდა, იღებდა და გასცემდა მოჩვენებით ცრუ სიყვარულს და შეიმეცნა ათასნაირი სახეობის არსიყვარული,

ეღირსა და ჭეშმარიტი ქალური სიყვარული მოიპოვა. იესო უყვარს, როგორც მამაკაცი, მაგრამ უნდა, შვილივითაც უყვარდეს, ალბათ იმიტომ, რომ სულ ოდნავაა უმცროსი მის ღვიძლ დედაზე, შინ დაბრუნება რომ სთხოვა და იესომ უარი უთხრა და მარიამ მაგდალელი ფიქრობს, თუ რარიგ ეტკინება ეს ამბავი ნაზარეველ მარიამს, და ეს ტკივილი სულ სხვაგვარი იქნება, განსხვავებული იმისაგან, რასაც იესოს დაკარგვა თვითონ მასში გამოიწვევდა, რადგან შეყვარებულის დაკარგვა შვილის დაკარგვას ვერ შეედრება. ღმერთო, თუ ამას უნდა ველოდე შენგან, ორთავ ტკივილი გამომიგზავნე, – ჩაიბუტბუტა მარიამმა, იესოს მომლოდინემ. და როცა კარაპა ნაპირს მოადგა და ქვიშაზე ამოათრიეს, თევზებით სავსე კალათები გადმოტვირთეს, როცა იესო, მუხლამდე წყალში, ბავშვივით მოცინარი, მეთევზეებს ეხმარებოდა, მარიამ მაგდალელმა თავი უეცრად მარიამ ნაზარეველად იგრძნო, ადგა, წყალში შევიდა, რათა მასთან ყოფილიყო, მხარზე აკოცა და წარმოთქვა: ჩემო შვილიკო. არავის გაუგონია, თუ როგორ უპასუხა იესომ: დედაო, რამეთუ ცნობილია, რომ გულით ნათქვამ სიტყვას ხმოვანება არ გააჩნია, ბაგეს არ სწყდება, ყელს ბურთად ეჩხირება და მხოლოდ თვალებში ამოიკითხავთ. მესაჭემ იესოსა და მარიამს თევზით სავსე კალათა გადასცა, – მათი წილი და გასამრჯელო – და როგორც ყოველთვის, ამღამინდელი ღამის სათევი ადგილისკენ გაემართნენ: დიახ, ასე ცხოვრობდნენ, – უბინაოდ, მიუსაფრად, მომთაბარულად და თავიდან იესომ რამდენჯერმე შესთავაზა მარიამს: ასე ცხოვრება, ნავიდან ნავში წანწალი საშენოდ არ ივარგებს, სახლი გავიჩინოთ, მოვალ ხოლმე, როგორც კი შევძლებო, მაგრამ მარიამმა მიუგო: არ მინდა გელოდო, იქ მინდა ვიყო, სადაც შენ ხარო. ერთხელ იესომ ჰკითხა, ახლობლები თუ გყავსო, ვისთანაც მიგესვლებაო და მან უპასუხა, და-ძმა მყავს, მართა და ლაზარე, იუდეის ბეთანიაში ცხოვრობენ, მაგრამ მეძავი როცა გავხდი, თავი მივანებე, რომ არ შემერცხვინა და რაც შეიძლებოდა შორს წავედი და ბოლოს მაგდალას მივაღწიეო. მაშ, შენ მარიამ მაგდალელი კი არა, მარიამ ბეთანიელი უნდა გერქვასო, – უთხრა იესომ. დიახ, ბეთანიაში დავიბადე, მაგრამ მაგდალაში შეგხვდი, ამიტომ მაგდალელად დავრჩებიო. არც მე მქვია იესო ბეთლემელი, თუმცა კი იქ დავიბადე, მაგრამ არც იესო ნაზარეველი ვარ, რადგან

იქ ჩემი ოჯახი უარვყავი, ეგება, შენივე მიზეზით, მეც იესო მაგდალელი უნდა მერქვას? მაგრამ იქ რომ ჩვენი სახლი დაიწვა?

სახლი დაიწვა, მაგრამ ხსოვნა დარჩა. მეტად ბეთანიაში მარიამის დაბრუნებაზე აღარ უსაუბრიათ და ის ზღვისპირი მათთვის მთელ მსოფლიოდ იქცა.

ხალხში – და სავსებით შესაძლებელია, ერთ ხალხში კი არა, ყველა ერში, რადგანაც ლაპარაკი საყოველთაო, სრულიად სამყაროულ ბოროტებაზეა, – გავცელებულია ანდაზა, რომელიც გასაჭირში ჩავარდნილ კაცზე ამბობს, ფეხქვეშ მიწა ეწვისო ან კიდევ მიწა გაუსკდაო. საფიქრებელია, ეს გამოთქმა მიწასთან მჭიდროდ

დაკავშირებული ხალხის წიაღში დაიბადა, ხალხში, რომელსაც მიწაზე ფეხი უცურდებოდა, ბორძიკობდა, ეცემოდა და კიდევ კარგი, სასიკვდილოდ არ ილეწებოდა. შემდეგ კი ზემოაღნიშნული საყოველთაოობისა და სრულიად სამყაროულობის გამოისობით მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდა, მინიშნებიდან უნივერსალურ კანონად იქცა, თუმცაღა, ჩვენი ვარაუდით, ამ ანდაზას ყველა ერი ერთნაირად უცებ და იოლად ვერ აითვისებდა, მაგალითად, ზღვის პირას მცხოვრებნი და ზღვით თავის მრჩენი ხალხი, მებადურები და მეზღვაურები, რომლებმაც კარგად იციან, რა უსაზღვროა წყლის უფსკრულები, აქაფებული მორევები, ფეხებსა და, ასე ვთქვათ, გრუნტს შორის რომ ბობოქრობენ, მათ იციან, რომ უბედურება ფეხქვეშ კი არაა, ციდან ეშვება გრიგალისა და ქარიშხლის სახით, ტალღებს რომ აქოჩრებენ და აღელვებენ, ქარბორბალასა და შტორმს რომ შობენ, ნაფლეთებად აქცევენ აფრებს, ანძებს ლეწავენ და ფსკერისკენ გზავნიან გემებს, და, სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით, ზღვაოსანი ხალხი ცასა და მიწას შუა იღუპება – ცას ხელს ვერ უწვდენენ, ხოლო მიწას – ფეხს. გალილეის ზღვა ძირითადად წყნარია, მშვიდი და ზომიერი, კაცმა რომ თქვას – ზღვა კი არა, ტბაა, მაგრამ დგება დღე, როცა სტიქია აქაც კი დაუნდობლად აბობოქრდება ხოლმე და აბა, თავს უშველეთ, ვისაც როგორ შეგიძლიათ, და ხანდახან ყველა როდი ახერხებს გადარჩენას. თხრობა სწორედაც აქეთკენ მიგვყავს, მაგრამ მანამდე იესო ნაზარეველსა და მის შემაღონებელ დარდებს უნდა დავუბრუნდეთ, რომ გვიდატურებენ, ადამიანის გული მუდამ ბედნიერი ვერ იქნებაო, ასე

რომ, სრულად როდი გვაკმაყოფილებს მოვალეობის უბრალო და პატიოსანი აღსრულება, რისკენაც განუხრელად მოგვიწოდებენ ისინი, ვინც ამ მცირედით კმაყოფილდება. მართლაც, სრული დამაჯერებლობით უნდა განვაცხადო, რომ იესოს მუდმივმა გადანაცვლებამ ზემო და ქვემო იორდანეს შორის შედეგად ის გამოიღო, რომ იმ მხარეში აღარავინ შიმშილობდა, აღარავის უჭირდა და იქაურმა ბარაქამ თავისი კეთილისმყოფელი გავლენა იმათზედაც მოახდინა, ვისაც თევზჭერასთან ხელი არ ჰქონია, რამეთუ თევზის სიუხვემ ფასები დააგდო და ხალხს საკვებში სულ უფრო და უფრო ნაკლები ფული ეხარჯებოდა. დასამალი არ არის – იყო მცდელობები, თევზის ფასის მაღალი დონე შეენარჩუნებინათ, რისთვისაც მონაპოვრის ნაწილს უკან, ზღვაშივე აბრუნებდნენ, მაგრამ იესო, რომელზედაც არსებითად იყო დამოკიდებული, სავსე ამოვიდოდა ბადე წყლიდან თუ ცარიელი, დაიმუქრა, იცოდეთ, სხვა მხარეში წავალო და კორპორაციული ეთიკის დამრღვევებს ბოდიშის მოხდა მოუწიათ, ასევე თავიანთ ქმედებაზე ხელის აღებაც, – მოხდეს, რაც მოსახდენიაო. მოკლედ, ყველა აქაურ მობინადრეს სრული საფუძველი ჰქონდა, თავი ბედნიერად ეგრძნო, ყველას, იესოს გარდა. მიაჩნია, ასე ზემოთ-ქვემოთ, წინ და უკან წოწიალი რა ცხოვრებააო, ყოველდღე ერთი და იგივე ლაპარაკი, ერთი და იგივე მოძრაობაო და კიდევ ფიქრობს, თუ ღმერთმა თევზის ბადეში შეტყუების სასწაულებრივი უნარი მიბოძაო, ნუთუ უფალს უნდა, სანამ დათქმული პირობის აღსრულებას დრო მოუვა და თავის სამსახურად მიხმობს, მანამდე ასე უნდილად და ერთფეროვნად ვიარსებოო? ხოლო ის, რომ უფალი ჩემთანააო, იესოს ოდნავადაც კი არ ეეჭვებოდა, რადგან თევზი მორჩილად ძვრებოდა ბადეში მისი სიტყვის კვალდაკვალ და ამ გარემოებამ, აზრის კერძოდან ზოგადისკენ გარდაუვალმა მოძრაობამ, – ამ მოძრაობის დაწვრილებითი განხილვისგან, მეცნიერულად დედუქცია რომ ეწოდება, ამჯერად თავი შევიკავოთ, – ბოლოს და ბოლოს აიძულა, საკუთარი თავისთვის ეკითხა, ეგება უფალმა ისურვოს და სხვა სასწაულებრივი უნარებიც მომმადლოს, – სამუდამოდ კი არა, ცხადია, ასე ვთქვათ, დროებით სარგებლობაში გადმომცეს იმ აუცილებელი პირობით, რომ მე, იესო, ამ უნარებს ბოროტად არ გამოვიყენებ, არამედ სარგებლიანად და გონივრულად

განვკარგავო, სარგებლიანობისა და გონივრულობის გარანტირება იესოს შეეძლო, თუნდაც იმ სამუშაოდან გამომდინარე, რომლითაც ახლა მუდმივად იყო დაკავებული, როდესაც სხვა პერსპექტივა ჯერ არ ჩანდა. ამის გაგება ძნელი არ იქნებაო – საკმარისია გარკვეული ცდა ჩავატაროო და თუ გაამართლა, უფლის წყალობა გაცხადდებაო, თუ არა და არაო. ახლა კიდევ ერთი საკითხი რჩებოდა წინასწარ გადასაწყვეტი – არჩევანი. რაკიღა ღვთისგან უშუალოდ ვერაფერს შეიტყობდა, იესოს თვითონ უნდა გაერისკა და ძალმოსილების გამოვლენის სავარაუდო შესაძლებლობებს შორის ერთ-ერთი ამოერჩია, ისეთი, ძალიან ძნელიც რომ არ იქნებოდა აღსასრულებლად და არც ძალიან თვალში საცემი, მაგრამ მათთვის, ვისთვისაც მადლის ქმნას მოინდომებდა, მთლად შეუმჩნეველიც რომ არ დარჩენილიყო, რამეთუ ამ უკანასკელ შემთხვევაში უფლის დიდება იზარალებდა, რაც დაუშვებელი გახლდათ. მაინც ვერ ბედავდა – ეშინოდა, უფალი დამცინებს და დამამცირებსო, როგორც მაშინ, უდაბნოშიო, სირცხვილი მოკლავდა, პირველად რომ თქვა: აი, აქ ჩააგდეთ ბადეო, და ის ბადე ცარიელი აღმოჩენილიყო.

ამ ყველაფერზე ფიქრით ისე იყო გართული, რომ ერთ ღამეს დაესიზმრა, თითქოს ვიღაცამ ჩასჩურჩულა:

ნუ გეშინია, გახსოვდეს, უფალს სჭირდებიო, – მაგრამ გამოღვიძებული კვლავაც ყოყმანმა შეიპყრო, რამეთუ მრჩეველი შესაძლოა ერთი მრავალ ანგელოზთაგანი გამომდგარიყო, ზეცის შიკრიკი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ეშმათა მრავალრიცხოვანი ლეგიონიდანაც ყოფილიყო, სატანის ბრძანებათა აღმსრულებელი, ხოლო გვერდით მწოლ მაგდალელს ღრმად ეძინა და ცხადია, მას არ უჩურჩულია, ეს ვარაუდი იესომ დაუყონებლივ გამორიცხა.

აი, ამნაირად, უფრო სწორად კი – არანაირად მიდიოდა საქმე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, – არაფერზე რომ არ ეტყობოდა, რომ რითიმე განსაკუთრებული დღე იქნებოდა, – იესო ზღვაზე გავიდოდა, რათა უკვე ჩვეულებად ქცეული სასწაული ჩაედინა. ამინდი ფუჭდებოდა, ცაზე დაბლა გადმოკიდული ღრუბლები წვიმას აპირებდნენ, მაგრამ ასეთი წვრილმანის გამო მეთევზე ნაპირზე არ დარჩება, რამეთუ კაცობრიობის ცხოვრება მხოლოდ ნათელი დღეებისა და სიამოვნებებისგან როდი შედგება.

ისე მოხდა, რომ ამჯერად სიმონისა და ანდრიას ნავზე მოუწია ყოფნა – იმ ძმებისაზე, მისი პირველი სასწაულის მოწმეები რომ შეიქნენ, ხოლო მათ კვალდაკვალ, იმის იმედად, შორიახლო თუ ვიქნებით, სასწაულით ვისარგებლებთ და, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ნადავლს ჩვენც დავითრევთო, იაკობი და იოანე მიაცურებდნენ თავიანთ კარაპას, ზებედეს ძენი. ძლიერმა ქარმა ორივე ნავი ტბის შუაგულში გაიტაცა, მეთევზეებმა აფრები დაუშვეს და ბადე გაშალეს, რათა იქით მოესროლათ, სადაც იესო მიუთითებდა. ჰოდა, სწორედ ამ დროს დატრიალდა უბედურება – ფეხქვეშ კი არა, გამსკდარ და აალებულ მიწაზე, არამედ ციდან უეცრად მოვარდნილი შტორმის სახით, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თუ მოღრუბლულ, პირქუშ ცას არ ჩავთვლით, და, თითქოს და მართლა ზღვა არისო, ანძებს ასცდა აფოფრილი, ქარით მოტანილი ტალღები, კაკლის ნაჭუჭებივით ისროდნენ და აბზრიალებდნენ ნავებს, რომლებსაც საჭეები ვეღარ იმორჩილებდნენ და ვერაფრით ვერ ეწინააღმდეგებოდნენ გამძვინვარებული სტიქიის შემოტევას. ნაპირზე დარჩენილებმა – ცოლებმა, დედებმა, დებმა, და შედარებით თვინიერი ხასიათის მეთევზეთა თვით სიდედრებმაც კი, რომ დაინახეს, რა განსაცდელშიც ჩაცვენილიყვნენ უბედური, უმწეო მეთევზეები,

ხმამრავალი ყვირილი მორთეს, ისეთი განწირული ძახილი, გაუგებარიც კია, ზეცამდე როგორ ვერ აღწევდა: შვილო! ქმარო! ძმაო! სიძევ! წყეულიც იყავ, ზღვაო! – პაწია ბალღებმა კი, ჯერ ლაპარაკი რომ არ იცოდნენ, ამ გოდებას თავიანთი ღნავილი მიუმატეს. მარიამ მაგდალელიც იქ იყო და ჩურჩულებდა: იესო, იესოო, – მაგრამ განა ეშინოდა შეყვარებულის გამო, არა, რამეთუ იცოდა, რომ უფალს ჩვეულებრივ შტორმზე – უამრავ მეთევზეს რომ ხოცავს ხშირ-ხშირად, – უფრო უკეთესი რამ ექნებოდა იესოსთვის შემონახული, არა, იესოს სახელს მარიამი იმის გამო ჩურჩულებდა, იმედოვნებდა, ეგება შეძლო და ამ საწყლებს რამენაირად დაეხმაროო, ცუდად იყო იმათი საქმე.

ხოლო თვით იესომ, ირგვლივ ამ არეულობის და საშინელების შემყურემ, ბორტებზე გადმოხეთქილი ტალღების, წყლით გავსებული ბარკასების, დამსხვრეული ანძების, დახეული აფრების შემყურემ, ისეთი დაუნდობელი კოკისპირულის შემყურემ, ყოველგვარი ტალღების დაუხ-

მარებლად თვით საიმპერატორო გალერასაც რომ ფსკერზე ჩაძირავდა, მოკლედ, ყოველივე ამის შემყურემ თავის თავს უთხრა:

უსამართლობა იქნება, მე რომ გადავრჩე, ხოლო ჩემი თანამგზავრები კი დაიხრჩონ, ღმერთი მისაყვედურებს, გადარჩენა შეგეძლო, არ კი გადაარჩინეო, თითქოს მამაშენის ამბავი არ გეყოფოდაო! – და ამ მტანჯველი მოგონებისგან ზეზე წამოხტა, გეგონებოდათ, აქეთ-იქეთ მოქანავე გემბანზე კი არა, მყარ მიწაზე უდგას ფეხიო და ზღვას უბრძანა:

შესდექ! დამშვიდდი! – და სიტყვა დასრულებულიც არ ჰქონდა, შტორმი ჩანავლდა, ქარი ჩადგა, ღრუბელი გაიფანტა და მზე აკაშკაშდა ცაზე მარადიული დიდებით იმგვარად, როგორც ეჩვენებათ ხოლმე და ყოველთვის მოეჩვენებათ მათ, ვისაც მზესთან შედარებით უფრო ხანმოკლე სიცოცხლის ვადა აქვს მოზომილი ამ სამყაროში.

სიტყვით ვერ გადმოიცემა, რა ზეიმი ატყდა ბარკასებსა და ნაპირზე – ხვევნა-კოცნა, სიხარულის ცრემლები, – და თუკი აქ ჯერ არ იცოდნენ, რისი წყალობით შეწყდა ცის რისხვა ასე უეცრად, იქ ხომ ხელახლა დაბადებულნი ამგვარი სასწაულებრივი გადარჩენის გარდა საერთოდაც სხვა არაფერზე ჯერ არ ფიქრობდნენ, და თუკი მაინც გაიჟღერა სიტყვამ „სასწაული“, პირველ წამებში მისი ჩამდენი მაინდამაინც არც არავის გახსენებია.

მაგრამ, აი, ჩამოწვა დუმილი, სიმონის და ანდრიას კარაპას სხვა ნავები მიუახლოვდნენ და მეთევზეებს გაახსენდათ, ქარის ღრიალის და ქუხილის გადამფარავი ხმა, რომლითაც ითქვა: შესდექ! დამშვიდდი! – იმ კაცის ხმა, რომლის სიტყვითაც თევზი ბადეში ეხვეოდა, რომლის ნებითაც თვით არ იქცნენ თევზის საჭმელად. იესო მარჩხობზე ჩამოჯდა თავჩაქინდრული, რთულ, გაურკვეველ გრძნობას შეეპყრო – თითქოს აღმართი აევლო და უმაღლესი მთის მწვერვალზე ასულს, სცოდნოდა, ასვლას რომ ისევ სევდიანი დაღმასვლა სდევდა. მაგრამ ახლა გარშემორტყმული ხალხი მისგან სიტყვას ელოდა: შტორმის ჩაცხრომა, ქარის ალაგვმა, ტალღების დაშოშმინება საკმარისი როდი გახლდათ, ახლა საჭირო იყო აეხსნა, როგორ შეძლო მან, ჩვეულებრივმა ადამიანმა, გალილეველი დურგლის ვაჟმა ამის ჩადენა, როდესაც თვით უფალი

განზე გამდგარი ელოდებოდა, როდის შეჭამდა სიკვდილი ყველას. ადგა იესო და წარმოთქვა: რაც ახლა ნახეთ, მე არ მიქნია, ქარიშხალი მე კი არა, ღმერთმა შერისხა ჩემი სიტყვით, ჩემი ენა იარაღად გამოიყენა, როგორც უწინ წინასწარმეტყველთა პირით ლაპარაკობდა ხოლმე, ხო გახსოვთ? და თქვა სიმონმა: უფალმა ქარიშხალი რომ მოგვივლინა, მისი განდევნაც ხომ შეეძლო? ჩვენ გამუდმებით ვიმეორებდით: ღმერთმა მოგვცა, ღმერთი წაიღებს, მაგრამ შენი სიტყვის გაგონებაზე, შენი ნებით დაგვიბრუნდა სიცოცხლე ყველას, რომელსაც უკვე უფლის თვალში გამოვეთხოვეთ. კიდევ ერთხელ გეუბნებით: მე კი არა, ეს ღმერთმა ქნა.

თქვა იოანემ, ზებედეს უმცროსმა ძემ და ამ სიტყვებმა დაამტკიცეს, რომ არც ისე ბოთე და გონებასუსტი იყო ეს ბიჭი: რაღა თქმა უნდა, ეს ღმერთმა ქნა, ყოვლისმპყრობელმა და ყოვლადძლიერმა, მაგრამ ქნა შენით, საიდანაც გამომაქვს დასკვნა, რომ უფალს სურდა, რომ შენ გიცნოთ. ისედაც მიცნობთ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ საიდანღაც გაჩნდა კაცი, ჩვენს ნავებს რომ თევზით აღავსებს რაღაცნაირად. მე იესო ვარ, ნაზარეველი, დურგლის ვაჟი, რომაელებმა ჯვარს რომ აცვეს, თხისა და ცხვრის ფარას ვმწყემსავდი და ცხოვრებაში ამის მეტი არაფერი მე არ მინახავს, ახლა ვთევზაობ და ვიმედოვნებ, რომ სიკვდილამდე თქვენთან ვიქნები. და თქვა ანდრიამ, სიმონის ძმამ: შენ კი არა, ჩვენ დავრჩებით შენთან მარადის, რადგან თუკი შენ, როგორც ამბობ, უბრალო კაცი, აღჭურვილი ხარ ამგვარი ძალითა და ამ ძალისავე გამოყენების უნარითაც, მარტოობა ხომ შენთვის მძიმე ტვირთი იქნება. უთხრა იესომ: ეგრე იყოს, დარჩით ჩემთან, გულით თუ გინდათ და თუ გსურთ, რომ, იოანეს თქმისა არ იყოს, მიცნოთ, მაგრამ მოდი, არავის უთხრათ, რაც აქ მოხდა, რამეთუ ჯერ არ დამდგარა დრო, როცა უფალი დაადასტურებს თავის ნებას, რაც რომ ჩემში უნდა აღასრულოს. თქვა მაშინ იაკობმა, ზებედეს უფროსმა ძემ, რომელიც თავისი ძმის დარად სულაც არ გამოდგა გონებაჩლუნგი:

არ გეგონოს, რომ ამ ხალხს გააჩუმებ, ნაპირს გახედე, ხედავ, შენ გელოდებიან, რათა განგადიდონ, ყველაზე სულსწრაფები კი ნავებში ხტებიან და აქეთ მოცურავენ, მაგრამ ჩვენ ეგენი საიდუმლოს დაცვაზე კიდევაც რომ დავიყოლიოთ, დარწმუნებული ხარ, რომ უფალი ნებისმიერ

წამს, თუნდაც შენდა დაუკითხავად არ აღასრულებს შენში თავის ნებას და თავის არსებობას შენი საშუალებით არ გაამჟღავნებს?

იესომ ისევ ჩაქინდრა თავი და უპასუხა: ყველანი ღვთის ხელთა ვართ. შენ ჩვენზე მეტი ხარ, უთხრა სიმონმა, რადგან მან ამოგარჩია და ყველას გამჯობინა, მაგრამ ჩვენ შენთან ვიქნებით. ბოლომდე, თქვა იოანემ. სანამ არ გაგვაძევებ, თქვა ანდრიამ. სანამ ძალა არ გამოგვეცლება, თქვა იაკობმა. ამასობაში ნავები მოახლოვდნენ და შიგ მდგომი ადამიანები იესოს ხელს უქნევდნენ, გაისმა ხმამაღალი დიდებისა და დალოცვის სიტყვები, და მანაც, გარდაუვალთან შეგუებულმა, წარმოთქვა: რაც არის, არის, რახან თასი შევსებულია, ღვინო უნდა შეისვას კიდეც. მოსულთა შორის მაგდალელი არ უძებნია, იცოდა, ნაპირზე მელოდებაო, როგორც ყოველთვისო, და ამ მოლოდინის უცვლელობას ვერანაირი სასწაული ვერ შეარყევდა, და მადლიერი, მშვიდი სიხარულით აევსო გული. ნაპირზე რომ გავიდნენ, იესო გადაეხვია, ჩაეხუტა და არ გაკვირვებია, როცა ქალმა სახე სველ წვერზე მიადო და ყურში ჩასჩურჩულა: რას იზამ, ეს ომი უნდა წააგო, სამაგიეროდ, ყველა ბრძოლას მოიგებ, – და მერე, ხელჩაკიდებულნი იღებდნენ სალამს გარშემოხვეული ხალხისაგან, გამარჯვებული მხედართმთავრის დარად რომ ხვდებოდნენ იესოს,

პირველი მოგებული ბრძოლიდან დაბრუნებულს. მეგობრებთან ერთად მთებისკენ მკვეთრ აღმართს დაადგნენ, კაპერნაუმს მიაშურეს, სოფელს, სადაც სიმონი და ანდრია ცხოვრობდნენ. მათთან გაჩერდა ბინად.

ცამდე მართალი იყო იაკობი, რომ ამბობდა, იმედი ნუ გექნება, რომ ქარიშხლის სასწაულის შესახებ მისი უშუალო მოწმეების გარდა სხვა ვერავინ ვერაფერს გაიგებსო. რამდენიმე დღის შემდეგ მთელ იმ მხარეში სხვა აღარაფერზე ლაპარაკობდნენ, თუმცა ერთი უცნაურობა ერია ამ ამბავში: გალილეის ზღვა, როგორც გითხარით, პატარა გახლდათ, და დღის სინათლეზე შემაღლებული ადგილიდან მთლიანად ჩანდა, ერთი ბოლოდან მეორემდე, ერთი ნაპირიდან მეორემდე, მაგრამ, მაგალითად, ტიბერიადაში ქარიშხალი არავის დაუნახავს და როცა იქ ვინმე ჩადიოდა და ჰყვებოდა, აიო, ერთი კაცი კაპერნაუმელ მებადურებთან ერთად სათევზაოდ ზღვაზე გავიდა და ქარიშხალი ბრძანების სიტყვით

დააცხროო, მთხრობელს აწყვეტინებდნენ, რომელ ქარიშხალზე გველა-პარაკებიო, და იმასაც პირში ენა უვარდებოდა. თუმცა ქარიშხალი რომ ნამდვილად იყო, საეჭვო სულაც არ გახლდათ, რამეთუ უამრავი მოწმე ადასტურებდა და იფიცებოდა, დაღუპვის პირას მისული მეთევზეები ჩვენი თვალით ვიხილეთ, რადგან ამ დროს ნაპირზე ვიდექითო, მათ შორის იყვნენ სათედელი და კანელი ვაჭრები, რომლებიც იქ საქმეებს ჩაეყვანა. სწორედ მათ მოსდეს მთელ ქვეყანას ეს ახალი ამბავი, და თან, რასაკვირველია, საკუთარი წარმოსახვითაც გვარიანად შეალამაზეს, რის გამოც, როგორ ეს ჩვეულებრივად ემართება ხოლმე ახალ ამბებს, რაც მეტი დრო გადიოდა, რაც მეტად შორდებოდა ცნობა ხდომილების ადგილმდებარეობას, მით მეტად არადამაჯერებელი ხდებოდა, და ამიტომაც, როცა ბოლოს და ბოლოს ნაზარეთშიც ჩააღწია, ვეღარავინ იტყოდა, ნამდვილად სასწაული მომხდარიყო თუ ბედნიერი დამთხვევის წყალობით სიტყვა ქარივით სწორედ მაშინ გამოფრენილიყო – კიდევ კარგი, ქარმა სულ რომ არ წაიღო, – როცა იმ ქარს ქროლვა მოჰბეზრებოდა.

მაგრამ დედის გული არ მოტყუვდება და მარიამმა ყური მოჰკრა თუ არა ამ საეჭვო სასწაულის გამოძახილს, მყისვე დარწმუნდა: სასწაულს ჩემი შვილი მოახდენდაო. მწარედ ტიროდა კუთხეში მიყუჟული, თავს იდანაშაულებდა, ამპარტავნებით მოვერიდე იესოს თვალში დამცირებას, ანგელოზის მოვლინებას და აშკარა ნიშნებზე არაფერი ვუთხარი და გულუბრყვილო იმედი მქონდა, ათიოდე აბდაუბდა სიტყვის წყალობით სახლიდან წასულ გულმოკლულ შვილს უკან იოლად მოვაბრუნებდიო. ყველაფერთან ერთად, მარიამს ისეთი არავინ ჰყავდა, ვისაც დარდსა და ვარამს გაუმხელდა: ლიზია იმ დროისთვის გათხოვილიყო და გალილეის კანაში ცხოვრობდა; იაკობთან დალაპარაკებას ვერ ბედავდა – იმას აქამდე ცოფი უვლიდა, როცა კი ძმასთან და მის თანამგზავრ ქალთან შეხვედრა ახსენდებოდა. დედად ერგებაო, ცხოვრებაგამოვლილი ქალია და მარტო ცხოვრების გამოცდილება კი არა აქვს დაგროვილი, იმ საქმისაცო, რაზეც ლაპარაკიც კი უხერხულიაო! – გაჰყვიროდა და, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ამ საქმეში თვითონ მისი გამოცდილება უკიდურესად მწირი გახლდათ და ამ დანაკლისის შევსება იმგვარ

მიყრუებულში, როგორიც ნაზარეთი იყო, სრულიად შეუძლებელი ჩანდა. ასე რომ, მარიამი სულს იოსებთან საუბრით ითქვამდა, არა მარტო სახელით, გარეგნობითაც რომ განსვენებულ ქმარს აგონებდა, მაგრამ ბიჭი დედის დამშვიდებას ვერ ახერხებდა: რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით, დედაჩემო, ჰოდა, მეც კი,

იესოს ნახვისა და მოსმენის შემდეგ ძალიან მეშინია, რომ სამუდამოდაა წასული ჩვენგან და იქიდან, სადაც ახლა იმყოფება, დასაბრუნებელი გზა არ არსებობსო. გაიგე, რომ ამბობენ, ქარიშხალს უბრძანა და დააშოშმინაო? მეთევზეებმა პირადად მითხრეს, თევზებს უბრძანებს და ისინიც ბადეში მიექანებიანო. აბა, ანგელოზი ტყუილს ხომ არ იტყოდა. ვინ ანგელოზი? – ჰკითხა იოსებმა და მაშინ მარიამმა ყველაფერი უამბო, მაწანწალის მოკაკუნებით დაწყებული, თასში რომ მანათობელი მიწა ჩაყარა და დასიზმრებული ანგელოზით დამთავრებული.

ეს საუბარი შინ როდი ჰქონდათ, მრავალსულიან ოჯახში ეს უბრალოდ შეუძლებელიც კი იყო – აქაურები, თუ უნდოდათ ერთმანეთთან შეუფერხებლად ელაპარაკათ, ჩვეულებრივ უდაბნოში გადიოდნენ, სადაც ხანდახან თვით ღმერთსაც კი ხვდებოდნენ ხოლმე. ჰოდა, ასე საუბრობდა დედა-შვილი და უეცრად იოსებმა შორს, ბორცვის ფერდობზე, საითკენაც მარიამი ზურგშექცევით იჯდა, ცხვრისა და თხის ფარა დაინახა თავისი მწყემსითურთ. იოსებს ფარა არცთუ მრავალრიცხოვანი ეჩვენა, მწყემსი – არც ისე მაღალი, ამიტომ დედას არაფერი უთხრა. თუმცაღა, როცა მარიამმა თქვა, ალბათ იესოს მეტად ვეღარასოდეს ვნახავო, იოსებმა უპასუხა: ეგრე ნუ იტყვიო.

მართალიც აღმოჩნდა. დაახლოებით ერთი წელი რომ გავიდა, ლიზიამ დედამისი მამამთილისა და დედამთილის სახელით თავისი მულის ქორწილში, კანაში მიიპატიჟა, თან შემოუთვალა, ვინც გსურდეს, ჩამოიყვანე – მოხარული ვიქნებითო. მარიამს, როგორც მიწვეულ სტუმარს, უფლება ჰქონდა გადაეწყვიტა, ვის წაიყვანდა, მაგრამ არ უნდოდა მასპინძლები მეტისმეტად შეეწუხებინა, ვაიდა, მერე ეთქვათ: აი, მთელი ჯალაბით მობრძანებულაო, – მოგეხსენებათ, წვრილშვილიანი ქვრივები ასეთ საკითხებში მუდამ მორიდებით იქცევიან ხოლმე, – და ამიტომ გადაწყვიტა მხოლოდ ორი შვილი წაეყვანა: იმჟამინდელი ნე-

ბიერა იოსები და ასული ლიდია, რომელიც სწორედ იმ ასაკში იყო, განსაკუთრებით რომ უყვართ ზეიმი და გართობა. კანა ნაზარეთთან ახლოა – ერთი საათის სავალზე, ხოლო შემოდგომის ამგვარ მსუბუქ დღეს გასეირნებას თუნდაც გზის ბოლოს ქორწილიც რომ არ ყოფილიყო, რა აჯობებდა?!

უთენია დაიძრნენ, რადგან მარიამს სურდა, მასპინძლებს ბოლო სამზადისში დახმარებოდა, ხომ ცნობილია, რომ რაც მეტ სტუმარს დავპატიჟებთ, მით მეტი საზრუნავი გვექნება. დედას, ძმასა და უმცროს დაიკოს გახარებული ლიზია შემოეგება, ატყდა შეკითხვები, მაგრამ, რაკიღა საქმე არ ითმენდა, ლიზიამ დედა სასიძოს სახლში წაიყვანა, სადაც, ტრადიციისამებრ, საქორწილო სუფრა უნდა გაშლილიყო, რათა იქ ხარშვაში, ტრუსვასა და შეწვაში სხვა დედაკაცებს მიხმარებოდა. იოსები და ლიდია ეზოში დარჩნენ თანატოლებთან, ბიჭებმა თამაში წამოიწყეს, გოგონებმა – ცეკვა, და ასე გავიდა დრო ცერემონიის დაწყებამდე. მერე კი ყველა, სქესის განურჩევლად, კვალში ჩაუდგნენ სიძის მაყრებს, რომლებსაც, წესისამებრ, ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ, თუმცა კი კაშკაშა დილა იდგა, მაგრამ ეს კელაპტრები მიანიშნებდნენ, რომ მზეს რაგინდ უხვი სინათლე ეფრქვია, კიდევ მეტი, თუნდაც ასეთი მკრთალი და სუსტი შუქის მიშველება საქმეს არ წაახდენდა. მეზობლები ქუჩაში გამოეფინნენ, სიძეს სიხარულით მიეგებნენ, თუმც კი ლოცვა-კურთხევის ძირითად წილს იმ დროისთვის ინახავდნენ, როდესაც სიძე პატარძალთან ერთად უკანგზობას ჩამოივლიდა. რაც მერე მოხდა, იოსებმა და ლიდიამ იმის ნახვა ვეღარ

შეძლეს, რაც, სხვათა შორის, ძალიანაც არ უნაღვლიათ, რადგან სანახავი დიდად არა იყო რა: სულ ცოტა ხნის წინ არ გათხოვდა მათი დაიკო? ჰოდა, სულ წვრილად იცოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო: სიძე პატარძლის კარზე მიაკაკუნებს, სთხოვს, გამოდი, დამენახეო, პატარძალი გამობრძანდება, დაქალებით გარემოცული, რომლებსაც ხელში ჩირაღდნები კი არ ეჭირებათ, – რამეთუ ჩირაღდნების ზომასა და სიკაშკაშეს კაცი უფრო შეეფერება, – არამედ, როგორც ქალთა წესია, მოკრძალებული სანათურები, მოკლედ, ჩვეულებრივი ჭრაქები; ისიც იცოდა და-ძმამ, როგორც კი პატარძალი ზღურბლზე გადმოვა, სიძე პირსაბურავს ახდის

და აღტაცებულ-გაოგნებული ამოიოხრებს, ოჰ, რა საუნჯე მრგებიაო, გეგონება, ნიშნობის მერე თორმეტი თვის განმავლობაში ათასჯერ მაინც არ ენახოს თავისი ტურფა, არ წოლილიყოს მასთან ერთად, რამდენჯერაც მოესურვებოდა. მოკლედ, ეს ყველაფერი იოსებმა და ლიდიამ ვერ დაინახეს, და აი, რატომ: ბიჭმა შემთხვევით სულ სხვა მხარეს გაიხედა და ქუჩის სიღრმეში დაინახა ქალი და კაცი და ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს ხელახლა დაიბადაო, იცნო თავისი უფროსი ძმა და მის გვერდით სწორედ ის ქალი, იაკობთან ერთად რომ შეხვდა მაშინ ზღვის პირას. დას შესძახა:

ნახე, ჩვენი იესო მოდის! – და ორივენი ელვის სისწრაფით გაიქცნენ მისკენ, მაგრამ იოსები უცებ შეჩერდა, გაირინდა, რადგან დედა გაახსენდა, გაახსენდა, როგორ მკაცრად ელაპარაკა მაშინ იესო, თუმცა საქმე იაკობსა და იოსებში კი არ იყო, არამედ დედის დანაბარებში და გაიფიქრა, მოდი, იესოს მერე ავუხსნი, ასე რატომ მოვიქეციო, შეტრიალდა და უკან წავიდა. სანამ კუთხეს მოეფარებოდა, მობრუნდა და ეჭვის გველმა დაგესლა ძმასთან ჩახუტებული ლიდიას დანახვაზე, იესოს სახეს რომ უკოცნიდა, თანამგზავრები კი ღიმილით შეჰყურებდნენ. სიმწრის ცრემლებით ავსებული თვალებით ვეღარაფერი დაინახა და ისევ გაიქცა, ჭიშკარში შეფრინდა, ხტუნვა-ხტუნვით, ძირს გაშლილ-გაწყობილ სუფრებზე რომ არ დაებიჯებინა, ეზო გადაჭრა და დაიძახა: დედა! – და რა კარგია, თითოეულ ჩვენგანს რომ საკუთარი ხმა გვაქვს ბოძებული: იქ მოფუსფუსე მრავალ ქალთაგან მხოლოდ მარიამი შემოტრიალდა, ერთი შეხედა და მიხვდა, ახლა იტყვის: იესოო! – მანამ მიხვდა, სანამ სიტყვა გაიჟღერებდა. გაფითრდა, გაწითლდა, გაიღიმა, მოიღუშა, ისევ გაფითრდა და ბოლოს გულზე იტაცა ხელი, თითქოს ისინჯავს, ადგილზეა თუ არაო, და ორი ნაბიჯი გადადგა უკან, თითქოს კედელს დაეჯახაო. ვისთანაა? – იკითხა დარწმუნებულმა, მარტო არ მოვიდოდაო. ვიღაც ქალი და კაცია და ჩვენი ლიდიაც იქაა. ის ქალია? ისაა, კაცს კი პირველად ვხედავ. ამ დროს ლიზია მოუახლოვდათ, ეჭვი არაფერზე აუღია, ისე იკითხა: რა მოხდაო?

შენი ძმა მოვიდა ქორწილში. იესო? ჰო, იოსებმა ნახა. ლიზია არც შეშფოთებულა, არ დაბნეულა დედამისივით, მხოლოდ სახე გაუნათა

ღიმილმა, რომელსაც, თუ გავრისკავთ, შეგვიძლია უსასრულო ღიმილი ვუწოდოთ, და ძლივსგასაგონად წარმოთქვა: ძმაო, – უგულოებს კი განვუმარტოთ, რომ ეს ღიმილი და ეს სიტყვა აღფრთოვანების ღირსი გახლავთ. წავიდეთ, შევხვდეთ, თქვა ლიზიამ. შენ წადი, მე აქ დავრჩებიო, თქვა მარიამმა, გეგონებოდათ, თავს იცავსო, მერე იოსებს დაავალა, შენც გაჰყევიო. მაგრამ იოსებს არ მოუნდა ძმის მკლავებში უმცროსი დის შემდგომ ჩავარდნა; ხოლო ლიზიას მარტო წასვლა ვერ გადაეწყვიტა და საბოლოოდ სამივენი ადგილზე დარჩნენ, ბრალდებულებს მიაგავდნენ, სასამართლოში განაჩენის მომლოდინეებს, მოსამართლის მოწყალების დიდი იმედიც რომ არა აქვთ, თუკი საერთოდ მართებულია, ამ შემთხვევაში გამოთქმები „მოსამართლე“ და „მოწყალება“ გამოვიყენოთ.

ლიდია ხელში აეყვანა და ასე გამოჩნდა კარში იესო, მაგდალელი მოსდევდა კვალში, მაგრამ პირველმა ზღურბლს ანდრიამ გადმოაბიჯა, რამეთუ სწორედ მას მოეყვანა იესო და მაგდალელი ამ ქორწილში, რადგანაც სიძის უახლოესი ნათესავი ყოფილიყო, რაც იმავ წამს ცხადი გახდა, როცა გულთბილად შეეგებნენ, ხოლო მან კი უთხრა: არა, სიმონმა ვერ მოახერხა წამოსვლა, – და სანამ ერთნი ამ შეხვედრის გამო ხარობდნენ, მეორენი ერთმანეთს ისე უყურებდნენ, თითქოს უფსკრული აშორებდათ ერთიმეორეს და ვერ გაეგოთ, პირველს ვის უნდა შეედგა ფეხი ვიწრო და არასაიმედო ხიდზე, რომელიც, კიდევ კარგი, რომ არსებობდა ამ უფსკრულის გადასალახად. აქ რომელიღაც პოეტის მსგავსად არ მოვყვებით იმის მტკიცებას, ბავშვები რომ ყველაზე კარგები არიან ამქვეყნად, მაგრამ ხშირად კი ხდება ხოლმე, რომ სწორედაც ბავშვების წყალობით ახერხებენ უფროსები ღირსების შეუბღალავად გადადგან პირველი და ყველაზე ძნელი ნაბიჯი, თუნდაც მერე გაირკვეს, რომ ის ნაბიჯი სწორი არ იყო. ჰოდა, ლიდია იესოს ხელთაგან დასხლტა, დედასთან მიირბინა და შემდეგ, როგორც მარიონეტების თეატრში ხდება ხოლმე, სადაც ერთი მოძრაობა მეორეს შობს და ორივე ერთად კი – მესამეს, იესო მიუახლოვდა და უფერული, ყოველგვარი გრძნობებისგან დაცლილი თავაზიანობით მიესალმა დედას, ძმასა და დას. შემდეგ კი გზა განაგრძო და უკან მოიტოვა მარილის სვეტად გადაქცეული მარიამი, დაბნეული იოსები და ლიზია. მარიამ მაგდალელი მიჰყვა და როცა მარიამ ნაზარეველს

გაუსწორდა, ამ ორმა ქალმა – ერთმა – პატიოსანმა, და მეორემ – ნაკახპარმა, ერთმანეთს თვალებში შეხედეს, არც მტრულად, არც ზიზღით, მხოლოდ რაღაც უცნაური მადლიერებით, მნიშვნელოვანი და საიდუმლო საქმის თანამზრახველებს რომ შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ და ამ მადლიერების წვდომასა და შეფასებას მხოლოდ ის მოახერხებს, ვისაც ქალის გულის დახლართული ლაბირინთები ზედმიწევნით შეუსწავლია. საქორწინო მსვლელობა ახლოსღა იყო, ძახილი და ტაში ისმოდა, ჰაერს არხევდა დაირების ჟრჟოლა-ბუბუნი, სიმების წვრილი, გრძელი ჟღერა, მოცეკვავეთა რიტმული ბიჯი და მრავალხმოვანი საუბარი, ხოლო მერე ჯერ ხალხით აივსო ეზო, მერე კი მოლოცვებისა და ტაშისკვრის ტალღამ ახლადდაქორწინებულთა წყვილიც შემოაფრიალა, მომლოდინე მშობლებისკენ გაემართნენ კურთხევისათვის.

მარიამმაც დალოცა ისინი, როგორც ახლახან თავისი ლიზია დალოცა, რამეთუ ახლაც, როგორც მაშინ, არც ქმარი ახლდა, არც უფროსი ვაჟიშვილი, ეს უფლება რომ დაეთმო. სუფრას მიუსხდნენ და იესოს საპატიო ადგილი შესთავაზეს, რამეთუ ანდრიას უკვე მოესწრო ახლობლებისთვის ჩაჩურჩულება, ეს ის კაცია, თევზი და ქარი რომ მორჩილებსო, მაგრამ იესომ უარი თქვა და მოშორებით, კუთხეში დაჯდა. მაგდალელი მოემსახურა, ვისთვისაც არავის უკითხავს, ვინ ბრძანდები და საიდანო, ხანდახან ლიზიაც მიდიოდა და იესო ორივე ქალის ზრუნვას ერთნაირად იფერებდა. მარიამიც ეზოდან სამზარეულოში წინ და უკან სიარულისას არაერთხელ შეეყარა მაგდალელს, კვლავაც შეთქმულებრივ მზერას უცვლიდნენ ერთიმეორეს და მანამ არაფერი უთქვამთ, სანამ იესოს დედამ არ ანიშნა, ეზოს მეორე ბოლოში გამომყევიო, იქ კი ყოველგვარი მიეთმოეთის გარეშე შეევედრა: გაუფრთხილდი, ანგელოზმა მითხრა, დიდი გამოცდა ელის წინო, ხოლო მე კი ვერ ვარ მის გვერდით. გავუფრთხილდები, სიცოცხლეს მივცემ, თუ ჩემს სიცოცხლეს რამე ფასი აქვს. რა გქვია? მარიამ მაგდალელი, მეძავი ვიყავი, სანამ შენს შვილს შევხვდებოდი. მარიამმა არ უპასუხა, რადგან თავში განვლილი მოვლენები შესაბამისად ჩაუმწკრივდა – ფული, ტუნიკის გამოკვანძული კიდე, იესოს ნართაული სიტყვები, ახლა უკვე გასაგები რომ გამხდარიყვნენ, იაკობის

გაღიზიანებით მონათხრობი მისი ძმის თანამგზავრი ქალის შესახებ, და როდესაც ბოლოს და ბოლოს ყველაფერი სწორად დალაგდა, თქვა:

დამილოცნიხარ, მარიამ მაგდალელო, იმ სიკეთისთვის, რომელიც ჩემს შვილს მიაგე, დამილოცნიხარ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. მაგდალელი მიუახლოვდა, უნდოდა პატივისცემის ნიშნად მხარზე ეკოცნა, მაგრამ მეორე მარიამმა ხელები გაიწოდა, თავისკენ მიიზიდა და ასე იდგნენ ჩახვეულები, ოღონდ ცოტა ხანს, რადგანაც საქმეები ჰქონდათ მისახედი.

გრძელდებოდა ლხინი, ულევად მოდიოდა ნაირ-ნაირი კერძები, იღვრებოდა ღვინო კოკებიდან, მხიარულება გამოსავალს სიმღერებსა და ცეკვა-თამაშში პოულობდა, მაგრამ უეცრად საგანგაშო ამბავი, მასპინძლის მიერ მერიქიფეებისთვის ნათქვამი – ღვინო თავდებაო, – ჩამოქცეული ბანივით დაატყდათ თავზე. რაღა ვქნათ ახლა, აჩურჩულდნენ დაბნეულები, სტუმრებს რა პირით ვუთხრათ ეს ამბავი, ხვალ მთელ კანაში სალაპარაკო სხვა არაფერი იქნება. ვაი, შვილო, აწუწუნდა პატარძლის დედა, რა საშინელი დღე მოგელის, რა დაცინვის კორიანტელი: ქორწილზევე რომ გამოილევა ღვინის მარაგი, მერე და მერე რაღა იქნება, ეს სირცხვილი ნეტავ რით დავიმსახურეთ, ვერაფერს იტყვი, კარგად იწყება შენი ცხოვრება ამ ოჯახში.

სუფრაზე კი ამასობაში ბოლო წვეთები ჩამოიცალა და ყველაზე მოუთმენელი მოქეიფენი აქეთ-იქით იყურებოდნენ, ეგება ვინმემ ჩამოგვისხასო და მარიამმა, თუმც სულ ახლახან სხვა ქალს გადააბარა ყოველივე, რაზეც იესომ უარი უთხრა – ზრუნვა, მოვლა, მოვალეობა, – უეცრად, თითქოს ელვა გაკრთა გონებაშიო, მოინდომა, რომ თვითონ ჰქონოდა შვილის სასწაულმოქმედების მტკიცებულება, რომ საბოლოოდ დარწმუნებულს სამუდამოდ დაეხურა სახლის კარიც და საკUთარი პირიც, როგორც შეშვენის იმას, ვისაც თავისი ამქვეყნიური დანიშნულება პირნათლად აღუსრულებია და ახლა ელის, როდის წაიყვანს ზეციერი საიქიოში. თვალებით მაგდალელი მონახა, მან კი თანხმობის ნიშნად წამწამები ნელა დახარა, ჰოდა, დედა აღარ დაყოვნდა, მივიდა შვილთან, დარწმუნებულმა, – რომ გამიგოს, დაწვრილებით ყველაფრის თქმა

საჭირო სულაც არ არისო, – წაუჩურჩულა; ღვინო გათავდა. იესო ნელა მოტრიალდა დედამისისკენ, ისე შეხედა, თითქოს სიტყვები სადღაც შორიდან ჩაესმაო და შეეკითხა: მერე მე და შენ რა, ქალო? – და სწორედ ეს უხეში სიტყვები ესმათ ახლოს მსხდომ სტუმრებს, შორიახლოსაც: შვილი დედასთან, ვინც ქვეყანაზე გააჩინა, ასე ლაპარაკს როგორ კადრულობს და როგორ ბედავსო, მაგრამ მომდევნო გაოცებებმა, გაოგნებებმა, დაეჭვებებმა, დროის, სივრცისა და ნებელობის გადახლართვამ იმდენი ქნა, რომ ეცდებიან ეს სიტყვები სულ სხვაგვარად გადაამღერონ, გადაგვითარგმნონ, განგვიმარტონ, გადაგვიკომენტარონ და გადაგვიაზრონ, რათა პირწმინდად გამოდევნონ ამ სიტყვებიდან უხეშობა და გულქვაობა, და მეტიც, თუკი გამოუვათ, ისე გააწყონ, ვითომცდა სულაც არ წარმოთქმულან, თუ არ გამოვა – ისეთი აზრი ჩააქსოვონ, რომ ნათქვამის შინაარსი წინაუკმო მოატრიალონ და წლებისა და ასწლეულების შემდგომ ისე დაწერონ და ილაპარაკონ, ვითომცდა მაშინ იესოს ეთქვას: მაგ წვრილმანისთვის რად მაწუხებ? ან ასე: აბა, ეგ მე რაში მეკითხება? ან ასე: შენ მაგ საქმეში რატომ ერევი? ანდა: თქმა რად მინდა, თვით ვხედავ და თვითვე მივხედავ, ანდა: რატომ აქამდე არ მითხარი, ხომ იცი, რომ ყველა შენს სურვილს

შევასრულებ, ანდა: ისე ვიზამ, როგორც შენ მეტყვი, ჩვენ შორის რაა საკამათო, დედავ, ძვირფასო. მარიამმა მკერდით მიიღო დარტყმა, შვილის უარმყოფელ მზერასაც გაუძლო და უკან დასახევი გზა მოუჭრა იესოს, მსახურებს უთხრა: რასაც ეს კაცი გეტყვით, გააკეთეთო. იესო ხედავდა, როგორ განშორდა დედამისი, მაგრამ ხმა არ გაუღია, არც ხელი გაუწვდია მის დასაკავებლად, რადგანაც მიხვდა: ღმერთი ახლა დედაჩემსაც ისე იყენებს, როგორც მანამდე ქარიშხალი, კიდევ უფრო ადრე კი – მეთევზეების საჭიროება გამოიყენაო.

ჭიქა ასწია, რომლის ფსკერზე სულ ცოტა ღვინო დარჩენილიყო და მსახურებს უთხრა: ჭურჭელი წყლით აავსეთო, – იქვე მდებარე ქვის სარწყულებზე ანიშნა, იუდეური განწმენდის წესისამებრ ორ ან სამ საწყაოს რომ იტევდა და მსახურებმაც წყლით გაავსეს პირთამდე.

აქ მომიტანეთ, თქვა და თითოეულ ჭურჭელში რამდენიმე წვეთი ღვინო ჩაასხა თავისი ჭიქიდან. ახლა კი ამოიღეთ და თამადას მიარ-

თვით. იმან კი, რომ არც იცოდა, ეს ჭურჭელი საიდან და რატომ მოუტანეს, წყალი გასინჯა, შიგ რომ ის წვეთი ღვინო უკვალოდ გამქრალიყო, წყალი მოსვა, სიძეს უხმო და უთხრა: ყოველი კაცი ჯერ კარგ ღვინოს გამოიტანს, ხოლო როცა დათვრებიან, მერე უარესს, შენ კი კარგი ღვინო ბოლოსთვის შემოგინახავსო. ხოლო სიძეს არადროს ენახა, რომ ამ ჭურჭელში ღვინო სხმულიყოს და საერთოდაც არ იცოდა, სასმელი რომ აღარ ჰქონდათ, მანაც გასინჯა ღვინო და მოჩვენებითი თავმდაბლობით, ვითომცდა იმაში გეთანხმები, რაც ისედაც მშვენივრად ვიცოდიო, თავი მოწონების ნიშნად დააკანტურა, აქაოდა, მართლაც უმაღლესი ხარისხის ღვინო მაქვს, ასე ვთქვათ, ნამდვილი ვინტაჟია, აბა როგორო. კიდევ კარგი, ხალხის, ანუ ამ შემთხვევაში მსახურების ხმამ იმარჯვა, რომლებმაც მეორე დღესვე ქვეყანას მოსდეს ეს ამბავი, თორემ ამ სასწაულის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა, რაც იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ არავითარი სასწაული არც მომხდარიყო, რამეთუ თამადას წარმოდგენაც კი არ ჰქონია, ღვინოდ წყალი თუ იყო გადაქცეული, სიძე, ბუნებრივია, სიამოვნებით მიიწერდა სხვის ნამოქმედარს, ხოლო იესო ის კაცი არ იყო, აქეთ-იქით ტრაბახი დაეწყო, აი, ასეთი და ისეთი სასწაულები მოვახდინეო, მაგდალელი, რომელიც დასაწყისიდანვე ჩაება ამ ინტრიგაში, ამაზე საუბარს არ აპირებდა, მარიამი ხომ – მით უმეტეს, რადგან მთავარი, უმთავრესი ამბავი მის შვილსა და მას შორის მოხდა, სხვა დანარჩენი კი ამის უბრალო დამატება გახლდათ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, დანამატი, დანამატი, რომლითაც – და ამას იმ ქორწილის სტუმრები დაგვიდასტურებენ, – ჭიქები პირთამდე შეივსო.

მარიამსა და მის ვაჟს მეტად არასოდეს უსაუბრიათ. მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე იესო და მაგდალელი ახლობლებთან დაუმშვიდობებლად წავიდნენ კანადან ტიბერიადის გზით. იოსებმა და ლიდიამ მალულად მიაცილეს სოფლის ბოლომდე და თვალს აყოლებდნენ, სანამ ისინი მოსახვევში არ გაუჩინარდნენ.

19* * *

და მერე კი დიადი მოლოდინის დროც მოვიდა. ნიშნები, რომლებითაც ღმერთი აქამდე იესოში თავის არსებობას ამჟღავნებდა, პატარა შინაური სასწაულები გახლდნენ, იმ თანრიგისა, რომ ამბობენ – „ხელების სიმარჯვე და არავითარი თაღლითობაო“ და არსებითად არ განსხვავდებოდნენ იმ ფოკუსებისა და ტრიუკებისგან, რომლებსაც, მართალია ასე მკაფიოდ და სუფთად არა, მაგრამ მაინც ავად თუ კარგად ასრულებენ აღმოსავლელი მაგები და ჯადოსნები, რომლებმაც იციან, მაგალითად, თოკის ზემოთ ასროლა და მერე მასზე აცოცება ისე, რომ ვერავინ ვერ ხედავს, თოკის წვერი კაუჭზე ხომ არ არის გამობმული, ან თანაშემწეს ხომ არ უჭირავს. იესო ასეთ რამეებს მოინდომებდა და გააკეთებდა, მაგრამ თუ ჰკითხავდით, რატომ და რისთვის, პასუხს ვერ გაგცემდათ, ანდა გეტყოდათ, ასეა საჭიროო, აბა, მეთევზეებს ნადავლის გარეშე ხომ არ დავტოვებო, სტუმრებს – ღვინის გარეშეო, რამეთუ ჯერ ის დრო არ დამდგარიყო, როცა უფალი მისი პირით ამეტყველდებოდა. გალილეის ქალაქებსა და სოფლებში სალაპარაკო გამხდარიყო ვინმე ნაზარეველი, რომლის მსგავსი ძალმოსილება კაცს შეიძლება მხოლოდ ღმერთმა მისცესო, ხოლო იესო არც უარყოფდა ამას, არც თავისი ნიჭის მიზეზებს ხსნიდა, არც მიდრეკილებებს, არც საფუძვლებს და ხალხიც იძულებული ხდებოდა, ცნობისწადილის დაუკმაყოფილებლად ესარგებლა მისი სიკეთით. რა თქმა უნდა, სიმონი და ანდრია, აგრეთვე ზებედეს ძეები ასე არ ფიქრობდნენ, მაგრამ ისინი ხომ იესოს მეგობრები იყვნენ და შიშობდნენ მის გამო. ყოველ დილით იესო შეკითხვით იღვიძებდა: დღეს? – უხმოდ კითხულობდა, თავისთვის, რამდენჯერმე ხმამაღლაც იკითხა მაგდალელის გასაგონად, ქალი კი დუმდა, ოხრავდა, მერე კისერზე ხელებს შემოაჭდობდა, შუბლსა და თვალებს უკოცნიდა, ის კი ღრმად შეისუნთქავდა ქალის მკერდის სურნელოვან სითბოს და ზოგჯერ ძილს შეიბრუნებდა, ზოგჯერ კი შემაღონებელ შფოთვას მის სხეულში ემალებოდა, შიგ ეხვეოდა, როგორც აბრეშუმის ჭიის ჭუპრები ეხვევიან პარკებში, საიდანაც მხოლოდ პეპლებად სახეცვლილნი და განახლებულნი გამოდიან. მერე ზღვაზე მიდიოდა, სადაც მებადურები ელოდნენ, ბევრი მათგანი ეუბნებოდა, ვერ გაგვიგია, რატომ საკუთარ ნავს არ გაიჩენ, ხომ შე-

გიძლია მომავალი შემოსავლის ხარჯზე იყიდო, მერე კი თვითონ ნახო მოგებაო.

ხანდახან ისე ხდებოდა ხოლმე, რომ ღია ზღვაში უმოქმედო მოლოდინი უწევდა, სანამ ნავზე ჰალსს გამოცვლიდნენ, ან დრეიფისას ან სხვა მანევრის შესრულებისას, რის გარეშეც თევზის ჭერა, თუნდაც სრულიად იოლი და უზრუნველი, ვერ მოხერხდება და ამ წუთებში იესოს გულისცემა უჩქარდებოდა, თუმცა მზერა ზეცისკენ როდი ჰქონდა მიმართული, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ღმერთი ბინადრობს, არამედ შეპყრობილივით ჩაჰყურებდა წყლის მშვიდ ზედაპირს, გალაქული ტყავივით რომ პრიალებდა, რაღაც საშინელს ელოდა თითქოს იმედიანად. როდის მოვა ჩვენი თევზი, ეკითხებოდნენ ასეთ წუთებში მეთევზეები, როდის გაიგებ ხმას წყალქვეშიდან, მაგრამ იესო არ ჩქარობდა. სრულდებოდა თევზის ჭერა და დამძიმებული კარაპა ნაპირს მიადგებოდა, ხოლო იესო – და მის კვალზე მაგდალელი – თავჩაქინდრული მილასლასებდა სანაპიროზე და ელოდა, ახლა კიდევ ვის სჭირდება დავეხმაროო.

კვირა კვირას მისდევდა, თვე – თვეს, მერე და მერე კი წლები წლებსაც, ცვლილებები კი მხოლოდ ტიბერიადას ემჩნეოდა – შენდებოდა ახალი სახლები, იზრდებოდა ქალაქის დიდება, ხოლო სხვაგან ყველგან ერთი და იმავე ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, მუდმივი და ჩვეული წესით ხდებოდა ყოველივე, ყოველ ზამთარს გეჩვენებოდა, მიწა ჩემს ხელზე სულს ღაფავსო, ხოლო ყოველ გაზაფხულზე – ცოცხლდებაო და სულ ტყუილად გეგონა ასე, რამეთუ მწარედ ცდებოდი და შეგრძნებები გატყუებდნენ, აბა, გაზაფხულს განა მართლა რა ძალა ჰქონდა.

მაგრამ ბოლოს მაინც მოვიდა ის წელიწადი და ის საათი, როცა ოცდახუთი წლის იესომ იგრძნო – სამყარო დაიძრა და ამოძრავდა – სულ ახალ-ახალი ნიშნები გამოჩნდა, ერთიმეორეს ისე მიეწყო, თითქოს ვიღაც დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობსო.

მართალი ითქვას, ამ ნიშანთაგან პირველი ნამდვილ და ჭეშმარიტ სასწაულად ვერც ჩაითვლება, რამეთუ ყოველგვარი ზებუნებრივი ჩანაფიქრის გარეშე იესო მიუახლოვდა სიმონის სიდედრის სარეცელს, რომელზედაც უცნობი წარმოშობის ცხელებით დასნეულებული ქალი იწვა,

ხელი დაადო შუბლზე, ისე, როგორც ამას მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფის მიმართ თანაგრძნობით აღვსილი ყოველი ჩვენგანი გააკეთებდა, და აზრადაც არ მოსვლია, რომ ამგვარი მარტივი ხერხით დაავადებული სხეულიდან სნეულება განედევნა, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ ღირსებია და ვერც ეღირსება იგრძნოს, თუ როგორ ეცემა პირდაპირ თითებქვეშ სიცხე, მიწაზე დაღვრილი წყალივით იწრიტება, და ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იხილავს, როგორ წამოხტება ამის მერე დედაკაცი სარეცლიდან, არცთუ შემთხვევით სიტყვებს წარმოთქვამს: ჩემი სიძის მეგობარი ჩემი მეგობარიცაა, მერე კი ისე გააგრძელებს დიასახლისობასა და ოჯახში ფუსფუსს, ვითომცდა აქ არაფერიო.

ასეთი აღმოჩნდა პირველი, ასე ვთქვათ საშინაო ნიშანი, მეორეზე კი, ვფიქრობ, დაწვრილებით შეჩერება გვმართებს, რამეთუ მასში გამომჟღავნდა, რომ ჩვენი იესო აშკარად და მოურიდებლად საყოველთაოდ კითხვადსა და შესრულებად წმინდა წერილს დაუპირისპირდა და შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით ამ გამოწვევას ბუნებრივი ადამიანური საფუძველი ჰქონოდა, რამეთუ იესო დაუქორწინებლად ცხოვრობდა მაგდალელთან, ყოფილ მეძავთან, და არაფერია გასაკვირი, რომ მრუშობაზე წასწრებული ქალის დამნახავმა, რომელიც მოსეს კანონის თანახმად უნდა ჩაექოლათ, დაიცვა იგი სიტყვებით: თქვენ შორის უცოდველმა პირველმა ესროლოს ქვაო, ანუ: მე თვითონაც, მრუშობის ცოდვაში ყელამდე რომ არ ვიყო ამოსვრილი, ცოდვილი აზრები და მისწრაფებები რომ არ გამაჩნდეს, მართლმსაჯულებას თქვენთან ერთად მეც კი აღვასრულებდიო. სერიოზულ რისკზე წავიდა: რომელიმე იმ მოხალისე ჯალათთაგანს, რომლის გულიც საბოლოოდ გაქვავებული აღმოჩნდებოდა, ხოლო სული – ცოდვაში ჩაკირული – ასეთი კი შესაძლოა არაერთი გამომდგარიყო, – თავისუფლად შეეძლო იესოს შეგონება ერთი ყურის გავლით მეორედან გაეშვა და განაჩენი მაინც აღესრულებინა, თუნდაც იმის საფუძველზე, კანონში ჩემზე კი არა, ქალებზეა ლაპარაკიო.

გამოუცდელ იესოს, ეტყობა, აზრად არ მოსვლია, რომ თუ გულზე ხელებს დავიკრებთ და ქვეყნიერებაზე

ყოვლად უცოდველი ადამიანების გამოჩენას დაველოდებით, რომლებიც, – მისი აზრით ხომ ასე გამოდიოდა,– ექსკლუზიურად ფლობენ

სხვათა განკითხვისა და დასჯის მორალურ უფლებას, მაშინ, ვშიშობ, რომ ამ ჩვენი უმოქმედობის პერიოდში მანკიერება უსაზღვროდ მოიმატებს, ცოდვა გაიფურჩქნება და კახპები ხან ერთს, ხან მეორეს, პირველ შემხვედრს და ყველას ზედიზედ დაუწვებიან, არადა ცოლქმრული ღალატი ხომ არ არის ერთადერთი ბიწი ამქვეყნად, ათასობით ცოდვა არსებობს, ერთმანეთზე ბინძური და საძაგელი, მათ შორის ისიც, რომლის გამოც უფალმა ცეცხლი და წუნწუხი აწვიმა სოდომსა და გომორს. ასე რომ, ჩემო საყვარელო ძმანო, ბოროტება, – სამყაროსთან ერთად დაბადებული და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სამყაროსთვის ბევრი სიბრძნის მიმწოდებელი, – ძალიან ჰგავს სახელგანთქმულ ფრინველ ფენიქსს, არავის არასდროს თვალით რომ არ უნახავს და რომელიც როგორც კი ცეცხლში დაიფერფლება, იმწუთშივე აღსდგება ხოლმე.

სიკეთე ნაზი და სათუთია და როგორც კი ბოროტება ყველაზე საზარელი ცოდვის ცხელ ოხშივარს სახეში შეასუნთქავს, წამსვე ქრება მისი სიწმინდე, ხუნდებიან და ჭკნებიან მისი შროშანისფერი ყვავილები, ხმება და ტყდება მისი ღერო. იესომ მემრუშე ქალს კი უთხრა ასე:

წადი და მეტად აღარ შესცოდოო, მაგრამ გულში ძალიანაც ეეჭვებოდა, რომ ის ქალი სწორედ ასე მოიქცეოდა. მეორე საყურადღებო შემთხვევა გალილეის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მოხდა, სადაც შევლასაც იესო ხანგამოშვებით საჭიროდ თვლიდა, რომ არ ეფიქრათ, მხოლოდ კაპერნაუმელ მებადურებზეა გადაყოლილიო. ჰოდა, უხმო იაკობსა და იოანეს და უთხრა: იქით ნაპირზე გადავცუროთ, ხადარის მხარეში, ვნახოთ, რა ხდება იქ, უკანა გზაზე კი თევზი დავიჭიროთ, რათა ტყუილი მგზავრობა არ გამოგვივიდესო.

ზებედეს ძეები დათანხმდნენ, ნავს გეზი მისცეს და ნიჩბებს მოუსვეს, იმედოვნებდნენ, შემხვედრი ქარი მიზანთან დაუბრკოლებლად მიგვიყვანსო. ასეც მოხდა, მაგრამ მალე ყველა შიშმა შეიპყრო, რამეთუ ისეთმა ქარიშხალმა დააპირა ამოვარდნა, რომ მასთან შედარებით ის – პირველი – წყნარ ნიავად მოგეჩვენებოდათ, მაგრამ იესომ, როგორც ცელქ ბავშვებს, წყალსა და გრიგალს შეუძახა, გაჩერდითო, და ზღვის ღელვა იმწამსვე ჩაცხრა, ქარმა კვლავაც საჭირო მხარეს დაუბერა, ზუსტად იმ ძალით, ნავს უსაფრთხოდ რომ გაეცურა.

ნაპირს მიადგნენ, გადმოვიდნენ: წინ იესო, უკან იოანე და იაკობი. ადრე ისინი ამ ადგილებში არასოდეს ყოფილიყვნენ, ყველაფერი ეუცხოებოდათ, მაგრამ ყველაზე გასაოცარი, გულგასახეთქი ორივეს წინ ელოდა – გზა გადაუჭრათ ტანმაღალმა ადამიანმა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ არსებას – ფუფხებითა და საძაგელი წყლულებით დაფარულს, თმაგაწეწილს, წვერდაძონძილს, აყროლებულს, – რამეთუ შემდგომ შეიტყვეს, რომ სამარხებში იმალებოდა მუდამ, როცა კი გაიქცეოდა ხოლმე, თუმც არაერთხელ შეუბორკავთ რკინის ჯაჭვებით, რომლებსაც წყვეტდა, ბორკილებს ლეწავდა და ვერავინ იყო მისი მომრჯულებელი.

ეს კაცი რომ უბრალოდ გიჟი ყოფილიყო, შეიძლებოდა, – თუმც ცნობილია, შეშლილებს, როცა წამოუვლით, ძალ-ღონე უორმაგდებათო, – ჰოდა, შეიძლებოდა-მეთქი, ვამბობ, უფრო მტკიცე გალიაში ჩაესვათ, უფრო მძიმე ჯაჭვებით შეეკრათ, მაგრამ იგი უწმინდურ სულს ჰყავდა შეპყრობილი, მას კი არაფრად ანაღვლებდა ჯაჭვები და ბორკილები და ამგვარები. და შეპყრობილიც დღედაღამ დაქროდა მთებში, თავისი თავი და საკუთარ ჩრდილი დასდევდა, მაგრამ ყოველთვის ბრუნდებოდა სასაფლაოზე, სადაც სამარხში იმალებოდა, სანამ იქიდან ძალით არ გამოათრევდნენ ხოლმე, – ზაფრას მოგგვრიდათ ეს ამბავი, რომ დაგენახათ. სწორედ ამ დროს შეხვდა იესო, მის დასაჭერად მოსულები ხელებს უქნევდნენ, გაიქეცი, თავს უშველეო, მაგრამ იესო ამ მხარეში სწორედ იმისთვის იყო მოსული, რომ ბედი გამოეცადა და საამისოდ გამოსადეგ არც ერთ შემთხვევას, ცხადია, არსად გაექცეოდა. იაკობსა და იოანეს კი შეეშინდათ, მაგრამ მეგობარს ლაჩრულად ხომ არ მიატოვებდნენ და ამიტომაც პირველებმა გაიგონეს ის სიტყვები, აქამდე რომ არავის უთქვამს და არც არავის გაუგონია და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, ამ სიტყვების წარმოთქმა და გაგონება საერთოდაც თუ იქნებოდა შესაძლებელი, რამეთუ ღვთისა და წმინდა წერილის აშკარა მტრობას გამოხატავდნენ, რაც ნათელი გახდება თქვენთვის, რადგანაც ახლავე მოგიყვებით. ეშმაკეულმა ღოჯები გამოაჩინა, ზედ რომ გახრწნილი ხორცის ბოჭკოები ეკიდა, ბრჭყალები გამოიშვირა, წამოვიდა და იესოს შიშისგან დაბურ-

ძგლა, მაგრამ ორ ნაბიჯზე რომ მოუახლოვდა, ძირს დაეცა და დაიღრიალა:

რა გინდა ჩემგან, იესო, მაღალი ღვთის ძეო, გემუდარები, ნუ მაწამებ. დიახ, პირველად, ცხადად და საჯაროდ – არა მავანის მარტოსულ სიზმრებში, რომელთა ჭეშმარიტებაც კეთილგონიერმა სკეპტიციზმმა მუდამ ეჭვის ქვეშ უნდა დააყენოს, – ხმა გაისმა – და ეშმაკის ხმა გახლდათ ეს ხმა – რომელმაც ყველას გასაგონად გამოაცხადა, იესო ნაზარეველი ძე ღვთისა არისო, რის შესახებაც თვითონ იესომაც არ იცოდა, რადგანაც უდაბნოში ღმერთთან საუბრისას მამობის თემას არ შეხებიან. მოვა დრო და დამჭირდებიო, ეს უთხრა და ეს, და მსგავსებითაც ვერ დაადგენდი მამაშვილობას, რადგან იესოს ღმერთი ორთქლის თუ კვამლის, – მოკლედ რომ ითქვას, ღრუბლის სვეტად ეჩვენა. ეშმაკეული იესოს ფერხთით იკლაკნებოდა, მისმა დამპყრობმა ეშმამ ღრიალით თქვა, რაც თქვა, და დადუმდა და იმავ წამს იესომ იგრძნო, თითქოს მასში საკუთარი თავი იცნოო, როგორ შემოსდიოდა ძალა, როგორ იპყრობდა და რომ ეს ძალა, სადღაც და რაღაცისკენ მიეზიდებოდა, საბოლოოდ კი – სამარისა და სიკვდილისკენ. იესომ ჰკითხა; რა გქვიაო? და მან მიუგო: ლეგიონიო, – რადგან მრავალი ეშმა იყო. მაშინ იესომ უბრძანა: გამოდი ამ ადამიანიდან, უწმინდურო სულოო, და სიტყვაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, იხუვლეს ეშმაკებმა, მრავალხმოვნად აღრიალდნენ, გაისმოდა გამყინავი და წვრილი ხმები, უხეში და ჩახრინწულიც, ქალის ხმასავით ალერსიანიც და ღრჭიალაც, თითქოს ხერხი ქვას გაუსვესო, დამცინავი და სალანძღავიც და მლიქვნელურად, მათხოვრულად დამცირებულიც, ქედმაღლურიც და საწყალობელიც და ბავშვურად მოტიკტიკეც, თითქოსდა პირველ სიტყვას წარმოთქვამდა ახალშობილი და მკვნესარიც, თითქოს მწვავე ტკივილებისგან, და მხეცის მსგავსი ყმუილისაც – და ყველა ეს ხმა იესოს სთხოვდა, არ გაგვასახლო ამ ქვეყნიდანო, საკმარისია გვიბრძანოო და ამ უბედური კაცისაგან მყის გამოვალთო, ოღონდაც აქედან ნუ განგვდევნიო.

ჰკითხა იესომ: სად გნებავთ ყოფნა? იქვე მახლობლად, მთის ფერდობზე ღორების დიდი კოლტი ძოვდა და ეშმაკებმა მოითხოვეს, მათში შევალთო. იესო დაფიქრდა და დაასკვნა, სწორიც იქნებაო, რამეთუ ეს

ცხოველები, რომლის ხორცსაც მართლმორწმუნე ებრაელები უწმინდურად მიიჩნევენ, წარმართების კუთვნილნი თუ იქნებიანო. იმაზე აღარ უფიქრია, ის წარმართები რომ მიირთმევდნენ ეშმაკიანი ღორების მწვადებს, შესაძლო იყო, თვით გამხდარიყვნენ შეპყრობილნი ეშმაკებისგან და ამგვარად, თავისი გადაწყვეტილებების კიდევ ერთი საბედისწერო შედეგი ვერ გაითვალისწინა, რამეთუ თვით ღვთის ძეც კი, რომელსაც თანაც ჯერ კარგად არც აქვს გააზრებული, თუ ვისი შთამომავალია, მოჭადრაკე არ გახლავთ და არ შეუძლია, რომ ყოველი სვლა ასე წინასწარ გათვალოს.

ეშმაკები გულისფანცქალით ელოდნენ იესოს პასუხს და როცა ბოლოს უთხრა: ნებას გაძლევთო, – მეგობრულად და საზეიმოდ დასჭექეს და მყისვე ღორებში შევიდნენ. ცხოველები მოულოდნელობისგან, ან იქნებ იმიტომ, ეშმაკების ტარებას მიჩვეულები რომ არ იყვნენ, – არადა, ორი ათასი სული მაინც იქნებოდა, – მყისვე გადაირივნენ და ფერდობიდან თავქვე დაეშვნენ ზღვაში და დაიხრჩვნენ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაბრაზდნენ კოლტის პატრონები, როცა დაინახეს, რომ ღრუტუნებმა, წუთის წინ სრულიად წყნარად მიწას რომ ჩიჩქნიდნენ, ქერქებს და ჭიებს ახრამუნებდნენ, ქორფა ბალახსაც ზედ აყოლებდნენ, უხვად რომ აბიბინებულიყო მზით გადამწვარ მთის ფერდობებზე, უეცრად წყალში ამოყვეს თავი: ზოგ საბრალო ღორს უკვე წყალი მუცლით ზეცისკენ ამობრუნებულს ატივტივებდა, სხვები ჯერ კიდევ ფართხალებდნენ და ტიტანურ – მოდი, ამ სიტყვას ნუ მოვერიდებით, – ძალისხმევას ხარჯავდნენ წყლიდან ყურების ამოსაყოფად: სასმენელ ხვრელებს ღორები ხომ ვერ ხურავენ და შიგ წყალი მითხლიშინებდა და მთელ სხეულს აღავსებდა – და ამინ! მეღორეებმა იესოს და მის თანმხლებთ შორიდან ქვები დაუშინეს, მერე კი გამოექანნენ სამართლიანი რისხვით აღვსილნი და აპირებდნენ, დამნაშავისგან ზარალის სრული ანაზღაურება მოეთხოვათ – ვთქვათ და, ერთი სულის ღირებულება „იქსს“ შეადგენდა, გავამრავლოთ ორი ათასზე და მივიღებთ დანაკარგის მთლიან ღირებულებას.

მართლა? მერედა ვისგან ვაპირებთ ამხელა თანხის ამოღებას? მეთევზეებს ფული სადა აქვთ, იმით ცხოვრობენ, რასაც იჭერენ, ხოლო იესო, მეთევზე რომ მეთევზეა, ისიც არ არის. იფიქრა, მწყემსებს დავე-

ლოდები, ავუხსნი, ამქვეყნად ეშმაკზე უარესი არავინ არისო, რომ მის ბოროტებასთან შედარებით ორი ათასი ღორის დაღუპვა სულაც არაფერიაო და ჩვენ ყველანი ცხოვრებაში რაღაცას ვკარგავთ, ასე ხდებაო, ზოგჯერ მატერიალურ დოვლათს, ხოლო ზოგჯერ უარესსაცო, უნდოდა ეთქვა: მოთმინება გამოიჩინეთ, ძმებოო! – მაგრამ იაკობმა და იოანემ გადაწყვიტეს, მოლაპარაკებას აზრი არა აქვსო, რამეთუ ყველა ნიშნით ეს მოლაპარაკება მშვიდობიანად არ დასრულდებაო, რამეთუ ერთი მხარის ზრდილობა და უაღრესად კეთილი განზრახვები მეორე მხარის უხეშობას და ფიზიკურ ძალას წინ ვერ აღუდგებაო. სირბილით დაუყვნენ ფერდობს ზღვისაკენ, ნავში ჩახტნენ, ნიჩბებს სტაცეს ხელი და სულ მალე სამშვიდობოს იყვნენ, რადგან მდევრები ცურვით ხომ არ გამოეკიდებოდნენ, ხოლო მეთევზეობას რომ არ მისდევდნენ და შესაბამისად, არც ნავები ეპოვებოდათ, ისედაც ნათელი გახლდათ. თქვა იაკობმა: ბევრი ღორი დაიღუპა, მაგრამ ერთი კაცის სული გადარჩა – ღმერთი მოგებაშიაო.

იესომ დაბნეულმა შეხედა, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობსო და ზებედეს ვაჟებმა იცოდნენ, რაზეც, და ძალიანაც უნდოდათ ამ „სხვა რამეზე“ ესაუბრათ – ეშმაკეულის წარმოუდგენელ განცხადებაზე, – ღვთის ძეაო, მაგრამ იესოს მზერა მიეპყრო იმ ნაპირისკენ, საიდანაც ნაჩქარევად გამოცურდნენ ცოტა ხნის წინათ: წყალს უცქერდა, რომლის ზედაპირზეც ორი ათასი უდანაშაულო ღორის სხეული ტივტივებდა და გრძნობდა, როგორ ძლიერდებოდა სულში განგაში, სანამ ყვირილით არ გამოხეთქა: ეშმაკებიო!

სად წავიდნენ ეშმაკებიო? – ზეცას ახედა და გაიცინა: გესმის, უფალო, ან იმნაირი ბოთე შვილი შეგირჩევია, შენს ჩანაფიქრს რომ ვერ აღასრულებს, ანდა შენს მრავალ ძალმოსილებას ერთი აკლია – შენი გონება ეშმაკისას ვერ მოერევა! რის თქმა გინდა? – ჩაიბუტბუტა იოანემ, ამ მკრეხელობით შეშინებულმა.

იმისი, რომ ეშმაკები, უწინ იმ უბედურის ტანში რომ იყვნენ დაბუდებულნი, ახლა თავისუფლად ბრძანდებიან; ხომ ვნახეთ, რომ ისინი არ იხოცებიან და თვით ღმერთსაც არ ძალუძს მათი მოკვლა, ხოლო ის, რაც მე გავაკეთე, წყლის ნაკადის ხმლით აკაფვა იყო მარტოოდენ. ნაპირზე

კი ამასობაში უამრავი ადამიანი შეგროვდა – წყალში შედიოდნენ ახლო-მახლო მოტივტივე დამხრჩვალი ღორების გამოსატანად, სხვები ნავებ-ში სხდებოდნენ, რათა უფრო შორს მისწვდომოდნენ ნადავლს.

იმავე ღამით სიმონისა და ანდრიას სახლში, რომელიც სინაგოგის მახლობლად მდებარეობდა, ხუთი მეგობარი შეიკრიბა, რათა საიდუმ-ლოდ გაერჩიათ ყოვლად დამზაფვრელი საკითხი: მართალია თუ არა ეშმაკების ნათქვამი, რომ თითქოს იესო ღვთის ძეა. მას შემდეგ, რაც იმ დღეს მოხდა, ერთხმად შეთანხმდნენ, ჯობს სასაუბროდ ღამეს დავე-ლოდოთო და აჰა, დადგა დრო, ყოველივე გაერკვიათ. და პირველი იესო ალაპარაკდა: ერთი სიტყვაც კი არ მჯერა მისი, ვინც ამქვეყნად ტყუილი მოიგონაო, – ცხადია, ეშმაკს გულისხმობდა.

თქვა ანდრიამ: ერთი და იმავე პირიდან სიმართლეც გამოდის და ტყუილიც და ხანდახან თუ მართალსაც იტყვის, ამით ეშმაკი ეშმაკობას არ დაკარგავსო. თქვა სიმონმა: დიდი ხანია ვიცით, რომ სხვებს არ ჰგავ-ხარ, თუნდაც თევზი გავიხსენოთ, უშენოდ რომ ვერ დავიჭერდით, ან ქა-რიშხალი, უეჭველად რომ დაგვახრჩობდა, და წყალი, ღვინოდ რომ აქ-ციე, ანდა ის ქალი, ქვით ჩაქოლვას რომ უპირებდნენ, ახლა კიდევ ეს ეშ-მაკები, შეპყრობილის ტანიდან რომ გააბუნძულე. ეშმაკები ჩემ გარდა სხვასაც განუდევნია, თქვა იესომ. მართალს ამბობ, თქვა იაკობმა, მაგ-რამ მხოლოდ შენ წინაშე მოიხარეს ამაყი ქედი და ზეციერი ღვთის ძე გიწოდეს.

რად მჭირდება მე მაგათი ქედის მოხრა, თუ საბოლოოდ დამამარ-ცხებენ? ეგ არ არის მთავარი ახლა, ჩაერია იოანე, იქ ჩემი ყურით გავი-გონე ეგ ყველაფერი, მაგრამ აქამდე რად არ გვითხარი, ძე ღვთისა თუ ხარ?

განა ვიცი, რომ მართლა ეგრეა? შესაძლოა, რომ ეშმაკისთვის ცნობი-ლი იყოს, შენთვის კი – არა? კარგი კითხვაა, ოღონდაც მასზე იმათ უნდა გასცენ პასუხი. ვინ იმათ?

ღმერთმა, რომლის შვილადაც ეშმაკმა მომიხსენია; თვითონ ეშმაკ-მა, რომელსაც, წესით, ეს ამბავი მხოლოდ ღვთისგან უნდა შეეტყო. ისე გაჩუმდნენ ამ სიტყვების შემდგომ ყველანი, თითქოს ელიან, იოანეს დასმულ შეკითხვას ან ერთი ან მეორე, ანდა ორივე მართლა თუ გასცემს

აბა, პასუხსო. მერე კი სიმონმა ის კითხვა დასვა, რომელიც ყველას ენის წვერზე უტრიალებდა: მაინც რა მოხდა ღმერთსა და შენ შორის? იესომ ამოიოხრა: ამ კითხვას იმ დროიდან ველოდი, რაც თქვენს მხარეში გამოვჩნდი. აბა, რას ვიფიქრებდით, თუ ძე ღვთისა მეთევზეობას მოისურვებდა. მაინც ვინა ხარ ბოლოს და ბოლოს? იესომ სახეზე ხელები აიფარა, ცდილობდა, მეხსიერებაში იმ წერტილისთვის მიეგნო, საიდანაც აღსარებას დაიწყებდა, უცებ მთელ თავის ცხოვრებას გვერდიდან შეხედა და მიხვდა: თუ ეშმაკებს ტყუილი არ უთქვამთ, ყველაფერი, რაც მას გადახდა, სულ სხვა, ახალ აზრს იძენდა, ხოლო ბევრ მოვლენას მხოლოდ ამ ახლად გააზრებული ჭეშმარიტების შუქზე თუ გაიგებდი. მერე ხელები ჩამოუშვა, სათითაოდ შეხედა იქ მყოფებს მავედრებელი გამომეტყველებით, თითქოს აღიარებს, გთხოვთ მერწმუნოთ, თუმცა კი ვიცი, რომ ამით იმას გთხოვთ, რაც ადამიანის ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატებაო და ბოლოს, დიდხნიანი დუმილის შემდეგ თქვა: მე ღმერთი ვნახე. მეთევზეები ჩუმად ისხდნენ, ელოდებოდნენ, მერე რას იტყვისო.

იესომ ბორძიკით განაგრძო: უდაბნოში შევხვდი და მაცნობა, თავის დროზე ძალაუფლებას და დიდებას გიბოძებ სიცოცხლის სანაცვლოდო, მაგრამ ჩემი შვილი ხარო, არ უთქვამს. ისევ დადუმდა, მეთევზეებიც დუმდნენ.

და როგორ მოგევლინა? – ჰკითხა იაკობმა. რაღაცნაირი ღრუბლის სახით, უფრო სწორად, კვამლის სვეტივით იყო. კვამლის თუ ცეცხლის? კვამლის. მეტი არაფერი უთქვამს?

თქვა, როცა დრო მოვა, ისევ მოგევლინებიო.

რისი დრო რომ მოვაო? არ ვიცი, ეგება ჩემი სიკვდილის დრო. და ძალაუფლებას და დიდებას როდისღა მოიხვეჭ? არ ვიცი. ოთახში, სადაც სიცხის მიუხედავად, ხუთივეს აკანკალებდა, კვლავ სიჩუმე გამეფდა. მერე სიმონმა აუჩქარებლად იკითხა: ეგება, სწორედ შენ ხარ მესია, რომელსაც ღვთის შვილად უნდა ვთვლიდეთ და რომელმაც რჩეული ხალხი მონობისგან უნდა იხსნას?

მე – მესია? ჰო, ისე გიკვირს, ნერვიულად გაიღიმა ანდრიამ, თითქოს მესია რომ იყო, აჰ, არ შეიძლება, და პირდაპირ ღვთის ძე – რატომაც არა. თქვა იაკობმა: მესია ხარ თუ ძე ღვთისა, მე ერთი რამ ვერ გამიგია – ეშ-

მაკმა საიდან გაიგო, თუ ღმერთს შენთვისაც კი არაფერი უთქვამს. თქვა იოანემ დაფიქრებით: ღმერთისა და ეშმაკის ურთიერთობის ამბავს ჩვენ ვინ გაგვაგებინებს. ხუთივემ ერთმანეთს გადახედა – ამაზე ფიქრიც კი შიშს იწვევდა და სიმონმა იესოს ჰკითხა:

ახლა რა უნდა ქნა? – და იესომ მიუგო: დავიცდი, სანამ დრო მოვა, აბა, სხვა რა ვქნა.

დრო ახლოს იყო, მაგრამ იესოს მანამდე კიდევ მოუხდებოდა, სასწაულების ქმნის უნარი ორჯერ მაინც

გამოეჩინა, თუმცა მეორე შემთხვევაზე ჯობდა, თვალიც კი დაგვეხუჭა, რადგან ისევ შეეშალა და ტყუილუბრალოდ გაახმო ლეღვი, რომლის მონაწილეობა რამენაირ ბოროტებაში არაფრით აღემატებოდა იმ ღორების ბრალეულობას, ზღვის მორევში რომ ამოიხრჩვნენ.

ხოლო პირველი შემთხვევა კი იმსახურებს, რომ მის შესახებ იერუსალიმელმა მღვდელმთავრებმა შეიტყონ და ტაძრის ფრონტონზე ოქროს ასოებით ამოკვეთონ, რამეთუ არც მანამდე და არც მერე, ჩვენი დღეების ჩათვლით, მსგავსი არაფერი მომხდარა. ამაოდ დაშვრნენ ისტორიკოსები იმის დასადგენად, თუ რა მიზეზით შეიყარა ესოდენ მრავალფეროვანი ბრბო იმ ადგილას – აქვე გაკვრით ბარემ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ადგილის ზუსტი მდებარეობა აქამომდე ვერ დადგენილა, – ერთნი ამბობენ, – ახლა კვლავ ისევ იმ თავშეყრის მიზეზებზე მოგახსენებთ, – მომლოცველთა სრულიად ჩვეულებრივ შეკრებასთან გვქონდა საქმეო, საუკუნეთა განმავლობაში რომ ხდებოდაო, სხვები პირზე ქაფმომდგარნი ირწმუნებიან: არავითარი მომლოცველობა – ხალხმრავლობა იმან წარმოშვა, რომ გავრცელდა და შემდგომ კიდეც დადასტურდა ჭორი, თითქოს რომიდან საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი ჩინოსანი ჩამოვიდა, რათა ხალხს ხარკისა და ბაჟის შემცირების შესახებ აცნობოსო. მესამენი კი ყოველგვარი საკუთარი ვარაუდების გამოუთქმელად აცხადებენ, ბავშვიც კი არ დაიჯერებდა ფისკალური უღლის შემსუბუქებასა და გადასახადის გადამხდელების სასარგებლოდ არსებული სისტემის გაიოლების ზღაპრულ ჭორსო, რაც შეეხება ამ მასობრივ თავყრილობას, კეთილი ინებონ მზამზარეულით სარგებლობის მოყვარულმა

მეცნიერებმა და იმ ბრბოს სრული შემადგენლობა და სტრუქტურა დაწვრილებით შეისწავლონო.

დადგენილია და შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ იქ თავშეყრილი ხალხის რიცხვი ოთხიდან ხუთი ათასამდე მერყეობდა, ქალებსა და ბავშვებს თუ არ ჩავთვლით და ყველა ეს ადამიანი განსაზღვრულ მომენტში საკვების გარეშე დარჩა. იმ მიზეზის დადგენა, – რის გამოც ხალხი, ბუნებით თადარიგიანი და ამასთან ხეტიალსა და მოგზაურობას მიჩვეული, არასდროს გზას ისე რომ არ გაუდგებოდა, თუნდაც ეს გზა ერთი სოფლიდან მეორემდე მისასვლელი ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ, თან პურის ყუა და შებოლილი ხორცის ნაჭერი რომ არ წაეღო, ამჯერად რატომ იყო სურსათის მარაგს მოკლებული – ვერც ვერავინ მოახერხა და არც არავის უცდია. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და გვეუბნება, რომ ბავშვიან-ქალიანად შეიკრიბა ადამიანი ასე თორმეტი-თხუთმეტი ათასი სული, – ან კი რატომ არ უნდა მივათვალოთ ქალები და ბავშვები? – და რამდენიმე საათის განმავლობაში ყველას შიოდა და აპირებდნენ სახლებში წასვლას, თუმც ცხადი იყო, რომ ბევრ მათგანს გამოფიტვა და სიკვდილი ელოდა გზაში, ანდა გამვლელ-გამომვლელის შეძლებისა და თანაგრძნობის იმედად იმავე გზისპირს მათხოვრად ჯდომა. პირველებმა, როგორც ეს მუდამ ხდება, ბავშვებმა წამოიწყეს, გვშიაო, მოუთმენლად ზლუქუნებდნენ: დედა, მშიაააა! – და იმის საფრთხე, პოპულარული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სიტუაცია კონტროლს აღარ დაექვემდებარებაო, წუთი წუთზე ხელშესახები ხდებოდა. იესო შუაგულ ბრბოში იდგა მაგდალელსა და ოთხ მეგობართან – სიმონთან, ანდრიასთან, იაკობსა და იოანესთან ერთად, რომლებიც ღორების სამახსოვრო ამბისა და მომდევნო ახსნა-განმარტების შემდგომ გვერდიდან აღარ შორდებოდნენ, თანაც იქ მყოფთაგან განსხვავებით, თევზი და პურიც მომარაგებული ჰქონდათ და წახემსებაც თავისუფლად შეეძლოთ.

თუმცაღა მშიერი ხალხის შუაგულში ჭამა არა მხოლოდ საძაგელი თავკერძობის გამოვლინება იქნებოდა, არამედ საშიში საქციელიც, რამეთუ კანონს აუცილებლობისგან ერთი პაწია ნაბიჯი აშორებს, და გარდა ამისა, კაენიდან მოყოლებული ასე დადგინდა – სამართლიანობის აღდგენა საკუთარი ხელით აჯობებს, ჩქარა აღდგებაო. იესოს აზრადაც

არ მოსვლია, მიწოლ-მოწოლით და ჭყლეტით გართულ ამ მილეთის ხალხს რამეში წავადგებიო, მაგრამ იაკობმა და იოანემ, თვითმხილველთათვის ჩვეული დაბეჯითებით უთხრეს: თუ კაცისგან ეშმაკები განდევნე და სიკვდილს გადაარჩინე, ვითომ ამ ხალხის გამოკვებას რატომ ვერ შეძლებ, აკი ამათაც შიმშილი სიკვდილს უქადისო. საჭმელი საიდან მოვიტანო, რაღაც წვრილმანის გარდა არაფერი გვაქვს წამოღებულიო. ძე ღვთისა ხარ და შეძლებო. იესომ მაგდალელს გადახედა, მან კი უთხრა: იმ მიჯნასა ხარ მიღწეული, უკან რომ ვეღარ მობრუნდებიო და თანაგრძნობა გამოეხატა სახეზე – იესოს ან ეგება მშიერი ხალხის მიმართ, რა ვიცი. მაშინ იესომ აიღო ის ექვსი პური, თან რომ ჰქონდათ წამოღებული, თითოეული ორად გატეხა და თანამგზავრებს დაურიგა, მერე თევზებიც დაანაწილა და თვითონ მასაც ნახევარი შოთი და ნახევარი თევზი შერჩა ხელთ. მერე თქვა; მომყევით და იგივე ქენით, რასაც მე ვიზამ. რაც ქნა, ჩვენთვის ცნობილია, ოღონდ ისაა გაუგებარი, როგორ მოახერხა კაციდან კაცზე გადასვლა, თითოეულისთვის პურის ნატეხის და თევზის ნაკუწის მიცემა, რის შედეგადაც თითოეულის ხელში მთელი პური და მთელი თევზი ჩნდებოდა. ასევე და ასეთნაირად იქცეოდნენ მის კვალდაკვალ მიმავალი მაგდალელი და ოთხი მეთევზე და სადაც გაივლიდნენ, თითქოს მინდორში მადლიანი ქარი ქრის და დაწოლილ თავთავს ზეაღმართავსო, და თავთავების შრიალივით გაისმოდა ღეჭვა-ყლაპვა, შიგადაშიგ მადლობის სიტყვით შეფერხებული. მესიაა, ამბობდნენ ერთნი. ჯადოქარია, ამბობდნენ სხვები, მაგრამ არავის მოსვლია აზრად ეკითხა: შენა ხარ ღვთის ძე? იესო კი ყოველ მათგანს ეუბნებოდა: ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ, თუ არ გაჰყოფ, ვერ განამრავლებ.

დროული, მიზანშეწონილი და კარგი გახლდათ, რომ სასწაული სწორედ მაშინ მოახდინა, როცა ვითარებამ მოითხოვა. მაგრამ სრულებითაც არაა კარგი, დაუმსახურებლად აგებინო პასუხი მავანს, რის ნიმუშადაც ზემოთ ხსენებული ლეღვის ამბავი გამოდგება. იესო მინდვრად მიდიოდა და მოშივდა და გზაზე ერთი ლეღვის ხე დაინახა, მიუახლოვდა, ერთი ვნახო, ზედ რამე ხომ არ ასხიაო, მაგრამ ფოთლების გარდა ვერაფერი მონახა, რადგან მსხმოიარობის ჟამი არ დამდგარიყო. და თქვა მაშინ: არ ინაყოფო არასდროსო და ლეღვის ხე იმწამსვე გახმა. იქ მყოფმა

მაგდალელმა უთხრა: მიეცი შეჭირვებულს, მაგრამ ნუ მოსთხოვ არასმქონესო. იესოს შერცხვა და ხეს უბრძანა, გაცოცხლდიო, მაგრამ ხე აღარ გაცოცხლებულა.

* * *

ნისლიანი აისია. მეთევზე ჭილოფიდან დგება, ფანχრიდან რძისფერ ბურუსს გასცქერის და ცოლს ეუბნება: დღეს არ გავალ ზღვაში, არაფერი არ ჩანს. ეს ან ამის მსგავსი სიტყვები წარმოითქმოდა გალილეის ზღვის ორივე მხარეს მეთევზეების მიერ, საგონებელში რომ ჩაეგდო ყოვლად გაუგონარ მოვლენას – წლის ამ დროს ასეთი ნისლი არავის ენახა. და მხოლოდ ერთი არამეთევზე, თუმც კი თევზისჭერით ირჩენს თავს, ზღურბლიდან გაუმჭვირვალე ცას რომ ახედავს, თითქოს უნდა დარწმუნდეს, დღევანდელი დღე ჩემიაო, ვიღაცას სახლში მყოფს ეუბნება: ზღვაში გავდივარ. მხარმიღმიდან გამოხედავს და ეტყვის მაგდალელი:

უნდა გახვიდე? – და იესო პასუხობს: დროა. ქალს მოეხვია და უთხრა: აჰა, გავიგებ, ვინ ვარ და რისთვის, მერე კი, გინდ დაიχერეთ, გინდ არა, ისეთი ნისლის მიუხედავად, ცხვირთან თითს რომ ვერ მიიტან, ფერდობზე სირბილით ეშვება, ნაპირიდან ნავში ჩახტება და დაბურული სივრცისკენ მოუსვამს ნიჩბებს. სიჩუმესა და ბურუსში შორს გაისმის ორკაპების წკრიალი, ნიჩბის ბორტზე დარტყმა, წყლის ჩქაფუნი და მეთევზეებიც ახელენ თვალებს, თუმც კი ერთგული ცოლები ბუზღუნებენ: ზღვაზე თუ არ გადიხარ, გამოგეძინა მაინც, რა იქნებოდაო. შეშფოთებულნი და შემკრთალნი შესცქერიან მეთევზეთა სოფლის მცხოვრებნი მკვრივი ნისლით დაბურულ ზღვას და, ისე, თვითონაც რომ არ იციან, ელოდებიან ნიჩბების ხმის და წყლის ჩქაფუნის უცებ გაქრობას, რათა მერე დაიშალონ, თავიანთ სახლებს მიაშურონ, კარები მაგრად გადარაზონ ყველა საკეტით, ურდულითა თუ ბოქლომით, თუმცა იციან, – ეგ არ უშველით, თუკი იმას, ვისზეც ფიქრობენ, აზრად მოუვა, აქეთ ერთი შეუბეროს და – ყველა კარი გაფრიალდება.

ნისლი გზას უთმობს იესოს, მაგრამ იგი მხოლოდ ნიჩბის ტარებსა და ნავის კიჩოს ხედავს, სხვა ყველაფერი კედელია – თავიდან მღვრიე, ფერფლისფერი, ხოლო ნავის მიზნისკენ სვლის კვალობაზე, გაფანტული შუქი ბურუსის სუდარას ათეთრებს და აციმციმებს, ათრთოლებს, თითქოს

რაღაც ბგერას უნდა, მისი სიღრმიდან გამოსხლტეს და ვერ მოუხერხებია – თითქოს ბამბაში იხშობაო. სინათლის ყველაზე კაშკაშა ლაქის შუაგულში ნავი ჩერდება.

გემბანზე ღმერთი ზის.

არა, ამჯერად ღრუბლის სვეტად არ მოვლენილა, ამ ამინდში ღრუბელს და კვამლს რას დაინახავ. ტანმაღალი მოხუცია, მკერდამდე ხშირი წვერით, უქუდოდ, ფართო სახით და მსხვილი ტუჩებით, ლაპარაკისას რომ არ იძვრიან. მდიდარი იუდეველივით გამოწყობილა – გრძელი ხასხასა წითელი ტუნიკა, ზემოდან ოქროთი გაწყობილი სახელოებიანი ლურჯი ქლამიდი, ფეხზე უხეში, მტკიცედ ნაკერი უბრალო სანდლები – სასიარულოდ განკუთვნილი და არა თვალის დასაბრმავებლად, იტყვი, ამის ჩამცმელს ადგილზე დამჯდარს ვერ ნახავო. ხოლო თმა რა ფერის აქვს – ჭაღარა, შავი, წაბლისფერი – ამას ვერ გეტყვით: ასეთ ასაკში წესით ვერცხლი უნდა ჭარბობდეს, მაგრამ ეგება იმათგანია, ღრმა სიბერემდე თმაში თეთრი რომ არ ერევათ. იესომ ნიჩბები ორკაპებიდან ამოიღო, ნავის ფსკერზე დააწყო, თითქოს იცოდა, წინ ხანგრძლივი საუბარი მომელისო და უბრალოდ თქვა: აქ ვარ. ღმერთმა აუჩქარებლად და საგულდაგულოდ წამოიკრიფა სამოსის კალთები, მუხლებზე დაილაგა და თქვა: მეც აქ ვარ. გამოთქმაზე გეგონებოდათ, ეს სიტყვები ღიმილით თქვაო, მაგრამ ტუჩები უძრავი ჰქონდა, ოდნავ უკრთოდა, თითქოს ზარების რეკვა არხევს გრძელ ულვაშსა და ნიკაპზე წვერსო. თქვა იესომ: მინდა ვიცოდე, ვინ ვარ და ამიერიდან რა გავაკეთო, რომ შევასრულო ჩვენი აღთქმის ჩემი წილი. თქვა ღმერთმა: ორი შეკითხვა დასვი და თითოეული ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ, რომლით დავიწყოთ? პირველით: ვინ ვარ? – ჰკითხა იესომ. განა არ იცი? – თავის მხრივ, ჰკითხა ღმერთმა. მეგონა ვიცოდი, მამაჩემის შვილად ვთვლიდი თავს. რომელ მამაზე ლაპარაკობ? მშობელ მამაზე, დურგალ იოსებზე, ილიას თუ იაკობის ძეზე, ზუსტად არ მახსოვს. ჯვარს რომ აცვეს? ასე მეგონა, რომ სხვა მამა მე არ მყოლია. ჰო, რომაელებმა ტრაგიკული შეცდომა დაუშვეს, ის მამაშენი უდანაშაულოდ დაისაჯა. „ის“ მამაშენიო, ამბობ, მაშ „ეს“ მამაც არსებობს. ძალიან მიხვედრილი მყავხარ. მიხვედრილობა რა შუაშია, ეშმაკმა მითხრა. ხშირად ხვდებოდი ხოლმე?

არა, ერთხელ შემომეყარა. და რა გითხრა? მითხრა, რომ შენი შვილი ვარ. ღმერთმა თავი ნელა დახარა თანხმობის მიშნად: დიახ, შენ ჩემი შვილი ხარ. ადამიანი ღმერთის შვილი როგორ უნდა იყოს? თუ ღვთის შვილი ხარ, მაშასადამე ადამიანი არ ყოფილხარ. კი მაგრამ , მე ხომ ადამიანი ვარ, ვჭამ, ვსვამ, მძინავს, ადამიანურად მიყვარს და ალბათ ადამიანურადაც მოვკვდები. იცი, შენ ადგილას ასე დარწმუნებული არ ვიქნებოდი. ამით რისი თქმა გინდა. ეს უკვე მეორე საკითხია და თავის დროზე, – საბედნიეროდ, დრო უხვად გვაქვს, – განვიხილავთ, ახლა კი შენ ჯერ ის მითხარი, რა უპასუხე ეშმაკს, როცა გითხრა, რომ ჩემი შვილი ხარ. არაფერიც არ ვუპასუხე, შენთან შეხვედრას ველოდებოდი, ეშმაკი კი შეპყრობილისგან, რომელსაც აწამებდა, განვდევნე: ლეგიონი ერქვა, რამეთუ ერთი არ იყო. ახლა სად არიან? არ ვიცი. აკი განვდევნეო?! შენ, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ იცი, სადაც არიან, რამეთუ, როცა ეშმაკებს განდევნი, ღმერთმა იცის, სად მიდიან. საიდან მოიტანე, თითქოს მე ასეთ რამეებში ვერკვეოდე? იმიტომ, რომ შენ ყველაფერში ერკვევი, ყოვლისმცოდნე ხარ, რადგან ღმერთი ხარ. გარკვეული თვალსაზრისით, მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით. კერძოდ, როგორი თვალსაზრისით? იმ თვალსაზრისით, რომ ცოდნის გარკვეულ ზღვარს იქით ჯობს, თავი ისე დაიჭირო, თითქოს არაფერი არ იცოდე. ყოველ შემთხვევაში, ის ხომ იცი, როგორ და რატომ და რისთვის ვარ მე შენი შვილი.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ საკმაოდ დიდ გულზე დამდგარხარ, ხოლო თუ იმას გავითვალისწინებთ, ვის ელაპარაკები, უბრალოდ – გათავხედებულხარ. მაშინ შეშინებული მოზარდი ვიყავი, ახლა კაცი ვარ. აღარ გეშინია? არა. არაფერია, შეგეშინდება, შიში ღვთის შვილებსაც იპყრობს ხოლმე. ბევრნი არიან? ვინ? ბევრი შვილი გყავს? არა, მე მხოლოდ ერთი მჭირდებოდა. ამიხსენი, შენი შვილი როგორ გავხდი? განა დედაშენს არ უთქვამს? დედამ იცის? როგორ არ იცის, ანგელოზი მივუგზავნე ყოველივეს ასახსნელად, თუ რა მოხდა და როგორ, მეგონა, გიამბობდა. ანგელოზი როდის მიუგზავნე? დაიცა, გავიხსენო: თუ არ ვცდები, მას შემდეგ, რაც სახლიდან მეორედ წახვედი, ოღონდაც მანამდე, სანამ კანაში თავს გამოიჩენდი.

ესე იგი, ყველაფერი იცოდა და არაფერი არ მითხრა და არც დამიჯერა, რომ მაშინ უდაბნოში გნახე, თუმცა შენ მიერ მიგზავნილი ანგელოზისთვის უნდა დაეჯერებინა, მაგრამ მე არ გამომიტყდა. განა არ იცი, რომ ქალები მორიდებულები და ფრთხილები არიან, თუ არ ვცდები, ერთ-ერთ მათგანთან ცხოვრობ კიდეც: თავისებური შიშები აქვთ, თავისი თავსატეხები. რა თავსატეხები? მოკლედ, შენი ჩასახვის წინ იოსების, მამაშენის თესლს ჩემი შევურიე, ძნელი საქმე არ იყო და ვერც ვერავინ შეამჩნია. თუ ეგრეა, მაშინ დარწმუნებული როგორღა ხარ, რომ ნამდვილად შენი შვილი ვარ? დარწმუნებული ვარ, თუმცა ასეთ საკითხებზე პირდაპირ ლაპარაკი არც მთლად მიზანშეწონილია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მაინც დარწმუნებული ვარ, ასეა თუ ისე, ღმერთი ვარ. შვილი რად მოგინდა? რაღაი ცაში შთამომავლობა არ გავიჩინე, მიწაზე მომიხდა ამის გაკეთება, და სხვათა შორის, პირველი არ ვარ ამ საქმეში: იმ რელიგიებშიც კი, სადაც ქალღმერთები ბავშვებს ღმერთებისგან აჩენენ, ისინიც კი დედამიწაზე ეშვებიან, ვფიქრობ, მრავალფეროვნებისთვისაც და კიდევ ჯიშის გასაუმჯობესებლადაც – გმირების გასაჩენად და ასე შემდეგ.

მე რიღასთვის გამაჩინე? მერწმუნე, იმისთვის არა, რომ გრძნობათა სიახლით დავმტკბარიყავი. მაშ,

რისთვის? იმისთვის, რომ კაცი მჭირდება, ვინც მიწაზე დამეხმარება. შენ ხომ ღმერთი ხარ, სხვისი დახმარება რად გჭირდება? ჰო, ეგ სხვა საკითხია.

დუმილი ჩამოვარდა და უცებ ნისლიდან, ოღონდაც რომელიმე გარკვეული თითით საჩვენებელი წერტილიდან კი არა, ყოველი მხრიდან ხმა გაისმა, მოცურავე რომ გამოსცემს ხოლმე, და ფრთხვინვისა და ამოსუნთქვების მიხედვით დაასკვნიდით, ან დიდი ვერაფერი მოცურავეა, ან უკვე ქანცი აქვს გაწყვეტილიო. იესოს მოეჩვენა, ღმერთი იღიმება და ამ გაწელილი დუმილის დარღვევას არ აპირებს, სანამ მოცურავე ნავის ირგვლივ განათებულ წრეში არ შემოაღწევსო. და აი, უცებ, მარცხნიდან კი არა, საიდანაც ფრუტუნი და წყლის დგაფუნი უფრო მეტად მოისმოდა, არამედ მარჯვნიდან, ნაპირის მხარეს რაღაც შავი ლაქის ბუნდოვანი მოხაზულობა გამოჩნდა, და იესომ ღორს მიამგვანა, წყლიდან ყურებაშვე-

რილი თავი რომ ამოეყო, მაგრამ წამის მერე ნათელი გახდა, რომ ეს ადამიანი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმგვარი არსება გახლდათ, ადამიანისგან რომ ვერ განასხვავებდი. ღმერთმა მიხედა, ცნობისმოყვარეობით კი არა, თითქოს უნდა, ბოლო გარღვევისთვის შეაგულიანოსო და ღვთის თავის ამ სანახევრო მიტრიალებამ, რომელიც მოცურავეს, ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენია, სათანადო შედეგი გამოიღო: უფრო სწრაფად ამოძრავდა, თანაბარზომიერად და მიზანსწრაფულად, თითქოს ამხელა მანძილი არ გამოეცუროს – ნაპირიდან ნავამდე მანძილს ვგულისხმობთ, რასაკვირველია. ბოლოს ბორტს ორი ხელი დაეკიდა – ძვალმსხვილი და ძლიერი და დანარჩენი სხეულიც, – ჯერ წყალში ჩამალული – ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც ღმერთს ჰქონდა – ძალუმი, უზარმაზარი და უძველესი. ბიძგმა ნავი დააცერავა, წყლიდან თავი გამოჩნდა, იქვე წყლის ჩქრიალით, ტანიც თან ამოჰყვა და ბოლოს – ფეხებიც. ეს მწყემსი გახლდათ, ამდენი წლით გადაკარგული, ნავზე ამოფოფხდა და თქვა:

აი, მეც მოვედი, – ბორტზე ჩამოჯდა, ისე რომ იესოცა და ღმერთიც მისგან თანაბარი მანძილით დაშორებულნი აღმოჩდნენ, თანაც ამჯერად ნავი არც კი გადაქანებულა, გეგონებოდათ, წონა არა აქვს და მორევიდან ლევიათანივით კი არ ამოუყვინთავს, არამედ ჰაერში დაფარფატებს და თავს იკატუნებს, ვითომ ვზივარო.

მოვედი, გაიმეორა მან, იმედია დროზე მოგისწარით – ვხედავ, საუბრობთ. უკვე დიდი ხანია, ვსაუბრობთ, ოღონდაც არსებით საკითხებს ჯერ არ შევხებივართ, გაეპასუხა ღმერთი და დაუმატა: ეს ეშმაკია, როგორც ხედავ, არ სძინავს. იესომ ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს და დაინახა, ღმერთს წვერი რომ არ ჰქონდეს, ტყუპებივით ემგვანებოდნენ ერთმანეთსო: მართალია, ეშმაკი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ნაკლები ნაოჭი ჰქონდა, მაგრამ შესაძლოა ეს ოპტიკური ცდომილება ყოფილიყო ანდა მისი თვალთმაქცობის შედეგი. ვიცნობ მე ამას, თქვა იესომ, ოთხი წელი მის გვერდით გავატარე, ოღონდაც მაშინ მწყემსი ერქვა. ვინმესთან ხომ უნდა ყოფილიყავი, ჩემთან არ შეიძლებოდა, შენიანებთან თვითონ არ მოისურვე, ჰოდა, აი, ეშმაკიღა შეგრჩა. მე არ მიძებნია, თვითონ მომნახა ან კიდევ შენ თუ გამაგზავნე მაგასთან, არ

ვიცი. არც ერთი და არც მეორე: მე და ეგ, ასე ვთქვათ, შევთანხმდით, რომ შენთვის ასე აჯობებდა. მაშ, როცა იმ შეშლილი ეშმაკეულის პირით მითხრა, ღვთის ძე ხარო, იცოდა, რასაც ამბობდა? ასე თუ ისე, იცოდა. ანუ ორივე მატყუებდით? ისევე, როგორც ყველა ადამიანს ამქვეყანაზე.

ადამიანი არა ხარო, აკი მითხარი. გითხარი და ვადასტურებ, შენ – ოჰ, რამ დამავიწყა, რა ჰქვია მაგას? – ა, ჰო, განკაცდი. ახლა რაღა გნებავთ ჩემგან? ამას არაფერი. მაგრამ აქ ორივენი ხართ, ისიც დავინახე, მისმა მობრძანებამ სულაც არ გაგაკვირვა, მაშასადამე, ელოდებოდი. მთლად ეგრე არაა, თუმცა, სხვათა შორის, როცა რაიმე საქმეს წამოიწყებ, ეშმაკი არასოდეს დაივიწყო. მაგრამ თუკი რის თქმასაც ჩემთვის აპირებ, მარტო ჩვენ ორს გვეხება, ეს აქ რატომღაა, რატომ აქედან არ მიაბრძანებ? გაგდება იმ წვრილფეხობას შეეფერება, ამას რომ ემსახურებიან, თანაც იმ შემთხვევაში, თუ სიტყვით ან საქმით რაიმეს მიქარავენ, ხოლო ეშმაკს, როგორც ასეთს, ასეთი რამე არ უნდა ჰკადრო. მაშ, იმიტომ მობრძანებულა, რომ ჩვენი საუბარი მასაც ეხება? შვილო ჩემო, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე: ყველაფერი, რაც ღმერთს ეხება, ასევე ეხება ეშმაკსაც. მწყემსი – ნება მიბოძეთ, ხანდახან ასე ძველებურად მოვიხსენიოთ, რომ კაცთა მოდგმის ამ მოსისხლე მტრის სახელს გავექცეთ, – ჩუმად უსმენდა და ლაპარაკში არ ერეოდა, გეგონებოდათ, თითქოს მას არ ახსენებდნენ წამდაუწუმ და თავისი ქცევით უარყოფდა წუთის წინ ღვთისგან გამოთქმულ დიად დებულებას. მაგრამ საკმარისი იყო იესოს ეთქვა: ახლა ჩემს მეორე შეკითხვაზე მიპასუხეო, – ცხადი გახდა, ეშმაკის ეს სიმშვიდე და განურჩევლობა თვალთმაქცობა რომ იყო მხოლოდ, რადგან აშკარად გაფაციცდა, თუმც ძველებურად ერთი სიტყვაც არ ამოუთქვამს.

ღმერთმა ღრმად ამოიხვნეშა, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და ისე ჩაიბურტყუნა, გეგონება, ამ წამს რაღაც მოულოდნელი და სასეირო რამ აღმოაჩინაო: ჰე, ამაზე არც მიფიქრია, არადა, უდაბნოზე ნაკლები როდია აქაურობა, მერე მზერა იესოზე გადაიტანა, გაჩუმდა და თითქოს გარდაუვალს ეგუებაო, დაიწყო: დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, შვილო ჩემო, ადამიანის სულში თვით შემოქმედმა, ანუ მე თავიდანვე ჩავაქსოვე, მაგრამ ეს გრძნობა, ისევე როგორც დანარჩენი, რაც ჩემ მსგავსად

და ხატად შევქმენი, ჩემსავე სულში მაქვს მოძიებული, და იმჟამიდან გასულ დროში განა გამიქრა, პირიქით, უფრო გაძლიერდა და გამიმძაფრდა.

ღმერთი კვლავ გაჩუმდა, საშუალება მისცა მსმენელს, ეს შესავალი შეეფასებინა და განაგრძო: უკვე ოთხი ათასი წელია, რაც იუდეველთა ღმერთი გავხდი, ეს ხალხი კი რთული ბუნებისაა, ჭირვეული, მშფოთვარე, მაგრამ ურთიერთობაში გარკვეულ წონასწორობას მაინც მივაღწიეთ, რადგანაც მიმიღეს და კვლავაც მიმიღებს, როგორც ამას მომავლის ჭვრეტის ჩემეული უნარი სავსებით სერიოზულად მამცნობს. მაშ, კმაყოფილი ხარ? – ჰკითხა იესომ. აბა, რა გითხრა: ვარ და არცა ვარ, უფრო სწორად, კმაყოფილი ვიქნებოდი, ჩემი მოუსვენარი სული ყოველდღიურად რომ არ ჩამძახოდეს: ყოჩაღ, რა კარგად მოწყობილხარ ოთხიათასწლოვანი შრომისა და ზრუნვის შედეგად, რასაც ვერაფრით აინაზღაურებ, რაგინდ გულუხვი და ნაირ-ნაირი მსხვერპლიც უნდა შემოგწირონო, ჰოდა, კვლავაც ერთი ბეწო ხალხის ღმერთად დარჩები, შენ მიერ შექმნილი ვეებერთელა სამყაროს ერთ პატარა კუნჭულში რომ ბინადრობსო, – და აბა, მითხარი, შვილო ჩემო, ამ მტანჯველი წინააღმდეგობის შემხედვარე კმაყოფილი უნდა ვიყო? არ ვიცი, მიუგო იესომ, სამყარო მე არ შემიქმნია და აბა, როგორ შევაფასო. შეფასება კი არა, დახმარება მჭირდება. რით და რაში? ჩემი გავლენის გავრცელებასა და გაფართოებაში, რათა მრავალთა და მრავალთა ღმერთი გავხდე. არ მესმის. თუ იმ როლს თავს გაართმევ, რომელიც ჩემი ჩანაფიქრის თანახმად მოგაკუთვნე, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ასე ხუთასი-ექვსასი წლის შემდეგ შენი შემწეობით

მრავალ წინააღმდეგობას გადავლახავ და არა მარტო იუდეველების ღმერთი ვიქნები, არამედ იმათიც, ვისაც ბერძნულ ყაიდაზე კათოლიკეებს დაუძახებენ. რა როლია ასეთი? წამებულის, შვილო ჩემო, მსხვერპლის, ტარიგის როლი, რამეთუ ამაზე უკეთ რწმენის კოცონს სხვა ვერაფერი ააგიზგიზებს და გაავრცელებს სარწმუნოებას. ღმერთმა სიტყვები „წამებული“, „მსხვერპლი“, „ტარიგი“ დათაფლული ხმით კი გამოთქვა, მაგრამ ყინულოვანი სიცივე მეყსეულად დაეუფლა იესოს სხეულს, ღმერთი კი ამოუცნობი სახით უცქერდა, ბუნების მკვლევრის ინტერესი-

სა და უნებლიე სიბრალულის ნაზავი გამომეტყველებით. აკი მითხარი, ძალაუფლებასა და დიდებას მოგანიჭებო, ჩაიბუტბუტა იესომ, ჯერაც აკანკალებდა სიცივისგან. მოგანიჭებ, მოგანიჭებ, აბა, არ მოგანიჭებ?! ოღონდაც, როგორც ადრევე შევთანხმდით, სიკვდილის შემდეგ. სიკვდილის შემდეგ რაღად მინდა? იცი, როგორ არის საქმე – შენ არ მოკვდები ამ სიტყვის სრული გაგებით, რადგანაც ჩემი შვილი ხარ, ჩემთან იქნები, ჩემ გვერდით თუ ჩემში, ეს ჯერაც არა მაქვს გადაწყვეტილი. მაინც რას ნიშნავს „არ მოკვდები ამ სიტყვის სრული გაგებით“? ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის აღსასრულამდე აღგივლენენ ტაძრებსა და საკურთხევლებში ისეთ დიდებას, რომ – ახლა უკვე შეიძლება შენთვის ამის თქმა – მე თვითონ შევიწროება მომიწევს, ხალხი მე – თავდაპირველ ღმერთს – დამივიწყებს; მაგრამ ეს არ არის მთავარი – მცირეს ვერ გაყოფ, დიდს კი არა დააკლდება რა. იესომ მწყემსს გადახედა, მის ბაგეზე ღიმილი შენიშნა და მიხვდა. ახლა გავიგე, თუ რად იმყოფება აქ ეშმაკი: თუ შენი ძალაუფლება სხვა ქვეყნებსა და სხვა ხალხებში გავრცელდება, ამით მისი საბრძანებელიც გაფართოვდება, რამეთუ შენი საზღვრები – არც მეტი და არც ნაკლები, მისი საზღვრებია. სწორია, შვილო ჩემო, სავსებით სწორი, შენი მიხვედრილობა ძლიერ მახარებს, რამეთუ ჩასწვდი, რასაც აქამდე ჯერ არავინ ჩასწვდომია – ერთი რელიგიის უწმინდური ძალა მეორე რელიგიაში ვერ იმოქმედებს, ისევე როგორც, დავუშვათ და, ღმერთი თუ მეორე ღმერთს შეებრძოლება, ვერც გაიმარჯვებს და ვერც დამარცხდება. მითხარი, როგორ მოვკვდები? წამებულს მძიმე და, სასურველია, სამარცხვინო სიკვდილი ერგოს, ასე უფრო აათრთოლებს მორწმუნეების გულსა და სულს, მგრძნობიარედ და თანამგრძნობად გადააქცევს. მიკიბ-მოკიბვის გარეშე არ შეგიძლია მითხრა, როგორ მოვკვდები? მძიმე სიკვდილი გელის, მტანჯველი და სამარცხვინო – ჯვარზე გაცვამენ. მამაჩემივით? მამაშენი მე ვარ და ეს არასდროს დაივიწყო. არჩევანი თუ კიდევ მაქვს, მე მამად მაინც მას ვარჩევდი, თუნდ სამარცხვინო ჟამიც გაევლო ცხოვრებაში. არჩევანი არ გაგაჩნია, რამეთუ თვითონ შენ ხარ არჩეული. მე უარს ვამბობ ჩვენს აღთქმაზე, ვწყვეტ შენთან კავშირს, იმიტომ, რომ მინდა ვიცხოვრო, როგორც ყველამ. ტყუილად რატომ ხარჯავ სიტყვებს, შვილო ჩემო, ნუთუ აქამდე ვერ მიმხვდარხარ, ჩემ ხელთ რომ ხარ და

რომ, რაც გინდა დავუძახოთ იმ დოკუმენტებს, სადაც ერთ მხარეს მე წარმოვადგენ, – ხელშეკრულება, აღთქმა, კონტრაქტი, პაქტი, აქტი თუ შეთანხმება, – ყველას მაინც ერთნაირი ბოლო აქვს ხოლმე, ამ ბოლო სიტყვას არც ბევრი ქაღალდი უნდა და არც მელანი, რადგან მოკლედ და გასაგებად, მიკიბ-მოკიბვის, ქარაგმებისა და თვით წესის გამონაკლისის გარეშეც კი წერია, რომ – აი, თუნდაც შენ, შვილო ჩემო, შენ უდავო და მნიშვნელოვანი გამონაკლისი ხარ წესისა, მაგრამ შენც ისეთივე აუცილებლობად გადაიქცევი, როგორიც თვით წესია, რადგან წერია, იქ – ბოლოში – ეს ღმერთმა ქნაო. მაგრამ, თუ ასე ძალმოსილი ხარ, რატომ თვითონ არ გაემართები სხვა ქვეყნებისა და ხალხების დასაპყრობად – უფრო იოლიც იქნებოდა და, მე ვიტყოდი, ზნეობრივადაც უფრო სუფთა. არა, ეგრე არც შემიძლია და არც შეიძლება, ის უვადო და დაურღვეველი ხელშეკრულება არ მანებებს, რომელიც ღმერთებს დადებული გვაქვს ერთმანეთთან და რომელიც გვავალდებულებს არასოდეს პირდაპირ არ

ჩავერიოთ ერთმანეთის საქმეებში, და მერე, წარმოიდგინე, რას ვემგვანები, წარმართების თუ კერპთაყვანისმცემლების ბრბოთა წინაშე მოედნებზე რომ დავდგები და ქადაგებას მოვყვები, ცრუ კერპებს ნუ ეთაყვანებით, ჭეშმარიტი ღმერთი მე ვარ-მეთქი; ასეთ სიდამპლეს ერთი ღმერთი მეორეს ვერ გაუკეთებს და არც ერთი ღმერთი არც დაუშვებს, რომ თავის სამფლობელოში ის ხდებოდეს, რასაც თვითონ სხვის სამფლობელოში არ ჩაიდენდა. გამოდის, რომ ხალხს იარაღად იყენებთ? დიახაც, შვილო ჩემო, სწორედ ასეა: ადამიანისგან როგორ კოვზსაც გსურს, ისეთს გამოთლი, პირველი ჩასუნთქვიდან ბოლო ამოსუნთქვამდე თანახმაა მორჩილებაზე, ეტყვი: „წადი“ და წავა, ეტყვი: „გაჩერდი“ და გაჩერდება, ეტყვი – „უკან“ და დაბრუნდება, ადამიანი, გინდ ომში და გინდ მშვიდობაში, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ღმერთებისათვის არსებული ყველაზე მეტად იღბლიანი საჩუქარია. მაგრამ ის კოვზი, რომელიც ჩემგვარი მასალისგანაა გამოთლილი, რაღა საჭიროა? შენ ის კოვზი იქნები, რომელსაც კაცობრიობის ქვაბში ჩავუშვებ და იმ ადამიანებს ამოვხაპავ, რომლებიც იმ ახალ ღმერთს იწამებენ, რომლადაც მე გადავიქცევი. ამოხაპავ და გადასანსლავ? რა ჩემი შეჭმა მაგათ უნდა, ისედაც გამუდმებით ჭამენ ერთმანეთს.

იესომ ნიჩბები ორკაპებში ჩააწყო და თქვა: მშვიდობით, ჩემი შინ წასვლის დროა, თქვენც თქვენი გზა გაქვთ: შენ – ცურვით, შენ კი, რახან კაცმა არ იცის, საიდან გაჩნდი, უკანვე გაქრი. არც ღმერთი შერხეულა, არც ეშმაკი და მაშინ იესომ დამცინავად დაუმატა: აა, გნებავთ, რომ ნაპირზე გაგიყვანოთ? კი ბატონო, სიამოვნებით: მიგიყვანთ, დაე, ბოლოს და ბოლოს ყველამ თავისი თვალით ნახოს ღმერთიც, ეშმაკიც, შეხედონ, როგორ ჰგვანან ერთმანეთს და რა კარგად ესმით ერთმანეთის.

ნახევრად შემოტრიალდა და იმ ნაპირისკენ ანიშნა, საიდანაც გამოცურა, მერე კი ნიჩბები რამდენჯერმე მძლავრად, განივრად მოუსვა და ნავი იმდენად მკვრივსა და გაუმჭვირვალე ნისლში შეაცურა, რომ მყის გაუქრა თვალთახედვიდან ღმერთი და ვერც ეშმაკის ბუნდოვან სილუეტს ვეღარ არჩევდა. გამხიარულდა, ძალების ერთგვარ უჩვეულო მოზღვავებას და აღმავლობას განიცდიდა და თუმც ნავის კიჩოს ვერ ხედავდა, გრძნობდა, ნიჩბის თითოეულ მოსმაზე როგორ იწეოდა მაღლა, თითქოს იმ გაჭენებული ცხენის თავი ყოფილიყოს, რომელსაც სურს, მაგრამ ვერ ახერხებს მხედრის სიმძიმე მოიშოროს და ბედს დამორჩილებულს ესმის, აფრენას მაინც არ დამანებებს და მისი თრევა გზის ბოლომდე მომიხდებაო.

იესო მოუღლელად უსვამდა ნიჩბებს: ნაპირი უკვე ახლოს უნდა ყოფილიყო, საინტერესოა, რას იზამენ ადამიანები, როდესაც ეტყვის: აი, ის წვერებიანი – ღმერთია და მეორე კიდევ – ეშმაკიო. მხარზემოთ გაიხედა, ნისლში შემოჭრილი სხივი დაინახა და გამოაცხადა: აი, მოვედით კიდეც – და უფრო გულმოდგინედ აამუშავა ნიჩბები, ელოდა, ჰა-ჰა, ნავი მსუბუქად შეიჭრება ლამში და ძირის ქვეშ ხრეში მხიარულად აფხაჭუნდებაო. მაგრამ ნავის უხილავი კიჩო კვლავაც ზღვისკენ იყო მიმართული, ხოლო სხივი სხივი კი არა, ისევ ის მაგიური წრე, ის დამაბრმავებელი ხაფანგი აღმოჩნდა, უკვე დავუსხლტიო, რომ ეგონა. მყისიერად ქანცმიხდილმა თავი ჩაქინდრა, ხელები ისე დაილაგა მუხლებზე, თითქოს ვინმემ უნდა შეუკრასო, წყლიდან ნიჩბების ამოღება არც უფიქრია, რამეთუ მისი სულიდან ყოველგვარი მოძრაობის უაზრობისა და ამაოების გააზრებას სხვა ყოველივე გამოედევნა. არა, ხმას პირველი არ ამოიღებს, არ

აღიარებს, დავმარცხდიო, პატიებას არ მოითხოვს, ღვთის ნებას რომ წინ აღუდგა და მის

განზრახვას დაუპირისპირდა, და მაშასადამე, შესაბამისად, ირიბად, მაგრამ ეშმაკის ინტერესებიც ხელყო, ეშმაკისა, რომელიც ყოველთვის პოულობს სარგებელს გვერდითსა და მეორად, ოღონდაც არა მეორეხარისხოვან მოქმედებებში, რაც უცილობლად თან სდევს ღვთის ნების ზედმიწევნით შესრულებას. უშედეგო ცდის შემდგომ ჩამოვარდნილი სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა.

გემბანზე კვლავინდებურად მჯდარმა ღმერთმა განაჩენის გამომტანი მოსამართლის ცრუ დიდმნიშვნელოვნებით გაისწორა სამოსის კალთები და ნაკეცები და თქვა: თავიდან დავიწყოთ, იმ ადგილიდან, როცა გითხარი, მთლიანად ჩემს ნებაზე ხარ დამოკიდებული-მეთქი, რამეთუ ყოველი შენი ქმედება, რომელიც მორჩილებას და თავმდაბლობას ასცდება, ჩემი და შენი დროის ზედმეტ ხარჯვად ჩაითვლება. კეთილი, თავიდან დავიწყოთ, წარმოთქვა იესომ, ოღონდაც წინასწარ ვაცხადებ, რომ შენ მიერ ბოძებული სასწაულების მოხდენის ნიჭზე უარს ვამბობ, ამის გარეშე კი შენი ჩანაფიქრი არაფერს არ წარმოადგენს, ციდან გადმოღვრილი კოკისპირულია, ვერავის წყურვილს რომ ვერ მოუკლავს. შენს სიტყვებს აზრი მაშინ ექნებოდა, შენზე რომ იყოს დამოკიდებული, ჩაიდენ სასწაულებს თუ არა. განა ჩემი ნება არ არის? რა თქმა უნდა, არა: სასწაულებს, მცირეებსაც და დიადებსაც, მე ვახდენ, ცხადია, შენი თანდასწრებით, რათა შენ ამით ჩემი კუთვნილი სარგებელი მიიღო, შენ კი სულის სიღრმეში ერთობ ცრუმორწმუნე ბრძანდები და გგონია, ავადმყოფის სასთუმალთან აუცილებლად სასწაულმოქმედი უნდა იდგესო და სასწაულიც მაშინ მოხდებაო, სინამდვილეში კი, საკმარისია მოვისურვო და სრულ მარტოობაში მყოფი მომაკვდავი ადამიანი, ექიმიც კი რომ არ მკურნალობს და მომვლელი ქალიც კი რომ არ უზის, წყლის მიმწოდებელიც რომ არავინ ჰყავს, აი, ასეთიც კი, ვიმეორებ, მე თუ მოვინდომე, გამოჯანმრთელდება და ცხოვრებას ისე განაგრძობს, ვითომც აქ არაფერიო. მერედა, რატომ არ იქცევი ასე? იმიტომ, რომ დარწმუნებული იქნება, ჩემმა პირადმა ღირსებებმა მიხსნაო და დაახლოებით ასეთ ლაპარაკს მოჰყვება: აბა, ჩემნაირი კარგი კაცის სიკვდილი როგორ იქნე-

ბოდაო, – არადა, ამ ჩემ მიერ შექმნილ ქვეყნიერებაზე თვითგანდიდება უკვე საჭიროზე მეტადაა გავრცელებული. მოკლედ, ყველა სასწაული შენი ნამოქმედარია? დიახ, ისინიც, რაც აქამდე მოახდინე და ისინიც, მომავალში რომ მოახდენ და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებელს დავუშვებთ – ხოლო ამ დაშვების აზრი კი ისაა, რომ ჩვენი შეკრების საბოლოო მიზანს ავხადოთ ფარდა, – მოკლედ, დაუშვებელიც რომ დავუშვათ და წარმოვიდგინოთ, რომ შენ კვლავაც განაგრძობ წინააღმდეგობას, ყველგან განაცხადებ, – ამას ისე, მაგალითად ვამბობ, – ძე ღვთისა არ ვარო, მაშინ მე იმდენ სასწაულში გაგხვევ, იმის გარდა სხვა აღარაფერი დაგრჩება, რომ დანებდე და მათი მადლიერება მიიღო, ვინც შენი – ანუ ჩემი მადლიერი იქნება. მაშ, არა მაქვს გამოსავალი? არანაირი და ნუ ემსგავსები კრავს, მსხვერპლად შეწირვა რომ არ სურს, ϫიუტობს, როცა საკურთხევლისკენ მიჰყავთ და კვნესის, როდესაც ყელს სჭრიან – არადა, რა აზრი აქვს: მისი ბედი გადაწყვეტილია და სამსხვერპლო დანა – ზეაღმართული. ეს კრავი მე ვარ? შვილო ჩემო, შენ ღვთის კრავი ხარ – ის, ვისაც თავის საკურთხეველზე თვით ღმერთი აიყვანს, და ეს ჩვენი შეხვედრაც, სხვათა შორის, საამისო მომზადებაა. იესომ მწყემსს გახედა, თითქოს მისგან – არა, დახმარებას კი არა, არამედ, – რამდენადაც ადამიანი არ გახლდათ და არც არასდროს ყოფილა, და არც ღმერთი იყო და ღმერთიც ვერასოდეს გახდებოდა, და ამიტომაც ვალდებული იყო საგნებისა და მოვლენებისთვის სულ სხვა თვალით შეეხედა, – თითქოს ელოდა თვალის, წარბის ერთ მოძრაობას, რაიმე ნიშანს, თუნდაც ორჭოფულს, რომელიც სულ ცოტა ხნით

ააცილებდა, დასაკლავად განწირულ კრავად არ ეგრძნო თავი. მაგრამ მწყემსის მზერაში ის სიტყვები ამოიკითხა, ერთხელ უკვე რომ უთხრა იესოს: ვერაფერიც ვერ გაიგე, წადიო, – და მიხვდა, საკმარისი არ არის ღმერთს რომ ერთხელ არ დაემორჩილო; რომ თუკი კრავი ერთხელ არ შესწირე, მეორედ მორჩილად ცხვარი არ უნდა დაუკლა, ღმერთს რომ „ჰო“ უთხრა და მერე იქვე „არაც“ მოაყოლო – არ შეიძლება, თითქოს ეს სიტყვები ნიჩბები იყოს და ნავის გასაცურებლად ორივეს უნდა მოუსვაო. ღმერთს, იმის მიუხედავად, რომ თავის ძალას მუდმივად ამჟღავნებს, ღმერთს, რომელიც არის სამყარო და ვარსკვლავები, ქუხილი და

ელვა, მეხი და ცეცხლისფრქვევა, არ ხელეწიფება, ცხვრის მოკვლა დაგაძალოს, და თუკი სამომავლო ძალმოსილებისა და დიდების სურვილმა ის ცხვარი მაინც მოგაკვლევინა, იცოდე, შენ მიერ დაღვრილი სისხლი უდაბნოს მიწას ბოლომდე როდი შეუსრუტია, – შეხედე, როგორ მოიკლაკნა ჩვენამდე ეს წვრილი, წითელი ნაკადი, როგორ იკლაკნება წყალში, ხოლო როცა ნაპირზე გავალთ, მიწაზეც გამოგვედევნება მოუცილებლად – მეც, შენცა და ღმერთსაც. იესომ ღმერთს უთხრა: მე განვუცხადებ ადამიანებს, რომ ძე ღვთისა ვარ, რომ მისი ერთადერთი შვილი ვარ, მაგრამ ვშიშობ, რომ აქაც კი, ამ მხარეში, შენად რომ მიიჩნევ, ეს არ იკმარებს, რომ შენი სამფლობელოები შენივე ნების კვალობაზე გაგიფართოვდეს და შორს განივრცოს. გმადლობ, შვილო ჩემო, რომ, როგორც იქნა, ხელი აიღე შენს გულისწამღებ სიჯიუტეზე, რომლის გამოც კინაღამ სამარადისოდ თავს დაიტეხე ჩემი რისხვა, და შენი ნებით შემოაბიჯე გზაზე, რომელსაც modus faciendi ეწოდება[6]: იმ უთვალავ, მრავალფეროვან განსხვავებათა შორის, რომლებიც ადამიანებს ახასიათებს, ერთია მხოლოდ, უკლებლივ ყველას რომ აერთიანებს, მიუხედავად რასის, კანის ფერის, ღმერთისა, რომელიც სწამთ და ფილოსოფიისა, რომელსაც მისდევენ, ერთი თვისება აქვს ყველას, განათლებულსა და გაუნათლებელს, ახალგაზრდასა და ბებერს, ძლიერსა და უძლურს – ვერავინ გაბედავს თქმას: ეს მე არ მეხებაო.

რას ნიშნავს ეგ `მოდუს ფაციენდი?~ – დაუფარავი ინტერესით ჰკითხა იესომ. ყოველი კაცი, განაგრძო ღმერთმა მოძღვრის ტონით, ვინც გინდა იყოს, რასაც უნდა აკეთებდეს, – ცოდვილია და ცოდვა ადამიანისგან ისევე განუშორებელია, როგორც ადამიანი ცოდვისაგან, ეს მედლის ორი მხარეა: აქეთ – ადამიანი, იქით – ცოდვა. ჩემს კითხვაზე არ მპასუხობ. გიპასუხებ, გიპასუხებ და, ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერც ერთი კაცი ვერ გაბედავს, უარყოს და თქვას, ეს მე არ მეხებაო, ეს ერთი სიტყვა: მოინანიე, იმიტომ, რომ ყველას ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეუცოდავს – ვინ მოყვასზე ცუდად იფიქრა, ვინ ჩვეულება დაარღვია, ვინ დანაშაული ჩაიდინა, ვინ გაჭირვებულს არ დაეხმარა, ვინ მოვალეო-

[6] მოქმედების იერსახე, მოდუსი (ლათ.)

ბას უღალატა, ვინ რწმენა ან სასულიერო პირები შეურაცხყო, ვინ ღმერთს უღალატა, – და საკმარისი იქნება, ყველა ამ ადამიანს უთხრა: მოინანიეთ! მოინანიეთ! მოინანიეთ! ნუთუ ამ წვრილმანისათვის ღირს იმ ადამიანის სიცოცხლის გაწირვა, ვისაც შენს შვილად მოიხსენიებ? წინასწარმეტყველის წარგზავნა ხომ არ აჯობებდა? წავიდა ის დრო, ხალხი რომ წინასწარმეტყველებს ყურს უგდებდა, სადღეისოდ უფრო შთამბეჭდავი საშუალება გვჭირდება – ისეთი, მართლა რომ შეგძრავს, ამოგაბრუნებს, ყველა გრძნობას აგიყირავებს. მაგალითად, ჯვარცმული ძე ღვთისა. გამოდგება. კიდევ რა უნდა ვუთხრა ყველა ამ ადამიანს, გარდა იმისა, რომ მონანიებისკენ მოვუწოდებ, თუკი შენი წარგზავნილის მოსმენა მობეზრდებათ და ზურგს მაქცევენ? მართალია, ეს ერთობ ცოტაა, მაგრამ წარმოსახვის დაძაბვა მოგვიხდება და არ მითხრა ახლა, წარმოსახვა არ მივარგაო: დღემდე მახსოვს, ის

კრავი როგორ გადაარჩინე, ჩემდა სამსხვერპლოდ განკუთვნილი. ეგ ძალიან ადვილი იყო, იმ ბატკანს მოსანანიებელი აბა, რა ჰქონდა?! კარგი ნათქვამია, სამწუხაროა, რომ უაზროა, მაგრამ მაინც გამოდგება – დაე, ადამიანებს მოსვენება დაეკარგოთ, შეშფოთდნენ, იფიქრონ, რომ თუ ნათქვამის აზრი არ გვესმის, ნათქვამის ბრალი არ არისო. ნაირ-ნაირი ამბების მოყოლაც მომიწევს? მოგიწევს: ამბების, იგავების, მორალური სენტენციების და არა უშავს, თუ აღთქმის წინაშე შესცოდავ კიდეც, ამგვარ ცელქობას მშიშარა ხალხი სხვებს უფასებს, ეგ კი არა, მეც, თუმც მშიშარა არ გახლავარ, მომეწონა, როგორ მარჯვედ გადაარჩინე ჩაქოლვით სიკვდილს ის მრუში ქალი და დამეთანხმე, ჩემგან ამგვარ საქებარ სიტყვებს დიდი ფასი აქვს, რამეთუ მე თვითონ დავადგინე სჯულის კანონში, ასეთი დანაშაულისთვის ვინ და როგორ უნდა დაისაჯოს და თვით კანონიც, თუ კარგად მახსოვს, მე გადმოგეცით. ნებას მაძლევ, რომ სჯულის კანონი დავარღვიო? – ეს ხომ ცუდია. ნებას გაძლევ, როცა კი ეს ჩემს საქმეს წაადგება და იმავე კანონის ზედმიწევნით დაცვას გიბრძანებ, როცა კი ამას ჩემი მიზნები მოითხოვენ. გაიხსენე, ხომ აგიხსენი, რა არის წესი და წესისაგან გამონაკლისი, რამეთუ ჩემი ნებაა, გამონაკლისი მყისიერად წესად ვაქციო. შენ მითხარი, რომ ჯვარზე მოვკვდები. ჰო, ასეთია ჩემი ნება. იესომ მწყემსისკენ გააპარა თვალი, მაგრამ ის ისეთი

სახით იჯდა, აქაოდა, აქ არც კი ვარ, წარმოსახვით შორეული მომავლის სურათებს ვჭვრეტ და საკუთარ თვალებს არ ვუჯერებო. იესოს ხელები ჩამოუცვივდა და წარმოთქვა: იყოს ნება შენი.

ღმერთი ფეხზე წამოდგომას, მილოცვას და საყვარელი შვილის გულში ჩახუტებას აპირებდა, მაგრამ იესომ შეაჩერა: ოღონდაც ერთი პირობით. ძალიან კარგად იცი, რომ არანაირი პირობების წამოყენება არ შეგიძლია, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ღმერთმა. კარგი, პირობა ნუ იქნება, თხოვნას დავარქმევ – სიკვდილმისჯილის ბოლო თხოვნას. კარგი, მითხარი. შენ ხომ ღმერთი ხარ, ესე იგი მართალს იტყვი, რაც უნდა გკითხო. ღმერთი ხარ და ზუსტად იცი ყოველივე, რა იყო უწინ, რა არის ახლა, როცა ვცოცხლობ და ისიც იცი, რაც ხვალ იქნება. სწორედ ეგრეა, რამეთუ დრო, სიმართლე და სიცოცხლე მე ვარ. მაშინ მითხარი, ყოველივე იმის სახელით, რაც ახლა შენ თქვი, რა მოხდება სამყაროში ჩემი სიკვდილის შემდეგ და თუ იქნება რამე ისეთი, რაც ვერა და ვერ იქნებოდა, თუ მე უარს განვაცხადებდი ჩემი სიცოცხლის შეწირვაზე შენი უკმაყოფილებისა და სურვილის გამო, რაც შეიძლება მეტ ქვეყანასა და მეტ ხალხს ეუფლო? ღმერთს ეს შეკითხვა იმგვარად არ ეჭაშნიკა, გეგონებოდათ, სიტყვაზეა დაჭერილიო და შეეცადა, – ამ მცდელობისა თვითონაც რომ არ სჯეროდა, – ვითარებიდან გამომძვრალიყო: ეჰ, შვილო ჩემო, მომავალი უსასრულოა, ათასი რამე მოხდება და ყველაფერს ხომ არ მოგიყვები.

რა ხანია ამ შუა ზღვაში ვსხედვართ, ამ ნისლში – მთელი დღე? თვე? წელიწადი? – და კიდევ ერთ წელს, ერთ თვესა და ერთ დღესაც ვისხდეთ, ეშმაკს თუ ნებავს, თავიდან მოგვწყდეს, უკვე გაიგო, რაც უნდოდა და თუ მოგება და სარგებელი თანაბრად უნდა განაწილდეს, სამართლიანად, მაშინ რაც მეტად გაიზრდება შენი სამეფო, მისი სამეფოც ზუსტად ისე გაფართოვდება. არ მეჩქარება, უთხრა მწყემსმა, და ეს იყო პირველი სიტყვა მას შემდეგ, რაც განაცხადა მოვედიო, დავრჩები კიდევ, თქვა და დასძინა: მეც შემიძლია მომავლის ჭვრეტა, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებ ამგვარ ხილვებში მართალი და მოჩვენებითი ერთმანეთისგან განვასხვავო ანუ საკუთარ ტყუილს, ცხადია, კარგად ვარჩევ, რადგან

ტყუილი არის სწორედ ჩემი სიმართლე, მაგრამ ვერასდროს ვგებულობ, სხვების ტყუილში რა სიმართლეა.

ამ აბდაუბდა ტირადას რომ დასრულებული სახე მიეღო, ეშმაკს ისიც უნდა ეთქვა, თუ რას ხედავდა მომავალში, მაგრამ უეცრად ისე მკვეთრად გააწყვეტინა თავის თავს სიტყვა, თითქოს მიხვდა, ისედაც ბევრი ვიტ-ლიკინეო. იესო ღმერთს მისჩერებოდა და ნაღვლიანად, დამცინავად წარმოთქვა: თავს რატომ იკატუნებ, თითქოს არ იცი ის, რაც იცი: შენ ხომ წინასწარ იცოდი, რომ ამის თქმას გთხოვდი, და რომ მეტყვი იმას, რაც გკითხე, ჰოდა, ამიტომ დრო ნუღა გაგყავს – დროა, შევუდგე სიკვდილის გზას. სიკვდილის გზა მაშინ დაიწყო, როგორც კი გაჩნდი. ეგ ეგრეა, მაგ-რამ დღეის შემდეგ მხიარულად უნდა ვიარო. ღმერთმა ისეთი სახით შე-ხედა, ადამიანი რომ ყოფილიყო, იფიქრებდით, იესოს მიმართ მო-ულოდნელმა პატივისცემამ შეიპყროო და იერსახეც და საქციელიც რა-ღაც უფრო გაუადამიანურდა, და თუმცაღა, ერთი შეხედვით ერთი მე-ორეს არაფრით უკავშირდება, – რადგან ვინ ვბრძანდებით ჩვენ ასეთე-ბი, რომ იმ ღრმა და საიდუმლო კავშირებზე ვილაპარაკოთ, ყოველ მოვ-ლენას, ჩანაფიქრსა და მოქმედებას რომ აკავშირებს, მაგრამ მაინც – ნისლი გამკვრივდა, ნავს კედელივით შემოერტყა, რომ სამყაროში არ გა-ეჟონა და მერე არ გავრცელებულიყო არც ერთი სიტყვა, ახლა რომ ღმერთი იესოს მსხვერპლის მოსალოდნელი შედეგების შესახებ თქმას აპირებდა, იესოსი, მისი შვილის მისივ მტკიცებით და მარიამ ნაზარეველ-ლის, თუმცა ნამდვილი მამა ხურო იოსებია, რადგან კანონი გვავალდე-ბულებს, რომ მხოლოდ ის დავიჯეროთ, რაც საკუთარი თვალით გვინა-ხავს, თან ცნობილია, რომ ერთსა და იმავესაც ხშირად სხვადასხვანაი-რად ვხედავთ და ეს თვისება დაეხმარა კაცობრიობას არა მხოლოდ ფი-ზიკურად გადარჩენაში, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, გონიერე-ბაც გადაურჩინა.

თქვა ღმერთმა: ეკლესიას დააფუძნებ, ეს სიტყვა, როგორც მოგეხსე-ნება, „შეკრებას“ ნიშნავს ანდა, თუ გნებავს, „რელიგიურ თავყრილო-ბას“, შესაძლოა ეს სხვებმა ქნან შენი სახელით, რაც, სხვათა შორის, სუ-ლერთია, და ეკლესია განივრცობა მთელ მსოფლიოში, ისეთ მხარეებს მისწვდება, ჯერ რომ არც აღმოუჩენიათ და სრულიად მსოფლიურობის

გამოისობით „კათოლიკური“ დაერქმევა, თუმც, სამწუხაროდ, მთლიანობას ვერ შეინარჩუნებს, განიყოფა და გაიხლიჩება იმათ გამო, ვინც სულიერ ნიშანსვეტად მე კი არა, შენ გაღიარებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება – სულ რამდენიმე ათასწლეულს, რადგან მე შენზე ადრე ვიყავი და იმის მერეც დიდხანს ვიქნები, როცა შენ უკვე არც ის იქნები, ვინც ახლა ხარ და აღარც ის, რაც შემდგომ გახდები. ცოტა უფრო გასაგებად არ შეგიძლია? – შეაწყვეტინა ღმერთს იესომ. არ შემიძლია, მიუგო ღმერთმა, ადამიანთა სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილებია, ჩრდილებით კი ნათელს ვერ ახსნი, რამეთუ ნათელსა და ჩრდილებს შორის უნდა იყოს გაუმჭვირვალე რამ სხეული, რაც ჩრდილს წარმოქმნის. მე მომავალზე გეკითხები. მეც მომავალზე ვლაპარაკობ. მინდა ვიცოდე, როგორ იცხოვრებს ხალხი ჩემ მერე. შენ მერე? მაინტერესებს, ჩემზე მეტად ბედნიერნი თუ იქნებიან. ოდნავ, რადგანაც იმედი გაუჩნდებათ, რომ ზეცაში იპოვიან ბედნიერებას, იქ, სადაც მე ვარ უკუნითი უკუნისამდე, ანუ იმედი გაუჩნდებათ ჩემთან ყოფნის უკუნითი უკუნისამდე. სულ ეგაა? რა, ცოტაა ღმერთთან ცხოვრება? ცოტაა, ბევრია თუ სულაც ყველაფერია – ეს იმ საშინელ სამსჯავროზე გაირკვევა, როცა შენ განსჯი ადამიანთა კეთილსა და ბოროტ საქმეებს, მანამდე კი იქ, ზეცაში მარტო იქნები. ვითომ რატომ, იქ არა მყვანან ანგელოზები და კიდევ მთავარანგელოზები? ხალხი არა გყავს.

ჰოდა, სწორედ ხალხი რომ მყავდეს, ამისათვის ჯვარს უნდა ეცვა. და კიდევ იმის ცოდნა მინდა, თქვა იესომ განრისხებით, თითქოს სურდა, გარიდებოდა საკუთარ სურათს – ჯვარზე გაკრულს, სისხლიანსა და მკვდარს, – მინდა ვიცოდე, რა გზით მივა ხალხი იქამდე, რომ დამიჯეროს და გამომყვეს, ოღონდ ნუ მეტყვი, საკმარისია დავუძახო, ან დაუძახოს ჩემი სახელით იმან, ვინც უკვე დამიჯერა და, მაგალითად, წარმართები, რომაელები, სულ სხვა ღმერთებს რომ სცემენ თაყვანს, იმწამსვე დამედევნებიან და თავიანთ ღმერთებს ჩემზე გაცვლიან. შენზე კი არა, ჩემზე. შენზე, ჩემზე, სულერთია, სიტყვებს ნუღა დავედევნებით, ჯობს, შეკითხვაზე მიპასუხო. ვინც გვერწმუნება, ის მოვა ჩვენთან. რა იოლია, და არაფერი ამაზე მეტი აღარ გვჭირდება? ეგ არც ისეთი იოლია: მაგათ სხვები ხელს შეუშლიან. და შენ იმ სხვებს, რაღა თქმა უნდა, შეებრძო-

ლები. რა სისულელეს მეუბნები: ბრძოლა მიწაზე გაიმართება, ზეცა ხომ მარადიულია და უშფოთველი, ადამიანთა ბედ-იღბალი იქ გადაწყდება, სადაც ცხოვრობენ. მართალი თქვი, თუნდაც სიტყვები ჩრდილები იყოს, ჩემთვის და შენთვის ელით დაღუპვა ადამიანებს? ადამიანები ღმერთებისთვის ოდითგანვე იღუპებოდნენ, ცრუ, მატყუარა ღმერთებისთვისაც. განა ღმერთები იტყუებიან? რატომაც არა. მხოლოდ შენა ხარ ერთადერთი მართალი და გულნათელი? დიახ, მე ვარ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და მე არ ვცრუობ. და მაინც არ შეგიძლია, ის ხალხი იხსნა, ვინც იმისთვის დაიბადა, რომ შენთვის ეცოცხლა, დედამიწაზე, რაღა თქმა უნდა, და არა ცაში, სადაც არ არის მიწიერი სიხარულის შესაძლებლობა. ეგ მიწიერი სიხარულები – ტყუილია, სიყალბეა, სისულელეა, რადგან აკვნიდან ადამიანს პირველცოდვა აქვს აკიდებული, აგერ, ჰკითხე შენს ძვირფას მწყემსს, ზუსტად გიამბობს, როგორც იყო.

თუკი ღმერთსა და ეშმაკს ერთობლივი საიდუმლოები აქვთ, ერთი მათგანი, თუ არ ვცდები, ამოვხსენი, თუმცა ეს ამბობს, ვერაფერი ვერ ისწავლეო. დუმილი დადგა. ღმერთმა და ეშმაკმა პირველად გაუსწორეს მზერა ერთმანეთს და რაღაცის თქმა დააპირეს, მაგრამ აღარ თქვეს.

თქვა იესომ: გელოდები. რას მელოდები? თქვა ღმერთმა და გამხიარულდა. გელოდები, როდის მეტყვი, რამდენ სიკვდილად და წამებად დაუჯდებათ ადამიანებს შენი ომი უცხო ღმერთებთან, რამდენ სიკვდილს და წამებას გადაიხდის გამარჯვებაში შენი და შენი სახელით ის, ვინც გამოგვყვება? დაბეჯითებით მოითხოვ პასუხს? დაბეჯითებით. კეთილი: იმ თავყრილობის თუ ერთობის, მე რომ გითხარი, შენობა მკვიდრად აიგება, მაგრამ საძირკველს ცოცხალ ხორცში გაიდგამს იგი, ხოლო ბალავარს უარყოფა, ცრემლი, ტანჯვა შეადუღაბებს, წამება და ყველა სახის მოკვდინება, ის, რაც ამჟამად ცნობილია, და ის, რაც ჯერ არც გაუგონიათ. როგორც იქნა, მიკიბ-მოკიბვას თავი ანებე და პირდაპირ ალაპარაკდი, გააგრძელე. დავიწყოთ შენი ნაცნობებით, ვინც უკვე გიყვარს: მაგალითად, მებადურ სიმონს, რომელსაც შენ პეტრეს დაარქმევ, შენსავით ჯვარზე გააკრავენ, ოღონდაც თავქვე; მის ძმას – ანდრიას აგრეთვე ჯვარი ელოდება, ოღონდ ირიბი; ზებედეს ძე იაკობს კი თავს მოაჭრიან. იოანე და მაგდალელი? თავიანთი სიკვდილით დაიხოცებიან, როცა

დრო მოვა, მაგრამ სხვა ყველა შენი მოსწავლე, მიმდევარი და შენი მოძღვრების მასწავლებელი ტანჯვას თავს ვერ დააღწევს. მაგალითად, ვინმე ფილიპეს ჯერ ჯვარს აცვამენ, მაგრამ ზედ სიკვდილს არ დააცდიან, ქვით ჩაქოლავენ, ხოლო მეორეს, ბართლომეს ცოცხლად გაატყავებენ, მესამეს – თომას, ისარს ესვრიან, იქვე იქნება ვინმე მათეც, მაგრამ არ მახსოვს, რას უზამენ, კიდევ სხვა სიმონს გარდიგარდმო გადახერხავენ, იუდას ხმლით აჩეხენ, სხვა იაკობს ქვით ჩაქოლავენ, ხოლო სხვა მათეს თავს

მოჰკვეთენ, ხოლო მავან იუდას, ისკარიოტელს – სხვათა შორის, მას ჩემზე უკეთ თვითონ გაიცნობ, სხვა კი არა, თავის თავი მოუღებს ბოლოს, თავს ჩამოიხრჩობს ლეღვის ხეზე. და ყველანი შენი გულისთვის მოკვდებიან? ახლა, საკითხს თუ ასე დავსვამთ, კი, რა თქმა უნდა, ოღონდ „გულისთვის“ კი არა, „ჩემთვის“. მერე? ხოლო მერე კი, შვილო ჩემო, როგორც გითხარი, უსასრულო ისტორია განვითარდება, დაიწერება რკინით და სისხლით, ცეცხლით და ფერფლით, იქნება ცრემლთა ოკეანე და ტანჯვის ზღვები. ბარემ მიამბე ყველაფერი. ღმერთმა ჯერ ერთი ამოისუნთქა და მერე დინჯად, მონოტონურად წამოიწყო აღაპის კითხვა, ანბანური თანმიმდევრობით, – მერე არა თქვან, ვინმე ვინმეზე უწინარესად მოიხსენაო:

ადრიანე – გრდემლზე დააწვინეს და ურიებით დაჩეჩქვეს; აფრა აუგსბურგელი – კოცონზე დაწვეს; აღაფიტე პრენესტელი – ფეხებით დაკიდეს და დაწვეს; აგრიკოლა ბოლონიელი – ჯვარს აცვეს და დალურსმნეს; აქვედა სიცილიელი – ძუძუები მოაჭრეს; ალთიგეა კანტუარინელი – ხარის ძვალი ურტყეს და ისე მოკლეს; ანასტას სალონელი – დაახრჩვეს და თავი მოჰკვეთეს; ანასტასია სირმიელი – ძუძუები მოაჭრეს და კოცონზე დაწვეს; ანსანიუს სიენელი – შიგნეულობა ამოჰგლიჯეს; ანტონ პამიერელი – ხელ-ფეხი და თავი მოჰკვეთეს; ანატოლი რივოლიელი – ჩაქოლეს, დაწვეს; აპოლინარიუს რავენელი – თავი ჩაქუჩით გაუჩეჩქვეს; აპოლონია ალექსანდრიელი – ჯერ კბილები დააძრეს და მერე ნელ ცეცხლზე დაწვეს; აუგუსტა ტრევიზელი – თავი მოჰკვეთეს და დაწვეს; აურა ოსტიელი – წისქვილის დოლაბში დაფქვეს; აურეია სირიელი – ლურსმნებიან სკამზე დასვეს და სისხლისგან დაიცალა; აუტა – ისრებით დაცხრილეს;

ბაბილიუს ანტიოქიელი – თავი მოჰკვეთეს; ბაბალე ნიკოდემიელი – თავი მოჰკვეთეს; ბარაბა კვიპროსელი – ჩაქოლეს და დაწვეს; ბეატრიჩე რომაელი – დაახრჩვეს; დიჟონელი ნეტარი – შუბით განგმირეს; კალისტო – წისქვილში დაფქვეს; კასიანე იმოლიელს თავისმა მოწაფეებმა სტილეტი გაურჭვეს; კასტულიუსი – ცოცხლად დამარხეს; კიპრიანე კართაგენელი – თავი მოჰკვეთეს; კირიუს ტარსიელი ბავშვობაში მოკლა მოსამართლემ, თავი ფიცარნაგის კიბეზე არახუნებინა; კლარიუს ნანტელი – თავი მოჰკვეთეს; კლიმენტი – ღუზას მიაბეს და დაახრჩვეს; კრისპინე და კრისპინიანი – ორივეს თავები მოჰკვეთეს; ლიონელი ქერათმიანი – ცოფიან ხარს დააფლეთინეს; ქრისტინე ბოლსანელი – აწამეს დოლაბზე, ბორბალზე, მაჯაგანებითა და ისრებით. ამ ადგილამდე რომ ჩაიკითხა, ღმერთმა თქვა: და ასე შემდეგ, სულ ერთნაირად, განსხვავება მხოლოდ წამების მცირედ და ძნელად ასახსნელ წვრილმანებშია, ძირითადად ერთი და იგივეა: თავი მოჰკვეთეს, დაწვეს, დაახრჩვეს, ველურ მხეცებს დააგლეჯინეს, შუბებზე წამოაგეს, ხმლით აჩეხეს, ჯვარს აცვეს, დაახრჩვეს, ჩაახრჩვეს, ბორბალზე გააკრეს, ხელ-ფეხი და თავი მოჰკვეთეს, ჩამოახრჩვეს, ცხენების კუდზე გამოაბეს და ნაკუწებად დაგლიჯეს, ძუძუები მოაჭრეს, ენა ამოგლიჯეს, ჩაქოლეს, ჩაქოლეს, ოღონდაც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჩაქოლეს ხის ფეხსაცმელებით, თავი მოჰკვეთეს, დაწვეს, დაახრჩვეს, ველურ მხეცებს დააგლეჯინეს, შუბებზე წამოაგეს, ხმლით აჩეხეს, ჯვარს აცვეს, დაახრჩვეს, ჩაახრჩვეს, რქებზე წამოაგეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს – ეგება საკმარისია? ეგ შენს თავს უნდა ჰკითხო, მიუგო იესომ და ღმერთმა განაგრძო:

საბინიანე ასიზელი – თავი მოჰკვეთეს; სატირნინუს ტულუზელი – ცოფიან ხარებს გაათელინეს; სებასტიანი – ისრებით დაცხრილეს, სიგიზმუნდი – ჭაში ჩააგდეს; თეკლე იკონიელი – ხელ-ფეხი და თავი მოაჭრეს და დაწვეს; თეოდორე – თავი მოჰკვეთეს; ტიბურციუსი – აგრეთვე; ტიმოთე ეფესელი – ჩაქოლეს;

ურბანო – ჯვარს აცვეს და კიდევ ძალიან ბევრია ასეთი, აღარ გეყოფა? არ მეყოფა, მიუგო იესომ, იმ „ძალიან ბევრს“ რა დაემართა? მოითხოვ, რომ გითხრა? მოვითხოვ.

ძალიან ბევრში ვგულისხმობ იმათ, ვინც არც აწამეს და არც მოკლეს, არამედ დაიხოცნენ თავიანთი სიკვდილით. ეშმაკი და ქვეყანა დაუნდობლად აცდუნებდა მათ და ცდუნებას რომ არ აჰყოლოდნენ, ლოცვითა და მარხვით აკვდინებდნენ თავიანთ სხეულებს, კურიოზებიც ხდებოდა ხოლმე: ვინმე ჯონ სკორნმა, მაგალითად, მუხლმოყრილმა იმდენი ხანი გაატარა, რომ კოჭრები გაიჩინა, ჰო, კიდევ, გამიგონია, ეი, მწყემსო, ეს შენ გეხება, ეშმაკი თავის ჩექმაში შეიტყუაო. ჰაჰაჰა... მე – ჩექმაში? – გაუკვირდა მწყემსს, რა სისულელეა, საამისოდ ჩექმა დედამიწისხელა მაინც უნდა ყოფილიყო, თანაც ვინმეს ამ ჩექმის ჯერ ჩაცმა უნდა შესძლებოდა, მერე კიდევ – გახდა. მხოლოდ ლოცვითა და მარხვით? – შეაწყვეტინა იესომ და ღმერთმა მიუგო: არა, ცხადია, საკუთარ სხეულს ტკივილითაც გააწვალებენ, სიბინძურითაც შეურაცხყოფენ, ჯაჭვ-ბორკილებს აისხამენ, ჯვალოს ჩაიცვამენ, თავებს გაიშოლტავენ, ზოგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუბანელი ივლის, სხვები ტყეში განმარტოვდებიან და იქ თოვლში იგორავებენ, აბეზარი, მაცდურის მიერ მოვლენილი ხორციელი სურვილების ჩასაცხრობად, რადგან ეშმაკი მიზნად დაისახავს, მათი სულები ჭეშმარიტი გზიდან გადააცდინოს, პირდაპირ ცისკენ მიმავალი გზიდან, და საამისოდ ხან შიშველ მზეთუნახავებს მიუგზავნის, ხან შემზარავ ურჩხულებს, ხან ფუფუნებას და სიამოვნებას დაჰპირდება, ხანაც მუქარით შეაშინებს, უამრავი იარაღი აქვს ეშმაკს საწყალი კაცის საწვალებლად. ამ ყოველივეს შენ გააკეთებ? – ჰკითხა იესომ მწყემსს. თითქმის ყველაფერს, მიუგო მწყემსმა, მაგრამ მე ხომ ცოტა რამ მინდა: ავიღებ სხეულს – სხეულს, რომელიც ღმერთმა უარყო, – ხორცს მთელი თავისი მწუხარებითა და სიხარულით, სინორჩითა და სიჩაჩანაკით, სიქორფითა და გახრწნილებით, მაგრამ აი, შიშს, მართალი გითხრა, ჩემ იარაღად ნურავინ ჩათვლის, რამეთუ არც ცოდვა და არც მისი საფასური მე არ გამომიგონია, ხოლო შიში იმთავითვე ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. გაჩუმდი, ერთი, მოუთმენლად შეაწყვეტინა ეშმაკს ღმერთმა, ცოდვა და ეშმაკი ერთი და იმავე არსების ორი სხვადასხვა სახელია. რა არსების? ჰკითხა იესომ. უჩემობის. მერე რად არ ხარ – შენ შორდები ადამიანს თუ ის გშორდება? მე არასოდეს არ ვშორდები. აბა, როდესაც გშორდებიან, ეგუები? თუ მშორდებიან, ეს ნიშნავს,

რომ დამეძებენ. აჰა, და თუკი ვერ გპოულობენ, ეშმაკს ბრალდება? არა, ეშმაკის ბრალი არ არის, არამედ ჩემი – თავის დროზე არ აღმოვჩნდი, სადაც მეძებდნენ – და ეს სიტყვები მოულოდნელად იმნაირი სევდითა და სიმწრით წარმოთქვა, თითქოს უეცრად საკუთარი ძალმოსილების საზღვრები აღმოაჩინაო. გააგრძელე, უთხრა იესომ. ზოგიერთები, აუჩქარებლად განაგრძო ღმერთმა, ტყესა და ღრეში განდგებიან, გამოქვაბულში დასახლდებიან უტყვი მხეცების გარემოცვაში, სხვები დილეგში ჩაიკეტებიან, მესამენი მაღალ სვეტებზე აძვრებიან და მრავალი წლის განმავლობაში ძირს არ ჩამოვლენ – მათ მესვეტეებს უწოდებენ; ღვთის ხმა სუსტდებოდა და ქრებოდა, მის ფიქრებში ათასობით, ათასობით და ათასობით კაცმა თუ ქალმა ჩაიარა, სენაკებისკენ, მონასტრებისკენ, სავანეებისკენ, მათ შორის ღარიბული მოჩორკნილი ქოხმახებიც იყო და დიდებული სასახლეებიც. ისინი იქ დარჩებიან, რათა მე და შენ გვემსახურონ დილიდან საღამომდე ურვითა და ლოცვით, ყოველ მათგანს ერთი მიზანი და ერთნაირი ბედ-იღბალი აქვს: ჩვენი სახელით იხოცებიან, თუმც კი თვითონ სულ სხვადასხვა სახელები აქვთ – ბენედიქტელები, ბერნარდელები, კარმელიტები, ფრანცისკელები, კარტეზიანელები, დომინიკელები,

ტრინიტარიები, იეზუიტები, ავგუსტინელები, ჰილბერტიანელები, კაპუცინები და სხვადასხვა სახელები ერქმევათ, ისე ბევრი, რომ სამწუხაროა, წამოხტომა და დაყვირება არ შემიძლია: ღმერთო ჩემო, ეს რამდენი ხართ! იმავ წამს ეშმაკმა იესოს უთხრა: შეამჩნევდი, სიკვდილის ორი ხერხია: ან წამებული უნდა გახდე, ან განდეგილი: თითქოს საკმარისი არ იყოს, რომ სიკვდილი თავის დროზე აუცილებლად მივა თითოეულ მათგანთან; არა. ასეთი თუ ისეთი ხერხით თვითონვე მიიჩქარიან სიკვდილისკენ: ჯვრებზე, კოცონზე, სახრჩობელაზე, ბორბალზე, რქებზე, ნაჯახქვეშ, ისრების წინ, შუბის წვერზე, კბილებში, ბრჭყალებში, საფლავში ცოცხლად, ან სენაკებსა და სავანეებში, მონასტრებში და დაუღლელად ისჯიან თავს იმისათვის, რომ ამქვეყნად ხორცით დაიბადნენ, ღმერთმა რომ მისცათ და რომელიც რომ არ გააჩნდეთ, სულებს ვეღარსად წაიღებდნენ და ყველა ეს წამება და ტანჯვა, დამიჯერე, ეშმაკს კი არ მოუგონია, არამედ იმას, აგერ ახლა რომ ესაუბრები. სულ ესაა? –

ჰკითხა იესომ ღმერთს. არა, სულ ეს არაა, კიდევ ომები მოხდება. ომებიც იქნება? ომებიც და სხვანაირი თვითმკვლელობებიც. ზოგიერთი რამ თვითონაც ვიცი, მეც ხომ კინაღამ დავიღუპე მაშინ, ბეთლემში, ბავშვებს რომ ხოცავდნენ, ახლა კი ვნანობ, რომ გადავრჩი, მაშინ ჯვარცმა ხომ ამცდებოდა. მე მივიყვანე ის მეორე მამაშენი საჭირო დროს და საჭირო ადგილას, რათა გაეგონა, რაც ისევ და ისევ ჩემი ნების კვალობაზე ჰეროდეს ჯარისკაცებმა დააყრანტალეს და ამგვარად გადაგარჩინე. გადამაჩინე, რათა მომკლა, როცა შენი სარგებელი მოითხოვს ამას, იგივეა, რომ ორგზის მოგეკალი. მიზანი, შვილო ჩემო, საშუალებას ამართლებს. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მითხარი, მართლაც ეგრეა: განდეგილობა, სალოსობა, მესვეტეობა, ტანჯვა-წამება, ახლა კიდევ ომებიო, ჰო, მართლა, რა ომებს გულისხმობ? უჰ, ყველას ვერც კი ჩამოგითვლი, მაგრამ ყველაზე შემზარავი ის ომებია, ჩვენ წინააღმდეგ რომ ატეხენ მიმდევრები იმ ღმერთისა, ჯერ რომ ქვეყნად არ გამოჩენილა. ეგ როგორღაა: თუ ღმერთია, ყოველთვის უნდა ყოფილიყო და ყოველთვის უნდა იყოს. გეთანხმები, ძნელი გახლავს მაგის გაგება, განმარტება კი უფრო ძნელია, მაგრამ, რა ვქნა, მაინც სწორედ ასე მოხდება: თავს დაგვესხმება ახალი ღმერთი, ხოლო ისინი, ვინც იმ დროისთვის მას გაჰყვებიან... არა, სიტყვები აღარ მყოფნის, რათა აგიხსნა, რა სისხლისღვრას და მუსვრაჟლეტას, რა სასაკლაოს გამართავენ ორივე მხრიდან: წარმოიდგინე ჩემი საკურთხეველი იერუსალიმის ტაძარში, ოღონდ ათასგზის უფრო დიდი, ხოლო სამსხვერპლო ცხოველების ნაცვლად – ადამიანები, მაგრამ მაინც მიხვდები ნათლად და ცხადად, თუ რა იყო სინამდვილეში ის ჯვაროსნული ლაშქრობები. ეგ რაღაა და რატომ ამბობ, წარსულ დროში – „იყოო“, როცა „იქნებაო“ უნდა გეთქვა? გაიხსენე, რომ მე თვით დრო ვარ და ამიტომაც ჩემთვის ყოველივე, რაც უნდა მოხდეს, უკვე მოხდა, ხოლო რაც მოხდა, ახლაც ხდება. მომიყევი იმ ჯვაროსნულ ლაშქრობებზე. მოკლედ, შვილო ჩემო, ეს მხარე, სადაც ახლა ვიმყოფებით, იერუსალიმიანად და ჩრდილო თუ დასავლეთ შემოგარენიანად იმ ახალი, ცოტა დაგვიანებული ღმერთის მიმდევრების ხელთ აღმოჩნდება, ჩემი და შენი მომხრეები კი შეეცდებიან, რამენაირად გააძევონ იმ მიწიდან, სადაც პირველი ნაბიჯები გადაგიდგამს და სადაც მეც მიყვარს ხშირად მოსვლა

და დავანება. რაღაც არ მახსოვს, რომაელების განსადევნად, ახლა რომ ფლობენ ჩვენს ქვეყანას, ოდესმე თავი გამოგედოს.

მე მომავალზე გესაუბრები, ნუ მაწყვეტინებ. შენ ამ მიწაზე დაიბადე, იცხოვრე, მოკვდი. მე ცოცხალი ვარ ჯერჯერობით! ხომ აგიხსენი: ჩემი თვალთახედვის წერტილიდან მომხდარსა და მოსახდენს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, და ამიტომაც, კეთილი ინებე და ნუ მაწყვეტინებ, ანდა, თუ გინდა,

გავჩუმდები. კარგი, კარგი, მე გავჩუმდები. ჰოდა, მოკლედ, უწმინდურთა და უღირსთაგან გამოსახსნელად ჩვენი ახალი რელიგიის აკვნად ქცეული აქაურობის, წმინდა მიწად რომ იწოდება, იმის სახსოვრად, ვინც აქ იშვა, იცხოვრა და მოკვდა, დასავლეთიდან ორასი წლის განმავლობაში უზარმაზარი არმიები ჩამოვლენ, რათა ბრძოლით აიღონ მღვიმე, სადაც შენ დაიბადე, მთა, რომელზედაც შენ მოკვდები და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი სიწმინდეები – რას იტყვი, ომის საფუძველი საკმარისზე საკმარისია. და „ჯვაროსნული ლაშქრობები“ ამას დაერქმევა? ჰო. მერედა, მიაღწევენ დასახულ მიზანს? ვერა, მაგრამ უამრავ ხალხს კი დახოცავენ. თვითონ? თვითონაც ამდენივე დაიხოცება, მეტი თუ არა.

და ეს ყველაფერი – ჩემი და შენი სახელით მოხდება? დიახ, ილაშქრებენ და იტყვიან, „ღვთის ნებააო“, სიკვდილის წინ კი იჩურჩულებენ – „ღმერთს ასე ენებაო“ და ღირსეული, ლამაზი სიკვდილი იქნება. მე კი ვფიქრობ, რომ ცოდვა მსხვერპლს არ შეეფარდება. შვილო ჩემო, სულის სახსნელად ხორცი უნდა გაიწიროს. ეგ სიტყვები თუ მაგის მსგავსი უკვე მითხარი, მაგრამ იცი, რა მაინტერესებს – მწყემსი რას ფიქრობს ამის შესახებ. ვფიქრობ, არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ მოჰყვება იმის მტკიცებას, ამ უთავბოლო სისხლისღვრაში, ხოცვა-ჟლეტასა და კაცთა კვლაში დამნაშავე ეშმაკიაო, მხოლოდ ბოროტი ცილისწამება თუ მომაწერს დანაშაულს იმ ღმერთის გამოჩენის გამო, რომელიც ჩვენი ღმერთის მტრობას მოიწადინებს, აი ამისას. მეც დარწმუნებული ვარ, რომ შენ დანაშაული არ მიგიძღვის, ხოლო ამ ვითომ შენზე დაკისრებულ მოვალეობას უპასუხე, რომ შენ – ეშმაკს, სიცრუის განსახიერებას, არ შეგეძლო შეგექმნა ღმერთი, რომელი არს ჭეშმარიტება. მაშ, ვინღა შექმნა ახალი ღმერთი? – იკითხა მწყემსმა და იესომ არ იცოდა, რა ეპასუხა. ღმერ-

თი კვლავ დუმდა, ხოლო ნისლიდან ხმა მოისმა: ეგება ეს ღმერთი და ის მეორე, მისი მეტოქე რომ გახდება, – უბრალოდ ჰეტერონიმები არიან. და ვინ ან რაა, ვის ჰეტერონიმებადაც ეს ღმერთები მოიაზრებიან? – ცნობისწადილით დასვა შეკითხვა მეორე ხმამ. პესოა, უპასუხა პირველმა ხმამ და სიტყვა ნისლისგან სახეცვლილი, ისე გაისმა, როგორც პერსონა[7]. იესომ, ღმერთმა და ეშმაკმა ჯერ თავი მოიკატუნეს, აქაოდა, არაფერი გაგვიგონიაო, მაგრამ წამსვე შეშინებულებმა გადახედეს ერთმანეთს, რამეთუ შიშს ასეთი თვისება აქვს – აახლოებს და აერთიანებს.

გავიდა ხანი, ნისლი დუმდა და იესომ ისეთი ტონით დასვა შეკითხვა, თითქოს პასუხად „ჰოს“ გარდა სხვა არაფრის გაგონებაც კი არ უნდაო: დავამთავრეთ? ღმერთი შეყოყმანდა და დაღლილმა მიუგო:

არა, კიდევ ინკვიზიცია დაგვრჩა, მაგრამ მოდი, მის შესახებ, წინააღმდეგი თუ არ იქნები, ეგებ სხვა დროს ვილაპარაკოთ. ინკვიზიცია რაღა არის? კიდევ ერთი გრძელი ამბავი. მიამბე. თუ გიამბობ, იცოდე, მერე შენს სიკვდილამდელ ცხოვრებაში სამომავლო მოვლენების გამოისობით სინდისის ქენჯნა შეგაწუხებს. შენ არ გაწუხებს? მე ღმერთი ვარ, ღმერთს არა აქვს სინდისის ქენჯნა. სადაც შენ გამო უკვე სიკვდილი მიტვირთვია, შენ მაგივრად სინდისის ქენჯნასაც გადავიტან რამენაირად. მირჩევნია, გაგიფრთხილდე. აბა, აბა, სულ მიფრთხილდები, რაც დავიბადე? უმადურები ხართ შვილები. კარგი, კმარა, ახლა მითხარი, რას წარმოადგენს ინკვიზიცია. ინკვიზიცია, ანუ წმინდა ტრიბუნალი სავალდებულო ბოროტებაა, დაუნდობელი იარაღი, რომლის წყალობით თავის დროზე მოგვიწევს იმ სიბილწეს შევებრძოლოთ, ერთხელაც და მერე დიდი ხნით რომ შემოძვრება შენსა და ჩემს ეკლესიაში საძაგელი ერესების სახით, მათ

---

[7] ამ ეპიზოდის მრავალმნიშვნელოვანი აზრი ერთობ ნიშნეულია ავტორის ფილოსოფიის გასაგებად და სიტყვათა თამაშზეა დამყარებული. დიდმა პორტუგალიელმა პოეტმა ფერნანდო პესომ (Pessoa) შექმნა რამდენიმე სხვადასხვასახელიანი ორეული – ჰეტერონიმები, რომლებიც ავტორის ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და ქმნიან. პორტუგალიურად სიტყვა „Pessoa“ ნიშნავს „პიროვნებას, პერსონას, არსებას“, აგრეთვე „ადამიანს“. ეგებ სარამაგუს იმის თქმა უნდა, რომ ღმერთს პოეტური წარმოსახვა ქმნის?

შორის ძირითადებსა და აგრეთვე მისგან წარმოშობილ წვრილ-წვრილ მოძღვრებებს, რომლებსაც უნდა სამართლიანად მივათვალო ნაირ-ნაირი გარყვნილება სულისა და ხორცის, და აი, მათი, რიგითობის დაუცველად ერთ ტომარაში მოქცეული ჩამონათვალი: ლუთერანები, კალვინისტები, იანსენისტები, სიონისტები, სოდომიტები, ჯადოქრები და მჩხიბავები და სხვა მრავალი, რომელთაგან ზოგიერთნი სამომავ-ლოდ გაჩნდებიან, ზოგიერთნი კი მუდამ იყვნენ და იქნებიან. და რას იზამს ინკვიზიცია, რომ ამოძირკვოს, შენ როგორც ამბობ, ეს დამღუპველი ბოროტებანი? ინკვიზიცია ძიებაა, მოკვლევა და სასამართლო – და მოიქცევა შესაბამისად – დაიჭერს, გაასამართლებს და განაჩენსაც გა-მოიტანს. რა განაჩენს? ციხეს, გადასახლებას, კოცონზე დაწვას. რა თქვი?

ჰო, კოცონებზე მომავალში ათასობით ადამიანი დაიხოცება. ჰო, შენ ამბობდი მათ შესახებ. არა, ისინი, ვის შესახებაც უკვე გითხარი, იმის-თვის დაწვეს, შენ რომ გიწამეს, ხოლო ესენი – შენს რწმენაში დაეჭვების-თვის. დაეჭვება აკრძალულია? აკრძალულია. მაშ, ჩვენთვის რატომ შე-იძლება დაეჭვება, ღმერთია თუ არ არის ღმერთი რომაელი იუპიტერი? ღმერთი ერთია, მე ვარ უფალი და შენ – ძე ჩემი. შენ ამბობ, რომ ათასო-ბით ადამიანი დაიღუპება? ასობით ათასი. ასობით ათასი კაცი და ქალი და დედამიწა აივსება ტანჯვის კვნესით, კივილ-წივილითა და მომაკ-ვდავთა ხროტინით, და მზეს დაფარავს დამწვართა კვამლი და ნაკვერ-ჩხლებზე აშიშხინდება გამდნარი ქონი და დამწვარი ხორცის სუნი დატ-რიალდება და ყოველივე ჩემი ბრალი უნდა იყოს? ბრალი არა და შენი მიზეზით კი მოხდება ეს ყველაფერი. მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე. არა, ეგ სასმისი შენ ბოლომ-დე უნდა გამოსცალო, რადგან ესაა საწინდარი ჩემი ძალაუფლებისა და შენი დიდების. არ მჭირდება ჩემი დიდება.

სამაგიეროდ მე მჭირდება ჩემი ძალაუფლება.

ნისლის ფარდა ოდნავ გაიხსნა, ნავის ირგვლივ წრიულად განათებუ-ლი წყალი გამოჩნდა – მშვიდი და გაუმჭვირვალე, არც ნიავის ქროლვა რომ არ ატოკებდა, არც ახლომახლო გამსხლტარი თევზის ფარფლი თუ კუდი.

მაშინ ეშმაკმა თქვა: ჭეშმარიტად ღმერთი უნდა იყო, სისხლი რომ ასე გიყვარდესო.

ნისლი კვლავ გამკვრივდა, რაც იმას გვაუწყებდა, რამე კიდევ მოხდებაო, კიდევ რაღაც ითქმება და გაცხადდებაო. მაგრამ მწყემსის ხმა გაისმა: შენთან ერთი წინადადება მაქვს, მიმართა ღმერთს, და მანაც გაოცებითა და თან თავისი უპირატესობის დამცინავი გააზრებით ისეთნაირად გამოხედა, ლაპარაკის სურვილს ნებისმიერი დაკარგავდა ეშმაკის – მისი ძველი და კარგი ნაცნობის გარდა გაეპასუხა: ჩემთან? შენ? საინტერესოა, რა წინადადება გაქვს ერთი?

მწყემსი დუმდა, თითქოს დამაჯერებელ სიტყვებს ეძებსო და ასე ბრძანა: დიდი ინტერესით მოვისმინე ყოველივე, რაც აქ ითქვა ჩვენი საუბრის განმავლობაში და, თუმცა მეც ვიხილე მომავალში რაღაც ნათელი და რაღაც ჩრდილები, დიდად არ შევუწუხებივარ იმას, რომ ეს ნათელი კოცონთა ცეცხლითაა

განათებული, ხოლო ჩრდილები ცეცხლით შთანთქმულთა ჩრდილებია. ახლა რითღა შეწუხებულხარ? ამას არც უნდა შევეწუხებინე, რამეთუ ეშმაკი გახლავარ, ხოლო ეშმაკი სიკვდილისგან მუდამ ნახულობს რამე სარგებელს, თან შენზე მეტსაც, რამეთუ მტკიცებას არ საჭიროებს აშკარა ფაქტი, რომ ჯოჯოხეთი ზეცაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული. ჰოდა, აბა, რაღას უჩივი? არაფერსაც არ ვუჩივი, უბრალოდ, რაღაც მინდა შემოგთავაზო. თქვი, ამოღერღე, უსასრულოდ ნუ წელავ სათქმელს. შენ ხომ ყველაზე უკეთ იცი, რომ ეშმაკსაც აქვს მკერდში გული. ვიცი, რომ აქვს, მაგრამ ის არ ვიცი, რაში სჭირდება. ჰოდა, აი, მინდა, რომ გული დანიშნულებისამებრ გამოვიყენო, რამეთუ თანახმა ვარ და მსურს, შენი ძალმოსილება მთელ დედამიწაზე გავრცელდეს, ოღონდაც ამას აურაცხელი ადამიანის სიკვდილი ნუ დასჭირდება, და რადგანაც ყველა ისინი, ვინც უარგყოფს და შენს ნებას არ ემორჩილება, ბოროტების შვილი გგონია, ბოროტებას კი, მოგეხსენება, მე წარმოვადგენ და ჩემს ნებას ემორჩილება, ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩემი წინადადება ასეთია: ნება მომეცი, ცაში დავბრუნდე, მაპატიე, რა ბოროტებაც ჩამიდენია, იმის ხათრით, რომ მომავალში აღარ ჩავიდენ, მიიღე ჩემი მორჩილება და ერთგულება, როგორც იმ დროში, როცა მე შენი უსაყვარ-

ლესი ანგელოზი ვიყავი და „ლუციფერს“ – ანუ „მანათობელს“ მიწოდებდი, როგორც იმ დროში, როცა სურვილს, რომ მეც შენი ტოლი და სწორი ვყოფილიყავი, ჯერ არ ვყავდი შეპყრობილი და შენ წინააღმდეგ ჯერაც არ ავემხედრებინე.

ბარემ ისიც თქვი, ვითომ რად უნდა გაპატიო, დაგაბრუნო და ასე შემდეგ? აი, რატომ: დღეს თუ შემინდობ, მომავალში სხვებსაც შეუნდობ, ნებისმიერს და ამიტომაც ბოროტება წყვეტს არსებობას ახლა, ამწუთას, აღარც შენი ძის ჯვარზე სიკვდილი დაგვჭირდება, შენი სამეფოც ისრაელის მიწებიდან მთელ სამყაროზე გავრცელდება, თვით იმ ქვეყნებზეც, ჯერაც რომ არ აღმოუჩენიათ და მშვიდობა დაისადგურებს საყოველთაოდ, მე კი ვიქნები უერთგულესი და უმორჩილესი ანგელოზი ყველა შენს ერთგულ ანგელოზთ შორის – რამეთუ მონანიებულის ერთგულება სხვა ყოველგვარ ერთგულებას აღემატება, ანგელოზების ბოლო რიგში თავმდაბლობით ჩავდგები და ასე აღგივლენ ქება-დიდებას, და ყველაფერი დამთავრდება, ვითომც არც არასდროს დაწყებულიყოს, და ყველაფერი ისე წავა, როგორც თავიდან უნდა ევლო წესით და რიგით. არ მიკვირს, რომ მუდამ ახერხებ სუსტი სულების შეპყრობას და ხელში ჩაგდებას: ყოველთვის სიტყვის ოსტატად გთვლიდი, მაგრამ ასეთს არ მოველოდი, ბრწყინვალე იყო, ცოტა დაგაკლდა – დამარწმუნებდი. მაშ, არ მიმიღებ, არ მაპატიებ? არა, ცხადია, არც მიგიღებ, არც გაპატიებ, შენ მე ასეთი მჭირდები, როგორიც ახლა ხარ, უარესიც კი, თუ ამაზე უარესი რამე არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ სიკეთე, რომელიც მე ვარ, ვერ იარსებებს ბოროტის გარეშე, რომელიც შენ ხარ, უშენოდ სიკეთე იმნაირად მიუწვდომელი და გაუგებარი რამ იქნებოდა, თვითონ მეც კი რომ ვერ ჩავწვდებოდი და ვერც გავიგებდი, და იმისათვის, რომ მუდმივად სიკეთედ დავრჩე, შენ უნდა დარჩე ბოროტებად და თუ ეშმაკი ეშმაკურად აღარ იცხოვრებს, მაშინ ვერც ღმერთი ვეღარ იღმერთებს, ერთი თუ მოკვდა, იგივეა – მოკვდეს ორივე. ეს არის შენი ბოლო სიტყვა? პირველიც და უკანასკნელიც: პირველი, რადგან პირველად ვთქვი და ბოლო, რადგან მეტჯერ აღარ გავიმეორებ. მწყემსმა მხრები აიჩეჩა. მერე არა თქვან, ეშმაკს ღმერთთან შერიგება არ უნდოდაო, უთხრა იესოს, წამოდგა და ბორტის იქით გადააბიჯა, უცებ შეჩერდა: შენს ჩანთაში ერთი ნივთი დევს, ჩემი

ნივთია. იესოს არც კი ახსოვდა, შულდაკი თან ჰქონდა თუ არა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქვე ედო ფეხებთან. რა ნივთი? – იკითხა და შულდაკი გახსნა, მაგრამ შიგ ვერაფერი დაინახა ძველი, ჩაშავებული

თასის გარდა, ნაზარეთიდან წამოსვლისას რომ გამოაყოლა ხელს. ამაზე ამბობ? ჰო, უპასუხა ეშმაკმა, თასი მყისვე მის ხელთ აღმოჩნდა, მერე კი მისი მწყემსური სამოსის ნაკეცებში გაუჩინარდა. მოვა დრო და დაგიბრუნებ, მაგრამ შენ ამას ვეღარ გაიგებ. ღმერთისკენ არც გაუხედავს, თითქოს უხილავ მრავალრიცხოვან მსმენელებს ეუბნებაო, ჩაილაპარაკა: მარადისობაში შეხვედრამდე, რადგანაც ამას ასე უნდა, – და ზღვაში ისკუპა. იესომ თვალი გააყოლა და დაინახა, მწყემსი ნელ-ნელა მკვრივი ნისლისკენ მიცურავდა, არადა არც უკითხავს, ნავამდე მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად ცურვა რატომ აიხირაო. მწყემსი კი ამასობაში ისევ ღორს დაემსგავსა, წყლიდან ამოყოფილი ყურებით და ისევ გაისმა ფრუტუნი და ღრუტუნი, თუმცა მახვილი სმენა ამ ბგერებში შიშის ელფერს დაიჭერდა, – ცხადია, ჩაძირვის შიშისას არა, რამეთუ ეშმაკი, როგორც ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ, უკვდავი გახლავთ, არამედ მარადიული სიცოცხლის აუცილებლობის წინაშე შიშის ელფერს.

როცა ეშმაკი ნისლის ნაფლეთებს შეერია, ღმერთი აჩქარებით ალაპარაკდა, თითქოს უკვე წასასვლელად მზად არისო: დამხმარეს გამოგიგზავნი, იოანე ჰქვია, ოღონდაც უნდა დაარწმუნო, რომ ნამდვილად ის ხარ, ვინც საჭიროა. იესომ იქით მიიხედა, საიდანაც ეს სიტყვები გაისმა, მაგრამ იქ უკვე აღარავინ ჩანდა. იმავ წამს ნისლი აიწია და განქარდა, ერთი მთაგორიანი ნაპირიდან მეორემდე წყნარი ზღვა გამოაჩინა: ვერც კი დაიჯერებდი, რომ წუთის წინ ამ წყალში ეშმაკი მიცურავდა, ხოლო ამ ჰაერში თვით ღმერთი გაუჩინარდა.

ხოლო ნაპირზე, თუმც შორი იყო, იესომ ხალხის ვეება თავყრილობა შენიშნა, უკან – კარვები: გეგონებოდათ, იქაურობა მოგზაურთა მუდმივ ბანაკად ქცეულაო, ღამის სათევი სხვაგან არსად აქვთ და ბანაკი აქ დაუციათო. იესოს ეს ამბავი ეუცნაურა, ნიჩბებს დააწვა და თავისი ნავი ნაპირისკენ გამოაცურა. მხარზემოდან შეამჩნია, რომ რამდენიმე კარაპა შემოაცურეს, დააკვირდა და სიმონი, ანდრია და სხვები იცნო, თითქოს ოდესღაც ენახა ეს ხალხი, ან თითქოს არც ენახა – მისკენ მოექანებოდ-

ნენ, საგულდაგულოდ უსვამდნენ ნიჩბებს და სულ მალე ზედ მოადგნენ და სიმონმა, დარწმუნებულმა, ხმას მივაწვდენო, დაუყვირა: სად იყავი?! – თუმც სულ სხვა რამის კითხვა სურდა, მაგრამ როგორღაც ხომ უნდა დაეწყო. აქ ვიყავი, ზღვაში, გაისმა კითხვისნაირივე უაზრო პასუხი, და, უნდა ითქვას, ეს მოყვასებთან ურთიერთობის განახლების საუკეთესო დასაწყისი როდი იყო, ღვთისა და მარიამისა და დურგალ იოსების ძის შესაფერი, თუმც კი სრულიად ახალი ეპოქა იწყებოდა მის ცხოვრებაში. წამში სიმონი მის ნავში ჩახტა და გაირკვა, რომ შეუძლებელი, გაუგებარი, გონებისთვის მიუწვდომელი რამ მომხდარიყო. ეკითხება სიმონი: იცი, რა დრო დაყავი ზღვაში, ნისლში, ჩვენ კი ნავებიც ვერ ჩავუშვით – თითქოს რაღაც გადაულახავი ძალა უკან გვისროდა, ნაპირისკენ. ერთი დღე, პასუხობს იესო და რაკი სიმონს აღელვებას ამჩნევს, ყოველი შემთხვევისთვის ამატებს, და ერთი ღამეც. ორმოცი დღე-ღამე, ღრიალებს სიმონი, მერე ხმას იდაბლებს: ორმოცი დღე-ღამე გაატარე ზღვაზე, და ნისლს თითქოს სურდა, ჩვენთვის დაემალა, რაც იქ ხდებოდა, რასაც შენ იქ აკეთებდი, იმ უკუნეთში – მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი ლიფსიტაც ვერ დავიჭირეთ. იესომ ერთი ნიჩაბი სიმონს დაუთმო, მხარდამხარ დასხდნენ, მეგობრულად მოუსვეს ნიჩბებს და სიტყვებიც მოძრაობას ააყოლეს. ეჩქარებოდა სიმონისთვის საიდუმლოს გამხელა, სანამ სხვა ნავები მოახლოვდებოდნენ, ამიტომ უთხრა: ღმერთთან ვიყავი, ჩემი მომავალი სიცოცხლე მიამბო და ისიც, რაც ჩემ შემდეგ უნდა მოხდეს.

როგორია, ისა? ღმერთზე გეკითხები. ღმერთს მრავალი სახე აქვს, უნდა ღრუბლად გეჩვენება, უნდა – კვამლის სვეტად და თუ უნდა – მოხუც მდიდარ იუდეველად, ხმაზე კი იცნობ, ერთხელ თუ ყური მოჰკარი, მერე აღარ დაგავიწყდება. და რა გითხრა? მითხრა, ჩემი ძე ხარო. მაშ, დაადასტურა? დაადასტურა. გამოდის, რომ ეშმაკს მართალი უთქვამს.

ეშმაკიც თითქმის სულ ჩვენთან ერთად იყო, და მომეჩვენა, ღმერთზე ნაკლებად არც მან იცის ჩემი ამბები, და ეგება, ზოგ შემთხვევაში, ასე მგონია, ღმერთზე მეტადაც. და სად? რა სად? სად იყვნენ? ეშმაკი ბორტზე იჯდა, აი, შენ გვერდით, ღმერთი კი კიჩოზე. და რა გითხრა? მითხრა, ჩემი შვილი ხარ და ჯვარს გაცვამენო. ესე იგი, მთებში წახვალ,

მეამბოხეებს შეუერთდები და რომაელებს შეებრძოლები, და თუ ასეა, ჩვენც მოვდივართ. კი, თქვენც წამოხვალთ ჩემთან ერთად, მაგრამ მთებში არა, და არც იარაღით მოგვიწევს ბრძოლა კეისართან, არამედ სიტყვით – ღვთის დიდებით. მხოლოდ სიტყვით?

სიტყვით და კიდევ მაგალითით, და თუ საჭირო გახდა, სიცოცხლის მსხვერპლად გაღებითაც. ეს ღმერთმა გითხრა? ამიერიდან, რასაც მე ვიტყვი, ღმერთის ნათქვამად უნდა ჩავთვალოთ და ვისაც ის სწამს, მეც მიწამებს, რამეთუ შეუძლებელია გჯეროდეს მამის, შვილის კი – არა, და თუკი მამამ აირჩია ახალი გზა, მაშინ ის გზა ჩემით იწყება, მისი ვაჟით. თქვენც წამოხვალთო, „ჩვენში“ ვის გულისხმობ? უპირველესად – შენ და შენს ძმა ანდრიას, და ზებედეს ძეთ, იაკობსა და იოანეს, ჰო, სხვათა შორის, ღმერთმა მითხრა, კაცს მოგახმარო და იოანე ერქმევაო, მაგრამ, მგონია, ჩვენი იოანე არ უნდა იყოს. საკმარისია, მეტი ხალხი რაღად გვჭირდება, მეფე ჰეროდეს ამალა ხომ არ უნდა ვიყოთ. მერე და მერე სხვებიც მოვლენ, ანდა ეგება უკვე მოვიდნენ, აქ არიან და ელოდებიან ღვთის ნიშანს, რათა მირწმუნონ და შემომიერთდნენ, რამეთუ ღმერთი თავის სახით მათ არასდროს დაენახვება.

და ხალხს რას ეტყვი? ვეტყვი, რომ დადგა მონანიების ჟამი, რომ დრო მოვიდა და მოახლოვდა სასუფეველი ღვთისა, და ცეცხლოვანი მახვილით შემუსრავს ღმერთი მათ, ვინც ღვთის სიტყვას უარყოფს და შეაფურთხებს. უნდა თქვა, ღვთის ძე ვარო, მაინც მოგიწევს ამის გამხელა. ვიტყვი, რომ მამამ ძე მიწოდა და ეს სიტყვები ჩემს გულზეა ამოტვიფრული იმ წამიდანვე, გაჩენის დღიდან, ხოლო ახლა კი თვით უფალი გამომეცხადა და ძე მიწოდა მანაც აგრეთვე, ძე საყვარელი, ეს არ ნიშნავს, რომ დავივიწყო პირველი მამა, მაგრამ ახლა, ამიერიდან ღმერთი განმაგებს და მის ნებას ყველა უნდა დავემორჩილოთ. ეგ მე მომანდე, თქვა სიმონმა, ნიჩაბს ხელი გაუშვა, ნავის კიჩოზე დადგა და დაიყვირა: ოსანა ღვთის ძეს, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გაატარა ზღვაში და მამამისს ელაპარაკა, ახლა კი გვიბრუნდება, რათა ცოდვები მოვინანიოთ და მოვემზადოთ. ოღონდაც ნუ იტყვი, ეშმაკიც რომ იყო იქ, სასწრაფოდ გააფრთხილა იესომ, რადგან შიშობდა, ის ვითარება არ შეიტყოს ხალხმა, რომლის ახსნა-განმარტება მერე ძალიან გაჭირდებაო.

სიმონმა ერთხელაც დაიყვირა, კიდევ უფრო ხმამაღლა და ისე გამ-
ყინავად, რომ ნაპირზე მყოფებს ჟრჟოლა დააწყებინა, მერე სასწრაფოდ
დაბრუნდა თავის ადგილას და იესოს უთხრა: მომე ნიჩაბი და კიჩოზე
დადექი, ოღონდაც კრინტი არ დაძრა, სანამ ნაპირზე არ გადავალთ. იე-
სო დაემორჩილა, კიჩოზე დადგა

თავის ძველისძველ ქიტონში გამოწყობილი, მხარზე ცარიელი შულ-
დაკი მოეკიდა, ხელები აეწია, თითქოს სალამს თუ კურთხევას ეპირებაო,
მაგრამ არც სალამი მიუცია, არც კურთხევა, ვერ გაბედა, შედრკა, შეშინ-
და, ღირსეულად არ გამომივაო. მომლოდინეთგან სამი ყველაზე მოუთ-
მენელი წყალში წელამდე შევიდა, ნავს დასწვდნენ, ბორტზე მიაწვნენ
და ნაპირისკენ უბიძგებდნენ, ხოლო ერთ-ერთი ამ სამთაგან ცდილობ-
და, თავისუფალი ხელით იესოს ქიტონს შეხებოდა, იმიტომ კი არა, რომ
სიმონის ნათქვამი დაიჯერა, არამედ იმიტომ, რომ უდაბნოში ანდა მთის
ყინულოვან წიაღში ღვთის საძებრად წასულთა დარად ზღვაში ორმოცი
დღის განმავლობაში გადაკარგული კაცი ცოცხალი და საღსალამათი
დაბრუნებულიყო და ეს თავისთავად – მართლა ენახა იქ ღმერთი თუ არ
ენახა – უკვე მაინც სასწაული იყო. რაღა სათქმელია, რომ ყველა იქაურ
ქალაქსა და დაბაში ხალხს სხვა სალაპარაკო აღარ ჰქონდა და მრავალმა
მცხოვრებმა, სანაპიროზე მხოლოდ მეტეოროლოგიური ფენომენის სა-
კუთარი თვალით სახილველად რომ მოსულიყო, აქღა შეიტყო კაცის ამ-
ბავი, ნისლს რომ შეეპყრო ზღვაში და თანაგრძნობით ჩურჩულებდნენ:
საცოდავიო. ნავი მსუბუქად მიადგა ნაპირს, თითქოს ანგელოზის ფრთე-
ბით დაეშვაო. სიმონი იესოს მიწაზე გადმოსვლაში დაეხმარა, თან გა-
ჯავრებული იშორებდა თავიდან იმ სამეულს, წყალში რომ ჩამხტარიყ-
ვნენ და ახლა ამისთვის განსაკუთრებულ ჯილდოს ელოდნენ. დაეხსენი,
თქვა იესომ, დადგება დღე, როცა ჩემს სიკვდილს შეიტყობენ და იტირე-
ბენ, ჩემი ნეშტის წასვენებას რომ ვერ შეძლებენ, ჰოდა, დაე, ახლა და-
მეხმარონ, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. მერე იკითხა: მარიამი სად-
ღაააო? – და იმავ წამს დაინახა, რაწამს სახელი წარმოთქვა მისი, თითქოს
უეცრად აღმოცენდაო არყოფნიდან ანდა ნისლის ფთილებიდან წარმო-
იქმნაო, რამეთუ წეღან არსად იყო – ახლა კი გაჩნდა. აქა ვარ. გვერდით
მომიდექი, სიმონი და ანდრიაც მომიახლოვდნენ და იაკობი და იოანე,

ზებედეს ძენი – ხალხი, ვინც მიცნობს, ვისაც სწამს ჩემი, რამეთუ ადრეც მიცნობდნენ და სწამდათ ჩემი, ჯერ კიდევ მაშინ, რომ არ შემეძლო მათთვის მეთქვა, და არც თქვენთვის – მე ვარ ძე ღვთისა, მამისაგან ძედ წოდებული, ორმოცი დღე გავატარე მასთან ზღვაში და დაგიბრუნდით, რათა გითხრათ: დადგა ჟამი მონანიების, მოინანიეთ თქვენი ცოდვები, სანამ ეშმაკი ამოგკრებთ, როგორც ღმრთისათვის განკუთვნილი ძნიდან დამპალ თავთავებს, თუ მოისურვებს, აერიდოთ სიყვარულით გამოწვდილ მკლავებს. ბრბოს ყრუ ხმაურმა გადაურბინა, როგორც ტალღამ ზღვის ზედაპირს, რამეთუ იქ მყოფთაგან მრავალს ადრეც სმენოდა იესოს მიერ ჩადენილი სასწაულების შესახებ, სხვები უშუალო მოწმეებიც იყვნენ და სარგებელიც მოეხვეჭათ ამ სასწაულების წყალობით: მე ის პური და ის თევზი მაქვს ნაჭამი; მე კი კანაში ის ღვინო ვსვი იმ ქორწილზე; მე იმ მემრუშე დედაკაცის მეზობელი ვარ, მაგრამ რაოდენ ტრანსცენდენტურადაც უნდა სჩვენებოდათ ეს საოცრებანი, ყოველივე ამასა და იმ უდიადეს სასწაულს შორის – რასაც ღვთის ძის დანახვა, ანუ იგივე ღვთის დანახვა ერქვა – განსხვავება ისეთი იყო, როგორიც რომ ცასა და დედამიწას შორის, ეს მანძილი კი, მოგეხსენებათ, დღემდე არავის გაუზომია. ბრბოდან გაისმა ამ დროს ვიღაცის წამოძახილი:

დაამტკიცე, რომ ღვთის შვილი ხარ და გამოგყვები! იესომ უთხრა: გამომყვებოდი, თუ გული შენი გამომყვებოდა, მაგრამ რადგანაც შენი გული მაგ შენს მკერდში გამოკეტილა, ამიტომაც მთხოვ, დაგიმტკიცო, რომ შენი გრძნობა დავაჯერო, მაგრამ არა გონება შენი, და საბოლოოდ, დაბნეული ვეღარ გაიგებ, გონებას უნდა მორჩილებდე თუ გრძნობებს და იძულებული გახდები, მაინც შენს გულს დაემორჩილო, გული კი მაინც ჩემთან მოგიყვანს. ეგება ყველამ გაიგო კიდეც შენი ნათქვამი, ოღონდ ჩემ

გარდა, უპასუხა იმ კაცმა ბრბოდან. რა გქვია? თომა. მომიახლოვდი, თომა, მოდი, მოდი აქ, წყალთან ახლოს: სველი ქვიშისგან ჩიტებს გამოვძერწავ, ნახე, რა ადვილია, – აი, ტანი, აი, ფრთები, აი, თავი და ნისკარტი, ეს კენჭები თვალებად ჰქონდეს, ეს კი კუდის ბუმბულებია, აი, ეს კი, შეხედე, ფეხები თავის კლანჭებიანად, ეს ერთი მზადაა, ახლა კიდევ თერთმეტი, უყურე – ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე,

მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, სულ დუჟინი ქვიშის ჩიტია, თუ გინდა მე და შენ სახელები დავარქვათ, ეს სიმონი იყოს, ეს – იაკობი, ეს – იოანე, ეს – ანდრია, აი, ამას კი, წინააღმდეგი თუ არა ხარ, თომა დავარქვათ, სხვები კი თავის სახელებს სამომავლოდ დაელოდონ, ხშირად ხდება, სახელები იგვიანებენ, გზად ყოვნდებიან, ახლა კი ნახე – ჩიტებს ამ ბადეს გადავაფარებ, რომ არ გაფრინდნენ.

გაფრინდებიან, ბადეს თუ ავწევ? – ურწმუნოდ ჰკითხა თომამ იესოს. რა თქმა უნდა, გაფრინდებიან. ასე მიმტკიცებ, რომ ღვთის შვილი ხარ? ჰოც და არაც. ეგ როგორღა? საუკეთესო მტკიცებულება – თუმცა იგი ჩემ ხელთ არ არის – ის იქნებოდა, თუ ამ ბადეს ხელს არ ახლებდი და უამისოდ დაიჯერებდი, რომ ჩიტები გაფრინდებიან. აბა, როგორ გაფრინდებიან, როცა ქვიშისგან გამოძერწე?! სცადე, ჩვენი წინაპართა წინაპარი ადამიც ხომ თიხისგან იყო გამოძერწილი, ხოლო შენ კი შთამომავალი ბრძანდები მისი.

ადამს სული ღმერთმა შთაბერა. ნუ ეჭვობ, თომა, ასწიე ბადე, რამეთუ მე ღვთის ძე გახლავარ. შენმა აჯობოს, ოღონდაც ვიცი, რომ არსადაც არ გაფრინდებიან, – და უსწრაფესი მოძრაობით თომამ ჩიტებს ბადე ახადა და ჩიტუნები მყის ჰაერში აფრთხიალდნენ, ჟივილ-ხივილით ორიოდე წრე შემოხაზეს გაოგნებული ბრბოს თავზემოთ და შორეთში გაუჩინარდნენ. თქვა იესომ: გაფრინდა შენი ჩიტი, თომა, მან კი მიუგო: არა, უფალო, ის აქ არის, შენს ფერხთითაა და მე ვარ იგი.

ბრბოს რამდენიმე მამაკაცი გამოეყო, მათ – ოღონდ ცალკე, თავისი ნებით – რამდენიმე ქალიც მოჰყვა. მოახლოვდნენ და რიგრიგობით ალაპარაკდნენ: მე ფილიპე ვარ, და იესომ ჯვარცმული დაინახა, თან ქვების სეტყვა დასტეხოდა; მე ბართლომე ვარ, და იესომ გატყავებული დაინახა; მე მათე ვარ, და იესომ ბარბაროსების შუბებზე წამოგებული დაინახა; მე სიმონი ვარ, და იესომ შუაზე გადახერხილი დაინახა; მე იაკობი ვარ, ალფესის ძე, და იესომ ჩაქოლილი დაინახა; მე იუდა ვარ – თადეოსი, და იესომ მის თავზე აღმართული ურო დაინახა; მე იუდა ვარ, ისკარიოტელი – და იესოს შეეცოდა, რამეთუ მან თავისი ხელით გამოინასკვა ყულფი კისერზე. მერე დანარჩენებს დაუძახა და უთხრა: ახლა ყველანი შევკრებილვართ და დროც მოსულა. ხოლო სიმონს, ანდრიას ძმას ასე

უთხრა: რადგანაც ახლა ჩვენ შორის შენი სეხნია გამოჩნდა, ამიერიდან პეტრეს გიწოდებ. ზღვას ზურგი აქციეს და გზას გაუდგნენ და უკან ქალები გაჰყვნენ, რომელთა სახელები მეტწილად უცნობი დარჩა, მაგრამ ამას, მართალი რომ ვთქვათ, არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ისინი ყველანი მარიამები გახლავან, თუნდაც რომ დაბადებითგან სულ სხვა სახელები რქმეოდათ.

ქალიო, ვამბობთ, მარიამიო, ვამბობთ, – ისინი კი შემოგვცქერიან და მოგვყვებიან.

20* * *

იესო და მისი თანმხლებნი დადიოდნენ გზებზე, სოფელ-სოფელ და უფალი ლაპარაკობდა მისი პირით და აი, რას ამბობდა იგი: მოინანიეთ, რამეთუ მოვიდა დრო და დადგა ჟამი ცის სასუფევლისა. და უბრალო, ბნელი სოფლელი ხალხი უსმენდა და ერთმანეთისგან ვერ განასხვავებდა გამოთქმებს – „მოვიდა დრო“ და „გავიდა დრო“ და ფიქრობდნენ, ქვეყნის აღსასრული დადგაო, რამეთუ მხოლოდ ქვეყნის აღსასრულს იტყვის ანგელოზი, დრო აღარ გვაქვსო, და ხალხი ღმერთს ემადლიერებოდა, თავისი უსასრულო სიკეთის გამო ჩვენს გასაფრთხილებლად უბრალო ვინმე კი არ გამოგვიგზავნა, არამედ კაცი, ღვთის ძედ წოდებული, რაც, ეტყობა, მართალია, რამეთუ ყველგან, სადაც კი გამოჩნდება, სასწაულებს ახდენს და ამ სასწაულების მოხდენის ერთადერთი პირობა ისაა, რომ ვინც სასწაულს ითხოვს, მას მტკიცე და ურყევი რწმენა გააჩნდესო, ასე მაგალითად, კეთროვანმა სთხოვა: თუ მოინდომებ, განმკურნავო. იესოს, მისი საცოდაობის დამნახავს, შეებრალა, ხელი შეახო და უთხრა: მინდა და განიწმინდეო, და სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდაო, კეთრი გაქრაო, ხრწნამოდებული ხორცი გაუმრთელდაო, ხოლო საცა ხორცი აღარ შერჩენოდა, ძვლებს ხელახლა გამოესხაო – და საძაგელი მახინჯის ნაცვლად, ვის დანახვაზეც ყველა გულგახეთქილი გარბოდა, ახლა წარმოსადეგი კაცი იდგაო. მეორე შემთხვევა, ასევე ღირსსახსოვარი, დამბლადაცემულ ადამიანს, ანუ მაშინდელი ენით რომ ვთქვათ, ხეიბარს შეეხებოდა: იესომ იფიქრა, ამგვარი ჭეშმარიტი რწმენა

უთუოდ ჯილდოს იმსახურებსო და უთხრა: ადექ, იარე, შენი ცოდვები შემინდვიაო, ხოლო ამ ამბავს მწიგნობრები შეესწრნენ, სჯულის კანონი ზეპირად რომ დაუზუთხავთ და ყველგან და ყველაფერში მის შებღალვას რომ დაეძებენ, ჰოდა, იესოს უთხრეს:

რატომ მკრეხელობ, ცოდვების შენდობა მხოლოდ ღმერთს შეუძლიაო, ხოლო იესომ შეკითხვითვე უპასუხა: რა უფრო ადვილი სათქმელია: „შენი ცოდვები შემინდვია“ თუ „ადექი, აიღე შენი საწოლი და გაიარეო“? და პასუხს არც დალოდებია, განაგრძო: ამიერიდან იცოდეთ, რომ ძეს კაცისას ქვეყანაზე ცოდვების შენდობის უფლება აქვს მინიჭებულიო და დამბლიანს მიუბრუნდა: ადექი, აიღე შენი საწოლი და შინ წადიო. და სასწაულებრივ განკურნებული ადამიანი იმავ წამს არათუ ადგა, დიდხანს უძრავად წოლის გამო გამოლეული ძალაც აღუდგა, ასე რომ, აიღო თავისი საწოლი, ზურგზე მოიგდო და ასე ღვთის დიდებით დაუბრუნდა ჩვეულებრივ კაცურ ცხოვრებასო.

რადგან ჩვენ ყველანი დროთა განმავლობაში ასე თუ ისე ვეჩვევით ხოლმე ჩვენს ტკივილებსა და მსუბუქსა თუ არც ისე მსუბუქ ავადმყოფობას, ვეთვისებით და ზედმეტად მიგვაჩნია ამ წვრილმანისთვის ზეციერი შევაწუხოთ, – აზრადაც კი არ მოგვდის ხოლმე; ამიტომაც ყველა სნეული და ხორციელად შეჭირვებული როდი ილტვოდა იესოსკენ განსაკურნებლად! აი, ცოდვები კი სულ სხვა საქმეა, ცოდვა თვალით უხილავი სნეულებაა, არც კოჭლობაა, არც გამხმარი ხელი გახლავთ, არამედ კეთრი, სწორედ კეთრია, სულს რომ გვიჭამს შინაგანად. მართალი, ცამდე მართალი იყო ღმერთი, იქ, ნავში იესოს რომ უთხრა, ადამიანი არ არსებობს, ერთი ცოდვა მაინც რომ არ ჰქონდეს ჩადენილიო, არადა, როგორც წესი, ერთი კი არა – ათასობით. ჰოდა, რახან ქვეყნის დასასრული და ცათა სასუფეველი მოახლოებულა, იქ შესასვლელად

მონანიებისა და შენდობის გზით განწმენდილი სულის ქონა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასწაულებრივად განკურნებული ხორცისა. და თუ კაპერნაუმელმა ხეიბარმა ცხოვრების ნაწილი სარეცელზე მიჯაჭვულმა გაატარა, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოდვებით გახლდათ დამძიმებული, რამეთუ ყველას მოეხსენება: სნეულება ცოდვის შედეგია და ცოდვის საზღაური, საიდანაც უნაკლო ლოგიკური დასკვნა

გამომდინარეობს: სულის უკვდავებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ და – ეგებ სხეულის უკვდავებაზეც, თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ერთობ ძნელია, – ჯანმრთელობის საწინდარი სრული სიწმიდეა, ყოველგვარი ცოდვისგან გათავისუფლება, რაც ორი გზით მიიღწევა: ან ბედნიერი უცოდინრობით, ან აქტიური მიუღებლობით, ყოველგვარ სურვილებსა და ქმედებებზე ხელის აღებით. ოღონდაც არ უნდა გვეგონოს, თითქოს იესო, ამ ღვთის კუთვნილ მხარეში რომ დაიარებოდა, ყოველ ნაბიჯზე იყენებდა განკურნებისა და მიტევების ღვთით ბოძებულ ჯადოსნურ ძალას. გაიგეთ, განა არ უნდოდა, არა, გული კეთილი ჰქონდა, და ერჩივნა, მოარული პანაცეა ყოფილიყო, ვიდრე ღვთის ნების აღმსრულებელს ქვეყნის აღსასრული ექადაგა და ყველა შემხვედრისგან მონანიება მოეთხოვა, ხოლო ცოდვილებს ფეხი რომ არ აეთრიათ, უაზრო ტვინის ჭყლეტა არ დაეწყოთ, რისი მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ ის იქნებოდა, რამენაირად გადაედოთ და გადაევადებინათ წამი, როდესაც საბოლოოდ მოესმებოდათ განაჩენი უფლისა: ცოდვილი ხარო! ამის საწინააღმდეგოდ ღმერთი იესოს დაახლოებით ასეთ რამეებს ალაპარაკებდა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ზოგი აქ მყოფთაგანი სიცოცხლეშივე იხილავს ცათა სასუფეველსა და მის დიდებას – და ძნელი წარმოსადგენი როდია, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ასეთი სიტყვები საცოდავ ტვინებზე და ამიტომაც ყოველი მხრიდან, ახლოდან და შორიდან მოედინებოდა ხალხის ნაკადი იესოსაკენ, ჯგროდ დაჰყვებოდნენ და ჯიუტად იმედოვნებდნენ, პირდაპირ იმ ახალ სამოთხეში შეგვიყვანს, ღმერთი რომ მიწაზე დაადგენს და რომელიც ზეციური სამოთხისგან პირველ ყოვლისა იმით იქნება განსხვავებული, რომ მრავალნი და მრავალნი შეძლებენ იქ ყოფნით ტკბობას ლოცვით, აღსარებითა და მონანიებით განწმენდილნი ადამის ცოდვისაგან, რომელსაც აგრეთვე პირველცოდვა ეწოდებაო. და ვინაიდან ეს მიამიტი ადამიანები ძირითადად უმდაბლესი სოციალური ფენებიდან გახლდნენ – ხელოსნები, მიწის მუშები, მეთევზეები, კახპები, – იესომ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ღმერთი რაღაც სხვა საქმეებით იყო დაკავებული, გადაწყვიტა და სრულიად მოუმზადებლად, ზეშთაგონებით წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც შეძრა მსმენელთა სული და თვალთაგან სიხარულის ცრემ-

ლი ადინა, რამეთუ ხსნა, რომლის იმედი აღარ ჰქონდათ, კვლავ გამოჩნდა თვალსაწიერზე: ნეტარ იყვნენ, თქვა იესომ, ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა, ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს, რამეთუ იგინი განძღენ, ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ – და ალბათ, ასეთივე სულისკვეთებით გააგრძელებდა, მაგრამ ამასობაში ღმერთი დაფაცურდა, შენიშნა, რაც ხდებოდა და რახან უკვე ნათქვამს ვეღარაფერს მოუხერხებდა, იესოს ისეთი რამ ათქმევინა, რამაც წამსვე დააშრო სიხარულის ცრემლები და მომავალი შემზარავად წარმოაჩინა: ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის, ძისა კაცისასა. თქვა ეს და სული ქუსლებში გაეპარა, რამეთუ მყის თვალწინ დაუდგა წამებათა და მოკვდინებათა გაუთავებელი მწკრივი, რომლის შესახებაც იქ, ზღვაში ღმერთმა უამბო. და ამიტომ ამ ზაფრით მოცული ადამიანების თვალწინ იესო მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო, ამასთან ვერავინ ვერ ხვდებოდა, რომ ღვთის ძედ განდიდებული კაცი, ცოდვათა

შენდობის ნებას რომ ფლობდა, ახლა თვითონ ითხოვდა ღვთისგან შენდობას ყოველი ადამიანისთვის. იმავე ღამეს, როცა, როგორც იქნა, მაგდალელთან განმარტოება ეღირსა თავის კარავში, ქალს ასე უთხრა: მე ვარ მწყემსი, რომლის არგანიც სამსხვერპლოსკენ მიერეკება მართალსაც და დამნაშავესაც, გადარჩენილსაც და დაღუპულსაც, და ვინ მიხსნის თვით მე სინდისის ქენჯნისგან, რამეთუ ახლა ისევე ვიტანჯები, როგორც ოდესღაც მამაჩემი იტანჯებოდა, ოღონდ ის ოცდახუთ სულზე აგებდა პასუხს, მე კი – ოცდახუთ მილიონზე. მაგდალელი მასთან ერთად ტიროდა და ეუბნებოდა: შენ ხომ ასე არ გინდოდაო, ხოლო იესო პასუხობდა: მართალია, არ მინდოდა და სწორედ ეს არის აუტანელიო, მაგდალელი კი, რომელმაც თითქოს თავიდანვე და მთლიანობაში ყოველივე ის იცოდა, რაც რომ ჩვენთვის თანდათანობით ცნაურდებოდა, ასე ამბობდა: უფალი გზას გვთავაზობს, უფალი თითოეულს თავის გზაზე უხმობს, შენ კი იმისთვის აგირჩია, რომ მისი მსახურების მთავარი გზა, მთავარი გეზი აღმოაჩინო, მაგრამ შენ თვითონ როდი ივლი ამ გზითა და გეზით, ტაძარს შენ როდი ააშენებ – სხვებს მოუხდებათ მისი აღ-

მართვა, ხოლო საძირკვლად დაეტანება შენი სისხლი, გული, ღვიძლი, ფილტვები და ამიტომაც ჯობს, უდრტვინველად და მორჩილად შეეგებო შენთვის განკუთვნილს, რამეთუ ყოველი შენი ნაბიჯი წინასწარვე გაწერილია და სიტყვებიც, შენ რომ წარმოთქვამ, გელოდებიანო, და სადაც მიხვალ საბოლოოდ, მიხვალ კოჭლებთან, რომლებსაც ფეხები გაუმრთელე, ბრმებთან, რომლებსაც თვალი აუხილე, ყრუებთან, რომლებსაც სმენა უბოძე, მუნჯებთან, რომლებსაც ენა აუდგი, მკვდრებთან, რომლებიც გააცოცხლე, აი, ყველა ამათთან მიხვალო.

სიკვდილს როგორღა გავუმკლავდები? ჯერ ხომ არასდროს გიცდია. გახსოვს ის ლეღვის ხე – არ გაცოცხლდა. ახლა სხვა დროა: შენ მოვალე ხარ, ის გინდოდეს, რაც ღმერთს უნდა, მაგრამ ისიც ვერ ეტყვის უარს შენს სურვილებს. მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, ვინმემ ეს ტვირთი ამაცილოს. ეგ შეუძლებელია, ჩემო სიყვარულო, ერთადერთი, რაც ღმერთს არ ძალუძს – არ შეუძლია თავის თავი რომ არ უყვარდეს. საიდან იცი? საიდანღაც: ქალები ყოველივეს სხვაგვარად ვწვდებით, ალბათ იმიტომ, რომ სხვანაირად ვართ მოწყობილნი, ჰო, ალბათ ასეა.

რადგანაც დედამიწა და მისი ისეთი პატარა ნაწილიც კი, როგორიც პალესტინაა, მაინც საკმაოდ დიდი გახლავთ ერთი კაცის ძალისხმევისა და მცდელობისათვის, იესომ წყვილ-წყვილად დააგზავნა თავისი მეგობრები ქალაქებსა და დაბებში ცათა სასუფევლის მოახლოების შესატყობინებლად, რათა ექადაგათ, ესწავლებინათ და დაემოძღვრათ ხალხი, ისე, როგორც ამას თვითონ აკეთებდა, და კაცებს ქალებიც გაჰყვნენ, თვითონ კი მაგდალელთან ერთად დარჩა. გაახსენდა ბეთანიაში სტუმრად წასვლის ძველი სურვილი, იერუსალიმის მახლობლად რომ მდებარეობდა, და გადაწყვიტა, წასულიყო, რითაც ორ კურდღელს დაიჭერდა: ჯერ ერთი, მაგდალელი მშობელ მხარეს ეწვეოდა, დრო იყო, ეგებ ნაგვიანევიც, დასა და ძმას შერიგებოდა, თან იესო გაეცნო მათთვის, მეორეც ის, რომ იესომ სწორედ ბეთანიაში დაუთქვა შეხვედრა თავის მოწაფეებს, რათა იქიდან იერუსალიმისკენ ერთად დაძრულიყვნენ. თუ რას აკეთებდა ისრაელის მიწაზე ეს თორმეტი კაცი, ახლა ამას აღარ მოვყვებით – პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ თითოეულის ცხოვრებისა და გარდაცვალების ზოგიერთი გარემოების გარდა მათი ამბავი ჩვენი

თხრობის თემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ისინი – ყოველი მათგანი თავისებურად, თავ-თავიანთი ნიჭიერების კვალობაზე – მხოლოდ იესოს გაკვეთილების განმეორების უნარს ფლობდნენ, ეს იმას ნიშნავს,

რომ მოძღვრებას კი ავრცელებდნენ, მაგრამ სნეულთა განკურნება არ შეეძლოთ. ძალიანაც სამწუხაროა, რომ იესომ მკაცრად აუკრძალა, წარმართების ადგილსამყოფელს არ გაეკაროთ და არც სამარიტელთა ქალაქებში შეხვიდეთო, და უაღრესად თავაზიანი კაცის მხრიდან გამოვლენილმა ამ განსაკუთრებით მოულოდნელმა და საოცარმა შეუწყნარებლობამ ძირშივე მოსპო სამომავლო დიდი შრომისა და ძალისხმევის გაიოლების შესაძლებლობა, რამეთუ ღმერთმა მეტად აშკარად გამოხატა თავისი ინტერესებისა და გავლენის სფეროების გაფართოების განზრახვა და ნათელი იყო, ადრე თუ გვიან მაინც საჭირო შეიქნებოდა იმ მხარეებში ქადაგება, სადაც მარტო სამარიტელნი კი არ სახლობდნენ, არამედ კერპთაყვანისმცემლებიც, აქაურებიც და სხვა ქვეყნებისაც. იესომ თავის მოციქულებს დაავალა, სნეულნი განკურნეთ, მკვდრები გააცოცხლეთ, კეთროვანნი განწმინდეთ, ეშმაკები განდევნეთო, მაგრამ, მართალი ითქვას, ზოგიერთი ზოგადი ხასიათის ბუნდოვანი მინიშნების გარდა ამგვარი ქმედების კვალი ისტორიას არ შემორჩენია, თუკი საერთოდაც მოხდა ასეთი რამ, რაც კიდევ ერთხელ უცილობლად ადასტურებს, რომ ღმერთი თავის მადლს საგულდაგულო შერჩევითობით არიგებს და თვით ბრწყინვალე რეკომენდაციების ბრმად გათვალისწინებას არ ჩქარობს ხოლმე. როცა მოციქულები იესოსთან დაბრუნდებიან, ცხადია, ბევრი მოსაყოლიც ექნებათ იმის შესახებ, თუ რა შედეგი გამოიღო ქადაგებებმა და სინანულისკენ მოწოდებამ, მაგრამ სნეულთა განკურნებას რაც შეეხება, გაცილებით მოკრძალებულ წარმატებებს ჩამოიტანენ, სულაც არაფერს, რამეთუ აბა, რა სათვალავში ჩასაგდებია რამდენიმე წვრილფეხა, უსუსური და გაძვალტყავებული ეშმაკის განდევნა, ეგზორციზმის ისე ძალიან რომ ეშინოდათ, რომ განუწვეტლივ გადარბოდნენ ერთი კაციდან მეორეში. კიდევ იტყვიან მოციქულები, რაღა თქმა უნდა, ზოგ ადგილებში მათ გამოჩენას თუ რა ცუდად შეხვდა ხალხი, რომლებსაც კერპთაყვანისმცემლობას ვერასგზით ვერ დააბრალებდი, როგორ

ყრიდნენ ქალაქებიდან, სადაც არც ერთი სამარიტელიც კი არ ჭაჭანებს და ერთადერთი, რითაც მერე თავს იმშვიდებდნენ – გამოყრილები მტვერს იფერთხავდნენ ხამლებიდან, გეგონებოდა, ყველასაგან გალანძღული და ყოველივეს მორჩილებით გადამტანი საბრალო მტვერი რამეში იყო დამნაშავე. თუმცა იესომ, თითქოს წინასწარ იცოდაო, რომ ზოგიერთი მათ მოსმენას არ ისურვებდა, წინასწარვე დაარიგა მოწაფეები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მსგავს შემთხვევებში: მშვიდად, მორჩილად მოიქეცითო, რამეთუ უარმყოფელები თქვენ კი არა, თქვენგან მიტანილ უფლის სიტყვას უარყოფენო: ნუ იზრუნებთ, თუ რა და როგორ თქვათო, რადგანაც სწორედ იმწამსვე შთაგონება გათქმევინებთ ყოველივეს, რისი თქმაც უფალს ენდომებაო. რას ვიზამთ, ისიც კი რომ ვივარაუდოთ, ამ შემთხვევაში საქმე კარგად მაინც ვერ წავაო, – ისევე როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც, – მოძღვრების მახვილგონიერებას და საფუძვლიანობას მეტწილად, ახლანდელი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, სწორედაც პიროვნული ფაქტორი განაპირობებს, – აი, ეს უნდა დავიმახსოვროთ, სამომავლოდ გამოგვადგება.

შესანიშნავი ამინდი იდგა, ჰაერი გრილი და ვარდის ფურცელივით სურნელოვანი იყო, გზა – ისე მსუბუქად და საამურად გასავლელი, თითქოს ახლახან ანგელოზებს დილის ნამი ეპკურებინოთ, მერე კი დაფნისა და მიტრის ცოცხებით დაეხვეტოთო.

იესო და მაგდალელი სასტუმროში ან ფუნდუკში ღამის სათევად ერთხელაც არ გაჩერებულან, არც ქარავნებს აჰკიდებიან, არ უნდოდათ, რომ ვინმეს ეცნო, – ის კი არა, თითქოს იესო მოვალეობას გაურბოდა,

რასაც ყოვლისმხილველი და მარად მღვიძარი ღმერთი არც დაუშვებდა, – არა, ვგონებ, თვითონ ღმერთმა ცოტათი სული მოათქმევინა: არც კეთროვნები შეხვედრიან გზად, არ უთხოვიათ, გაგვწმინდეო, არც ეშმაკით შეპყრობილები, დახმარებას რომ გაურბოდნენ შეშინებულნი, და სოფლები, რომლებშიც ჩაიარეს, ბუკოლიკურად ნებივრობდნენ სიწყნარესა და სიმშვიდეში, გეგონებოდათ, თავის ნებით დასდგომიან სინანულის გზას და საკმაოდ შორს წასულანო.

იესო და მაგდალელი იქ იძინებდნენ, სადაც მოუხდებოდათ, ერთმანეთის მხარზე თავის დადებით კმაყოფილდებოდნენ და სხვა ფუფუნე-

ბას არ დაეძებდნენ და ხშირად ცის გუმბათქვეშ ათევდნენ ღამეს – ღვთის ვეება შავი თვალი დასცქეროდათ, მირიადი ვარსკვლავით აციმციმებული, რაც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა მზერის ანარეკლი და ათინათი, ცისკენ რომაა მიმართული თაობიდან თაობამდე, ცის მდუმარებას რომ მისჩერებია და იმ ერთადერთ პასუხს აყურადებს, რომლითაც მდუმარება გვეხმიანება. მერე, როცა მარიამ მაგდალელი ამქვეყნად მარტო დარჩება, შეეცდება, ეს დღეები და ეს ღამეები გაიხსენოს, მაგრამ ყოველ ჯერზე მოუწევს, მწარე და მტანჯველი მოგონებები მოიგერიოს, სიყვარულის ეს კუნძული ირგვლივ შემოჯარული უბედურების ზღვისგან, ამ ზღვის მორევიდან აღმოცენებული მხეცებისა და ურჩხულებისგან დაიცვას. ეს საკმაოდ მალე მოხდება, მაგრამ ახლა, გინდ მიწას რომ უცქირო, გინდ ზეცას, იმ დროის მალე მოსვლის მრისხანე ნიშნებს ვერ შენიშნავ – ისე, როგორც თავისუფალ სივრცეში მოლივლივე ჩიტი ვერ შენიშნავს, რომ სწრაფ ძერას ზემოთ, ცისქვეშ უკვე აუკეცავს ფრთები, კლანჭები გამოუწვდია და ქვემოთ მოქრის ელვის სისწრაფით. გზად იესო და მაგდალელი მიიმღეროდნენ, და შემხვედრნი მათ დანახვაზე ასე ამბობდნენ: ბედნიერებო! და იმწუთას არ არსებობდა სიტყვა ამაზე უფრო სწორი და ჭეშმარიტი. ჯერ იერიქონს მიაღწიეს, მერე იქიდან აუჩქარებლად, რამეთუ აუტანელი სიცხე იდგა და თავშესაფარი არსად იყო, ორ დღეს იარეს ნელ-ნელა და ბეთანიაში ავიდნენ. მრავალი წელი გასულიყო და მაგდალელმა არ იცოდა, როგორ შეხვდებოდნენ დედმამიშვილები, მით უფრო იმ ურიგო ცხოვრების გათვალისწინებით, რომელშიც ეს წლები გაატარა. ეგება მკვდარიც ვგონივარო, ამბობდა, ეგება იმედოვნებენ, რომ ცოცხალი აღარ ვარო და იესო მეგობრის შავი ფიქრების გაფანტვას ცდილობდა: დრო ყველაფერს კურნავსო, ეუბნებოდა, ის კი აღარ ახსოვდა, თავისიანებისგან მიღებული დღემდე პირდაღებული ჭრილობიდან ახლაც რომ სისხლი მოჟონავდა.

პასუხობდა ქალი:

მართალს ამბობ, ის ქალი აღარ არსებობს, მაგრამ ვინც ახლა ვარ, ხომ ის ვარ, ვინც ვიყავი და ორივეს მახსოვრობის და სირცხვილის ჯაჭვი ერთმანეთთან აკავშირებსო. შენ ის ხარ, ვინც ახლა ხარ და ჩემთან ხარო. დიდება უფალს ამისათვის, თუმც ის დღეც მოვა, როცა შენს თავს წა-

მართმევსო, და ამ სიტყვებით პირსაბურავი მოიშორა, სახე გამოაჩინა, მაგრამ არავის უთქვამს: აჰა, მოდის ლაზარეს და, გარყვნილებაში ნაცხოვრებიო.

აი, ჩემი სახლიო, ამბობდა, მაგრამ გამბედაობას ვერ იკრებდა დასაკაკუნებლად და მასპინძლის დასაძახებლად. იესომ მიხურულ ჭიშკარს ხელი ჰკრა და იკითხა: არის სახლში ვინმეო?

არისო, გაეპასუხა შინიდან ქალის ხმა, მანდ ვინღაააო? – და ხმას მისი პატრონი მოჰყვა, მართა, მარიამის და, მეტიც, ტყუპისცალი, მაგრამ მსგავსება დიდი არ იყო, თვალში არ გეცემოდათ, რადგან მართას უფრო მეტად დამჩნეოდა წლების კვალი, მძიმე შრომა , ეგებ იღბალი, ბუნება, ან ცხოვრების წესი.

ჯერ იესოს შეხედა და სახე გაუნათდა, თითქოს ცას ღრუბლები გადაეყარაო, მაგრამ იმავ წუთს, როცა მზერა თავის დაზე გადაიტანა, ჯერ ეჭვით, ხოლო მერე ბრაზით მოიღუშა. შენთან თუა, კარგი ვინმეც იქნებაო, გაიფიქრებდა მართა, ანდა: ასეთ კაცს, როგორსაც ეგ ჰგავს, შენნაირთან რა საქმე აქვსო, თუმც რომ გეკითხათ, ვერც გეტყოდათ, მაინც როგორ კაცს ჰგავდა იესო. და, ცხადია, ამიტომაც იმის მაგიერ, რომ ეკითხა, როგორა ხარო, ან აქ რას მოუყვანიხარო, მის ბაგეს მოსწყდა, ეს კაცი ვინ არისო? იესოს გაეღიმა და ამ ღიმილმა მშვილდით ნასროლი ისარივით უსწრაფესად და ძლიერად, მღელვარე და უცნაური, ჯერ არნახული ტკბილი ტკივილით გაუპო გული. მე იესო ვარ, ნაზარეველი, შენს დასთან ვარ, და ამ სიტყვებმა mutatis mutandis[8], როგორც იტყოდნენ რომაელები თავის მშობლიურ ლათინურზე, რაც იმას ჰგავდა, ერთხელ იაკობს რომ დაუყვირა, ზღვის ნაპირას სამუდამოდ დამშვიდობებისას: მარიამ მაგდალელია, ჩემთან არისო. მართამ კარი გააღო და თქვა: შემოდი, ეს შენი სახლიაო, – ოღონდ ვერ გაიგებდი, ორთაგან რომელს ეხებოდა, „შენიო“ რომ თქვა. ეზოდანვე მაგდალელმა თავის დაიკოს ხელი გამოსდო და უთხრა: მეც ამ სახლის კუთვნილება ვარ, როგორც შენო, მაგრამ მე ამ კაცის კუთვნილებაც ვარ, შენ კი არაო, შენთანაც და ამასთანაც განუყრელი სიახლოვე მაკავშირებს, ჰოდა, ამიტომ სულგრძელობას ნუ

[8] სათანადო შესწორებები შეიტანა (ლათ.).

დაინანებ, ნურც ჩემს სისუსტეს გაკიცხავო, მშვიდობიანად მოვსულვარ და მშვიდობა მსურსო. თქვა მართამ: მიგიღებ ისე, როგორც ოჯახის წესია და უფალს შევთხოვ, ის დღე მალე მოიყვანოს, რომ ძველებური სიყვარულით მიგიღოო, რასაც დღეს მე ვერ მოვახერხებო, – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაჩუმდა, რადგან ერთი აზრის გაელვებამ უცებ პირი მოაკეტინა: ნეტავ თუ იცის ამ კაცმა, ჩემს დას რომ მოუყვანია, მისი წარსულიო, და ის ცხოვრება წარსულში დარჩა თუ ჯერ არაო? – და განსჯის ამ წერტილში შეცბუნებისგან სახე სულ წითლად შეეფაკლა, წამით ორივე შეიჯავრა და თავის თავიც, მაგრამ იესო ალაპარაკდა, რადგან მიხვდა, მართას თუ რისი გაგონებაც უნდოდა, რამეთუ ძნელი სულაც არ არის გამოსაცნობად ადამიანთა გონებაში მბორგავი ფიქრი. და უთხრა: უფალი ყოველ ჩვენგანს განსჯის, მაგრამ ყოველდღე სხვადასხვაგვარად, რამეთუ ჩვენ თვითონაც ყოველდღე ვიცვლებით და დღეს რომ უფალს შენ განესაჯე, მართა, არ გეგონოს, რომ უფლის თვალში მარიამისგან განსხვავებული ყოფილიყავი. გარკვევით თქვი, უთხრა მართამ, ვერ გავიგე, რას ლაპარაკობ.

სხვას აღარაფერს აღარ გეტყვი: სულის სიღრმეში შეინახე ჩემი სიტყვები, და როცა შენს დას თვალს შეავლებ, გაიმეორე. მარიამი უკვე... ისევ...

გინდა იცოდე, ისევ მეძავი ვარ თუ არა? – უხეშად შეაწყვეტინა მაგდალელმა ბორძიკით დაწყებული სიტყვა დას. იმან უკან დაიხია ერთი ნაბიჯით, ხელები აასავსავა: არა, არა, ნურაფერს მეტყვი, რაც იესომ მითხრა, ჩემთვის ისიც სავსებით საკმარისია, – თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა. მარიამი მივიდა, მოეხვია, თითქოს ჩვილი ბავშვივით არწევსო და თვალცრემლიანმა მართამ უთხრა: აბა, ეს რა ცხოვრებაა, რა ცხოვრებაა? – ვერ გაიგებდი, თავის თავზე ამბობდა ამას თუ მარიამზე.

ლაზარე სადღაა? – ჰკითხა მარიამმა. სინაგოგაში. ხომ კარგადაა? სულის ხუთვა აქვს ძველებურად, ეგ რომ არ იყოს, რაღა უჭირდა. ხელახლა აგორებული სიმწრით მოუნდა დაემატებინა, კარგ დროს გაგახსენდა ძმა, შე მართლა კახპაო, – მთელი ამ წლების მანძილზე ერთხელაც არ დაინტერესებულა, არც გაუგია, და-ძმა ცოცხალი თუ ჰყავდა, არადა, ლაზარე სულ ავადმყოფობდა, ერთიც ვნახოთ და მომკვდარიყო. იესოს მო-

უტრიალდა, რომელიც გვერდზე გამდგარიყო და ხელახლა ასატეხად გამზადებულ უსიამოვნებას უთვალთვალებდა, მართამ აუხსნა: ჩვენი ძმა სინაგოგაში წიგნების გადამწერია, სხვა საქმე არ შეუძლია, ჯანმრთელობა აქვს სუსტიო, და ეს განმარტება ისე გაჟღერდა, – თუმცა ეგებ, საგანგებოდ კი არა, ისე, შემთხვევით, – როგორც რომ ეთქვა: ვინ გაიგებს და ვინ ჩასწვდება ისეთ ცხოვრებას, კაცი რომ არ გყავს ოჯახში და არც მუდმივი შემოსავალი გაგაჩნია, და მხოლოდ ერთ ქალს რომ გაკისრია ყველაფერი, წუთი რომ არ გაქვს თავისუფალიო. რითაა ავად? – ჰკითხა იესომ. სუნთქვა ეკვრება, იხრჩობა ხოლმე, მიუგო მართამ, იფიქრებ, საცაა გული გაუჩერდებაო, მერე მიტკალივით ფითრდება, მერე კი, ვერც კი მიხვდა, ეგებ იმიტომ, რომ უცებ შენიშნა, იესო რა ძლიერ ახალგაზრდა ყოფილაო, ანდა იმიტომ, რომ ეჭვმა გულზე გადაუარა და შეაცბუნა, დაუმატა: ის ჩვენს ოჯახში ყველაზე უმცროსია, ამას კი ის სიტყვები მოაყოლა, რომლებიც წესითა და რიგით მას კი არ უნდა წარმოეთქვა, არამედ იქვე მდგომ მაგდალელს: დაღლილი ჩანხარ, დაჯექი, ფეხებს დაგბანო.

ცოტა ხნის შემდეგ, მარტო რომ დარჩნენ, მაგდალელმა ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად იესოს უთხრა: ისეთი პირი უჩანს საქმეს, რომ ორივე დას ბედმა უბრძანა, იესო უნდა შეიყვაროთო, რაზეც იესო გაეპასუხა: არ უცხოვრია, ჰოდა, გული დარდით სავსე აქვსო. ამიტომ არაო, მსწრაფლ უარყო მაგდალელმა, ეგ ფიქრობს, ქვეყნიერება რა უსამართლოდ არის მოწყობილიო: ზნედაცემული ქალი ჯილდოს შოულობს, პატიოსნის სხეული კი უქმად ცდებაო. ღმერთი რამენაირად სხვა ჯილდოს მოუნახავსო. ეგება ის, ვინც ქვეყნიერება და ყოველივე შექმნა, მისგანვე შექმნილ ქალებს ქვეყნიერების არც ერთ სიკეთეს არ უნდა აკლებდესო.

მაგალითად, მამაკაცის შეცნობასო. დიახ, მაგრამ შენ ქალი უკვე შეიცანი და მეტის უფლება აღარ გაქვს, რამეთუ ძე ღვთისა ბრძანდებიო. შენთან რომ წევს, ის დურგალ იოსების ვაჟიაო. მართალი გითხრა, ჩვენი ერთად ყოფნის პირველი დღიდან არც ერთხელ არ შემიგრძნია, ვითომც რომ ღვთაების შვილთან ვწევარ-მეთქი. ღვთაების კი არა, ღვთის. ქვეყნად არაფერს დავიშურებდი, ოღონდაც ძე ღვთისა არ ყოფილიყავი.

ამასობაში მართამ მეზობლის ბიჭი სინაგოგაში გააგზავნა, ლაზარეს დის დაბრუნება შეატყობინეო, რაც, სხვათა შორის, შინაგანი ბრძოლისა და ყოყმანის შედეგად მოხდა, რამეთუ მთელ ბეთანიას სალაპარაკო და საჭორაო შეექმებოდა ეს ამბავი: დაბრუნებულაო, ხედავთო, ამდენი ხნის ნაბოზარიო, – არადა, ამ „ამდენ ხანს“ ჭორიკნები კარგა ხნის დადუმებულები ჰყავდა. ახლა თავიდან დაიწყებოდა. მართა თავის თავს ეკითხებოდა, ხვალ ქუჩაში ნეტავ რა პირით გამოვჩნდებიო, მეტიც – ნეტავი დაც თან უნდა წავიყვანოო? რამეთუ სად წაუვიდოდა მეზობლებთან და მეგობრებთან შეხვედრას და ასეთ ლაპარაკს:

მარიამი ხომ გახსოვს, აგერ, იცანი? – მეზობლის ქალი დიდის ამბით თავს გადააქნევს: როგორ არ მახსოვს,

ვის არ ახსოვს, და უმორჩილესად გთხოვთ, შემინდოთ ეს მდაბალი ყოფითი პროზა, რამეთუ თვით უწმიდეს ისტორიაშიც ყველაფერი წმიდა როდია. და შერცხვა მართას თავისივე უღირსი ფიქრის, როცა სინაგოგიდან დაბრუნებული ლაზარე მარიამს ჩაეხუტა და თქვა: კეთილი იყოს შენი მოსვლა, ჩემო დაიკო, – ისე თქვა, თითქოს არ დატანჯულა მარიამის არყოფნის წლებში უსიამოვნო მდუმარებით, მის სახელს რომ გარს შემორტყმოდა, – და მართამ, შერცხვენილმა, საჭიროდ ჩათვალა, სიხარულისა და სიყვარულის გამოხატვა მეც მეგებისო, და ლაზარეს უთხრა: აი, იესო, მარიამის მეუღლეა. ლაზარემ და იესომ ერთმანეთს კეთილად შეხედეს და, სანამ ქალები, თითქოს ძველი დრო დაბრუნდაო, ქალურ საქმეებს – გამასპინძლების, სადილობის და ეგეთების მოსაგვარებლად ციბრუტებივით დატრიალდნენ, მამაკაცებმა მეგობრული საუბარი გააჩაღეს.

ნავახშმევს ლაზარე და იესო საღამოს სიგრილის ჩასასუნთქად ეზოში გამოვიდნენ, მართა და მარიამი კი მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდნენ – სად ვისი ჭილოფი უნდა დაეგოთ, რადგან პერსონათა შემადგენლობაც შეცვლილიყო და მათი ურთიერთობებიც. ხოლო იესომ, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, პირველი ვარსკვლავების შემხედვარემ, ჰკითხა: ცუდად ხარ, ლაზარე? და მანაც მოულოდნელი სიმშვიდით მიუგო – ცუდად ვარ. მალე აღარ დაიტანჯები, თქვა იესომ. რაღა თქმა უნდა – მალე მოვკვდები. არა, აი, ახლავე. არ მითხრა, მკურნალი ვარო. მკურ-

ნალი რომ ვიყო, განა მეცოდინებოდა, როგორ უნდა მომერჩინე? იცი კი განა? განკურნებული ხარ, ლაზარე, რბილად და ხმადაბლა თქვა იესომ, ხელი ხელში ჩასჭიდა და იმავ წამს ლაზარემ იგრძნო, როგორ გადიოდა სნეულება მისი ხორციდან, თითქოს მზემ წყალი დააშროო, თავისუფლად სუნთქავდა, ისე, როგორც სიყმაწვილისას, გულიც აუძგერდა და რაკიღა ვერ გაეგო, რა ემართებოდა, შიშმა შეიპყრო. ეს რაა? – უეცრად ჩახრინწული ხმით იკითხა, ვინა ხარ? ყოველ შემთხვევაში, მკურნალი არ ვარ, გაუღიმა იესომ. ღვთის გულისათვის, მითხარი, ვინ ხარ?! არა მოიღო სახელი მისი ამაოსა ზედა. ეგ როგორ გავიგო? მარიამს დაუძახე, აგიხსნის. მაგრამ დაძახება აღარ დასჭირდათ – მართამ და მარიამმა, როგორც კი გაიგონეს ეზოდან მამაკაცების შეცვლილი ხმები, გარეთ გამოსვლა აიჩქარეს, ემანდ ჩხუბი არ მოუვიდეთო, ზღურბლზე გამოჩნდნენ, მაგრამ იმწამსვე დაინახეს, არაფერი საშიში არ ხდებაო. ეზო ლურჯად ღუოდა, ჰო, რა თქმა უნდა, თვითონ ეზო კი არა, ეზოს ჰაერი და აცახცახებული ლაზარე იესოზე ათითებდა და ამბობდა:

ვინ არის, ვინ არის ეს ადამიანი? – ხელი შემახო, მითხრა, „განიკურნეო“ და განვიკურნე. მართა ძმის დასამშვიდებლად გამოეშურა – ეს რაღა განკურნებაა, კანკალს ჰყავს ატანილი, – მაგრამ ლაზარემ მოიშორა და ჰკითხა: მითხარი მარიამ, რადგან ეს კაცი შენ მოიყვანე. ვინ არის იგი?

მაგდალელმა, ჯერ კიდევ ზღურბლზე მდგარმა, უბრალოდ უთხრა: იესოა ნაზარეველი, ძე ღვთისა.

მართა და ლაზარე თუმც კი ძირძველი აქაურები იყვნენ, ხოლო ეს მხარე ადამჟამის დროიდან წინასწარმეტყველური გამოცხადებებისა და აპოკალიფსური ნიშნების ასპარეზი გახლდათ, მაგრამ მაინც ორივენი ამ სიტყვების მიმართ მათი მდგომარეობისთვის სრულიად ბუნებრივმა დაეჭვებამ შეიპყრო, რამეთუ ერთია აღიარო, რომ ვიღაცა აშკარა და უდავო სასწაულის ძალით განიკურნა და სულ სხვაა

დათანხმდე, რომ კაცი, რომელმაც ხელი მოგკიდა და სნეულებისგან გაგათავისუფლა, თვით ღვთის ძეაო. თუმცა სიყვარულს და რწმენას მთების გადადგმა შეუძლია, ზოგიერთები იმასაც ირწმუნებიან, ცალცალკეც მშვენივრად გაართმევენ თავს რასაც გინდაო, და ამიტომაც აქვითინებული მართა იესოს კინაღამ კისერზე ჩამოეკიდა, თუმცა თავისმა

სითამამემ იქვე დააფრთხო, მიწას დაემხო და ძლივძლივობით ჩაილუღლუღა: მე ხომ ფეხები დაგბანე! მე ხომ ფეხები დაგბანეო! ლაზარე გაირინდა, თითქოს გაოგნებამ გააქვავაო, და უფლება გვაქვს ისიც კი ვივარაუდოთ: აქ გაგონილი სიტყვები მეხივით მხოლოდ იმიტომ არ დასცემია და უსულოდ განგმირული მიწას მხოლოდ იმიტომ არ დანარცხებია, რომ სულ ერთი წუთით ადრე, სანამ გაისმა „იესოა, ნაზარეველი, ძე ღვთისაო“, ძველი, გაცვეთილი გულის ნაცვლად მკერდში საოცრად დროულად ახალი გული აუძგერდა. იესო ღიმილით მიუახლოვდა, გადაეხვია და უთხრა: ნუ გიკვირს, რომ ძე კაცის ძე არის ღვთისა, თავად განსაჯე, ვინ უნდა აირჩიოს ღმერთმა, თუ არა კაცი, განა ასე არ ირჩევენ კაცები ქალებს, ქალები კი – კაცებს? ბოლო სიტყვები მაგდალელს ეკუთვნოდა, და მანაც სიამოვნებით მიისაკუთრა, როგორც კუთვნილი, მაგრამ იესოს დაავიწყდა, რომ ამ სიტყვებით მართას დარდები და მარტო ყოფნის ტკივილი გაუორმაგა, აი, ეს არის განსხვავება ღვთის ძესა და თვით ღმერთს შორის: ღმერთი ამას ძალით იზამდა, ღვთის ძეს კი ადამიანური დაუფიქრებლობის მოსალოდნელი შედეგი მხედველობიდან გამორჩა. მაგრამ ოჯახში გამეფებული სიყვარული იმხელა იყო, რომ თვით მართა ოხვრასა და წუხილს ხვალამდე სულ გადაივიწყებს, თან კიდევ ერთი სასიხარულო ვითარებაც ანუგეშებს – ვერვინ გაბედავს ბეთანიის ქუჩებში, მოედნებსა თუ ბაზარში მარიამის სახელის თრევას, მისი მრუში წარსულის ჩხრეკას, რამეთუ ახლა ყველა გაიგებს – ამ საქმეს თვითონ მართა მიხედავს, რომ კაცმა, მის დას რომ ჩამოჰყვა, ყოველგვარი ნახარშისა და მალამოების გარეშე განკურნა ლაზარე. ახლა ყველანი შინ ისხდნენ და ერთად ხარობდნენ, და თქვა ლაზარემ: შორეულმა მითქმა-მოთქმამ ჩვენამდეც მოაღწია, კაცი გამოჩნდა გალილეველი, სასწაულების მომხდენიო, მაგრამ არ უთქვამთ, ღვთის ძე არისო. ზოგი ხმა სწრაფად ვრცელდება, ზოგი უფრო ნელა, მიუგო ამაზე იესომ. შენ ხარ ის კაცი? შენ თქვი. შემდეგ იესომ თავისი თავგადასავალი უამბო სულ თავიდან, ოღონდაც მწყემსზე არაფერი უთქვამს, ღმერთი კი გაკვრით ახსენა, მომევლინა და მითხრა: ჩემი ძე ხარო. და რომ ბეთანიამდე ძველი სასწაულების შესახებ ხმებს არ ჩამოეღწია, აქ რომ ეს ხმები თვალწინ მომხდარი სასწაულის უტყუარობით პირწმინდა სიმართლედ არ ქცეულიყო,

სიყვარულის და რწმენის ძალა ასე ძლევამოსილი რომ არ ყოფილიყო, ძნელად, ძნელად თუ დააჯერებდა იესოს ერთი მოკლე ფრაზა, თუნდაც ღვთის მიერ წარმოთქმული, მართას და ლაზარეს, რომ სულიწმიდის შექმნილი იყო აი, ეს კაცი, ცოტა ხნის შემდეგ მათ დასთან რომ დაწვებოდა და შეიცნობდა, დასთან, რომელსაც ადრე ღვთის შიში ხელს არ უშლიდა, იესომდე უამრავი კაცი შეეცნო. შევუნდოთ მართას ამპარტავნება, ცხირსახოცი რომ აიფარა, რათა არავის გაეგო და დაენახა მისი სიტყვები, ძლივსგასაგონად წარმოთქმული: მე გაცილებით ღირსეული ვიქნებოდიო.

ახალი ამბავი დილიდანვე მოედო ბეთანიას, ყველგან კეთილგანწყობილი ლაპარაკი და ღვთის დიდება გაისმოდა და თვით ყველაზე იჭვნეულებმაც, თავიდან რომ არ სჯეროდათ მონათხრობის ნამდვილობა, მაგრამ კარგად რომ დაუფიქრდნენ, მიხვდნენ, ჩვენი ქალაქი ამგვარი დიადი სასწაულებისთვის ძალიან პატარაა და სხვა რაღა დარჩენოდათ, – ფარ-ხმალი დაყარეს, რადგან საკუთარი თვალით იხილეს განკურნებული ლაზარე, რომელსაც ვერაფრით მიუსადაგებდით ცნობილ ანდაზას, დროა თავისი

ჯანმრთელობა გაყიდოს, რადგან ჯანმრთელობა რომ გააჩნდეს, უფასოდ დაარიგებდაო, რამეთუ გაცვეთილი და დასნეულებული გული კი ჰქონდა ლაზარეს, მაგრამ იმავდროს კეთილი და მოსიყვარულე. ხოლო კართან ცნობისმოყვარე ბეთანიელები მოზღვავებულიყვნენ და ყოველ მათგანს პირადად სურდა, მოტყუებული რომ არ დავრჩეო, საკუთარი თვალით ეხილა სასწაულების ჩამდენი კაცი, ხოლო თუ ბედი გაუღიმებდათ და სულ მცირე საშუალებას მაინც მისცემდათ – ხელი შეეხოთ ანდა ოდნავ მიჰკარებოდნენ. მართასა და ლაზარეს სახლთან ავადმყოფები იყრიდნენ თავს – ვინ თავის ფეხით მოდიოდა, ვინ პატრონებს მოჰყავდათ საკაცით ან ზურგით – ქუჩა გაივსო. იესომ ქალაქის ქადაგს, რომელმაც დახმარება თვით შესთავაზა, დაავალა, ხალხს განუცხადე, ბეთანიის მთავარ მოედანზე მივალ და ყველას ერთად გავესაუბრებიო, მაგრამ ხალხი ასეთი ბრიყვი როდი იყო, რომ დაჭერილი ჩიტი ხელიდან გაეშვა. ამ წინდახედულობისა თუ უნდობლობის გამოისობით ფეხიც არავის დაუძრავს და იესო იძულებული შეიქნა, როგორც ყოველი ჩვენ-

განი მოიქცეოდა, შინიდან გამოსულიყო და ხალხს დანახვებოდა – მუსიკას არ დაუგრგვინვია, არც თვალისმომჭრელი სინათლე აჩირაღდნებულა, არც მიწა შერყეულა და არც ცა ჩამომხობილა. აი, მეც, – თქვა მან და შეეცადა, ჩვეულებრივად ელაპარაკა, ყოველდღიური უბრალო ტონით, მაგრამ ასეც რომ გამოსვლოდა, თვით ამ სიტყვებმა, იმისგან თქმულმა, ვინც წარმოთქვა, მთელი ხალხი მუხლებზე დასცა. გადამარჩინე! – ყვიროდნენ ერთნი, სხვები – განმკურნეო, – გაიძახოდნენ. პირველად ერთ მუნჯს ენა ამოადგმევინა, რადგანაც იმას სხვების მსგავსად არ შეეძლო რამე ეთხოვა, დანარჩენებს კი შინ წაბრძანდითო – რადგან რწმენა თითქმის არ ჰქონდათ – და ხვალ დაბრუნდით ადრიანად, მაგრამ მანამდე პირველ ყოვლისა მოინანიეთ შეცოდებანი, რამეთუ ახლო არს სასუფეველი ცათა, და ჟამი მალე დადგებაო, ანუ ახალი არაფერი არ უთქვამს მათთვის. მართლა ღვთის ძე ხარ? – ეკითხებოდნენ და ის იდუმალ პასუხს აძლევდა, რასაც მისგან ჩვეული იყო მისი მსმენელი:

რომ არ ვიყო, ღმერთი ალბათ დაგამუნჯებდა, რათა ეგ შეკითხვა არ დაგესვაო.

ასე დაიწყო და გაგრძელდა იესოს ყოფნა ბეთანიაში, სანამ არ დადგა დათქმული დრო, როდესაც შორეული ადგილებიდან მოწაფეები უნდა დაბრუნებულიყვნენ. რაღა თქმა უნდა, მთელი იმ არემარიდან, ქალაქებიდან და სოფლებიდან დაიძრა ხალხი, როცა გაიგეს, ჩრდილოეთში რომ სასწაულებს ახდენდა, ის კაცი ახლა ბეთანიაში იმყოფებაო. იესოს ლაზარეს სახლიდან გამოსვლაც კი აღარ სჭირდებოდა – ხალხი ისე აწყდებოდა იქაურობას, როგორც სალოცავს, მაგრამ მან არავის მიღება არ ისურვა და ყველას სთხოვა, ქალაქგარეთ ამა და ამ მთაზე შეიკრიბეთო, გიქადაგებთო, მონანიებისკენ მოგიწოდებთ და ზოგიერთებს, ვისაც შესაძლოდ და საჭიროდ ჩავთვლი, კიდეც განვკურნავო. ამ ამბავმა მალე იერუსალიმშიც ჩააღწია და კიდევ უფრო მეტი ხალხი ჩამოვიდა, იესო შეშინდა, ემანდ ზედახორაში არავინ გაიჭყლიტოსო, რაც ასეთ შემთხვევებსა და ამდენი ხალხის თავშეყრისას სრულიად შესაძლებელი გახლდათ, და ისიც კი იფიქრა, სულაც ზედმეტი ხომ არ არის ეს განზრახული ქადაგებაო. არადა, იერუსალიმიდან ხსნისა და განკურნების იმედით ჯერ უპოვარი და ღარიბი ხალხი გამოჩნდა, მაგრამ მერე და მერე

უფრო შეძლებულებიც მოჰყვნენ და რამდენიმე მწიგნობარი და ფარისეველიც, რომლებსაც არ სჯეროდათ, რომ შესაძლო იყო სრულ ჭკუაზე მყოფი კაცის ასეთი გათავხედება, რაც თვითმკვლელობას უტოლდებოდა – ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თავისი თავის მკრეხელური განდიდება – ძე ღვთისა ვარო. ეს მწიგნობრები და ფარისევლები

იერუსალიმში გაღიზიანებულები ბრუნდებოდნენ, საგონებელში ჩავარდნილები, რადგან იესო მათ შეკითხვას, მართალია თუ არა, რომ ძე ღვთისა ხარო, პირდაპირ არასოდეს პასუხობდა, თუ ლაპარაკი ნათესაობას შეეხებოდა, ძე კაცისა ვარო, ამბობდა, ხოლო თუკი ღმერთს მაინც მამად იხსენიებდა, გამოდიოდა, ზეციერ მამას გულისხმობდა ჩვეულებრივად, რომლის ძეებად და ასულებად ნებისმიერი ადამიანი მოიაზრება. გაურკვეველი და სადავო იყო საკითხი, რომ მას აშკარად ჰქონდა განკურნების უნარი, რაც არაერთგზის დაამტკიცა, თანაც ყოველგვარი მაგიური შელოცვის ან ხელების ქნევა-ფათურის დაუხმარებლად, სულ უბრალოდ, ორიოდ სიტყვით: იარე, ადექ, ილაპარაკე, იცქირე, განიწმინდე – ხელის მიკარების გარეშე, ერთი თითის მიდებით ან სულაც მიშვერით, რის შემდეგაც კეთროვანთა კანი დილის ნამით განბანილივით მყისიერად მზის სხივებში აკრიალდებოდა ხოლმე, მუნჯები და ენაბლუები მჭევრმეტყველებდნენ, დამბლიანები საწოლებიდან ხტებოდნენ და ცეკვავდნენ, სანამ ქანცი არ გაუწყდებოდათ, ბრმები თვალებს არ უჯერებდნენ, კოჭლები წინ და უკან დარბოდნენ, ხანდახან ყოფილ ხეიბრობას წარმოსახავდნენ, ვითომ ვკოჭლობთო, მერე კი ისევ სიცილ-ხარხარით რბენას და ხტუნვას აგრძელებდნენ. მოინანიეთ, ეუბნებოდა იესო ყველას, მოინანიეთ, – სხვას არას სთხოვდა. მაგრამ იერუსალიმის ტაძრის მღვდელთმთავრებმა, რომელთაც ყველაზე უკეთ ახსოვდათ და იცოდნენ ყველა იმ არეულობისა და მღელვარების ამბები, რომლებსაც ნაირ-ნაირი წინასწარმეტყველები წარმოქმნიდნენ, იესოს ნათქვამი ყოველივე კარგად აწონ-დაწონეს და თქვეს, მეტად არანაირ რელიგიურსა თუ პოლიტიკურ ამბოხებას აღარ დავუშვებთო და ამიერიდან და ერთხელ და სამუდამოდ ამ გალილეველის ქცევას, სიტყვას და პირადად მასაც საგულდაგულოდ და განუწყვეტლივ დავაკვირდეთო, რათა თუკი საჭირო გახდა და ისეთი პირი უჩანს, რომ ეს დროც მალე დადგებაო, –

უცბად ძირშივე ამოვძირკვოთ ბოროტებაო, რამეთუ ბრძანა მღვდელთმთავარმა: ვერ მომატყუებს, ეგ ძე ღვთისა კი არა, ძე კაცისა არისო.

იესო იერუსალიმს სათესად არ წასულა, მაგრამ ბეთანიაში საგულდაგულოდ გამოჭედა და ალესა ნამგალი სამომავლო სამკალისათვის.

და ის დროც მოვიდა, როცა დღეს ორნი, ხვალ კიდევ ორნი, ეგება ოთხნიც – ბეთანიისკენ მომავალ გზაზე თუ შეიყარნენ, – დაუბრუნდნენ მოწაფეები. მათ მიერ მოტანილი ცნობები თუ ამბები ერთმანეთისგან მხოლოდ მეორეხარისხოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი წვრილმანებით განსხვავდებოდა, ხოლო მთავარში მსგავსნი იყვნენ: უდაბნოდან გამოსული მავანი კაცი ძველებურ ყაიდაზე იმგვარად წინასწარმეტყველებს, რომ მისი ხმა ქვებს მიაგორებს და მთებს აზანზარებსო და მესიის გარდაუვალ მოსვლას ქადაგებს და ხალხს ღვთის რისხვით ემუქრებაო. ნახვით იესოს მოწაფეებს ვერ ენახათ, რადგან ის კაცი განუწყვეტლივ ადგილს იცვლიდა, და ცნობები მის შესახებ, თუმც უმთავრესად ემთხვეოდა ერთიმეორეს, მაინც სხვის მიერ იყო თქმული, ყურმოკრული და მისი ძებნა იმიტომაც არ დაგვიწყია, იწურებოდა შენგან დათქმული სამთვიანი ვადა, ხოლო ჩვენ დაგვიანება არ გვინდოდაო. იესომ ჰკითხა, რა ჰქვიაო წინასწარმეტყველს და უპასუხეს: იოანეო, აკი უთხრა ღმერთმა, კაცს მოგახმარ და სახელად იოანე ერქმევაო. ჰოდა, მოსულა კიდევაცო, თქვა იესომ და მოწაფეებმა ვერ გაუგეს, რას გულისხმობდა, მხოლოდ მარიამ მაგდალელი მიხვდა ყველაფერს, რადგან იესოს ყველაფერი ადრევე ჰქონდა მისთვის ნაამბობი. იესოს სურდა იმ კაცის ნახვა, უეჭველია, ისიც მეძებსო, მაგრამ რადგანაც ათორმეტ მოწაფეთაგან თომა და

იუდა ისკარიოტელი ჯერაც არ ჩანდნენ, და ეგებ სწორედ მათ მოეტანათ სწორი ცნობები, თუ სად ეძებნა ის იოანე, იესომ წასვლას დაცდა არჩია. როგორც გაირკვა, სწორადაც მოიქცა, რადგან თომა და იუდა არათუ მხოლოდ შეხვედროდნენ წინასწარმეტყველ იოანეს, არამედ მასთან ესაუბრათ კიდევაც. მათ მოსასმენად ბეთანიის გარეუბნებში განლაგებული კარვებიდან ყველა მოწაფე-მოციქული შეიკრიბა, წრეზე დასხდნენ ლაზარეს ეზოში, ხოლო მარიამი, მართა და სხვა ქალები მოემსახურნენ. რიგრიგობით ჰყვებოდნენ ამბავს ხან თომა და ხანაც იუდა: იოანე უდაბნოში ცხოვრობდა თურმე და ერთხელ ღვთის ხმა გაიგონა, იორ-

დანეს წყალში უნდა მოინათლო და ცოდვებისგან განიწმინდოო, ასეც მოიქცა და მერე სხვებიც მოდიოდნენ მოსანათლად, იოანე კი მრისხანე ხმით უყვიროდა ყოველ მომსვლელს, ჩვენც გავიგონეთ ეს ღრიალი და გვარიანად გაგვაოცაო, ამბობდნენ თომა და იუდა.

იქედნეს ნაშიერნოო, ამბობდა იგი, ვინ გასწავლათ მომავალ რისხვას გაექეცითო?! მაშ, გამოიღეთ ნაყოფი, ღირსი სინანულისა და ნუ გგონიათ, რომ შეგიძლიათ უთხრათ თქვენს თავს: მამად გვივისო აბრაამი, რამეთუ გეტყვით თქვენ: ღმერთს ხელეწიფება თვით ამ ქვათაგან აღუდგინოს ძენი აბრაამს. ვინაიდან აწ უკვე ცული ხეების ფესვებთან დევს: ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა. შიშით დაზაფრული ხალხი ეკითხებოდა: რა უნდა ვქნათო? – და პასუხობდა მათ იოანე: თუ ორი ხელი სამოსი გქონდეს, ერთი ხელი მას მიეცი, ვისაც არა აქვს, თუ საჭმელი გაქვს, იგივე ჰქენი, ხოლო როდესაც მეზვერეები მოვიდნენ მოსანათლად, მან ასე თქვა: ნუ მოითხოვთ იმაზე მეტს, რასაც კანონი გავალდებულებთ, ოღონდაც ნურც ის გეგონებათ, თუ კანონია, სამართლიანიც იქნებაო. ჯარისკაცებმაც ჰკითხეს: ჩვენ რაღა ვქნათო, და მან მიუგო: ნურვის დაჩაგრავთ, ცილს ნუ დასწამებთ და ჯამაგირი იკმარეთო. აქ თომა დადუმდა სულის მოსათქმელად და იუდა ალაპარაკდა: როცა ხალხი ელოდა და გულში ფიქრობდა, მესია ხომ არ არისო, იოანე პასუხობდა: მე წყლით გნათლავთ, რომ მოინანიოთ, ხოლო ჩემ შემდეგ მომავალი ჩემზე უძლიერესია, ვისი ხამლის ტარებისაც არა ვარ ღირსი; და ის მოგნათლავთ სულიწმიდითა და ცეცხლით. მას ხელთ უპყრია თვისი არნადი და გაწმენდს თავის კალოს და შეინახავს ხორბალს ბეღელში, ხოლო ბზეს მისცემს უშრეტ ცეცხლს. იუდაც დადუმდა და ყველა ელოდა, აბა, იესო რას იტყვისო, მაგრამ იესოც დუმდა, მიწაზე თითით რაღაც იდუმალ ნიშნებს ხატავდა, თითქოს სურდა, რომ პირველად მოწაფეებს ამოეღოთ ხმა. და თქვა მაშინ პეტრემ: შენ ხარ მესია, რომლის მოსვლასაც იოანე იუწყება? – ხოლო იესოს თითით ხატვა არ შეუწყვეტია და უპასუხა: შენ თქვი, მე არა, კვლავ გაჩუმდა და დაუმატა: წავალ, ვიპოვი. შეიძლება ჩვენც გამოგყვეთ? – ჰკითხა ზებედეს ერთ-ერთმა ვაჟმა, იოანემ, მაგრამ იესომ თავი ნელა გადააქნია: მარტო წავალ, მხოლოდ თომა და იუდა გამომყვებიან,

რადგან იცნობენ, – და იუდას მიუტრიალდა: როგორია შესახედავად? შენზე მაღალი და გაცილებით ძლიერი ჩანს, გრძელი წვერი აქვს, აქლემის მატყლის სამოსელი აცვია და წელზე ტყავის ქამარი აქვს შემორტყმული და უდაბნოში მხოლოდ კალიას და ველურ თაფლს ჭამდაო. ის ჩემზე მეტად ჰგვანებია ღმრთის მოციქულსო, თქვა იესომ, წამოდგა და გავიდა წრიდან.

უთენია, გარიჟრაჟზე სამნი დაიძრნენ და რადგანაც ცნობილი იყო, რომ იოანე ერთსა და ამავე ადგილზე დიდხანს ყოფნას გაურბოდა, სავარაუდოდ იორდანეს ნაპირზე თუ ვიპოვით, სადაც იგი ხალხს ნათლავსო, და დაბლა დაეშვნენ ბეთანიის მაღლობიდან, მკვდარი ზღვისკენ აიღეს გეზი, ქალაქ ბითავარს მიაშურეს,

რათა მერე მდინარეს აჰყოლოდნენ გალილეის ზღვისკენ, იქ კი ან სამხრეთით, ან, თუ საჭირო იქნებოდა, ჩრდილოეთით გადაუხვევდნენ.

ბეთანიის საზღვრებს რომ ტოვებდნენ, რას წარმოიდგენდნენ, რომ მათი მოგზაურობა ესოდენ ხანმოკლე აღმოჩნდებოდა – ბითავარშივე შეხვდნენ იოანეს, მარტო იჯდა და, იფიქრებდი, ამათ ელოდებაო. შორიდანვე შეაჩნიეს იორდანეს ნაპირას მჯდომი პატარა ფიგურა, თეთრი მთებით შემოჯარული, რომელთა ქედები, ღრანტეები და მღვიმეები მოუშუშებელ იარებს ჰგავდა, ხოლო ხელმარცხნივ, პაპანაქებით გათეთრებული ცის ქვეშ, მზის გულზე გამდნარი კალასავით ავად ელვარებდა მკვდარი ზღვა. შურდულის გასროლაზე რომ მიუახლოვდნენ, იესომ თანამგზავრებს ჰკითხა: ეგ არის? – და იმათაც მზე ხელით მოიჩრდილეს, გახედეს და თქვეს:

რომ არ ვიცოდეთ, ვიფიქრებდით, რომ იესოს ტყუპისცალიაო. აქ დამელოდეთ, დავბრუნდები, უთხრა იესომ, რაც უნდა მოხდეს, ნუ მოახლოვდებით, და მეტი აღარაფერი უთქვამს, ფერდობზე დაეშვა მდინარისკენ. თომა და იუდა ისკარიოტელი გვალვით გამომშრალ მიწაზე დასხდნენ, იესოს თვალი გაადევნეს, ხეობის ნაკეცებში ხან გაუჩინარდებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა, მერე კი ნაპირს მიაღწია და იმ ადგილს მიაშურა, სადაც გაუნძრევლად იჯდა იოანე. ღმერთმა ნუ ქნას, შევმცდარიყავით, თქვა თომამ და იუდამ მიუგო: უფრო ახლოს უნდა მივსულიყავით, აბა, აქედან რა უნდა დაგვენახა, მაგრამ იესო დარწმუნებული გახ-

ლდათ, რომ ის იპოვა, ვისაც ეძებდა და ისე, სასხვათაშორისოდ დაეკითხა წეღან თანამგზავრებს. ამასობაში იოანე ფეხზე წამოდგა და მოახლოებულ იესოს უმზერდა. ნეტავ რა უნდა ილაპარაკონ? – იკითხა იუდა ისკარიოტელმა. ეგება იესომ გვიამბოს მერე, შეიძლება არც გვიამბოს, მიუგო თომამ. იქ, შორს ახლა ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, როგორ იქნევდნენ თავიანთ კვერთხებს, ჩანდა, რომ ერთობ ცხოველი და ცეცხლოვანი საუბარი გაემართათ, მერე ნაპირთან მივიდნენ და თომამ და იუდამ, თვითონ უკვე იოანესგან მონათლულებმა, თუმცა ვეღარ კი დაინახეს, ზუსტად იცოდნენ, რაც იქ ხდებოდა: წელამდე წყალში შევიდოდნენ, იოანე ორივე პეშვით წყალს აიღებდა, ზემოთ ასწევდა და წყალს იესოს თავზე დაასხამდა, თან ეტყოდა: წყლით ინათლები, დაე, ამით შენი ცეცხლი გამოიკვებოს, და აჰა, ასე იზამს და იტყვის ამას და ნაპირზე დაბრუნდებიან, აიღებენ მიწიდან თავიანთ კვერთხებს, და აი, ახლა ისინი, ცხადია, ერთმანეთს ემშვიდობებიან, დაემშვიდობნენ, გადაეხვივნენ, მერე იოანე ჩრდილოეთისკენ გაუყვა ნაპირს. იესო კი ჩვენკენ წამოვა. თომა და იუდა ფეხზე წამომდგარნი ელიან, იესო უსიტყვოდ ახლოვდება და გეზს ბეთანიისკენ იღებს. მოსწავლეები მოშორებით მიჰყვებიან, ცნობისწადილით შეპყრობილები, და ბოლოს თომა ვეღარ მოითმენს და იუდას გამაფრთხილებელ-ამკრძალავი ნიშნების მიუხედავად, ეკითხება: არ გვეტყვი, რა ილაპარაკეთ? ჯერ ადრეა, ეპასუხება იესო. ის მაინც გვითხარი, ქრისტე ხარ თუ არა? ჯერ ადრეა, გაიმეორა იესომ და მოწაფეებმა ვერ გაიგეს, წინა ჯერზე ნათქვამი უბრალოდ გაუმეორა თუ ის აუხსნა, ჯერ ადრეა, მესიის მოსვლა გაცხადდესო. იმედგაცრუებული მოწაფეები უკან ჩამორჩნენ: იუდა სწორედ ამ ვერსიას ემხრობა, ხოლო ბუნებით ჯიუტი და უნდო თომა მიიჩნევს, იესომ, თუმც კი ოდნავ გაბრაზებულმა, წეღანდელი „ჯერ ადრეა“ ხელახლა გაგვიმეორაო.

ის, რაც იორდანეს წყალში მოხდა, იმ ღამეს მხოლოდ მარიამ მაგდალელმა შეიტყო. სიტყვაძუნწიაო, თქვა იესომ, მომესალმა თუ არა, მკითხა, ის ხარ, ვინც უნდა მოვიდესო, თუ სხვას უნდა ველოდო ვინმესო. შენ რა უთხარი? მე ვუთხარი, ბრმები ხედავენ, კოჭლები დადიან, ყრუებს ესმით და გლახაკები სახარებით ხარობენ-მეთქი.

ამაზე რა თქვა? მესიას ამდენი რამის გაკეთება სულ არ სჭირდება, საკმარისია, ის აკეთოს, რისი კეთებაც საჭიროაო. ეგრე თქვა? ზუსტად ამ სიტყვებით. და რა უნდა აკეთოს მესიამ? მეც სწორედ ეგ ვკითხე. მერე იმან? მითხრა, სწორედ ეგა მაქვს შენთვის სათქმელიო. მერე რა მოხდა? არაფერი: წყალში შემიყვანა, მომნათლა და წავიდა. როცა გნათლავდა, რა გითხრა? წყლით ინათლები, დაე, ამით შენი ცეცხლი გამოიკვებოსო. მაგდალელთან ამ ღამეული საუბრის შემდეგ მთელი კვირა იესოს ხმა აღარ გაუღია. ლაზარეს სახლიდან ბეთანიის შემოგარენში წავიდა, სადაც მისი მოწაფეები ცხოვრობდნენ, მაგრამ კარავი მათგან მოშორებით დასცა და მთელ დღეებს სრულ მარტოობაში ატარებდა, მაგდალელსაც კი არ უშვებდა თავისთან, ხოლო ღამღამობით უკაცრიელ მთებში მიდიოდა. მოწაფეებმა, რომლებიც ხანდახან უჩუმრად კვალში მიჰყვებოდნენ და თავს იმით იმართლებდნენ, თვალყურს გადევნებთ, ველურმა მხეცებმა არაფერი დაგიშავონო, – არადა, უნდა ითქვას, ველური მხეცები იმ არემარეში საერთოდაც არ ბინადრობდნენ, – მხოლოდ ის ნახეს, როგორ ჯდებოდა ხოლმე ველობზე, ჩუმად უცქერდა ზეცას კი არა, სადღაც პირდაპირ იყურებოდა, თითქოსდა ველზე დაფენილი მერხევი ჩრდილიდან ანდა მთის ფერდობიდან ვიღაცის მოსვლას ელოდებაო. მთვარიანი ღამეები იდგა, შორს კარგად ჩანდა არემარე, მაგრამ არავინ მოდიოდა.

როცა აისი ღამის მიჯნას გადმოლახავდა, წამოდგებოდა და თავის კარავს მიაშურებდა, ლუკმას შეჭამდა, იმ საკვების მცირე ნაწილს წაიცქნიდა, რომელსაც იოანე და იუდა რიგრიგობით ამზადებდნენ და მასთან მიჰქონდათ, მისალმებაზე არ პასუხობდა, ერთხელ უხეშადაც კი მოექცა პეტრეს, რომელმაც მხოლოდ იმის გაგება მოისურვა, როგორა ხარ და რაიმეს ხომ არ დაგვავალებო. არადა, პეტრეს ამ საქციელს უდროო კიდევ ჰო, თორემ არასწორი ვერ დაერქმევა. ერთი კვირა რომ გავიდა, იესო კარვიდან საღამოხანს კი აღარ, დღისით-მზისით გამოვიდა, მოწაფეებს შეუერთდა, მათთან ერთად წაიტრაპეზა და მერე უთხრა: ხვალ იერუსალიმში მივდივართ, ტაძარში, თქვენც იმასვე გააკეთებთ, რასაც მე, რამეთუ დროა, გაიგოს ღვთის ძემ, რა სამსახური ევალება მამის სახლშიო, ხოლო მესიამ ის დაიწყოს, რისი დაწყებაც ევალებაო. მოწაფეებ-

მა შეკითხვები დააყარეს, რას ნიშნავს ეგ შენი სიტყვებიო, მაგრამ იესომ უკვე ნათქვამს ესღა დაუმატა: სიბერემდე მაინც ვერ მიაღწევთ და ამიტომ ამას ვერ გაიგებთო. მოწაფეები მის მშრალ და მკაცრ სიტყვას ჩვეულნი არ იყვნენ, ისევე, როგორც მისი მუდამ მშვიდი და თავმდაბალი იერსახის ნაცვლად გაჩენილ პირქუშ გამომეტყველებას, ისე რომ ცვლიდა, ვეღარც კი იცნობდი და ძველ იესოს ვერაფრით ვერ მიამგვანებდი, იმ ძველ იესოს, მუდამ იქით რომ მიდიოდა, საითაც ღმერთი აგზავნიდა, და არასოდეს ბუზღუნებდა. უეჭველია, ეს საოცარი ცვლილებები სხვა რამ ცვლილებებს გამოეწვიათ, მოწაფეთათვის ჯერ უცნობებს, იესო რომ მეგობრებთან გააუცხოვა და ღამღამობით შეპყრობილივით ღარტაფებსა და მთის ქედებზე სიტყვის საძებრად განუწყვეტლივ ახეტიალა. მაგრამ პეტრე დანარჩენ მოწაფეებზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და მიიჩნია, უსამართლობაა იესოსგან გადმოსროლილი „იერუსალიმში მივდივართო“, თითქოს მისი ხელის ბიჭები ყოფილიყვნენ და მხოლოდ იმისთვის გამოდგებოდნენ, რომ

მორჩილად და უკითხავად დამორჩილებოდნენ მის ნებას. და ასე თქვა: ჩვენ ვაღიარებთ შენს ძალას და ძალაუფლებას, ვეთანხმებით შენს სიტყვებსა და მოქმედებებს, გინდა ღვთის ძისა და გინდაც ადამიანისა, მაგრამ ცუდია, როცა ისე გვექცევი, თითქოს უგუნური ბავშვები ვიყოთ ან გამოჩერჩეტებული ბერიკაცები, არც ჩანაფიქრებს გვიზიარებ, გვეუბნები, ის გააკეთეთ, რასაც მე გავაკეთებო და საშუალებას არ გვაძლევ, ჩვენი უნარის კვალობაზე ჩვენც გავიაზროთ, რა გვევალებაო. ბოდიში, მაგრამ, უპასუხა პეტრეს იესომ, თვითონ არ ვიცი, რატომ მივდივარ იერუსალიმში, მინიშნება მივიღე მხოლოდ, იქ წადიო და სხვა არაფერი, თქვენ სულაც არ ხართ ვალდებულები, რომ მე გამომყვეთ. ვინ მიგანიშნა, წადი იერუსალიმშიო? იმან, ვინც ჩემს აზრებს დაეუფლა და წყვეტს, რა უნდა გავაკეთო და რა არა. იოანესთან შეხვედრის შემდეგ სულ შეიცვალე. მივხვდი, მშვიდობა კი არ უნდა მომქონდეს ქვეყნად, არამედ – მახვილი. თუ ახლოა სასუფეველი ცათა, ჰკითხა ანდრიამ, რად გვინდა მახვილი? ღმერთს არ უთქვამს, თუ რა გზით მოვა სასუფეველი: მშვიდობა ვცადეთ, ახლა მახვილიც უნდა მოვსინჯოთ, მერე კი ღმერთმა აირჩიოს, მაგრამ მე კიდევ გიმეორებთ, სულაც არა ხართ ვალდებულე-

ბი, რომ მე გამომყვეთ. კარგად იცი, რომ გამოგყვებით, საითაც გინდა. თავს ნუ დადებთ, მხოლოდ ისინი შეიტყობენ საით მიმყავხართ, ვინც ბოლომდე გამომყვება.

დილით ლაზარეს სახლში მივიდა გამოსამშვიდობებლად კი არა, უფრო იმისთვის, რომ ხალხთან უკან მობრუნება კეთილგანწყობით აღენიშნა. მაგრამ მართამ თქვა, ლაზარე უკვე სინაგოგაში წავიდაო. მაშინ იესო და მისი თორმეტი მოწაფე იერუსალიმისკენ დაიძრნენ, მაგდალელმა და სხვა ქალებმა ქალაქის კიდემდე მიაცილეს, იქ შეჩერდნენ და წინ მიმავალთ ხელის ქნევით დაემშვიდობნენ, თუმცა მათ ეს არც კი გაუგიათ, რადგან უკან ერთხელაც არ მოუხედავთ. ცა მოიღუშა, მალე ალბათ იწვიმებდა და ამიტომაც არც შემხვედრი მგზავრი უნახავთ, არც თანამგზავრი – კაცს თუ ძალიან მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე არ ჰქონდა, ასეთ ამინდში შინ დარჩენას ამჯობინებდა. მაგრამ ცამეტნი მიაბიჯებენ ამ უკაცურ და ცარიელ გზაზე, უკან მისდევენ და ასწრებენ, მთებს ახტებიან მუქფერფლისფერი ღრუბლები, თითქოს მიზნად დაუსახავთ, საბოლოოდ შეუერთონ ცა დედამიწას, ლითონი – ყალიბს, მამალს – დედალი, ყველა ლურსმანი თავის ხვრელში ჩააჭედონო.

თუმცა, როდესაც ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, დარწმუნდნენ, აქაური ბრბო ძველებურად ხალხმრავალია და მოთმინებით მოცდა მოგვიწევს, სანამ ტაძრამდე მივაღწევთო. მაგრამ შეცდნენ: მათ დანახვაზე – ფეხშიშველების, წვერგაბურძგნილების, კომბლისმაგვარი კვერთხებით შეიარაღებულების, ქიტონებზე ადამჟამისდროინდელი მძიმე მუქი მოსასხამები რომ მოეხურათ – შემკრთალმა ბრბომ უკან დაიხია და გაიშალა, და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

ვინ არიან? ის ვინღაა, წინ რომ მოუძღვის? – და პასუხი არ იცოდნენ, სანამ ერთმა გალილეველმა არ თქვა: ეს იესო ნაზარეველია, თავის თავს ღვთის ძეს უწოდებს და სასწაულებს ახდენს. და საით გაუწევიათ? – გაისმოდა შეკითხვა ყოველი მხრიდან, ხოლო რადგან მასზე პასუხის მისაღებად ერთადერთი გზა არსებობდა – იესოსა და მისი ხალხის უკან გაყოლა, ბევრი სწორედაც ასე მოიქცა და საბოლოოდ ტაძარს ცამეტის ნაცვლად ათასამდე კაცი მიადგა, მაგრამ, სხვათა შორის, ბრბო გონივრულად მოშორებით

შეჩერდა და გადაწყვიტა, ასე მოეკლა ცნობისწადილი. იესო იქით გაემართა, სადაც ზარაფები ისხდნენ და თავისიანებს უთხრა: აი, რისთვის ვართ აქ მოსულნიო, – და იმწამსვე დაერია ზარაფთა დახლებს, აყირავებდა, მყიდველ-გამყიდველს ხელს ჰკრავდა და ალიყურებსაც ურიგებდა, გაუგონარი ხმაური ატყდა, ბრახაბრუხი, სიტყვას ვეღარ გაიგონებდი, მხოლოდ იესოს ხმა ისმოდა, აუხსნელი უცნაურობით ბრინჯაოს ზარზე უფრო მჟღერი რომ გამხდარიყო: ჩემი სახლი ლოცვის სახლია, თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი, – და ძირს ეცემოდა ზარაფთა დახლები, წკრიალით იფანტებოდა მონეტების გროვები მავან სეირის მოყვარულთა გასახარად, წამსვე რომ ეცნენ ციურ მანანას ასაკრეფად. მოწაფეებიც იესოს დარად აყირავებდნენ მტრედით მოვაჭრეების დახლებს, და ამ უეცრად ნაბოძები თავისუფლებით აღტაცებული ფრინველები აფარფატდნენ მთელ ტაძარში, ფორიაქით დასტრიალებდნენ სამსხვერპლოებს, რომელთა ცეცხლსაც უცნობმა მხსნელმა გადაარჩინა. მოირბინეს ხელჯოხიანმა ტაძრის მცველებმა, რომ დაეჭირათ ან გაეგდოთ ის, ვინც წესრიგი დაარღვია, მაგრამ, ვაი, რომ ცამეტ ზორბა გალილეველს გადაეყარნენ, კვერთხის მოქნევით ძირს რომ აწვენდნენ თავდამსხმელთაგან უმამაცესებს, სხვებს კი ეძახდნენ: მოდით აბა, ყველანი მოდით, რამდენიცა ხართ! – და სცემდნენ მცველებს, და ლეწავდნენ დახლებს და სკამებს, მერე უეცრად მათ ხელში ანთებული ჩირაღდანი გაჩნდა და წაეკიდა ცეცხლი კარვებს, ფარდულებს და ცოტა ხანში საკურთხეველზე დამწვარი მსხვერპლის კვამლს კიდევ ერთი კვამლის სვეტი დაემატა და ხმა გაისმა: „ლეგიონერებს დაუძახეთ“, თითქოსდა ამის დამძახებელს აღარ ახსოვდა, რომ რომაელის ტაძარში შესვლა არ შეიძლება, შიგ რაც უნდა უბედურება ტრიალებდეს. ტაძრის მცველებს უკვე სხვებიც წამოეშველნენ, ჯოხებით აღარ, უკვე ხმლებით და შუბებით აღჭურვილები, ზოგიერთი ზარაფი და მტრედით მოვაჭრეც შეუერთდათ, რადგან განსაჯეს, ჩვენს ინტერესებს მხოლოდ სხვები რომ იცავდნენ, არ ივარგებსო, და საომარი წარმატება თანდათანობით მათ მხარეზე გადავიდა – როგორც ჯვაროსნული ლაშქრობისას – და თუ ეს ბრძოლა ღვთის განგებით გამართულიყო, მაშინ ეტყობა, თავის მომხრეთა და დამცველთა წარმატებისთვის თავი დიდად არ გამოუდია. აი,

ასეთი ვითარება იყო შექმნილი, როცა კარიბჭის კიბის თავზე უხუცესების და მწიგნობრების თანხლებით მღვდელმთავარი გამოვიდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, გამოვარდა, და ხმამაღლა, თუმც იესოს ხმის ძალასთან რას მივიდოდა მისი ყვირილი, დაიძახა: გზას ნუ უღობავთ, დაე, წავიდნენ და თუ კვლავ მოსვლას გაბედავენ, ნაკუწებად ავჩეხოთ და გადავყაროთ სარეველა ბალახივით, ხორბლის ზრდას რომ არ შეეჩხირონ. იესოს გვერდით მყოფმა ანდრიამ უთხრა: კი თქვი, რომ მშვიდობის ნაცვლად მახვილი უნდა მოვიტანოო, მაგრამ ახლა ნათლად გამოჩნდა, რომ მწყემსის კვერთხი მახვილის წინაშე არაფერია. იესომ უთხრა; მთავარია, ვის უპყრია მახვილი, ვის – კვერთხი. ახლა რაღა ვქნათ? – ჰკითხა ანდრიამ. ბეთანიაში უნდა დავბრუნდეთ, რამეთუ არც მახვილები გვაქვს საკმარისად და არც ხელები. უკან-უკან დაიხიეს, გამართულ მწკრივად, წინ გაშვერილი კვერთხებით ბრბოს მოწოლას იგერიებდნენ, ბრბო ხაოდა და უსტვენდა, მაგრამ უარესს ვერ ბედავდა და ცოტა ხნის შემდეგ მიატოვეს აღელვებული იერუსალიმი, დაღლილები, დაქანცულები, ნაცემები დაბრუნდნენ უკან.

ბეთანიაში რომ შევიდნენ, შეამჩნიეს, რომ მეზობლები კარებიდან იჭყიტებოდნენ და ერთგვარი თანაგრძნობაგარეული მწუხარებით უქცერდნენ, მაგრამ იფიქრეს, ტაძარში ჩხუბის გამოისობით ალბათ ასეთი საცოდავი და საზიზღარი სახეები და სამოსი გვაქვსო. როცა იმ ქუჩაზე ჩაუხვიეს, სადაც ლაზარეს

სახლი იდგა, ნათელი გახდა, რომ მთავარი ეს არ იყო – უცებ მიხვდნენ, უბედურება მომხდარაო. იესომ დანარჩენებს გაასწრო და ეზოში შეირბინა, და დამწუხრებულმა ადამიანებმა გზა მისცეს, სახლიდან კი მოთქმა და ტირილი მოისმოდა. ძმაო ჩემო! – ჯერ მართას ხმა გაიგონა და იქვე მარიამისაც: ძმაო ჩემო!

იატაკზე, ჭილოფზე ლაზარე დაინახა – მშვიდად იწვა გულაღმა, ხელები მკერდზე დაეკრიბა, გეგონებოდა, სძინავსო, მაგრამ არ ეძინა. მოკვდა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჩერებას აპირებდა მისი გული, მაგრამ მერე განიკურნა, რისი მოწმეც მთელი ბეთანია გახდა, ახლა კი აგერ იწვა მკვდარი, უძრავი, მარმარილოსგან გამოთლილს ჰგავდა მიუწვდომელი, თითქოს უკვე მარადისობის კარი შეეღო, მაგრამ მისი სიკ-

ვდილის წიაღიდან ხრწნისა და ლპობის პირველი ნიშანწყალი სულ მალე ამოტივტივდებოდა, რათა შიში და მწუხარება მომატებოდათ ამქვეყნად ცოცხლად დარჩენილებს. იესო, თითქოს ფეხის მყესები მახვილის დარტყმით გადაუჭრესო, მუხლებზე დაეცა და ძლივს ამოღერღა ქვითინ-ქვითინით: ეს როგორ, როგორ? – გაუგებარი ორი სიტყვა, რომელშიც ბუნდოვან აზრს მაშინ ახვევს ადამიანი, როცა იხილავს იმას, რაც აღარ გამოსწორდება. კითხვას – „ეს როგორ?“ ყოველთვის ვუსვამთ გვერდით მყოფებს, როცა სიმწრისგან ამაოდ ვეცდებით ხოლმე, რომ ის წამი სულ ცოტათი გადავავადოთ, ბოლოს რომ მაინც მოგვიხდება, ჭეშმარიტება შევუშვათ თავში: ჰო, არ გვინდოდა ამის გაგება, მაგრამ ეს მოხდა, ყველანი ვცდილობთ, სიკვდილს სიცოცხლე ჩავუნაცვლოთ, რაც არის, იმას ჩავუნაცვლოთ, რაც შესაძლოა ყოფილიყო. მართას ქვითინის და სლუკუნის წიაღიდან ამოიღვენთა მისი სიტყვები იესოს მიმართ: იმ დროს შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩემი ძმა ახლა ცოცხალი იქნებოდა, რამეთუ ვიცი, რომ ღმერთი ყველაფერს გისრულებს, რასაც სთხოვ: კეთროვნებს წმენდს, ბრმებს თვალს უხელს, ყრუებს სმენას უბრუნებს და მუნჯებს – ენას და ყველანაირ სასწაულს აღასრულებს, რაც კი შენს ნებას მოესურვება, შენს სიტყვას ელის. იესომ უთხრა: შენი ძმა აღსდგება, და მიუგო მართამ: ვიცი, რომ აღსდგება ბოლო ჟამის აღდგომისას. იესო წამოდგა, იგრძნო, თუ რა უსაზღვრო ძალამ აღუვსო სული, – ამ უმაღლეს წამს ყველაფრის ქმნას და აღსრულებას მოახერხებდა, თვით სიკვდილის განდევნასაც შეძლებდა ამ სხეულიდან, ყოფიერებაში მის სრულად დაბრუნებას – ლაპარაკიან-მოძრაობიან-სიცილიან-ცრემლებიანად, ოღონდაც ტანჯვისა და წამების გარეშე; შეეძლო ეთქვა: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე და ვისაც ვწამვარ, მარად იცოცხლებს და თუ ჰკითხავდა მართას: გწამს ჩემი? – და ის ეტყოდა, მწამს, რომ ღვთის ძე ხარ ამ ქვეყანაზე მოვლენილი, მაშინ ეტყობა ყოველივე, რაც საჭიროა, – ძალა, უფლება, ნება მზად იქნებოდა, თავის ადგილს დაიკავებდა და იესოს ისღა დარჩებოდა, სულსგაყრილი სხეულისთვის დაეხედა, მისკენ ხელები გაეშვირა, იმ ხიდის მსგავსად, რომელზეც სული ისევ უკან გადმოივლიდა და ეთქვა: აღსდექ, ლაზარე! – და ლაზარეც წამოდგებოდა, რამეთუ ღმერთი ისურვებდა, მაგრამ სულ ბოლო, უკიდურეს წამს მარიამ მაგდა-

ლელმა მხარზე ხელი დაადო და ასე უთხრა: არავინაა ქვეყანაზე ისე ცოდვილი, რომ ორჯერ მოკვდეს. და იესომ ხელები ჩამოყარა და ტირილით გარეთ გავიდა.

21* * *

ლაზარეს სიკვდილმა იესოს სულში ყინულოვანი ქარის ერთი შებერვასავით ჩააქრო საბრძოლო ცეცხლი, იოანემ რომ შთაბერა, და ერთკვირიანი განუწყვეტელი ფიქრისა და რამდენიმე მცირედი მოქმედების შედეგად ღვთისა და ადამიანის მსახურება ერთმანეთს შეერწყა და შეენივთა, განუყოფელ ერთიანობად გადაიქცა. გლოვის პირველმა დღეებმა რომ ჩაიარა, როცა ყოველდღიური საზრუნავი ნელ-ნელა დაუბრუნდა იმ ჩვეულ ადგილს, საიდანაც სიკვდილის საშინელებას ჰყავდა დროებით განდევნილი, დროდადრო მაინც რომ თავს ამჟავნებდა მოკლე, მაგრამ მწვავე ტკივილის შემოტევებით, იესოსთან პეტრე და ანდრია მივიდნენ, რათა ეკითხათ, რას ფიქრობ, რა უნდა ვაკეთოთო – ქალაქებსა და დაბებში დაგვაგზავნი საქადაგოდ, ისევ იერუსალიმში წავალთ, თუ რა იქნებაო, რამეთუ უმოქმედობით შეწუხებული მოწაფეები ამბობენ, ასე აღარ შეიძლებაო, ოჯახები, სახლები და საქმეები ამ უსაქმურობისთვის ხომ არ მიგვიტოვებიაო.

იესო ისე უცქერდა პეტრეს და ანდრიას, თითქოს მათ სახეებს წარმოსახვაში მორიალე ხატებისგან ვერ ასხვავებსო, ისე უსმენდა, თითქოს მათი ხმები ყურებში ახმაურებულ დაუკავშირებელ წამოძახილებში ერევაო და ბოლოს დიდხნიანი დუმილის შემდეგ, ცოტა კიდევ მაცადეთ, უნდა ვიფიქრო, რამეთუ ვგრძნობ, რომ მალე რაღაც ისეთი მოხდება, რაც სამუდამოდ განსაზღვრავს ჩვენს ბედსა და სიკვდილ-სიცოცხლესო. და კიდევ უთხრა, მალე თქვენთან გადმოვსახლდები ბეთანიის გარეუბანშიო და ეს უკვე ვეღარც პეტრემ, ვეღარც ანდრიამ ვეღარ გაიგეს: როგორ, დაობლებულ დებს მიატოვებსო? ან ახლა ეს რა საჭიროა, თუკი ჯერ მაინც გადაწყვეტილი არაფერი ყოფილაო? ნუ იზამ მაგას, ერთხნობას ლაზარეს სახლში დარჩენა ჯობსო, უთხრა პეტრემ, თუმც არ იცოდა, რომ იესოს ყოველწუთიერ, დღითა და ღამით ორი მარწუხი სულს უფ-

ლეთდა – ერთი მხრივ მოვალეობა ჰქონდა ხალხის წინაშე, მისი გულისთვის ყველაფერი რომ მიატოვეს, და მეორე მხრივ, იმ სახლში ყოფნა უნდოდა, დებთან, ერთმანეთს ძლიერ რომ ჰგავდნენ და თან ისე განსხვავდებოდნენ, როგორც ჰგვანან და განსხვავდებიან სახე და სარკეში სახის ანარეკლი. ლაზარე შინ იყო, არსად მიდიოდა და მისი იქ ყოფნა მართას სიმკაცრეში იგრძნობოდა, დისთვის რომ ვერ ეპატიებინა, რატომ ჩაერია და გაცოცხლება არ აცალაო, და ვერც იესოსთვის რომ ვერ შეენდო, რატომ აიღო ხელი თავის სასწაულებრივ განზრახვაზეო; და მართას სიმკაცრეში ხომ იყო ლაზარე და აგრეთვე იყო მარიამის თვალებიდან გადმოღვრილი ცრემლის ნაკადშიც, ძმა მეორედ სიკვდილისთვის რომ ვერა და ვერ გაიმეტა და მის აღდგომას წინ აღუდგა, ახლა კი ალბათ მთელი ცხოვრება უნდა ენანა, როგორ მოხდა, რომ პირველ სიკვდილს დავანებეო. ლაზარეს მუდმივ იქ ყოფნას იესოც გრძნობდა რაღაც ვეება უსასრულო რაობის სახით, მთელ სივრცეს რომ ავსებდა და აჯადოებდა, ისევე, როგორც ავსებდა და აჯადოებდა იესოს სულის ყველა კუნჭულს, სულის, რომელიც გაორებული, გაოთხებული ჰქონდა უკვე, რამეთუ იზიარებდა მარიამის აზრს მეორედ სიკვდილის შესახებ და თან ბრალს სდებდა ამ აზრის გამო; რამეთუ ესმოდა მართას ვედრება, და თან ბრალს დებდა ამ ვედრების გამო. და ეჩვენებოდა, თითქოს ოთხი გადარეული ცხენი მის სულს ოთხ ნაწილად ფლეთდა; თითქოს ოთხი ჯაჭვის ღუზა ოთხ ჯალამბარს ეხვეოდა და ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა; თითქოს ღმერთი და ეშმაკი ორთავ მხრიდან ჩასჭიდებოდნენ,

ღვთაებრივად თუ ეშმაკეულად თამაშობდნენ, აბა, ბაგირით თავისკენ ვინ გადაათრევს ამისი სულის ნამუსრევსო. იმ სახლის კარზე, ლაზარეს სახლი რომ ერქვა ადრე, საცოდავი ადამიანები მოდიოდნენ, დაფუფხულები, დაწყლულებულები, ევედრებოდნენ, ტანჯული ხორცი განგვიკურნეო და მართა აგდებდა მათ, თითქოს თავის თავს ეუბნებოდა: თუ ჩემი ძმა არ გადაარჩინა, თქვენ რაღად უნდა განგკურნოთო – ვერ ეღირსებით განკურნებას, გაეთრიეთო, – და ისინიც მიეთრეოდნენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მოსულიყვნენ და ასე მანამ, სანამ იესოს არ მიაღწევდნენ, რომელიც განწმენდდა და განკურნებულებს გაისტუმრებდა, მაგრამ არასდროს ეუბნებოდა, მოინანიეთო, რამეთუ განკურნება განა

ხელახალი დაბადება არ არის, ოღონდაც მოუკვდინებლად დაბადებაა, ახალშობილს კი არც ცოდვა აქვს ჩადენილი და არც რამ მოსანანიებელი არ გააჩნია. მაგრამ იესოს ხორცის აღდგენის კეთილი სურვილი ამოქმედებდა, და, მის საქებრად უნდა ითქვას, რომ მერე სულში რაღაცნაირ სიმწარეს გრძნობდა, რამეთუ თავისი სასწაულებით მხოლოდ გარკვეული ვადით გადადებდა ხოლმე გარდაუვალ დაცემას და ხრწნას და იცოდა, რომ ის, ვინც დღეს მისგან ჯანმრთელი და მხიარული მიდიოდა, ხვალ თავიდან მოვიდოდა, ახალ სატკივარს დაიჩივლებდა, ახალი სენი შეეყრებოდა განუკურნელი. იესოს დარდი იმხელა გახდა, რომ მართამ ერთხელ გულით უთხრა: გთხოვ, ჩემ თვალწინ ნუ მოკვდებიო, მე მეორე ლაზარეს სიკვდილს ვერ ავიტანო, მაგდალელი კი ღამის სიბნელესა და სიჩუმეში ზეწრის ქვეშ იმალებოდა სოროში ჩამძვრალი დაჭრილი მხეცივით, რათა იქ, ყველასგან მალულად ეკვნესა და ეოხრა და იესოს ეჩურჩულებოდა: მე დღეს გჭირდები, როგორც არასდროს, მაგრამ შენ ახლა იქ ხარ, სადაც მე ვეღარ ამოგწვდები, შენ კარს მიღმა ჩაკეტილხარ, და ამ კარში გავლა ადამიანს არ შეუძლია, ხოლო იესო მართას უებნებოდა: ჩემს სიკვდილში ლაზარეს ყველა სიკვდილი ერთად მოთავსდებაო, მუდამ მოკვდება და არასდროს აღდგებაო, ხოლო მარიამს ევედრებოდა: თუ მაგ კარის შემოღება არ შეგიძლია, შორს ნუ წახვალ, რომც ვერ მხედავდე, ხელი ჩემკენ გამოიწოდე, თორემ სიცოცხლეს დავივიწყებ და სიცოცხლეც დამივიწყებსო.

რამდენიმე დღის შემდეგ იესო მოწაფეებთან წავიდა, მაგდალელიც გაჰყვა. შენს ჩრდილს შევხედავ, თუ გინდა, რომ შენ არ გიყურო, უთხრა ქალმა. იქ მინდა ვიყო, სადაც ჩემი ჩრდილი იქნება, თუ იმ ჩრდილს შენ დაინახავ, მიუგო იესომ. ერთმანეთი უყვარდათ და გზად ასე ეუბნებოდნენ ერთიმეორეს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვები გულწრფელად და ლამაზად ჟღერდნენ, – თუკი არსებობს გულწრფელი და იმავდროულად ლამაზი სიტყვა – არამედ იმიტომაც, რომ ჩრდილების ჟამი ახლოვდებოდა და სანამ ისევ ერთად იყვნენ, უნდა მოესწროთ და სამუდამო განშორების უკუნეთს შესჩვეოდნენ.

მალე ბეთანიაში იოანე ნათლისმცემლის დაჭერის ამბავმა ჩამოაღწია.

გარდა იმისა, თვით ჰეროდე ანტიპას ბრძანებით შეიპყრესო, არაფერი იცოდნენ და ამის გამო იესო და მისი მოწაფეები სხვა მიზეზს ვერ ვარაუდობდნენ, ყველგან და ყოველთვის, თავის ძირითად ქადაგებას – ჩემ მერე მოდის, ვინც ცეცხლით მოგნათლავთო, უეჭველად წყევლასაც მოაყოლებდა ხოლმე: იქედნეს ნაშიერნოო, ვინ გასწავლათ გაექცეთ მომავალ რისხვას?! – და მესიის მოვლინებას იუწყებოდა. იესომ თავისიანებს უთხრა, მზად უნდა ვიყოთ, რომ დევნას დაგვიწყებენ და ვინაიდან მთელ ქვეყანაში ყველამ იცის უკვე, ვინ ვართ და რას ვლაპარაკობთ, ჰეროდე უეჭველად იფიქრებს, ორჯერ ორი ოთხიაო და

დურგლის შვილს, ღვთის ძეობას რომ იჩემებს, და მის მიმდევრებს დააჭერინებს, რათა მეორე, უმნიშვნელოვანესი თავი მოაჭრას იმ ურჩხულს, მისი ტახტის უსაფრთხოებას რომ დამუქრებიაო. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ანდაზას, ცუდი ამბის ცოდნას სულაც არცოდნა სჯობსო, რომ ამბობენ, მაგრამ იესოს მსმენელთა საქებად უნდა აღინიშნოს, რომ ამ საშინელ შეტყობინებას სულიერი სიმშვიდით შეხვდნენ, როგორც სჩვევია კაცს, ბოლო ხანს მღელვარებით რომ ელოდება რაგინდარა ცნობას, რადგან აქამდე არავითარი ცნობა არა და არ მოდიოდა. ერთმანეთს და იესოს ეკითხებოდნენ, რა უნდა ვქნათო ამ შემთხვევაში – კვლავ ერთად ვიყოთ, ერთად შევხვდეთ მოსალოდნელ საშიშროებას, თუ დავიშალოთ ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ, უდაბნოში გადავიხვეწოთ კალიისა და ველური თაფლის საჭმელადო, როგორც შვრებოდა იოანე, სანამ იქიდან გამოვიდოდა, რათა იესო ედიდებინა და, როგორც მოვლენების მსვლელობამ ცხადყო, თავისი თავი დაეღუპა. მაგრამ ვიდრემდე მეფე ჰეროდეს ჯარისკაცები ბეთანიისკენ ახალი ყრმების მოსასვრელად დაიძვრებოდნენ, იესოსა და მის მოწაფეებს მშვიდად შეეძლოთ ყველა შესაძლო ვარიანტი განეხილათ, და ასეც იქცეოდნენ, როცა მეორე და მესამე ცნობაც მოვიდა – იოანე ნათელმხილველს თავი მოჰკვეთესო და მისი დაჭერა და სიკვდილით დასჯა მესიის მოსვლის, ანდა ცათა სასუფევლის მოახლოების ქადაგებისთვის კი არ მომხდარა, არამედ თურმე იოანეს საჯაროდ უმხილებია მეფის სისხლაღრეული ქორწინება, თავისი რძალი და დისშვილი ჰეროდიადა რომ შეერთო, როცა ქალს ქმარი ცოცხალი ჰყავდა. იოანეს სიკვდილის ცნობამ მრავალი კაცი

და ქალი მწარედ აატირა, ერთნაირი გლოვით აღავსო, ერთაირადაც გამოხატავდნენ მწუხარებას, თუმცაღა ყველას, რამდენიც იყვნენ, გაუგებრად და მიუღებლად მოეჩვენა იოანეს მოკვლის მიზეზის ესოდენი უმნიშვნელობა და მიიჩნიეს, აუცილებლად რაღაც უფრო არსებითი საფუძველი ექნებოდაო, არადა, არც ახლა ჩანდა არაფერი ხელჩასაჭიდი და მერე და მერე ხომ ისედაც ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა. განრისხებული გაჰკიოდა იუდა ისკარიოტელი, რომელიც, თუ არ დაგავიწყდათ, იოანეს ნათლული გახლდათ: ეგ როგორო, ეუბნებოდა იუდა ყველას უკლებლივ, თვით ქალებსაც კი – იოანე მესიის მოსვლას იუწყებოდა, ხალხის მხსნელის, და ამ დროს ვითომ იმიტომ მოკლეს, რომ ვიღაც ბიძამ და ვიღაც დისშვილმა სისხლი აღრიეს, ცოლ-ქმრობის წესი დაარღვიეს და იოანემ ეს და კიდევ სხვა ცოდვები გაუმჟღავნაო? თითქოს მშვენივრად არ ვიცოდეთ, მრუშობა რომ სისხლში აქვთ მაგათ, სულ პირველი ჰეროდედან მოყოლებული, ვინ დაიჯერებს, გაიძახოდა იუდა, რომ თუკი ღმერთმა იოანე მესიის მოსვლის საუწყებლად მოავლინა, – მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიმართლე სწორედ ესაა, თუნდაც იმიტომ, რომ ღვთის განგების გარეშე ქვეყნად არაფერი მოხდებოდა, – ჰოდა, დიახაც, თუ იოანე უფლის ნებას აღასრულებდა, მაშინ ამიხსნას ვინმე ჭკვიანმა და საქმეში ჩახედულმა, როგორ დაუშვა ღმერთმა, რომ მის განზრახვას, აქ, მიწაზე წინ აღუდგნენ უსინდისოდ, ოღონდ არ მითხრათ, ღვთის განზრახვას ვერ ჩავწვდებითო, რაც ღმერთმა იცის, ჩვენ არ ვიცითო და ასეთები, თორემ ვიტყვი – მინდა ვიცოდე, თვითონ თუ იცის უფალმა ღმერთმა ეს ყველაფერი?! შიშის ცივმა ჟრუანტელმა გადაუარა მსმენელთა რიგებს, თითქოს ღვთის რისხვა საცაა უნდა დაატყდეს მკრეხელს და მასთან ერთად ყველა იმათ, ვინც პირი დროზე ვერ დაუმუწა, სანამ ღვთის გმობას წარმოთქვამდაო. მაგრამ რადგანაც ღმერთმა იუდა ისკარიოტელს იქვე პასუხი არ მოსთხოვა, გამოწვევა იესოს ერგო, როგორც უზენაესი მოპასუხის შვილს და ახლობელს. სხვა რელიგიასთან რომ გვქონოდა საქმე, ანდა კიდევ სიტუაცია ასე მწვავე არ ყოფილიყო, ეგება მაშინ მხოლოდ ერთადერთი იდუმალი ღიმილი ეკმარა იესოს, ღიმილი, რომელიც, მართალია, სულ წამით გაკრთა, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია

სამ ნაწილად დავანაწევროთ – გაკვირვებად, თანხმობად და ცნობისწადილად, თანაც გაოცებამ უეცრად იფეთქა, თანხმობაში ერთი მისხალი ამპარტავნებაც არ გარეულა, ცნობისწადილს კი დაღლილობა არ დასტყობია. მაგრამ ღიმილი უმალ გაქრა და იმავ წამს იესოს სახე მკვდრისფრად გაფითრდა, თითქოს უეცრად თავისი ბედი თვალნათლივ, ცხადად დაინახაო. ქალებმა დაგვტოვონ, – ნელა, უსიცოცხლო ხმით წარმოთქვა ბოლოს და პირველი მარიამ მაგდალელი წამოდგა. იესომ შეიცადა, სანამ სრული სიჩუმე დაისადგურებდა მოგიზგიზე კოცონის ირგვლივ, სანამ დუმილი დაბალ თაღად ჩამოემხობოდათ თავზე, კედლად შემოერტყმოდათ და დედამიწის უღრმეს მღვიმეში გამოკეტავდათ, მერე კი თქვა: იოანე თვით ჰკითხავს ღმერთს, ესოდენ დიდი ჭეშმარიტების საქადაგებლად მოვლინებული, ასე უბრალო წვრილმანის გამო რად დამღუპეო, იესო წამით დადუმდა, მაგრამ როდესაც იუდამ რაღაცის თქმა დააპირა, ხელი აღმართა, გააჩუმა და დაასრულა: ჩემი ვალი კი, როგორც ამას ამწუთას მივხვდი, ის გახლავთ, რომ ახლავე გითხრათ: რაც ღმერთმა იცის, ყოველივე ის მეც ვიცი, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ არ დამიშლის, რომ ვიცოდე. მოწაფეები აფორიაქდნენ, ამოძრავდნენ, მღელვარებისგან ხმა შეეცვალათ, თან სწყუროდათ და თან ეშინოდათ იმის გაგება, რაც იესომ და ღმერთმა იცოდნენ, მხოლოდ იუდას შერჩა ისევ თავხედური და გამომწვევი სახის იერი. თქვა იესომ: მე ვიცი ჩემი ბედ-იღბალი, თქვენიც ვიცი და მრავალი სხვისაც, მათიც, ვინც ჯერ არც დაბადებულა; ღმერთმა გამანდო თავის განზახვაც და ამ განზრახვის მიზეზებიც, და მოვალე ვარ, რომ თქვენც გითხრათ ეს ყოველივე, რადგან ყველა თქვენგანს ეხება ახლა და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად და მეტად. რატომ? თქვა პეტრემ, რატომ უნდა ვიცოდეთ, რაც ღმერთმა მარტო შენ გაგანდო, გიჯობს, გაჩუმდე. ღმერთს რომ უნდოდეს, გამაჩუმებდა. შენ გინდა გვითხრა, რომ ღვთისათვის სულერთია, გაჩუმდები თუ არ გაჩუმდები, ასე იზამ თუ ისე იზამ და თუკი ღმერთი შენი პირით ლაპარაკობს, შენივე პირით ილაპარაკებს მაშინაც, როცა შენ, მაგალითად, როგორც ახლა, მის განგებას წინ აღუდგები?

იცი, პეტრე, რომ ჯვარს უნდა მაცვან? ვიცი, მითხარი.

ის კი არ მითქვამს, რომ შენც ჯვარზე დაასრულებ სიცოცხლეს, ანდრიაც, ფილიპეც, რომ ბათლომეს ცოცხლად გაატყავებენ, მათეს ბარბაროსები მოკლავენ, იაკობ ზებედეს ძეს თავს მოჰკვეთენ, იაკობ ალფესის ძეს კი ქვით ჩაქოლავენ, თომას შუბით განგმირავენ, იუდა თადეოსს თავს კომბლით გაუხეთქავენ, სიმონს კი შუაზე გადახერხავენ. არ ვიცოდი ეგ ყოველივე. ახლა შენც იცი, დანარჩენებმაც. დუმილი მოჰყვა იესოს სიტყვებს: მომავალი გასაცნაურდა და საშიში აღარ ჩანდა და ყველაფერი ისე იყო, როგორც იესომ გააფრთხილა: დაიხოცებით, და ერთხმად მიუგეს მოწაფეებმა: დიდი ამბავიც ეგაა, შენ რამე ახალი გვითხარი, თორემ ეგ ხომ ისედაც კარგად ვიცოდითო.

მაგრამ იოანე ზებედეს ძემ და იუდა ისკარიოტელმა, რომლებიც იესომ არ ახსენა, ერთხმად ჰკითხეს: და მე? – და მიუგო იესომ: შენ, იოანე, სიბერემდე იცოცხლებ და შენი სიკვდილით მოკვდები, ხოლო შენ კი, იუდა, ლეღვის ხეებს მოერიდე, რადგან ის დრო შორს აღარაა, როცა ერთ-ერთზე თავს ჩამოიხრჩობ. ამ დროს რომელიღაც მოწაფის ხმა გაისმა, ოღონდაც ვისი, ვერ გაიგებდი: ესე იგი, შენთვის უნდა დავიხოცოთ? ჩემთვის კი არა, ღმერთისთვის, უთხრა იესომ. და რა უნდა, საბოლოოდ რა სურს? – იკითხა

იოანემ. უნდა, მსოფლიოს დაეუფლოს. განა მსოფლიო მისი არ არის? ყოვლისმპყრობელი და სამყაროს შემოქმედი, თანაც გუშინდლიდან კი არა, ან ხვალინდლიდან, არამედ დროთა საწყისიდან უკუნითი უკუნისამდე, თქვა თომამ. ეგ არ ვიცი, თქვა იესომ. ახლა რატომ თქვი ის, რასაც ასე დიდხანს გულში მალავდი? ჩემ მიერ განკურნებული ლაზარე მოკვდა, ჩემ შესახებ მაუწყებელი იოანეც მოკვდა და უკვე სიკვდილი ჩვენ შორისაა. მიწის ყოველი ნაშიერი მოკვდავია, აღნიშნა პეტრემ, სხვებს რით ვჯობივართ? მომავალშიც ბევრი დაიხოცება ღვთის განზრახვით და ღვთის გულისთვის. თუ ღვთის გულისთვის, მაშასადამე წმიდა საქმეა. დაიხოცებიან, რადგან მაშინ გაჩნდნენ ქვეყნად, არც მეტი და არც ნაკლები, როცა რომ გაჩნდნენ. ისინი მარად იცოცხლებენ, არ დაეთანხმა ნათქვამს მათე. მაგრამ ამას ამდენი ტანჯვა რატომ სჭირდება?! თუ ღვთის ძე ამბობს ამას, მაშინ ამით საკუთარ თავს უარყოფს, თქვა პეტრემ. ცდები, მხოლოდ ღვთის ძეს აქვს უფლება, ასე ილაპარა-

კოს, რამეთუ ის, რაც შენგან თქმული მკრეხელობაა, ჩემგან ნათქვამი – ღვთის სიტყვაა, მაშინ გამოდის, რომ ღმერთსა და შენ შორის უნდა ავირჩიოთ. არჩევანი ჩვენ ღმერთსა და ღმერთს შორის გვმართებს მარადიულად და განუხრელად, მე შუა გზაზე ვდგავარ ღმერთსა და თქვენ შორის, ჩემგან თქვენამდე ზუსტად იგივე მანძილია, რაც თქვენსა და ხალხს შორისაა.

ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? ჩემი სიკვდილით დავეხმაროთ იმათ, ვინც ჯერ არ დაბადებულა. კი მაგრამ, ღვთის ნებას როგორ გადაუხვალ? ვერ გადავუვალ, მაგრამ ვცდი მაინც. შენ ხარ ძე ღვთისა, რა გენაღვლება, მაგრამ ჩვენ კი სულებს წავიწყმედთ საუკუნოდ. არა, რამეთუ მე გამომყვებით, რაც იგივეა, რომ ღვთის ნებას მიჰყვეთ. ჰორიზონტზე, უდაბნოს მხარეს მთვარის წითელი კიდე გამოჩნდა. თქვი, რაღას უცდი, წამოიძახა ანდრიამ, მაგრამ იესო დაელოდა, სანამ ვეება სისხლისფერი დისკო მიწას მთლიანად არ ამოსცდა და მხოლოდ მერეღა გააგრძელა: ძე ღვთისა ჯვარზე უნდა მოკვდეს, რათა მამის ნება აღასრულოს, მაგრამ თუ მის ნაცვლად ჯვარზე ჩვეულებრივ ადამიანს გააკრავენ, ღმერთი თავისი ვაჟის შეწირვას ვეღარ შეძლებს. შენ გინდა, რომ ჯვარზე შენ ნაცვლად ჩვეულებრივი ადამიანი, ერთ-ერთი ჩვენგანი გაგზავნო? – ჰკითხა პეტრემ. არა, ღვთის ვაჟის ადგილს მე თვითონ დავიკავებ.

ღვთის გულისათვის, გაგვაგებინე. ჰო, ჯვარზე ჩვეულებრივი, უბრალო კაცი ავა, ოღონდაც თავს იუდეველთა მეფედ გამოაცხადებს, ჰეროდეს ტახტიდან ჩამოგდებისა და რომაელთა განდევნის მოსურნედ და მინდა გთხოვოთ, რომ რომელიმე თქვენგანი დაუყოვნებლივ წავიდეს ტაძარში და იქ განაცხადოს, რომ ის კაცი მე ვარ და თუ ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზეა, მაშინ ღმერთი ვეღარ მოასწრებს, მიწიერი მართლმსაჯულება ღვთაებრივი სამსჯავროთი ჩაანაცვლოს, ისევე, როგორც ჯალათის ხმალი არ აარიდა იოანეს თავს. მოწაფეებს გაოგნებისგან ენები გადაეყლაპათ, მაგრამ მალევე ერთხმად აყვირდნენ მრისხანების, პროტესტის, ამ სიტყვების მიუღებლობის გამოსახატად. თუ ძე ღვთისა ხარ, ისე მოკვდი, როგორც ძე ღვთისა! – შესძახა ერთმა. შენთან პური გამიტეხია, როგორღა გაგცემ?! – კვნესოდა მეორე. იუდეველთა მე-

ფობა მისთვის, ვინც მსოფლიო უნდა დაიპყროს, როგორ გამოვა? – ამ-ტკიცებდა მესამე.

ჩემი ხელით მოვკლავ, ვინც შენ დაგასმენს! – ბრდღვინავდა მეოთხე.

უეცრად მთელი ეს ალიაქოთი იუდა ისკარიოტელის მჟღერმა ხმამ და გარკვევით ნათქვამმა გადაფარა: თუ

მართლა ასე გნებავს, ტაძარში მე წავალ. წამსვე ხელი სტაცეს და მო-სასხამების ნაკეცებიდან დანებმაც იელვეს, მაგრამ იესომ ბრძანა: თავი დაანებეთ, არაფერი დაუშავოთო, – წამოდგა, იუდას გადაეხვია, ორივე ღაწვზე აკოცა და უთხრა: თუ აკეთებ, დროზე გააკეთე. იმასაც სიტყვა აღარ დაუძრავს, მოსასხამის კალთა მხარზე გადაიგდო და ღამეში ისე გაქრა, თითქოს სიბნელემ ჩაყლაპაო.

გათენდა თუ არა, ტაძრის მცველები და ჰეროდეს ჯარისკაცები გა-მოცხადდნენ იესოს შესაპყრობად. უჩუმრად მიეპარნენ კარვებს, მერე კი რამდენიმე მათგანი, ხმლებითა და შუბებით შეიარაღებულები შიგ შე-იჭრნენ, და მეთაურმა დაიძახა: ვინ არის, ვინც თავის თავს იუდეველთა მეფეს უწოდებს? – და მერე კიდევ: ის კაცი გამოვიდეს, ვინც თავს იუდე-ველთა მეფეს ეძახის, და მაშინ იესო კარვიდან გამოვიდა და მასთან ერ-თად მტირალი მარიამ მაგდალელი. ჯარისკაცმა, ხელებს რომ უკრავდა, ჩასჩურჩულა: მიუხედავად იმისა, რომ ახლა შენს შესაპყრობად ვართ მოსულნი, თუ მაინც გახდები ოდესმე იუდეველთა მეფე, არ დაივიწყო, რომ მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებ და თუკი იმის შეპყრობას მიბ-რძანებ, ვინც დღეს შენი შეპყრობა ბრძანა, ისევე დაგემორჩილები, რო-გორც ახლა მას ვემორჩილები. იესომ მიუგო:

ერთი მეფე მეორეს ვერ შეიპყრობს, ვერც ერთი ღმერთი მოკლავს მე-ორეს, რამეთუ სწორედ ამისთვის არსებობენ ჩემისთანები. როცა ფე-ხებს თოკით უბორკავდნენ, არ გაგვექცესო, იესომ თავისთვის ჩაილაპა-რაკა: დაგაგვიანდათ, მე უკვე გავიქეციო. იმწამს მაგდალელმა წამოიკივ-ლა და უთხრა იესომ: კიდევ დიდხანს იტირებ ჩემ გამო, – და სხვა ქა-ლებს: თქვენც, როცა ასეთი დრო დაუდგებათ ჩემ გვერდით მყოფებს და თვითონაც მწარედ იტირებთ, მაგრამ იცოდეთ, ათასჯერ მეტი ცრემლი მაშინ დაიღვრებოდა, ჩემი ნებით რომ არ მივდიოდე ახლა სასიკვდი-ლოდ. ხოლო მერე ჯარისკაცების მეთაურს მიუტრიალდა: ხალხი გაუშ-

ვი, მე ვარ მეფე იუდეველთა, ეგენი ხომ არ არიან, – მეტი სიტყვა აღარ უთქვამს, წინ დაიძრა და ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ.

ამასობაში მზე ამოვიდა ბეთანიაში და ყველანი იერუსალიმის გზას შეუდგნენ – წინ იესო, აქეთ-იქიდან ჯარისკაცები, რომლებსაც იესოს ხელებზე დახვეული თოკის ბოლოები ეჭირათ ხელში, უკან მოწაფეები და ქალები, ამასთან პირველნი მრისხანებით ალმოდებულნი, ხოლო მეორენი – მტირალნი, მაგრამ მათ ცრემლებს რა შედეგი უნდა ჰქონოდა, ისევე როგორც იმათ რისხვას?! რა ვქნათო? – ჩურჩულებდნენ, – დავეცეთ ჯარისკაცებს და იესო გამოვტაცოთ ან ყველა ერთად დავიხოცოთო თუ დავიფანტოთ, სანამ ჩვენც არ შევუპყრივართო? – ვერ აირჩიეს და ამიტომ არც არაფერი უქნიათ, მცირე მანძილზე კუდში მისდევდნენ პროცესიას. ცოტა ხნის შემდეგ მოწაფეებმა შენიშნეს, რომ რაზმი შეჩერდა და ვერ გაიგეს, რატომ და აზრმაც კი გაუელვათ, ეგება სხვა ბრძანება მიიღეს, რომ მეომრებმა იესოს თოკის კვანძები შეხსნან და გაუშვანო, მაგრამ არც ისე შლეგი წარმოსახვა აღმოაჩნდათ, რომ ეს დაეჯერებინათ. თოკზე კვანძები არავის შეუხსნია, პირიქით, ერთით მეტი კიდევ შეეკრათ, რომელიც მაგრად მოჭიმულიყო სხეულის სიმძიმით – გზისპირა ლეღვზე, რომელსაც იესო და მისი ამალა ვერაფრით გვერდს ვერ აუვლიდნენ, ყულფზე ეკიდა იუდა ისკარიოტელი, ნებაყოფლობით რომ დაასმინა მასწავლებელი მისივე ნების აღსასრულებლად. მეთაურის ნიშანზე ორმა მცველმა თოკი გადაჭრა და უსულო გვამი მიწაზე დაეშვა. ჯერაც თბილია, თქვა ერთ-ერთმა და ამაში საოცარი არაფერი იყო, რადგანაც იუდა წინასწარ

ამძვრალიყო ლეღვის ხეზე, ტოტზე თოკი გამოება, კისერი ყულფში გაეყარა და მოთმინებით დალოდებოდა, როდის გამოჩნდებოდა შორ მოსახვევში იესო, რათა იმწამსვე დამშვიდებული სინდისით, რამეთუ ყველაფერი ისე შეესრულებინა, როგორც საჭიროება მოითხოვდა, ძირს დაშვებულიყო. იესო ცხედარს მიუახლოვდა – მცველებს ხელი არ შეუშლიათ – და დიდხანს დასცქეროდა მცირეხნიანი სიკვდილისწინა ტანჯვის კვალს იუდას სახეზე.

ჯერაც თბილია, გაიმეორა მცველმა და იესომ იფიქრა, თუ მოვინდომებდი, ახლა გავაკეთებდი, რაც ლაზარეს არ გავუკეთე, იუდას აღვად-

გენდიო, რათა სხვა ადგილას და სხვა დროს – დიდი ხნის მერე წყნარად და ბუნებრივად მომკვდარიყო და არა ასე – გამცემის უკვდავებით დაღდასმულიო. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა გაცოცხლება მხოლოდ ღვთის ძეს შეუძლია და არა იუდეველთა მეფეს, ვისი სულიც დაგმანულია, ხელები კი – გაბაწრული.

მეთაურმა ბრძანა: აქ ეგდოს, აქაურები დამარხავენ, თუ არადა, ყორნები დაძღებიანო, ოღონდაც, კარგად გაჩხრიკეთ, ეგება რამე ძვირფასი აქვსო. ჯიბეგამოფხეკილიაო, მოახსენეს მცველებმა, რომლებმაც გვამი გაჩხრიკეს, და მართალნიც იყვნენ, საერთო ფული მათეს ჰქონდა მიბარებული, რადგან ამ საქმის ავანჩავანს ჯერ კიდევ იმ დროიდან ფლობდა, როცა მეზვერე იყო, საბაჟოზე მსახურობდა და სახელად მათე ლევიტელი ერქვა.

დასმენაში ფულიც არ გადაუხდიათ, ჩაიბუტბუტა იესომ, ხოლო მცველმა გაიგონა და უპასუხა: უნდოდათ, მაგრამ ეგრე უთქვამს, ჩემს ვალებს თვითონ გადავიხდიო, აჰა, ხომ ხედავ, გადაუხდია. პროცესიამ გზა გააგრძელა: ზოგი მოწაფე სინანულით უყურებდა ყოფილი ამხანაგის ნეშტს, მაგრამ იოანემ თქვა: თავი დავანებოთ, ეგ ჩვენიანი არ არის, ხოლო მეორე იუდა, იუდა თადეოსი არ დაეთანხმა: გვინდა თუ არ გვინდა, ეგ მუდამ ჩვენიანად დარჩება, სხვა საქმეა, რომ არასდროს გვეცოდინება, როგორ მოვექცეთ, თორემ ჩვენი რომაა, წყალი არ გაუვა. წავიდეთ, თქვა პეტრემ, იუდა ისკარიოტელთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. სწორია, თქვა თომამ, ჩვენი ადგილი იესოს გვერდითაა, მაგრამ ახლა ეს ადგილი დაცარიელდა.

როგორც იქნა, ჩააღწიეს იერუსალიმს და იესო სინედრიონში წაიყვანეს, რომელიც უხუცესების, მღვდელმთავრებისა და მწიგნობრებისგან შედგებოდა. სინედრიონის მეთაურს იესოს დანახვა გაუხარდა და უთხრა: აკი გაგაფრთხილე, მაგრამ არ დამიჯერე, ახლა სიამაყე ვეღარ გიშველის, სიცრუე კი დაგღუპავს. რის შესახებ ლაპარაკობ? – ჰკითხა იესომ. იმის შესახებ, ჯერ ერთი, ვითომ იუდეველთა მეფე რომ ხარ. დიახ, იუდეველთა მეფე ვარ. მეორეც, ვითომ ძე ხარ ღვთისა, ყველა ამაზე ლაპარაკობს. ნუ დაიჯერებ, მე იუდეველთა მეფე ვარ. მაშ, აღიარებ, რომ არ ხარ ღვთის ძე? გიმეორებ, მე იუდეველთა მეფე ვარ. ფრთხილად იყავი,

ეგეც საკმარისია, რომ სასიკვდილო განაჩენი დაიმსახურო. რაც გითხარი, გითხარი. კეთილი და პატიოსანი, მაშინ რომის პროკურატორთან გაგაგზავნი, ალბათ სურვილი გაუჩნდება იმ კაცთან შეხვედრის, ამ ქვეყნიდან გაძევებას რომ უპირებს, კეისრისთვის კი – ქვეყნის წართმევას.

დაცვამ იესო პილატეს სასახლეში მიიყვანა და რადგანაც ამასობაში ყველამ გაიგო, ვიღაც დაუჭერიათ,

ვისაც თავი იუდეველთა მეფედ გამოუცხადებია, ტაძრიდან ვაჭრები და ზარაფები გამოუყრია, მათი დახლები და კარვები გადაუბუგავსო, ბრბო აჩქარებით დაიძრა, ვნახოთ ერთი, იუდეველთა მეფეს, ჩვეულებრივი ბოროტმოქმედივით ზურგს უკან ხელებდაბორკილს პატიოსანი ხალხის წინაშე როგორ ჩაატარებენო და ცნობისმოყვარეებს სულ არაფრად ედარდებოდათ, მართლა მეფე იყო თუ ვიღაც ვიგინდარა თვითმარქვია. და როგორც ამ ჩვენს მრავალფეროვან სამყაროში ხდება ხოლმე, ზოგს ეცოდებოდა, სხვებს – არა, ერთნი ამბობდნენ: გაუშვით ეგ საცოდავი, ვერ ხედავთ, თავის ჭკუაზე არ არისო; მეორენი პირიქით – ითხოვდნენ, დამნაშავე, როგორც წესია, აუცილებლად სამაგალითოდ უნდა დაისაჯოსო და თუ დანაშაული ბევრია, სასჯელი ნაკლები არ უნდა იყოსო. ბრბოში ჩაკარგული მოწაფეები და მათი თანმხლები ქალები აქეთ-იქით დაბორიალებდნენ და მათი ამოცნობა ძნელი სულაც არ გახლდათ, რადგან მწარედ მოთქვამდნენ და მხოლოდ ერთადერთი – მაგდალელი არ ტიროდა და შეკავებული ცრემლი შიგანს უწვავდა. მღვდელმთავრის სახლიდან პროკურატორის სასახლემდე შორი არ იყო, მაგრამ ეს გზა იესოს უსასრულოდ ეგრძელა და იმიტომ კი არა, რომ ამ დროისთვის ბრბო საბოლოოდ დარწმუნდა, ეს საცოდავი კაცი მეფედ არ გამოგვადგებაო და ამიტომ მის დაცინვასა და ლანძღვა-თათხვას შეუდგა, – არა, უბრალოდ მას სასამართლო ეჩქარებოდა, რომელიც მისივე ნებით სიკვდილს მიუსჯიდა, არადა, ხომ შეიძლებოდა ნებისმიერ წამს ღმერთს შემთხვევით აქეთ გამოეხედა და ეთქვა: ერთი ამას დამიხედეთ, ეს რა ამბავია, ჩვენ ამაზე არ შევთანხმებულვართო!

ტაძრის მცველებმა იესო რომაელ ჯარისკაცებს გადააბარეს, თვითონ პროკურატორის გადაწყვეტილების მოლოდინში კარიბჭის წინ გა-

ჩერდნენ, სასახლეში კი მხოლოდ სინედრიონის ზოგიერთი წევრი შეუშვეს.

რომის პროკურატორი, სახელად პილატე პონტოელი თავის სავარძელში იჯდა და უქცერდა, როგორ შემოიყვანეს გაუპარსავი, ფეხშიშველა მაწანწალა და წინ დაუყენეს, დალაქულ ტუნიკაში გამოწყობილი, ძველისძველ ლაქებთან ერთად სულ ახალთახალი ლაქებიც რომ ეცხო – იმ მწიფე ხილისა და ხვავრიელი მიწის სხვა ნაყოფთა წვენის კვალი, რომლებიც ღმერთებს იმისთვის როდი შეექმნათ, რომ ადამიანებს, მრისხანების გამოსახატად ან თანამოძმის დასამცირებლად ერთმანეთისთვის დაეშინათ. ტუსაღი პროკურატორის წინაშე იდგა, თავი მაღლა ეჭირა, სივრცეს გასცქეროდა, მაგრამ შორს არა, იქვე, ახლომყოფ რომელიღაც გაურკვეველ წერტილს მისჩერებოდა, სადღაც მისი და პილატეს მზერის გადაკვეთაზე. პროკურატორს აქამდე, როგორც მსაჯულს, მხოლოდ ორგვარი მსჯავრდებულები ჰყავდა ნანახი – ერთნი თვალებს ძირს ხრიდნენ ხოლმე მის წინაშე, მეორენი კი, პირიქით, ჯიქურ უყრიდნენ მზერაში მზერას, ორთაბრძოლაში იწვევდნენ თითქოს: პირველები ეზიზღებოდა, მეორენი ცოტაოდენ აშინებდნენ და ამიტომ განაჩენის გამოტანა ეჩქარებოდა. ეს კი თითქოსდა აქ იყო და თან აქ არც იყო, იმავდროულად სადღაც სხვაგანაც იმყოფებოდა და იმგვარი განზოგადებულ-დაბნეული ღირსების გრძნობით ეჭირა თავი, გეგონებოდა, მართლა მეფედ დაბადებულა და თავის თავში დარწმუნებულს თითქოს სჯერა, სადაცაა ეს სამწუხარო გაუგებრობა გაირკვევა და მყისვე მიიღებს უკან თავის სამეფო გვირგვინს, სკიპტრასაც და მანტიასაც. ბოლოს პილატემ მიიჩნია, სწორი იქნება თუ ამ ბრალდებულს მეორე სახის დანაშავეთა კატეგორიას მივაკუთვნებ და ამის შესაბამისადაც გავასამართლებო და დაკითხვას შეუდგა. ვინ ხარ და სადაური? იესო, ვარ ძე იოსებისა, წარმოშობით იუდეის ბეთლემიდან, მაგრამ გალილეის ნაზარეთში ვცხოვრობდი და ამიტომ იესო ნაზარეველს მეძახიან. მამაშენი ვინღაა?

უკვე ვთქვი – იოსები. საქმიანობა? დურგალი იყო.

მაშინ მითხარი, როგორ მოხდა, რომ დურგალმა იოსებმა მეფე იესო გააჩინა? თუ მეფეს შეუძლია დურგლის გაჩენა, ეგებ დურგალსაც შეუძ-

ლია საპირისპირო. ამ დროს ერთ-ერთი მღვდელმთავარი ჩაერია: შეგახსენებ, პილატე, რომ ეს კაცი აგრეთვე ირწმუნება, ღვთის ძე ვარო. ეგ მართალი არ არის, მე მხოლოდ ვამბობდი, ძე კაცისა ვარ-მეთქი, მიუგო იესომ, ხოლო მღვდელმთავარი პილატეს მიუბრუნდა და წამოიძახა: გატყუებს, პროკურატორო: ჩვენს რელიგიაში „ძე ღვთისა“ და „ძე კაცისა“ არსებითად ერთსა და იმავეს ნიშნავს.

პილატემ გულგრილად, განურჩევლად აიჩეჩა მხრები: ამას რომ ემტკიცებინა, მაგალითად, იუპიტერის შვილი ვარო, ეგებ კიდევაც დავინტერესებულიყავი, რაც არაერთხელ მომხდარა, თქვენი ღმერთის ვაჟია თუ არა, ამასთან მე რა ხელი მაქვს?! მაშინ იმისთვის გაასამართლე, „იუდეველთა მეფე“ ვარო, რომ ამბობს, ჩვენ ესეც დაგვაკმაყოფილებს. ახლა ისღაა გასარკვევი, მეც თუ დამაკმაყოფილებს, საკმაოდ უხეშად მიუგო პილატემ. იესო მშვიდად ელოდა ამ კამათის დასასრულს და დაკითხვის გაგრძელებას. მოკლედ, ვინა ხარ? – ჰკითხა პილატემ. იუდეველთა მეფე ვარ. და რა გინდა? ყოველივე, რაც მეფეს უნდა უნდოდეს. მაგალითად? თავისი ხალხის მართვა და დაცვა. ვისგან უნდა დაიცვა ხალხი? ყველა იმათგან, ვინც კი ჩემს ხალხს დაემუქრება. ანუ, გინდა თქვა, თუ სწორად მესმის, რომისაგან? სწორად გესმის. და შენი ხალხის დასაცავად გვეომები?

რაღა თქმა უნდა. და განგვდევნი შენი ქვეყნიდან? ცხადია, რადგან ომს შედეგად განდევნა მოსდევს. ცხადი ისაა, რომ შენ კეისრის მტერი ბრძანდები. მე მეფე ვარ იუდეველთა. თქვი, გამოტყდი, რომ კეისრის მტერი ხარ. მე მეფე ვარ იუდეველთა და ამის მეტს არაფერს გეტყვი. უკიდურესად აღელვებულმა მღვდელმთავარმა ხელები ცისკენ აღაპყრო: ნუთუ არ გესმის, გამოტყდა და შენ უფლება არ გაქვს, შეიწყალო, ვინც მოწმეების თანდასწრებით აღიარა, რომ შენი და კეისრის მტერია. გაჩუმდი, ხვნეშით უთხრა პილატემ, მერე იესოს მიუბრუნდა და ჰკითხა: რას იტყვი კიდევ?

მეტს არაფერს, იყო პასუხი. შენ მაიძულებ სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანო. გააკეთე, რაც გევალება. მაშინ თვითონ ამოირჩიე შენი სასჯელი. ამოვირჩიე. მაინც რომელი. ჯვარზე გაკვრა.

კეთილი, მაშინ ჯვარზე მოკვდები. აქ იესომ პირველად შეხედა პილატეს თვალებში. ერთი თხოვნა მაქვს. თუ შენი თხოვნა განაჩენს არ ეწინააღმდეგება, მაშინ მთხოვე და შეგისრულებ.

მინდა თავზემოთ ჯვარზე წარწერა დამიმაგრონ: ზედ აღინიშნოს, ვინ ვარ და რა ვარ, გაიგოს ხალხმა. სხვა არაფერი? არაფერი. პროკურატორმა ნიშანი მისცა და მდივანმა საწერელი მიაწოდა და პილატემ საკუთარი ხელით დაწერა: „იესო ნაზარეველი – მეფე იუდეველთა“. მღვდელმთავარი, ეს რომ შენიშნა, კმაყოფილი ნეტარებიდან გამოერკვა და შეედავა: „იუდეველთა მეფე“ კი არა, უნდა ეწეროს, „კაცი, რომელიც თავს იუდეველთა მეფეს უწოდებს~. მაგრამ პილატე საკუთარ თავს უჯავრდებოდა – რადგან დარწმუნდა,

სამართლიანი იქნებოდა ამ კაცის ცოცხლად დატოვება და თავისუფლად გაშვებაო, რამეთუ თვით ყველაზე იჭვნეული მოსამართლეც კი ვერ დაინახავდა, რომ ამნაირ მტერს რომის იმპერიისათვის რამე ზიანი მოეტანაო, და მღვდელმთავარს მშრალად მიუგო: ნუღარ მაწუხებ, რაც დავწერე, დავწერეო.

ჯარისკაცებს ხელი დაუქნია, მსჯავრდებული გაიყვანეთო და ანიშნა, წყალი მომიტანეთ, რათა წესისამებრ, სამსჯავროს შემდგომ ხელები დავიბანოო.

იესო კი გოლგოთად წოდებულ მთაზე წაიყვანეს და რადგანაც ხის ძელის სიმძიმისაგან, თუმც კი ჯანიანი იყო, ფეხები ეკეცებოდა, ცენტურიონმა ერთ გამვლელს უხმო, დაუფიქრებლად რომ შეჩერდა იმწამს პროცესიის შესახედად და უბრძანა, მსჯავრდადებულს დაეხმარეო. იმ დამცინავი სიტყვების, ყიჟინისა და ლანძღვა-გინების შესახებ, ბრბოს მხრიდან რომ ნიაღვარივით მოდიოდა და თვით ეს ბრბო რომ მეტად ხალხმრავალი გახლდათ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ისიც გითხარით, ცოტანი იყვნენ ისეთები, ვინც განწირული კაცის მიმართ თანაგრძნობით აღიძვროდა, თუმც ასეთებიც შეგვხვდებოდათ თითო-ოროლა. რაც შეეხება მოწაფეებს, ბრბოში დაძრწოდნენ და ვიღაც ქალმა პეტრეს ჰკითხა: იმათგანი არა ხარ, მაგას რომ ახლდა? – და პეტრემ კითხვა შეუბრუნა: მე? და მიუგო: არა, და გაეცალა სწრაფად, ბრბოს შეერია, მაგრამ იმწამსვე ისევ ის ქალი შეეფეთა და კიდევ უთხრა, არაო, და რადგა-

ნაც ღმერთს სამობა უყვარს, მესამედაც ჰკითხა იმ ქალმა და მესამედაც უარყო პეტრემ. ქალები იესოსაკენ აღმართს მიუყვებიან ორთავ მხრიდან – ზოგი მარჯვნიდან, ზოგი მარცხნიდან და მაგდალელი, თუმც ყველაზე წინაა, მაინც შორსაა, რადგან ჯარისკაცები არც კაცებსა და არც ქალებს იმ ადგილთან ახლოს არ უშვებენ, სადაც სამი ჯვარია, ორზე უკვე ღრიალებენ და ყმუიან და კვნესიან დასჯილები, მესამე კი, ცის საყრდენი სვეტივით სწორი და მაღალი, ჯერ ცარიელია. ჯარისკაცებმა იესოს მიწაზე დაწოლა უბრძანეს, იესო დაემორჩილა და ხელები ხარიხაზე გაშალა და როცა ჩაქუჩის დაუნდობელი დარტყმის შედეგად პირველმა ლურსმანმა ტყავ-ხორცი გაუხვრიტა და ხელისგულში სხივის ძვლებს შორის ჩაერჭო, მძაფრ ტკივილთან ერთად იგრძნო, რა თავბრუდამხვევი სისწრაფით გაექანა უკან დრო-ჟამი: ეს ხომ იგივე ტკივილი იყო, მამამისმა რომ გამოსცადა და თავისი თავი ზუსტად ისეთი დაინახა, როგორიც იყო მამამისი იოსები, სეფორისში რომ პირველად ნახა. მერე მეორე ხელისგული გაუმსჭვალეს და მყისვე ტყავმა და ხორცმა ფლეთა იწყო – რადგან ხარიხა ზედ მილურსმულით ზეაღმაღთეს რამდენიმე უხეში ბიძგით და ბოძზე გარდიგარდმო მიამაგრეს, ისე, რომ ბოლოს და ბოლოს ჯვარიც შეიქმნა – მყიფე ძვლებზე დაეკიდა ტანის სიმძიმე და შვება იგრძნო, როცა ფეხები აუწიეს და ტერფები მესამე ლურსმნით მიუჭედეს. ახლა კი მორჩა, მეტს აღარაფერს აღარ უზამენ, ახლა მხოლოდ სიკვდილი დარჩა.

კვდება იესო, კვდება, სიცოცხლე ტოვებს და ამ დროს ზემოთ, ზედ მის თავზე ცა იხსნება და ღმერთი მოჩანს – ისევ ისე გამოწყობილა, როგორც იქ, ნავზე, – და მისი ხმის ქუხილი მთელ დედამიწაზე გაისმის და ამბობს: შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელსაც მე სათნო ვეყავ. და მიხვდა იესო, რომ მოიტყუეს ამ ადგილზე, როგორც კრავი სამსხვერპლოსთან, რომ დასაბამიდან გათვლილი იყო, რომ სწორედ ასე მოკვდებოდა, და გაახსენდა სისხლისა და ტანჯვის მდინარე, მისგან სათავეს რომ აიღებდა და იდინებდა სულ უფრო და უფრო ფართოდ, სანამ მსოფლიოს არ დატბორავდა და შესძახა გადახსნილ ზეცას, საიდანაც ღმერთი ღიმილით ჩამოჰყურებდა: შეუნდეთ, ხალხო, რამეთუ არც კი იცის, რას აკეთებს.

შემდეგ სასიკვდილო თავდავიწყებაში სანახევროდ ჩაფლულმა ნაზარეთი და მამამისი დაინახა – მამა მხრებს იჩეჩდა და ისიც უღიმოდა, ეუბნებოდა: შენ არ შეგიძლია ყველა შეკითხვა დამისვა და არც მე ვიცი ყველა პასუხიო. ჯერ ცოცხალი იყო, როცა იგრძნო, როგორ გაუგრილა ბაგეები ძმრიანი წყლით გაჟღენთილმა ღრუბელმა, ქვემოთ ჩამოიხედა და კაცი დაინახა, მხარზე შუბგადებული, ხელში ვედრო ეჭირა. მაგრამ ის კი ვეღარ მოასწრო, შეემჩნია ჯვრის ძირას დადებული შავი თიხის თასი, რომელსაც წვეთწვეთობით ავსებდა მისი სისხლი.